114
1924

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმანი

№ 6

1924

პრესბ.ბანყ.ლიტ.ნ.ე.ს.ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაცხადებთ ახალ ისტორიის
პირველ ავტორებს,
მსოფლიოს ყველა დარგულ ვლასტების
და ერების
დიდ ჩინაშძღოლთ
და შაჰჩავლებელთ
ვლადიმერ ლენინა და ლევ ტროცკის
„ბნათობი"ს აბ ნოშერს იმღვნიან
რედაქცია და თანაშშრომელნი.

ალ. ტენიანი

სურ. ი‍ბ. გამრეკელია

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალგეთი

ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო
და სამეცნიერო ჟურნალი

ტფილისი 1924 წელი

საredაქციო კოლეგია:	მ. კახიანი. ვ. ბახტაძე. ლ. რუხაძე.

გამომცემელი:	საქართველოს პოლიტ-განთა- ლების მთავარ-მართველობა.

ს. მ. უ. ს. პოლიგრ. გაბუ. მე-3 სტამბა, № 93. ტირ. — 4000.

ტ ფ ი ლ ი ს ი — 1 9 2 4.

ლუ: ცრთცკი

სურ. ირ. გამრეკელისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რ უ ს ე თ ი
დასავლეთი

გალაკტიონ ტაბიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1917.

ეს ლექსი
ხანას იგონებს ნეტარს,
როცა გრგვინავდა როგორც ესსექსი,
თვითონ ლენინი—
რომ მომხრეები არა ჰყავს ცხედარს...
ის მიმართავდა მეორე მხარეს:—
ჩემს და თქვენს შორის ეხლა არ არის
არავითარი ნიადაგი, არავითარი—
რაზეც შევთანხმდეთ.
ადგილი, სადაც კიდევ ერთმანეთს
შევეფდებით, ქვეყნად ერთია მხოლოდ:
გადისერება ის სისხლის ზოლად!
სხვა არ არსებობს ველი შველისა
.გარდა სასტიკი ბრძოლის ველისა..

ოჰ, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს
მოსაგონარად შეიკრიბოთ დღეს.

გახსოვთ? გათავდა მხარეთა შორის
ნერვიული და შფოთიანი მიწერ-მოწერა
აღარც ერთ მხარეს მეორესი
რამე არ სჯერა.
განაგრძობს კამათს გაზეთები გამწარებული
რომ თანაგრძნობა მოიპოვონ
მღელვარე მასის.
ბოლოს დროშები აიმართა, დაიწყო ბრძოლა
ასის, ათასის.
ამბობს შტანდარტი:
„არ არის რამე ნიადაგი
რომ ჩვენ შევთანხმდეთ.
არ არის რამე ნიადაგი ჩვენი შეხვედრის
ბრძოლის ველს გარდა“.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს!

ასეთ დროს
უნდა ააჩქაროო, უნდა აჩქარდე, უნდა დაეწიო
ისე სწრაფად როგორც შეგიძლია.
წამმა დაყოვნება არ იცის
ჩქარა, ამხანაგო, თორემ დაგვიანდა.
წუთის დაკარგვაც კი არის ბოროტება.
ვინ სთქვა გადადება?
დროა მოძრაობის და სიცოცხლის ნიშნის.
უნდა დასცე ძირს, გადალუნო, წამოაჩოქო,
უნდა დასცე ძირს და მხოლოდ მკვდარს გადააბიჯო.

ო, ვის ც გახსოვთ ყოველივე ეს.

ოქტომბრის გრიგალს მჭექარე ხმებით
შევხვდით:
სიცოცხლე, სიცოცხლე!
სიცოცხლე გვწყურია...
გვწყურია ნგრევა და სიკვდილიც...
გვსურს აკავლდეს კაცობრიობა
აუტანელი ტკივილებით..
დროა, დრო! დროა, დრო! დროა, დრო!
უშიშრად სიკვდილს ეწირება ხსოვნა მრავალი
გამოსავალი უნდა იქნას, გამოსავალი.
დროა, დრო! დროა, დრო! დროა, დრო!

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს.

გადავარდნილნი უფიქრებლად ქარის თამაშში
არვინ ''ბიბობდა რომ დაკარგავს გზას
ათასი ხმიდან მხოლოდ ერთხელ,
ათას სიტყვაში მხოლოდ ერთი, ოცნებას ბაძავს
რაღაც კარგზე და მშვენიერზე.
ეძებს ამ ერთ ხმას, ამ ერთ სიტყვას
თავისუფლებას.

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს.

ევროპაში ამ დროს
გადაკრავდენ რა პუნშსა და ხერესს,
თან იგონებდენ უბედნიერეს
წარსულს.
იყო ძახილი: მშვიდობა ერთა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს იყო მხოლოდ ხმა დამცინველი.
უცებ შორიდან გაჩნდა მხედარი,
ატყდა კივილი. —
ამერიკისა და ინგლისის
სუპერდრედნოუტებს
ენუქრება ენერგია,
რეჟიმი, რკინა, რევოლიუცია

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს.

სადა ხართ, ვინაც ვიყავით ერთად
როცა იმარჯვებდა ოქტომბერი..
ჩვენ თან წამოგვყვა მშფოთარება და მეეთა ღნობა.
რადგან ვიგრძენით ჩვენ ოქტომბერი.
ჩვენ თან წამოგვყვა მისი ყინული
ჩვენ განვიცადეთ ის ოქტომბერი...

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს.
მათ მოსაგონრად შევიკრიბოთ დღეს
ვინაც ნამდვილად გასწირა თავი.
ოქტომბერში—ვინც განიცადა
პროლეტარების რევოლიუცია.
100 მილიონიანი გლეხკაცობის საქმე.
1917 წელი.—
სავსე ისტორიის ამბებით.
აზღვავებული რიცხვი.
ბრწყინვალე გამარჯვება,
ძლევა-მოსილება,
გიგანტიური დაპყრობა,
ოქტომბერი.

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს...

8 ოქტომბერი 1924 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ჯიჯინაძე.

ვალერი ბრიუსოვს.

Деянья всех людей—как тень в безумном сне,
Мечта о подвигах—как детская забава...

Валерий Брюсов.

აჰა, მოგგვარეს წენ პათმოსის თეთრი მერანი.
(საბედისწერო გაქანება ცხელი ანთებით!)
კოსმოგონიის ცეცხლმოდებულ ბრილიანტებით
უკანასკნელად დაგედაგენ თვალთა მზერანი.

სიკვდილი არის ყველაფერის დაბოლოება.
ასსარგადონი, ბაბილონი, ტიგროს, მიდია
ჩამქრალი სულის სარკეებში ჩუმად მიდიან
მარადისობის გაფითრებულ სიმბოლოებად.

დაგაკლევინა პოეზიამ თასი შხამისა
და საუკუნოდ მიაძინა დაღლილი ტვინი.
თავზე დაგედგა, ვით სიზმარში აწვდილი ხვინი,
შავი კონუსი დედამიწის ბნელი ღამისა.

12 ოქტომბერი 1924 წ.

ვასო გოლგაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლოგი

ქალაქი იყო, როგორც—პამირი.
ომნიბუსებით ქუჩა იძროდა.
და ტროტტუარის მაგარ ყამირზე
მარდი კებები კიბილით ჰქროდენ.

გადაირბინეს ცის მესერები
პროპელლერებმა აწყვეტილ ფრთებით,
და კრონშტადტიდან—ხმა გაფითრებით—
ღმუოდენ თეთრი კრეისერები.

რადიო სმოლნის—მწვანე განგისკენ
ლურჯი ჰაერის ხევდა ხავერდებს:
რომ გამარჯვება ჩვენია ისევ—
რომ ისევ სისხლით ვილებავთ მკერდებს.

და არ არსებობს უკან დახევა.
ასრულდებიან ყველა ვადები...
ისევ შტორმებით გუგუნებს ნევა
და ბრწყინავს ბრძოლის ბარიკადები.

20—X—24.

გ. ჟუჩიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰიმნი პროლეტარიატისა

ჩვენ—
ლეგიონები
(და არა მონები)
შრომისა,—
ვართ მოციქულები
წითელი ომისა.
გზა!
გზა მოგვეცი,
ქვეყანავ ძველო!
მოვდივართ რისხვით!
მოვჰქრიეართ ქარით!
მოვჰქრიეართ!
ხმელეთს გააქვს ზანზარი
და ზეცას სწვდება
ჩვენი ხანძარი!
გუგუნებს ზარი
პროლეტარული
და ხმა მედგარი,
შეუპოვარი,
ხმა ნეტარული, —
გრგვინვით,
ხარხარით
გადაჰკივის
ქვეყნის სივრცეებს.
ყური დაუგდეთ!
სმენა!
„დაჰქროლე ქარო!
სწორუპოვარო!
მილეწ-მოლეწე
ძველი სამყარო!
აღზდექი მონავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღზდეგ ლაჩარო!
აღზდეგ საპყარო
და ცოცხალმკვდარო!
ქუჩებისაკენ!
შეტევისაკენ!
ბარიკადებზე,
შრომის ლაშქარო!"

—

ჩვენ —
ლეგიონებმა
ბრწყინვალე შრომისა
და მოციქულებმა
წითელი ომისა,—
გადავეხვიეთ
ბრძოლის სტიქიას,
რადგან იგია
ჩვენი მშობელი;
ყველგან,
ყოველთვის
ჰიმნით გვიქია
და შეგვიქმნია
მისთვის
წმინდა საგალობელი.
ჩვენ დაგვინთია
ბრძოლის ცეცხლი,
დაუნდობელი,
ჩვენვე ვყოფილვართ
გამარჯვების მახარობელი!
ჩვენი ლაშქრობით
ვახანზარებთ
ბებერ მსოფლიოს,
ვინ აღგვიდგება წინააღმდეგ,
ვინ უნდა გვძლიოს?
ვერავინ!
ცეცხლი ბრუნავს
ჩვენს გულში;
ბრძოლის ფერხულში
მტერი ვერ გვლუნავს!
ჩვენ შევიყვარეთ
წითელი ფერი,
ფერი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ფერი,
სისხლის ჩანჩქერი!
ფეხ-ქვეშ გაესრისეთ
მტერი,
ძლიერი
და მოვჰქრით ლალად,
მოვჰქრით სიმღერით!
მოვჰქრით!
და მოგვაქვს
წითელი დროშა,
დროშა გმირული,
დროშა მუშური;
მან მტერთა სისხლით
შეგვეაზარხოშა,
წითლად შეგმოსა
ცა—მედიდური!

—

ზეიმობს ქუჩა
სისხლით ნაფერი!
შან ჩააყუჩა
ყოველი მტერი!
ყველგან გადადის
წითელი ფერი;
აღზდგა,
ამხედრდა
მონა მშიერი,—
და მიდის ურჩად
და მიდის მედგრად,—
მტრის შესახვედრად!
აღმოსავლეთიც
იფშვნეტავს თვალებს;
ჩინეთში ცეცხლის
დროშა ფრიალებს!
აწ ველარავინ
ველარა სძლიოს
რევოლიუციის
მძაფრი გრიგალი;
ეაშა, მომავალ
წითელ მსოფლიოს,—
დაეცეს ძველი!
აღზდგეს ახალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარში

ძლევის ქარში
ისმის მარში:
ორი! სამი! ოთხი!..
მოდის მკლავთ შლით
ზურგში თავშლით
დედაბერი ოხვრით...
— ერთი! ორი!..
სამი! ოთხი!..
ისმის ძლევის მარში...
მოხუცი კი
ბობღვით, ფორთხვით
ძლივს მიატანს ქარში...
ზამთარია.
ჭაბუკ რაზმელთ
ასდის ხვითქი, ორთქლი,
თითქოს ურო
ურტყამს აქ გრდემლს:
ორი! სამი! ოთხი!..
და ხანზარეს
ფილაქანი,
ქუჩაც ხმას სცემს ბოხ ხმით:
ერთი! ორი!..
— განი! განი!
ორი! სამი! ოთხი!..
ზამთარია...
მწყობრ სახეებს
დაკრთის გაზაფხული...
ბებერი კი...
იფშვნეტს ხელებს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საწყლად მოკრუნჩხული...
ლურჯი ცხვირი,
ლურჯი თვალი,
ჩარბებიც კი ლურჯი:
მწყობრთ სახე კი—
ნაკვერჩხალი,
ტანი, როგორც ბურჯი!
— ერთი! ორი!
სამი! ოთხი!
განი, დედი, განი!
მკერდით-ოფლი,
ცხვირით—ორთქლი,
ქვეშ კი—ფილაქანი...
ძლევის ქარში
ისმის მარში:
ერთი! ორი! სამი!..
დარ-ავდარში
მხარი-მხარში
და ფეხების ჩქამი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრავლიტელია

ნაჯ. გორდეზიანის.

საჯარო ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელი მოედანი.

ალი ჩეჩელაშვილს.

რუსეთი ბუმბერაზი;
თოვლი და ბუქი,
მყინვარე ველები,
რომელთა სივრცეს
ხსოვნა ვერ იტევს,
თვალი ვერ იჭერს...
ტროიკა მოჰქრის უსაზღვრო გზებზე:
ისმის ზარის ხმა
და შეძახილი:
„Бер-р-р-егись!“
მოჰქრის რუსეთი დაუდგრომელი!
სუყველა გზები,
მთები,
მინდვრები,
მდინარეთ გაშლა,
ზღვების ტორტმანი,
მათი შფოთვა,
მათი ბარბაცი,
ტყეების სილრმე და მდუმარება,
ხანძარი ტყეთა
ტყეები ცეცხლით მოკიდებული,
ტაიგა და ტუნდრა!
შოდის და მოდის,
მოდის ძახილით,
გულმოლლეტილი,
წითელ პერანგით
დიდი რუსეთი;
ვინ დააკავებს?!

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II.

მძლავრი კუნთებით მოიგრაგნება;
გზებს ამტვერებულს
მოჰყავს და მოჰყავს
მილიონები!

ურაგანებათ გადმომსკდარი ძალა ფოლადის!
სიწმინდე სისხლის,
ცეცხლის სიწმინდე!
ოფლი მართალი,
რომლისა ღვარი
ეცემა მიწას სიხარბით დამსკდარს
ანოყიერებს და მოჰყავს პური.
P. C. Ф. C. P;
—სიმფონია ახალი სიტყვის;
უტეხი ნება
რკინის ძარღვებათ
რუხ სივრცეებზე გადაჭიმული.
ბალტიის ზღვისა მწვანე ტალღები
კრონშტადტის ფუძე
და სიმაგრენი,
როგორც ორბის ფრთა,
და
როგორც კუდი მორიელის
ამართული და გამზადილი.

—

ზღვები მყინვარე ჩრდილოეთის;
დიდი სევდებით,
უსაზღვრო დარდით
და ყინვის მთებით;
ციმბირის სივრცე
ლენა,
ირტიში,
ერმაკის გვამი,
ურალის ქედი,
დიდი ვოლგა
შიმშილით მკვდართა დახროებულ,
დაფიტულ ძვლებით,
სტენკა რაზინის წითელი ლანდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უცნაური,
ნაზი სიმღერით:
„მტრედის ფერად დგება,
დილა ოქროს დარი;
და სევდებათ კვდება,
მოჩვენებათ ჰქრება
ღამის შავი ქნარი;
ქარის ნელი ქროლა
ფანტავს ნისლის აფრებს;
დილა ელავს ბროლით,
ნაპირების ზოლი
უსმენ ვოლგას ზღაპრებს:
„მე მიყვარდა მთვარის
მოღალული შუქი;
ცაში ვარსკვლავთ ჯარი,
ზამთრის მწარე ქარი
ზამთრის თეთრი ბუქი.
ჩემ ხსოვნაში ჩარჩა
სახე უცხო ქალის,..
ჩემი მკერდი გახლჩა,
გავიტაცე ფარჩა
სპარსელ ქალის ტანის.
როცა ყინვებს, ზამთარს
მე გავანგრევ მკერდით,
და გრიგალებს ამსკდარს,
როგორც დაჭრილ აფთარს
ამოვიწვენ გვერდით,
მაშინ ვილაც ნაზი
ფანტავს ტრფობის ლალებს;
მოდის რისხვის ხმაზე,
და, ამღვრეულს ბრაზით,
ამომიწმენდს თვალებს.
მთელ ღამეს ვართ მარტო;
სთვლემენ ტყენი, მთანი;
და დილამდის მართობს,
ნეტარებით მათრობს
მისი ტკბილი ტანი.“

—

ისევ ტორტმანით
მიილტვიან ვოლგას ტალღები...
რამდენი გული აძგერდება მის დანახვაზე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთის მკერდით
გადმომსკდარი დიდი ნაკადი
ბედნიერების,
უბედობის,
სისხლის,
ცრემლების!
რუსეთი—ვოლგა!
და მაინც მოდის,
მაინც მოჰქრის,
როგორც შურდული და უბოგანი
მთელი ველებით,
მყინვარებით,
ზღვების ბარბაცით
ამსკდარი ძალა,
ულეველი
დაუდგრომელი,
როგორც წვავი
დიდი რუსეთი და
დიდი ნება!

III.

საუკუნენი შენ გულზე სთელენენ,
როგორც ორბები დაღვრემილ სახით;
და წლების შრიალს, დროს უხმო ფრენაა
ცრემლის თალები მოუცავთ თალხით.
ოქრო და ხავსი,
თუჯი და სისხლი;
მოგონებების გამძიმებს კალთა,
ისევ ზღაპრებათ გადმოდის ნისლი
მარადისობის მითვლემილ თვალთა.

—

შენ მოინათლე წითელი ფერით;
დღეს გადარქმევა
ეპირვება ყველა სახელებს:
მაგრამ,
შენ რჩები
პირველყოფილი შენი სახით
რუსეთის გულო,
სისხლისფერო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საშარადისო,
წითელო დროშა,
მოედანო,
სისხლით ნაკურთხო!

—

მოსაიდუმლე შენია კრემლი,
მისი კედლები ხავსის ჯავარით;
მან შენთვის ბევრი დალვარა ცრემლი
და ახსოვს შენი რისხვა და ჯავრი;

მისი გუგუნი გულს გიგუდავდა
შენ დაშარცხების და ბრძოლის დროსა,
როს ცეცხლი ველებს გადაბუგავდა.
და მოდენიდა დამშეულ ბრბოსა.

გამოკეტილი გქონდა კარები
დამძიმებული რკინის რგოლებით,
როს მოდიოდენ უთელავ გზებით
ბატიჰი, თიმურ და მონჰოლები.

—

შენი ნაბატი ისწოდა მაშინ,
როგორც ოთ რისხვა მძლავრი, მძვინვარი
და ადიოდა რგოლებათ ცაში
ორთქლი სისხლისა, ვით მზეზე ცვარი

—

და ახლა როცა, როგორც ნაბადი
გადაეფარა ქვეყანას თალხი,
გაისმის ისევ შენი ნაბატი
და ავსებს წითელ მოედანს ხალხი.

IV.

ეს იყო წინათ!
უთვალავ წლებში
ბევრი რამ გაჭრა და
დაივიწყა...
ბედნიერება ბევრი დამიწდა
და უბედობაც
არავის ახსოვს;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმაური
მესმოდა ხშირად;
შენ სიყრმეს ახსოვს მხოლოდ მახვილი,
როს ურდოები,
თელავდენ შენ მკერდს,
და სათუთ სხეულს.
სისხლის ღვარები
შენ გულსა რწყავდენ
და მოდიოდენ
ვნებით დამთვრალნი
მძვინვარე ოლგერდ და ედიგეი-

—

მაგრამ,
შენ ხშირად აგამტვერებდა
მრისხანე მეფის
ბრელი ამალა:
სისხლით დამთვრალი
მისი თვალები
შენ გახსოვს ალბად!
გაქაფულ ცხენზე
იგი მოჰქროდა!
და ცხენის ფლოქვებს
მტვერად გაჰქონდა
მოხუცებული,
მოხრილი წელში,
ბავში და ქალი,
დანატრებული,
რომ მეფის სახე
ენახა ერთხელ.
წითელი ლაქა მხოლოდ რჩებოდა,
მაგრამ ერთ წამში,
იმასაც
შმველი გადაბურავდა
და აპრიჩინას ცხენების ქროლვით
ამდგარი ნისლი გადახურავდა.

V.

როდესაც თმენის დიდი ფიალა
აივსებოდა სისხლის ცრემლებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ან შიმშილი
გამოაშრობდა დედების მკერდებს,
მაშინ ზვირთებად აგორდებოდა.
ხალხის ტალღები გააფთრებული
შენს გულს იმედით მოასკდებოდა
მუქარით,
კვნესით
იგი ბორგავდა!
მას მაინც შენი იმედი ჰქონდა
და გაბრაზებულს;
ენატრებოდა
შურის ძიება
შურით დათრობა!
მაგრამ შენ გახსოვს,
შენ
ალბად გახსოვს
ბურჟუსიანი ზამთრის დილებიც!
ო, მოიგონე!
— ეს ძვირად ფასობს:
ცრემლები უხვად დანადინები!
დილის სიჩუმეს ხშირად არღვევდა
საშინელ ტანჯვის, წამების კვნესა
და მოსკოვს ჩუმი და მძიმე სევდა
დაუტვირთავდა უფერო დღესა.
და კეთდებოდა ეს საქმე ჩუმად...
ნაბატი სდუმდა.
და უტოვებდენ
ძალლებს და ყვავებს,
დაგლეჯილ ლეშებს,
დამტვრეულ ძვლებსა.

მათი აჩრდილნი კრთოდენ მთვარეში
ამოქმულ თვალთა საშინელებით!
და როცა ბუქის თეთრი თარეში
გადმოსკდებოდა მყინავ ველებით,

მსუბუქ ბუმბულით გადახურავდა
მათ სხეულს თოვლი ალმასის მტვერით,
მაგრამ შორის გზით შემოუარდა
ამ ადგილს მგზავრი პირჯვარის წერით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI.

შენ იყავ კუშტი, გამოუთქმელი
პირქუში სდუმდი;
მაგრამ მკერდს შენსას,
ყველა ეტრფოდა!
და სურდა ყველას,
გაელო შენთვის
სისხლი წმინდა;
და ან სიცოცხლე,
მოეცა შენთვის
ისე, ვით მსხვერპლი:

შენ დაიქანცე ამ მოლოდინში;
და გწამდა მაინც,
რომ მოლანდებულს ზღაპრულ სიზმარში.
ნახავდი რაინდს.

VII.

დღის ხმაურობა
და მოძრაობა;
ვაჭრობა ხარბი:
ჯარი და ხალხი,
„ბაიარების"
გამობრძანება
ამპარტავანი;
მრისხანე სახე,
მძიმე ნაბიჯი
და ოქროსმკედით
მოქარგული ტანსამოსავი.
აქ არის ყველა!
მშიერი ხალხი,
მარჩიელები,
მღვდელი, თავადი,
მოხელე ქურდი
შემოპარული;
ქუჩის მასხრები, და მათხოვრები;
ტიტველი ტანით
სიღატაკე დაუფარავი,
მყრალი ძონძებით;
მშიერი ცქერა—დავიხოცებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღის უფერობა,
ქარი.
ქარის ხმეული,
მწარე
ცაში გაჩრილი ჯვარი,
მზე ჟანგისფერი ცაზე,
როგორც ნაგლეჯი ჩვარის.
დაგუბებული ბრაზი,
მწუხარე ცემა ზარის;
დღეს მოედანზე,
ჯერ უნახავი
ზეიმი არი...

VIII.

კრემლის კარები იღება,
გაწოდის მეფე;
თუ სეირნობა ინება?
მას მოკრძალებით
მოჰყვება ჯარი,
ის ბედნიერი
დღეს ალბად არი.
მძიმე თვალებით
უცქერს მოედანს
დღეს საზეიმოთ
ის მორთულია;
შუა მოედანზე
ფიცრით ნაშენი
ამართულია.
წითელ პერანგით,
ნაჯახით ხელში
ჯალათი მოსჩანს.
მღელვარე ხალხით,
როგორც ზვირთებით
გარშემორტყმული,
ის განაბული
ყურს უგდებს ხმებსა;
და კმაყოფილი,
ჩუმი ღიმილით
ისწორებს მხრებსა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყავთ! ნაწამებს არ ემარჯვებ
ფების გადადგმა და სიარული;
ჯავრი თვალებში ელავს და ქრება
და შური ახრჩობს მას დაფარული.

მოსტაცეს იგი ვოლგას ნაპირებს,
როგორც არწივი, და როგორც ლომი;
ის გმირულ სიკვდილს ახლა აპირებს:
გათავდა ფუჭედ მრისხანე ომი!

დამშეულ ძმებსა, საცოდავ მონებს,
წელში მოხრილებს მეტი წვალებით
ის თავის ძახილს ვერ გააგონებს,
ვერ მოიტაცებს ორბის თვალებით.

ეს იყო ბრძოლა საბედისწერო;
მან იმათ მაინც ველარ უშველა...
და მაინც არ სურს, რომ დაიჯეროს
რომ ალარ დარჩა არავინ მცველად.

ვერ მოეცლინა წითელ მოედანს
ამხანაგებით, როგორც რომ მხსნელი;
დღეს ის თავის თავს მსხვერპლათ მოიტანს
და თავის სიკვდილს ლიმილით ელის.

და ახლა მისთვის ეს ყველაფერი
ბნელი და მწარე ზღაპარი არი;
კვლავ ვოლგა მის წინ მთვარით ნაფერი
გადაიშლება, როგორც სიზმარი.

მას აგონდება რისხვა და ელვა...
წარსულში ფიქრმა გადაიარა;
როცა იმედი და გულის ღელვა
მის მეფურ გაშლას გაუზიარა.

და სურს რომ ერთხელ გამართოს მხრები:
მას თავის ძალა და გული სჯერა!
რომ შემორტყმული ირგვლივ მასხრები
გაანიავოს, აქციოს მტვერად.

მაგრამ დაძარღვულ, დაგლეჯილ კუნთებს
ის ველარ ანდობს ძალას და ლონეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას სევდა ახლა თვალებს აუნთებს
და წარსულ დღეებს კვლავ მოაგონებს...

IX.

მოუთმენელი,
იცდის ჯალათი;
მას უკვე ესმის
საფეხურების მძიმე ჭრიალი.
და
ნაჯახის ტარს
ის უნებურად
ხელს უჭერს მაგრად.
გაქვავებული,
კუშტი,
მდუმარე
მოელის ხალხი...
და მზის სხივებზე
სუფთა და თეთრი
ნაჯახი ელავს.
პერანგ გახთილი,
დაჩოქებული
სტენკა რაზინ
ბალლობზე მოსჩანს
მას ჯირკზე თავი
აქვს გადებული:
მაგრამ ჯერ კიდევ.
სწყურია მეფეს
იმას უცქიროს...
კისრის ძარღვები
დასივდენ შავად;
საუკუნეა ყოველი წუთი...
მაგრამ იელვა ჰერში წითლად
პატარა ხელმა და ცხვირსახოცმა!
უკანასკნელი სანახაობა
ინება მეფემ!
ისველებს ფურთხით
ჯალათი ხელებს...
ნაჯახი ელავს და დაეცემა!
ფიცრებზე წითლათ გადაგორდება
თამაშით თავი, როგორც რომ ბურთი;
მას ცალი ხელით უახლოვდება;

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სისხლიან თმებით
დაიჭერს სწრაფად
და
ასწევს მაღლა...
მისი ფეხის ხმა
მსუბუქ ფიცრულზე
სიჩუმეს არღვევს.

შენ მგლოვიარეს
იყავი მაშინ:
და შენმა გულმა
მიიღო ჯილდოთ
სტენკა რაზინის
ხაკვეთი თავი.
და დაეფრქვია
ძვირფას ლალებათ
წვეთები სისხლის
შენ ქვებს და მიწას.

გაქვავებული
ელოდი მაინც
შურის ძიების
მძვინვარე წამებს:
შენ ქვრივს,
შემოსილს შავებით ჰგავდი.
და ყოველდღიურ ცხოვრების ხმაურს
ხანტად უსმენდი და გულში კლავდი.

X.

ცხრაას ხუთი წლის ზამთარმა, ბუქმა
და ქარტეხილმა
გადაიქროლა!
და დაატეხა გლბები სისხლის
და ძვლების ხვავი.
პირველი სხივი გაზთიანლის
ლამეში გაქრა,
მაგრამ მზე ხარბად აბოლიოდა!
და ოქროს აფრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე, ვით კუდი ფარშავანგის
ალმოსავლეთის ცაზე ბრწყინავდა.

—

ოქტომბერი, ჩვიდმეტი წელი;
მოსკოვი ზღვაა
განრისხებული;
დღე უკნაური
დღე გამარჯვების,
დღე გადამწყვეტი
საშინელ ბრძოლის;
ციწა დაბნელი
ყუმბარებით;
სისხლით მორწყული
მოედანი,
და შეურყევი
კრემლის კედლები;
თქარუნით ნოდის
ახალი ძალა;
მძლავრი, გაშლილი;
როგორც რომ ეოლგა
თავის ნაპირებ გადალახული.

ჰაერი დაგლეჯილი
ზარბაზნების,
ოოფების ცემით:
ქარის ტალღებზე
პროლეტარების
მოდის ზეირთებათ
ნელი გუგუნი:
„ინტერნაციონალ"!
შურის ძიების,
და გამარჯვების
ეს არის წამი!
და მხოლოდ იმან,
ვინც შენ ნოგნათლა
წითელ სახელით
ჩამოგაშორა
დაკოჭრილ ხელით
მწუხარე თალხი
და აგაბრწყინა წითელი ფერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან თავის სისხლით
შელება შენი ქვები და მტვერი
მაგარ რუსეთის, მაგარ სხეულში
შენა ხარ გული, წითელი გული!
და შენი ძგერა
მას ამოძრავებს;
შენგან გადმოდის სისხლი ყუნთებში,
ყველა ძარღვებში;

ერთი სიტყვა,
ერთი სახელი
ფარავს ყველაფერს
და იმართება,
როგორც გიგანტი
რუსეთის ზღვაზე,
ვლადიმირ ლენინ!

სამარადისოდ შენ გახსოვს მრავი
სიტყვა და სახე:
შენ დაინახე
ახალ ცხოვრების
შემომქმედი
უზენაესი.
ათასი წლებით განისლული,
მის მოლოდინში
შენ ჩუმად სოვლენდი.
გესიზმრებოდა შენ მისი ლანდი!
ჩვიდმეტი წელი და ოქტომბერი.
როგორც ახალი იერუსალიმი
ამაღლდი ახლა:
წმინდა ადგილებს,
შორი გზებიდან
ესწრაფვის ყველა!
დაბინებულნი,
წყვდიადში მყოფნი
და დამშეულნი
ფიქრობენ ხარბად
მოვიდენ შენთან
და გცენ თაყვანი!
მთელი სამყაროს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დახუთულ ბნელეთს
ანათებ წითლად;
და ცეცხლით წარღვნა
შენ სიმაღლიდან
გადმოქანდება!

ეს წუთი მოდის,
ეს წუთი მოდის
არ გვიანდება!
საუკუნეთა გაუძლებს გრიგალს
კრემლის კედლები;
და შენ დარჩები
უკვდავი ფერით
წითელი ფერით
მოედანო—მსოფლიოს დროშა!
მილიონებმა
მთრთოლვარე ხელით
შენ ჩაგაბარეს თავის მოძღვარი.
და მედიდურათ ამაღლებული,
როგორც ქიმერა,
როგორც სინაი
—სდგას მავზოლეი.
და შენ გდარაჯობს
მთელი ველებით,
მყინვარებით,
ქარით და ბუქით,
დაუდგრომელი,
მოზღვავებული, როგორც რომ შვავი
დიდი რუსეთი და
დიდი ნება—
—ვლადიმირ ლენინ.

კოლაუ ნადირაძე

სექტემბერი, 1924 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია.

ჯავშნიანი მატარებელი:

„N. B. E. 365. Октябрь“.

თენდებოდა. ღამდებოდა. თენდებოდა ასე...

თენდებოდა შემოდგომის უსიცოცხლო, ამღვრეული, სისხლნაკლული დილები.

წვიმები იკინკლებოდნენ.

სახლის ბოლოული ლპებოდა წყალში და მოდიოდა ძირს ყვითელი ნაწვიმარი, გროვდებოდა სახლის ირგვლივ და მხარმოტეხილი იხვი ბუქნავდა, ცეკვავდა კვატკვატით, ცალ ფრთას იმარილავდა და წვიმას თავს უშვერდა.

ეზოში მაგნოლიები მოფუყულიყვნენ და წაფერდილ ყავარ გადაგლეჯილ ჩეჩმასთან ღორი დასველებულ მუნიან ზურგს იფხანდა და დარაჯობდა...

წუწკი იყო ღორი და კარგად ესმოდა ნასადილევს გარკვეულ მდგომარეობაში მყოფ ხალხის გუნება. გაილებოდა თუ არა სახლის კარი, იგი მიბხვდარი იყო, მაშინვე მირბოდა ჩეჩმის ქვეშ, ხორხოცობდა, ქეჩოს წამოიყრიდა.

წვიმდა გამედმებით და მატარებლების კივილი მოისმოდა ნაღვლიანად, გულის გამაწვრილებლად.

მესერზე მომდგარი ფერდებ შეეარდნილი ძროხა ბღაოდა და ტყემალს ეფარებოდა გადასაწვიმებლად.

გზაზე ურემი მიჭრიალობდა ხანტად და ზედ მჯდარი ტომარ მოხურული მეურმე ერეკებოდა ხარებს.

— აშე ხარო, შენ შეგჭამა მამალ გელმა!,..

სახლის წინ, სადაც ანდრო რაშაძე ცხოვრობდა, რკინიგზის შენობა იდგა, მუდამ უკაცრიელი და ეთვისტომო. იქვე ხიდი გადადიოდა ლიანდაგზე და საქონლის საწყობში ეშვებოდა.

ლიანდაგს გაღმა დეპო და სახელოსნო იყო.

რკინისგზიდან მოდიოდა ორთქლში გაჟღენთილი თავვებისა და „მაზუთის“ სუნი.

სახელოსნოდან ისმოდა ჩაქუჩისა და ურიების გრიალი, ორთქლის ქვაბების გუგუნი, მატარებლების მოძრაობა, ვაგონების შეჯახება, საყვირის ხმა და „მაზუთში“ დასვრილი ბელურების ჭიკჭიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბელოსნოების ირგვლივ დარგული იყო მაღალი ალვის ხეები და გაბმული ვლებულ შტოებში მოსჩანდა ყვავების ჩამოძონძილი ბუდეები.

იჯდნენ მოფუყული ყვავები და გადასცქეროდნენ დაბა №-ს

ძირს დამპალი ფოთოლი ეყარა.

დაბაში იყო საბჭოთა დაწესებულებები.

კომისრები და პარტიულები დადიოდნენ უზარმაზარი შაუხერებით, პარაბელიუმებით და გულზე წითელი ნიშანი ჰქონდათ მიბნეული ლენინის პორტრეტით.

საფოსტო კანტორაში ჩამომჭკნარი ქალიშვილი მარკებს ჰყიდდა და ტელეგრამებს აგზავნიდა. (უწინ იგი თვითონ მოდიოდა და უგზავნიდა **იმას** წერილებს, ახლა არა ჰყავს **ის** და სხვის წერილებს აგზავნის).

სადგურზე ტელეგრაფის აპარატი ხროტინობდა და ყვითელ კანტიანი გაცრეცილ და გამოხუნებულ პიჯაკიანი ტელეგრაფისტი ხარბადად აკაკუნებდა ტელეგრაფის მანქანას.

ბაზარში ვაჭრები ისხდნენ დუქნების წინ და ამთქნარებდნენ.

ვაჭრობა არ იყო, კოოპერატივმა მიიზიდა მათი მუშტარი.

დღე იყო უნუგეშო, შაერის ქალალდივით ნაცრისფერი.

ცილა ადრიანად ყოველ დღე გამოდიოდა ჭიშკარზე ანდრო რაშაძე ქოლგით ხელში და დახეულ კალოშებს მიაჭყაპუნებდა ტალახში და წყალში.

სასწავლებელში აივანზე ისხდნენ სიცივით მოძუძგული ფეხშიშველი ბავშვები და უცდიდნენ ზარის დარეკას.

ტუჩები დალურჯებოდათ, სიმშილისაგან გათითრებულიყვნენ და უბეები ჩალურჯებული თვალები გამოიცქირებოდნენ უსაზღვრო ხალელით.

„კლასის“ იქით იყო საყანეები, ყვითელი ჩაჩიები და ხეებზე მოლუნული ჩალის ზვინები ჩაბოსტიროდნენ.

დღე იყო ნისლიანი წვიმდა გადუღებლად და იქა-აქ ბურულიან სახლებში ამოდიოდა ბოლი.

სადლაც შორს ქალი კიოდა, ძაღლი ჰყეფდა და ვიღაც მოსთქვამდა.

იქ ენთო ცეცხლი, ორთქლმავალი გუგუნობდა და ჯავშნიანი მატარებელი „N. B. E. 365. Октябрь“-ი დადიოდა ლიანდაგზე და ჯავშნიან ვაგონებიდან იცქირებოდნენ ირიბი თვალებით ყვრიმალის ძვალმსხვილი ბალხი და იყო ამ გამოხედვაში რალაც უტეხი, შეუდრეკელი და სენტიმენტალობას აშორებული.

1918-ში ჯავშნოსანი „N. B. E. 365. „Октябрь“-ი გამოუშვეს პუტილოვის ქარხნის მუშებმა.

გაუშვეს იმედებით და ნდობით იქ, სამოქალაქო ომის გრიგალში, და ჯავშნოსანი გრგვინავდა, ჰქუხდა დორბლს ჰყრიდა, დარბოდა ლიანდაგზე დადულრულივით და კაპასი ქოფაკივით ხან აქ გაჩნდებოდა და ხან იქ. სადაც ის გაჩნდებოდა, იქ გამარჯვება იყო, იქ ამაყად ფრიალობდა წითელი დროშა და გუგუნობდა:

„это есть наш последний

ეროვნული
ბიბლიოთეკა

и решительный бой!"...

კოლჩაკი, დენიკინი, ალექსეევი, ვრანგელი გაანიავა ქარიშხალივით...

ის იყო იქ და მერე მოვიდა აქ.

მუაღლის ორ საათამდე აძლევდა ვანო რაშაძე გაკვეთილებს მოწაფეებს. შესვენებებზე იჯდა სამასწავლებლო ოთახში, სხვა მასწავლებლებთან ერთად და ბაასობდნენ.

კედელზე ეკიდა ლენინისა და ტროცკის სურათი, რომელიც ანენკოვის ბიერ იყო დახატული.

— გირეანქა პური ორი ბილიონი ღირს!.. ამბობდა ხნიერი ქალიშვილი, რომელსაც თვალებზე პენსნე ჰქონდა გაკეთებული და მხარზე წითელი გაროხი მოხურული.

— არ ვიცი სანამდის უნდა ვიყოთ ასე...—უპასუხებდა ახალგაზდა ყმაწვილი, გამოხუნებულ სტუდენტურ ქუდში, მათემატიკის მასწავლებელი.

— სამი თვეა ჯალაგირი არ მიგვიღია და არც ვიცი მოგვცემენ თუ არა! —ეხმაურება მესამე.

— რაშე ამბავი ხომ არ იცი ახალი, ამბობენ პუანკარე ჯარებს ამზადებსო...— ამბობს მათემატიკის მასწავლებელი ხმის დაწევით, თითქმის ჩურჩულით.

— რა ვიცი, ამბობენ, ჩვენი საქმე ევროპაში კარგად უნდა იყოსო... პუანკარე დაჰპირებია?..

ანდრო რაშაძე ზის მაგიდასთან და ს უგდებს იდაყვით ხელზე დაყრდნობილი და მისი შეკრულ შუბლიდან ნაღვლიანად გამოიკვეთება ბნელი თვალები.

— ეჰ, სიცრუეა!.. ნომბეზრდა ამდენი ჭორი!..—წამოიძახა ხნიერმა ქალიშვილმა და ნერვიულად პენსე გაისწორა.

იქ ლიანდაგზე დადიოდა ჯავშნიანი მატარებელი „№ В. Е. 365. Октябрь"-ი და ჯავშნიან ვაგონებიდან [illegible] ბოლნენ ხახა დაბჩენილი ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები და ირიბი მოდელირებული [illegible] ფალებით ყვრიმალის ძვალმსხვილი ხალხი, ტყაცის კურტკებში და ძაბრის ქუდებში.

შუა დღისით სწაველა წყდებოდა და ფეხშიშველი მოწაფეები გარბოდნენ წიგნებით ილლიაში თავ-თავის სახლებში.

ვანო რაშაძე გადმოვიდოდა სკოლის ეზოდან, გაიარდა კოოპერატივში პურისთვის ან „სვლიოდკისათვის" და მერე მიდიოდა სახლში დალვრემილი და ჩაფიქრებული.

ხანდახან, ფიქრებში გართულს ქოლგის გაშლა დაავიწყდებოდა და ასხამდა წვიმა.

მისი 7 წლის ბიჭი ნიკოლა იჯდა ბუხართან (ბუხარში ნოტიო ფიჩხი და სველი ჩალის ღერები შიშინობდა), ეწეოდა ბლეზის კალთას და ზმუოდა გულის შემაღონებლად.

— რა გინდა შე სასიკვდილე, რაი, რაი!.. ხომ ხედავ არაფერი მაქს!.. რა გაჭამო, ზენ ჭამე ცხელი ნაცარი!.. შეიცადე და მაჭამენი მოვა!.—კაპასობდა მოთმინებიდან განოსული ენერა, რაშაძის ცოლი ია ცხელ ღერღილიან ჩო-

განს უკნევდა შვილს. (მისი ნამდვილი სახელი ესმა იყო, მაგრამ [illegible] მოსწონდა ეს სახელი და, როგორც ჯვარი დაიწერა, სახელი [illegible] დაბა №-ში ცხოვრობდა კომუნისტი კომისარი თაბაგარი.

ის იყო ოსმალეთის ფრონტზე.

ისინი იწვნენ სანგრებში

სანგრებში იდგა ყელთამდე წყალი და ტალახი.

მთელი კვირეები ისმოდა განუწყვეტელი სროლა და ტყვიების ზუზუნი.

სკდებოდა ყუმბარები და ადიოდა ცაში კორიანტელი აფეთქებული მიწისა, ადამიანის წაწყვეტილი ფეხებისა, თავებისა და ხელებისა.

შორს მოსჩანდა ლაინის ფერი მთები და თოვლით დაფენილი მწვერვალები.

ოთხი წელიწადი ჰქუხდა ზარბაზნები და სიკვდილის ლანდი დადიოდა პოზიციებიდან პოზიციებზე უზარმაზარი პლაკატებით:

— „За царя и Отечество!"

— 5% военний заем!..."

— „Война до победы!!!

სიძნელე, სიცივე, სისხლი, სახადი, იტენდანტები, ოფიცრობა, სიკვდილი დაძრწოდნენ და მუსრს აელებდნენ ჯარისკაცებს.

ღამე, როცა ბრძოლა არ იყო, მიდამოები ყრუვდებოდა ტურების კივილით და აფთართა ლმუილით. მგლები ნადავლზე იღრინებოდნენ და ლეშით გაძღარი ძუ მგლები ძლივს დააბანძურებდნენ რძით გატენილ ძუძუებს.

დღისით სისხლით დაბინძურალი ყორნები ცაში სიბნელისაგან დამძიმებული ფარფატით მიათრევდნენ შიმორის ნაგლეჯებს ბახალებიან, რომელნიც პირდაღებულნი უცდიდნენ დედას.

მერე ისევ დაიწყებოდა ბრძოლები და ჯარის კაცები იბრძოდნენ იხოცებოდნენ „მეფისა და მამულისათვის".

სიკვდილი თვალებში იცქერებოდა.

ოთხი წლის განმავლობაში მილიონები ისხდნენ სანგრებში, არ ხნავდნენ, არ თესავდნენ, არ სჭედდნენ, არ სწერდნენ, ოთხი წლის განმავლობაში ხოცდნენ ერთი მეორეს, ანგრევდნენ, ანიავებდნენ, ოთხი წელიწადი, გახვეულნი რუს მაზარებში, ტყვიათა ზუზუნში, დაქანცულნი, გალუჯგებულნი, შეშლილნი, ანთებულ თვალებით უცქეროდნენ მოწინააღმდეგეს და არ იყო არავინ მეგობარი, — იყო მხოლოდ მოწინააღმდეგე, იქ კი, სახლში იყო თბილი ოთახი, თბილი ლოგინი, ტკბილი ცოლი დანატკბობელი მუსაიფით, ნაზი ალერსით და საყვარელი შვილები.

თუ სროლა არ იყო, დაწვებოდნენ მიწაზე პირაღმა, გასცქეროდნენ ზეცას და ოცნებობდნენ.

ოთხ წელიწადს იყო ასე და ერთ დღეს მოვიდა ამბავი, რომ ხელმწიფე აღარ არის, რომ არ იქნება არც ომი, არც ხოცვა, — იქნება: მიწა, თავისუფლება, დამფუძნებელი კრება...

გაჩნდა იმედი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვიდა პლაკატები: კადეტების, სოციალ-დემოკრატების, ესერების ტროდოვიკების:

— „მთელი ძალა უფლება დამფუძნებელ კრებას"..!.

6 თვე უცდიდენ დამფუძნებელ კრებას, ზავს, პურს, მიწას, თავისუფლებას, მაგრამ ამაოდ, მერე მოთმინებიდან გამოსული ფრონტი დაიძრა ერთ დღეს მოვარდნილ ღვარივით და თვალუწვდენი, მოდიდებული, აღვართქაფებული მდინარე მილიონებისა მოედო რუსეთის მიწა-წყალს.

კიოდნენ ახალი ლოზუნგები:

— „ზავი, პური და მიწა!"

— „ზავი, პური და მიწა!"

— „ზავი პური და მიწა!".

იქ იყო მიწები თვალუწვდენი: ულაღი, ბარი, ველები. მინდვრები და მათ უნდოდათ ეს მსუქანი, შავი მიწა და მშვიდობიანი მუშაობა ამ მიწებზე.

ეს იყო 1917 წელს, ოქტომბერს.

—

თაბაგარი დაბრუნდა სახლში გაბოლშევიკებული, იბრძოდა დუშეთში, ლეჩხუმში, საინგილოში და მერე 25 თებერვალს, 1921 წელს შემოვიდა საქართველოში კომუნისტებთან ერთად.

წითელ ხიდზე გადმოიარა ჯავშნოსანმა „N. B. E. октябрь" და ჯავშნიან ვაგონებიდან იცქიოებოდნენ პირდაბჩენილი ზარბაზნები, კაპასი ტყვიის მფრქვევლები და ირიბი მონოლოლურ თვალებით ყვრიმალის ძვალმსავილი ხალხი ტყავის კურტკებით და ძაბრის ქუდებით.

ეს მოხდა 1921 წელს, 25 თებერვალს.

მენშევიკური მთავრობა გაიქცა ევროპაში.

ბათომში დარჩა ბუდეანგრეული ხალხი და გასცქეროდნენ მიმცურავ იტალიანურ გემებს.

იქ იყო ანდრო რაშაძე, გვარდიის ნტაბის წევრი და დაბრუნდა უკან იმ იმედებით, რომ წალე ევროპა მოვიდოდა ჯარით...

—

კომისარი თაბაგარი ხშირად მოდიოდა ანდროსთან.

უფრო დილაობით, როცა ანდრო სასწავლებელში იყო და ვენერა, ჯერ კიდევ ლაბახი ქალი, სახლში მარტო რჩებოდა.

ნიკოია ბაკაყებს იჭერდა ღელეებში კიბოებისთვის.

მაგრამ კომისარ თაბაგარს ეს ხელს მაინც არ უშლიდა, რომ ანდრო რაშაძე „ჩეკაში" ჩაესვა, როცა რაიმე მენშევიკური გამოსვლა იყო მოსალოდნელი.

ოთახში იდგა ორსაწოლიანი ლოგინი, იქვე კედელზე ეკიდა ჟურნალ „Пробуждение"-ს პრემია პროფ. ერლიხის სურათი „Credo" და თაბაგარი შურით გადახედავდა ხოლმე ამ ლოგინს და აღგზნებულ თვალებს ზეანათებდა ვენერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენერა დამფრთხალი და დარცხვენილი ინაზებოდა კაკაბივით ძისი ლონიერი მკლავების ბოლოდინში.

თავდაპირველად ვენერას ეშინოდა ამ მდევივით კაცის, რომელსაც გულზე ებნია წითელი დროშა ზედ წარწერით:

ს. ს. ს. რ.—

და ბკერდზე ეკიდა მაუზერის სისტემის რევოლვერი უზარმაზარი ხის ბუდით.

ნემოვიდოდა იგი აზიურ ნალალ ყელიან ჩექმებში და ძაბრის გულს მოიხდიდა.

ვენერა მორიდებით მიესალმებოდა, ტყავის კურტკას ჩამოართმევდა, იქვე კედელზე მიჭედილ ლურსმანზე მიაკიდებდა და სკამს მიართმევდა.

ისხდნენ კარგა ხანს და არ იცოდნენ რაზე ელაპარაკათ.

ბოლოს თაბაგარი ჩამოაგდებდა ლაპარაკს ალმასკომზე, კონტრრევოლიუციონერებზე...

ვენერა იჯდა ფრთხილად გაანაბული, უყურებდა ლონიერ ვაჟკაცს და ყურს უგდებდა.

ბუხარში ნედლი ნეშა და ნაკორტალი გულის გამაწყრილებლად ბიშინებდა და საცოდავად ხრჩოლავდა.

იქვე რგვალი მაგიდა იდგა ალბომით:

„Виды Кавказа".

და ჟურნალები:

„Лукоморье", „თეატრი და ცხოვრება" და „სახალხო გაზეთის" უფასო დამატებები.

წიგნის რაფაზე იდო ნ. რამიშვილის „ისტორიული ნაჭერიალიხმი", კაუტსკის „ერფურტის პროგრამა", „ალიონის" მიერ გაბოკვემული ა. ბოგდანოვის „მოკლე კურსი პოლიტიკურ ეკონომიისა", ვობლის „სტატისტიკა" და მოწაფეთა რვეულები.

ეს წიგნები იყო იმ დროის, როცა ანდრომ ვენერა ნეიროთ და სიცოცხლე ახალ იმედებითა და ნეტარებით ენუქრებოდა.

დადიოდნენ ერთად ქალაქის ბალში და ეფიცებოდნენ ერთი მეორეს ერთგულებას და ერთად ბრძოლას საზოგადოებრივ ასპარეზზე.

დილით, ადგომისას, ანდრო საკუთარი ხელით ჩაასხვევდა ცოლს წინდებს, ტუფლებს და ბაყვებს უკოცნიდა.

ეხმარებოდა გარეცხილ პერანგზე ცისფერ აზიების დაბნევაში.

დილით იგი მიდიოდა სახალხო გვარდიის შტაბში და რჩებოდა იქ ორ საათამდე, კვირაში ორჯერ საღამოთი პარტიულ კრებაზე მიდიოდა, ხანდახან წახსენებას აკეთებდა რომელიმე გაბოლშევიკებულ რაიონში.

თაბაგარი ტყეში იყო გავარდნილი და მისი სახელი რომელიმე აფეთქებულ ავდანყებასთან ერთად გასკდებოდა ხოლმე ყუბარასავით და მოედებოდა გვარდიის რაიონულ შტაბებს მოარული სენივით.

გვარდია ემზადებოდა საომრად. შტაბის რემონტონები ბეჭდავდნენ მო-

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ხსენებას ნობაუნებზე და ს

ღამით გვიან დაბრუნდა სხდომიდან სახლში, მას ენანებოდა დაკარგული ბარტის, იმ ბელადების, ოომლებთანაც წლების განმავლობაში იყო ერთად ცხოვრებული, დაწვა ორსაწოლიან ლოგინში, სადაც ცოლს ეძინა.

თავში ტრიალებდა რეზოლიუციები, სიტყვები, ლოზუნგები და არ ეძინებოდა.

წამოდგა და სანთელი აანთო.

ცოლს ეძინა ტკბილად და მის გადაღებულ მკერდს ეალერსებოდა სანთლის მოპარპალე სხივი.

გულში უსაზღვრო ნაღველი და სევდა იყო გამეფებული.

ანდრო უცქეროდა ცოლს, მის თეთრ გულ-მკერდს, ზედ დაყრილ შავ თმებს, მკვრივ მკლავებს და ტკივნში რაღაც ცხელი ჩაესხა და თვალთ დაუბნელდა.

ვენერა ახალგაზრდა, ნაზი და მიმზიდველი,—და ეს სევდა, ეს ნაღველი მიდიოდა სადღაც.

ტანში ტკბილი ჟრუანტელი თრთოდა სუნთქვა დაძძიდა და ცოლს ხელი შეავლო, მკლავი კისერ ქვეშ შეუცურა, მაგრამ ვენერას არ უნდოდა, გაკაპასებით ნახევრად მძინარემ შეუტია და ისევ მიეძინა.

ანდრო მოწყვეტით დაწვა ლოგინში, რაღაც კიდევ უფრო ასტკივდა სულში, გადაბრუნდა ლოგინში და წყნარი. ხმით ქვითინი დაიწყო.

— თაბაგარი... თაბაგარი... თაბაგარი... —წოდა ყურები.

დილით ადგა დაღვრემილი, ცოლს თვალებში არ უცქეროდა და არაფერი უჭამია ისე წავიდა სასწავლებელში.

მერე:

ეკლესია კლუბად გადააკეთეს.

მამა ონოფრე გაპარსეს.

უწინ სწერდნენ:

— გაახლებთ რა ამასთან ერთად...

ბატონი———

ახლა:

— ვაგზავნით ამას და ამას...

ამხანაგი———

თაბაგარი კიდევ უფრო ხშირად დადიოდა ვენერასთან და ანდრო ჰგრძნობდა, რამდენი ხშირად დადიოდა თაბაგარი მასთან, იმდენად ვენერა ცივად ეპყრობოდა ანდროს.

ერთ დღეს ანდრომ, როცა ის სკოლაში აპირებდა წასვლას, დაუძახა ნიკოლაის და უთხრა:

— როცა ბიძია თაბაგარი მოვიდეს აქანა, ნურსად წახვალ, ბიძია გლახაკია... ანდრომ მეტი ვერ შესძლო, შერცხვა, დაიხურა ქუდი და გაიქცა.

ნიკოლა გაკვირვებული უყურებდა მიმავალ ბამას, მერე სამზარეულო სახლზე მიკიდებული ბოლის შხვერთის ბადე ჩამოიღო, ზედ გაფატრული ბაყაყი ნიაბა და წავიდა კიბოების საჭერად მდინარეზე.

იმ დღეს ანდრო ადრე დაბრუნდა სახლში, უეცრად [illegible] ბიბლიოთეკის კარი და ნახა, რომ მის ორ საწოლიან ლოგინში ვენერა ბი[illegible] თაბაგარი თაყვანიწყებით ჰკოცნიდა ტუჩებში.

იქვე ლოგინზე იდო შემოსასნილი მაუზარი ხის უზარმაზარი ბუდით.

კედელზე ეკიდა ქვითელი გიტარა, რომელზედაც უწინ ვენერა დამღერიდა:

„საყვარლის საფლავს ყეყბდი-ი-ი,

„ვერ ვნახე, დაკარგულიყო-ო!"

და მას უეცრად გაუელვა თავში, რომ იქ გიტარა კი არა, თვითონ ჰკიდია ჩამომხრჩალი და ოცალი დაუბნელდა, დატორტმანდა და კედელს მიეყრდნო.

ვენერამ დასტოვა ანდრო და თაბაგართან გაიქცა

დარჩა ანდრო მარტო,

სახლში არავინ იყო.

მიუახლოვდა ფანჯარას და ხედავს: ლიანდაგზე გადაკიდებულ ხიდზე ნიკოია და მეზობლის ბავშვები არიან, ხიდ ქვეშ მიმავალი ჯავშნიანი მატარებელი „№ В. Е. 365. Октябрь"-ი ბოლს უშვებს და ბავშვები ხტიან ხიდზე და იმ ჭვარტლებიან მის კვამლში, მობრუნდა და წერილი დასწერა:

„არ ღირს ასეთი სიცოცხლე... როდესაც ადამიანი ამოვარდება ცხოვრების კალაპოტიდან, მაშინ სჯობს მთლად მოშორდეს სიცოხლეს.

ანდრო რაშაძე."

და ხელმოწერას, რომელიც „...ძე"-თი თავდებოდა გაუსვა ხვეულები, როგორც ამას გვარდიის შტაბში შვრებოდა ხოლმე.

როცა ნიკოია დაბრუნდა სახლში, ნახა რომ ნამა ნისი ჭერში ეკიდა და შეშინებული თაბაგართან გაიქცა, რომ დედასათვის ეთქვა.

—

ორი თვის შემდეგ ვენერა და თაბაგარი „ᲨᲛᲐᲩ"-ში იყვნენ ორი მოწმით და ჯვარი დაიწერეს.

ნიკოია კომსომოლებში ჩასწერა მამინაცვალმა.

ლიანდაგზე იდგა ჯავშნიანი მატარებელი „N. B. E. 365. Октябрь"-ი და ჯავშნიან ვაგონებიდან იცქირებოდნენ ხახადაბჩენილი ზარბაზნები, კაპასი ტყვიის მფრქვეველები და ირიბი წინღოლტრ თვალებით ყვრიმალის ძვალმსხვილი ჩალხი ტყავის კეპტკებით და ძაბრის ქუდებით...

პ. ირეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვისნიავი.

(ძვირფას ამხ. პროკ. (ალ.) ჯაფარიძის მოსაგონათ).

I.

მოკუპრული ცა იცრემლება. წვიმა ნელა, ზანტათ ცრის. წვიმისაგან დასველებული სახლები, ტალახიანი ქუჩები, შემოდგომის ცივი ქარი. მოწყენილობა ნელ ნელა ეპარება გულს, კბენს. ოცნება სადღაც შორს გიტაცებს, გაგონდება წარსული უდარდელი, ბავშური ცხოვრება და ლონდები, გული კვნესის ვილაცის უჩინარი ხელი გულში მიძვრება და ცივად გიჭერს, კვნესი, ძალა უნებურად გული გტკივა. რისთვის? რატომ? ვერ გაგიგია. ასე გგონია თითქოს ყველა შენსავით მოწყენილია, ცა, დედამიწა, სახლები, ქუჩები, ადამიანები. თითქოს ყველას კრიჭა შეჭყვრია, არავინ არ იღიმება, ყველა დაღონებულია, ყველა მწარე ფიქრებს გაუტაცია. არა, ყველაფერი წვიმისა და ქარის ბრალია, ყველაფერი ამ მოკუპრული ცის ბრალია. ის სულს უხუთავს ადამიანს. ოჰ! რა კარგია მზე! მზის სხივები, რა კარგია როცა დილის რიერაჟზე ამოიჭრებიან ისინი ცის კაბადონზე და თან სიხარულის მარგალიტებს მოაფრქვევენ დაღონებულ დედამიწას!! ყველა მხიარულია, ყველა კისკასობს!

სანდრო იჯდა სატუსაღოს სარკმელთან, გახეულები შუბლი გახიახებულ ცივ რკინებზე მიედო და გაშტერებული თვალებით გაჰყურებდა ამ გულის მოკვლელ სურათს. სანდრო ოცნების ზღვაშია. მის ფიქრები სადღაც შორს. შორს დაფრინავენ. ეცბათ მან თვალი მოჰკრა შარაზე მიმავალ გლეხს. ფეხ შიშველა, მუხლებამდე ტალახში ამოსვრილი, თავზე ტომარა ჩამოცმული და მთლათ სველი, ზანტათ ნიიდენის წინ სახედარს. ის ქალაქში მიდის, რომ რაიმე გაჰყიდოს და თავის წვრილ ცოლ-შვილს ლუკმა პური მიაწოდოს. სახედარს ჯოხი გადაჰკრა, თითონაც უკან მისდევს, ორივე სირბილით წავიდა. მისდევს სახედარს, მიცუნცულებს და თან რაღაცას მღერის. სანდროს თვალები აეცრემლა ამ სურათის დანახვაზე. ოცნებამ უფრო შორს გაიტაცა: მოაგონდა ბავშვობა, როცა ის თავის სოფელში სცხოვრობდა დედასთან ერთად. სანდრო ხედავდა რა გაჭირვებაში და სიღატაკეში სცხოვრობდენ მისი მეზობელი გლეხები. მისი ტოლ-ამხანაგი სოფლის ბიჭები მუდამ ზამთარ-ზაფხულ კონკებში და

ფეხშიშველები იყვნენ. სანდროს მუდამ ხალათ-შალვარ[illegible] ეცვა. სანდროს გული უკვდებოდა, როცა თავის ტოლ-ამხანაგებს [illegible] ფეხშიშველობაში ხედავდა. ის მზად იყო ყოველთვის შუაზე გაეყო ყველაფერი მათთვის. მოაგონდა სანდროს ერთი ამბავი. ერთხელ სოფლის ბიჭებთან ერთად მინდორზე თამაშობდა. თამაშობის დროს პატარა ბიჭმა გოგიან, რომელიც სანდროს შეზობლათ სცხოვრობდა, უცაბედათ ლურსმანს ფეხი დაადგა და მორთო ღრიალი. მისკენ ბიჭები და ძლივს ძლივობით ლურსმანი ამოაძრეს. სისხლი თქრიალით სდიოდა. ჩაიყვანეს იქვე რუზე, მობანეს ფეხი და შეუხვიეს. გოგიამ იმიტომ გაიჭრა ფეხი, რომ სხვებისავით ისიც ფეხშიშველი იყო. ჩუსტები მხოლოდ მარტო სანდროს ეცვა. ეს ჯარგათ გაიგო სანდრომ, რადგან ყველა მის ჩუსტებს მისჩერებოდა და ნატრობდა ნეტა როდის დადგება ის სანეტრო დრო, რომ ჩუსტები შეცვალოს. სანდრო გაწითლდა, შერცხვა, გული ეტკინა. გოგია იჯდა და ხლუკუნებდა. სანდრომ საჩქაროთ გაიხადა ჩუსტები და გოგიას ჩააცვა თავის ხელით. ამ ამბის დანახვაზე ბავშვებმა სიბარულით ჟივილ ხივილი ატეხეს. გახარებული გოგია ხელში აიყვანეს და სახლისკენ წაიყვანეს, სანდრო ფეხშიშველა დაბრუნდა სახლში. დედისთვის ხმა არ გაუცია ისე აეკუდა კუთხეში. დედას ვერ გაეგო რა მოხდა. მივიდა სანდროსთან გულზე მიიკრა და ალერსით ეკითხა:

— რა იყო, ჩემო ბიჭუნა? ხომ არავინ გაგიჯავრა? აბა მითხარი, შვილო, ვინ გაწყენინა?

სანდრო ხმას არ იღებდა?

— იქნება გაწყინა, ჩემო ბიჭუნა? მოგიკვდეს დედა! ეხლავე, შენ გენაცვალე, აი ცხელ კვერს გამოგიცხობ და ჩვილ ყველს მოგცემ—დედა სალომე კიდობნისკენ წავიდა. ფცბათ მოტრიალდა და თვალი მოჰკრა სანდროს ტიტველ ფეხებს.

— უი! დამიდგეს თვალები! ამას რას ვხედავ?! აააა! ეხლა მივხვდი რაზე ხარ გაბუტული. შვილო რა უყავი ჩუსტები? დაკარგე?

სანდრომ ქვითინი დაიწყო.

დედამ ველარ მოითმინა და სანდრო ისევ გულში ჩაიკრა. მოლბა, ფერება დაუწყო. თან უნდოდა გაეგო ჩუსტების ამბავი.

გათამამებულმა სანდრომ უამბო დედას ყველაფერი დაწვრილებით. არაფერი არ დაუმალავს.

სალომემ კიდევ უფრო მაგრათ ჩაიკრა გულში სანდრო და ალერსი დაუწყო.

შენ კი გენაცვალოს დედა, ჩემო ბიჭუნა, მე მიხარია რომ ასეთი გულკეთილი ბიჭი მყევხარ. მიხარია, რომ დაჩაგრული და ღარიბები გებრალება. თუმცა გულკეთილობას ხშირათ სიმწარე მოსდევს, მაგრამ მაინც ბედნიერი იქნები, ჩემო შვილო, ხვალ დილითვე უკეთეს ჩუსტებს გიყიდი.

ოცნებამ სხვა მხარეს გადატყორცნა სანდრო. ის უკვე ვაქაცია. სწავლა დამთავრებული. სოფელი დიდი ხანია დასტოვა. თავის დედასთან ერთათ სცხოვრობს ბუთაისში, საფიჩხიისკენ ერთი პატარა ლამაზი ოთახი უჭირავთ. ამ ორი ადამიანის მეტი ქვეყანაზე არავინ არის. მამა ადრე მოუკვდა სანდროს. ის პატარა დარჩა თავის დედას. დედა თუმცა ახალგაზდა იყო, მაგრამ არ გათ-

ხოვილა და მთელი თავისი ახალგაზდობა სანდროს შესწირია. ისევ [illegible] სანდროს გვერდით იყო. ეხლა ის უკვე მოხუცებული და მუდამ [illegible] ევლებოდა სანდროს. დედის გარდა სანდროს არც ძმა ოც და, არც არავინ არ გააჩნდა. სანდროა გარდა სალომეს ქვეყანაზე არავინ გააჩნდა. ეს ორი ობოლი, ორი საყვარელი არსება მხოლოდ ერთი მეორესთვის იყო გაჩენილი. ორივეს გაგიკვირდა ეროვანეთი, შვილი სიცოცხლეს შესწირავდა დედას, დედა შვილს. იმვიათათ იყო ისეთი შემთხვევა, როცა სანდრო სახლში არ მისულა ღამე, როცა რაიმე შემთხვევის გამო ვერ მივიდოდა, დედა სალომეს იმ ღამეს არ ეძინა შვილის მოლოდინში.

ერთ ღამეს სანდრო თავის ხუთ ამხანაგთან ერთათ ერთ მყუდრო და საიმედო ბინაზე შეკრებილან. ეს ექვსი ადამიანი არის მთელი მუშათა მოძრაობის აული და გული, ხელმძღვანელი, ცენტრალური კომიტეტი. ბევრი საჭირბოროტო საკითხები აქვთ გადასაწყვეტი. შავბნელმა რეაქციამ ისინი საშიშ მდგომარეობაში ჩააგდო. შეუძლებელი გახდა მუშაობა, შეკრება. ექვსივემ იცის, სიცოცხლეს გამოესალმებიან თუ ხელში ჩაუვარდათ და მზათ არიან ძვირათ დაუსვან თავიანთი სიცოცხლე.

უკვე თორმეტი საათია. სალომე კარებთან სდგას და ელოდება შვილს. მას რაღაც შავი ფიქრები მოსვენებას არ აძლევენ, გული ელევა ლოდინით. დიდი ხანია სანდროს ასე არ დაუგვიანია. დადგება ღია კარებთან, შუბლზე ხელს მიიდებს და გაჰყურებს შორს, შორს სიბნელეში. ყოველ ხმაურობაზე, ყოველ ფეხის ხმაზე გული ძიგძიგს უწყებს.

ის იყო ამხანაგები მორჩენ თავის საქმეს და წასასვლელათ მოემზადენ, რომ კარები მაგრათ დაურახუნეს, უცბათ ყველანი გაქვავდენ, ადგილიდან ვერ დაიძრენ. კარებს მტკივნეა დაუწყეს

— ბიჭებო! არ დაიბნეთ! ხომ ხედავთ ვინც არიან? ვილაცა გაგვყიდა, ბაგრამ ამაზე ლაპარაკი ეხლა უადგილოა. როგორმე თავს უნდა ეუშველოთ— სთქვა სანდრომ—ერთათ ერთი გზაა ჭერზე ავიდეთ და იქიდან მეორე ეზოში გადავხტეთ. სახლი უეშველოდ ალყა შემორტყმულია. აბა ჩქარა! სანდრო პირველი ავიდა ჭერზე. მას მიჰყვა მეორე. ამ დროს კარები შემოამტვრიეს და ასტყდა საშინელი სროლა. სანდრო გარბოდა სახლის სახურავზე, გადახტა მეორე ეზოში და თავგადადებული გაიქცა. მას კარგად ესმოდა რაც მოხდა ოთახში. საბი მისი ამხანაგი ალბათ დახოცეს სანდრო ერთ ეზოში შეეარდა და ბნელ კუთხეში მოეფარა. ყურს უგდებს რა ამბავია. უცბად ესმის, რომ ქუჩაში გარბიან, ეზოებში შედიან. არის ყვირილი სტვენა, ხმაურობა. ეტვი არ არის ვას მისდევენ. მისდევენ როგორც ნადირს. იმ ეზოშიც შევიდენ სადაც სანდროა. მდგმურებმა გაიღვიძეს, სანთელი გამოიტანეს, ყველგან ეძებენ. დამალვა მოუხერხებელია. სანდრომ თვალი მოჰკრა ყურთამდე გალებულ ალაყაფის კარებს. მეტი ცდა შეუძლებელი იყო. ერთი გაქანდა, იქ მდგომ ჟანდარმს დეჯახა, წააქცია და მოუსვა. შეშინებულმა ჟანდარმმა მორთო ღრიალი. ყველანი გამოცვივდენ და ყვირილით და სროლით სანდროს გაეკიდენ.

გარბის სანდრო რაც ძალა და ღონე აქვს და ჟანდარმები ყვირილით და

სოფლით უკან მისდევენ. გაირბინა ერთი ქუჩა, გაირბინა მეორე, მდევრები ისევ მისდევენ ყვირილით. აგერ ხე ტყის კარხანა. თუ მოახერხებდა სანდრომ სწორედ აქ. ყანდრამები მოწორებით არიან ვერ ხედავენ. ის სასწრაფოდ გადახტა ეზოში და ფიცრებში მიიმალა. ყანდრამები გაჰყვენ ქუჩას. იქ აც კი ჩაუხედნიათ. სანდრო გადარჩა.

დილის რიჟრაჟზე სანდრომ ფრთხილად კარები დაუკაკუნა დედას. სალომეს სკამზე ჩამოსძინებოდა ლოდინში. ზეზე წამოვარდა და კარები გააღო. უკბათ კინალამ დაიკივლა, მაგრამ სანდრომ პირზე ხელი დააფარა. შევიდა და კარები ჩაჰკეტა. სალომეს წინ იდგა უქუდო, მთლათ ტალახში ამოსვრილი, ტანისამოს შეწოხეული სანდრო.

— შვილო! გენაცვალოს დედა, მითხარი რა მოხდა? რა ამბავია? ეხვეოდა სალომე შვილს.

— დედი! ესლა დრო არ არის. ჩქარა ტანისამოსი, ეს სადმე გადამალე. იქნებ ვინმე მოვიდეს.

— შვილო, მითხარი რა ამბავია?

— ჩქარა, დედა. ჩქარა, თავს დაგვესხენ, მე გავიქეცი. მელიტონა, ყოჩიკა და ილიკო მგონია დახოცეს. ჩქარა, ჩქარა ტანისამოსი.

— უი ჩემს მოსწრებას! უი ჩემს თვალებს ითქვეფავდა მუხლებს სალომე და თან ტანისამოსს ეძებდა.

ჩქარა ყველაფერი გამოუცვალა სანდროს. სანდრომ ახალი საცვლები ჩაიცვა, ტანისამოსი სკამზე დაიწყო და ჩაწვა ლოგინში.

— დედა! თუ ვინცობაა ვინმემ მიკითხოს უთხარი ავათ ვარ. ორი დღეა გწევარ.

სანდრო არაფის უკითხავს. ხიფათს გადარჩა. სამი მისი ამხანაგი იქვე ჩახოცეს, რადგან იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს. სანდროს გულზე რაღამაც საშინლად უკბინა ამის მოგონებაზე.

სანდრო ნისკარავს ოკნების ხლვაში. სურათი შეიცვალა. აგერ ის დაჭერილი მიჰყავთ ქუთაისიდან ტფილისში. რვა თვე იჯდა ქუთაისის სატუსალოში. როდესაც იქაურ საქმეს მორჩენ ძველი საქმე გამოუჩხრიკეს ტფილისში სასწავლებელში ყოფნის დროს. ტფილისის ყანდარმერიამ მოითხოვა მისი ტფილისში გადაგზავნა. მისი ძვირფასი დედა სალომე თან მიჰყვება იმ მატარებელს, რომლითაც სანდრო მიჰყავთ! ხან და ხან სადგურზე ჩამოხტება სალომე, მიუახლოვდება იმ ვაგონს, სადაც სანდრო ზის. შეხედავს სარკმელში, გაეღიმება, ანუგეშებს და კოცნას უგზავნის. სანდროს თან ახლავს ერთი ყანდარმი, რომელიც ტფილისამდე მიჰყვება. ერთ გრძელ სკამზე სხედან სარკმლის ახლოს. სანდრო ფიცრებით გატაკებულია. მას არაფრათ მოსწონს, რომ ამ გახურებული მუშაობის დროს ის სატუსალოში უნდა იჯდეს გულხელ დაკრეფილი. ის სულ სხვა ტემპერამენტიისაა, ის ნამდვილი რევოლიუციონერია. მას არ უყვარს უსაქმოდ ჯდომა, ის მაშინ სცოცხლობს, როდესაც გაბედულათ, გაკაჟებულათ მუშაობს თავის საყვარელ საქმეში. ის მაშინ გრძნობს ბედნიერათ თავს, როცა საბედისწერო საქმეს აკეთებს, როცა მისი ბედი ბეწვზე ჰკიდია. როდესაც ის გაბედუ-

ლათ უყურებს თვალებში სიკეთილს. სანდროს გონება ფიქრებისგან [illegible] ბულია. ის გალიაში ზის. მას უნდა თავისუფლად განავარდება, [illegible] და რა გზით? ის ხან სარკმელს შეხედავს და ხან ბთვლემარე ჟანდარმს. რადაცას სწყვეტს, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია. მატარებელი მიქრის. როცა სადგურზე შეჩერდება ჟანდარმი იღვიძებს, სარკმელს ხურავს და ფხიზლად არის, მატარებელი გასცდა ავჭალას, გაიარა ლრმა ლელე და სადაც არის მიაღწევს ტფილისის სადგურს, აი კიდეც გამოჩნდა გახალაღდნებული ქალაქი. თუ ეხლა არა, მერე მორჩა! მეტეხის კედლები მაგარია, იქიდან თავს ვეღარ დაალწევს. მატარებელი გაუსწორდა დიდუბეში გერმანელების ახალშენს. სანდრო წელში გაიმართა, მძინარე ჟანდარმს გადახედა და ტყვიასავით გადაეშვა სარკმელში. საბედნიეროთ რბილ ნიწაზე დაეცა და რამდენიმე საჟენზე ჩაგორდა. არაფერი უტკენია. წამოვარდა ზეზე და გაქრა სიბნელეში. ჟანდარმმა მორთო ყვირილი, მაგრამ მატარებელი თითქმის მიეკიდა სადგურთან.

გათავდა ეს ცეცხლის დღეები. დაინგრა ძველი წეს-წყობილება, სანდრომ თავისუფლად ამოისუნთქა; მორჩა, გათავდა, ბოლო მოეღო მის ტანჯვას, ბედნიერია ის, რომ ხედავს მუშათა კლასის გამარჯვებას, ხედავს რომ ძალა-უფლება მუშათა ხელშია. მის ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ის ეხლა თავდავიწყებით ჩაება სახელმწიფოებრივ მუშაობაში.

ხელი მაგრა ჩასჭიდა რკინას და კბილები გაახრჭიალა—ოჰ! ეს რკინები! რკინები! კიდევ რკინები! კიდევ ციხე!—ბრაზიანათ წამოიძახა მან—რათ უნდა ეჯდეთ ჩვენ აქ ეხლა? ვინ ჩაგვყარა აქ? წუნკლები! სახიზღრები! ჩვენ სახლშიაც ალარ გვაყენებენ? რად მოთრეულან აქ? განა ეზინიათ ჩვენში დანთებული ცეცხლი იქ შორს ინგლისსაც არ მოედოს? არა, არა! ბრძოლა გათავებული მეგონა, მაგრამ თურმე ეხლა იწყება, ეხლა იწყება გადამწყვეტი და ბედგაი ბრძოლა. ეხლა გვმართებს მთელი ძალლონის შემოკრება, რომ საბოლოოდ გავსრისოთ ის ვეშაპი, რომელიც მსოფლიოს მუშათა კლასს რკალივით შემოხვეია და სულს უხუთავს. მართალია ჩვენ ვეშაპს კბილები დავაძრეთ, თავი გაუჭეჭყეთ, ძალა უფლება ხელში ავიღეთ. მაგრამ ჩვენზე უფრო ძლიერი ვეშაპები გარს გვახვევიან და შეკმას ლამობენ. არა, არა, სანამ მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას არ დავინახავთ ჩვენ წინ გაანირთხლს, სანამ მთელ ევროპაში, მთელ მსოფლიოში არ დაკანონებთ რევოლიუციის ცეცხლს, მანამდე გვმართებს გააფრებული ბრძოლა, მანამდე ფხიზლად, ხმალ ამოღებული უნდა ვიდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე. ვინ ჩაგვყარა აქ, ვინ? ინგლისის ბურჟუაზიას ძილი დაეფრთხო, რომ ქვეყნის ერთ ნაწილზე გაიბაოჯა რევოლიუციამ, რომ ძალაუფლება ხელში აიღო მუშათა კლასმა. მან კარგათ იცის, რომ ასეთი რევოლიუცია, მისი ბატონობის აღსასრულის დღე, ერთხელაც კარებს დაუკაკუნებს. მას არ უნდა ბატონობა ხელიდან გაუშვია, თუ სამუდამოთ ვერ შეინარჩუნებს უნდა მაინც გააბანგრძლივოს. და აი ის გზავნის თავის მონებს, რომ სისხლით ჩაახრჩოს მუშათა კლასის მობაპოვარი. მობრძანდენ და ჩაგვყარეს ციხეში, მაგრამ ახსოვდეთ, რომ დღეს თუ არა ხვალ ჩვენ თვითონ მივალთ იქ და მოვსთხოვთ ანგარიშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრომ მწარეთ ამოიოხრა და გადახედა კამერაში ამხანაგებს. მასთან ერთად ერთ კამერაში იჯდა კიდევ ოცდა ხუთი ადამიანი. ყველანი ერთი აზრით გაბსჭვალულნი, ყველანი თავდადებულნი. ზოგი იწვა, თაქვეშ ხელები წამოედვა და ფიქრებს გაეტაცნა, ზოგი კითაულობდა და ზოგიც ჭადრაკს თამაშობდა.

სანდრო კვლავ ჩაფიქრდა, თვალები ცის სივრცეს გაუშტერა და ოცნებამ გაიტაცა.

— ჩუ! ეს ვინ არის? ვაიმე! დედა! დედა! შენი ჭირიმე დედა! დედა! შენი ძუძუების ჭირიმე!—ხმა მაღლა წამოიძახა სანდრომ, და ხელები გაოცებ გაიშვირა.

მან უცბად თვალი ნოჭკრა, რომ შორი ახლოს სდგას ვიღაც შავით მოსილი ქალი. დააშტერდა. იცნო დედა სალომე. ის სდგას რაღაცას ანიშნებს, გულზე ხელს იდებს, კოცნას უგზავნის.

— დედა! დედა!—დაიყვირა სანდრომ.—პეტრე! სამსონ! გიორგი! ნოდიან! მოდით!

ყველანი წარმოიშალენ და სარკმელთან მივიდენ.

— აბა, გიორგი, გახედე დედაჩემი არ არის აი იქ რომ ქალი დგას?

გიორგიმ გახედა და იცნო!

— დედა სალომე არის, დედა სალომე! ვენაცვალე მაგისთანა დედას— წამოიძახა გიორგიმ.

ყველამ სალამი მისცეს, კოცნა გაუგზავნეს.

სანდრო ისე გაიტაცა დედის დანახვამ რომ ყვირილი მოსთოდ, რომ ხმა მიეწვდინა მისთვის.

კარები უცბად გაიღო და კამერაში შემოაცვიდენ ციხის უფროსი და ზედამხედველები.

— რა ამბავია ეართ, ჩუმათ! თორემ ეხლავე კარცერში ჩაგაბრჩანებთ — დასჭყილვა ციხის უფროსმა.

ყველანი მოშორდენ სარკმელს.

— მეორე ჯერ არ ვნახო ასეთი რამ, თორემ სასტიკათ დაისჯებით— ბრძანა ციხის უფროსმა და თავის ამალით გარეთ გავიდა.

სანდრო მაშინვე მიეარდა სარკმელს, გაიხედა მაგრამ დედა უკვე იქ აღარ იყო. სანდრო პირქვე დაეცა და ბავშვივით ქვითინი დაიწყო.

— არ გრცხვენია, ბიჭო? ძუძუ ხომ არ ნოგინდა? რა გატირებს?. განა ანაზე უარეს დღეში არ ვყოფილვართ? იერონიე მოთმინება. ასეთი კედელი გაგვიგრეგია და გავანგრევთ კიდეც. და ისევ თავისუფლად გავინავარდებთ—უთხრა გიორგიმ.

სანდრო წამოდგა, ცრემლები მოიწმინდა

— მართალი ხარ გიორგი! არას დროს ამაოთაო გაჭირვება ცრემლებს ვერ გადმომაყრევინებს. მაგრამ გული ამიდუღდა, როცა დედა დავინახე. მის გულში ეხლა საშინელი ტრაგედიაა. დახე, საიდან სად წაგვსულა. ამ სიშორეზე. სად გაიგო, სად ნომნახა. სდგას ამ წვიმაში, იქნებ დილიდან საღამომ-

დეც კი, რომ ერთხელ დაბინახოს, გაიგოს რომ ცოცხალი ვარ. შემეცოდა-ბრალო, გული მეტკინა და ამან გამოიწვია ჩემი ცრემლები.

სანდროს სიტყვებმა ყველანი ჩააფიქრა. ყველას მოაგონდა საკუთარი დედ-მამა, ნათესავები. კარგა ხანს იყვნენ გაჩუმებულნი.

— ჰეი! როგორ ჩამოუწვიათ ცხვირები—წამოიძახა ხუმარა სამსონმა—რამ შევიკრათ ეგ პირი?! ამ რამდენიმე დღის წინათ კომისარი იყავი, ბძანებებს ბრძანებებზე სცემდით, მიტინგებზე ქვეყანას აყრუებდით და ეხლა ჩამოგიყრიათ ყურები და გაჩუმებულხართ? არ გრცხვენიათ. ცხოვრებაში ყველაფერს უნდა მოელოდეს ადამიანი: გუშინ კომისარი იყავი, დღეს ტუსალი ხარ, დღეს ტუსალი ხარ ხვალ იქნებ ისევ კომისარის სავარძელში ჩაჯდე. ასეა, ძმაო ეს ცხოვრება „კონჩინკა" ყოფილა. ხან შენ მოიგებ და ხან სხვები მოგიგებენ.

ყველანი გაცხიარულდენ

— არა, მართლა ნადვილი კომედიაა ეს ცხოვრება. ერთი მითხარი გიორგი, განა წარმოიდგენდი ამ ერთი კვირის წინად, რომ აქ იქნებოდი დღეს?—შეეკითხა პეტრე.

— ბარემ არ მეგონა. მაგრამ ხომ ხედავ?—სიცილით უპასუხა გიორგიმ.

— აი „ზეით ქვეითობიე" სულ იქნება, სანამდი მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას არ დაეამტვრევთ. ხან ერთი იქნება ზევით და ხან ძეოოე—სიცილით წარმოსთქვა ანდრომ.

— ხუმრობა იქით იყოს და რას გვიპირებენ ნეტა ეს ოხრები? სანამდი უნდა ვიყოთ ასე?—სთქვა გიორგიმ—ყოვლად შეუძლებელია ამ მდგომარეობაში ყოფნა.

— სანამდი ბატონ კაპიტანს მოეწყინება—ხუმრობით უპასუხა ანდრომ. სწორეთ შენი დარდი აქვს ეხლა ვილაც ინგლისელს.

— მე მგონია ერთ ორ დღეში გაგვიშვებენ,—სთქვა ილიკომ, რომელიც ამდენ ხანს ჩუმათ იყო.

— არა მგონია, რომ ასე ადვილათ გაგვიშვან, არ იცით მაგ ძაღლების ამბავი? სანამ გულს არ იჯერებენ ჩვენი წვალებით არ გაგვიშვებენ—სთქვა სამსონმა.

— შეიძლება კიდეც დაგვხვრიტონ, თორემ წვალებას ვინა ჩივა—სთქვა სანდრომ და ამხანაგებს გადაეედა.

ყველას, თითქო ცივი წყალი გადაასხესო, ენა დაება. ყველანი უცბათ გაჩუმდენ. ყველა შიშმა შეიპყრო ამ სიტყვებზე.

— ჰა! შეშინდით?! აი თქვე ლაჩრებო! განა ასე გეშინიათ სიკვდილის?—ღიმილით მიმართა სანდრომ—იცოდეთ, რომ ყოველ შემთხვევისთვის უნდა მზათ ვიყოთ. სრულიად ადვილი საქმეა, რომ მაგ ურჯულოებმა ამ უკანასკნელ საშუალებას მიმართონ, ეს არ არის გასაკვირი. ხომ გაგიგონათ „შეშინებული ძაღლი ჩირგვს უყეფდაო" შიშს ბევრი რამეს გამოწვევა შეუძლია.

— არა მგონია, რომ ეს სიმხეცე ჩაიდინონ—სთქვა პეტრემ და ხმაში კანკალი დაეტყო—რა დაგვიშავებია ისეთი, რომ სიკვდილით დაგვსაჯონ?

— მიკვირს შენი საქმე, ჩემო პეტრე. რა დაგიშავებია? ეხლა უნდა მოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველ ის ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც შენც კარგად იცი, ბევრ მაგალითებია
და ის რომ შენ კომუნისტი ხარ. გინდა კომუნიზმის იდეა გააფრცელო. სახლში
შეშინებულმა იმპერიალისტებმა აქ გამოგზავნეს თავიანთი ჯალათები, რომ
აქეანშივე ჩაახრჩონ კომუნიზმი. მათ კარგად იციან, რომ კომუნიზმის დამყარე-
ბით მათი ბატონობა იხგრევა და ამ ნანგრევებზე იდგამს მკვიდრ საფუძველს
სოციალიზმი. ამიტომ არავითარ საშუალებას არ ზოგავენ ეს მტაცებელთა ხროვა,
რომ გაგვანადგურონ. ამიტომ ნუ გაგიკვირდება, თუ ტუჩზე არ გვაკოცონ
და ცხელი ტყვიებით გაგვიმასპინძლდენ. ამისოვის ჩვენ მუდამ მზათ უნდა ვი-
ყვნეთ, —ამაყათ წარმოსთქვა სანდრომ და ღიმილით გადახედა ამხანაგებს.

— ეს ნუ დაავიწყდებათ, მაგ მგლებს, რომ ჩვენისთანა ათასი და ათი
ათასი რომ დახოცონ მაინც ვერ მოჰკლავენ კომუნიზმის იდეას. მე იმედი მაქვს
დღეს თუ არა ხვალ ინგლისის სატაატო ქალაქ ლონდონშიაც წეიკრება ოქტომ-
ბერი, დაანთებს იქ რევოლიუციის ცეცხლს და ვაი მაგათ მაზიხ სთქვა კოტემ.

— ეს რომ ასე იქნება ეჭვი არა მაქვს, მაგრამ მანამდე კი ჩვენ დაგვხო-
ცავენ—სთქვა ილიკომ და სახეზე სევდამ გადაურბინა.

— რა გააქიერ, ბიჭო, საქმე? დაგვხოცავენ და დაგვხოცონ! ერთ დროს
ხომ მაინც უნდა დავიხოცოთ. შენ ისე ამბობ თითქოს „ჩემს ნერე ქვა ცვაზე
ნუ იქნებაო“— სიცილით წარმოსთქვა სანდრომ.

— არა, მე მაგას არ ვამბობ, მაგრამ მგონია შენც კარგად გესიამოვნება
შენი თვალით რომ ნახო ეს ამბავი!

— იცოცხლე მესიამოვნება, მაგრამ თუ მე არ ვიცხები ამით ქვეყანა არ
დაინგრევა. მე მგონია ამ სიმხეცემდე არ მივლენ, მაგრამ ყოველ შემთხვევის-
თვის უნდა მზად ვიყვნეთ. ეს არის რევოლიუციონერობა. თუ რევოლიუცია
გინდა, ყველაფერზე მზად იყავი, თუ არა და ჩაჯექი და ქექე ნაცარი და უყუ-
რე როდის მოგიტანენ ყველაფერს მზა მზარეულს.

ყველანი გამხიარულდა ამ სიტყვებზე, ატყდა სიცილი და ხუნჯობა. სან-
დროს ამ სიტყვებმა ყველას თავმოყვარეობა გაკენწლა. ყველამ თავი მაღლა
ასწია, როგორც რევოლიუციონერმა და უცბათ უკუაგდო უნებლიეთ შებარული
შიში.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი საკუთარმა ფიქრმა გაიტაცა

— თავის დღეში სიკვდილის არ შეშინებია, პირდაპირ თვალებში შეხე-
ხედავს, ბევრი რამ გადამხედია ჩემ ცხოვრებაში და არას დროს შიში არ მი-
გრძვნია, უკან არ დამიხევია. მაგრამ უნდა გითხრათ, ძნელია, როცა ასე კვდე-
ბი ადამიანი, როცა გკლავენ. როგორც ხბოს, ძროხას. სულ სხვაა გმირულათ,
მტერთან ბრძოლაში სიკვდილი. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ყველანი
ოდესმე დავიხოცებით, მაგრამ ასეთ დროს სიკვდილი კი არ ბოძეწონს მართალი
გითხრათ—დაიწყო გიორგიმ —ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა,
რომელსაც ადგილი ქონდა პეტერბურგში ჩემი სტუდენტობის დროს. ერთ დღეს
სტუდენტების გამოსვლის წემდეგ. ბევრ სტუდენტებს გვიკრეს თავი ცნობილ
პეტრე-პავლეს ციხეში. გავიდა ერთი კვირა. ვიჯექით ყველანი და ჩვენს ამბავს
არავინ კითხულობდა. ჩემი კამერა პირდაპირ ეზოს კარებს გადაჰყურებდა და

თამამად შემეძლო დამენახა ყველა ვინც შემოდიოდა და გადიოდა, ბენეფეიტან ორიოდ სიტყვასაც გადავაწვდიდი. ბიბლიოთეკა

შაბათი დღე იყო. კარებთან აუარებელ მნახველებს მოეყარათ თავი და ელოდენ, როდის მიიღებდენ ან გადასცემდენ ტუსაღებს მოტანილ რამეს. კარებთან უცბათ თვალი მოვკარი ჩოხიან მოხუც კაცს. თავი ყაბალახით ქონდა წაკრული. თან ახლდა უბრალოთ ჩაცმული ქალი. ეტყობოდა პეტერბურგელი არ იყო. ჩვენებური იყო ვილაც. ყურები ვაქვიტე და სმენათ გადავიქეცი. ჩოხიანის გვერდზე მდგომმა გაუბა ლაპარაკი.

— თქვენ სადაური ხართ?

— მეგრელი ვარ, ბატონო, მე და ჩემი ცოლი ჩამოვედით შვილის სანახავათ.

— ვინ არის თქვენი შვილი? რაზედ დაიჭირეს? რა გვარი ხართ?

— მე ბატონო, პერტაია გახლავართ. ერთათ ერთი ვაჟი გაგვაჩნია, აქ სწავლობდა უნივერსიტეტში. წვითა და დაგვით გამოვზარდეთ, ის არის ჩვენი ყველაფერი. ეხლა გაგვაგებინეს, რომ რაღაც მთავრობის საწინააღმდეგო საქმე ჩაუდენია და დაჭერილიაო. გავყიდეთ რაც გვქონდა ხელწამოსაკრავი და ტირილით და თავშიცემით წამოვედით. იქნებ როგორმე ვუშველოთ და გამოვიყვანოთ. მე აქ არავინ მყავს, ვის შევეხვეწო, ვის დავუჩოქო.

— ნუ გეშინიათ, უთუოდ აქ იქნება, აბა მომეცით თუ რამე გაქვთ გადასაცემი და ახლავე გვეტყვიან სად არის. მოიტათ მე გადავსცემ უფრო ახლოს არ.

პერტაიამ დიდის მადლობით გადასცა დიდ ხელსაბოცში შეკრული სხვა და სხვა საჭმელები.

გვარის გაგონებაზე მომაგონდა სტუდენტი პერტაია. ის ს-რევოლიუციონერი იყო. ერთი თვის წინათ ის დაიჭირეს გრადონაჩალნიკზე თავდასხმის დროს. მას მერე არავინ იცოდა მისი ბედი.

თვალს არ ვაშორებდი. მთლად სმენად ვიყავი გადაქცეული. არ გასულა დიდი ხანი რომ შიგნიდან კარებს მიადგა ახმახი ჟანდარმი. დაიწყო მიღება. პერტაიას ნივთები მეორეთ გადასცეს. თან ქალალდზე დაუწერეს ვისთვის უნდა გადაეცათ. დადგა საზარელი წუთი. ჩემს ხსოვნაში ის თავის დღეში არ წაიშლება.

ათი წუთის შემდეგ ჟანდარმი დაბრუნდა, უკან გადასცა წაღებული ნივთები და ხმა მაღლა დაიძახა:

— პერტაია ჩამოხრჩობილია!

ენა ვერ გამოთქვამს რა მოხდა ამ დროს. საბრალო დედამ ცივი ხმით დაიკივლა, პირქვე დაემხო და მიწას ბულნა დაუწყო. მამაც იქვე წაიქცა, თავში ხელები წაიშინა და ბღავილი მორთო. საზარელი სანახაობა იყო. დედამ საკინძი ჩამოიგლიჯა, ძუძუები გადმოჰყარა და გლეჯა დაუწყო. ვინც იქ იდგა ყველა აქვითინდა. მე ველარ გაუძელ ამ სანახაობას და იქვე ჩავიკეცე. რა მოხდა შემდეგ აღარ ვიცი.

ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი ისე გაეტრუნა სული ყველას ამ ლაპა-



ოაკის დროს. არც ერთს ხმა არ ამოუღია: ყველა გაეტაცა საუბარი ფიქრს, ყველას მოაგონდა დედა, მამა, ნათესავები. ყველაზე მეტად ამ ამბავმა გულზე უკბინა სანდროს „რა ეშველება საბოლოო დედაჩემს, მართლა რომ მომკლან! მისი სიკოდვით ხომ ქვეყანა დაიწვის?!“ გაიფიქრა სანდრომ და თვალები ცრემლებით აევსო. გულზე მუხრუჭები მოუჭირეს. მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია. ცრემლი ჩაჰყლაპა, თვალებს ნება არ მისცა ცრემლების წამოფრქვევის. ბოლოს ისევ მან სძლია მწვავე ფიქრებს და მხიარულად წამოიძახა:

— ეჰ! მოდი ერთი თავი დავანებოთ ამ შავ ფიქრებს. ერთი ეს მითხარით ადრე შეიჭრება დაწპალ ევროპაში რევოლიუცია თუ არა?

— მე მგონია დიდი ხანი არ გაივლის. ამის ნიშნები უკვე არის. მართალია ევროპის იმპერიალისტები გააფთრებული ებრძვიან კომპარტიას და ღონდათ მისი მთლიანათ გადაყლაპვა, მაგრამ რაც დღე მიდის მისი რიგები იზრდება. სულ მალე დაიჭექებს რევოლიუცია და აბა მაშინ ნახეთ იმპერიალისტების სოროებში ჩაძრომა.

— თუ მოვესწარით, და რომ მოვესწრებით ამის ეჭვი არა მაქვს, ვინ იცის იქნება, სანდრო, შენ ლონდონის ბარიკადებზე მოგიხდეს ბრძოლა, შენ გიორგი პარიჟის, შენ ილიკო ბერლინის და სხვ. აბა მაშინ ნახეთ რა ყოფაში იქნებით — იოხუნჯა ანდრომ.

ყველანი გამხიარულდა. ასტკდა სიცილი. ვიდევ კარგა ხანს იმასლაათეს. უკვე თორმეტი საათი გახდა, ყველანი მიწვნენ და ტკბილათ ჩაეძინათ.

II.

ღამის ორი საათია. სატუსალოში სამარისებური სიჩუმეა. გარედან ისმის მხოლოდ გაჯავრებული ზღვის ხმაური და წვიმის ჭყართა-ჭყურთი. მხოლოდ სატუსალოს კანცელიარიაში რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავია. გარეთ დგანან ინდოელი ჯარის კაცები, ვინტოვკებით ხელში. კანცელიარიაში ინგლისელ კაპიტანს და ციხის უფროსს რაღაც ამბავი აქვთ, რიღაცისთვინ ემზადებიან. სძინავთ ტუსაღებს. კაპიტანი და ციხის უფროსი გარეთ გამოვიდენ. კაპიტანმა ჯარის კაცებს რაღაც ანიშნა და ყველანი მაღლა სართულისკენ გაემართენ.

ტკბილათ სძინავს ოცდა ექვს კომუნარს. ყველა სხვა და სხვა ტკბილ სიზმარს ხედავს.

— უცბათ რკინის ურდულმა ჭახანი მოიღო. კარები გაიღო და კამერა ინდოელ ჯარის კაცებით აივსო. ყველანი ზეზე წამოდგენ. ყველას გულმა რაღაც იგრძნო, მაგრამ თავი მაინც ამაყად დაიჭირეს. წინ წამოდგა კაპიტანი და ციხის უფროსი.

— ჩაიცვით! მოემზადეთ! გაისმა კაპიტანის ბრძანება.

— ბიჭებო! მაგრათ იყავით! არ შეშინდეთ! გადასძახა ყველას სანდრომ.

— ჩუმათ! ნუ ხმაურობთ! უბრძანა ციხის უფროსმა. ინდოელი ჯარის კაცები რაღაც სხვანაირათ ალრიჯებოდენ.

ტანთ ჩაიცვეს და თავიანთ ბარგს დაუწყეს ლაგება.

— საჭირო არ არის! აქ დარჩება! — უბრძანა ციხის უფროსმა,

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲖᲘᲜᲚᲘᲗᲘᲡᲔᲚᲘ

ყველა მიხვდა რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

კაპიტანმა ბრძანება გასცა.

ინდოელი ჯარის კაცები ორ ორი მისცვივდენ და ყველას თოკით ხელები გაუკრეს. გაძალიანება შეუძლებელი იყო, ისე ანაზდეულათ და უცბათ მოხდა ყველაფერი.

— ჯალათებო! შხეცებო! ვიცით რა გწადიათ! ვიცით საით მიგვერეკებით! ვიცით, რომ უნდა გაძღეთ ჩვენი სისხლით! მაგრამ გახსოვდეთ, რომ ერთი წვეთი ჩვენი სისხლი არ შეგრჩებათ! პასუხს აგებთ თვითეულ ჩვენ სისხლის წვეთში. ჩვენ დავიხოცებით, მაგრამ ვერ მოჰკლავს თქვენი ჯალათური ხელი იმ დიად იდეას, რომელსაც ჩვენ თავს ვსწირავთ, რომლის გულისთვისაც ჩვენ პირზე ღიმილით ვხვდებით ბოსულ სიკვდილს. ჩვენ აქ ჩვენ სახლში ვკვდებით თქვენი ბინძური ხელებით, მაგრამ ვაი თქვენ! ჩვენ მაგიერ, თქვენივე, ჩვენი ძმები ბუშები მოგთხოვენ პასუხს, სასტიკს, ულმობელს, თქვენთვის შებრალება აღარ იქნება. თქვენ გაბღვევინებენ იქ ჩვენ სისხლს—დასჭექა სანდრომ და შემდეგ ამხანაგებს გადაეხედა — აბა ბიჭებო, ძმებო არ დაღონდეთ! საქორწილოთ მიეყვანართ! აბა მედგრათ ერთი ინტერნაციონალი, ოცდა ექვსი გმირულ გულიდან უცბათ აღმოხდა საერთაშორისო სიმღერა. ციხე ინტერნაციონალის გუგუნმა გამოალვიძა.

კაპიტანის ბრძანებით ინდოელმა ჯარისკაცებმა თოფის კონდახებით დააჩუმეს ტუსაღები. ჯარისკაცები გარს შემოერტყენ და ოცდა ექვსივე ციციხიდან გარეთ გაიყვანეს და ზღვისკენ გასწიეს.

აოც ერთმა მათგანმა არ იცოდა საით მიერეკებოდენ. ვერც ერთს ვერ წარმოედგინა რა ნოხდებოდა. ეს კი ყველამ იცოდა რომ კვდებოდენ, მხოლოდ სად? როდის? და როგორ კი აო იცოდენ.

ცა თითქოს მიხვდა ამ სამწუხარო ამბავს და სულ მთლათ დაიცრემლა, წვიმას უმატა. გაჯავრებული ზღვა რაღაცას ბურტყუნებდა, ვიღაცას ემუქრებოდა.

მიდიოდენ ნელა, ჩუმათ. სანდროს გული საშინლათ ეკუმშებოდა. დედის მოგონებამ ის მოჰკლა, მოადუნა. ყურში თითქოს ესმოდა დედის გამწარებული ქვილი „შვილო შვილო"! უნებლიეთ უკან მოიხედა, ამას რას ხედავს?! შორს სიბნელეში მოსჩანს დედა სალომე, ხელებ გაშვერილი მისდევს, გულს იხოკავს, ყვირის „შვილო! შვილო"! სანდროს თმა აებუძგა, ის უნებლიეთ მობრუნდა და უნდა გაიქცეს, ჩაეხვიოს დედას, დაუკოცნოს ძუძუები. „დედა! დედა"! ალმოხდა მას გულიდან საშინელი გმინვა. ინდოელმა ჯარისკაცმა მაგრათ თოფის კონდახი ჩაარტყა და წინ წაიგდო. გაქრა ყველაფერი. ეს მხოლოდ გალიუცინაცია იყო.

იქვე ახლო გემი უცდიდათ. სათითაოდ აიყვანეს ყველანი და ტრიუმში ჩაჰყარეს თევზებივით. ინდოელი ჯარის კაცები იქვე ირგვლივ შემოუსხდენ, რაღაცას ბურტყუნებდენ გაუგებარ ენაზე და უშნოდ იღიჭებოდენ. დაიძრა გემი. ყველას თავში უტრიალებს მხოლოდ ერთი კითხვა: საით?

ალავინ ხმას არ იღებს. ჰყრიან იატაკზე ხელებ შეკრულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭებო! ამოიძახა ქვევიდან სანდრომ—მაგრამ ... ...! მე მგონია ასტრახანში გადაგვსხამენ და იქ ჩაგვსვამენ ციხეში.

— მერე ხელები რაღათ შეგვიკრეს? გამოეხმაურა კუთხიდან ილიკო.

— ხელები იმიტომ შეგვიკრეს, რომ ეშინიათ. ხომ იცით რა თავზე ხელაღებული ხალხი ვართ. შეეშინდათ ზღვაში არ გადაგვეყარა ყველანი და არ გავქცეულიყავით.—ანუგეშა სანდრომ, თუმცა ის სხვა რაღაცეში მტკიცეთ დარწმუნებული იყო.

— მე კი სხვა რამე მგონია—ნელის ხმით წარმოთქვა ანდრომ.

— აი მივალთ და ვნახოთ, თუ ჩემი, არ გჯერათ—უთხრა სანდრომ.

დილის რიჟრაჟია. ზღვას სული გაუტრუნავს, თითქოს რაღაცას ყურს უგდებს. არ უნდა გამოეპაროს არაფერი. ცამ პირი მოიწმინდა. შავი ღრუბლები შეშინებულები გარბიან ალმოსავლეთისკენ. ხან და ხან შეჩერდებიან უკან მოიხედავენ, რაღაცას ყურს უგდებენ და შემდეგ ისევ გაიძახებიან და მიქრიან. თან მიაქვთ რაღაც ამბავი.

გემი მიადგა ნაპირს. გარშემო სილის მეტი არაფერი მოსჩანს. ყველანი გადმოსხეს და ჩაამწკრივეს. ყველამ წუთში იგრძნო სიკვდილის მოახლოება, ყველას გულზე ვიღაცა ცივი ძვლებიანი ხელი მოუფხაჭუნა და წუთით შეაჩერა ეგერა. თვითეულ მათგანს პირდაპირ წინ დაუდგა ინდოელი ჯარისკაცი, მიბლეთილი თვალებით და უძინარი სახით. არც ერთი მათგანი ხმას არ იღებს, ყველას თავი გაცხარებით მუშაობს, აზრები ჭიანჭველასავით ირევიან თავში გულს დაგა დუგი გაუდის, თითქოს უნდა მოასწროს და იმდენი იმუშაოს, რომ დაიღალოს, დაუძლურდეს, მოდუნდეს. გაფართოებული თვალები ყველას თვალუწვდენელ სივრცეში გაუშტერებია.

თან და თან თენდება. ახლო მდებარე ქალაქი იღვიძებს. ისმის ქარხნის საყვირის ხმა. ხალხი იღვიძებს, თავის საქმეზე მიეშურება. არავინ არაფერი არ იცის რა ხდება ზღვის პირათ. ამის მოწამეა მხოლოდ ზღვა. არავინ იცის რომ ამ სისხამ დილაზე ტყვიამ უნდა გახვრიტოს ოცდა ექვსი აძგერებული გული. უნდა სამუდამოთ დაადუნოს სიყვარულით სავსე გული, გული, რომელიც მუდამ ხალხის საკეთილდღეოთ სძგერდა. ხალხი თავის საქმეზე მიდის, ის ვერ ხედავს ამ სურათს.

კაპიტანმა რაღაც ბრძანება მისცა ჯარის კაცებს, მიხი ადგილი უნტერმა დაიჭირა და თვითონ ქალაქისკენ წავიდა, ალბათ უნდა ისაუზმოს, გადაჭკოს და ცოტა გახალისდეს, რომ უფრო გუნებიერათ შეასრულოს დავალებული საქმე. ჯარისკაცები გარინდებული დგანან და არ ინძრევიან. მათ კარგათ იციან რა საქმეც უნდა ჩაიდინონ, მაგრამ ეგ არაფრათ მიაჩნიათ. მათ არა ერთხელ ჩაუდენიათ ასეთი საქმე. მათ არა ერთი და ორი მგრძნობიარე გული ვაუხვრეტათ ტყვიით. მათ ხელები არ აუკანკალდებათ, შვეჩვეულები არიან. მათ არა ერთი და ორი გმირის დედა აუტირებიათ. მათ არ ესმით დედის მდუღარე ცრემლები. სისხლის მსმელმა იმპერიალისტებმა მათ გული გამოსჭამეს და გულის მაგიერ ქვა ჩაუდვეს. თავისუფლება წელში გადაუტეხეს და ყურ მოჭრილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონად გაიხადეს. სდგანან და ელიან კაპიტანის დაბრუნებას, რომ შეასრულონ მისი ბრძანება.

სანდრომ თვალი გაუშტერა მის პირდაპირ მდგომ ინდოელ ჯარისკაცს ჯარისკაცმა თავი ბალლა ასწია, ცხვირით ჰაერი შეისუნთქა, თეთრი კბილები გამოაჩინა და რალაც უშნოდ, ცხენივით გაიცინა. შემდეგ ერთგულად დაიწყო ოთით ცხვირის წმენდა. თვალები უაზროთ გაუშტერდა.

უბედური! უგუნური!—ფიქრობს სანდრო—საიდან სად? სად წამოუყვანიათ ჯალათებს! აბა ჰკითხეთ ერთი რა უნდა აქ? რისთვის მოსულა? რა უნდა გააკეთოს? იქ მის ქვეყანაში, სადაც ის დაიბადა იგივე ჯალათები ჭლეტენ თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხს, აყენებენ სისხლის გუბეებს, ახრჩობენ თავისუფლებას, ცეცხლ და მახვილს აძლევენ ყველაფერს. ატირებენ დედებს. ეს უგუნურნი კი აქ წამოურეკიათ, აქ აკეთებინებენ თავიანთ ჯალათურ საქმეს. შე უბადრუკო! ნეტა იცოდე ვის უნდა გაუხვრიტოს გული შენი ხელით გასროლილმა ტყვიამ?! იმას ვინც შენთვის სწირავს თავს, იმას ვის გულშიაც შენისთანა მონის სიყვარულია, იმას, ვინც გააფთრებული იბრძვის შენისთანა მონის განსათავისუფლებლად. ეს შენ არ გესმის და არხეინად ასრულებ მტაცებელ იმპერიალისტების ბრძანებას, რადგან ის შენ გაჭმევს, გასმევს, ტანზე გაცმევს. რადგან შენ მისი პირუტყვი ხარ, მონა ხარ, მონა! სანდრომ სიბრაზისაგან კბილები გაახრჭიალა—მაგრამ ახალია ის დრო, როდესაც ჩვენი დაღვრილი სისხლი თქვენ თვალებს აგიხელს, გაიგებთ რა იყავით და რა უნდა აკეთოთ. დადგება მტაცებელთა აღსასრულის დღე და ვაი მათ მაშინ!

ყველანი დგანან გარინდებულნი. ზღვა ფიქრებისთვის თავი ვერ დაუხწევიათ. არავინ ხმას არ იღებს. არ უნდათ დრო დაჰკარგონ, უნდათ რაც შეიძლება მეტი იფიქრონ. მეტი განიცადონ. მეტათ ბევრი წარსული მოგონებები გაატარონ თავიანთ გულში.

ვერავინ ვერ ბედავს იმაზე ფიქრს, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა მოკვდეს, სამუდამოთ დახუჭოს თვალები! ვერ წარმოუდგენია, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ სამუდამოთ ჩამობნელდება და მათი გული ველარაფერს იგრძნობს.

სანდრო ფიქრებმა გაიტაცა.

მოაგონდა ერთი პატარა ამბავი, როცა ის ტფილისის სასაკლაოზე მსახურებდა მიკროსკოპისტათ. ეს პატარა ამბავი ღრმად ჩააჩნდა გულში. ეს იყო სიკვდილის წუთები. ერთ დღეს სასაკლაოზე მოიყვანეს მშვენიერი ბულა და შეაგდეს რკინის ღობით შემოვლებულ ჩიხში. ბულამ გაიარ გამოიარა, ჰაერი შეიყნოსა და ერთ ადგილზე გაქვავდა. რალაც იგრძნო, იგრძნო სისხლის სუნი და მიხვდა, რომ მოკლავდენ.—ხშირად ცხოველები წინასწარ გრძნობენ, როცა დასაკლავათ მიჰყავთ.—ცოტა ხნის შემდეგ ჩიხის კარები შეაღო ორმა სალახმა, რკინის ეროებით ხელში, ბულამ უკან დაიხია, დადგა და წელში აიწურა. იცნო თავის ჯალათები. ცეცხლივით თვალები მოავლო იქაურობას. წელში აიწურა და თავგანწირულათ გადაახტა ერთ საჟენიან რკინის

ლობეს და მეორე დიდ ეზოში ჩახტა. იქ თითქოს თავისუფლად [illegible] ძნო. თავი თითქოს იმედი მიეცა რომ სიკვდილს გადარჩა, სალახანი [illegible] ხელში ჩაგდებას, მაგრამ ის ცოფიანივით აქეთ იქით დარბოდა. ვინც მიუახლოვდებოდა თავის ბასრი რქებით გამოქანდებოდა ზედ წამოსაგებათ. ასე გაგრძელდა თითქმის ორი სამი საათი. შემდეგ ერთმა ძველმა, გამოცდილმა სალახმა გაბედა შიგ შესვლა. ხელში გრძელი ბასრი დანა ეჭირა. მიუახლოვდა თუ არა ბულას ის აიწურა, მოემზადა სამკვდრო სასიკოცხლო ბრძოლისთვის, გამოქანდა რომ დაძგერებოდა სალახს და წამოეგო რქებზე, მაგრამ სალახი მარჯვეთ დაუხვდა გამოქანებულ ბულას შიგ გულში ატაკა დანა, ტარამდე შეურჭო, ბულა მოდუნდა, გადავარდა და ფეხები გასჭიმა.

ნუ თუ ჩვენ ასე ცხვრებივით უნდა დავიხოცოთ?—ფიქრობდა სანდრო—ნუ თუ ასე უნდა მიუშვიროთ ტყვიას გული. ნუ თუ ბრძოლის ცეცხლში გამოვლილებმა ერთი არ გავიბრძოლოთ ამ უკანასკნელათ და ისე დავნებდეთ ამ ჯალათებს?!!

სანდრომ გაიწია, მაგრამ მაგრად შეკრული ხელები ვერ გაანძრია და სიმწარისაგან ტუჩებზე იკბინა.

სანდროს წინ მდგომა ინდოელმა ლაზათიანად დააბთქნარა და ისევ ისე ჩუნოდ გაიღიჭა. თითქოს მიხვდა სანდროს შავ ფიქრებს და დასცინა.

დაბრუნდა კაპიტანი. ის კარგად გამობოუჟეულიყო. ფეხს ძლივს ითაგრეებდა, რალაც უაზროდ ილრიჭებოდა და არყისაგან დასველებულ აბურძგვნილ ულვაშებს ძალზე იგრეხდა. ის გაჩერდა, ჯარისკაცები წელში გაიმართენ. მან ნელა აუარა ყველას და რალაც ჩაულაპარაკა.

გაისმა ბრძანების ხმა!

ჯარისკაცებმა თოფები აიღეს და სათითაოდ მიუშვირეს ოცდა ექვს ადამიანს.

სანდრომ თვალები გაუშტერა მის წინ მდგომ ინდოელს. აგერ თოფის ლულა შავადა მოსჩანს, აი იმ წვრილი პირიდან, როცა უგუნური ხელი ჩამოჭკრავს ჩახმახს, პატარა გრძელი ტყვია გამოძვრება, სანდროსთან ციცრბენს, გულში გაუვლის, გაუხვრეტს და სამუდამოდ დაუხუჭავს თვალებს. სამუდამოდ ჩამობნელდება, თვალები ველარაფერს დაინახავენ. გული ველარაფერს იგრძნობს, ყველაფერი გაიყინება, გაქვავდება, გაქრება ყველაფერი. ყურები ველარ გაიგონებენ ბრძოლის ყიჟინას.

დადგა უკანასკნელი წუთი. სანდრო თავდავიწყებამ გაიტაცა,

— ძმებო! ამხანაგებო! არ შეშინდეთ ამ სიკვდილის წუთს! დასჭექა მან—მედგრად იყავით, არ ვაჩვენოთ ამ ჯალათებს, რომ ჩვენ სიკვდილის გვეშინია, არ ვაჩვენოთ, რომ მათ შეუძლიათ ჩვენი სიკვდილით თავის გადარჩენა—გადახედა ჯარისკაცებს—თქვენ საბიზღარო მონებო, თქვენ დღეს ასრულებთ თქვენი ბატონების, კაცი ჭამიების ბრძანებას, თქვენ ხოცავთ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს, თქვენთვის მებრძოლთ; თქვენ ასრულებთ თქვენი ბატონების ბრძანებას და ის კი არ იცით რას აკეთებენ ეს ბატონები თქვენ ქვეყანაში, არ იცით როგორ ჭკლავენ იქ თავისუფლებას, როგორ გიტირებენ დედას, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას, ცოლ-შვილს. არ იცით იმიტომ, რომ საბრალო მონები ხელოვნებ-ებით! მებრალებით!

ინდოელები თვალებ დაჭყეტილები ისმენდენ მათთვის გაუგებარ სიტყვებს და ილიმებოდენ. მათ აკვირვებდათ მხოლოდ სანდროს ცეცხლის მოფქვევი თვალები და მჭექარე ხმა.

— ბიჭებო! აბა მედგართ იყავით, ერთი წუთი და გათავდება ყველაფერი. აბა ერთი უკანასკნელად დავსძახოთ ჩვენი საყვარელი სიმღერა

ყველაფერი მიყუჩდა, ყველაფერმა სული განაბა. ჰაერი გააპო ინტერნა-ციონალის ძლიერმა გუგუნმა, დააჩუმა ზღვა, კრიჭა შეუკრა ქარს, ეხეთქა შორს წამოყუდებულ მდუმარე მთებს, გადაირბინა ზედ და გუგუნით გაიბნა მინდორ ველებში,

კაპიტანი უყვიროდა, აქეთ იქით დარბოდა, მაგრამ ვერ შეაჩერა ძლიერი ხმა.

— გენაცვალეთ სულში! გულში! აბა ერთი ჩაეკოცნოთ ერთი მეორე, უკა-ნასკნელად გამოვეთხოვოთ. რას გვიზამენ! ხომ მაინც გვკლავენ.

ხელად აირია ყველაფერი, გამგელებული მისცვივდენ ერთი მეორეს და და-დაუწყეს გაშმაგებული კოცნა. უნდოდათ ერთი მეორისთვის ამოეცალათ გული, სიყვარული.

კაპიტანი სიბრაზისაგან თმებს იგლეჯდა.

თოფის კონდახების ცემით და ყვირილით ყველანი ისევ თავ-თავიანთ ადგილზე დააყენეს.

ჯარის-კაცები თითო თითო დაუდგა წინ.

გაისმა ბრაზიანი ბრძანების ხმა, თოფები მთრთოლარე გულებს დაუპირ-დაპირდენ.

— ტრრაახ!.. ტრაააახ!.. ტრაააახ!.. გაისმა უცბათ. ოცდა ექვსი ვაკკაცი დაუ-კვნესებლათ გადაწვა პირ-აღმა.

თვალის ქუთუთოები ჩამოეფარენ და სამუდამოთ დაბნელდა. გულმა ერთი ჩაილაპარაკა და შეჩერდა.

გაჩუმებული ზღვა შეინძრა, რაღაც მრისხანე ბურტყუნი დაიწყო.

უცბად ზღვიდან რბევით ამოცურდა ნაზი სიო, ხიზლით ჩაუარა ინდოელ ჯარის კაცებს, რომლებიც რაღაცას ბუტბუტებდენ და თოფებს სწმენდდენ, „ჯა-ლათებო“ ყურში ჩასწივლა, მიირბინა სანდროსთან, მიესალმა, გასისხლიანებულ ტუჩებზე აკოცა, შავი კოხტა ულვაშები შეუთამაშა, შემდეგ უბეში ჩაუძვრა, გული გახსნა ამოიღო იქ შენახული საიდუმლოება, იქ შენახული იდეალები, სი-სიყვარული, შეხვია ფრთხილად და საჩქაროდ ზღვისკენ გაქანდა. ჩავიდა ზღვის ფსკერზე და ეს განძი იქ საიმედო ალაგას შეინახა, სადაც მას ვერ მისწვდე-ბიან იმპერიალისტების გასისხლიანებული ხელები.

14 ოქტომბერი 1924 წ.

ქ. ტფილისი.

პავლე ნოზაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღე და ღამე რევოლიუციის

რომანის ისტორია.

ნაწილი პირველი

1. თავადი განდაბია, საიდანაც იწყება ისტორია.

13 ოქტომბერი 1905 წელი. რამდენადაც საშუალებას აძლევდა ტოპოგრაფიული მდებარეობა ხევის, ბრწყინვალე თავადი, რომლის ნაციონალურ საკუთრებას შეადგენდა: მოურავი, ბიჭები, გოგო-მოახლეები, მზარეული, მეჯინიბე, კურძალი, სასახლე, სასიმიდე, საფარეშო, სამზარეულო, მარანი; აგრეთვე ქალაქ დიდგანში, მტკიცე სავაჭრო ურთიერთობაში, საპატიო ადგილ დაკავებული კუსტარულ წარმოების ამხანაგობა:—„ქამარ-ხმალ-უნაგირი", მიათხარიკებდა გასივებულ მერანს ზოთა რუსთაველის მოყვანილობით.

არავის არ უფიქრია თავადის წამებული სახე შეედარებია იმ იერს ვაჟკაცობისა და თავგანწირულებისა, როდესაც ის ბრწყინვალე მეგობართა შორის, სათავეში უდგებოდა ტრადიციულ—ნადიმის ხელმძღვანელობას. ხსენებულ დღეს, სხვა მომაკვდავთა შორის, თავადი განდაბია განსხვავდებოდა თავის სიგრძე ხანჯლით, წელს უმშვენებდა ქანგიან ლურსმანივით მოხრილი მამაპაპეულთა ხმალი, და რევოლვერი ბერლინ—გერმანია.

თავადის ფიქრი და ავტორისაგან მოსაწყენ წერას შეადგენს, თუ როგორ შეიძლება ცხენის მიზეზით, ადამიანმა მოინდომოს წარსულის ერთი თვალის გადავლება და პრაკტიკულ-ფილოსოფიურ ჭეშმარიტებით, სულიერი სიმშვიდე მოიპოვოს.

„გადაგვარდა დრო, ხალხი. ცხენიც, რომ ცხენია ისიც არ არის სანდო, ცხენმა უნდა იცოდეს პატრონის ავ-კარგი. ამ დაღუპვის ხანაში კვიციც, მესერზე მიბმული შეიძლება, ისიც დასცინის ჩემს ცხენს, რომ მაზე, უხეირო ბებერი თავადი ჯის და არა თავხედი თავგასული რაინდი. ბოლოს და ბოლოს არც ერთი ეაჟკაცი არ გახდება გმირი თავის მერნის. მით უფრო მე; გადმობრუნებულ



მუცლით, ანწლივით ფეხებით რომ გადმომაგდოს? ახი იქნება ჩემზე. ფერანს ბრალს ვერ დავდებ, საყვედურიც ზედმეტია თუ გინდ ნორჩი ბალახის წუწკობისათვის ჩაიდინოს.

საჭიროა ცხენთან დამოკიდებულების მნიშვნელობა გამოვარკვიო.

1. ცხენი შეიძლება ადამიანია, ყმა თავად აზნაურთა.
2. ცხენის საშუალებით გძელ-გზას შეიმოკლებ, დრო ჭამაა.
3. მოზიარე ლხინში. ჩხუბში, ჭირში და დავალებებში, ამის და მიხედვით ცხენი პატრიოტი და გულითადი მამულიშვილი.

საბუთი.

2. ნათელი დღესასწაული.

6 აგვისტო 1904 წელი. სოფ. პატარძეულში ფერისცვალება. ფართოთ გაშლილი მოედანი. ერთად ერთი ქვის შენობა— სამკითხველო: „ცოდნის წყაროო"; კოოპერატივი: „ცხოვრების ნუგეში". ხელდახელ აშენებული, სამიკიტნოები: „ნოეს ფხა". „ფანტაზია" „ვილგელმ ტელი", წელზე ქამარ-წაჭერილი ვაჟები. ქალები, ხელში: ბიებით, ყურძნის მტევნებით, ხარბუზაკებით. პატიჟი. ხუმრობა. ყანწი. ჭორიკანობა. ცამეტი არლანი. ჯგუფობა. ცეკვა, ებრაელების თავგანწირული ვაჭრობა: პუდრით, ჟესტის კოვზებით. ნემსებით. სამაზრო ქალაქიდან სომხისაგან ჩამოყვანილ როსკიპების სენსაცია. დაკვრა. მუშტებით. ქალები გახუნებულ ქოლგებით. ქალაქიდან ჩამოსულთ ხელში საათები. ცხვირსახოცით იწმენდენ ცხვირს, საყელოს, ოფლს და ფეხსაცმელებს. თავგანწირული სასიძეები. პწკენით ლოყებს იწითლებენ გასათხოვარნი.

ცხენების ჯირთით, მოწამებრივათ სტკბებიან აზნაურები. შეფასება ურიან თვალით. ბოქაული და ჩაფრები, ეხლახან ამოსწყვიტეს ხავსნარის მთაში ყაჩაღთა წრე. „წელმაგარი კაკო"-ს სახელით. მეცხრე ყანწის შემდეგ თამადამ სული განუტევა. ობლათ დარჩენილმა მოკეიფეებმა მუხლი მოიყარეს, მიართვეს ღვინის ფერი ვარდები.

3. ოჯახი რომელიც არ აკლდება დღესასწაულს.

კოხტა გორაკზე გვერდებ მინგრეული სახლი. 6 აგვისტოს დილის 11 საათი. უკანასკნელ ჩასაჯენ ჭადს გოგო თავგამეტებით ხელებს უპარტყუნებს. გარეთ მზე.

ოთახში მტვერი: ჭრელი კაბების, კოფთების, წითელ ახალოხის, ღვინისფერ ჩოხის, და სხვა ტანსაცმელთა ბერტყისგან. დაიბანეს პირი, კისერი, ხელები. ბუჭყი დაბანაკებული თავ-პირის რთულ ხვეულებში ბალანით და ხორცით, გამოიგლიჯეს.

ჭამა. ჩაცმა. მოინახა გატეხილი სარკე, კბილებ ჩამტვრეული სავარცხელი, ბათუმიდან ჩამოტანილი.

— პუდრი, ბევრი ხომ არ მაცხია?

— ჭკვიანად მოიქეცი!... ეხლა სხვა დროა... ბევრ ... ქალაქელია ეხლა ჩვენს სოფელში.

— შენ!. მაინც არ შეგიძლია ჩემი დაიიგება. მაგისთანეები შენზე კარგათ ვიცი!

— თუ მოხერხებული ქალბატონი ბრძანებულიყავით, ოჯახის დასაწყებათ ხელზე არ შემოგვაბერდებოდი.

მიიხედ მოიხედა ყურს არავინ უგდებდეს.

— მოიწი „იაპონკა" გაგისწორო, ამოგჩეჩია!

ბიჭო ფილიპია! გარეგნოს თავზე გადამირბენინე, საბიოდე ვაბლი მოსწყვიტე, ხელში დასაკავებლათ მინდა! წითლები ამოარჩიე! ნელა ბიჭო, ფეხი არ წამოკრა ქვას!

დღესასწაულს და ოჯახის მზადებას გულ-გრილათ ეკიდება უმფროსი ვაჟი, რომელმაც გარდა წიგნებისა, ტყეში კრებების, ოჯახს შესძინა: სავარცხელი, სამართებელი, ხის ლუთი და ქუსლიანი ფეხსაცმელები.

— აფრასიონ! ეს შეცდომაა, გაუგებრობაა!

— ვერ დაგეთანხმები და მგონი ვერც ერთმანეთის გავიგოთ!

— გლეხ-კაცის მამაპაპეულებიდან დაჩვეულ ზნეჩვეულებას, წესს, ადათს უნდა შეუგუო შეუთანხმო, რევოლიუციონური იდეები. აქ ბევრ მსხვერპლს და გაუგებრობას, ადგილი არ ექნება, საჭიროა...

— მესმის! თანდათანობითობა არა? რევოლიუცია ფლავის არა? ნგრევაა საჭირო. ძირიან ფესვიანათ ამოგდება. მომავალ სანეტარო ეანაში, ასეთ დამღუპველ ზნე-ჩვეულებას, სადაც გლეხ-კაცმა მთელი თავის წლის სარჩო უნდა ჩალუპოს, ადგილი არ ექნება. არ არის საჭირო. თუ ძმა ხარ „ერფრუტის პროგრამა" თუ გადიკითხე გადმომეცი! მაგის შემდეგ გირჩევ წაიკითხო „ჩვენი უთანხმოება". მე მაქვს, გათხოვებ.

— არ მინდა. არც საჭიროა, სხვა ქვეყნის, სხვის ნიადაგზე აღმოცენებული იდეები ჩვენ არ გამოგვადგება. თუთხმეტი წელიწადია რაც ამ სოფელში ვმასწავლებლობ, კარგათ ვიცი! აი კოოპერატივი! ხვალ ხვეგ ბანკი .. მუსიკალური სასწავლებლები, ზეთის ქარხანა... ბამბის კულტურა.... ბრინჯის და თამბაქოს პლანტაციები. საშუალო განათლება. გზები.... თვითმართველობა.... ხიდები, პოპულიარული წიგნები: „მეფუტკრეობა" „ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებათა კრებული" „სიფილისზე" „ვაშინგტონზე"... „თამარ მეფეზე" „საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე" და სხვა. პედაგოგმა ტირილი დაიწყო.

გადაიარეს გარეგნოს თავი და შეუდგენ მარა გზას. ქალები ქოლგებით. ვაჟები ხუმრობით და ჯოხებით ხელში.

4. ცდა-საჩვენებელი სეანსი № 33.

6 აგვისტო 6 საათი. თუ მოინდომებთ და ჭანდრიდან აღმოსავლეთით, ყრილობის მარცხენა მხრიდან, თვალ-ყურს მიაქცევთ სამიკიტნო „დიდებას"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქვენ დაინახავთ, იმერელ ლაქიას, ისეთს, როგორიც პიესებში გინახავთ. სომეხ დახლიდარს, რაჭველ მზარეულს, კახელ იმერელ მეგრელ თავად-აზნაურებს ქეიფს. ზოგი მათგანი სათათბირო ხნის მქონენი. 200—7 ქცევამდე მიწის მეპატრონენი.

აზნაურობიდან თავადობის მძებნელი. ხმის უფლებაც დაკარგულნი და ზოგი აშორდიასგან ღირსება მოპოებულნი.

დგება თამადა· ფიქრობს ერეკლეზე, რუსუდანზე, ნიკოლოზ მეორეზე. ტიკზე ჯის, ხელში მათრახი უჭირავს და ამბობს გრძელ სიტყვას. შეიძლება მოიყვანოთ მუნჯი, მხოლოთ მას შეუძლია ხელების და ტუჩების მოძრაობით გაიგოს. ყოველ შემთხვევაში რალაც ამაღელვებელს. თავად-აზნაურობა ღსმენს კბილებს ჩანგლის წვერით იწმენდავენ. ერთი მათგანი ისხნის დეზებს და კოცნის. რუსუდანის სურათს, ქუდზე იკეთებს ზედ მამლის ფთას არჭობს. თამადის სიტყვას აღარ უცდიან. სვამენ პირდაპირ ტიკიდან.

7½. დადგა ყველაზე უფრო დიდი მოშენტი, სუფრიდან წამოიშალენ. აზნაურს კარტი გავარდა. „აკოლოდოჩნიკს" მეფის ცოლი გონია და სამხედრო სალამს აძლევს, შედგა მიწევ-მოწევითი ჯგუფი. ისმის ყვირილი „მეჯინიბეთ-მყავდი" „გაფხეკილო" „დაჩინჩულო აზნაურო" აზნაურებმა თვალები გადმოყარეს. „ბაბუა ჩემი" „ბებია ჩემი" „კნიაზ ვარმასხანიძე"

იპრიალა ხმლებმა, ჯგუფი გაიფანტა. გაშლილ ველზე გამოჩდა თავადი განდაბია. მის იქით ტბა. კიდევ იქით ღრუბლები, მთები და დანგრეული თამარ-მეფის ციხე: პეიზაჟი პატრიოტულ პიესის.

თავადს თეთრი ჩოხა აცვია. ეძვსი აზნაური მიუხტა. ბრწყინვალეობა უხმლოთ არის, აზნაურები შეყენებულ ჩახმახებივით.

ჩოხის კალთებით მუცელი ამოიკრეს. სახელები წაიკაპიწეს და ვარდისფერი ახალოხი გამოიჩინეს. თვალები დაკარკლეს. ულვაშები გაქაჩეს.

— განდაბია თავს უშველე, თორემ აგკუწავენ მაგ წუნკლები.

— სადაა ჩემი ცხენი? სად?

განდაბია ერთი ტაკტით ცხენს მოახტა. თავადის ულვაშები ამბობენ. რომ მის წინააღმდეგ ეროვნული შეთქმულება აღმოჩნდა.

— აი! შე ლაჩარო. გაიქეცი არა?

— ახ? უულვაშო.

— ტბისკენ მიდის.

— თავი დაუარე, მაგ წამხდარს.

აზნაურები ფეხ-დაფეხ მისდევენ. ხეზე ინტელიგენტი, პენსნებით, ღელავს. ორატორიისთვის არავის სცალია. მოქადაგეს ზედ სიტყვა „თავისუფლებისთვის" შეაწყვეტიეს ლაპარაკი. ქალი, „ვეფხის ტყაოსანიდან" ამოღებული, ეცემა მუხლებზე და წმინდა ნინოს ევედრება, თან თავის თმას კოცნის.

მაგრამ განდაბიას რა ემართება?

ორატორივით უკმაყოფილო, ჩამოხტა ცხენიდან. მერანი ჭაობის ლაფში კისრამდე ჩაფლულიყო.

ოკეში ფასვლა მას უხარის ვისაც კარგი ცხენი ყავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდაბიას ცხენის დატოვება არ უნდა. აღვირით, კუდით ეწევა ლაფიდან ხანჯლის ერთი დარტყმით გააგდებინა თავი. სისხლიანი ხანჯალი კუდის ძირში ამოწმინდა. მხნეთ სიმიდებისკენ გაიქცა. თან ძირს იხედება. რალაცას ეძებს. ან ყიოკონდას ან და..... დაიხარა. უცებ გასწორდა. ხანჯალი ქარქაშში ჩააგო. მარცხენა ხელში ფხვნილი მიწა აქვს—მარჯვენაში ქვა. აზნაურებმაც მიუსწრეს. კოლხებივით ეძგერენ. დატრიალდენ. განდაბია მაგონებს ნაპალეონს, ალსანიშნავ საღამოზე ვატერლოში. ხმლებით ეძებენ საუკეთესო წუთს შეურაცხყოფილ გრძნობის ალსანიშნავათ. განდაბია დაიხარა ქვეშ-ქვეშიდან იყურება. პირველ მომხტურს ფხვიერი მიწა თვალებში მიაყარა. მარჯვენა ხელის ქვა შუბლში უთავაზა. აზნაური მოურიდებლათ წაიქცა. განდაბიამ ხელიდან ხმალი ასტაცა.

— აბა მოდით დანარჩენებო!

დავარდა მარცხენა ყური. ჩოხის ნაჭრები. გადასკდა ლოყა. ბარკალი. მარჯვენა ხელის თითები-ხმლით. აზნაურებმა, ჩაიკეცეს. ქუდები და დასტოვეს ბრძოლის ველი. გაქცეულები ხელებს შლიდენ და გულზე იდებდენ.

წაქცეულს არ სცემენ

— სადაც თქვენი დაიქადნოთ?

— არ გაუშვა! მაგ ინერეთის შემარცხვენელნი!. მუცელზე ცივ ტილოს იდებს. პურპუით უკმაყოფილებას აცხადებს, მოხუცი აზნაური.

— მაგენი თუ ვაჟკაცები არიან, მე კაჟანდევი ვყოფილვარ მაგ აზნაურებთან შედარებით?

ქრილობის თავჯდომარე. აღელვებულათ, მოუწოდებს ხალხს კამათის გასაგრძელებლათ. ინტელიგენტი სადარბაზო ბარათს იღებს.

> საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა
> ზესტაფონის კომიტეტის მდივანი
> არქიფო ციხისგარეთელი, ინდივიდუალისტი.
> ბუდდისტი. ესთეტი. თეატრალი. მეგობარი
> პედაგოგ, გიორგი ქელბაქიძის.

თავმჯდომარე სიტყვის უფლებას აძლევს.

— ამხანაგებო! ეხლა თქვენ მოწამენი იყავით ასეთ არა ადამიანურ საქციელის, მაშინ როდესაც თითო წვეთი სისხლი დასანანებელია თუ კი ის არ იქნება ყვავ ყორანთა მოსასპობ, საბსხვერპლოზე უანგაროთ შეწირული! თქვენ წინ თითქოს და ჩვენი ტურფა საქართველოს პატრონნი, ერთი მეორეზე, იმ მკლავით, რომელ მკლავმაც სისხლით მორწყულ საქართლო, ურჯულოებისგან დაიცვა, სწორეთ ეს ხალხი ერთი მეორეზე. ძმებზე, სასიკვდილოთ იწევიან. მაშინ როდესაც ჩვენ, ლამაზ ქვეყნის შვილებს გვმართებს გაერთიანება.... საქარ-

თველოს „გაზაფხული“ „სიო“ ნე თქვენ გეტყვით დიდებულ ინგლისელ ბაირონის სიტყვებს..... ბიბლიოთეკა

ტაში კანტი-კუნტათ. ალბათ შეჩვეულნი არ არიან ასეთ ლაპარაკს, ის არ გაეს, მათ ძმების, მამების, ბიძაშვილების, სიტყვებს, რომლებიც ტფილისიდან, ბათომიდან გადმოასახლეს, რომლებმაც გულს ცეცხლი წაუკიდეს.

ა. ისტორია, სადაც ავტორი ერთი ქალის დახმარებით აბითურებს სიყვარულს. ვაჟკაცი გოგოს ემუქრება ათასგვარ საშინელ სასჯელით.

— ვარსკვლავები. ღრუბლები. მთვარე ალბათ ჩქარა მისრიალებს, სწრაფათ მოკლდება ღობე-ყორის ჩდილები.

გზებს ხელში შეუპყრიათ სოფელი.

გოგოებო ვინც ბატები სახლში მორეკეთ: გოგოებო ვინაც ჯამ-ჭურჭელნი დარეცხეთ—გამოდით ბაღში, თქვენ გელოდებათ ტარიელები, ჰამლეტები და ტომას გუდ.

ქალებო! ვინც ძროხა მოსწველეთ; ქალებო! ვინაც პრასის დათესა მოათავეთ, მოხედეთ თქვენ ქმრებს სახლში მომლოდინესთ. ბებოუცუნებო! გახსენით სკივრი ეხლა მაინც როცა ცა გაეს ფიროსმანის სურათს. ამოალაგეთ: საცვლეები. ცისფერ ახალოხის გულის-პირი, ვერცხლის ქილები, ჩიბუხი, სახე გახვიეთ შავ შალის ჩოხაში, მოგაგონდება ის დრო, როდესაც საქმარო ბნელ კუთხეში მიმალული გიცდიდა.... ვერ შეამჩნიე და ქვასანაყის ძებნაში გართული. თავს წაადექი—როგორ შეგეშინდა, როგორ მოგიჭირა ხელი ძუძუზე! ხომ იფიქრე ბები! რომ ცაში დასცურავდი? ისევ შენმა ბებიამ იგრძნო შენი აღელვება, შემწვარი კვახის მიზეზით გარეთ გაგიყვანა.

საფეთქელზე ცივი ტილო შემოგადო.

— მოითმინე შვილო ჯერაც ადრეა

ზვინის ძირში ქალ-ვაჟნი.

— ალბათ გიყვარვარ?

— მიყვარხარ.

— შენი თავი სხვისთვის რომ მინდოდეს?

— შენი კოცნა გაეს, ნაჭუჭიან კაკალს, რომ გახლეჩ შუაზე,

— შენი მოხვევა? წინდის ჩხირები, რომ დასრიალებენ საჩოხე შალში. ისე მივლის შენი თითები, სათოხე მკლავები!

— ჯვარი დავიწეროთ! როდის?

— ძაღლია საწნახელის ვამოთლა, როდინი არაფერია, მაგრამ ქოხმა გვეოდი წაიქცია, ერთი ოცი თუმანია საჭირო. ჭიათურაში გავაკეთებ.

— ჩვენი ძროხა ავათ არის.

ეაჟი გამოცდილია. ბოლოს და ბოლოს მთვარე გაეს გადაჭრილ დევის ბარკლებს, ქალი დანამულ ჭვლაკს. თმა წყაროს მწვანე ხავსს. ძუძუ ლვთის ვშობლის თავს. ბალახი, მიწა. ციცინათელა. დრამატიზმისთვის ფრინველთა გალობა და ვენახიდან მოსული სიო საჭირო.

საჭიროა, ხელის შემოხვევა, რომ ტანზე ხორცი შემოასკდეს. კოცნა ყურის ძირში. კისრის ძირში. ტუჩების მარცხენა ნაწილზე. ცხვირზე.

ქალი გამოცდილია. ის შეიძლება ულამაზო იყოს. ᲒᲘᲠᲩᲔᲡᲘ ᲐᲜᲘ ᲐᲥᲐᲚᲐᲛᲐᲜᲔ. სიარული—ჩოგან ამორტყმულ ბავშვივით. ქონის კაბასავით ᲛᲘᲬᲘᲡᲤᲔᲠᲘ თვალები სიმინდის ბებერასავით. მაგრამ ნახევრათ ქვის სახლი—მეორე ნამდვილი ძველი ბუხის ნორები. ორი ძროხა და ერთიც სასყიდი დეკეული. ცხრა ცხვარი, ლორი-გოჭები. ასი ფთა ქათამ-წიწილ კრუხები, განაყოფის, რგებული, თორმეტი ბალიში. თორმეტ მუთაქით. ექვსი ხელი ლოგინი; ᲭᲣᲠᲭᲚᲔᲑᲘ. ხელობაც იცის დურგალია. ამან კარგი კოცნა იცის, მით უფრო ᲧᲔᲚᲨᲘ. ტანი იქვს მოქნილ საწნახელივით. შეიძლება შიგ ჩაწვე. ტფილისში ნამყოფია. შეიძლება ჩაფარი ნოკლას, ან ღვდელი ან თავადი, თუ არ ჩამოახრჩვეს, რუს-ხელმწიფე ციმბირში უკრავს თავს.

— დურგალს რა უნდა რომ დაწანწალებს თქვენსა?

— არ ვიცი?

— წიწილივით წავაგლეჯ თავს!

მოიწია—მოიწია. ასე და ისე.

6. ოჯახი იგინება.

ძმა ბათუნიდან ჩამოტანილ წიგნს კითხულობს ᲭᲠᲐᲥᲨᲘ. ხანდახან ლანძღავს ღვდლებს. ღაბე. სუფრის გარშემო სვამენ და სჭამენ. ბებიას ჩამოეძინა სამფეხზე და ნამცეცები გადმოყარა პირიდან. მანა სრულიად უმიზეზოთ აგინებს კეცებს, ცოლიც მომხრეა თორნის. შუაცეცხლში ᲭᲐᲓᲔᲑᲘᲡ ცხობაში და ფიცხებაში პირდაპირ ითუთქება. ოფლი ღვარათ ჩამოდის. თორნეში ჩაკიდებ ცეცხლს. გაეარვალდება. ᲢᲧᲐᲠ! ᲩᲐᲐᲙᲐᲠᲘ ᲭᲐᲓᲘ უფრო გემრიელი—სებისკვერივით საკრახუნო. ბაბუას თუმცა ნაცარ დაყრილი ᲭᲐᲓᲘ უყვარს გული ფეტვის მარცვალივით —იფანტება. მაგრამ ᲠᲘᲫᲐᲚᲘᲡ შეწუხება მაინც არ არის საჭირო, უფრო, მით რომ ამ ᲮᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ შალს უქსოვს.

ყოველ მიზეზ გარეშე, მამა კიდევ აგინებს—საერთოდ. ᲭᲐᲓᲡ, თავის ბედს, მიწას ღვდელს, თავადს, წისქვილს, ნამს და ᲮᲐᲢᲡ. ᲯᲐᲛᲨᲘ მაგრად ამოსობილ ლუკმას, ᲯᲐᲛᲘᲡ ᲮᲔᲕᲡᲘ ᲧᲕᲔᲑᲐ და ენაში გაერᲭᲝ. ᲫᲛᲐ არ იღებს მონაწილეობას საქმეში. ის მოღუშული შესცქერია ᲭᲔᲠᲡ. სახეზე ემჩნევა, რომ ეს ყოველივე ილიუზიაა. შორს მოსჩანს კოოპერატივი—გვეᲠᲓᲖᲔ ᲑᲠᲐᲖᲘᲗ გულ-გახეთქილი ვაᲭᲐᲠᲘ. ᲑᲝᲥᲐᲣᲚᲘ მახარაძე ფეხით ჩამოუკიდიათ,

ᲫᲛᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲚᲘᲡ. ალელდა მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. კარების გაღება იყო საჭირო, რომ ᲭᲠᲐᲥᲘ შემკრთალიყო. და ოთახში გოგო შემოსულიყო.

— სად ᲑᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ აქამდე ქალბატონო?

— ღმერთმანი! დასაკლავია მამალი, რა აყივლებს ამ შემობინდებისას?.

— გასათხოვარ ქალს, ჩემი ფიქრით, ჩემო კარგო არ უნდა კადრო მასეთი სიტყვები-დაბეჩავდება.

— ალბათ იმ ენაგძელ ყმაწვილთან ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ?

— არა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა გითხრა?

— არაფერი.

— დღეს თუ ხვალ შვილო, გვირგვინი უნდა ისკვნა თავზე, შენ კი ლობეყორეს ედები?

— ონისიმე დუღგალი არა?

— რავა არ მოგწონს? არ გინდა?

ხარი შენოკრეს წმინდა გიორგის ეკლესიაზე, დაფიცებაა, ძმა მიდის..

მე კი მგონია ორმ მთა და ბარი არ გასწორდება.

გოგოს მთელი ღამე არ სძინებია, ვერ გამოოკვეულა. წარწან ამ დროს სიმიდით სკდებოდა... მაგრამ ძილით კარგათ ეძინა. ალბათ ონისიმესაგან გაკეთებულ ზკათის ბოალია. ან წითელ დოლბანდის,,. ალბათ ტუჩები გამისივდა თუ არა და ეკალზე დავარტყი შიშველი ფეხები.

7. გაბზარული ლარნაკი.

საიდუმლოებათა ორმანებში, განსაკუთრებულათ სამიში პერსონებია, ყოველთვის დინჯი—დაბეზეიდებული, ბიხერა-ბოხრით თავისუფალნი, ცისფერი თვალებით, ქალის თმით ქისაში, დაბალი ლირიული ხმით არიან. გამონაკლისია ხეგარდის გმირები. რეალურ ცხოვრებაში და ამ რომანში, ფაბულის ორკესტროვკა სხვა გვარათ არის გამოყენებული. თქვენ მაქვეზებთ? მაგალითად:— თავს დაევსხა, რეგვენ ვაქკაცს, ბოხი ხმით და ხეთ ფუთიან მუშტით—მეორე მხრივ, კუთხეში მჯდომ, ჩუმს, უწყინარს, ცის-ფერ თვალებიან უცნობს—დაინახავთ, ორმ მე გავემართები კუთხისაკენ.

შეიძლება ქალი გაჰყვეს დურგალს, რასკვირველია გოგოს გული მუდამ გასიკვებული ექნება. ქორწინებაზე თანხმობას მშობლები უფრო ადრე გაუცხადებენ კარზე ბომდგარ საქმის კაცს. ვიდრე ქალი. ამ აქტს ჩასთვლიან—ოჯახის წაყვანის წესს. ბტელს გული გაუგბირო—მოყვარე ჭირში და ლხინში შენთან გეგულებოდეს. სიყვარულისთვის, უარყოფილი გმირი,, რომელმაც ქალის ლაზათიანი ხელის შევლება იცის,—ვეცდები, სასაცილოთ არ გახდეს გერმანელ სტრინდბერგისათვის, „ქორწინების,—ტრაღი-კომედიაში გასაწერათ ისეთ დროს, როდესაც კაცის სიცოცხლე გამოხვრეტილ კაპეიკად არ ღირს—შეიძლება—გმირი სისხლმა აიტანოს, მოკლას დურგალი „ორმანი ადვილი დაბოლავებით". აიტანოს შერის ძი ბამ? ვერაგულათ სიცოცხლე მოუსწრაფოს, სხვის მეუღლეს დამახასიათებელ მდგომარეობაში.—ამას ეტყვიან „რომანი მწუხარებისა".

გარდა ამ ისტორიულ დოკუმენტებისა, ვინც ლიტერატურასთან არიან დაახლოვებულნი, იციან, ორმ, რუსეთში სცხოვრობდა ლევ ტოლსტოი, ამერიკაში ინგლისელების ნაციონალური გმირი—მეფე ძროხების—ჯვები ჯვებეი, როგორც კონან-დოილი, როგორც ედგარ პო ან და კონრადი სცენარისტი „დეუნგლების"—ჩემმა გმირმა უარყო მათი ხერხი—„მოვალეობა პსიხეიას წინაშე—დაუქრობელი ნდობა უცხოსი". და სამწუხაროთ—მკითხველისა გაზეთ „შავი ზღვის იდეალების" ქრონიკორისა, რომელშიდაც ამ ბოლო ხანებში „მკვლელობა ორ-

მანიულ სარჩულით.—მხეცური ბოროტება მხეცის". ქრონიკერმა [illegible] თავსდებოდა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ „დროება გამოიტანა [illegible] ბოლავის სცალოდა. კლავდენ.—კოლექტიურათ,—ორგანიზაციულად,—ბოქაულებს,—ქანდარმებს,—მოხელეებს,—ენატანიებს,—თავადებს—ღვდლებს.

ᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ.

1906 წელ. 11 მარ. არავინ არ ფიქრობდა სიყვარულზე, სირინოზზე, არც ხმელთაშუა ზღვაზე. მხოლოთ ერთ სარდაფში, როდესაც ქალაქის საათმა დაკრა ღამის თორმეტი საათი, რამოდენიმე ვაჟკაცური ფიგურა მკრთალ სანთლის შუქზე, მაგიდას გარშემო უსხდნენ.

— წაიკითხეთ!

მის ბრწყინვალებას ქუთაისის გუბერნიის მართველს

ვლ. სტაროსელსკის.

დასავლეთ-იმერეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი-თავადი შალვა კონსტანტინეს ძე წერბაშიძე.

მომართვა.

მივმართავ თქვენს მაღალ კეთილშობილებას იმერეთის ბრწყინვალე წოდებათა დასაცავათ, მომეცი ჯარი, როგორც ყოფილი ოფიცერი, მე შევქნი ისეთ პირობებს, რომ მათ ბედი ვაწყევლინო. მე გავანადგურებ მათ, რომ იოცნებონ ბატონ-ყმობაზე. სანქცია მოცემული მაქვს ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

ზესტაფონი პატივის ცემით ნესტორ კონსტ. წერბაშიძე.

1906 წ. 1 მაისი.

— წუნკლები!!!

დადგენილებას მაუზერის ბუდეზე სწერს

დაილუპოს: **თა-შვილ-ები**

9. საჩვენებელი № 32.

გარეთ ღამე. წყალში ვარსკვლავები. წმინდა გიორგის ეკლესია. ეკლესიის კარები, დაკეტილი ეკლესიის დარბაზი. 1906 წელი 15 მაისი, სინათლე სანთლის. იატაკზე—სმეტანისონი, დავითნი, უნაგირი. ქალის ფეხსაცმელები. ღვდელი სახარებას კითხულობს, პროფესიონალურ აქტიორივით ხელებს მალლა სწევს. თავადი ლირიულ განწყობილებაშია. ფეხები წმინდა ნინოს ხატზე აუყუდებია და ყალიონს სწევს. სადილის ოცნება. ღვდელი გულის პირს იხსნის. იკრავს ზედ ქუთაისის ეფისკოპოსი გაბრიელის სიტვების კრებულს, სემენარიის დასრულების გამო ნაჩუქარს. თავადი ილუზიებშია გახვეული. კაბინეტი მარშლის.

პაპიროსის კვამლი ანგრევს კედლებს. კარები იღება შემოდის ქანდარმი შემოყავს მთვრალი პოეტი ნადსონი. თავადი ღიმილით სალამს აძლევს სწერს ქვითარს.



6 გოჭი—6 ინდოური—6 ბატი—6 საწნახელი—5 ჩომი ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲘᲜᲐᲨᲘ
ნადსონი თმებს ისწორებს და სანთელს კოცნის. ᲒᲘᲑᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

> მამულიშვილო თქვენ ეძებთ საქართველოს?
> მე მოგართმევთ ამიერ-იმიერ კავკასიას!
> ვ. ი. ამიერ კავკასიას.

ძალლობის ნიშნათ თავს იატაკზე ურტყამს. ნადსონი წვერებს ფერთხავს ყველა ილიმება. კახელი მეგობრულათ ხელს უთათუნებს ბეჭებზე. მეგრელი, მათრახით უზომავს წვერებს... იმერელმა ერთი მუჭა შავი ქვა უთავაზა, რუსი იწყებს ცეკვას. კახაკურს ბუქნით. ყველანი აღტაცებულია ნადსონის ხელოვნებით, აპლოდისმენტები იმერელი ხელებით, კახელი მუშტებით, მეგრელები ცერის ფრჩხილებით, რაჭველები უბრალოთ, ადამიანურათ. 15 წუთის შემდეგ რუსეთის იმპერიის ქარტას ყოფენ. თავადს აძლევს საქართველოს, სომხეთს, ადერბეიჯანს, სტამბოლს, პირინეისის მთებს, და კუნძულ „პატეს". ახნაურებს ხელი გაუწვდიათ თავადისათვის და იცდიან. იმერელი ილებს ბარიტის ხატეს, კოცნის ისე როგორც საგვარეულო ეკლესიის ბარის წემოკვრა. 3 წუთის შემდეგ თავადი აღელდა.. დგება. ფანჯარას აღებს. უცბათ შეკრთება. ილებს ხელში წმინდა სანთელს და აღვიძებს ლვდელს. ლვდელს ღნერთი ხელში უჭირავს და შეშინდება როცა თვალებს გაახელს ერთი წუთი და მის სახეზე აღიბეჭდება უსაზღვრო სიხარული, სიყვარულისაგან. კოცნის ოლარს, თავადი ხანჯალს ილებს. მოძრაობაში გადის ნახევარი საათი. ამოაძრობენ იატაკის ქვაფენილს.

ლვიმევის მონასტრის წინამძღოლის აკლდამიდგან. გამოჩდება სატრიუკი ორმო. ლვდელი პირჯვარს იწერს მუცელზე. თავადის ნაციონალურ გრძნობას სივაკაცე ემატება. ხელში სანთელს ილებს, ჩადის აკლდამაში. ჩააქვს კრებული „ერეკლე მეორეს გასამართლების" — ყანწი, ტიკით ლვინო. ლვდელი ულვაშებზე კოცნის, თავადი ღვთიურათ ილიმება

> სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი

ლვდელი ქვას დებს, თავის ადგილას. ზედ სკამს სდგამს და ჯდება. არც მამულის და არც თავის თავის წინაშე დანაშაულს არ გრძნობს და აცხინკვებს. კითხულობს „ვეფხვის ტყაოსანს. დროგამოშვებით იზმორება. 1 საათი. ლვდელი ფანჯარს აღებს. უცბათ სახეზე წეშინდება. ვეღი უხტის. თავს ფანჯარაში ყოფს.

> ვინ ხარ?

ჯვარს სამჯერ ეწერვება, სამჯერ წმინდა ბასილს და დაკით ალმშენებელს კოცნის. გარეთ ბნელა. ალვის ხესთან ფიგურა. პაპიროსს მუჭში სწევენ. ერთი ახველებს დანარჩენებს პირზე ხელები აქვთ დაფარებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკლე ფურმეგიწვილი ვარ! ქუთაისიდან ჩამოვედი, შალვასთან მაქვს საქმე. პაროლი „ტარანი“.

ღვდელი კარებს აღებს თეატრალურათ, ხელებით—ფეხებით. მეშინებული უკან იხევა. დარბაზში ოთხი კაცი წემოდის აეგჭალის ბომბებით, ბერდენკებით, მაუზერით, ნაგნით, კოლტით, ხანჯლებით. ბებუოებით. ტრაღიკული მდგომარეობაა. ღვდელმა არ იცის რა ქნას,— გადაკოცნოს თუ გაიქცეს. იღებს სასხურებელს და წყაროს წყალს ასხურებს. ერთი იცინის.

ენატანია თავად შალვას დაუძახე ტყვია მოშიენია!

კონდახს დაკრავენ. ღვდელი საკურთხეველში შედის. ხურავს კარებს. ამაგრებს მოსანათლავ ქვაბით, რკინის ჯვარით. სახარებებით და გავსებულ ხურჯინით. გადის 3 წუთი. მოსულები ჩხრეკენ. საკურთხეველი გამაგრებულია. ხანჯლით დავით და კონსტანტინეს ხატს სჭრიან და შიდ იყურებიან. თოფის ლულას ყოფენ. ღვდელი ანგარიშობს ფეხებთან გასჭრეს ხატი თუ წელში. თოფის ლულა კვამლს აყენებს. ღვდელი მაღლა-მაღლა მიდის, პირხე ლიმილი უთამაშებს, კოცნის „კირიონის“ „ქართულ სი ტყვიერებას“ და სული გუმბათზე დაეკიდა. წითელი რაზმელები ჩხრეკენ, ნახავენ ორ ბოთლს ღვინოს აქცევენ. ჯდებიან. მოწყენილები. ხელებს შლიან უკმაყოფილოთ, დგებიან აკლდამის კვას დაყურებენ. კვის და ქვის შუა ტიკის თავი მოსჩანს. ერთი საათის შემდეგ ქვას გადააგორებენ. თოფებს ისვრიან. შიდ სანთლები ქრება.

მოკდა???

სწრაფათ ართმევენ ხელს ერთი მეორეს, კოცნიან. ემშვიდობებიან. ეკლესიიდან გამოდიან და სხვადასხვა გზით მიდიან. 3 წუთი. ერთი მათგანი ბრუნდება. იხედება აკლდამაში იძრობს მაუზერს. ისვრის. გადის. ეკლესია. სახარება სისხლით სოველი. გარეთ ბნელა.

10. **გიორგის აზნაური.**

იმერეთში რამდენიც გორაა, იმდენი აზნაურია. სწორეთ ღამის 4 საათი. 1906 წელი 13 მაისი. თუ წინდაწინვე განზრახვით არ შეუდგები დაკვირვებას აზნაურ საკლე ჩაჩიაშვილის სასახლე—მიდამოს თქვენ ვერაფერს შეამჩნევთ. გარდა, იმისა, რომ ოთახში სინათლეა. მაგიდაზე სასმელ-საჭმელი ბლომათ. მაგიდის გარშემო აზნაურის ოჯახობა, ნათესავობა. სოფლის კანცელარიის.

მწერალი. ბოქაული. 3 ჩიფარი.

მაგრამ დამერწმუნეთ რომ სიმიდი რალაც უცნაურად შრიალებს. ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ისტორიული დოკუმენტალობა მოითხოვს, რომ მთვარის სხეულიც ლაპდეს მაუზერი. რომ სისხლი დაიქცეს.

რა ბრიყვი ხარ აზნაურო!

„რას შეგმატებს, რომ სუფრა გაგიშლია ბოქაულ სოლოგუბისთვის. შენ გინდა დახურო ბიბლიოთეკები? შენ გინდა თავისუფლება ნაგრძნობი გლეხობა ისევ მონობაში ჩააბა? ან და ამორდიას წინაშე თავი გინდა გაიმართლო, რომ ნამდვილი სისხლი გაქვს? გამოჭიმე თვალები—იქნებ გულმა აგიტანოს.

ან სიძეთ, რათ გინდა ეს ჯალათი?

ან ნათლიად რად გინდა ეგ ყურუმსაღი?

აზნაურო წაგიხდენს ქვევრებს, შეგიგინებს შეჯადს, შეგიოყენის ძროხას და ბატს.

იქნებ ფული გინდა აზნაურო! დანგრეულ სოლომონის ციხის შესაკეთებლათ!

არ შეგარჩენთ.

— სავლე! გადმოიხედე ერთი თუ ძნა ხარ აივანიდან. ამ სიტყვებთან ერთად მთვარის მკრთალ სხივებზე გამოჩნდა სამი სხეული თავ პირ ახვეული.

— რა გნებავსთ?

— არაფერი სავლე, თავი გადმოსწიე აივნიდან.

— შეიძლება ბოქაულს პატივი ვერ სცე, როგორც მას შეეფერება ალბათ იცი ეხლანდელი დროა უკულმაროება. ოჯახში იქნებ რამე გაკლდეს?

— ჩვენ გადავსწყვიტეთ შენი დახმარება, ხელის მოწყობა გადაეცი ეს ბოქაულს.....

შეიძლება ნწყობრათ უნდა გავარდნილიყო მაუზერი. შეიძლება წინდაწინ მოილაპარაკეს ჯერ ერთი, მერე მეორე ესეც მესამე... და ასე....

რეზიუმე:

— ვაი ჩემს ბედს! უკანასკნელი სიტყვა აზნაურ ჩაჩიაშვილის, ტყვია ნატყორცნი გადმოეჩეხა მუხის ძირს.

ბოქაულო! ხელი გაუშვი აზნაურის ცოლს მას ქმარი მოუკლეს!

ჩაფარო! ხელი აიღე მოსაბსახურე გოგოზე. მას ბატონი გაუგმირეს.

აზნაური ჩაჩიაშვილი, რომელსაც 45 ქცევამდე ბიწა ქონდა. რომელსაც ყოილობაზე სათათბირო ხმა ქონდა. ბანკის მოგების, გაყოფის დღეებში 1905 წელს. იმერეთის მაზრის თავად-აზნაურთ 30.000 მ. ერგო, აზნაურს პათეთიურად გული შეუწუხდა, სიხარულით.

ბატონებო! აზნაურ ჩაჩიაშვილის გულის წეწუხების მიზეზი გახლავთ ის აუარებელი ბოლმა. რაც ბატონ-ყმობის მოსპობას შემდეგ. არც ერთ კეთილშობილ მამულიშვილთ არ მოსცილებია. აგრეთვე ის აუარებელი კორესპონდენტები, ქრონიკორები, არტისტები და ამორდიას თავად-აზნაურობა, რაც ასეთ პატარა დარბაზში მეტად მძიმე ჰაერი დააყენა. კეთილშობილი გვარი ჩაჩიაშვილისა დღეს არა ტარიელისებურ მდგომარეობაში ჩააყენა".

ეხ! ეხ ესისხლობა ეხ, ეხ უჯვაროთ.

ყრილობის თავმჯდომარე ამ სიტყვის შემდეგ არავინ ითხოვს ლაპარაკის უფლებას და კრებას დახურულად აცხადებს. ᲒᲘᲒᲚᲘᲡᲘᲐᲜᲘ

11. სოფლის ქრონიკა 1906 წ.

იმერეთი, სოფელი.

რასაკვირველია გათენებას ნიშანველობა არ აქვს. დარისპან ცეცქირიძის სახლს ალყა აქვს შემორტყმული. გარეთ ჩოფრები ბოქაულით—ოთახში წითელი რაზმის შტაბი.

— დაგვნებდით!

შტაბის წევრების ძმური ფიცი. ახ! ნეტავ, უკანასკნელ კოცნაი არ დაგეურჩეს?

დარისპანმა იცის, რომ მისი სახლი კორტოხზეა. ის დაიწვის!.

საყვარელ სასიმიდეში არავინ ჩაუყრია სიმინდს, ვილა დალევს ღვინოს ამაყურათ თვის მიწის და მარჯვენის სასიხარულოთ.

იმ ცოცვრებისთვის ვალი არ გამყვება.

ცამეტი ცხვარი დავუკალი ჩემს მაგაპაპებს, ნე ვინ დამმარხავს?

გიხაროდეს!—ქვაბებო—თოხებო—კათხებო—სახნისო—თქვენ გადურჩებით ცეცხლს.

გიხაროდეს! მიწავ ჩემი ცრემლით ჩემი ოფლით გამოიწყლულო, შენ გადამიცელი მეც.

პირველათ ჩემი სახნისი.

მერე ჩემი ძროხა,—მოვლით დაავათმყოფებული,

კიდევ იქით ჩემი ხარები.

კიდევ წიწილები. ძაღლები, კატა, გოჭები.

გარდა ამისა, ბუ ბერეთის ბოთაში დაჭერილო, ჩემო საწნახელო, გიდლებო—ნე თქვენი მაცა ვარ!

დაწყეველილი ხარ შენ! სარკე. ჩარჩი ურიასგან ნაყიდო, შენც ქუსლიანო ფეხსაცმელებო, შენც სავარცელო, ფოო, მე თქვენი გერი ვარ!

ოთახში სასიამოვნო სუნი დადგა ცეცხლ-წაკიდებულ სიმინდის, კვახის, თესლათ ნენახულ ომბალოსი, მუხის სარძიკვლის გამოსაჩეკ კვერცხების. ბნელ კუთხეში, დარისპანმა, უკანასკნელათ ჩაავლო ხელი თავის ერთგულ ცოლს, და თავისაკენ მიიზიდა. შეიძლება გარედან ოფეები ცარდებოდეს მწყობრათ, კედელს შუაზე სჭრის.

ჯალათებო!

— თქვენ მარჯვნიდან, თქვენ მარცხნიდან, მე შუადან. შეეერთდეთ კაკლის ძირში, ჯალათები ბევრნი არიან. იცოდეთ, რომ, მე მეეძვსე ვარ და უკანასკნელი.

— დარისპანი რჩება. შეიძლება ძაღლები დაუსიანოს. დარისპანს უნდა თავის სახლის და ოჯახის დაწვას უყურის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. აფრასიონი მოქმედებს.

ალმოსავლეთისკენ გამოჭრილ, სამი ფანჯრიდან გადმოხტენ. ტყვია წვიმს. სარიდანიძე ალბათ დაიჭრა. თვალის უმალ გაგორდენ მიწაზე. სწრაფათ კაკლის ძირში ავარდენ ჰაერში ბურთივით.

— იერიში ბოქაულისკენ. თუ ნოვკალით, დაიბნევიან. ბრძანება: ერთი ფეხზე მიყოლა. ნატყვიარევით გაარღვიეს პირველი რკალი. თავდაღმართი. პირდაპირ დაგორება. ტყვია როგორც წვიმა. ერთი გვერდზე ბიბედეა იყო საჭირო, რომ ლობეში შეემჩნიათ, დამიზნებულ თოფის ლულა. თვითონაც იმარჯვებს კარაბინს, გამბედაობა სისწრაფე—და ნიგ მარჯვენა თვალში აჯენს ტყვიას. ურიადნიკი კვდარია.

13. კიდევ რალაცა.

ხელში მაუზერი. მაუზერი სცემს. აფრასიონი უკან ბრუნდება. რახმის უფროსი თუ არა ბოქაული მახარაძე მაინც ვერ დაიჯერებს. ასასვლელია მაღლობი. ისროლეთ სამი მხრიდან. მე პირდაპირ. ჩაფრები ემზადებიან, დადგენება უნდათ. დარისპანის სახლი, სასიმიდე იწვის.

— გაიხადე ჩაფარის ტანსაცმელი? გამცემო! წეჭყვირა აფრასიონმა.

აქ ვებლეი სკოტ ან მაუზერი უსწორო ბრძოლა იქნებოდა.

შენ სისხლს დავლევ!

ამოასრიალეს ხანჯლები. ზომავენ—ულესვენ ერთი მეორეს პირს. ფეხებით აბრაგუნებენ. ფეტვაძე მიატოვა ჩაფრებმა და აფრასიონის მხრივაც განწირულია. ბრძოლა თუ დიდხან გაგრძელდა. იქნებ უკან დაბრუნებულმა ჩაფრებმა მოუსწროს. თუ მარტო შესძლო აფროსიონის მოკვლა მაშინ უყურე მის წარმატებას. ჩაფრობას შეპირდენ. ამით ცოლშვილი და ოჯახი გადააჩინა განადგურებისაგან. აფრასიონს აო სცალია. ხანჯლის წვერი ცერით ნოხნიქა. დაუბიზნა. უცებ ხელები გაწალა. ხანჯალმა, ლარივით სწოლია—გაისრიალა, როგორც ბხიკი ფეტვაძეს მუცელზე დაასკუპდა. წაბარბაცდა.—უსწორო ბრძოლათ ჩასთვალა. ნაგანი აღოიღრო. აფრასიონი ცერზე შემოტრიალდა უკან მოეკცა—ერთ წკუპით კისერზე დაახტა. ფართო ხელები, ბაგარი მკლავები. ენა გადმოეგდო, წარაულ მეგობრობის სახელით პატიებას ითხოვს.

ისმის ცხენის ფეხის ხმა. გარშემორტყმულია ჩაფრებისგან. თოფების ჩახმახები მოძრაობენ და ტყვია ვარდება.....

14. თავადი განდაბია გულმოსულობის დროს კიდევ ახერხებს კეთილშობილებას

13_ოქტომბერი საღამოს 6 საათი 15 წუთი.

ფლეხები აჯანყდენ!

თავადი უხიზლდება. ცხენს ნათრახს გადაკრავს და ტირიფის ქვეშ ჩერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში შეაგდებს, ტოტებიდან დაწნულ გვირგვინს თავზე დაადებს. ცხენი რუსთაველის სახით მართლაც შოთას დაემსგავსება და თუ ვიცნობ ელებთ მის სახის გამომეტყველებაზე, მიხვედრილი თვალი გამოიცნობს, რომ ის თავის მიჯნურ თამარ მეფეზე ოცნებობს.

ყოველ შენთხვევაში მნიშვნელოვანი მომენტი თავად განდაბიას ცხოვრებაში გუშინ 9 საათზე აღინუსხა.

ორი გლეხი, რომლებიც სოფლის ასისთავს ირქმევდენ, თავადის სახლს მოადგენ. თავადმა ხელი შუბლზე მიიდო და ასეთი გაბედული სიარული გლეხებისა გაიკვირა.

მოურავს უბრძანა. მასთან არ შეეშვა ძალლები აეშვა. თავადი კაბინეტში შევიდა და გული შეუწუხდა. ერთი საათის შემდეგ მოურავმა გააღვიძა და მოწიწებით მოახსენა.—გლეხები ველარ იტანენ ღალის გადახდასო, რომ, მათ არც შეშა აქვთ, არც პური და არც საძოვარი. რომ გაფიცვას მოაწყობენ თუ თავადი გადასახადს არ შეუმცირებს, აღარ დაამუშავებენ ადგილებს. სოფლის დადგენილების მიხედვით თავადის მოსამსახურეები დათხოვილია და სხ.

განდაბიამ „ყარამანიანი"-ს წიხლი კრა. ბაგრათ იფიქრა და ბოლოს ეწყინა—გლეხებმა მისი ჩაბომავლობის ისტორიულ ღვაწლს შეურაცხყოფა მიაყენეს, მის მაბობრივ გრძნობას წინ აღუდგენ და აჯანყებით დაემუქრენ. და რადგან თავადს არც ზნეობრივი—არც ეროვნებრივი და არც გონებრივი განვითარება არ აკლდა, შუბლზე ცერი მიიდო და აღმოაჩინა მეტად საინტერესო ჭეშმარიტება:

კაცს ხელზე ხუთი თითი აქვს: ზოგი მათგანი მოკლე. ზოგი გრძელი. მათი გასწორება შეუძლებელია.

მაგალითად: ნეკი ვერასდროს ვერ გახდება ცერის სიმსხო, შუათითზე გრძელი.

გაიხსენა რა ქალაქ დიდ-განში. თავად-აზნაურთა კულტურული მოღვაწეობა საქართველოს ისტორიაში საერთოდ, კერძოთ გლეხ-კაცთა ცხოვრებაში, დარწმუნდა.

თავად-აზნაურთა კეთილდღეობა და საქმეთა გაიგება თვით ზეცაში სწყდება და არა აშორდია აიგებს. აქედან—შეიძლება ყველა არ გათავად-აზნაურდეს.

1904 წელს. განდაბიას თავად ჭავლახვარიშვილმა, რომელიც ცნობილი მცოდნე იყო „ნაციონალურ პოლიტიკის", გამოუგზავნა ნიშნად- პატივისცემისა თავის ახალი მეცნიერულ ნაშრომთა კრებული: „კეთილშობილთა, ისტორიულ ვალდებულებას შეადგენს, ქართველი ერის, ყოველივე წევრი ზრდილობიანთ ეწეოდეს ისტორიულ ღირსების ღვაწლს, საქართველოს აღსადგენათ პრსპექტივებისა და მიბეღვით ქრისტიანულ და მამულიშვილურ მუშაობას." წაკითხვის და ექვსი თვის შესწავლის შემდეგ განდაბიამ თავი გადადო მოღვაწეობისათვის.



ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საჭიროა სასოფლო გაზეთის დაარსება.

თანხა გაილო. რედაქტორად ვარშავის საბჭოთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული სტუდენტი მოიწვია და პრესას შესძინა გაზეთი „კომბოსტო“ ტირაჟი 1000.

გლეხებს უფასოთ, რომლებიც ღალას უხდიდენ თავად განდაბიას ბალმანში თითო გაზეთი. ვინც ლიტერატურას არ გაურბის, უსათუოდ ყურადღებას მიაქცევდა, რედაქტორის მრავალმხრივ ნიჭიერებას:

ბიოსოფიაში, გვართა გენეოლოგიაში, გეოლოგიაში, სტატისტიკაში და აბრეშუმის მოყვანაში. ყოველ წლის თავზე გაზეთის წინა ფურცლებზე თავსდებოდა თავად განდაბიას კრედიტ-დებეტი თვით თავადის უშუალო თანამშრომლობით.

თავად განდაბიას შემოსავალ გასავლის სტატისტიკური ცნობები:

ᲦᲐᲚᲐ.	შემოსავალი.	ოჯახში დახარჯული.	წვეულებაში დახარჯულ.	გასაჩუქრებული.	ბელეტში
პური	5506 ფ.	1,895	3.210	360 ფ.	41
ხეული.	151 ფ.	22 ფ.	88 ფ. 27 ბ.	40 ფ.	13 ბირ.
ქათამი, ინდოური ბატი, წიწილა, კრუანი . . .	2,076	277	1497	299	3
ხარი, ძროხა. ხბო. დეკეული, კამეჩი	3033 ც.	365 ც.	560 ც.	16 ც.	1 ც.
ღორი. ბოკი . . .	15,282 ც.	933 ც.	1617 ც.	83 ც.	400 ც.
ცხვარი, თხა . .	3,453,899 ც.	13 ც.	1558 ც.	112 ც.	13,590 ც.
ყვერცხი	15,282 ც.	1,111,222	2,342,111	555 ც.	11 ცალი
მარილი	137 ფ.	113 ფ.	20 ფ.	3 ფუთი	1 ფუთ.
ლვინო.	2403 ჩ.	720 ჩ.	1,624 ჩ.	33 ჩ.	26 ჩ.
წნილი.	28 ქილა	8 ქილა	16 ქილა.	4 ქილ.	0

სოფელი ზვავი: მოლრაკი: გ. ჯორჯაძე.

გაზეთში მრავალ-ნაიშვნელოვანი წერილები თავსდებოდა.

1905 წელს 11 ოქტომბერს. თავად განდაბიას [illegible]

თავად-აზნაურთა ყრილობის დარბაზს [illegible] პორტ-
რეტები: გარსევან ჭავჭავაძის, გიორგი ლაშასი. ნიკოლოზ მეო-
რეს მეფეულის გვერდში მოთავსებული.

1904 წელს. თავად განდაბიას მეთაური.

„ფული და მის შეძენის წყარო"

შედეგი: თავად-აზნაურობა შეუდგა, სახლების, ბელლების, სასიმინდეების
გიდაწვას. ანაზღაურება დაზარალებულთა ხდებოდა გლეხებზე
პეგარის შეწერით.

ეს პროექტი მოწონებული იქნა ამიერ-კავკასიის მეცნიერებთა ყრილობის მიერ თვით ხატისოვის თავმჯდომარეობით.

8. გინდა შენ რომ ვაჟკაცი იყო?

ბრწყინვალე თავად—აზნაურთ. ერთიც ვნახოთ და თქვენ თქვენსავე გამართულ წვეულებაზე, თამადამ, ან რომელიმე სუფრის წევრმა მოგაყენათ შეურაცყოფა, ან თქვენ ბრძანდებით ნადიმზე —მიაყენეს შეურაცყოფა ან თქვენ შთამომავლობას, ან თქვენ მამულიშვილურ ნაბიჯებს, თქვენი ოჯახის წევრებს, ცოლს, შვილს, დას, საცოლოს.

ან და თქვენ სეირნობთ თქვენ დასთან, დედასთან ნათესავთან ან და ლამაზ ქალიშვილთან, ვილაცამ, მათ მიმართ წამოისროლა უზდელი შენიშვნები თუ გინდ სულელური გამოთქმა, ნუ თუ თქვენ არ შეგვრცხებათ, რომ თქვენ არ გაქვთ საშვალება, დაიცვათ თქვენი თავი შეურაცყოფისაგან მართლა დაიჯერო, რომ თქვენ არ ალელდებით?

ჩვენ გასწავლით კრივს, ხანჯლის, ხმლის ხმარებას დაცვას ფოსტის საშუალებით. აუარებელი ჩქვენი მსმენელები გვიგზავნიდენ ჩვენ, მადლობის ნიშნათ სხვადასხვა სახის საჩუქარს, რადგან მათ რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ, საშუალება მიეცათ, თავის კეთილშობილური გრძნობა დაეკმაყოფილებიათ და საშიში მოწინააღმდეგე დაეშარცხებიათ.

გაკვეთილები იწყება სრულიად ჩვეულებრივ საფეხურიდან. ფილაზე დადექით მარჯვენა ფეხის ქუსლზე აიღეთ, სინათლე, აიღეთ სარკე და რამდენიმე წუთის განმავლობაში ათას ერთჯერ შესუნთქვა მოახერხეთ... გული წინ გამოსწიეთ მუცელი შესწიეთ ნელე თქვენ მიაღწევთ, იმ ადგომარეობას, რომ საშუალება მოგეცემათ თავდაცვა და იერიში აწარმოოთ. თუ გინდ თქვენ წინაშე მოურიგებელი და რეგვენი ვაჟკაცი იდგეს.

პატივცემით: პროფესორი თავმოყვარეობის ქუჩაზე ჩოჩაგია. მისამართი. რედაქცია, „კომბოსტო" ქალ. დიდგანი ქუჩა „ლენინი" 13.

> გაიღიმე ჩემო მეფევო, მხოლოდ შენ შეგიძლია
> გაანთავისუფლო საქართველო!!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიოლოთ 1905 წელს დილის 11 საათზე განდაბიას სასახლეს მიადგა ბლაქერიანი ფოსტალიონი, და მთელი თავისი შეგნებით მოუტანა განდაბიას ბუნიერი: 11 საათზე და სამ წუთზე თავად განდაბიამ მოწიწებით გახსნა.

მამულიშვილ თავად-აზნაურთა „სასარდლო“ საქართველოს სადარბაზო არისტოკრატიულ სახელმწიფოს აღსადგენათ.

ნის მაღალ-კეთილშობილებას ტარიელ ავთანდილისძე განდაბიას.

მამულიშვილ თავად-აზნაურთა სასარდლოში, ა. ს. ა. ს. გეგმა უკვე წარმოდგენილი და მოწონებულია თავად, თ. ორბელიანის. თვ. გიორ. დიერისგან, თავად. მუშტა ამირხელისგან. 20 ოქტომბერს 1905 წელს. ქალაქ დიდგანში დანიშნულია არაჩვეულებრივი თათბირი გეგმის გარჩევისათვის, საქართველოს არისტოკრატიულ სამეფოს აღდგენა დარბაზობის პრინციპის პროექტი შეიცავს. 1. მუწათა და გლეხთა დალუპვა 2. 1790 წელს რუსეთს და საქართველოს შორის დადებულ ტრაქტატის მონახვა 3. დახმარება რუსეთის განადგურებაში.

სასარდლოს თავჯდომარე სოლომონი ყაფლანის ძე აშორდია.

12 ოქ. 1905 წლ.
დიდგანი, სასახლე.

— ტინც—ტანის არა ჩვეულებრივი შერხვევით გამოსთქვა თავად განდაბიამ. ბუხრის მარცხენა კუნჭულში გააფურთხა.

ხელები ხანჯალზე ალარ ეწყო

პირჯვარი გადისახა წმ. ნინოს ხატის წინაშე. ჩაახველა ყანწებს წკიპურტი გაკრა. სადილი მოითხოვა. ცოლი გვერდზე მოისვა და ბიბვდა რომ ბისი გული გაშალებით ფეთქს ეროვნულ იდეალებისთვის.

აივნიდან ხმა-ამოფხეკილმა ბრძანება გასცა ცხენის შესაკაზმავათ და რადგან თავადს ამ ქვეყანაზე არაფერი აო აკლდა, იგრძნო თუ როგორ დაბწვრათ უყვარდა მას თავის ცხენი, ხანჯალი, ახალუხი.

ახ! ეს დილა როგორ კარგი იყო

ცოლს, ჭამისგან მუცელი გამობეროდა. ამიტომ განდაბიას ახალგახლობიდან დაჩემებული ჩვეულება ცხვირზე კოცნისა ვერ მოახერხა, საბაგიეროთ დაუკოცნა გამოწვიდობებისას ყვახვით ძუძუები. ჩაიბინა კიბეზე ნოხატა მამულიშვილი მამულიწვილურ ცხენს და გაუდგა გაზას. რისი მოწმეენიც ვიყავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეოთხე.

საიდანაც გაიგებთ, უფრო მეტს ავტორისაგან იმ შენობის შესახებ რასაც ქვია კაფე, „სოციალი“ თევზაძის; სადაც ხშირად შეხვდებით ბელეტრისტ პავლე ეკატერინეშვილს პოეტს ლევან ცეცხლაძეს. პარტიის ლიდერს რაჟდენ ქადაგიძეს. ჟურნალისტებს, ქრონიკორებს, პროპაგანდისტებს, ავტონომისტებს, ტერიორისტებს, გარდა არსენ ჯორჯიაშვილისა, აფრასიონ მერკვილაძისა კოტე ცინცაძისა და სტეპკო ინწკირველის.

1. კაფე როგორც ასეთი.

მე თითქმის ვიცი კაფე—ეს აღმოსავლეთური ცუდი ჩვეულებაა უმიზნოთ ხეტიალი, დროს დაკარგვა, თავის ავსება ჭორებით, გაზეთის ცნობებით, რეკლამების და ქალების სენსაციით, შეიძლება ეხლახან შემოსულ ქალში თქვენ იცნოთ პროსტიტუტკა, რომელიც ასე ნათლათ და ბავშურათ იღიმება თითქოს ბოროტება არ შეხებოდეს. და თვალი მოკრათ ორი ბატონის ხერხიანი ვაჭრობას ყოველივე ეს მართალია.

მაგრამ იყო ხანა (1905 წლის შემდეგ ეს გაუმეორდა როგორც ვიცით) როდესაც კაფე „სოციალი“ წარმოდგენდა უფრო მოუბეზრებელს, ვიდრე აუდიტორია. უფრო უმიშარს, ვიდრე კონსპირატიული კლუბები, სტამბები, ტეროორისტული ორგანიზაციები.

> გამაგრილეთ მე ცივი ღვინოთი, ვაშლით რადგან—ეიხრავკი თანადროულ უსამართლობით.

„სოციალი“ ღირშესანიშნავი კაფე იყო ცნობილი მთელს ტფილისში, თავის ქიშმიშიან ჩიხითბით, ლობით და კაფეს პატრონის სახელობის კერძით „თევზაიათი“.

აქ მუსიკა აჯადოვებდა რედაქტორს, ლიდერს პარტიისა. სახალხო ტრიბუნი პირველად აქ სწავლობს სიყვარულს საყვარელ არსებასთან, აკადემიკს არ აღფრთოვანებდა, წინასწარმეტყველთა ლაკონიური დასკვნა, ფემინისტი გატაცებული იყო—კოკეტკით ემანისპატორები—მეუღლით და სხვა.

შეეტაკებოდენ ჭკუა, ცოდნა, გამოცდილებანი, ხანდისხან შეურაცყოფასაც აყენებდენ ერთი მეორეს. ზოგჯერ შეშინებულნი ერთი მეორესაც გაურბოდენ.

მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ეს იყო ჩვეულებრივი სარდაფი, რომლის ჰაერი გაჟღენთილი იყო ელექტრონის ცოცხალ სინათლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწრიეთ

პაპიროსი „პროგრესი"

ქარხანა, ბინიატ ოლლი ბათომი. 10 ცალი—10 კაპ.

ღამის 11 საათი. მოლარე ქალი წერილს სწერს ვილაც „გიორგის". ლაქიას, მაგიდაზე სძინავს! შეზიდიან: ექიმი ერთელია. მუსიკოსი ფილიმონ ქორიძე, რომელმაც ეს ერთი თვეა რაც ნოტებზე სწერს რევოლიუციონურ სიმღერებს.

ახლო ფანჯარასთან მაგიდა. შეექცევიან. ყანგვით მუშა. „ცოცხალი ფოსტა" იმერეთის ცენტრალურ კომიტეტის.

შემოსულთ ქალი იხმობს.

— ჩვენ აქ ვართ ყველანი.

— ესეც აბზანაგი ვარდენიძე სასწრაფო საქმეზეა ჩამოსული! მუშაა.

— სხვები სად არიან.

საათამაზო კაბინეტში, მგონი რაღაც დიდს სწევენ.

— თქვენ არ ეხმარებით?

— არ გვცალია, პროვინციის ამბებს ყვება.

გაზეთი „ნაცრისფერი მიმოხილვა"

ერთელია კოსტიუმის ჯიბიდან იღებს ოქროს პორტსიგარს. ქორიძე პაპიროს პირდაპირ ჯიბიდან ამოაძრობს.

— რა შესანიშნავი პორტსიგარია? სრულიად უბრალო, არც მონოგრამები, არაეითარი ბანალური მორთულება, თავიდან ბოლომდე მატერიალი, დიდებულია! გაფხაჭნილიც რომ იყოს ბევრს სილამაზეს დაკარგავდა! ამბობს საპაპიროსეს მუშას აწვდის გასასინჯავათ. ის ზდილობის და მიხედვით ხელში იღებს რამდენიმე წუთს უკავია და უკანვე აბრუნებს

— ეს ჩემთვის სრულიად არ არის საინტერესო!

— ბატონო ექიმო — გუვერნიორის ტონით ივლიტა — თქვენ არ ხართ მართალი. მარტო თქვენ არ მყავხართ მხედველობაში. საერთოდ მუშები კიდევ ვერ მოსცილებიან ჭრელა ჭრელ სილამაზეს, ყელში წაჭერილ ვარდებს და ამ სახის სხვადასხვა ესტეტიურ ნივთებს. მგონი თქვენ შექმნილ სახელმწიფოში სრულიად აუტანილი იქნება ცხოვრება, თქვენი მოდებისა და ხონურ სტილისაგან.

ვარდენიძე სუფრიდან სდგება. იმასაც უნდა მოუსმინოს, რას ლაპარაკობს ივლიტას მეუღლე.

ერეკანელი

რაც ლენინსაც ქადაგიდა თავმჯდომარეობდა ეროვნული ტიულ კომიტეტისა. საუფლელი საყოველთაო საგალ-დებულო პირდაპირი და ფარული არჩევნები. სოციალ-დემოკრატი ინდივიდუალისტი, ოპოზიციონერი ევოლიუციონერი. ეროვნული რევიზიონისტი და დირექტორი გურიის ჩაის პლანტაციის „გურიელი".

მასაც უნდა მოეხმაროს აბუევაში. ბოთელიას საერთოთ არ სცალია. ქორიძე როიალს უკრავს.

წვიმა ხმაურობს. ქუჩის სუნი სდგას. ყვითელი სინათლე დაბაბს მკრთალათ ანათებს. მუსიკოსი თითებით აკვნესებს ჰანგებს. „იმპროვიზაცია" „ედემის ცარდო" ფიქრები გრძნობები მუსიკის ტკბილ ხმაში იხლართება.

— რა ემართება!—ქალი.

— ალბათ ამინდის ბრალია—ბუშა.

2. მე ბარბაროსობა მეზარება.

— თქვენ ახალი ნივთი წეგიძენიათ?

ეჭინი ხელით აჩვენებს. მედალიონს რომელიც ოვლიტას ხელზე კისერზე წვრილი ძეწკვით კიდია.

ყელს ცხვირთან მიუტანს:

— ნაბეთ.

ეჭინს უფეში ხელი აქვს, არ წეუძლია მედალიონის გალება.

— ვერ, იცაბი?

მკერდს ამოკვრია თეთრი არწიები, ხელს დაადებინებს.

— ფოტოგრაფია?

— გახლავთ.

— ქმრის?

— არა

— პატარა?

— დიახ! ჩემი ბავშის.

იღებს მედალიონს და იხრება ეჭინისკენ. ნამეკალი ფიქრობს რომ წეიძლება დაუსახოს ყელის ქვეცით პერანგის არშიები. მით უფრო კარგი—თუ თეთრს გულს.

— ნუ თუ ეს მშვენიერება არ არის?

ეჭინი დაბნეულია.

— .....შეიძლება!

— ახ!....თქვენ ბარბაროსები ხართ, ნუთუ არ გიყვართ ნივთები, მორთულება. მე ადამიანს ორ ნაწილათ ვყოფ, ბარბაროსებათ და ადამიანებათ. ბარბაროსები

ეს ის ხალხია რომლებთაც არ შეუძლიან დასტკბენ ნიკოთებით, [illegible]
ო! როგორი ბრძნული სიტყვებს ისვროდა მისი პირი სისხლიან [illegible]
გძელ მოქნილ ნაჯ ხელს გულზე იდებს, მდიანზე გადაწვება და აზმორებს.

მე არ შემიძლია ცხოვრება უფუფუნებოთ—ეზავშოთ!

3. კომიტეტი ადგენს.

ბანკის ოთახის კარები იღება. დარბაზში შემოდიან ადგილობრივ რ, ს. დ. მუშათა პარტიის მეუმცირესთა კომიტეტის თავჯდომარე რაგდენ ქადაგიძე. კომიტეტის წევრები: ვექილი ბენდუქიძე, მუსიკოსი ქორიძე. ბანკის ბუხგალტერი ცუცქირიძე. წიგნების, მალაზიის პატრონი: მეავწყნარიძე, „ცოცხალი ფოსტა“ მუშა ვარდენიძე.

— სალამი ექიმს. მომილოცავს... ნომილოცავს.

— რასაკვირველია მისალოცია. კომიტეტმა დაადგინა, მეორე რაიონში სახელმწიფო დუმის დეპუტატის ნანდატი გეკუთვნის თქვენ.

— სისულელეა მე მგონი რომ მანდატი ეს თქვენ გეკუთვნის ბატონო რაგდენ.

— დამშვიდდი მეგობარო—ლიბერალობს ქადაგიძე. დაჯექით, რად დგებით ფეხზე, კომიტეტის დადგენილების მიხედვით და ჩემი სურვილია რომ მეორე რაიონში თქვენ იყოთ ამორჩეული.

გრანდიოზული ფიგურა ადვოკატის, მოძრაობს, იღებს ხელს ჯიბიდან და ექიმს ბეჭზე ადებს.

— რასაკვირველია, მეგობარო დოქტორო, რომ კომიტეტის. დადგენილება რაიონულმა ორგანიზაციებმა უნდა განდასინჯოს.

— მგონი იქ მონახავენ ჩემზე უკეთესს.

— მეგობარო ერთელია, ჩვენი გადაწყვეტილება სავალდებულოა, ჩვენ გაძლევთ უფლებას მხოლოთ თქვენ. ვექილი თანდათან სხვილდება. ექიმს ლაპ ასტკივდა მხარი.

— მეგობარო!—ილიტა—ექიმო, ნუ შეშინდით, ვერ ეყურებთ, შენ მხარეზეა ჩვენი მეგობრები ყველაფერს მოგიწყობენ, დაგეხმარებით.

დარბაზი კაფეში. ეს მოყაყანე, მხიარული ხალხი სიტყვა-პასუხში ნოსწრებულები. გარს შემორტყმიან ექიმი, ერთელია შიშმა აიტანა. მას უნდა დაეცეს იატაკზე და იტიროს ამავ დროს განძრევისაც ეშინია. თავის თავზე, ვილაცას თვალებს გრძნობს, გაბრაზებულს ფართოს როგორც მაზუთის ბაკს ეს ის პროვინციელი მუნა. წითელი რაზმის წევრი. წარბები შეყრილი. მუშტძარღვები დაკუმშული.

„ეს! ინტელიგენტო ძაღლებო!“

ერთელია შიშმა აიტანა. უნდა რომ მივარდეს ქადაგიძეს, ლიდერი გვეოდზე, გაიხმოს, კუთხეში. მოახსენოს—რომ იგრძნოს მისი გულკვეთილობა მისი თვალების მფარველობა.



ᲛᲔᲥᲠᲘᲒᲔᲚᲘ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲘᲒᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲘᲜᲒᲚᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ხელზე ვილაცას ნახი და ცივი ბელი ედება.

— ნუ შეკრთით! ლიმილით ამობს ივლიტა- ლოკო.

ჩენის მხრივ დაგუხმაირები: ქალალდებით, წიგნებით, ლიტერატურით.

— ნე ფულით.

1. ერთელია განიცდის ტკბილ გრძნობებს.

ალბათ სამის ნახევარია. ბნელი ქუჩით ბრუნდება სახლში. ქალაქის ნთელ. ვარსკლავები. და ქუჩების ხეულია ბეიზაკი. როგორც რედაქტორი ოცნებობს.

„წემოქმედება ასეთი, ნაკოფია მხოლოდ ტანჯვის, აღუფსხული თანამედროვე სოციალურ უსამართლოებით, ან ხელმეტი დოზა წიწაკასი, ან ჩანგლის წვერი და სხვა ხერხი თანდოული, რასაც რედაქტორი არავის უმხელდა ამის მიზეზი იყო, რომ ჯერ თბილისში, ბაქოს თათარ-სომეხთა ქლეტა არ სომხდარიყო რომ დაწერა ფელეტონი „თუნდ ჩვენ ყველანი ბგხავრები ვართ".

ხელში ტროსტს ატრიალებს, განზრახული აქვს დასწროს სახლში მისვლისას მოწოდება. საჭიროა თავს ცალი დაატანთ ერთი საათით უყურო, ბანქანა Werk Ligsburg. ათ ნაბიჯში თითო წინადადება. ასე დაიბადება წერილი გაზეთ „საქართველოს მეცხლის", რად გვიდვარს რუსეთი ან და ინტიმური წერილი „ქრისტე აღსდგა". შეეპარა ეჭვი დეპუტატობაში, ეიქრობდა, თავის თავზე. საეჭვო ფაკულტეტის დასრულებაზე. სოფელში ეხლა საიეუბოთ მიდიან, თუ არ მიდიან მეზადა ჭამენ. თუ მზადი არა შეიძლება გონორარით სოკოს იყიდის და ზედ ნაკვერცხალზე მიაჯენს როგორც ფუტკარი ყვავილზე, როგორც ბიანჩველა ნამცეცზე. ერთელია მალალი. დიდი ცმით, ბატარა ცილინდრით, ნთვარე, ლრეტლები, და სასადილო „იმედის" პრეისკურანტის წორის იდგა და ოთახში შესვლის წინ ფიქრობდა ნეულლებზე, რომელნიაც წაიკითხა ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი. „ორი ტაქტიკა" და სხვა. გახდა კატო მიქელაძის წოწაფე ფიქრობს, რომ მისი მეგობარი. ეელა სახეშია, და არ ახსოვს ქმარი, რომ ვახშამი და ლოგინი მისთვის არ არის მზად.

ᲐᲮᲡᲝᲕᲜᲘ. ერთელია ფრთხილათ ალებს კარს. ანთებს სანთელს, სალამურ ბერანგს იცვამს. დღეს არც სცალია მარქსია „კაპიტალის" კითხვისთვის. ვახშამი ყოველ-დღიური, რომელსაც ექიმი მუცლის გასაზდელათ შეექცეოდა უყურადღებოთ დასტოვა. ცოლის საწოლ ოთახისკენ გაეცართა. ცოლი იწვა მოკუნტული თითქოს სციოდა, გამხმარი როგორც სისხლელე. ან და ხოლოგიური ტიბი უჭმელობის. ტიტველი ბეჭებზე ბერანგი არშიებით შეეფარებინა უკმაყოფილოთ ბორგავს ბალიშზე თითქოს თავის დაცვა უნდა. იქნება სანთლის სხივები უშლის. გადაბრუნდა მეორე მხარეზე კვნესავს.

— მარო! მარო!...მე დეპუტატი გავხდები.

ახალგაზდას სახე შეწინებული აქვს. გახელებული. წარბები შეკრული. პირი გაღებული. თვალები წირპლს ამუშავებს.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მარო... მე დეპუტატი ვიქნები.

მაროს სძინავს.

ერთელია იხსნის გალსტუკს.

— ეძინოს—ეს არის ცოლქმრული ცხოვრება, ხვალ დილაზე დაეწვამ ბებელს, საქორწილო გაზეთს . . . . . .

ეს ვინ არის? რედაქტორი იღიმება პოეტ ელისაბედიშვილის დანახვაზე.

— მეგობარო პოეტო გუშინ რევოლიუციონერი დახვრიტეს დასწერე ლექსი. თუ ვინმე შეადგენს სტატისტიკას ტრამვაის მგზავრების შესახებ ან და მზარეულთა აუტანელ პირობების შესახებ მე!—ბატონო, რედაქტორო, გახლავართ სიმონ გულისაშვილი. საქმე ასეთია; ლაქიამ გალახა კატა. დაზარალებული ითხოვს 333 მანეთს. თქვენ როგორ უყურებთ ამას ნუ თუ „მუშათა განთავისუფლება თვით მუშების საქმე არ არის“ ან და თქვენ მიფრინავხართ ამერიკაში ბუერების დასახმარებლათ. ან სინაის მთაზე.

რედაქტორი იღიმება და ყველას სალამს აძლევს,

— მეგობრებო გთხოვთ ნუ მაწუხებთ მე ხვალ დეპუტატი ვიქნები. წინადადება 16 მარცლოვანი, 17 მარცლოვანი 18 მარცლოვანი.

მოხელეები ირონიულათ იღიმებიან და კალმის ტარებს წმენდენ ერთელია ფიქრობს, რომ მათი გულის მოგება შეიძლება ჯამაგირის მომატებით, ან შვილების დაზღვევით. გთხოვთ დასწეროთ მოწოდება, მიკიტნებისათვის, რომ ხმა მისცენ ერთად ერთს კაცს ჩასწერეთ რომ ის მომხრეა რუსეთში იბრძოლოს და თქვას სიტყვა ზომიერათ ღვინის ხმარებაზე. თქვენ მგონი ვეგეტერიანი ბრძანდებით. სახე ყველს მიგიგავს. ერთელია ორაზროვნულათ იღიმება.

— არა ამხანაგო! მე გახლავართ.

გიორგი კლიმენტის ძე ერთელია ეჭიმი: სიფილისის. ბავშთა სნეულობის ყურის. ცხვირის. თმის. ყელის. შინაგანი სნეულების. ქალის სნეულების კანის. ქირურგი. აპენდიციტის. ბუასილის. კიბოსი. მარქსისტი. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი. რედაქტორი. ბაქოში ტეროორის მომხრე. ლინგვისტი. ასტრონომი. გეოლოგი. პაციფისტი. მშვენიერების კრიტიკი. დრამატურგი. ბელეტრისტი. პატალოგი. პედაგოგი. ოკულტისტი. თეატრალი. მახისტი. და უბრალო მოქალაქე. ვიწონი 6 ფუთს. ვუდრი 13,456 თეთრ. კენჭს. ქმარი მარო ერთელიასი.

თავმჯდომარე პირს აღებს—ამხანაგო ერთელია, ძლიერ ვწუხარ თქვენ მდგდმარეობას, საბანი ტანზე უნდა შემოიკრა, კენჭები დაგცვივდება. ერთელია შეშინდა. თმას ითვლის. გადის ერთი საათი. თმა 3 360 კენჭს უდრის. სწორეა არც ერთი კენჭი არ დაკარგულა.

— ბატონო თავმჯდომარე ნება მიბოძეთ, თქვენ ფიქრობთ მილერზე ლორდ ბაირონზე ან რეშეტნიკოვზე—ჩემს წინააღმდეგ არც ადგილობრივ ხელისუფლე-

ბას, არც მუშათა წრეებს, ინტელიგენტებს, პედაგოგებს, [illegible] აქვსო. ჩემი ცოლი მარო, რომ აქ იყოს დაინახავდით [illegible], რომ ყველაზე უფრო დიდი გაბეი მე ოითონ ვარ. ფეხები 1,500 კენჭი. თავი 7,600. ხელები—60000 გულ-ბოყვი 9,000, უკანალი, ბარკლები, 17,000 ერთი სიტყვით საქართველო მე ვარ.“ „თავი შეიხვია მიტკლით, პირი დაბუწეთ. ქერტლი დაამაგრეთ. გარეთ არ გახვიდეთ.

ტრამვაის, მუშები აბრუნებენ „რას გაფიცულან“ რა ულრიანი დროს იციან ყველაფერი მე პირი მაქვს ახვეული ვერც ცოლს ვკოცნი, სიტყვის თქმა და დამშვიდება ზედმეტია. რა იციან. რომ ქალაქ თბილისის ტრამვაი № 1 ჯის ექიმი ერთელია რომელიც საქართველოა—საჭმლის კანგამოკლებით. ვიმოგზავროთ შარით. ახ! თქვენ კავკასიონო! ოერგო!! ოვერიის“ კანტორა. დარიალი. ეფენჯიანცის ქარხანი ორიტორიის სკოლა. საბებიო ინსტიტუტი. მე თქვენთან ვარ დეპუტატი პირველ რუსეთის სათარბიროსი.

მეორე დღეს ერთელიამ გაიღვიძა ჩვეულებრივ 10 საათზე ცოლიც და მოსამსახურე ბოგოც გაკვირვებულ იქნა მის არაჩვეულებრივ ძილის პოზით. საბნის. ლების. ბალიშების მუოაქის ქვეეთ სიმწრის ოფლი სახეზე ჩამოდიოდა. და გაფიცრებული ტუჩები ასპირინს მოითხოვდა.

ნ. ადამიანი, რომელიც უკმაყოფილოა.

ღამის 4 საათი. კაფე „სოციალი“ დარბაბი. ღამე ჩვეულებრივი ნიკოლოზ მეორეს დროის. მუშა ვარდენიძე არ ფიქრობს არც ჭამაზე და არც დარბაზის დაცლაზე. აშკარა უკმაყოფილობის ჟესტებით მოძრაობს კაფეს პატრონი. ლაქია.

ილებს ბარათს კითხულობს:

ამხ.

გაცნობებთ; კომიტეტი პარტიული ორგანიზაციები უდგება არჩევნების კომპანიას.

პროვინციაში, პარტიულ ორგანიზაციების ნოვალეობა, ხელახალი აღრიცხვა და შევსება მოახდინოს, პარტიის წევრებისა და თანამოზიარეთა. პარტიაში მიღეთ ყველა და ყოველივე ჯურის მოქალაქე. ეხლა საჭირო არ არის რეგოლიუციურ გამოცდილების მქონენი. საჭიროა უმრავლესობა და ხმა.

11. აფრასიონ მერკვილაძის რაზმის შესახებ: ზესტაფონის კომიტეტის ბეჭდის კონფისკაციის შემდეგ, ჩვენ საშუალება არ გვაქვს რაზმს პოლიტიკური სანქცია მივსცეთ. რაზმი დაიშალოს და აფრასიონი კოლია თომა გამოცხადდენ ტფილისში. ცენტრში. დანარჩენ შეკითხვებზე. ამხ ვარდენიძე მოგაწვდით ინფორმაციას.

ტფილისი. 1905 წ.

ვარდენიძე დგება. მუშტს სჭიმავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ინტელიგენტი ძაღლები"

ქუდს ჩამოიფხეტს. ისედაც ანგრეული ფიგურა, აღელვებისგან ... იკუნტება უცებ მიანთვალ-მოანთვალებს დარბაზს.

შეკრთება. საჩქაროთ კარებს აღებს და ბნელ ხვეულებში გაეხვევა.

ნაწილი მესამე.

აჯანყება.

ნაპერწკალი რასაც კალამი აგვიწერს.

1. ლობე-ყორეს ხელში დაეჭირათ სოფელი. შეიძლება არ ისმოდეს ძაღლის ყეფა. ეს ლრუბლები გავს გაშლილ ქალწულის თმას. იყურება გულჩვილი, აღელვებული ზზე პირველი გაზაფხულის. ველები დაკრულ ხეებით, მკრთალ მწვანე ნისლით. გრძობენ რა ხეები მოვალეობას სიოს წინაშე გატიტვლებულ ჰორიზონტზე ირხეევიან გამობერილნი. ხევზე დასხმულა ახალგადზა ფესვები ჯინჭარის, ეკლის, მაყვლის.

გზა ფართო, ყოველთვის მიმავალი ეკლესიისკენ! არავინ სჩანს. ოთახში ალბათ ხალხია. სახლების თავზე კვამლია, სათეს მინდორში ალბათ მუშები. სახნავ ველებზე ხარები ალბათ. არავინ არ სჩანს. მინდვრებში სამეურნეო იარაღია დაყრილი. ჯაჭვი ძაღლების გაწყვეტილია. გობი ოთახში თუ არ არის ეზოში გდია. მიტოვებული. გაქცეულის.

ეს სოფელი გავს დატოვებულს.

უფრო დიდი ნაპერწკალი, ფაქტი.

1. იქნებ შეამჩნიო მკითხველო, ბულბული, აფრენილი მიწიდან შეშინებულათ გალობს. ნეტავ რის ეშინიათ ტოროლას, ბატს, გოჭს.

ხევს მოსდევს დალმართი გზა. გზა მოადგება სადგურს. სადგური სჩანს ბარაკივით. საეალდებულო: დაშორებული იყოს სოფელზე. არც უტილიტარული. ვაგონს არქმევენ „სტანციის ნაჩალნიკა" „პარაოზა" ეს ქალს ეკუთვნის. საჭიროა ერთი ალმართი, ერთი დალმართი, განზე გახვევა, მერე ალმართი სადგური და გარშემო ტიტველ მინდვრები, არც ერთი სახლი არც ადამიანი.

2. გამოჩდა ქალი. გამონაკლისი. რამოდენიმე ხნის შემდეგ შემოკრა ხარას. კიდევ შემოკრა. განუწყვეტლივ და კიდევ თითქოს შველას ითხოვს.

ის წავიდა. ავტორს აღარ უნახავს.

სადგური გაჩუმდა.

ხმა მისწყდა.

სევდის სიმყუდროვე და „ცოცხალი ფაქტის ბრძანება. პირველი.... მეორე.... მესამე... კომიტეტისგან.

გაჩუმდით.

ნაბიჯი, რომელიც უშიშრად გადაიდგა.

1. კორტოხზე გაჩოჩდა ჯგუფი ადამიანების. იქნევდენ ხელებს კამათობდენ. მუშტებს სჭიმავდენ. ერთი აწაღლდა თავი მთის იქეთ ღრუბელს გაუსწორა. ხელს იშვერს სადგურისკენ. გამოემართენ. მამაკაცები. ქალები. ბავშვები. ერთ ქალს ახლათ დაბადებულ ბავში ყავს აკვანილი ალბათ გამოქცეულია. შეშინებული, ხედავ, ხელი-ხელზე, ბეჭი-ბეჭზე. დედამ ბავში გულზე მაგრათ მიიკრა და ფეხი მოსტეხა. წინ დედაკაცები, შუაში მოლუნული მამაკაცები უკან ქვალიშვილები და ბავშვები. მოადგენ სადგურს. წინ მოეგებათ დამხდურნი, რომელიც აოსად სჩანდენ აქამდე და არვინ იცოდა მათი ყოფნა. ისენი იყვნენ ვაჟურ დეგებიანით და სიცილი ხელებს ზლიდენ დასცინოდენ შეშინებულთ.

— ისინი მოდიან! ყვიროდენ ბავშვები, უფრო ქალები და პწკენით დალილავებული ბავშვები.

— ისინი მოგვდევენ ნარტო ჩვენ, ქუსლის ძირში.

ნაირ-ნაირი ექსპერსია შეშინებულ გულს.

დამშვიდებისთვის დაიბარჯა 100 სიტყვა.

დამხდურებს მოსწყინდათ მათთან საუბარი. აღელვებული გასცქერდენ გორაკიდან ქალაქის დაბლობს.

ცეცხლი შორიდან.

გვარდნა ბერლენკის, ნაგანას, ბერლინ გერმანიის. ვებლისკოტ,

— იარაღი საიდან აქვთ,

— არა.

— ეს ხიდეებია რომელსაც ისინი ანგრევენ.

— აქედან ხელის გულივით ყოველივე ხედება.

— ნასაკირალზე გამაგრდენ ალიხანოვი თურმე იქ გაიელის.

— ეს ჩვენებია მართლაც—მგონი ეს მალე არ გათავდება

— აი ეს ჯარის-კაცები, რომ კისერზე არ გვაჯდეს?

— ამხანაგებო. ერთ დღეს დავიბადეთ, ნახევრათ. მოკვდეთ მთლიანათ, თავისუფალნი. თუ გამარჯვება არ იქნება შურისძიება ჩვენ ხელთ არის, ჩვენ იქ წავიდეთ ქალაქში. ჩვენც ვიბრძოლოთ ჩვენი მიწებს რომელიც არ გვაქვს ჩვენი ოჯახის, ღედელ-თავადებისგან გადასარჩენათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბებერო ღმერთს ნუ სთხოვ შველას.

— ახალგაზდა, მწიფეს ესოდენ მკუხე ცვიოდა, გაგიგონ[illegible]

— ქალაქში დღეს ყოველივე გადასწყდება. დარწმუნებული ვარ რომ მოვიგებთ გამარჯვებას.

— ცუდი ხასიათი გაქვს რას იკინი.

— დღეს მატარებელი თუ იქნება?

ყველამ გაიცინა.

— ნეტავ დღეს, წუნკალი კრისინოვი თუ ამობობლდება თავის ჩაფრებით.

— ყველანი სოროში შეძვრებიან, თაგვებთან სადარბაზოთ.

ვინც სიცილი დაათავა ამბობს, სიცილის დრო ეხლა არ არის. ბათომში მუშები გაიფიცენ.

შავი ქვის მთხრელები ერთი კვირაა რაც არ მუშაობენ

შუქურთში და მთელ გურიაში გლეხებმა მიატოვეს თავადების სახნავ-სათესები.

ლვდლის გადასახადს ალარ იხდიან.

რკინის გზელები ამობენ.

— აკყაროთ ლიანდაგი.

გაიგონეთ! დაარსდა თავად-აზნაურთა მილიცია, შეიარაღებული უნდა დაიცვან მამულები და სიცოცხლე.

— ძაღლები.

ისინი ეცხადებიან მუშებისა და გლეხებთან საბრძოლველათ.

ქალაქიდან ჩამოვიდენ, ჟანდარმები, ჩაფრები, ჯარის-კაცები ლაპარაკობენ, დარბიან ფუჩუნებენ, თბრიან თხრილებს.

13 დეკემბერი. საღამოს 5 საათზე ქუთაისში სამი მოწაფე მოუკლავთ.

7 საათი, ნემიროვ-დანჩენკო ცოცხალი იყო სიტყვა სთქვა უწყინარ პოეტების ყრილობაზე. რომლებიც ხელოვნების თავისუფლებას მოითხოვდენ „ქვეყანაზე არ არის იაეთი გახრწნილი და დაბეჩავებული ერი როგორც რუსეთი".

4 საათი. სომეხთა კათალიკოსი უქეიფობის გამო თათარ-სომეხთა ხოცვას ბაქოში ვერ დაესწრო.

3 ს. 15 წ. კედლებზე განცხადება. მთავრობის.

ძველ ოფიცრებს. მისი აღმატებულება შორეულ აღმოსავლეთის მთავარ სარდელი გენერალ კროპატკინი.

პრემია 1000 მანეთის სახით, ვინც სისწორით გამოიკლევს სად, და რამდენი იაპონიის ჯარის სდგას პოზიციებზე და ვისი ხელძღვანელობით? სად იმყოფება გენერალი ნოგი სიიოტიდან-მუკდენისკენ? გენერალ ნოგი ოკუპაციდან-კავამერისკენ. 23 თებერვალს გულკეთილი ფოტოგრაფები ქალაქ ქუთაისისა გაფიცვებს შეურთდნე.

4 საათი ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, პრინციპიალურად სცნო ავლაბარში ქართულ წარმოდგენების გამართვისა. მხცოვანი მოაზროვნე ტოლსტოი კონძულ, სიდონიაზე" გადასახლდა. ამბობენ შინაგან საქმეთა მინისტრათ

ნიშნავენ გრაფ ვიტტეს. შემდეგი შინაარსის წერილი მოუვიდა: „ეს განსჯიდენ, რათა არა განსჯილნი იქმნენ“ თქვენს წინადადებას ვერ [illegible] მიეცა. ფეხწვიშველი. ტყავის ქურქით. ვწერ წიგნს 17 ტომს. „პური“.

თქვენი გრაფ ტოლსტოი.

9 საათი. ცენზურამ ასეთი შინაარსის წერილი დაიჭირა. „თარდები ჩამოუშვით, ლამე სანათურს ნუ ანთებთ ფეხის ფჩხილებზე იარე ან იფოფოთხე.

მაგრამ.... ნგონი ჩემი ოჩევა ზედმეტია, დარწმუნებული ვარ რომ საბში ბრძანდებით. ფანჯრები დაკეტილი გაქვს. სახეზე საშგლოვიერო ფერი გაკრავთ თქვენ დიდი ოჯახის პატრონი ხართ და ეს არის მიზეზი. ამ ბოლო დროს ვინმე ქვდარი გეყოლებათ.—

ან ვაჟი—სტუდენტი.

ან ვაჟი მეუურნე—მუშა გაფიცული.

ან ქალიშვილი გიმნაზიელი.

ან სიძე—სომეხი.

ან სიმამრი—ებრაელი.

ან საყვარელი სტუმარი—ქართველი.

ნათესავი—ტრამვაის ჭოსამსახურე, რკინის გზელი.

ან და თქვენ თვითონ მკდარი ხარ. ინტელიგენტო! თუ გიყვარს ბანკეტები, წერა. მუშა თუ გაიფიცე, ან და ავეჭალაში ბომბს აკეთებ. ან სტამბის ასოები აღმოგაჩდა ჯიბეში სულ რამოდენიმე ასო ბ. ჯ. ქ. შ. რ. ს. დ. ნ. ბ. ან პოეტი, რომელმაც ლექსს სათაურათ „გაზაფხული“. დააწერე ან არტისტი, კაი გრაკხში თუ ითაბაშე და სხვა.

როდესაც ერთმანეთს „თავისიანებს ხვდებოდენ ბაასობდენ. აღელვებულები, გაზეთებს კითხულობდენ. იმუქრებოდენ.

კაცი რომელიც ბრუნდება.

ზორ სოფლის გზაზე, როგორც ზზვერავი, ციდაც ადამიანი გამოჩდა.

გასაგებია, როგორ არის ოჯახი. ბოლო დროს ფული შემოაკლდა გზაზე. მოდის ცივ ქვეყნებიდან. მოდიოდა მატარებლით. შემდეგ ფეხით. წითელი ომი შეიღება. პასპორტი „სასტუმრო ეგვიპტის საგარეულში“ შეიძინა. მოდიოდა ცხენით. კიდევ მატარებლით.

— რკინის გზელები გაიფიცენ ამხანაგო! ეხლა ფეხით მოდის და კიდევ ვერ მიაღწია. ყველა გაიფიცა. ყველას ხელში იარაღი აქვს. შეც ვნახავ ჩემს ცოლს და თქვენთან ვიქნებით

ურჩიეს ფეხით სიარული თორემ ნაგანს წაგრომევენ. ის ცოცხალი ფოსტაა.

აქ ყველაფერი დღესასწაულივით არის. თითქოს აღდგომაა ან პარასკევია. ცხრა დღეა რაც არ უმუშავიათ. უცდიდენ ახალ ამბებს, ცნობებს. დიდებულია კეთილშობილური დასვენება მთვარის ქვეშ ბალახში წამოწოლილი ან წყაროზე ან და გზისქვეშ, ბუდ მოხდილი და პირ გაღებული ეს სულ ერთია მხოლოდ არაფერზე არ იფიქრო.

დაბრუნებულმა დაინახა მოედანი. მოედნის იქით ველები, ველებზე—ჭრილ ფურნის პურივით სახლები. და კანცელარიის წინ ხალხი—სიმტკიცეთ გამზადებული როგორც ვეფხი დაეცა მათ, დაიწყო ლაპარაკი.

— რაზია საქმე, თქვენ ქვეყვით ქალაქში გელოდებიან—გიცდიან იქნებ თქვენ მიატოვეთ ისინი. აი უჯვაროთ! აი გამაძლოობით

— ტოვებთ ანაბრათ—იქ ძირს;—არ ეხმარებით?—ხელს არ გაუწვდით?—თქვენ სისხლს ინახავთ, ჯალათების საწუწნავათ!

ᲘᲕᲝᲥᲛᲔᲓᲐ.

ყუმბარასავით გაეარდა, ატმისფერიდან მოედო ვისაც გული კუჭზე დიდი ქონდა,—ძარღვებზე, როგორც დაწვა. ყურზე—კუჭზე, როგორც ქეზაფი. ტიტველ მინდვრებს როგორც ფონოგრაფი. ეს უკანასკნელი და გადამწყვეტი იყო, თუმც როგორც ერთს გულში ედოთ, ფიქრობდენ ამავეს თქმა ხშამალლა, ყვირილი არ ხერხდებოდა—არ გენდობოდენ შინაურს. მოვარდა უცხო, სთქვა, დაიძახა, ეს იყო საკმარისი—ცეცხლს გული აეკიდა.

ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ.

ეხლავ ამ წუთს.
ქუდზე ერთი კაცი.
თუ გინდ ბავშები. თუ გინდ დედაკაცები.
რაც უფრო მალე, მით უფრო კარგი. ქვეყვითაც ბევრია სამუშაო!!
არავის სახლში არ შეურბენია, რომ ქალს ხელი შეეველო, ბათმანში დაფქვილი მოემზადებია ოჯახობისათვის. ძროხას ზურგზე ტუჩებში, ხელი ამოესვა, ან პურის ნატეხი ჯიბით გაეყოლებია!!! როგორთაც იყვნენ, როგორიც არიან, ისე წავიდენ.

მიდიოდა გზა, გადებულიყო წყალზე ხიდი და ბავშებიც უკან მისდევდენ.

— ბავშებო—უსუსურნი ხართ, წადით სახლში. მაინც მისდევენ. ერთმა ქვა გამოუსროლია. დედებმა ხის საკეცეები. ბავშები შეკრთენ. მაშასადამე უნდა დაბრუნდენ—კოჭებთან, ჩალის ურემთან, ტკბილის კვერთან, ბია ვაშლებთან. გულმოსულნი, ხელებდაჭდობილნი გასცქეროდენ მიმავალთ.

ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲔᲜ ᲬᲘᲜ.

სოფლიდან სოფელში გადასვლისას შარა გზაზე მორბოდენ გლეხები, ხელებს შლიდენ და აღელვებული უერთდებოდენ დიდ ტალღას.

ჩვენც თქვენთანთ ვართ
რომ დავბრუნდებით დატოვებულნი პირში ვერ შეგხედავენ.
არვინ არ ამბობდა სიტყვას, იმერელი არ ხუმრობდა.



ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲒᲘᲒᲚᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

იყო გზა, სოფლიდან ქალაქისკენ ქვევით. კოლქიდიდან გადმოჩდა ქალაქი. მაღალი, როგორც ალელვება.

ვილაცამ იფიქრა რომ, თავები ყველს ჩაუღუნიათ.

— თავები მაღლა.

იყო ველები გადიშლილი, სიმიდის ყანა ვენახები. არავის არ შეუხედავია გზა მიდიოდა პირდაპირ და თავიც პირდაპირ მიქონდათ.

— რა გამბედავი ხალხია ეს გურულები?! ვილაც მეგრელმა იფიქრა და ჩამორჩა უკან.

— მარნის კარები ღიათ დამრჩენია, რამდენი წუწკი კაცი აიშობს ეხლა თავს ვინ იცის?

— არასდროს სახიფათო საქმეზე არ წავსულვარ, რომ ღვდელ ათანასეს ნაკურთხი კენჭი ჯიბეში არ მდებოდეს — მე წევირბენ სახში, ნახვამდის ამხანაგებო, დაგეწევით.

მესამეც. მეოთხეც. მეხუთეც.

— სამუშაო აქაც ბევრია

— ან და მოვკვდეო, თუ სასიკვდილოთ ვართ, ჩვენ საძიკველზე. ასე სჯობია, ვიდრე ქალაქის ქუჩებზე დაეგდო.

ხედავენ სიმიდებს. ყანას, საძოვარ ადგილებს ბატებს და ჭუკებს.

— აგვიტირდება,—დედის სალავათი! შარშან ბოქაულმა ჩემს მკვიდრ ბიძაშვილს ხანჯალი მუცელში ჩაარჭო, წრეულს—სოფლის ათისთავობაც ვერ მიიღო. შორიდან ყურება სჯობია მოვიცადოთ დავზვეროთ.

ადამიანი რომელიც დაბრუნდა, ფიქრობს ოჯახზე.

— ეს კი არის მგონი თამარი?

—ხმ!—ჩაიწმინდა ხმა დაბრუნებულმა კატორღიდან და გადაუხვია პატარა ტყისკენ, რომელსაც სასოკო ბილიკი არღვეედა. მიესალმენ. ვაჟმა უთხრა „გამარჯობა“ ქალმა გაუწოდა ხელი. ცოტათი ცივი, ნახევრათ ალელვებული. ვაჟი იდგა და არაფერს ამბობდა.

— კი, როგორ არა კარგი ამიდია.

— განახე ი ი ქ მოედანზე, სხვა მამაკაცებთან ერთად ყვიროდი შენ მიმინოს გავდი. მე არ მინდოდა ყველასთვის დამენახვებია, რომ შენ ჩემი იყავი!— შენ ქალაქიდან მიდიხარ, შორე აქედან! ალარ დაგიბერენ? ოთხი წელიწადია. შენი უნახავობით დავიწვი,—იცი ვაჟი გყავს!

— ოხ. გმ!

— სახლში ყველანი კარგათ დაგხდებიან. დასუქებულნი დახდილნი!

— კი, მადლობთ. სათონე წაქცეულა?

— ნათელა! ეს მამაა, მიესალმე, ხელზე აკოცე!

— გმ—სწრაფათ გამოსთქვა ესტატემ. ბავში, თითქოს უცხო იყო, მისი ციმბირში ყოფნის დროს გაზდილი, უჩვეულო და უხერხულ ასეთ წუთს ცოლქმართა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიგო ოცი წლის გახდა, დღეს გაყვა ნაჯახით და დანით ჯიბეში.

— შენ არ გამოცვლილხარ?

კი, ის გამოიცვალა, შენი არ ყოფნის დროს, ოჯახს ხელი დააკვდა, ყანაში ბუშაობიდან ხელზე ბეჭერები დააჯდა, ცეცხლის წინ ტრიალისაგან წყალი გამოდის თვალებიდან.

შემდეგ მუსაიფობდენ.

ვაჟი გრძნობდა ეხერხულობას. გაუბედაობას.

— ჯერ მზე არ ჩასულა, და აჯანყებულების ხმა მიეფარა.

— სახში ისევ ორი საწოლია, როგორთაც შენ დასტოვე.

— ნათელა სად წევს?

— ჩემთან.

— გიორგი?

— სასიმიდეში.

— მე გიყურებ შენ, ისეთივე დაბრუნდი როგორიც წაგიყვანეს.

— ეგ არაფერია!. და სრულიად ცახცახებდა. თამარი უპასუხებს, რომ ის თავის ბედს არ ემდურის და მომავალს პირდაპირ შესცქერის. დაიწყო გრძნობიარე მუსაიფი.

ესტატემ ხვირჯინი გახსნა—აი აქ მაქვს, მე საჩუქრები აი! ჩირგვის ძირს გასინჯე, აქ სიცხეა.

ქალს ახარებს წითელი მატერია, დოლბანდი, იჯდა მიწაზე და ფეხები წინ გაეშვარა.

— გმ—ეს ჩულქები ბგონი ქალაქურია.

— არა! მე თვით მოვქსოვე ჩხირებზე, საუკეთესო და ძალიან გძელია, მუხლების ზევით ადის, აი ნახე.....

რამოდენიმე წუთის შემდეგ, ორივეს ესმოდა ბუნდოვანი, ერთმანეთის ჩურჩული.....

— ახ შენ... შენ ისეთივე ის ხარ... როგორიც იყავი.....

ბზე ჩავიდა. შეხვდა ქალაქიდან მომავალ კაცს, ქალი და ბრუნდებიან უკან.

— ჩვენ ეხლა 6 ბატი გვყავს, ოცდაათი დედალ-ბამალი. 8 ლორი ერთ დედალს დღეს დავკლათ.

ქ ა ლ ა ქ შ ი.

აქედან იწყება ქალაქი. უწინ მათ ეშინოდათ ფართე ქუჩების და მოსახვევების. პირველი სახლი სიბნელეს მოუცავს, სიჩუმე, თითქოს ამოუხოცია და ყელ გამოჭრილნი ყრიან ოთახებში.

კარგი იქნებოდა, რომ ვისმეს ვნახავდეთ, გამოვკითხავთ ქალაქის ამბებს.

ჯერ-ჯეროობით აქ დავბინავდეთ.

— ამხანაგებო... ჩვენ ვირქმევთ წითელ რაზმს.

სახლები ერთი მეორეზე გადაბმულან, ლოზუნგივით.

— სარდალი არის აფრასიონ მერკვილაძე

გზა განაგრძეს. ფართო ქუჩებით. გადასახვეე-განოსახვებით ,ოფეთქდა რა-ლაც. სისხლის დანახვის სურვილმა აიტაცა, გულ[illegible]ლა იარაღს ხელს უჭერდენ. როგორც ბარს ან მჭადის გულს. [illegible]

ქვაფენილებზე მოდიოდენ და აფეთქების ხმამ მზეც წეანძრია.

ბალში ხმაურობა. ისმოდა ყვირილი, სტვენა, გინება! იკუმშებოდა მუშ-ტები.

ადამიანები იდგენ აქოჩრილები.

ითასიც...

მთელი ქალაქი. მუშები. გლეხები აქ ბონგროვილიყო.

საერთიერთო ნდობის ბანკის შენობაში არავის არ უშვებდენ.

აივანიდან რამოდენიმე მამაკაცი გადაყურებდა ხალხს. ერთი მათგანი ამბო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დაქტორი პაპიროს სწევს. მდივნის ყალიონი ყარს. ფელეტონისტი მოკვნეტილი კაცია, ღეინის ცარიელ, ჭიქას უყაყანებს მგაიდაზე.

— როგორ შეიძლება აქ მუშაობა?

რედაქტორი ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს. დგება კარებს აღებს.

— გთხოვთ ამხანაგებო, მისალებ ოთახში მიბრძანდით ბოლოს და ბოლოს გაზეთი ხომ უნდა შევადგინო!

რედაქციას ბალში არ აკლდება. მოდიან პარტიული ამხანაგები. კორესპონდენტები. კავშირების წარმომადგენლები, წრეების

კოლექტივების. დეპეშის დამტარებელები.

— მადლობა ღმერთს.

რედაქტორს შენოეხვეიან, ხსნის წერილს. კითხულობს.

მაშასადამე ჯარს უბრძანეს. ხვალ მზათ იყონ. მთავრობა მშვიდობიან მცხოვრებლებს მოუწოდებს.

წაიკითხეთ ხმა მაღლა.

— სისულელეა—ეიცით წინდაწინ. რუსთაველის სამზირი დაკავებული იქნება ჯარით. შეკრება აკრძალულია ამაში ახალი და საინტერესო მგონი არაფერია.....

— მგონი საჭიროა, ხვალინდელ გაფიცვის გადადება.

ტელეფონით ატყობინებს, გაზეთის გამომცემელს.

— შეაჩერეთ გაზეთის აწყობა. მეთაური „გაფიცვისათვის“ დაშალეთ. საგაზეთოთ გიგზავნით ახალს. „ხვალ კი აქა მშვიდობა მალე!

— მაშასადამე ამხანაგებო, ხვალ გაფიცვა არ შედგება ჩვენ სისხლი არ გვინდა.

— მგონი ეს საკაბალო საკითხია. პარტიისთვის.

— მობძანდით კრებაზე. სალამოს 12 საათ. ქუჩა 19 სახლი 7—10 „ხვინხილას“ პაროლით.

მეუმცირესთა არალეგალური კრება.

კაბინეტი. არაჩვეულებრივი კრება. დანიშნული პირველს ნახევარზე. თორმეტია უკვეა, ყველანი არიან, რაიონულ კომიტეტის თავჯდომარე ცერეტია, პატარა ხმელი კაცი, მუცლის კატარით არის ავათ, ყვითელი ჯის კუთხეში და ულვაშებს იგრეხს. რედაქტორს მუხლებზე პორტფელი უდევს, ხელს უჭერს თითქოს იქ იყოს მოთავსებული დოკუმენტები გადამწყვეტი ყველა საჭირ-ბოროტო ნაბიჯების. წითლაძეს სურს, ოთმ იხუმროს.—ნეტავ ბატონო რედაქტორო რა მოგითავსებია? რედაქტორი ხუმრობის გუნებაზე არ არის. გთხოვთ თავი დაანებოთ. ორი კუთხეში ფურჩულებენ წარბებს შლიან, კრების გახსნას თავმჯდომარის მოუსვლელობა აბრკოლებს.

— პირდაპირ, არ მესმის სად ბრძანდება მოქალაქე ქადაგიძე? ლიდერი მგონი უფრო პუნკტუალური უნდა იყვეს ვიდრე ჩვენ, უბრალო მომაკვდავი.

— მეთაური თქვენ ხართ ბატონო ერთელია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თქვენ ნებას არ მოგცემთ, ასეთი პასუხი მომცეთ.

ერთელია აღელდა

— მადლობა ღმერთს რომ დეპუტატათ არ ვარ ამორჩეული ჯერ-ჯერობით, არც თქვენი ლიდეროობა მეპიტნავება, მგონია, რომ თავის მოტყუება აქ საჭირო არ არის, ვერც ვერავის აუხვევთ თვალებს, მე ვამბობ, რომ ამ პარლამენტარულ ჯიბგირობაში მონაწილეობა არ მსურს!

— ესეც ახალი ამბავი, ან რას ნიშნავს ექიმო?

ერთელია გულმოსული ფჩხილებს იკვნეტს, გალსტუკი გაისწორა;

— თქვენ არ გინდათ გაიგოთ, თუ ხალხის განთავისუფლება გინდა. თუ რევოლიუციონერი ბრძანდებით, იქ ქუჩაში გაბრძანდით ხელში იარაღით?

— ძველო მეომარო—ადგომით ამბობს ცერეტია, ამით მგონი არავინ არ შეშინდება, 'მენ მალე დაინახავ, რომ ბრძოლა ასეთი მიქარვაა და მეტი არაფერი.

— ქადაგიძე მაინც არ სჩანს.

ბოლოს და ბოლოს ეს აუტანელია!

წითლაძე ადგება. წყალს სვამს. ჭიქას ხელს უშვერს

— თავმჯდომარეს არც ისე ეწვის გული დღევანდელ კრებისთვის?

— არც მე მესმის ასეთი მოქცევა. მოსაბეზრებელია ცხვირის წევა მაღლა.

— გუშინ ველაპარაკე მუშებს „არ იქნება ხეირი ამ საქმიდან".

— დღევანდელი კითხვა უნდა გადაიჭრას, საკითხი ეხება პარტიის სვინდისს კარები სწრაფად იღება. ოთახში გადამკვდარი რედაქციის მდივანი შემოდის, სახე გაფითრებული აქვს, ტუჩებს ანძრევს და რაღაც გამოურკვეველ სიტყვებს ლუღლუღებს.

— ქადაგიძე... დაიჭირეს... თავის... ოთახში!

ერთელია გაშეშდება. რედაქტორს პორთფელი ფუხლებიდან გადაუვარდება.

— ეს წარმოუდგენელია.

— (ვაი ოჯახო. ჩვენ ყველას დაგვიჭერენ).

— ეს სიგნალია ამხანაგებო!

— სად არის ეხლა ჩემი ცოლი მარო!

— ხვალ მთელ რაიონებში საპროტესტო დემონსტრაცია არის საჭირო.

— ხვალ გაფიცვაც არის საჭირო, რომ თბილის სიცოცხლის ნიშანი ალარ ეტყობოდეს.

ბ. ცერცელია სწერს რაღაცას

— ამხანაგები, აქ აღელვება არ არის საჭირო, ჩემი წინადადება არის ჩვენ ლიდერს გაუგზავნოთ დეპეშა, სამძიმარი

„პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გაიგო, რა თქვენი ვერაგულათ დაპატიმრება, გამოსთქვამს მწუხარებას და დაუსრულებელ თქვენამდი ნდობას. არავითარ საშუალებას არ დავეერიდებით თქვენი თავი, რომ ისევ ჩვენ რიგებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეყავდეს. მონაწილენი ვართ თქვენი მდგომარეობის და გისურვებთ მეხნიერ-ბას.“ სიჩუმე. ერთი მოითხოვს, ვინც ნომხრეა დეპეშის ხელი ასწიოს.

— ტექსტი დეპეშისა გასულია.

შტაბი მოქმედობს.

წინადადება: ძეგლები არის საჭირო, მაგრამ დასაჭერი არავინ არის. შესდგა კომისია, ჩხრეკა-ალმოჩენის. მთელი ქალაქი, მხოლოთ, მუშებისგან და სოფლიდან ჩამოსულთაგან შესდგებოდა. მობელეები გადამალულიყვნენ, ადმინისტრაცია ალარ სჩანდა. მდიდარი ვაჭრები ცოლშვილით გაქრენ. არიან მეწალეები, მეეტლეები, მეთორნეები და კურტნის მუშები, მაგრამ ისინი „ჩვენია“ აფთიაქრის ან ექიმის დაპერა არვინ სცნო მიზან შეწონილათ.

იარაღი მაინც ცოტაა.

რამოდენიმე ვინჩესტერი, რაშოვერო.

უნდა გავმაგრდეთ, იარაღს ვიშოვით.

იარაღი მას, ვინც ხმარება იცის. მოწოდება № 16.

ცოტა რამ შტაბის შემადგენლობაზე.

როდესაც ქალაქი, იზდებოდა, დიდდებოდა ხმური აღელვება. ქალაქის ზედაპირზე. მიწის ქვეშ, არალეგალურ სტამბებში, სამხედრო საწყობებიდან, მაშინ რ. ს. დ. მ. პ. მეუმრავლესესთან ერეკამ შეადგინა ძველი მუშებიდან ორგანიზაცია, შტაბი. შტაბი რამოდენიმე გამოცდილ მუშებიდგან შედგებოდა—ისინი აღელვებდენ, რაზმავდენ აჯანყებულთ საურთიერთო ბანკის შენობის წინ.

რამოდენიმე ხანს მთელი ქალაქი გავსებული იყო გამოწვეულ პოლიციელებით ჟანდარმებით; ჯარის კაცებით.

გამოიწვიეს ნაშინ, როდესაც კი შეემჩნია ქალაქის განაპირა ქუჩებს აღელვება.

ორასამდე ჯარისკაცი გამაგრდა ქალაქის თვითმართველობის შენობაში-

რვა დღე გავიდა. ამაგრებდენ ქუჩებს ბარიკადებით, აბამდენ ეკლიან რკინებს.

გაფიცვები დაიწყო. ჯარი კიდეე ორ სკლის თვითმართველობის შენობას

იარაღის ჩამორთმევაა საჭირო. შებრძოლება.

ძირს ჯალათები!

ეს მოსყიდული, ლაქიები.

პროკლამაცია № 20—32,—333.

ამხანაგებო ჯარისკაცებო და პროგრესიულ ოფიცრობავ. თქვენ გამოგზავნეს შორეულ სამშობლოდან, საქართველოში ჩვენ თქვენი ძმების, ასაწიოკებლათ. მივმართავ თქვენ, გულს, რომელიც დედამ გამოგატანა. თქვენ რომელთაც გაქვთ სახლები ოჯახები, დაგიწვავენ დაგირბევენ თქვენ სამშობლოში.

ქალაქის თავი,—ჩვენი ანმორჩეულია სახლი თვიო[illegible] ჩენ აუგეთ —ეს ქალაქი ჩვენია. მარეგს იჩეჩდენ. ცეკა ფიქრობდა[illegible]ზე.

„ერთი გულმხურვალე კაციც არ უნდა გამორჩეს“.

საჭიროა ნაბიჯი გამბედული. გადამწყვეტი.

მოწოდება № 334—335—340. და ასე ზევით.

ცნობა „მზათ ვართ დეპოს მუშები“.

პროკლამაცია № 404.

10 საათზე ხანჯლით გამოკუჭეს ენატანია. ოამოდენინე ახალგაზრდამ ფიცი დასდო და ატირდენ სიხარულით.

ვაშა.

ეს იყო მიხეხი.
არც ერთი ხმა თოფის ჯერჯერობით.
აჯანყებულები გარკინდნენ.
ყველა გაახარა პირველმა სიკვდილმა.
იქით ჯარია.
იქით ყანდერმერია.
აქეთ ჩვენ
ჩვენც გავაკეთოთ რამ. მოგვეცით გეგმა.
რაზმის ნაწილები თავის ნებით მიდის.
საჭიროა მაგარი ხელი.
აფეთქდა ხიდი. ეს პირველი.
საპოლიციო უბანის, სასახლე.
ოთხი ყუმბარა ერთად.
საქმე სერიოზულია.

იარაღით მზათ.

იზდებოდენ. ლიდდებოდენ. მაგრდებოდენ. ორატორი—ერთი მეორე—მესაბე.

ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო!

წინ მხოლოდ წინ.

უყოანყმანოთ, ცეცხლივით.

არ ყოფილა არც ერთი კაცი, რომ არ ცოდნოდეს თუ რათ იდგა ამ წალამეს აქ.

ხალხს ცეცხლი მოედო.

ალი აჯანყების.

1 ქალაქის გადასახედში.

— სად მიდიან ეს მანიაკები?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეუბნებოდენ ქალიშვილს.

— მირბიან თავის ცოლებით.

— მხდალები! ყვირის ის. ხელს დასტაცებს ერთ გაქცეულს ბრძოლის ველიდან.

ხელი გაუშვი ცოლს,—შენ ჯანვე დაბრუნდი.

ახალგახდა კაცი ილიმება

ეს ჩემი დაა, ნება მომეცით, რომ გავაცილო სახლამდე.

ნე თოფით ხელში დავბრუნდები.

2. სასახლე და ბაღი.

ოფიცერი ცხენს წეაჭენებს.

გაბედული ნოხუცი გზას უღობავს. ოფიცერი ხმალს დაიჭნევს და მობუცი გაგორდება.

დაკეტეთ კარი, ყველა საკეტით.

საბედისწეროა, და საჭიროა, ოფიცრის ცხენის ჭენება, ან და სასახლის ბაღში შესვლა.

3. ქუჩა ბნელი წეიქნა. მისთვის ვინც „მზე ქალს“ ხატავდა ან „მარსს“ ასხამდა, სახლებმა მიიწიეს ერთი მეორესკენ.

წინ! პირდაპირ.

ბევრს გული უხვნეშდა.

გატეხეს თავად-ახნაურთა სამართველოს კარები.

წინ იყოფი რაზმი უკვე შეიჭრა სასახლეში. წინააღმდეგობაზე სიტყვაც არვის ეთქვამს.

მარწლის პირადი მდივანი ხაფანგს დაემსგავსა.

ვიღაცამ მოიგონა რომ ის ამაყი იყო.

სილა გააწნეს და მესამე სართულიდან გადმოაგდეს.

რაღაც გატყდა. ჩაიმტვრა ყველა ფანჯრები. მაგიდები.

(გაგრძელება)

სექტემბერი—ოქტომბერი 1924 წელი.

ივ. იოსელიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი გარიკადა.

ოთახის ცივი და ნოტიო. კედლიდან საათი ათჯერ ჩამორეკა. მალე შემოვა სინათლე, თუ ნისლმა არ დაახრჩო ეს ფანტასტიური ქალაქი.

გუშინ დღე არ ყოფილა, ბნელი ბნელს გადაეება და ნისლიან ქუჩებზე აჩრდილივით დადიოდა ხალხი.

პეტერბურგი... მართალია რუსი აცხანაგი: აქ უნდა ცხოვრობდენ პოეტები, შეშლილები და წინასწარმეტყველები.

რეზოსაც უგრძვნია ეშირად, რომ ყველაფერი მოჩვენებაა, რომ ეს ფერწასული სასახლეები, ტაძრები და ნევა ცვადაფიან ხაპირებით, ერთხელაც იქნება აიწვეს, გაფრინდება და ყველას გაიყოლიებს.

თენდება. კედელზე გამოჩნდა საათი. სარკე. სურათები, ირგვლივ აბმაურდენ. ცოტა ხანი და ისიც დატოვებს ამ ლოგინს, რომელიც საძარეად გადაექცა.

მხოლოდ გუშინ დაუბრუნდა თავის მყუდრო ბინას. ძნელია სარდაფში მეშაობა, როცა ათასი აგენტი გითვალთვალებს. ორი კვირაა რაც ლამეებს მიწის ქვეშ ატარებს. თვალები წითელია უძილობით, სხეული ბოთენთილი. რეზო და რუსი ასოთამწყობი ნალულათ კიბეებით ჩადიოდენ ქვესკნელში, სადაც ერთი თვის წინ დიდი სიფრთხილით ჩააპარეს პატარა სტამბა და მეორე ჩქარი ბანქანა ქარივით ისროდა მოწოდებებს. დაბეჭდეს ასი-ათასობით, ხუთ ცხრა იანვარია და პარტიის მტაბი ერთხელ კიდევ დაბეერავს თავის არმიას

ეხლა რეზო მარტოა ოთახში და ელის ამხანაგს. ვიდაც იძახის: დღეს პური არ იქნებაო.—არც გუშინ ყოფილა, არც გუშინწინ. სასადილოებში ტბეროდ იძლევიან სადილებს. ითმინე მართლმორწმუნე რუსეთის ხალხო!..

გაძალლდა სიცოცხლე. ნევა რომ გაყინული არ იყოს, გოგირდის სიმჟავეს როდი მიმართავდენ ასე დაკინებით.

პროპპერის ბირეოვკა აღარ ათავსებს მოწამლულების ქრონიკას—ჩვეულებრივი მოვლენაა.

მალიაპინის კუდებმა დატოვეს მარინკა და ახლა გაიჭიმენ ფეურნეების წინ.—

„რა დროს თეატრია"!

რეზო დადის ოთახში და ფიქრობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი მილიონი მუშა...
მილიონი დამშეული მოქალაქე...
ამდენი სტუდენტობა!..
ნუ თუ არ კმარა რომ დაჰკრან?
— პლეხანოვი სწერდა...

მოაგონდა მას, მაგრამ კარები იღება და შემოდის ამხანაგი ბანდურა. შემოყვა სიცივე და გაყინული წამწამები.

— უჰ, რა უცნაური ყინვაა! არაყი, არაყი! ითრემ დავეცი!

გადაჰკრეს თითოჯერ,

გაიმეორეს.

ღმერთი სამპიროვანი იყო და ბოთლიც დაიცალა.

ასე გაათბეს ოთახი. რა მცირე მიზეზი კმარა, რომ უეცრად გახალისდეს. რეზოს მოაგონდა ჩუგუევის საკატორღო ციხე და იქ ორივე ერთად—ის და მიხაილო ბანდურა... თავმოპარსულები... გაიცვნეს ერთმანეთი,.. დამეგობრდენ. უსაქმო ჯდომას მოყვა წარსულის ხშირი მოგონება. კამათს—სიტყვების კორიანტელი. იყო ნოწყენაც და. ბოლოს—აპრილის ერთი დაუვიწყარი დილა, როცა ის გაგიყდა.

ერთი თვის შემდეგ „ჩინეთის იმპერატორი“ ჩუმად გაექცა ქალაქის საგიჟეს და მას შემდეგ თავისუფალია.

— ო, მე შენ არ გაპატიებ მაგ ღალატს!

იხუმრა მიხაილომ,—გამიგონია რომ ქართველებს ღალატი სჩვევიათო ღმერთი მოწყალეა: ჩვენ ისევ დაგვიჭერენ და მაშინ ნახე ჩემი ოინებიც.

— გაგიკდები?

— რატომაც არა!

ბანდურა გაჩუმდა. ის მიხვდა, რომ არ იყო გულწრფელი, რომ დიდი ხანია რაც ტყვეა ფარული იქვების და ახლა უნდა გამოტყდეს.

— რეზო, იცი რა გითხრა?.. ყველაფერი ტყუილია მგონი; ეს ჩვენი ბრძოლა, ჩვენი იმედები,.. რუსეთი მონობის ქვეყანაა, წყეული თავიდანვე და არ არის ხსნა. რას იზამს „Безумство храбрых“. ეს ხომ განწირული ხალხის მოგონილი დეზია... ჩვენი ისტორია შეცდომით სავსე ქრონიკაა. პირველად რადიშჩევი შეცდა. მერე პუგაჩოვი და რაზინი სტენკა. დეკაბრისტებმა გვასწავლეს გმირული სიკვდილი! მაგრამ პეტრე პირველის დუბინა უფრო ეროვნული გამოდგა. შემდეგ... მოიგონე წამებულთა მთელი წყება: გენიალური კუპრიანოვი, ჟელიაბოვი. სტეპან ხალტურინი. ალექსეევი, კალაჩევი და ეგორ საზონოვი... ჩვენი პეროვსკაია, გესია გელფმანი, ბარდინა, მარია სპირიდონოვა და სხვა და სხვა... ვინ დაითვლის!

შედეგი?

სათათბირო, როდზიანკოს თავმჯდომარეობით!.. ეს ხო ჩინიზელის ცირკია, სადაც კლოუნები დასცინიან რუსების უბედობას.

ტყუილია? რას იტყვი?

— იმას, რომ შენ დაღლილი არ, ჩემო მიხაილო. საჭუბაროდ... და ეს იმ დროს, როცა რევოლიუციაა...

— უბრალო ოცნებაა! იცი რა გითხრა? რუსეთი [illegible] ქვეყანაა. შესაძლოა ომს რევოლიუციაც მოჰყვეს. მაგრამ ეს იქნებოდა დაბმული მხეცის გავარდნა. სანგრებში გაველურებული ათი მილიონი გლეხი ხუმრობა არ გეგონოს! აიწყვეტს და ჩვენ ისევ ცეცხლში შეეხვდებით ერთმანეთს თავმოპარსულები.

— მე არა და შენი კი რა მოგახსენო!

— შენც, ჩემო კარგო, შენც!..

დაიწყეს კამათი და, როცა საათმა სამი დაჰკრა, ოთახში ბნელი იყო. ორივეს ჰშიოდა. დაიხურეს ქუდები და დაეშვენ ხუთსართულიან სახლის კიბეებზე. გასავალ კარებში ვილაც შეეფეთათ.

— გაჩერდით, საითკენ?

რეზო შეკრთა. შპიკია „ეთუოდ"... გაიცლა გულში და გაქცევა დააპირა, მაგრამ კარებში იდგა ის და როცა თვალებში ჩახედეს, ზიში არ იყო

— ღმერთო ჩემო, ეს რა მოგსვლია? ველარ გიცანი. სად არის შენი ძვირფასი წვერები?

ჰკითხა კარებში მდგომს გაოცებულმა რეზომ.

— დალაქთან დავტოვე... წვერი ვის ახლოს, თავი კინაღამ წავაგე.

— რა მოხდა?

— გაგვცა ვილაცამ. სტამბა დაჭერილია, ამ დილით პინაზე დამეკენ, მაგრამ გაქცევა მოვასწარი. მოვედი გაგაფრთხილო და აწი შენ იცი. ვეწევი ოხტას. იქ ნაცნობი ბევრია, რომ თავი წევაფაროთ...

ცოტა ხნის შემდეგ ოთხი მზრუნველი თვალი თითქო სამუდამოდ ეთხოვებოდა ქუჩაზე მიმავალს, რომელიც მალე დაფარა ტყვიისფერ ნისლმა.

რეზო დაალონა სტამბის დაკარგვამ. ისიც ხომ იმშვიათი ამხანაგი იყო, დიდი ჭირნახული და მუდამ დევნილი...

— მშვიდობით!—ჩუმად ჩაილაპარაკა მან, მშვიდობით რევოლიუციის ერთგულო დარაჯო!

—

კაფე „მოდერნი" სავსე იყო მკერდღია ქალებით. პურის გაძვირებამ ესენიც გააძვირფასა. დროებით თუმანია, დილამდე ოთხი ამდენი.

ადრეა და ამიტომ აქა-იქ ჯერ კიდევ ბონაპარტ ცარიელ ნაგიდას.

დასხდენ. რეზომ ორი საუზმე მოითხოვა, ბანდურამ ძველი ბავარია, ბავარიას მოყვა კალინკინი და როცა ორკესტრი დაუკრეს მიხაილომ თავი ჩაღუნა. მას თითქო კარგი რამ მოაგონდა: უეცრად ხელი ხელს შემოჰკრა, სახე მხიარული მიუბრუნდა რეზოს და ახარა:

— მომილოცავს ახალი ბინა! ახ! რატომ აქამდე არ გამახსენდა.

რა კარგი ბინაა რომ იცოდე! წავიდეთ. გაგაცნო სახლის პატრონი ილია ჩაიკოვსკი. ერთი ოთახისთვის ღარს არ გვეტყვის.

ჩაიკოვსკი! კეთილშობილი მოხუცი და რაინდი სამოცდაათიან წლების. ჟურნალი Былое ხშირად მოიგონებს ნას, როგორც იშვიათ კონსერვატორს.

მისი მეუღლე ნამდვილი რუსის ქალია; პურადი, გულკეთილი და ღვთის მოყვარე. წამოდი, ვეწვიოთ:

— პასპორტი რომ არა მაქვს?

— არაფერია! გვადროებენ.

— მხოლოდ... განაგრძო ლიმილით ბანდურამ- ერიდე იქ ერთი ამურის ისრებს, თორემ თუ განიწონე—ყველაფერს დაგავიწყებს.

— საამისოდ არა მცალიან, მაგრამ მაინც კარგია ვიცოდე, ვინ არის ეს ამური, რომ მოვერიდო?

ბუმრობით იკითხა რეზომ.

— ირინა ჩაიკოვსკაია... ქალი თერამეტი წლის... ისეთი ლამაზია, რომ უნებლიეთ დაგასვენდიანებს, თითქო შენი მომავალი ამ მშვენიერ ბავშვის სუსტ ხელებში იყოს დამწყვდეული... მაგის აღზრდილი, ის ნოგაგონებს იმ დიდებულ ქალებს, ლიმილით რომ ადიოდენ სახრჩობელაზედ.

უცნაურია! იცი, ერთხელ რა ჩაიდინა?

ეს მოხდა შარშან...

17 წლის ქალი გაფითრებული კითხულობს კრავჩინსკის „პოდპოლიეს". კითხულობს უხმოდ, განმარტოებით. მერე ადგება და რაღაცას დაიძებს. მას განუზრახავს თავის გამოცდა: გაუძლებს თუ არა იმ უცნაურ წამებას, რჩეულებს რომ ავალებს ხალხის სიყვარული. და აი, ისიც მალე მონახავს პატარა რკინას და გახურებულს დაიდებს ხელის გულზე .. ალბად ველარ გაუძლო. გაისმა იატაკზე დაცემის ხმა და, როცა დედა მიეშველა, ხელი დამწვარი იყო, რკინა კიცივი.

—

სტუმრებს სიხარულით მიეგებენ: რეზოს ჰგონია თითქო დიდი ხანია რაც იცნობს ამ გულკეთილ მოხუცებს. დასხდენ. საუბარი, როგორც ყოველთვის, დაიწყო ომის გარშემო. ილია ჩაიკოვსკის ლიმილი არ შორდება. მას გამარჯვების დიდი იმედი ჰქონია:

— იუნკრების გერმანია დამარცხდა თუ დამიჯერებთ. ამის ნიშნები ახლა ყველასთვის ცხადია. საბრალო საფრანგეთი! ეს აკვანი ძმობის, ერთობის და თავისუფლების! რა, საშინელი განსაცდელი ელოდა მას! კიდევ რამდენიმე თვე და...

— დამშეული რუსეთი ველარ გადიტანს ამ თვეებს!

ამტკიცებს მიხაილო.

ეს, არა ბატონებო! ციმბირი საესეა პურით.

— პეტერბურგში გირვანქასაც ვერ იშოვით!

— მართალია!.. ამბობს შეწუხებული მოხუცი:

— ტრანსპორტის საქმე გაფუჭდა, მაგრამ სათათბიროს იმედი გვაქვს. თითხმეტ თებერვალს უნდა განაახლოს თავისი მუშაობა. ,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დიასახლისს მოაგონდა „სულძალი“ რასპუტინი: „ნეტავი ადრე მაინც მოეკლათ, ქვეყანას სირცხვილი აშორდებოდა“...

— მაშ თქვენ ქართველი ხართ? იკითხა საუბრისას ჩაიკოვსკიმ.

დიახ, ქართველი გახლავარ! უპასუხა რეზომ.

— მოხარული ვარ!.. ნახეთ ეს საუკუნეა რაც დავშორდი რჩეულ ქართველობას. ერთად ვიბრძოდით, ერთად ველოდით ბედნიერ დღეებს, რომელიც ალარ გველირსა. ნეტავი სად არის ეხლა ჩვენი უწიწარი ზდანოვიჩი, ჯაბადარი, გამყრელიძე ან ელიოზოვი?.,. ციციშვილის სახელი ალარ მახსოვს. დაჭერის დროს მან პირველმა გვაჩვენა შეიარაღებულ წინააღმდეგობის გმირული მაგალითი... ეჰ, კარგია მოგონებაც. ჭეშმარიტად. თქვენი პატარა ქვეყანა რაინდების სამშობლო უნდა იყოს!

დიდხანს ისაუბრეს. მოხუცს მოეწონა რეზოს საღი მსჯელობა, მისი პატივისცემა წარსულისადმი და აღფრთოვანებულს, ყველაფერი მოაგონდა: 76 წელი და პირველი გამოსვლა ყაზანის მოედანზე, სადაც ახალგაზრდა „გიორგი ვალენტინოვიჩს“ გაქცევის დროს ძუდი დაკარგოდა, ბეტა კამინსკაია, ფართე ცისფერი თვალებით, ციხეში რომ გაგიჟდა, მერე „სიარული სოფლად“ და გლეხების ღალატი... ბოლოს აკატუი და ხუთი წლით სიცოცხლის დასამარება“.—

გვიან იყო. სტუმრებმა წასვლა დააპირეს.

არა, თქვენ აქ დარჩებით! ისურვა მასპინძელმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე მოასვენეს იმ პატარა, მაგრამ მდიდრულად მორთულ ოთახში, სადაც რეზოს უნდა ეცხოვრა. ასე გამართლდა მიხაილოს მოლოდინი.

საძილისპიროდ ისევ მოაგონდათ უცნაური ირონია...

— სად იყო, რატომ ვერ ნახეს?

—

ქალაქში გაზეთებს არავინ უჯერის. ყველას მოგეზრდა:

ტრაბახი,

დაპირება,

გაბერილი პატრიოტიზმი.

რეჩის რედაქციას ღამით ვიღაცამ სამარცხვინო პლაკატი ვააკრა და განთიადისას ბევრმა წაიკითხა:

„დომ ტერპიმოხტი“.

—

თოვს. დგანან შუა ნევის პროსპექტზე და კითხულობენ სუვორინის რეკლამას:

ასი ათასი ტყვე.

სამოცი ათასი მოკლული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსისა ზარბაზანი.
ულიცხვი დაჭრილები და...
მტერი უწესრიგოდ გაიბის...
— ტყუილია!
გაბედა ვილაცამ და ეცინად ყველა ზეშეთქა...
„ვინ იყო?!

—

— კიდევ ერთი დღე და სული ამოგვსდება.
სტენიან პურისთვის რიგში ჩაბდგარი ქალები.
— ვის უნახავს ასეთი გრძელი კუდი, ბოლო რომ არ უჩანს!
უკვირს პატარას.
— წუხელი აქ ნეძინია.
ამბობს ჩიფჩიფით, უკბილო დედაბერი.
— მეც!
— მეც! ღმერთო, რა გაბედა გიოანქა ნავი პური...
გადის დრო და ვილაცას ცუდი ამბავი მოაქვს:
— გათავდა, პური აღარ არის. რაღა გვეშველება?
— დალეწე!
მოესმათ განწირული ხმა და უცებ ყველაფერი აირია. კაბაგაწეული ქალები გარბიან ჰაერში მუშტების ქნევით, ბავშვები სტვენენ, დიდებმა კეტები მოიმარჯვეს და...
„დალეწეთ, დალეწეთ!"
ყვირიან გაშმაგებით.
იმსხვრევა ფანჯრები. ნინა ჩხარიალია ჩამოდის ძირს და ათასი ფეხის ქვეშ მტვერივით იფშვნება. მიაქვთ ტკბილი ტორტები, შაქარი, შაშხი, ტანისამოსი, ფეხსაცმელები...
უცებ მოვარდნენ მათრახიანები და გახშირდა ცემა.

—

მოიკის ახლო დაეწია ის და აღარ შორდება. თითქო აჩრდილია: ნეიაში რომ გადახტეს—გადაჰყვებოდა.
მიდის და ხელს უკან გრძნობს მისს გაშეირიან თვალებს და გამოცდილ ნაბიჯებს. ღამე მაინც იყოს-დაემალებოდა. ახლაკი...
შეახტა მეშვიდე ნომერს და სული მოითქვა. ეგონა გადურჩა, მაგრამ არა: უცნობი კარებს მიყრდნობია და განით იცქირება... ამთქნარებს.. გაზეთში ჩაიხედა.
„დროა". იფიქრებს მსხვერპლი და უცებ გადახტება გაფრენილ ტრამვაიდან.
— ნეეტლე, გაჩერდი!
ჩაჯდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვასილის კუნძული, მეწვიდე ხაბი.

„მესმის ბატონო", და სწრაფი ლიხაჩი შეორდულგვრილ ბიბლიოთეკას ნევის პარკეტზე. მოიკა ისევ ფანჯარა დარჩა, აჭა სენატის მოედანი. კიდევ ეროი შეტეა და „ეძიოს რამდენიც უნდა".

გაშორდა მეექვსე ხაბს და იქვე გადუვია. ქუჩა ცალიერია. უნდა ჩამოხტეს, მაგრამ მოთვედა ფანჯარა და... ისევ ია, მაინ ამრდილი, მოქცება კვალდაკვალ მეორე ეტლით.

— გასწი! ელოდე საჩუქარს!

მეეტლემ ცოცხები გაიწეტა. გადაჭრა და მიაპობს ნისლიან ჰაერს.

ბოლოს მიუბრუნდა:

— ბატონო, სანადდე?

— აი იქ, სადაც ხალხია... გააჩერე!

გადახტა.

— რა ამბავია? ეკითხებიან გარშემო.

— ზომაშორეთ, ძმებო, ის ჯაშუში!, ამბობს ეტლიდან გადმოსული:

— გადამეკიდა!

იცვნეს. ეს ახალგაზდა კაცი ხშირად უნახავთ გაფიცვების წინ, რეიხელის ქარხნის მუშებს. ამხანაგია...

— ვცემოთ და მიატოვებს.—ურჩია ერთმა მუშამ დანარჩენ ოთხს და ყველა მოემზადა.

ცოტა ხნის შემდეგ ქუჩაზედ გაისმა მეეზოვეთა განუწყვეტელი სტვენა. ზორიდან ზორბოდენ წეარიგის დაცველნი, მაგრამ დააგვიანდათ.

რბენით დაქანცულმა ძლივს წვალა ოთახის კარები. სულისთქმა უჭირს. ზონახა საკაძელი და ენბოდ დაეშვა.

— რეზო, რა მოგსვლია? ეკითხება მას გაოცებული მიხაილო: სთვეი, ზომები მივილო.

— მაცალე... ჯერ სული მოვითქვა... ზომები მილებულია.—

და რეზომ უამბო:

ლესსნერის ქარხანაში გაფიცვა მოაწყეს. მოდიოდენ დროშებით და მარსელიეზის გუგუნით, ბოლოს დაიშალენ. ბინისკენ წარტო მიმავალს, მოიკის ალო საიდუმლო პოლიციის აგენტი დაედევნა, დაეწია და აღარ შორდება... ბევრი აწვალა და ბოლოს...

მიხაილო გახარებულია:

— შენ ეს მითხარი: ხომ ბევრი სცემეს?

— ზედმეტიც! ინდენი ათრიეს, რომ მე თვითონ შემებრალა.

— რევოლიუციონერის გულკეთილობა ვის გაუგონია, მაგრამ მაინც ყოჩაღ! მარჯვეთ მოქცეულხარ. მემართოს შენი პატივისცემა რეზო. ახლა კი ცოტა ალაყი გადავკრათ, სიცივეა.

ისინი შემოესხდენ პატარა მაგიდას. სასმელი ბლომად ყოფილა, კიდევ მეტი.

ჩვენ მალე გავიმარჯვებთ, ამბობს გახარებული რეზო, კიდევ რამდენიმე წაშიერი კვირა და პეტერბურგს ალი მოედება! ეს დიდი ქალაქი ახლა სავსეა ასაფეთქებელ ნივთიერებით. გაჰკარით წუმწუმა და ძველ რუსეთის ხანძარი გადაბუგავს.

— ნეტარ არიან მოარწუნენი! კარგია, რომ შენ იმედი გაინც გახარებს, როგორც ჩაიკოვსკის ახარებდა ერთ დროს.

— უკაცრავათ! ჩაიკოვსკი დღესაც ამ იმედით სცოცხლობს. განა არ იცი, რა ალფრთოვანებით ელის იგი რუსეთის რესპუბლიკას? მართალია, ცოტას დაჯერდება, მაგრამ მტრების ბანაკში ნას ვერავინ იხილავს!

— სცდები! ჩვენ საერთოდ, ახირებული წარმოდგენა გვაქვს რუსეთის რევოლიუციაზე. ძნელია წინასწარ იმის თქმა, თუ ვინ შეარჩენა ნას ბოლომდე მეგობრად. ო, რა თქმა უნდა, თუ ჩვენი რევოლიუცია ნიავს დაეფსგავსა. მაშინ მის წინაშე ბევრი ჩვენგანი გაიხსნის სიცხით შეხუთულ გულმკერდს— გასაგრილებლად; მაგრამ ერთიც ენახოთ—ნოვიდა გრიგალივით. მაშინ?.. გრიგალივით, რომელმაც გადმოლახა ჩვენი ნინიმუმის ბარიკადები და მოდის წარლვნასავით, რომ ყველაფერი წალეკოს: შენ, მე, ჩაიკოვსკის ბედნიერი ოჯახი, ხელოვნება, რომელიც ჩვენ გვიყვარს, მეცნიერება, რომელიც ჩვენ ვიწამეთ!.. მაშინ?

— ასეთ რევოლიუციას, მხოლოდ შენი მდიდარი ოცნება თუ მოახდენდა.

მიხაილო მოერიდა კამათის გაგრძელებას:

— კეთილი, კეთილი! ნაშ, გაუმარჯოს იმ გრძელინვალე დღეებს, როცა ძველ რუსეთის ხანძარი გადაბუგავს... დაელოთ!

დასცალეს.

ეს იყო მეხუთე. ისინი მალე გაშორდენ იმ საბლვარს, სადაც იწყება თამამი გულწრფელობა.

— რეზო, როგორია შენი ახალი ბინა? ჰკითხა მიხაილომ.

— საუკეთოვო! ასეთი კარგი მოხუცები ჯერ არ მინახაეს.

— განი მარტო ის ორი! ირინამ რალა დააშავა?

— ო, რა თქმა უნდა, ირინაც იშვიათი ქალია, მხოლოდ ანაყი კი უნდა იყოს.

— ცუდად გაგიკვნია!.. ირინა გერიდება შენ და ეი ნიბეზი მისი თავდაჭერილობის. მან კარგად იცის შენი ქარიშხლიანი წარსული მას შემდეგ, რაც ყველაფერი ვუამბე. აქა იქ გავაზვიადე კიდეც და ალბად ლეგენდარულ პიროვნებად ეჩვენები. მე მხოლოდ იმ დღეს ვიგრძენი მისი დიდი ქალობა, როცა დაფარულ შურით ისმენდა შენს თავგადასავალს. ნეტარ არიან მოარწუნენი!.. საერთოდ, შენ ბედი გაქვს. ჩემო კარგო, ირინას ყურადღება ხუმრობა არ გეგონოს!

— მომილოცავს! სიბერის დროს საყვარულის მსავერბლი გამხდარხარ!

სიცილ დააყარა რეზომ.

— არა, ძვირფასო, ჩემი ულაზათო გარეგნობა ძალიან ცოტა ეფლებას მაძლევს ამისთვის; შენი კი... არა, ერთი მითხარი გულწრფელად: ოდესმე მოიქცეოდი, ირინას რომ შეყვარებოდი? ბიგალიოთად, ერთს მწვანიერ საღამოს შემოსულიყო შენთან და როგორც აჩვენია, ისეთი გაბედულობით ეთქვა, რომ უყვარხარ?

რეზომ პასუხის მაგიერ გულწრფელად ვადიხარხარა.

II

თებერვალში სიყვარულისთვის არავის ეცალა.

მხოლოდ ცარსკოე სელოში ერთს გვირგვინოსან ქალს არ დაეწყებოდა ეს უკდავი გრძნობა და ყოველ საღამოს მიდიოდა ის მიტოვებულ სამარესთან ყვავილებით დატვირთული.

მიქონდა გუნდრეული საკმეველად და, როცა ყვავილებს მიმოაბნევდა, სტიროდა გულმოკლული. ეს ცისფერი თვალები პირველად აფრქვევდნენ მწუხარების ცრემლებს.

ორი თვის წინ მოუკლეს იგი, ბორიტი და წმიდანი, წინასწარმეტყველი და წინამორბედი რუსეთის დაქცევის.

და იღუპებოდა მისი ერთგული დიდი რუსეთი, იღუპებოდა, რადგან ამ უბედურ თვეში ყველა საკვე იყო შეურისძიებით...

იმ საღამოს ორი ასულის თანხლებით უკანასკნელად მიიტანა მან სურნელოვანი ყვავილები საყვარელ სამარესთან და, როცა საოფლი ოფლებით აანთო წმინდა სანთელი, თავზარი დაეცა:

ადამიანებს, რომელთაც აღარ ეცალათ სიყვარულისთვის, ყვავილების წილ მოეტანათ ნაკელი და გაეგსოთ ძვირფასი სავანე. გვირგვინოსანი ქალი გრძნობა ნიხდილი დაეგბრუნდა თავის სასახლეს და მას შემდეგ იმედიც დაიკარგა...

—

ქალაქში ჯერ კიდევ ჩუმად ამბობენ:

„დაიწყო.. დაიწყო."

ნაცნობი მონახავს ნაცნობს, მიუახლოვდება და ჩურჩულით ეტყვის: „მოგილოცნია! საცაა გათენდება!"

— როდისლა?

— ხვალ, ზეგ, დღეები დათვლილია.

— ვინ დაიწყებს?

— ყველა.

—

დილით გამოსვლა იყო და ყახანის მოედანზე აფრიალდა დროშა საბედის წეროს წარწერით.

ყოველ წუთს მოაქვს ახალი ამბავი. სად იყო ამდენი მუშა და თავხედი ქალი, ტყვიას რომ არ გაურბის? ეს ბატარა ბავშვები რამ გაათამამა!...

ხიდეებს ჯარი დარაჯობს, მაგრამ ყინვა მაგარია და ფეხბურთელებს მდინარე ნევა.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მოდიან კოლპინოდან, მოსკოვის შარა გზით, ვიბორგის მხრიდან, ვასილის კუნძულიო. ეს უდიდესი პროსპექტი მუდამ იზიდავდა აჯანყებულებს და ახლაც საკვლია.

„პური!" გაისმის ყოველგან.

„არ გვინდა ომი!" ყვირიან აქა იქ.

ჯარი ალარ სჩანს. პოლიციელები ეჭვიანი თვალებით აკვლებენ მიმავალ ხალხს და გულდაწყვეტილები ელიან მრისხანე ბრძანებას.

გამოჩნდა არტილერია. ათი საველე ზარბაზანი ძიძგინით ჩაატარეს ყველას წინ და, როცა ამ ხერხმა არ გასჭრა, მიმართეს მათრახებს.

ხალხი გაფანტეს.

„გათავდა" ფიქრობს მწვიდობიანი პეტერბურგელი და გახარებული გადმოყურებს ქუჩას მეორე სართულიდან. მოჰქრიან ლანდოები, ფიაკრები, კაბრიოლეტები, ლიბაჩები მიაფრენენ ფრანტებს და პეტერბურგი ისევ სატახტოა.

მაგრამ ლამე იყო მოუსვენარი და ქუჩები შეჰკრეს. ისმოდა ვინტოვკის ცივი ხმა; გვიან, როცა ბატონები ვახშამს მირთმევდენ, ლაქიებს არ ჰქონდათ ჩვეული მორიდება.

—

დილით ტყვიის ზუზუნმა ბევრი გააღვიძა ადრე. ეს დღე, ეტყობა, უბრალოდ არ ჩაივლის. ფანჯარას ვერ მიეკარები—სახიფათოა: გზა აბნეული ტყვია ვინ იცის სად მონახავს ბინას. ვერც ოთახს მიატოვებ. ბრძოლა დაიწყო და სიკვდილი ყოველ ნაბიჯზეა. მოხუცი ჩაიკოვსკი გაფითრებული ზის მაგიდასთან და ფიქრობს: ეს კაცი სად დაიკარგა? ხუთი დღეა რაც თვალით არავის უნახავს არც ბინაზე მოსული, არც ქუჩაზე. რა მოუვიდა ნეტავი?

თუ დაიჭირეს დახმარება უნდა. მაგრამ როგორ? გზები შეკრულია, გუშინ მიხაილო იყო აქ და ხელები ყიმედოთ ჩაიკნია. მან კარგად იცის რეზოს ბუნება, ბრძოლისთვის გაჩენილი. იცის და ამიტომ კიდეც გრძნობს, რომ მათი კარგი მეგობარი ეუჩიდან ველარ დაბრუნდება. ეჰ, რატომ არ გააფრთხილა თავის დროზე. თითქო ოჯახის წევრი იყო: ყველა გრძნობს უმისობას და განსაკუთრებით ირინა. ეს ბავშვი შეშლილივით დადის ოთახიდან ოთახში და ვერ მოუსვენია.

თოფის ხმა თანისთან მატულობს უცებ შემორბის შეშინებული გოგო და ამბობს:

— ბატონო, ირინა მიდის!

— ახ, როგორ შეიძლება! ხომ არ გაგიჟდა. დააბრუნე!

— პალტოს ჯიბეში რაღაც შავი ჩაიდო და მიდის.

— გასწი! დაეწიე და უთხარი აქ მოვიდეს!

გოგო ხელცარიელი დაბრუნდა:

— წავიდა! ყურიც არ მათხოვა.

ჩაიკოვსკი ადგა და ათრთოლებული ხელებით შეეხო ოთხიან მუბლს, სახეზედ სიკვდილის ფერი გადაჰკრა. თითქო წაქცევას აპირებდა, ერთი დაბარბაცდა. ბაგრამ უცებ ძალა მოიკრიბა და სუსტი ხმით ჩაილაპარაკა:

— არაფერია!... წაიდეს!... მხოლოდ, ჩუმად იყავი. დედაბისს არ გააგებინო...

მოხუცი ისევ დაეშვა საფარძელზე, დაეყრდნო ფლოსი ხელებს და, ფიქრში წასული, ვინ იცის რას ნაღვლობდა ამ დროს: ირინას, რეზოს, თუ იმ სიბერეს, რომელმაც შეპორკა ის და ოთახში დასტოვა.

ირინა ჩქარი ნაბიჯით მიყვება გახიერ ლიგოვკას. გაწორდა პეროლოვის ბუმბერაზ შენობას და ხედავს: ქუჩაზედ მოკრილი წნელივით დაეცა ერთი ახალგაზდა... ფიქრობს: ფეხი თუ დაუცდა ყინვაზე, მაგრამ რატომ არ ადგა? დახედა—მკერდის ქვეშ ოთვლი წითელია.

ზნამენის მოედნიდან მოისმის ტყვიის მფრქვეველთა ქაქანი და ბრბოს ყიჟინი.

— ნუ მიხვალთ ქალწულო წინ, სულ ერთია ცოცხალი ვერ მიაღწევთ!" აფრთხილებს ვილაცა და ირინაც მარჯვნივ გადაუხვევს. ეს ვიწრო გზა თავდება სადგურის უკან. იქ გრძელი ბაქანის წინ, დგანან მატარებლები და ელიან მესამე ზარს, რომ მალე გაწორდენ შეეთიან ქალაქს.

— ღმერთო უშველე უბედურ ქვეყანას: სტირის დედაბერი. ოფიცრები დადიან მოწყენით. ქუჩებზედ ხმლები წაართვეს და ჩინები ჩამოგლიჯეს. ამ ნოხუც ღენერალს საქმე არ უნდა ჰქონდეს. ეთოლოდ ქუჩას ემალება. დგას ჯიუტი ჯარისკაცი ღენერლის წინ და ძღება ლორის ენით, ქუდი კეჯაზე მიუკდია.

სად არის დისციპლინა?! სწვეს ახალი პრაპორშჩიკი და ოცნებობს შორეულ ფრონტზე.

ირინა ყველას ითვალიერებს. აი, თუ გნებავთ, ნამდვილი სოდომი! მას უნდა ისიც აქ ნახოს, რეზო. მაშინ ხომ ერთად წავიდოდენ ზნამენის მოედნისკენ. ჯიბეში ბრაუნინგს სძინავს. დარბაზის ახლო დგას ხალხში ვილაც სტუდენტი და გახარებული აბობს...

ირინამ ყური დაუგდო.

— წუხელი ქალაქს არ დაუძინია. ქუჩაზედ გავათენეთ ყველამ. მგონი ველირსეთ; საცაა გადაწყდება: ან ჩვენ ან ისინი. მუშები დაიძრენ კუნძულებიდან და ყველა ცენტრისკენ მოდის. ქარხნებმა შესწყვიტეს მუშაობა. დახურეს „რენო", „აივაზი", „ახალი და ძველი ლესსნერი", „სკოროხოდი", „რეიხელი" და „ლაფერმი„. პუტილოვის ქარხანა გვაძლევს საამასიათას რჩეულ ნებრძოლს, ამხანაგებო ჩვენ გავიმარჯვებთ! მეფის ჯარი მალე დაყრის იარაღს. ამის ნიშნები აშკარაა. თქვენ თითონ ნახავდით ქუჩაზე განოსულს უეუდო ჯარისკაცებს. ეს მათი დეზერტირებია, ყაზარმაში სიცოცხლეს—ჩვენთან სიკვდილი არჩიეს... გესმით, ტყვიის მფრქვეველები როგორ ქაქანებენ? იქ, ძველი ნევის პროსპექტის თავში, სდგას ფოლადისებური ბარიკადა... მივდივარ მ'ზვიდობით და გამარჯვებით!...

ირინა გაჰყვა სტუდენტის კვალს. გაიღო ერთი კარი, მეორე, მესამე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზი დარბაზს მისდევს, ყველა ცარიელი და ავეორიაქებულ-ბინადარ-ნაგებ წაულიათ, იატაკი სავსეა დალეწილ ჭურჭლეულობით. გაიღო უკანასკნელი კარი და აქა ზნაბენის მოედანიც.

ალექსანდრე მესამე გულმოსული ხის უკუდო ბეჭემოტეზე. მას გარშემო აღარ უვლიან ბებერი დარაჯები. გაქცეულან. მრისხანე იმპერატორი კუშტი თვალებით გადმოჰყურებს ძეგლის წინ წაქცეულ სისხლიან ჟანდარმის სხეულს და ბრაზით გაბერილს, ვერაფერი უთქვამს

ირინა გაჩერდა სადგურის წინ და მოედანს აკვირდება. ჭკვიანი ბოქალაქე ამბობს:

— მე ვიცი ამ ჟანდარმის მოკვლა უბრალოდ არ ჩაივლის. ნახავთ: იქ ბევრი გაწყდება!

და მიათითებს ძველი ნევის პრესპექტს, სადაც ნისლიან სივრცეში ოდნავ ირკვევა მაღალი და თამამი ბარიკადა.

— ნუ თუ ეს აირის ბარიკადა? ფიქრობს ირინა. მარტო მას გაუკვირდა ამდენი ლოდები და ტომრები ფქვილით სავსე, დალეწილი ვაგონი, წაქცეული ავტო, ორი პიანინო. ალბათ ეს უკანასკნელი სასტუმროდან გადაასროლეს.

— კმარა წორიდან ცქერა! გადაწყვეტს ირინა და ჩქარი ნაბიჯით მიაშურებს ბალაბინის სასტუმროს. შედის. მონახა კიბე და აჰყვა საფეხურებს. ხენო სარეულის ფანჯრიდან ქუჩას გადახედა.

აი, ბარიკადაც. ირინას წარმოდგენაც არ ჰქონია ამ უცნაურ შენობის ზესახებ. ტეებსა და ფქვილიან ტომბრებს შუა ჩამსხდარან შეიარაღებულები და ელიან ბრძოლას. ერმანეთს ამხნევებენ. ერთი მათგანი დგას დაშორებით, ყველაზედ წინ. უეიუოდ მეთაურია. შავი თმა, ტანი მაღალი... რეზო არ იყოს?..

ერთი უკანმოხედვა და... იცნო:

„რეზო, ჩვენი რეზო"...

თვალები აცრემლდენ სიხარულით.

— ცეცხლი!

მოისმა ამ დროს ზნამენის მოედნიდან.

— ამხანაგებო, ცეცხლი!

გადმოიძახა ბარიკადის მეთაურმაც და გაჩაღდა ბრძოლა.

უცებ აზუზუნდა ჰაერი. ტყვიაწვიმილით დაფრინავს სივრცეში და კოხივით აკვეთა ბარიკადას. დაცხრილეს პიანინო, დახვრიტეს ტომრები, მაგრამ ვაგონს ვერაფერს აკლებენ. ავტომობილიც გაუძლებს ცოტა ხნით. ისვრიან თავგამეტებით.

ირინა ბრაუნინგით ხელში შეშლილივით დარბის სასტუმროს დარბაზში და ეძებს ქუჩაზე გასავალ კარებს...

მონახა, ჩაირბინა კიბეზე და, როცა ქუჩაზედ გავიდა, მოედანი სდუმდა როგორც ცხარე ომგადახდილი.

ალექსანდრეს ძეგლის გარშემო ეწყო ოცამდე დახოცილი. ირინამ იცნო ჟანდარმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებულებს ხალხი დაეხვია. ჰკოცნიდენ, ულოცავდენ გმირობას და ისროდენ ზევით, რომ ყველას დაენახა.

— ირინა! ღმერთო ჩემო! ეს თქვენა ხართ? საიდან? როგორ?

ჰკითხულობს ის, ვისაც მთელი ქუჩა ახტაკებით შეჰყურებს.

— მამას გამოვეპარე. მე თითქო ვიცოდი, რომ აქ, ამ ძეგლის ახლო შეგვხვდებოდი. მინდოდა მეც თქვენთან მოვსულიყავ, არ მოხერხდა. ნება მაინც წომეცი მოგილოცო ეს პირველი გედნიერი ბარიკადა!"

ყველას მოეწონა წაბლისფერთმიანი მადონა და მისი ვაჟური ხელის ჩამორთმევა.

ბნელდებოდა, როცა დაღლილები სახლისკენ ბიდიოდენ. ირინას მხოლოდ ახლა გააცნენდა მიტოვებული მამა და უხაროდა, რომ რეზოც თან მიყავდა როგორც დაკარგული და უეცრად ნაპოვნი.

შესავალ კარებში ვერ მოითმინა, რომ ერთხელ კიდევ არ ეკითხა:

— რეზო, ჯარი თუ ჩვენთანაა და ქალაქიც, მაშ ეს ბარიკადა უკანასკნელი ყოფილა?

— რასაკვირველია!

II.

მარტში სიყვარულისთვის გული ყველას გაშლილი ჰქონდა. ეს იყო გედნიერი თვე, როცა ყველა გაკეთილშობილდა. ისმოდა „ამხანაგო" და მსუქანი ტუჩები ეძებენ მათხოვარს ქუჩაზედ საკოცნელად. ბერი ემთხვია ხელებს, რომელიც ყუმბარას ისროდა, და ორივე სიყვარულით დასნეულდა.

ქვეყანამ მოისვენა. ქუჩებმა შეიშვრეს დაღვრილი სისხლი და ჰაერი აყვავდა ზეთისხილით...

ილეოდა მარტი—სიყვარულის თვე. იმ დღეს ყველას მოაგონდა რევოლიუციისთვის განწირული **169**.

თეთრი კუბოებით და წითელი ლენტებით წაიღეს ისინი „მარსოვი პოლე"-ზე, სადაც **169** უსახელო გმირს ელოდა ოთხი სამარე: „ძმათა სასაფლაო"-

დაკრძალეს. იყო სიტყვები, და ცრემლების ფრქვევა.

მაგრამ ვახშმის დროს, როცა ყველა ბინაზედ იყო, ისევ განაგრძობდენ შეწყვეტილ საუბარს:

„ვინ მოახდინა ეს თებერვლის რევოლიუცია"?

და იყო პასუხი მრავალნაირი:

— კერენსკიმ.

— სტუდენტობამ.

— სათათბირომ.

— ლპუროობამ.

— რასპუტინმა.

ხოლო ნამდვილი გმირი კი ყველამ დაივიწყა. ისინი ისევ მუშაობდენ ქარხნებში და რცხვენოდათ ახალი გაფიცვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

აპრილი დაიწყო მიტინგებით და გრძელი კუდებით ფურნეების წინ. ყველა უკმაყოფილოა.

მოიოხოვენ:

ბუშები
გლეხები
ფრონტი

წინააღმდეგას იძლევიან:

უკრაინა
პოლონეთი.
ლონის ყაზახები.

ევედრებიან:

დაწშეული ქალაქები
ებრაელები
სომხები
ყირგიზები

იმედოვნებენ:

ინვალიდები
დეხობორები

— საკოდავი კერენსკი!—ამბობს გულშემატკივარი პატრიოტი: სად შეეძლია მას ქვეყანა დააკმაყოფილოს!..

რევოლიუციის გმირი მზადაა თავი შესწიროს რუსეთის კეთილ დღეობას, მაგრამ რა ჰქნას თუ არაფერი გაუდის.

ამ ბოლო დროს ნერვებიც აეშალა. მოსკოვის ერთს საჯარო კრებაზე ტირილით ამბობდა:

— საშშობლო გაპსაცდელშია! მას ახლა ათასი ფრონტი გაუჩნდა: ბოლშევიკები, უკრაინა, საქართველო... ტრანსპორტი ნოშლილია... დაგვეხმარეთ დაივიწყეთ პირადი ზრუნვა, ისე, როგორც მე დავივიწყე,

— თორემ!.. მოიწმენდს ცრემლებს და მრისხანედ მიმართავს მოსკოველ ვაჭრებს:

— მოვლენ შინაური მტრები და ქვას ქვაზედ არ დასტოვებენ! ეს იქნება ნამდვილი მეორედ მოსვლა, რომელიც რისხვად დაატყდება მთელ რუსეთს და ყველაზე უწინ თქვენ, ბატონებო!..

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

„ახ, კერენსკი!“

ის ჯერ კიდევ უცვარს ახალგაზრდა რუსეთის დაბნეულ მეჯინერებს ეოველ მის ნაბიჯებს.

მიდის ფრონტზე და მიაქვს აღფრთოვანება: დაბრუნდება, გამოიელის კიევში და ამხნევებს წყალდიდობით დაფრთიანებულ პოდოლიეს. მოსკოეში დასტოვებს ისტორიულ სიტყვას და, როცა პეტერბურგ'ში ჩამოვა... რა ჰქმნას? რევოლიუციის საკეთილდღეოთ ეპოდიშება თავმოყვარე კალედინს: „შედით ჩვენს მდგომარეობაში! საბჭო მეც არ მოსწონს, მაგრამ რა უნდა ვქნა, მირჩიეთ?..

ბევრი დაფრენილი დადის პეტერბურგის ტუჩებზე და შეოთიან ქალაქში ხშირად გაიგონებ:

„ეს მთავრობა კი არა — ჭრვარია, რომლითაც ცხვრის თე მოიწმენდ...

—

აპრილის სანს, წოდლის 12 საათზე ფინლიანდიის სადგურისკენ მწყობრი რაზმებით მიყვებოდა ჯარს ჯარი. იყო მშვიდი, ლრუბლიანი დღე, მაგრამ რეომიური მაინც აჩვენებდა: — 15. ჯარი მივიდა სადგურთან და გაიშალა. მარცხნივ დგანან საბჭოს წევრები და შუშათა ორგანიზაციები. მარჯვნივ მთავრობის ერთი წარმომადგენელი, ჟურნალისტები და ალალგაზდობა. იცდიან საცაა მოვა ის, ვისაც ბევრი საიმედო გულისკენმით, ბევრი კი საეგბედუროთ მოელის. დარეკეს ზარი. მოვიდა მატარებელი და ეეცოდ სიჩუმე ჩამოეარდა. იქნება უთუოდ სიტყვა, მისალმებანი და სამადლობელი პასუხი.

გამოჩნდა. მოვიდა ჯარის წინ და... გაჩერდა.

ამ კაცის ს

ალექსანდრ გლოკ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკვითები

თქვენ ხართ ერავალი. ჩვენ—ურიცხვი, უანგარიშო.
ამბა მოგრძანდით თქვენი ძალებით!
ჰო, ჩვენ სკვითნი ვართ! ჩვენ აზია მოვითარეშეთ
ვიწროდ გაჭრილი, ხარბი თვალებით.

თქვენთვის წლებია, ჩვენთვის: მხოლოდ წუთების ფრენა.
და ჩვენ, ისე ვით ყურმოჭრილ მონებს,
ფარი გვეკავა შუაში, როგორ მონღოლთა ლრენა
არ შეეთქოდა ევროპის ლონეს.

საუკუნობით სცემდა თქვენი ფრო რკინისა,
ჰქუხდა ზვავივით ყოველი დაკვრა.
და თქვენ დაქცეა ლისაბონის და მესინისა
გეჩვენებოდათ კოშმარულ ზღაპრად.

ალმოსავლეთზე თქვენ ასწლობით გეჭირათ თვალი,
ჩვენაც დავნებდით ძარცვას ყრუ ნებით.
თქვენ დროს ელოდით, როგორ უკანვე მოგებლოთ ვალი
ოთო-ზარბაზნების წემობრუნებით.

და დროც მოვიდა. ეუბედობა ფრთებს აშრიალებს,
შეეურაცყოფით თვალები ლალბა.
დაჰკრავს საათი—ის ღვთის რისხვას დაატრიალებს
მაგ თქვენს პესტუნთა თავებზე ალბად.

ძველო ქვეყანავ! მოახლოვდა დაღუპვა შენი.
ვიდრე დაიწვი ცეცხლის კოცონით,
შეჩერდი ერთხელ, ისე როგორც ედიპოს ბრძენი,
სფინქსის წინაშე ძველ ამოცანით.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რუსეთი—სევინესი მოზეიმე და მოტირალი,
სახეზე წავი სისხლის ღვარებით,
გამზერს, გიცქერის, ვით ჯვარცმული და ვით ფიალი,
შენ სიყვარულით და მძულვარებით.

დიახ, სიყვარულს ვგრძნობთ ძარღვებში სისხლის მარულით,
როგორც არა გრძნობს თქვენში არავინ.
თქვენ დაგავიწყდათ, რომ არსებობს სხვა სიყვარული
ყოვლის დამწველი და დამფარავი.

ვეტრფით ყველაფერს: ცივ რიცხვების სიფიცხეს ალურს
და წითაგონებას ლურჯ სიზმრებიანს.
ჩვენ ვგრძნობთ ყველაფერს: ვამკვეთრებულ გონებას გალლურს
და გერმანელთა პირქუშ გენიას.

ჩვენ რა არ გვახსოვს: ჯოჯოხეთი პარიზის გულში
და ვენეციის სარკეთა ბროლნი,
ტყენი ნარინჯთა სურნელოვან ხმანების რულში
და ბრგე ქარხნებით ნაკვამლი კჰოლნი.

ჩვენ გვიყვარს ხორცი—მისი გენო, იმისი ფერი
და სურნელება მისი ლპობისა...
და ჩვენ რა ვუყოთ, თუ გაგწურავთ, ისე ვით წბერი,
ტლანქი ალერსი ჩვენი ტრფობისა!

ჩვენ შევეჩვიეთ შეძახილის ველური რეკით
და ავშარებზე ხელის შევლებით,
ვბედნოთ ცხენები ხერხემლების უმძიმეს დრეკით
და დავაწყნაროთ ურჩი მხევლები.

მოგვიახლოვდით! ქარქაშებში ხმლების ჩაგება
ვიდრე ჯერ გვიან არ არის დიდად,
მოგვიახლოვდით! ჩვენ ძმები ვართ, ამხანაგებო,
და სიყვარული გვექნება ხიდად!

და თუ არ გნებავთ—რას დავეკარგავთ? ჩვენც ძალგვიძს კარგად
მუხანათობა და პირწაობა.
მაგრამ თქვენს ხსოვნას დროს გაატანს დაწყევლილ ბარგად
თქვენი შემდეგი სუსტი თაობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო, ვერ დაგვიბერს ჩვენ ცბიერი ევროპა მახით!
შავი ტყეების ულრან კალთებით
ჩვენ გავიშლებით და დალრეკილ აზიურ სახით
თქვენსკენ ერთბაშად მოვტრიალდებით!

მოაწყდით ურალს, შოადექით ყველა ძალებით!
იგ თავისუფალ ასპარეზს ჰპოვებს
თქვენი ფოლადი, გაზომილი ინტეგრალებით,
რომ შეებრძოლოს მონღოლთა ბრბოებს!

ამიერიდან ჩვენ კი ბრძოლას არა გპირდებით,
არც დაგიდგებით არასდროს ფარად!
ვიწრო თვალებით ჩვენ შორიდან დავაკვირდებით,
როდესაც სისხლი მოხეთქავს ლვარად.

არ გავინძრევით, როს ჰუნნების მხეცური მადა
თქვენს დიდ ქალაქებს მახვილით მოსრავს,
ოეთრი ძვების ხოროცს რომ ააგებს შამფურზე მწვადად,
და ეკლესიას გაიხდის ბოსლად.

ძველო ქვეყანავ! გონზე მოდი და გაგიყენებ
ისევ შესცვალე ცხოვრებით წყნარით.
უკანასკნელად ძმურ ნადიმზე გეპატიჟები
ბარბაროსული პოეტის ქნარი!

თარგმანი: **კონსტანტინე ჭიჭინაძის**

სერგეი ესენინი.

ერეკლეანული
ბიბლიოთეკა

ამხანაგი.

ის იყო შვილი უბრალო მუშისა
და ამბავიც იმის შესახებ არ არის დიდი.
მას ჰქონდა თმები ღამეზე უმაგესი,
და თვალები ცისფერი და მშვიდი.

იმისი მამა დილიდან საღამომდე წელზე ფეხს იდგამდა.
რომ გაეკვება თავისი პატარა მარტო;
მაგრამ იმას კი საქმე არაფერი ჰქონდა
და მან გაიჩინა ორი ამხანაგი: ქრისტე და კატა.

კატა ყრუ იყო და ბებერი, მას ალარ ესმოდა
თაგვების ხმაური და გაფრენა ნწერების;
ქრისტე კი დედამისს მკლავზე ჰყავდა შესმული
და ის ხატიდან ყავარ ქვეშ მტრედებს უცქეროდა.

სულოყოობდა ამგვარად მარტინი უცნობი ყველასათვის.
უფეროული იყო დღეები გავლილი.
მხოლოდ მას ხანდახან მამა ცივ სადილზე
მარსელიეზის სიმღერას ასწავლიდა.

თან ეუბნებოდა: „დიდი რომ გახდები,
გაიგებ თუ რადა ვართ ჩვენ ასე ღარიბი და დევნილი".
და იმის გამხდარ ხელში დანა ცახცახებდა
ხმელი პურის ქერქზე მძიმედ დაბჯენილი.

მაგრამ ზეინძრა უეცრად
ყარი —
გარეულ ფრთებგაშლილი აყვირდა
ქარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოულოდნელად გავარდნილ
მეხზე
მთელი რუსეთი წამოდგა
ფეხზე...

რეკენ გრიგალში
რკინა და რვალნი
და ლურჯ ღამეში
ელავენ თვალნი.

სისხლის მდინარე,
გვამები თბილი,
მოსტყდა სილაჩრეს
მაგარი კბილი.

ყვირილი, კვნესა,
ხელები ხარბი,
უძირო პირში
ნაკადი ჩარბის.

იქ ვიღაცას მოუწია
ჟამმა აღსასრულის...
მაგრამ გამჩენს მოუცია
მისთვის მტკიცე სული.

ძველებურად გულფიცხელი
და ქედდაუხრელი,—
იმედს მისდევს მისი ხელი,
უკვე ცივი ხელი.

სჩანს უქმად არ ათელია
მას ცხოვრებამ გზები:
ჩამქრალიც კი ნათელია
მისი ოცნებები!

უცებ მარტინს ხმა მოესმა
თავის მშობელ ეზოდან:
სასიკვდილო დაკოდილი
მამა მისი კვნესოდა.

გაექანა შიშისაგან
ჩაღამებულ თვალებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ცივ ცხედარს მოეხვია
ბავშვი აკანკალებით.

მაგრამ ისევ წამოიჭრა,
ტირილით ვერ გაჯერდა,
კვლავ ქოხისკენ გაეშურა
და ხატის ქვეშ გაჩერდა.

„ო, იესო! ვერა ხედავ?
ჩვენ აქ დავრჩით მარტონი.
მომეშველე, შენ გეძახის
ამხანაგი მარტინი!

მამაჩემი დალუპულა
გარედ თოფის სროლაში
და ჩვენც გვიხმობს მთელი ქვეყნის
სახელოვან ბრძოლაში.

ო, იესო, ის ცივდება
და გვთხოვს გულის დამწველად,
რომ გავიდეთ ხალხის შრომის
და უფლების დამცველად!“

და იესოც გალიმებით
თავის დედის მკლავიდან,
იატაკზე ჩამოვიდა
და მარტინთან წავიდა,

გაეშურენ ბნელ ღამეში
გადაჭდობილ ხელებით,
თმებჭაღარა სიჩუმე კი
სუნთქავს საშინელებით.

სწამთ, გაჰქრება ბოროტება
მთელი თავის სიავით,
და მათ თვალებს ეფერება
თებერვალის ნიავი,

მაგრამ უცებ.... დაიჭიკა..:
გაიშალა ლადარად...
და უსულოდ ჩაიკეცა
ძირს იესო პატარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისმინეთ:

ამიერიდან აღდგომა აღარ არის!
ცხედარი მისი მიწას მიაბარეს:
შესაძლებელია
მარიხის ველზე
იმისი საფლავის მიგნება.

იქ კი, სადაც დედას
უჯდა ის ხელზე,
სადაც არასოდეს
ის აღარ იქნება,
ზის ფანჯარასთან მარტო
ბებერი კატა,
იქერს თათებით მთვარეს,
ამთქნარებს, იზმორება,
მარტინი აწვება კარებს:
ქორებო, ჩემო ქორებო,
ველარ წამოხვალთ,
ვერა!

ხმა მისი თანდათან ყრუვდება,
იხრჩობა, სული უგუბდება.
თითქოს ცეცხლს უნთებენ,
ეწვიან კუნთები
მწარედ.
ხოლო იმავე დროს გარედ,
იქვე ფანჯრის უკან,
გაისმის ძახილი
მკვეთრი, ვით მახვილი:
„რრე-ეს-პუუ-უბლიკა".

თარგმანი: **კოსტანტინე ჭიჭინაძის.**

ბოლრის პასტერნაკ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრემლი გრიგალი 1918 წლის დასასრულს.

როგორც გზებიდან თოვლში ნასროლი
უკანასკნელ სადგურად ძველ ნანგრევების,
როგორც შუალამის მინდვრის სტვენა—ღრიანცლის ბოლი,
მრუმავი ნაგუნდავებ თოვლის მდევებით,

როგორც დასასრულის—ღონის დაკარგვის დროს—
შორით ქარიშხალს მოწყენით უხმობს;
სულის გრიგალი რომ არ ჩაგიქროს
როგორც სიბნელე—არსები იქცა ჩონჩხების მუხად.

როგორც ნატეხი შეყინულ შარელის ყოშებზე
და ქარბუქებით მოხარხარე ის საგანგებოდ
დამჭერი ბედის ჩაბალახის გრძელი ეშვებით
მიმსალმებელი კარგასალებ ბროლის კანკელით.

მაგრამ ხან და ხან კი—ხან და ხან კი—
თითქოს მირეკილ თოკებით მოკლეთ
ხომალდი საყვირით—ძარღვებზე კლდის—
მიხეთქილი ღუზის სასწაულ კუპრით.

უკანასკნელ ღამით—შედარება აქ კი არ არის—
როგორც საკვირველ ქაფის სიმძიმით.
ის, კრემლი გამმართავი მრავალ ზამთარის
ეხლანდელ ზამთარს გადაახევს ზიზღის სამძიმარს,

და წარსული მთელი. გადამდგარი გრანდიოზარი
როგორც ვიზიონერი დივინაციის ორმოს.
მიჰქრის მრისხანე წინდამბდური მტრის შესახვედრად
ამოუწურავ რიცხვის—შიგნით თორმეტის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მწუხრის დროს ხმაურობით შენთან ფანჯარას
ის დიდ სპილენძის სარეკავით რომ შემოამტვრევს—
აშინებს მტერი სრულდება წელი, ამასაც სჯერა.
ველარ გაიცნობს და დარჩება მყოფადი მდარე.

დარჩენილ დღეებს, დარჩენილ ბურუსს
ხვედრს მეთვრამეტე კოშკების ძილის
ლრიალებს, მიაბნევს მთებში და ბარად
ხედავს თამაში არ გამოდგა მსუქანი—ძლიერ.

წინ მაცქერალი—როგორც მე—დატეხილი
და ამ ავდრების ზღვების გადაღმა.
ჯერ დაუმდგარი წელიწადის მზრდელი მარხილი
მიმიღებს, რომ—მომაშზადოს ბრძოლაში ახლად.

თარგმანი: **სიმონ ჩიქოვანის.**

ვლ. მაიაკოვსკი.

III ინტერნაციონალი.

მოვდივართ —
რევოლიუციონურ ზვავით
რიგებზე
ცეცხლიდან დროშების ალი.
ჩვენი სარდალია
მრავალ ბილიონ თავით
მესამე ინტერნაციონალი

კედლებს საუკუნეების
სცემს ძალით
ტალღა მესამე
ინტერნაციონალის.

მოვდივართ
რიგებს მოდიდებულს არა აქვს სადენი და;
ვოლგებს წითელი არმიების ნაპირები არ უჩნდება...
სარტყელს წითელ არმიიდან
დასავლეთისკენ
აღმოსავლეთიდან,
შემოვარტყამთ დიდ მიწას
გაუშვებთ პოლიუსებათ.

ცოტაა მიწა
ერები მრავალი
გადადდი, მესამე
ინტერნაციონალო

მოვდივართ.
მუშებო ქვეყნის.
სმენაა!
რევოლიუცია მოდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმოსავლეთი აჯანყების ნაბიჯში,
ევროპას მოზდევს
ოკეანეზე როგორც ხმელეთზე დაიწყებს დენას.
წითელი დროშა—
ნიუიორკის სახლის თავებზე

ახალ ქვეყანაში
ძველშიდაც
ლალივით
აენთება, მესამე
ინტერნაციონალი,

მოვდივართ.
აჯანყდით, ფერადკანიანო ახალშენებო
თქვენც, თეთრო მონებო იმპერიების —
აჯანყდით ამათთან!
ბრძოლამ გადასწვიტოს—
მუშების ბრძანება ქვეყანაზე—მომავალზე—ენებოს
თუ
ომებში გამხეცდეს ანტანტა.

ისინი ან ესენი
მიწა დაიცალოს
იარაღთან, მესამე
ინტერნაციონალო

მოვდივართ!
ჩვენ უტევთ სამოთხის კარებს
მოვდივართ!
გაუნგრიეთ კარები სხვებს ხელად,
ასწიეთ დროშა!
ნამგალო,
ცეცხლს რომ აპარპალებ
შემოერკალე ჩაქუჩს როგორ ციხარტყელა.

ერთად ამ კარებისკენ
ყველამ დავაძალოთ
იდიდე მესამე
ინტერნაციონალო.

მთარგმნელი ნ. შენგელაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი

კარგი საგიბი ჰყავს სამის, ბრძენი.
მხოლოდ, ის სტეკით მას ურტყამს მკაცრად;
კარგი საგიბი ჰყავს სამის ბრძენი,
მხოლოდ, ის სამის სულ არ სთვლის კაცად.

უცქერის შუდამ მას ცალის თვალით,
არ გააგონებს არც კარგს, არცა ავს;
დილით გამთბარი მას დააქვს წყალი
გასაპარსავად და ცხენს უკაზმავს.

და თუ ოდნავად გადაცდა სამი,
ისე, ვით ვიშნუ, საგიბი სწყრება!
ფეხის გულებზე მაშინ ლერწამით
მისი ბრძანებით მას მწარედ სცემენ.

მაგრამ დღითი დღე შეტი სიჩქარით
ჰქრიან ქალაქში ფეხები სამის;
იქ ბედეაპურში, როგორც სიზმარი,
მას ახსოვს რბენა საკუთარ წამის.

ცუდათ იჩინა თავი ამ წელმა:
ოგვალყურებიან, თაგვისფერ პონის
უკბინა გველმა.
ჰყეფდა ეშმაკის ხმით ტელეფონი.

ერთხელ აბრძანდა ადრე საგიბი;
რომ წაეკითხა გაზეთი სურდა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გონგის ხმამ ბრძანა ეს გასაგებათ,
სამი გაზეთით ალარ დაბრუნდა.

პირსაპარსავით გამთბარი წყალის
ტაშტით მოტანა, სხვას ერგო წილად:
და დღეს პირველი შემთხვევა არის:
ჯორი უქმელი წავიდა დილას.

შვიდი დღის შემდეგ დაბრუნდა სამი,
ვით ჯოგს ამცდარი ნორჩი თიკანი.
გამხდარი, წვრილი, როგორც, ლერწამი
ჩამოგლეჯილი, დაკაწრულ კანით.

დალურჯებული მას ჰქონდა სახე;
დალი ლოყაზე მას აჯდა რგვალად;
ცალ თვალის ნაცვლად მან დაინახა
ეხლა საღიბის ორივე თვალი.

—„შენ, მაიმუნო, სად ვგდე, მითხარ"!
საქანელადან საგიბმა ჰკითხა.
მას უპასუხა სამიმ უბრალოდ:
—„შენ ჯოხის წვერმა მე შემაშინა;

მინდოდა ნახვა ბრძანებლის მხოლოდ.
რადენებზე უფრო მეტად რომ ბრწყინავს.
მე დავიკარგე მინდვრებში, გზებზე,
ვით ბრმა ცინდალი სახურავებზე"

—„შენ ხარ შეკმნილი იყო მორჩილი,
და მენსახურო მთელი ძალლონით;
ხვეტო ნაგავი, წამოდგე დილით—
ვარ, მაიმუნო, შენი ბატონი.

—„ის, შორეული, მთებს იქეთ არის
ცას რომ ეკვრიან თვალუწვდენელნი;
იქ ქალაქია უზარმაზარი...
და იმას ხალხი ეძახის—ლენინ.

ყველას ხელს უწვდის ვინც ღარიბია:
ადამიანთა გახდის თვით მგელსაც;
ზეცის წინაშეც ის საგიბია,
და ის არავის არ ახლებს ხელსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი მაგრაჟის გვარიდან გაჩნდა.
მაგრამ თავის გვარს ის დაივიწყებს;
გაუთბობს წყალსა პატარა ტაშტით,
და იმის პონის წმენდას დაიწყებს.

სანსახურისთვის ლენინი მისცემს
მას იმდენ რჩევას, და იმდენ რუპის,
რომ მთელ ქვეყანას ის გააოცებს
და, თვით საგიბებს სამი დალუპავს.

—„ეს სად გიამბეს, შენ საოდაო?"-
ღიმილით გასცა პასუხი სამიმ:
—„იქ სადაც თეთრი თუ შიშით წავა,
ვაჭრებმა შორი ამრიტსამისა;

სამყარო იმათ, ვით გული ხელის,
ისე იციან; სულრას სიბრძნენიც;
როხილკენდეში რას ფასობს ცხენი,
და ვით ბრძენია თავად ლენინი."

მას ინგლისელმა უბრძანა: „წადი!
სამი წავიდა გამარჯვებული;
საგიბისათვის წახდა სადილი:
ის მთელ დღეს იყო ჩაფიქრებული.

და სამი ჩუმი და მოწყენილი,
დაჩოქებული, სულით მგზნებარე,
ეველრებოდა შორეულ „ლენინს,
რომელიც იყო გაუგებარი,

ვით ოგეები; რომ ლოცვა მისი
მას დიდ ქალაქში ესმოდა ხშირად:
სად თვით ფრინველი ოქროს დაისის,
თუ გადაიფრენს და მიეა ძვირად.

მაგრამ წვიმები მის ფრთებსაც დაშლის:
სპილოც სირბილით დაკარდებოდა,
და თვით საგიბთა ცეცხლის რაშებით
გაბმული ეტლი დაიმტვრეოდა.

ასე შორს იყო ის, ვილაც ლენინ;
მაინც უსმინა სამის წვალებას;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაჩოქებული იდგა ბოწყენით,
ცრემლებით სავსე, ფართე თვალებით.

და ახლა სწრაფათ წაიხტა სანი,
თითქოს წარსულის გაქრა სიმწარე,
თითქოს მის შავ ტანს მთრთოლვარე ლამემ
გალანთხია სურნელთა ღვარი

ამრიტსამეწი, ახლა კი კარგად,
თვის დაბადებას ხელახლა ხედავს...
და სამის სტეკით გალახვას მკაცრად
აწი საგიბი ეელარ გაბედავს.

მთარგნ. **კოლაუ ნადირაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ალექსანდროვსკი.

აჯანყება.

1.

თვალებში საიდუმლო
მზერა მძაფრი, ბრჭყალებიანი.
როცა იზრდება.
მოდის ვიღაც უზარმაზარი.
შავი კურტკები და კეპკები
რუხ ნისლში დასცურავენ.
შეკუმშული ხელები
ჯიბეებში...
ბნელ კუთხეებში
შიში.
კვდებიან და ჰქრებიან ხმები
ვიწრო მოსახვევებში.
ჰქრება ცეცხლები,
მაგრად გადუკეტიათ ალაყაფის კარები.
დალრეჯილი სახე სახლების.
სუ, ნაბიჯის შრიალი.
ეს—ისინია.
წყვდიადში ათრთოლდა ძახილი:
— ძმებო, ძმებო!
ფოლადის წკრიალი უთავბოლო,
ბოროტი წყევა,
ფართოვდება საიდუმლო, იზრდება.
ცა წითლდება.
ტანჯვაში დიადი მწიფდება.
მოდის.
გარკვეული ზუზუნი სროლის.
იმსხვრევა მინები ფილაქანის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამლის სუნი,
მოწყვეტილი ოხრვა.
მძიმური ყივილი, ხანძარი
წარსული ჩაიჭედა მომავლის ბრჭყალებში.
სიკვდილი! სიკვდილი მას!
აივსო ყვირილით ქუჩები
ასრულდენ ვადები.
ალსდგა დედამიწა!

2.

დაწყევლილი სიტყვა—
ღალატი,—
იხვევა, სტვენს ირგვლივ
და სული შეჰშოსა, ვით ქაფი
ნარიყი წყალის
დაეჭდენ მრისხანეთ
ერთმანეთს თვალები
და ელოდენ:
საცაა გავარდება მეხი
და ქუხილის ჭექა
ჩვენ ჩქარა გვისვრის წყობიდან.
როგორი ძალით შეჰკუმშავდენ
უდრეკი ხელები
ჯაშუშის ცოდვიან ყელს!
იქანცებოდენ,
ეძებდენ
ტანჯვის კირთებ ქვეშ
უწოდებდენ ხელს დანას
და უეცრად
ჩაბნელებულ მწყობრის სვეტებიდან
თვალები აელვარდენ
და ნათლად ენთება
მათში სიცრუე
და შიში.
გაექცნენ,
დაიჭირეს
ათეული ხელებით
და თითები, როგორც მარწუხები შეიკუმშენ
და სწრაფად მინელდა
შემკრთალი ხმა.
დაიმალენ ნისლში... მალვით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიაბიჯებენ დაღლილი ფეხებით...
უკან კი მიტოვებული სახლი
შეიღება ალისფერ ლენტებით!

3.

დაუზოგავი იყო სიკვდილი
ცეცხლიან აჯანყებაში,
აქ ტანჯვის საშინელ ტკივილით
სიცოცხლემ გულები აანთო ბრძოლით.
რუხი ნისლის წიაღში
დაუდევრად შეხვეული
ახალი ჭრილობით
ალაყაფთან სდგას მუშა
ცქვიტად მცქერი ღამეში,
გაიმართა სროლა ფიცხელი
ისევ.
და ბობოქრებით
შეირხა ღამის ჰაერი.
ქვედა სართულში
ვილაცას თავი დაეყრდნო ბინას
და სწრაფ მოშორდა:—იქ სისხლია.
კბილები უეცრად დაიკრიჭენ
თითქოს დაჟანგული რკინა,
აინთო შურით მზერა.
გუგუნის ტალღები
თრთოდენ
ხან გამალებით, ხან ნელა
ეძახდენ მამაცებს:
ბარრიკადების დასაცავად —
დასისხლიანებული ტანი.
ისევ გავარდენ ნისლში
ფოლადის ჯაჭვებს იქ სწყვეტდენ
ახალგაზდა გოლიათისას.
იქ ტირანი
მონობის მჭედელი
კვდებოდა.
ოქროსფერი
ცეცხლიანი
გველები ხაშმავდენ სახლებს.
ღამის ლანდები დნებოდენ.
წყვდიადი ჰქრებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4.

ილრუბლებოდა საღამო—
შავ ნაპრალებში
ხელახლა იზრდებოდა სიცოცხლე.
ხელებში და მხრებში
გაათრევებული
ყინვა სჩხვლეტდა მათ
ნემსებით.
განუწყვეტლად
ჰაერში
კივილით ჰქროდენ ტყვიები,
ჟანგდებოდა დასაკეტი თოჯი.
შემოდგომის წვიმებით
წყნარად იცვრებოდა
სიბნელეში საუბარი
დაღლილი ხალხის.
ცენტრში ცეცხლში იყო..
დაეცა გულს
წითელი შიში:
მოდიან!—
და ჯიუტად
შაშხანები გადადვეს პერდოხე
უცდიდენ.
თრთოდენ...
მტრები?
და ნაპიჯები კი
აუარეველი მტრების
გარკვევით აპობდენ სიჩუმეს
მოლოდინისგან
დაწყევლილი იყო ღმერთიც და ეშმაკიც.
გულს კუმშავდა უწყალოდ ტკივილი.
ქარი ურტყამდათ სახეში
— მოიცა! პაროლი?
— ბეჭედი!
ეშმაკმა გზიდოთ!.. შეგვაშინეს:.
გამოცვლა.
წყედიადში მიდიოდენ, სდუმდენ.
ტყვიები სტეენდენ,
სინესტით სტიროდენ კედლები..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5.

გარიჟრაჟდა.
ლანდები იქცენ ხალხად
და საიდუმლო აღარ სჩანს თვალებში
მათში ანათებს წყურვილი სოლის,
გამარჯვების...
დღესასწაულობს თავის უქმეს **ბრძოლა.**
საიდანღაც ხმა მაღლა
შორიდან საყვირი
ამღერდა მტრის ბანაკში
და სწრაფად
ნისლში
აზუზუნდენ ტყვიები.
როგორც სკები
შეტორტმანდა ხალხი,
ათრთოლდენ ხელების კუნთები...
ავარდა
ზევით სისხლიანი დროშა.
უცდიდენ:
ხომ, არ მოგვიახლოვდა მტერი?
არა!
არ მოდის.
ასე გაშლილი წყობით
ძმებო წინ!
გამარჯვების მწვერვალებზე!
ძველს, დახავსებულს
მეედგარი წყობით
დაეჭყლეტავთ
და ამ ბრძოლაში
ჩვენ შესახებ
დავტოვებთ მარადიულ ხსოვნას.
მტერი დაეცა ძლეული.
ნისლის და კვამლის ფარდაში
მზის სხივი ჰკამკამებს.
ბრბო კი აღტაცებით
მღერის ჰიმნს,
დროშებით, პლაკატებით...
და ლოზუნგები დაბადებული ქარიშხლით:
— **მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!**
— **ძირს შემთანხმებლები!**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰიმნები. გრიალი ორკესტრის.
მზეზე შეყვარებული
ცხოვრების მოქანდაკენი
ვარდისფერ დილის სინათლით
მოვრალებია.
ჰაერში დაფრინავს სიმღერა,
როგორც ფრინველები,
ისინი ბედნიერებით არიან დაბადებულნი,
ვიწრო კუჩებში ვერ ეტევიან,
მიგრიან ცისკენ!
სიხარული: დიადი სიხარული სახეებზე, —
შრომის დღესასწაულია,
წითელი ბაირაღები
ჩანოუკიდიათ სახლებიდან
ხელებით ესალმებიან ფანჯრებიდან.
სუნთქავენ სიმამაცით.
მსროლელია სახეები.
წითელი კამარა
ყვავილებით
მორთულია...
ღვარძლი ანთებული
დამქრალია,
ახლა ფრთიანია
სული მებრძოლების
ფრიალებს დროშები.. პლაკატები...
ჰიმნები მზიური სიტყვებით.

თარგმ. **ვახო გორგაძის**

ილია ერენბურგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრესტი დ. ე.

ევროპის დალუპვის ისტორია.

თარგმანი რუსულიდან.

1.

მისტერ ტვაივტის პირველი საუბარი.

11-აპრილს 1927 წელს, დილის 9-საათზე და 15 წუთზე კონსერვების უდიდეს, ფაბრიკის მფლობელი ჩიკაგოში, მისტერ ტვაივტი, შეუდგა პირველ საუბარს. 11 აპრილი 1927 წ.

განსხვავებით სხვა მისტერებისაგან, რომლებიც თავის საუბარს თოლხო კვერცხით იწყებდნენ, მისტერ ტვაივტი კვერცხის წინ შეეკცეოდა კალიფორნიის მსხალს და სმეტანას.. ამ ღირსშესანიშნავ დილას ჩვეულებრივათ ამოირჩია დიდი მწიფე ნაყოფი და როდესაც მსხლის სურნელოვანი წვენი ასველებდა ხელსახოცს, — ის ანგარიშობდა, თუ რამდენათ სასარგებლოა მის კონკურენტ მისტერ ჩერსების წარმოების აღკვეთის შესაფერი. და ჩასწერა პატარა წიგნაკში:

ღორები	საათში	820	დღეში	8.200.	წელიწადში	2,492.000.
ცხვრები	„	900	(+10)	9.000	(−304)	2,736.000
ხარები	„	460	„	4.600	„	1.398.000

კონსერვები		31.000.000
ძეხვები		2.000.000
სისხლი	(ჩოიტის ნაცვლად შაქრის ფაბრიკა)	7.000 000
წელები	(ძეხვები, ადგილობრივ საჭირ.)	
რქები	(საგარეცხლის ფაბრიკა „ელეკტრა")	1 200.000
სხვა ნარჩენი (დაახლოვებით)		1.600.000

ამის შემდეგ მისტერ ტვაივტმა წარმოსთქვა:

— ამ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ამით გარკვეულათ გამოიატა თავისი ეჭვები.

ნაა ისევ ხელში ეჭირა ფანქარი, როდესაც შეიცა ერთი ჩიქა სვეტანა და მიგიდის ბ-ოკნიტის გახსაკუთრებულ ფურცელზე წითელ სათაურის ქვეშ „შესოცელდეს" ჩაწერა:

1. გამოიოკვეს ვის აწვდიან ჩერსები კეტის ბეშტებს და რა ფასში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩერსების ფირმის ბოუნვეთა ანკარიში, კალიფორნიის მსხლის და სვეტანის ჭამით არ განისახლეა პირველი 15 წუთი, მისტერ ტვაიეტის პირველი საუბრის. მან მოასწრო მოუხდინა მორიგი გენიალური აღმოჩენა.

ყველა მეცნიერები, რომლებიც ხორცის კონსერვების საერთაშ-სო ფაბრიკის გამოჩენილ ორგანიზატორის ბიოგრაფიაზე ნუწაობ-დენ, მი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ტებით ამთავრებდენ პირველ დაწყებით სკოლას. საჩუქრად მისტერ ტვაივტის ზემოხსენებულ წიგნს აძლევდენ.

III. მისტერ ტვაივტის სახელს, მისი მრავალძალიან მოღვაწეობის გამო ლიტერატურის გარეშე მდგომი პირებიც იცნობდენ. საკმარისი იყო ჩაფიქრებულ მგზავრს სადმე მეუთე ავენიუზე აეხედა მაღლა ცისკენ, რომ მის წინ იმართებოდა იისფერი ფოტოგრაფია ჩვილი ნაზი ლორის, რომელიც შემდეგი ასოების გვირგვინით იყო მორთული:

„მიჩითხოვეთ სუკი მხიარულად ტვაივტის“

ამრიგად, ცნობილმა მისტერ ტვაივტმა მსხლის შეჭმის და ჩერსების ბრუნვის გამოკვლევის შემდეგ, გააბედნიერა ქვეყანა ახალი აღმოჩენით. სახელდობრ: გაიხსენა გუშინდელ დღის ბალალაიკა-ტუოული გართობა— მოცეკვავეთა შეჯიბრება და კოლორიტული სოჭრანოს მის აჭიდის კონცერტი, ჩაწერა თავის ბლოკნოტში შემდეგი:

2. დამტკიცდეს საბოლოოდ, რომ ადამიანი წარმოიშვა ბაყაყიდან. (აღმოვაჩინე მე—ტ.)

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ

მაგრამ ამ აზრის ღრმა მნიშვნელობა, მაინც არ გვაძლევს უფლებას 1927 წლის 11 აპრილი ისტორიულ დღეთ ჩავთვალოთ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობის ამბები მოხდა ცოტა უფრო გვიან. პირველი საუზმე მისტერ ტვაივტისა გრძელდებოდა. მოახლემ მას ვერცხლის ფინჯნით მიართვა ქათმის საშუალო სიდიდის კვერცხი. მისტერ ტვაივტმა დაიწყო მისი სუფთად გაფცქვნა და უცებ შეკრთა: ცილის უფერულ სითხეში ცხადათ დაცურავდა სისხლის მხგავსი წვეთი. მისტერ ტვაივტმა მღელვარებით გადადვა კვერცხი, რადგანაც ის, ე. ი. მისტერ ტვაივტი, ე. ი. ხორცის კონსერვების ფაბრიკის პატრონი—სადაც ყოველ დღიურათ 11.000 ლორი და 780 ხარი იკვლებოდა—იყო ვეგეტერიანელი, ღვთის აღთქმის თანახმად იცოდებდა პირუტყვებს და ფმთავრესად ხილით და რძის ნაწარმოებით იკვებებოდა. დაინახა რა წითელი წვეთი იგი სერიოზულად ჩაუფიქრდა საკითხს: არის თუ არა შობის შეჩერება მკვლელობა, ანდა შეუძლია თუ არა ეშმარიტ ვეგეტერიანელს იხმაროს საჭმელში კვერცხი? ცოტახანის ფიქრის შემდეგ მისტერ ტვაივტმა შეთქვიფა კოვზით ცილა, ნტკიცეთ მოიწოლა ფინჯანი და გადასწყვიტა შემდეგი, სხვა მისტერებისაგან განსხვავებით, არც პირველ და მეორე საუზმის, და არც სადილის დროს სრულიად აღარ იხმაროს კვერცხი.

მაგრამ კეთილი ვეგეტერიანელის, გულშემატკივარ გადაწყვეტილებასაც არ მიეწერება 1927 წლის 11 აპრილის სიდიადე. შეუჭმელ კვერცხის ალაგების შემდეგ, მოახლემ მიართვა მას დილის ფო-

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტა: 30-ზე ნეტი წერილი. მისტერ ტვაიტმა ამოირჩია კონცერტები ევროპიულ მარკეებით და ჩაყარა კალათში. მას სძულდა ევროპა, მელსაც არ სურდა მისი ფაბრიკის ხორცის კონსერვების ყიდვა და არც გონიერი გამრავლება. მან სასწრაფოდ გადააფალიერა დანარჩენი წერილები და მხოლოდ ერთმა უკანასკნელმა მიიპყრო რამოდენიმეთ მისი ყურადღება. აი რა იყო აღნიშნული ამ თხელ ფურცლებზე:

TRUST FORTHE DESTRUCTION OF EUROPE

NEW VOPK

№ 32174 10 აპრილი 1927 წ

მისტერ ტვაიტს

ჩიკაგო.

მოწყალეო ხელმწიფეო.

ამით გაუწყებთ, რომ ტრესტის გამგეობის ა/წ 4 აპრილის დადგენილების თანახმად, დაწყებული ა/წ. 11 აპრილიდან, ჩვენ უნდა შეუდგეთ ევროპის განადგურების გეგმის განხორციელებას.

სრული პატივისცემით
დირექტორი
ენს ბოოტ

— ძალიან კარგი.—სთქვა მისტერ ტვაიტმა და ბლოკნოტში ჩაინიშნა.

ამის შემდეგ გადაშალა „ჩიკაგოს ტრიბუნა“. და უნებურად მისი თვალნიერი ვეგეტერიანული თვალები შეჩერდა ძეოთხე სვეტის ბოლოში, სადაც აღნიშნული იყო სიტყვა „ევროპა“, აბიერიდან შეკრული მის საქმეში. მან ზანტად გადაავლო თვალი მრავალ კაბლოგრამებს, რომლებიც ცნობების იძლეოდენ სხვადასხვა ომების შესახებ: განსაკუთრებით ბალკანეთის, პოლონეთის და რეინის სანაპირო სახელმწიფოებების. დაიმახსოვრა მხოლოდ სამი საშშეიდობო დეპეშა:

გაზეთის კითხვა

ᲕᲔᲜᲔᲕᲐ. „ერთა ლიგის“ იაკმჯდომარემ ბ. ხარკოსმა ამ დაწყებულების, ახლოხანს განზრახულ ათი წლის ომ-ლეის აღსანიშნავად გამართულ სადილზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ „მშვიდობიანობის, ჰუმანობის და საბართლიანობის პოლიტიკა ბრწყინვალეთ იმარჯვებს, მიუხედავად საერთაშორისო მდგომარეობის გართულებისა“. ლიუქსემბურგის წარმომადგენელმა ან ბელგიაში მონაწილეობის მიღებისაგან თავი შეიკავა. განიხილეთ ვიცე-პრეზიდენტის მეოლლის, ქალბატონ ტრენდენტის ტანსაცმელი, იასამნის ფერის წეკერილი ლებეის მოდელით (პარიზი 2 rue de la Boetie) მენიუ: საუზმე ასორტი, წვნით კუ სოლ ა ლა გრენადინ, ფილე დელა პე. წვნიანი სატაცური ლამბერინ. ბლიმბრი ფიოლად.

ᲙᲝᲠᲔᲜᲒᲐᲒᲕᲔᲜᲘ. „ᲝᲛᲐᲚᲚᲔᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ“—აღნიშნავს, რომ ცოცხალი მასალის დანაკლისი 1924—26 წ. წ. პერიოდში აღემატება უკანასკნელი 1914 18 წ. წ. ომის მსხვერპლის საერთო ჯამს, როგორც ვიცით ევროპას ომი დაუჯდა:

მოკლულები	10.200.000
დაბადების რიცხვის შემცირება	20.850.000
სიკვდილის შენთხვევათა გახშირება . . .	6,700.000
სულ . . .	36.750.000

მოსაწყენი სტატისტიკა.

სამი წლის განმავლობაში (1924-დან—1926-მდე) აღნიშნულია:

მოკლულები (ნაციონ. და სამოქალ. ომები)	9.600.000
შობიერების რიცხვის შემცირება 1913 წ. შედარებ	18.000.000
სიკვდილის შენთხვევათა გახშირება (შიმშილი, მასიური, ეპიდემიური და სხვ.)	28.000.000
სულ . . .	55.600.000

„ერთა-ლიგის“ მიღწევანი.

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ. არ გამართლდა ხმები გაბრიელ დ,ანუნციოს სიკვდილის შესახებ. მბოლოანი მგოსანი სრულიად ჯანსაღად არის და ამ უკანასკნელ ხანს დაამთავრა ახალი ოდა მაკედონიის შემოერთების აღსანიშნავად. მალე მას განზრახული აქვს გაემგზავროს ერთი კვირით ყოფილ საბერძნეთში. წასალოდნელია მისი მონაწილეობა სასპორტო დღესასწაულში, ცურვა ოლიმპიდან ელ-ჰარხილებით და სხვა. ამ შემთხვევის გამო“ დანტეს სახელობის საზო-

გაბრიელ დ'ანუნციოს მწვანე ბრიჯი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გადოებამ“ მიართვა მას მწვანე ზამთის ბრიჯი და თათმანები ჩანგის გამოხატულებით

ამ კაბლოგრამების წაკითხვის შემდეგ, მისტერ ტვაიტმა შეხედა კედელს, სადაც პლანებისა და სქემების შორის იყო დიდი რუქა ორი ნახევარ-სფეროსი, ოდესღაც ფინიკიის მეფის ნაშვენიერი ქალწული, დღეს კი საკოდავი მრუში—ევროპა იღებდა ჩვეულებრივ ვანას. ტვაიტმა მას წუბლში წკიპურტი ჰკრა, ისე რომ საჩვენებელი თითი მაგრად მოხვდა ბებერ მადრიდს. დაამთავრა ამით თავის პირველი საუბარი, და როგორც ყოველთვის, საბოსტნეებისკენ გაეშურა. ნაგიდაზე დარჩა ბლოკნოტი.

1 აპრილი 1927 წელი.—შესრულდეს:

1. განმარტკვეს ვის აწვდიან ჩერსები კუჭის ბუშტს და რა ფასში.
2. დამტკიცდეს საბოლოოდ, რომ ადამიანი წარმოიშვა ბაყაყისაგან. (აღმოვაჩინე მე-ტ).
3. განადგურდეს ევროპა.

2.

ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

იმავე დილას, იმავე ტექსტის წერილები „ტრესტ დ.ე“-ს ბეჭდით და ენს ბოოტის ხელმოწერით მიიღეს გამგეობის სხვა ორმა წევრმა: მისტერ ჯებსმა და ხარდაილმა.

მისტერ ჯებსი შეექცეოდა თავის პირველ საუზმეს, სახელდობრ ერბოკვერცხს და შაშხს. (ის ვეგეტერიანელი არ იყო).

მისტერ ხარდაილს ყავისთვის თავი დაენებებია და მეავე წყალს სვამდა (წინადღით მას ბევრი კოკტაილი დაელია).

ორივე მისტერმა გადაიკითხეს წერილები და მოიწონეს ბატონ ენს ბოოტის აღმასრულებლობა.

მისტერ ჯებსმა სიამოვნებისაგან თვალები დახუჭა ვეებერთელა სიგარას კვნეტა დაუწყო და კიდევაც დაავიწყდა მისი მოკიდება.

მისტერ ხარდაილმა წერილით მოულუტუნა მის ფეხ-ქვეშ მწოლარე ლამაზ იავანურ ძაღლს.

მისტერ ჯებსი იმყოფებოდა პიტსბურგში, მისტერ ხარდაილი კი—ბოსტონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისტერები პირველ საუბარს მიირთმევდენ. ვანას, ევროპა ამ დროს ღებულობდა, შეიძლება უწოდოთ საღამოს ვახა. 5 ს. 58 წ. ბერლინში დამტვერული საათი ფრიდრიხშტრასეს სადგურზე აჩვენებდა 5 ს. 58 წუთს. საათის ქვეშ მდგომი ჯალარა თმიანი ქალი წამოიძახებდა ხოლმე:

— „8—Uhr Abendblatt.“

არავინ არ ყიდულობდა გაზეთს, რომელშიაც მოყვანილი იყო ცნობები ერთა ლიგის იუბილეის, თექესმეტ ომის და გაბრიელ დ,ანნუნციოს ზამთის, ბრიჯის შესახებ. ქალის ხმა თანდათან კლებულობდა და ბოლოს სრულიად ჩაჩუმდა. ამ დროს მასთან მივარდა ელეგანტური ყმაწვილი ნარინჯ ხელთათმანებში პომპონებით, გამოსტაცა ხელიდან გაზეთის ფურცელი და მიაწოდა პატარა ასი-ათასიანი მარკა. ქალმა არ გამოართვა ფული და არც შეეძლო გამოერთმევა, რადგანაც 5-ს- 59 წუთზე ის მოკვდა, გამოიჩინა რა სიკვდილის წინ იშვიათი თავშეკავება და სიმტკიცე. მაგრამ იმის მაგივრად რომ ქალისათვის რაიმე დახმარება გაეწია რომელმაც ზეხეულათ სიკვდილი შესძლო, ყმაწვილმა საჩქაროთ გადაშალა გაზეთი და დაამტერდა განყოფილებას:

ბ ი რ ჟ ა

	10 აპრილი	11 აპრილი
დოლარი	60.800.000	54.000.000
ფრანკი ფრანგ.	3.210.000	2.970.000
ტალერი	89.000	81.000
მანეთი	450	415

— Schrecklich! დაიკვნესა მან და ქვაფენილზე დაეშვა. მიაბამბრეთის ცასავით ლურჯ, მარჯვენა, მონოკლიან თვალიდან ეხვად ჩამოსცვიდა ცრემლები ნახევრად დანგრეულ, გასერილ ბერლინის მტვრიან ქვაფენილზე.

— Schrecklich! —წაიბუტბუტა ქალაქის ექიმმა, როდესაც ველარ იპოვა დადუმებულ მეგობეთე ქალის არ არსებული მაჯის ცემა. —არც სისუქნე აქვს, არც ცილეულობა, არც ნახ'ზირბადი.—108-ვე შეეთხვევა დღესა.

— Schrecklich! —წაიჩურჩულა ახალგაზრდა ყმაწვილის მეგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარ ქალმა frl. მიც�m, დღეს „მაგი ოთხშაბათია.“ 94 გაკოტრდა, 6 თავი მოიკლა, ოტტომ კი მონოკლი გასტეხა.

ყველაფერი ეს ჩვეულებრივი მოვლენები იყო, არა მარტო ბეოლინში, არამედ მთელ ევროპაშიც არ ხდებოდა არაფერი საყურადღებო.

ბერგენში (5 ს. 18 წ.) მეთევზე ხრისტენსს ფეხსაცმელი გაეხადა და სიბი სვია გამოჰქონდა ნაპირზე. ამერიკელ ქალმა მისკენ კოდაკი მიაპყრო და გაიღიმა, თუმცა სვია არაფის არ უყიდია. 5 ს. 18 წ.

პარიზში (5 ს. 07 წ.) ბანკები ისურებოდა, M-r. ვიოლი გამოვიდა ბანკიდან „ლიონის სესხი,“ ხელში ჯოხს ატრიალებდა, გაისწორა ზემო ჯიბეში ცხვირსახოცის წვერი და ავტობუსს დაუწყო ლოდინი, ხოლო როდესაც ავტობუსში უკვე ჩაჯდომას აპირებდა, მას ცხვირსახოცი ნოპარეს. M-r. ვიოლმა შეაგინა მთავრობას და მადა დაეკარგა. 5 ს. 07 წ.

გენუაში (5 ს. 47 წ.) ნაპირს მოადგა გემი „ცეზარი“. გოგო პირეტამ ამერიკელ მეზღვაურს მიუთითა თავის კაბაზე და ფულის ქისაზე. მეზღვაური მიხვდა და გაჰყვა მას შესახვევში. პირეტას ციების ეშინოდა და, რომ არ შეჰყროდა, ყელზე მძივად აგებული ნიორი ჩამოეკიდა. მეზღვაურს არ მოეწონა სუნი და ფული აღარ მისცა. 5 ს. 47 ს.

კოხლოვში (7 ს. 42 წ.) კომისარიატში ეახია გლობოვი აწამოებდა ქურდის დაკითხვას, რომელმაც „სატყეო ტრესტის“ ახლად ჩამოსულ დირექტორ კუს ლორნეტი მოჰპარა. გლობოვი მოწყენილი იყო. ქურდი ნანობდა, მილიციელი კი ილანძღებოდა და დრო გამოშვებით სიხაზინო ჩეკმაა. ვანკას უკანა ტანს ახვედრებდა. კედელს იქით კომისარის ქალიშვილი რევოლიუციონურ მელოდიებს სწავლობდა. გლობოვმა ჯიბიდან ამოიღო ფოტოგრაფიული სურათები სონია ზაიკინისა და კარლ მარქსისა. სონიამ მას ულალატა, მარქსი კი დიდი ხანია მოკვდა. ვანიამ დაამთქნარა და მდივანზე წაწოლა.

ასე სცხოვრობდა ამ საბედისწერო საათში ბებერი ევროპა. ამას გარდა, ვილაცას ზეიმს უწყვეტავდენ ლისაბონში და ვილაცას ხვრეტავდენ ბუდაპეშტში. იქ, სადაც არ იყო არც სიტყვები, არც თოფის ხმა,— ისმოდა: ხვრინვა. საათის ხმაური, მთვრალების ლოკინი და მშიერ მუცლების ქუჩუნი. ჩვეულებრივად ხმაურობდენ ზღვები— სამხრეთის ეანტასტიურ ლოკოკინებით, დასავლეთის პროფესორულ ბედიდურ სახის ასთაკვებით, და ჩრდილოეთის სავსე მოკვრცხლილ ქაშაყებით.

მთებში, სადაც ოდესღაც მკონარი დაკოკავდა, აღმართული იყო, როგორც ყოველთვის, ბოძი. ადგილობრივ აღმასკომის მოწვერილობით, ის ხელახლად შეღებეს და მისი წარწერა წინასწარ იტყობინებოდა:

ბოძზე ბელტრა იჯდა.

სრულიად არავინ ფიქრობდა არც ბოძზე, არც ზღვებზე და 9 ს. 30 წ. არც ევროპის ბედზე. მხოლოდ შორს, მეორე ქვეყანაში, სადაც ეს ბოლოდ საათი აჩვენებდა 9 ს. 30 წ., სადაც დილა იყო და წუწაობა სწარ- დირექტორებმ- მოებდა, დირექტორი საიდუმლო „**ტრესტის დ. ე.**"-ს ეს ბოლოტი, დასაქმეროდა ევროპის რუქას და ნტკიცე დირექტივებს აძლევდა ევროპის სხვა და სხვა კუთხეებში ყოფ ტრესტის 18.670 აგენტს.

3.

ბოროტების ძირი

ანუ მონაკის პრინცის ეთნოგრაფიული ცნობისმოყვარეობა.

ისტორიკოსების ცნობით, ევროპის ქველაზე პატარა სახელმწიფოს.

(ზედაპირი 1,5 კვ. კმ. მცხოვრები 24.600 სული).

მეოცეული მონაკის პრინცი გამოჩენილი იყო იშვიათი ცნობის-მოყვარეობით. რულეტკის შესწავლის შემდეგ დარჩენილ თავისუფალ დროს იგი მოგზაურობას ანდომებდა. და სწორედ მონარქის ამ ჩვეულებას მიეწერება ევროპის დალუპვა.

1892 წელსა, შემოდგომით, პრინცი გაემგზავრა ჰოლანდიაში. 1892 წ.
ნან საში დღე დაჰყო ჰაგაში და როდესაც დაინახა სურათი იან მაასისა, რომელიც მე XVII საუკუნის სპილენძის ტაშტს გამოჰხატავდა, აუტანელ სილამაზისაგან ცრემლები მოერია. გუდდაში მან შეიძინა ყალიონი, გაარლემში თეთრი ზამბახის ძირი, ლეიდენში კი ახალგაზრდა წინასწარმეტყველი. პრინცი სწერდა დღიურს, რომელიც საბედნიეროდ, დღემდე შენახულია და რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ევროპის ამ კუთხის ცხოვრების შესახებ მე-XIX საუკუნის ბოლოში. პრინცის სეირნობა.

18 ივნისს პრინცი პატარა გუნით გაემგზავრა ჩრდილოეთის 18 ივნისი
ქალაქ გელდერიდან და დაახლოებით ნაშუადღევის 2 საათზე მიადგა კუნძულ ტექსელის დაბლობ ნაპირს; ამ კუნძულის მცხოვრებლები, როგორც უკანასკნელ ხანებში მისტერ ბერვიუმ გამოიკვლია, ბისდევდენ ზღვის ფრინველთა კვერცხების შეგროვებას.

პრინცმა გვერდზე გაუარა პატარა სახლს და შენიშნა რამდენიმე წითლად შეღებილი თავი გოლანდიურ ყველის. ის გატაცებული იყო საყვარელ რულეტკაზე, ფიქრით გადაისროლა ერთი თავი ყველი და წამოიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Faites vos jeux!

სახლიდან გამოვიდა კეთილი სახის გოლანდიელი ქალი გახამებულ ბულ თავსაფარით, აიღო შოროს გადაგორებული ყველი და უსიტყვოდ მიიმალა. გულმავიწყი პრინცი თან შეჰყვა მას სახლში სადაც ოთხი წუთი დაჰყო სრული ინკოგნიტო და უამალოდ. გამოსვლისას მან ჩაფიქრებულად გაიმეორა.

— Rien ne va plus!

იქვიან მეზობელსაც კი არ შეეძლო ცუდი რამ ეფიქრა, რადგანაც, ჯერ-ეროი პრინცმა დაჰყო ოთახში მხოლოდ 4 წუთი. და მეორეც—გოლანდიელ ქალის თავსაფარი სრულიად დაუჭუჭნავი დარჩა.

პრინცმა ჩასწერა თავის დღიურში:

18 ივნისი ტექსელის კუნძული (4" სიგრძე, 53" სიგანე). ფრინველთა კვერცხები. ყველი ალერსიანი მცხოვრებნი. თავსაფრის კუთხეები, ალბად, ძლიერ სჩხელეტავენ ლოყებს. თუმცა, rien ne va plus!..

იქვიანი მეზობლები ამ შემთხვევაში მაინც ბევრ რამეს ვერ მიხვდენ: სწორედ 18 მარტს 1893 წელს კეთილ სახის გოლანდიელ ქალს, რომელსაც ამ შემთხვევის გამო გახამებული თავსაფარი მოეხსნა, ეყოლა ვაჟი ენს ბოოტი. 18 მარტი 1893 წ. ენს ბოოტის დაბადება

თავის უფიდებულეს მამისაგან მას წითამომავლობით შთაენერგა სიყვარული დიდი თანაშისადმი, რამაც შემდეგში მეტად შეუწყო ხელი ჭვეყნის მეხუთე ნაწილის განადგურებაში. დედის რძესთან ერთად მას ჩაენერგა სიყვარული კარგი რძისა, და ამიტომ ომისა და რევოლიუციის წლებში მას არ მოუცილებია თავიდან მიდდელბურგში მოწყობილი რძის კონსერვი.

4.

პრინცის დაუფიქრებელ საქციელის დანარჩენი შედეგები.

ენს ბოოტის ცხოვრების პირველ წლების შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება. მხოლოდ 1897 წელს მან გადაყლაპა ლანგუსტის ულვაში, რითაც დიდი შეწუხება მიაყენა თავის მოსიყვარულე დედას. 1897 წ. ლანგუსტის ულვაში.

1901 წელს ამ ნიჭიერ ბავშვს ჩვენ ვხედავთ ქალაქ ბრიუსელია წმინდა გუდულის სობოროში. ის საკმეველს აწვდის მღვდელს, თავის ვერცხლის მზგავს ანგელოზურ ხმით ღიღინებს „amen" და თეთრ ბაბთიან ხალათით სავალოვის თვალთახედვას ასიამოვნებს. მაგრამ პროგრესისადმი სიყვარული ხელს უშლის სასულიერო კარიერის განვითარებას. 28 მარტს 1902 წელს ის გვევლინება საკურთხეველში ეპისკოპოსის იისფერ სუტანით, რომლის სიფაროოვის გამო, შიგ მო- 1901 წ. წმ. გუდული 28 მარტი 1902 წ. სკანდალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსებულია ენსის გარდა აგრეთვე მისი მეგობარი ფეხსაცმელის მუშენდავი ქაკო და შვიდი ბელგრა. ამხანაგები ორი საკუთარი ერთი ტაფის საშუალებით ასრულებენ საზეიმო მარშს, ორთაც ორი ბასწარ ალტაკუებაზე მოიყვანეს ჯაზ-ბანდის (იგივე ალიაქოთის ორკესტრის) გამოძგონი.

პანთეონის ნაცვლად გაბარებული ენსი წაიყვანეს წმ. ფრანციისკის საბავშო სიოლში, სადაც ექვსნა მონოზონნა ცრემლების დენით და წმ. ტერეზას ლოცვების გამეორებით დაიწყეს ვარდისფერ ყურების და მოთეთრო თმების მოცილება ენსის თავისაგან, ხოლო მამა ბენედიქტე კი ნაო ეხმარებოდა და დაკოკრილ თითებით მის ცოდვილ ტანს არბილებდა.

მამა ბენედიქტემ ისე გულნოდგინეთ იმეშავა, რომ ენსის ტანი ადვილად იკეცებოდა ორხად, ოვად და თექვსმეტათაც კი. ამ შემთხვევამ წინასწარ მისცა დანიშნულება მის შემდეგ ნაბიჯებს და 1904 წელს ის გახდა ძმ. მედრანოს პარიზის ციოკის სიამაყედ. მაგრამ მის განსაკუთრებულ ადგომარეობას ამ წლებში არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა იდეალურად განწყობილი ყმაწვილი. ამიტომ 16 ოქტომბერს 1906 წელს ენსმა განიზრახა ორად მაინც მოეღუნა ერთ ერთი ძმა მედრანო, სახელდობრ ჩასუქებული გასტონი. განზრახვის აასულებამ არ მოიტანა აოავითარი დადებითი შედეგები გარდა იმისა, რომ ცოდი გაეცლენა მოახლინა გასტონის საყელოზე და ახლად შეჭმულ ბირტექზე, წეიძლება თვით ენსზედაც კი, რომელიც ორი დღის შემდეგ მზარეულის თანამშეწის თანამდებობით გაეგზავნა შორს გემით „გამბეტტა"-ით.

1904 წ. ძმ. მედრანოს ციოკი

16 ოქტ. 1906 წ. პიველი მგზავრობა ამერიკაში

ამერიკის ნაპირების პირველად დანახვის დროს ენს ბოოტს რომელიც ამ დროს უკვე 14 წლისა იყო, ძლიერ გაეხარდა, რომ ახსებობს ქვეყნის მეორე ნაწილი, რადგანაც ევროპაში ცხოვრება, —დაწყებული გადაყლაპულ ლანგუსტის ულვაშიდან და გათავებული გასტონის გატეხილ საყელოთი,—უკვე ნაწილობრივ სჩაგრავდა. მაგრამ რადგანაც ის ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდა იყო, არ შეეძლო მიეღო რაიმე გადაწყვეტილება და მალე ისევ ევროპაში დაბრუნდა. აქ სამი წლის განმავლობაში ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთრებულ სილამაზით განირჩეოდა. ამიტომ გასაკვირველი არ ყოფილა რომ ერთი საათის შემდეგ იგი მისს ჯოპლთან ერთად ცეილონის ჩაის სვამდა და იყო მიწვეული **ნატურშჩიკის** თანამდებობაზე.

მისს ჯოპლი 58 წლისა იყო. ხვიიურ სილამაზის განცდამ სრულიად მოუსპო მას საშუალება დამშვიდებით ეხატა ტილოზე. მაგრამ ეს მეატვრული უმოქმედობა არავითარ გავლენას არ ახდენდა ენის მუშაობის უნარზე. მის ჯოპლთან ერთი წლის ცხოვრების შემდეგ, ენსმა თავისი მისია დამთავრებულად აღიარა, ქიმიურ პრეპარატების საშუალებით შესწყვიტა ნიჭიერ მხატვარ ქალის სიცოცხლე და გახდა მემკვიდრეთ რიგიერის შენობების, იორკშირის ლორების და **„ინგლისის ბანკში"** მოთავსებულ გინეებისა. მის ჯოპლის სიკვდილი.

მაგრამ აქეროს ენს ბოოტი იმყოფებდა არა იორკშირში, არამედ ნიცაში, ესე იგი 18 კილომეტრის მანძილზე მონტე-კარლოდან, და მისს ჯოპლის გამოტირების შემდეგ გაემგზავრა ამ სტუმართმოყვარე ადგილისაკენ.

— 18!— წამოიძახა ენსმა და მაგიდაზე რიგიერის ნიშნები დაყარა.

11, თავაზიანად უპასუხა კრუპიემ.

— 18!— გაიმეორა დაჟინებით ენსმა და გამორეკა იორკშირის ყველა ლორები.

— 34,—მორიდებით უპასუხა კრუპიემ.

18!—და ენსმა გადაყარა მთელი თავისი გინეები, წინასწარ გადახურდავებული ფრანკებზე.

— Zero,—გაისმა ჩუმად კრუპიეს გულშემტკივარი ხმა.

კაზინოდან ენს ბოოტი სრულიად გაკოტრებული გამოვიდა, მაგრამ მას ანუგეშებდა ის აზრი, რომ მან თავის ნამას, მონაკის პრინცს აჩუქა მხოლოდ და მხოლოდ 250.000 გირვანქა სტერლინგი, მაშინ როდესაც მისგან მიიღო დაუფასებელი საჩუქარი—სიცოცხლე.

ენს ბოოტს გული არ გატეხია და ახალი ხელობა გამოძებნა. ის დაექირავა ტანგოს და ბოსტონის საცეკვაოდ 40 წელს გადაცილებულ ქალებს. ყოველდღე 5-დან 7-მდე იხუტებდა აბრეშუმში და მყარში გაპობილ ჩამომჭკნარ მუცლებს. მანდილოსნები იწონიდენ თითო 80-დან 100 კილოგრამამდე და ენსი ცეკვის დროს საშინლად იოფლებოდა. ენსი მეტად შესამჩნევათ ცეკვაედა და, გულახდილად რომ ესთქვათ ხშირად ჰქონდა სურვილი საცეკვაოდ მიეწვია რომელიმე ახალგაზრდა ქალი: მაგრამ ეს სასტიკად იყო აკრძალული 11 პატივცემულ მანდილოსანის სინდიკატის მიერ, რომელსაც ენსის ფეხები ეკუთვნოდა. „მანდილოსანთა სინდიკატი"

ასე გრძელდებოდა 1914 წლის 14 იანვრამდე, როდესაც მოხდა რაღაც კატასტროფიული, რამაც დააჩქარა ევროპის დაღუპვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.

MERCI, მე არ ვცეკვავ.

(პიროვნების როლი ისტორიაში).

ბევრ ამერიკელისა და ინგლიკანელების ვულგარული წარმოდგენით ევროპის დაღუპვის ძთავარი მიზეზი იყო ცბიერი და უგულო m-lle ლიუსი ფლამენგო. განა ღირს ამგვარ შეცდომის უარყოფა? როგორიც არ უნდა ყოფილიყო გონებრივი და სულიერი თვისებები ზემოხსენებულ ქალის, მაინც არ შეეძლო (რასაკვირველია) ვეებერთელა ქვეყნის უდაბნოდ გადაქცევა. ამასთან შეხვედრამდეც ენს ბოოტმა თავის მღელვარე სიცოცხლის 21 წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოსცადა და უკვე მოასწრო ევროპის ცივილიზაციის შეჯავრება. გარდა ამისა, ენს ბოოტიც რომ არ ყოფილიყო, ევროპა მაინც დაილუპებოდა. 1914—18 წ.წ. ომები უკანასკნელ 10 წლის სულიერი და ეკონომიური დაშლა,—ნათელ სურათს გვაძლევს იმ კატასტროფიულ მდგომარეობისა, რომელშიც ევროპა იმყოფებოდა ცნობილ ტრესტის დაარსებამდე. მაგრამ, რასაკვირველია, ენს ბოოტის მოღვაწეობამ რამდენიმე საუკუნით დააჩქარა ეს ამბები: ხოლო m-lle ლიუსი ფლამენგოსთან შეხვედრამ კი, (თავის მხრივ), დიდი ავანტიურისტი უდიდეს გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

ეს შეხვედრა, როგორც აღნიშნეთ, მოხდა 14 იანვარს 1914 წელს, ნაშუადღევის 5 ს. 50 წ. პარიზის ერთ დაწესებულებაში, რომელსაც ერქვა „Tee-Star". ენს ბოოტი, როგორც ყოველთვის, ცეკვავდა სინდიკატის 11 მანდილოსანთან. მაგრამ აღნიშნულ საათს მან შენიშნა იშვიათი სილამაზის ახალგაზრდა ქალი, ქერა თმებით და შავგოიმანი სახით. ენს ბოოტი, ყოველივე ტრადიციების და ანგარიშების გარეშე, მიუახლოვდა ლამაზ ქალს, რომელიც ახალგაზრდა დიპლომატთან ცეკვის შემდეგ ჩაის სვამდა,—და თავაზიანი თავდაკვრით საცეკვაოდ მიიწვია.—Merci, მე არ ვცეკვავ,—ამაყად უპასუხა უცნობ ქალმა, ოდნავ შეარხია ქერა თმები და მჭელი კბილებით მოკვნიტა ნუშის ქადა.

14 იანვარს 1914 წ. შეხვედრა „Tee-Star"-ში.

ენს ბოოტმა ხელმეორედ დაუკრა [illegible] და მოსცილდა! ლამაზი ქალი კი,—რომელიც ხანმწკის 30 პარკის და 6 აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის პატრონის ქალიშვილი აღმოჩნდა,—უკვე სხვასთან ცეკვავდა. სინდიკატის მანდილოსნები თავიანთ 11 მუცლით დაერიენ ენს ბოოტს და პირობის დარღვევისთვის დაუწყეს ლანძღვა. ენსი გარეთ გამოვიდა. მან იცოდა, რომ შეყვარებული იყო. იცოდა ისიც, რომ m-ll ლიუსი ფლამენგომ არ მოისურვა ცეკვა მათხოვარ, დაქირავებულ მოცეკვავესთან.

ენსი შეჩერდა სახომალდო კომპანიის „Cunard-Line-ს ვიტრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასთან და შეხედა ევროპის რუქას. მრავალ ზღვებით გარშემორტყმული, ფინიკიელ მეფის ქალიშვილი ისევ ნებივრობდა.

— მშვენიერი კონტინენტია.—გაიფიქრა ენს ბოოტმა,—მაგრამ აქ ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ცხოვრება შეუძლებელია. მოდი, აფრიკაში წავიდეს. იქ ქვიშაა და ზეცა...

ის უკვე აპირებდა სახომალდო საზოგადოების კარები გაეღო, მაგრამ, უკან მოხედვის დროს, უნებურად იყიდა გაზეთი და დამშვიდებულად დაიწყო მისი კითხვა.

უდიდეს იდეებს, სანამ მომწიფდებიან, დრო სჭირდებათ.

ევროპა თუ M-LLe ლიუსი ფლამენგო?

ეს ფაქტი ე. ი. საღამოს გაზეთის კითხვა არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას, პირიქით ენს ბოოტი ყოველდღე ყიდულობდა „La Presse". ერთხელ სახელდობრ. 2 აგვისტოს 1914 წ. გაზეთის ყიდვის შემდეგ მან გაიგო, რომ ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებმა ერთმანეთს ომი გაუცხადეს. 2 აგვისტო 1914 წ. ომი.

უნდა ითქვას რომ ენს ბოოტი არცერთ ეროვნებას არ ეკუთვნოდა. იგი ფიქრობდა, რომ პირადობის მოწმობა უნდა იცვლებოდეს ერთ ქვეყნიდან მეორეში გადასვლის დროს ისე როგორც კოსტიუმი. გოლანდიელობა იტალიაში მას იაფთიანე უაზრობად მიაჩნდა, როგორც ნეაპოლში ქურქით სიარული. ყველაფერ ამის კოლექციასთან ერთად ლორის ტყავით გადაკრულ ყუთით, მას დაქონდა მოწმობების მთელი კომპლექტი. ის მშვენივრად ლაპარაკობდა სხვადასხვა ენაზე და როდესაც ინტიმურ საუბრების დროს ეკითხებოდენ, რომელ ეროვნებას ეკუთვნის, ის სრულიად სერიოზულად უპასუხებდა: „ევროპიელი ვარ".

რადგანაც ომმა მას პარიზში მოუსწრო ამიტომ ის ფრანგი აღმოჩნდა და მაშინვე ჯარში გაიწვიეს. ს�ი წლის განმავლობაში, ენს ბოოტის ცხოვრება არაფრით არ განირჩეოდა იმ დროის რამოდენიმე მილიონ ევროპიელის ცხოვრებისაგან, რომელიც მეტად ერთფეროვანი და მოსაწყენი იყო. დინიშნული 305 მილიმეტრიან ზარბაზანთან ის აუარებელ მტრებს ელეტდა და გაციებულ ქონიან წვენს ხვრეპავდა.

მხოლოდ ერთხელ საკმაოდ ბანალურმა სანახაობამ ააღელვა იგი. მთის მწვეროვალიდან ენს ბოოტმა გადახედა მდინარე სომმის ველებს და დაინახა სრულიად ტიტველი და დამახინჯებული მიწა, ენსი შეკრთა ისე როგორც შეკრთება ხოლმე შეყვარებული ყმაწვილი, როდესაც დაინახავს დაღლილობისაგან ჩამომჭკნარ ახალგაზრდა ქალის სახეს. და რადგან ენსი ოდესლაც საშუალო სასწავლებელში

ენს იც მაღლობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითოლოგიას სწავლობდა, ნან მწუხარებით მიმართა თავის მეგობარს კაბრალ მიშოს.

— საწყალი ფინიკიის დედოფალი!...

ნაგრამ მიშომ ვერ გაუგო ენს ბოოტს და პასუხის ნაცვლად იჭვიანად ამოიოხრა.

სამი წლის განმავლობაში ენსი აკეთებდა ჩვეულებრივ საქმეებს, ნაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მის მიერ შემდეგში ჩადენილ გმირობას, უნდა ვიფიქროთ რომ ია მაშინ ჩვეულებრივ ფიქრებით არ იყო გართული.

1917 წ. გაზაფხულზე, ტრანსპორტის ტრიუმში დამალული ენს ბოოტი ჩავიდა გემით არხანგელსკში. აქავე წელს მას ვხვდებით მოსკოვში, სადაც ის კრემლს ზარბაზნებს უმიზნებდა. მიზანში ამოღების დროს ბუტბუტებდა: — „ვცადოთ! იქნებ კიდევ შესაძლებელია ამის გამოსწორება“.

1917 წ. რუსეთში

ენს ბოოტი პატიოსნად და ზედგრად სცდილობდა ბევრ რაის გამოსწორებას. ის ბეღმძღვანელობდა მოსკოვში არსებულ სხვა და სხვა საელჩოების ლიკვიდაციის ოპერაციებს. ებრძოდა ფრანგებს ოდესასთან, და 4 წლის განმავლობაში მისი გული ფეთქვის დროს ხვდებოდა უბის წიგნაკს, რომელიც რ. კ. პ-ის პარტიული წიგნაკი იყო.

მაგრამ 1921 წელს, როდესაც რუსეთის კომუნისტურმა მთავრობამ დაიწყო სახელმწიფო კაპიტალის დამკარება, ენს ბოოტმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პატიოსანი ავანტიურისტი იყო და არა გაიძვერა პოლიტიკოსი გაუგზავნა რაიკომის მდივანს თავისი პარტიული ბილეთი, გამოთხოვებისას მოკლა ტრესტის 3 თავმჯდომარე, ბირჟასთან არსებულ კომიტეტის 4 თავმჯდომარე და 1-ბანკის დირექტორი, ამოიღო ტყავის საფულედან საჭირო დოკუმენტი და გაემგზავრა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ენს ბოოტმა, მეტად რთულ სახელმწიფო კაპიტალიზმს ამჯობინა, კერძო სპეკულიაცია. ის ყიდულობდა და ჰყიდდა სხვა და სხვა საქონელს: ძვლიანოების აქციებს, დოლარებს, ლამაზ ქალთა კარატებს, მინისტრების გულებს და ზოგიერთ სადაო ქალაქებსაც კი, როგორც იყო: ვიუმე, მემელი, ჩერნოვიცი, ნიცა, რეველი და სხვა.

1921 წ. ლიკვიდაცია პარტიაში-ობა

1925 წლამდის იგი ისე გამდიდრდა, რომ გადააჭარბა როტშილდს, სტინეს, ლიუშერს და ევროპის როგორც ინდუსტრიალურ ისე საბანკო კაპიტალის მრავალ სხვა მეფლობელებს. მაგრამ ენს ბოოტის პატარა ნოჭრის სულს, მაინც და მაინც არ აინტერესებდა მარტო სიმდიდრე.

1925 წ. სიმდიდრე

ერთად ერთი გასართობი მელანქოლიურ მილიარდერის მოგზაურობა იყო. რაღაც იდუმალ ინსტინქტების ზეგავლენით იგი არ შორდებოდა ევროპას და მთელი თვეობით, სეროვდა ბას Sud ან Orient

ექსპრესებით. ის მოგზაურობდა ერთ ზღვიდან მეორე ზღვამდე, ბრაზილიიდან ირმანდიის ვაშლის ხეებიდან ოქროს რქის იასამნამდე, ლაპლანდიიდან დაბალ ნაძვნარიდან მესენის ფორთოხლის ტყეებამდე.

საწოლ ვაგონის დაორთქლილ მინიდან მოსჩანდა ჩამავალ მზით განათებული ველი. დიახ, ქერა ქოჩორი მეტად ლამაზი იყო მოტაცებულ ფიზიკიელ ქალის შაგვრენან სახეზე. და ლამით როდესაც ციწრო კუპეში მოსვენებული მიექანებოდა ერთ ზღვიდან მეორე ზღვამდე, ენს ბოოტი მოდერნის ცივის ყოფილი გასტრალიური, ბუდიობის ომშის ყოფილი წითელარმიელი. ამ ყამად მილიარდერი ჩისფერ პიჯაკით, იყო გაგიჟებით შეყვარებული ევროპაზე. დიახ. აია საშშობლო. აია მსოფლიო. აიანედ ევეყნის პატარა ნაწილი, ნაზი ლტოლვილი. სასურველი M-lle ლიუსი ფლამენგო!

(ენდა ითქვას რომ, ლამით ენს ბოოტი აოასოდეს აო ეშმერ-ლა საოკეში თავის თავს).

დღე კი ის ყველაფერს ხედავდა: თავის მალაროების მონებს, დეპუტატებს, პროფესორებს, პოსტიტუტებს და მრავალ სხვას. აგრეთვე საოკეში ხედავდა დასიეებულ და ნაბძინარევ სახეს. ეჯავრებოდა ენს ბოოტს ევროპა დღისით და ამ სიძულვილს, რო-გორც ბავშვს ატაოებდა ღილეტის საოჩულის ქვეშ. მსოფლიოს ყო-ველ სადგურებზე, იყო ესტონეთ თუ ბალეარმო, ფანჯრიდან გად-მოხედვის დროს ენოსავდა საზიზღარ სიდაბლის სუნს. ითქოს მის თავზე სუნთქავდა ბებერი ქალი, შავი ამტრალებელ ტანსაცმლით. ეს იყო ევროპის სუნი. და ენს ბოოტს სწამდა რომ ევროპა იყო ბებე-რი, გახრწნილი, რომ მისი შეყვარება შეიძლება მხოლოდ ინბნელე-ში, როდესაც თვალები დახუჭული გაქვს და ხელებით აო ეხები მის ხორკლიან ტყავს.

ენს ბოოტი აო იყო აოც ფილოსოფოსი და აოც პოლიტიკოსი, ამიტომ აო სწერდა წიგნებს ძველი ქვეყნის დალუპვის შესახებ და აოც ესწრებოდა კომინტერნის კონგრესებს. ალბათ ეს ადამიანი იყო დაბადებული პრიმიტიულ, და იქნებ ველეურ ცხოვრებისათვისაც. მისი დედა მიუხედავათ გასამეპულ თავისაფარისა, აო იყო მაინც ნა-ზიარები ევროპის კულტურით. უდაბნო ყუბეულზე ის აგროვებდა გაოეულ ფრინველთა ყვეოცხებს. მამისგან კი როგორც უკვე ხემოთ იყო აღნიშნული, ენსს გადაეცა სიყვარული დიდი თამაშისადმი. ენს ბოოტი რომ 19 წლისა წასულიყო ამერიკაში, ის გამონახავდა იქ საშვალებას თავის ნიდრეკილებათა განვითარებისათვის; მოაგროვე-ბდა სირაქლემის ყვეოცხებს, რომლებიც მეტად ნოყიერია, დაიწყებ-და ნადირობას უდაბნოთა მეფე ლომებზე, რაც საერთოთ ბევრათ აო განსხვავდება რულეტკის თამაშისაგან, მაგრამ მე XX-ე საუკუ-ნის მე-20 იან წლების ბებერ და გარყვნილ ევროპაში მას ალარაფვე-ი ჰქონდა გასაკეთებელი.

მაისი 1926 წელ. დაუფიქ-რებელი გადაწყვეტილება.

ედინბურგის ახლო გაყლის დროს გადასწყვიტა ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ
რთვა. ეს იყო მაისში 1926 წელს. ᲒᲘᲒᲚᲘᲐᲜᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ

7.

ᲚᲝᲠᲓ ᲩᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲚᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ!

მოხუცებული ლორდი ჩარლზ ხეგი არასოდეს არ დადიოდა ლორდთა პალატაში. ის ფიქრობდა, რომ კანონები გამოგონილია მხოლოდ თემთა პალატის საკოდავ გამცლელებისათვის. ლორდებს კი უნდა აინტერესებდეს მხოლოდ თავისი გვარის ტრადიციები. ლორდ ჩარლზ ხეგს სძულდა ბილლი და უყვარდა ცხენების დოლი. ლორდ ხეგების ღერბზე გამოხატული იყო ცხენის კუდი. ეს წინასწარ განსაზღვრავდა ხეგების ოჯახის პირველ ვაჟების ცხოვრების დანიშნულებას.

ლორდ ჩარლზ ხეგს მშვენიერი საჯინიბოები ჰქონდა. ნაგრამ 1914 წელს მას მრავალი უბედურება დაატყდა თავზე, ისე როგორც ბიბლიის იობს: მისმა იმედმა კვიცმა „ჯიმიმ“ ვერ აიღო დერბის პირველი ჯილდო, ფაშატმა „ვიქტორიამ“ მოიტეხა ფეხი და იძულებული შეიქნენ ნოეკლათ, „მარშალი“ და „რიო“ დაიხოცენ ქოთაოსაგან. ლორდი ჩარლზ ხეგი გათეთრდა, დანაღვლიანდა და ფინანსიური მოსაზრებებით უარი სთქვა სააღდგომო მოგზაურობაზე სეცილიუში

მაშინ მისმა მეუღლემ (ულაყი და ფაშატი ცხენების გარდა ლორდ ხეგს ყავდა მეუღლეც), რომელიც ბუხართან იჯდა და ძველებურ მაშით დაფერფლილ ნაკვერჩხალს ასწორებდა, გელიოტროპის დამჭკნარ ყვავილის ყნოსვით წარმოსთქვა:

— ჩვენ ხომ მერიც გვყავს .

(ეს საკუთარი შეეფერებოდა სიმართლეს, რადგანაც ულაყ და ფაშატ ცხენების და მეუღლის გარდა, ლორდ ჩარლზ ხეგს ჰყავდა ქალიშვილიც, რომელსაც ერქვა მერი).

რასაკვირველია, ქალიშვილის ხსენების დროს კეთილშობილი ლედი სრულიადაც არ ფიქრობდა, რომ ლამაზ მერის შეეძლო მკვდარ ფაშატ ცხენის „ვიქტორიას“ მაგივრობა გაეწია. არა. ის უფრო ღრმად იყურებოდა ბედ-ილბლის საიდუმლო წიგნში. მარცხენა ფეხელზე აღნიშნული იყო ლორდ ხეგის ყველა ვალები, მარჯვენაზე კი კაპიტალი მდიდარ უცხოელის, რომელიც წუხელის სერ ედუარდ კარსეილთან ცეკვავდა მერისთან კაუ-ტროტს და სამი წუთის განმავლობაში გაშტერებით უყურებდა ლორდის სანთელივით ჩამომ-

დურებანი.



დნარ ქალიშვილს. ბედ-იღბლის წიგნის მარჯვენა ფურცელმა იმდენად ააღელვა ლედი, რომ მან გაბედა წარმოეთქვა თავისი რიული ფრაზა.

— მეგობარო, თქვენ გავიწყდებათ ხეგების გვარის ღირსება,— უპასუხა აღელვებულმა ლორდმა და ერთგულად დაუწყო ყურება ბერს, რომელზედაც აღბეჭდილი იყო ღერბი ცხენის კუდით.

თუმცა, ლორდის აღშფოთება დიდხანს არ გაგრძელდა: სამი დღის შემდეგ, როდესაც დაინახა, რომ მისი ქალიშვილი მერი ფაივ-სტეპს ცეკვავდა სრულიად უბრალო გვარის საქმროსთან, მან მხოლოდ საწყლად ამოიოხრა:—ჩარლზ, თქვენ გავიწყდებათ კუდი!

ჩვენ არ შეუდგებით იმ მიზეზების ძებნას, რომლებმაც აიძულეს ენს ბოლტი ასე მოულოდნელად ეთხოვა ლორდ ხეგის ქალიშვილის ხელი, რომელთანაც მან მხოლოდ სამი წუთი იცეკვა კაუ-ტროტი და ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს ნისთვის. ალბად, როდესაც შეეხო თბილ და სუსტ ხელს, მან იგრძნო რალაც, რაც ყოველთვის ალელვებდა მას. ეს გრძნობა ენათესავებოდა III-IIe ლიუსი ფლამენგოს მოწყენილ შავგრეგანობას, რომაულ შადრევანების სითბოს და ჩრდილოეთის მზით გამთბარ შვედურ ზღვის წვეტიან კლდეების მორცხვ სინაზეს. ევროპის პოეტები ამგვარ მდგომარეობას „სიყვარულს" ეძახიან, ჩვენ კი მას „ევროპის განცდას" ვუწოდებთ.

ასე იყო თუ ისე, ენს ბოლტმა დაუყონებლივ სთხოვა ხელი და თანხმობა მიიღო. ნიშნობა უნდა მომხდარიყო 12 ივნისს ლორდ ხეგების საგვარეულო მამულში, რომელიც 20 მილის მანძილზე იყო ედინბურგიდან.

საზეიმო დღეს ძველი ციხე-დარბაზი ბრწყინავდა მრავალ საგვარეულო კუდებით. ისინი იკურებოდენ ჭერიდან და კედლებიდან, მძიმე გობელენებიდან და თხელ მინებიდან. უზარმაზარ დარბაზში იყინებოდა ბოლის ჭიქები, რომლებზედაც რთველით იგივე კუდები იყო გამოხატული. კეთილშობილი ლედი პირადად ხელმძღვანელობდა ახალგაზრდებისათვის საქორწინო საგარძლის მომზადებას და გადახსნილი ბალიშები ზხიარულად გამოიყურებოდენ ვერალდიულ კუდებით. საჯინიბოში კი ცხენებისათვის განსაკუთრებით მოწვეული პარიკმახერი უვარცანიდა კუდებს ულაყებს და ფაშატ ცხენებს.

ქველანი შეიკრიბენ, არ ჩანდა მხოლოდ ენს ბოლტი. მას ელოდენ დილის 11 საათისათვის. საათი კი როგორც კომკზე ისე მშვენიერ მერის საბაჯურზე აჩვენებდა ნაშუადღევის 4 საათს, ჰასტორი, როგორც მოუსვენარი ცხენი, ფრუტუნებდა და ხან ერთს, ხან მეორე ფეხს ეყრდნობოდა.

გავიდა კიდევ 6 საათი და დალამდა. შაგრამ ეს ღამე არ იყო პირველი ღამე. ლედიმ საჩქაროდ დაფარა გადაშლილი ბალიშები, რომლებიც დასცინოდენ მას. მსახურებმა აალაგეს ბოლი, რომელიც

12 ივნ. 1926 წ

ქორწინების დღე.

საღამოს 10 ს ფიაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლოვის ხარივით წკრიალებდა. სტუმრებმა საქორწინო სახე მოხერხებულად შეცვალეს სამგლოვიაროთი და დაიწალენ. ედუარდ ბ-ნმა ჩუმად უთხრა თავის მეუღლეს:

— მხოლოდ დრო კი არ არის ფული, არამედ ფულიც დროა.

მეუღლემ ვერ გაიგო ამ სიტყვების ღრმა მნიშვნელობა და ნაღვლიანად ამოოხრა.

დარბაზი დაცარიელდა. მერის გაფითრებულ სახეზე ჩამოგორდა ერთი გრძელი ცრემლი. ელეპერთელა დარბაზში ლოდი ჩარლზ ხეგი გამეცებული ყყურებდა ურიცხვ კუდებს და ლრიალებდა:

— ხეგების გვარის ლირსება-შეურაცხყოფილია!

საერთოდ, ის მართალი იყო.

მეᲠᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

იმავე დღეს დილის 11 საათზე სამიკიტნო „კაფრის ლიმილის" წინ შეჩერდა ბალალი კაცი რეზინის მაკინტოშით. რადგანაც ეს ამბავი გლაზგოში ხდებოდა, ჩამორჩენილ მგზავრს ხემოდან აწვეთებდა რუხვი, ჭვარტლიანი წვიმა. კაცი სამიკიტნოში შეკიდა და ერთი ჭიქა ვისკი მოითხოვა. იდაყვ დაყრდნობილი, დიდხანს იჯდა ის გამოურკვეველ მდგომარეობაში.

სამიკიტნო „კაფრის ლიმილი" მოთავსებული იყო ნავთსადგურთან და შემომავალი ზეზღვაურები, მტვირთავები და ქალები ცნობის მოყვარეობით აკვერდებოდენ გაბინდებულ სტუმარს, რომელიც ძალიან გავდა დასველებულ კერპს.

და ბოლოს, უცნაურმა კლიენტმა დაამთქნარა. ეს მოხდა ისე მოულოდნელად და ხმა ძაღლა, რომ დიასახლისი შეკრთა, თითქოს გულშემზარავი საყვირის ხმა გაეგონოს. ეს დამთქნარება, ალბად რომელიმე გადაწყვეტილების გარეგნული გამოხატულება იყო, რადგანაც სტუმარი სწრაფად გამოიკოცხლდა და დაუყვირა მოახლეს. გადამწყვეტი ბრძანებანი.

— კიდევ ვისკი! ორი ფლეცელი საწერ ქაღალდისა! ერთი ყვავილიანი ლია ბარათი!

ამის შემდეგ იგი შეუდგა მუშაობას.

I. ᲔᲜᲡ ᲑᲝᲝᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ.

Ბ. ᲐᲚᲤᲠᲔᲓ ᲜᲝᲒᲔᲘᲜᲡ.

Huigestr. 79 ამსტერდამი.

გლაზგოვი, 12 ივნისი 1926 წელი.
ძვირფასო ბ-ნო ნოგეინ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით გაუწყებთ, რომ მე გადავწყვიტე მოვახდინო ყველა საქმეების ლიკვიდაცია და გავხდე კაფრი.

ოადგანაც სირაქლემის კვერცხების შეგროვებისთვის საჭიროა არ არის არავითარი კაპიტალი, ამიტომ ამ წერილთან ერთად გიგზავნით ნოტარიუსის მიერ შემოწმებულ ანდერძს, რომლიდანაც თქვენ დაინახავთ, რომ გნიშნავთ თქვენ მთელი ჩემი ქონების მემკვიდრეთ, და რომელშიაც შედის აგრეთვე დაუვიწყარი იისფერი პიჯაკი.

იყავით გამარჯვებით.
თქვენი ერთგული.

ენს ბოოტი.

P. S. ძალიან გირჩევთ შეირთოთ მისს ხეგი. მისაბაძოთი მეორე გვერდზეა.

II. ლორდ ჩარლზ ხეგს.

ეიენის სასახლე, ედინბურგის ახლოს.

დიდად პატივცემულო ლორდ!

გთხოვთ მაპატიოთ, რომ მე დავიკავიანე საქორწინო ზეიმზე. ფილოსოფიერეთვე გთხოვთ გადასცეთ თქვენს დიდად პატივცემულ მეუღლეს ეიფერი, და ქალიშვილს ჩემი გულწრფელი ბოდიში და მწუხარება, რომ ამდენი მწუხარება მივაყენე. ჩემს გასამართლებლად ვიტყვი მხოლოდ რომ დღეიდან მე დავკარგე ყოველგვარი უფლებები როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებასა და ამიტომ არ შემეძლო გამეგზავნა თქვენი ქალიშვილი გამეხადნა ჩემს მეუღლეთ.

იმედი მაქვს, რომ უარს არ მეტყვით და გადასცემთ ჩემს დაკარგულ ოცნებას, ე. ი. თქვენთან დარჩენილ ქალიშვილს, რომ მასთან გატარებული სამი წუთი კეუ-ტროტის ცეკვის დროს, დამახსოვდება უკანასკნელ წუთამდე.

მიიღეთ ლორდ ხეგ ჩემი რწმენება თქვენდამი სრულ პატივცემაში.

ე. ბოოტი

ყვავილებიან ლია ბარათზე, რომელიც მოახლემ იყიდა მახლობელ დუქანში ცოტა ყოყმანის შემდეგ, ენს ბოოტმა უპირველესად ყოვლისა ბევრი ფიქრისაგან მელნით დაიწერა ფრიად მოკლე ტექსტზე:





Carte Postale

12/6, 1926.

მე ვსტოვებ ევროპას, ეს ძრიელ დაახლოებით, ყველაფერი, რისი თქმაც მიხდა.

ᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ფინიკელის აფელი, მე ვერ შევსძელი ეყოფილიყავი ვერც იუპიტერი, ვერც ხარი.

დალვრემილი ვარ და ესეთ ვისკის. გისურვებთ როგორც თქვენ, ისე თქვენს პატივცემულ მეუღლეს კარგ ამინდს და სხვ.

სამიკიტნო „კაფრის ლიმილი".

ენს ბოოტი.

ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲒᲘᲒᲚᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ

ᲚᲘᲢᲝᲚᲚᲘ

M-me

ლიუსი ბლანკაფარ
(ფლამენგოა).

26, rue de
Cherche—Midi
Paris.

ამ ლიტერატურულ ცდების შემდეგ, ენს ბოოტი წავიდა გემის დასათვალიერებლად. მან აღვილად მონახა **„რომანიკ"**-ი, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკაში მიდიოდა. ის მზად იყო უკვე შიგ ჩამჯდარიყო.

მაგრამ მონაკის პრინცი, როდესაც გოლანდიელ ქალის სტუმარმოყვარე სახლში იყო, დიდ თამაშზე ფიქრობდა. მიუხედავად იმისა რომ 32 წელიწადი სცხოვრობდა, და საკმაოდ ხმამაღლა დაანთქნარა სამიკიტნო **„კაფრის ლიმილში"**, —ენს ბოოტი მაინც ძალ-ღონით იყო სავსე. ამასთანავე ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიადი იდეები უკვე დათარეშობდენ მის თავში.

— მოდი, ვსცადო გავხდე ან იუპიტერი, ან ხარი?— გაიფიქრა მან, გაიღიმა და მოსცილდა **„რომანიკ"**-ს.

ეს, რასაკვირველია არ ნიშნავდა, რომ ის უსათუოდ უნდა წასულიყო ლიუსი ბლანკაფართან rue de Cherche-Midi-ში და არევდარევა მოეხდინა მის ოთახში. არა, სულ სხვა თამაშისათვის და სულ სხვა არეულობის მოსახდენათ იყო დაბადებული ენს ბოოტი!

ერთი საათის შემდეგ ის უკვე იმყოფებოდა მშვენიერ გემის **„მავრიტანიის"** მგზავრებს შორის, რომლებიც ნიუ-იორკში მიდიოდენ.

ენს ბოოტი იდგა გემის ბოლოზე. ივლისის საღამოების ბურუსში ჯერ კიდევ მოსჩანდა ევროპის ქერა თმები. ენსს მოაგონდა ყველასფერი—თავის სუნიც და Place de la Concorde-ს მუდმივი ლაქიც. ENS BOOTIS GAMGZAVREBA

ᲔᲜᲡ ᲑᲝᲝᲢᲘᲡ

ის მეტად ცუდ გუნებაზე იყო და თავის ნამდვილ საყვარელთან, ევროპას, დაშორების დროს, დიდმა ავანტიურისტმა ჯერ ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა. შემდეგ კი დაჯდა პილპილით სავსე ტომარაზე, აიწია პალტოს საყელო, ჩაიმალა სიბნელეში და ალბად, იტირა კიდეც. ᲰᲐᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲪᲜᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო სამართველი 20 ცენტად.

ძნელია იმის გამორკვევა, ტიროდა თუ არა პილპილის ტომარაზე მჯდომი ენს ბოოტი. ყოველ შემთხვევაში, თუ მან მართალაც დაღვარა ერდოზე რამდენიმე მწარე ცრემლი,—ამით დამთავრდა მისი სენტიმენტალური სასოწარკვეთილება, რადგანაც, ადამიანის ყველა მოქმედებათა შორის, ტირილი ყველაზე უფრო ნაკლებად ახასიათებდა ენს ბოოტს.

კარგად გამოძინების შემდეგ, მან დილა ადრიანად აღადგინა თავის მეხსიერებაში გუშინდელ დღის ამბები და თავისი თავი გასინჯა, გამოირკვა, რომ ის მიემგზავრება ამერიკაში მე-III კლასის ბილეთით და 140 დოლარით ჯიბეში, ყოვლგვარ მოგონებებიდან განთავისუფლებული. ამან გაახარა ენს ბოოტი და მან დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რისთვის გასცვალა მილიარდერის ცხოვრება ნიუ-იორკის ან ჩიკაგოს უმუშაო ემიგრანტის ტანჯულ ცხოვრებაზე, ენს ბოოტს მტკიცედ სწამდა, რომ ფილოსოფიური აზროვნება შეუძლიათ მხოლოდ ბერებს, რომლებიც ბენედიქტინს ამზადებენ და რუს ინტელიგენტებს, რომელთა პრივილეგიებსაც არ უნდა ეპოტინებოდენ პროფანები.

ენს ბოოტი სჯამდა ბუტერბროტს როსტბიფს და არასფერზე არ ფიქრობდა.

გემებით დასერილ ზღვის ძველ გზაზე მისცურავდა ვეებერთელა თევზი, გატენილი ხალხით. ირგვლივ, რასაკვირველია, მხოლოდ წყალი იყო. ყველაფერი პოეზიისაკენ იზიდავდა. მაგრამ ენს ბოოტში ჯანსაღმა ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა და მან დაწყო „**მავრიტანიის**“ დათვალიერება იმ ადამიანის მოხერხებით, რომელსაც შეეძლო 16-ად დაკეტილიყო.

გემის სამი მეოთხედი ეჭირათ პატივცემულ მისტერებს და მათ ოჯახებს, რომლებიც ევროპაში კუჭისათვის სასარგებლო მელანქოლიისათვის იყვნენ წასული, ისე როგორც მე 19 საუკუნის ევროპილები მიემგზავრებოდენ მკვდარ ქალაქებში, ვენეციაში ან ბრიუგეოში. მისტერები ცოტანი იყვნენ, მაგრამ მათ სიხალვათე უყვარდათ და ამიტომ 148 მგზავრს, რომელთა საერთო კაპიტალი 12 მილიარდს უდრიდა,—ეჭირათ გემის $^{3}/_{4}$-დი. გემის ოთხ ერდოზე ისინი ცეკვავდენ კაუტ-ტროტს, დასრიალობდენ, ტაშს უკრავდენ ქალთა ბოქსს და ნადირობდენ მოშინაურებულ კოლიბრებზე. დაბლითა ერდო გადაქცეული იყო გაყინულ მოედნათ, რომელზედაც—მიუხედავათ ივლისის მზის სიცხოველისა, მისტერების ვაჟები და ქალიშვილები, ზურმუხტის ფერ და წითელ შარვლებით,—სწრაფად დასცურავდენ ყინულზე. მაღლიდა ერდოზე კი ყვაოდა სიცილის ფოთოხლები და ბრაზილიის ალოე. კაიუტებში მალაიელების, ჰიავანე-

ლების, ლიბერიის ზანგების და ევეპოა ნოვგოროდის მეფეებისა ორკესტრები უკრავდა. დიპლომატიურ მსახურებს დაჰკრთნდათ ლილის კოკტაილი.

მისტერები ყლაპავდენ ნაყინეს და შეუმჩნეველი ლიმილით აღმოსავლეთისაკენ იყურებოდენ. მათ აგონდებოდათ ზოგიერთი შემთხვევები ევროპაში: ფრანგ ქალების სიმარდე, რუს არისტოკრატ ქალების მისტიური ტემპერამენტი და ყველა, ვინც კი მზად იყო მათთვის ემსახურა ფილეტის ჯიბეში დარჩენილ რამოდენიმე დოლარისათვის.

იქითკენვე, ე. ი. აღმოსავლეთისაკენ იყურებოდენ მისტერების მადლიერი ცოლებიც: მათ თან მიჰქონდათ ფართე კოლოფებით ევროპის მცირე საჩუქრები,—პარიზის საუკეთესო მხატვრების კონსილიუმის მიერ გამოგონილი კაბები, ფარფორეულის სერვიზები სხვადასხვა გაკოტრებულ დინასტიებისა, ძვირფასი შეძლებები და ბეჭდები გრაფთა და ბარონების ცოლების და თაყვანებისა, რომლებიც წყვარად დგანან რიგებში მთელი დღეებით ევროპის ლომბარდებთან.

და, დაბოლოს, მისტერების ქერაფის ყელიან და სპილოს ფეხებიან მეოცნებე ქალიშვილებსაც თავისი ცრემლიანი თვალები მიპყრობილი ჰქონდათ დამალულ ნაპირებისაკენ, სადაც დარჩა მილოსის ვენერები, რომის ლოდბარონები და სხვა ღირსშესანიშნავი საგნები, რომლებიც გულმოდგენით ჩახატულია აშშვენიერ ალბომების ფურცლებზე.

148 მგზავრი I კლასისა დილია მბეზე ნებივრობდენ და უნებურად მომაკვდავ ევროპისაკენ იყურებოდენ.

გემის მეორე მხარეზე კი მოთავსებული იყო 5.670 მგზავრი მესამე კლასისა. ისინი, რასაკვირველია, ეიწროდ იყვნენ, მაგრამ სამაგიეროდ ამ 5.670 ადამიანს, ერთად აღებულს, 100.000 დოლარიც კი არ ჰქონდათ, იმ დროს, როდესაც I კლასის ერთ-ერთმა მგზავრმა, მისტერ ჯენსმა მაკრიტანულ სტილით მორთულ კაიუტაში მგზავრობისათვის გადაიხადა 150.000 დოლარი; ასე, რომ 5.670 კაცს სულ ადვილად შეეძლოთ შეეიწროებულიყვნენ. მით უმეტეს, რომ ისინი იყვნენ არა ჩ.-ა. წ შტატების მოქალაქენი, არამედ სახიზლარი ემიგრანტები: ირლანდიელები, პოლონეთის ებრაელები, იტალიელები და გერმანელები, რომლებიც წორს გაურბოდენ 10 წლის შიმშილსა და ომიანობას. მათ ოანაბრად გადაეიწყდათ როგორც ჩვილი, ისე სასოწარკვეთილება და იმედიანობა.

სახომალდო საზოგადოება **„ლურჯი ვარსკვლავი"** მზრუნველობას უწევდა ყველა მგზავრებს და მათ შორის ამ ბრბოსაც კი. 5.670 ადამიანი წყნარად იჯდა სუფთად შეღებილ სკამებზე და მაგიდაზე ჯაჭვით მიბმულ ალიუმის ჯამებიდან ხვრეპავდენ ნოყიერ წვენს. დროგამოშვებით, სპეციალური სანიტარები ვეებერთელა პულვერიზატო-

ᲥᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რებით აშხაფუნებდენ მათ კარბოლის სიცხავეს და იადაფორმას. 5.670 ადამიანი ჩლუნგად იყურებოდა დასავლეთისაკენ, სადაც მომწვანო ზღვიდან უნდა დაბადებულიყო ახალი ქვეყანა, ისეთივე სასტიკი და და დაუნდობელი, როგორც დედამიწის ყველა დანარჩენი ქვეყნები. მხოლოდ ძუძუმწოვარა ბავშვები, რომელთაც არ ესმოდათ წესების მე-16-ე პარაგრაფი, ხანდახან დაიწყებდენ ხოლმე ტირილს, მაგრამ მათ სასწრაფოდ უკეტავდენ პირს მექანიკურ მოწყობილებით.

I და მე-III კლასის სახლვარზე აღმართული იყო სვეტი წარწერით:

„ᲬᲔᲡᲕᲚᲐ ᲛᲔ III-ᲛᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ“

ოთხი ზანგი ნარინჯ მუნდირებით თვალყურს ადევნებდენ, რომ ეს დადგენილება არავის დაერღვია. მაგრამ ენს ბოოტი, მედრანოს ცირკის სიამაყე, ადვილად გაძვრა გველისავით ოთხივე ზანგის შუა. და როდესაც I კლასის ხალვათ სადგომებში მოხვდა, მას დაეკარგა ყოველივე სურვილი უკან დაბრუნებისა ამ ადგილას, სადაც უიმისოდაც ძლივს ეტეოდა 5.670 ადამიანი. მან მეგობრული საუბარი დაუწყო საპირფარეშოების და საბანაო ოთახების გამგეს, მოიგონა ერთ-ერთი თავისი დავიწყებული ხელობათაგანი და ერთი საათის შენდეგ „მავრიტანიის“ მთავარ მასაჟისტის მოვალეობას ასრულებდა.

მისტერ ჯენსი იღებს ვანას.

დილის 10 საათზე დაბლა სადგომებში არაჩვეულებრივი ალიაქოთი დაიწყო: ფოლადის შეფე, მისტერ ჯენსი იღებდა ვანას. მისტერ ჯენსი დიდად აფასებდა თავის დროს და ამიტომ მავრიტანულ კაიუტის გვერდით მოთავსებულ დიდ საბანაო ოთახში ხუთი ოსტატი შეგროვდა. მისტერ ჯენსი მედიდურად წამოწვა. ერთ და იმავე დროს დალაქმა დაუწყო გაპარსვა, მემანიკიურემ ხელის თითების და მეპედიკურემ ფეხის თითების წმენდა. მეორე დალაქი თავს უსველებდა ქინაქინის წყლით. ენს ბოოტი კი უზილავდა რგვალ მუცელს. მისტერ ჯენსმა ამ 15 წუთის განმავლობაში ჩააბარა მათ თავისი ტანი, ხოლო ყოველგვარ მიწურ საქმეებისგან თავიაუფალ სულით კი ღმერთთან საუბრობდა.

უკან იდგენ შეგირდები მრავალ საპირფარეშო მასალით და იარაღით. ვერცხლით ბრწყინავდენ რამოდენიმე ათეული მილები. ნახად ჩუხჩუხებდა ვარდისფერი წყალი მარწალილოს ვანაში, და, ალბად, არა ნაკლებ ვარდისფერი და სურნელოვანი, სული მისტერ ჯენსისა მაღლა ზეცაში დასცურავდა.

ყველაფერი ეს წაგავდა ოთხსართულიან შენობას. დაბლა ტიტველი, მუქ იის ფერი მისტერ ჯენსის ტანი; მის ზევით მზარეულები, რომლებიც მას ნოყიერ საუზეს უმზადებენ და სკრიპკაზე დამკვრელები, რომლებიც „ტრავიატიდან“ მის საყვარელ პოპურის ას-

რულებდენ; კიდევ უფრო ზეგით, „მაკრიტანიის“ რადიოსადგური, რომელიც პიტსბურგში დეპეშას უგზავნიდა მისტერ ჯებსს, ასეთს ულლეს:

„კარგად მეძინა. მადა მშვენიერი მაქვს, ევროპა—სისულელეა. ჩამოვალ 12 ს. 47 წ.“.

და ყველა ამის ზეგით კი ვარდისფერი პეპელა—სხეულისაგან განთავისუფლებული სული.

ოსტატები და შეგირდები გრძნობდენ ამ შენობის სიდიადეს და მოწიწებით სდუმდენ. უცებ გაისმა თვით მისტერ ჯებსის ჭრიალა ხმა:

— რა მშვენიერი სამართებელია!

— საუკეთესო გახლავთ. სერ!

— რა ღირს?

— ნაყიდია ჰამბურგში. ჩვენს ფულზედ რომ ვიანგარიშოთ, ბაჟით და გადმოგზავნით ღირს 20 ცენტი.

ამ დროს რალაც არაჩვეულებრივი მოხდა: ენს ბოოტის თითებ ქვეშ მოთავსებული მუცელი საშინლად გაიბერა. მისტერ ჯებსი სრულიად გაწითლდა.

— სოდის წყალი! დაიხრიალა მან.

წყლის დალევის შემდეგ. მისტერ ჯებსი ცოტათი დაწყნარდა და ბრძანება გასცა, როა ის ვანაში გადაეტანათ. ენს ბოოტმა აიყვანა საწყალი ფოლადის მეფე და წყნარად ჩასვა ვარდის წყალში.

— 20 ცენტი!—ბუტბუტებდა მისტერ ჯებსი—ჩვენში კი 4 დოლარი ღირს. თუმცა, გასაგებია.

1920 წელს 90 ცენტი.

1923 წელს 50 ცენტი.

ეხლა კი 20 ცენტი. ყიდვით კი ისინი არასფერს არ ყიდულობენ. დახე, ამ „ტრავიატის“ სიფილიტიკებს! არა, ერთად-ერთი გამოსავალი ევროპის დალუპვაშია!

ისტორიული სიტყვები.

დიახ! კაცობრიობის ისტორიას რომ გადავხედოთ. ჩვენ მრავალ შემთხვევით მოვლენებს შევხვდებით:

1. ადვილად შესაძლებელი იყო, რომ ენს ბოოტი მე-III კლასის 5669 მგზავრთან დარჩენილიყო და 1926 წლის 19 ივლისს მისტერ ჯებსის მუცელი არ ეხილა,

19 ივლისი 1926 წელი.

2. შესაძლებელი იყო, რომ დალაქს მისტერ ჯებსი ამერიკულ სამართებლით გაეპარსა.

3. შესაძლებელი იყო, რომ მისტერ ჯებსი, ღმერთთან საუბრობის დროს დალაქს არ დალაპარაკებოდა.

და სხვა.

მაგრამ მოხდა ის, რისი გამოსწორებაც აღარ შეიძლება. ენს ბოოტმა ეხლა უკვე იცოდა, რისთვის მიემგზავრებოდა ის ამერიკაში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

10.

„ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲐᲗᲘ“.

20 სექტემბერი 1920 წ.

მანილის ვეებერთელა სიგარით გაყვითლებულ კბილებში, ფიჯაკგახდილი და ხელებ დაკაპიწებული მისტერ ჯებსი დადიოდა თავის კაბინეტში. დრო გამოშვებით ის მიუბრუნდებოდა ხოლმე კარებში გამოჭრილ პატარა ფანჯრისკენ, რომლიდანაც დრო გამოშვებით იცქირებოდენ ცოტა თუ ბევრად გენიალური თავები. ეს იყო ეგრედ წოდებული „გამოგონებათა საათი“.

კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, 4-დან—5-დე მისტერ ჯებსი უსმენდა ყველა გამომგონებლებს. მათ ეძლეოდათ თითო წუთი, რომ დაეხასიათებინათ ნათავარი ნიშნები თავის გამოგონებისა. თუ ფოლადია მეფე საარგებლოდ ნიჩნეცდა ამა თუ იმ გამოგონებას თავის მრავალრიცხოვან წარმოებებისათვის. ის აგზავნიდა მათ თავის რომელიმე ლაბორატორიაში. კვირის ერთ საათს, რომელიც 60 მნახველისათვის იყო დანიშნული, დიდი სარგებლობა მოქონდა, რადგან ყველა გამოგონებათა 5%-ს მისტერ ჯებსი ყიდულობდა.

— მე-16-ე №-ვარ.—გაისმა ხმა პატარა ფანჯრიდან.

— გაბოვიგონე მაგნიტურ- ფეკალური ზარბაზნები. 1000 კილომეტრის მანძილზე ისვრის მძიმე ყუმბარებს აგებულია ელექტრომაგნიტურ პრინციპზე. ფოლადი. რომელიც ადვილად იტანს მოლეკულიარულ დაჭიმვას.

1925 წლიდან მზადდება № 6 ქარხანაში. დაიგვიანეთ. შემდეგი!

მე-17-ე. გირჩევთ იხმაროთ თქვენი ტრესტის ნაწარმობათა რეკლამისათვის მოდრეკილი ნათურები. გადაეცემა აგრეთვე ბგერთა ტალღები ნიკრაფონებით. ნიუ-ორკში ჩემი გეგმით 20.000 მოდრეკილი ელნათურა ყოველ საღამოს ერთ და იმავე დროს შეაქებენ თქვენ ფირმას.

— კარგი. მიმართეთ მისტერ ტაიგენს, რეკლამების განყოფილების გამგეს. შემდეგი.

— №-მე-18-ე. გირჩევთ ისარგებლოთ ალიასკაზე, მაგნიტურ ქარიშხალით. მე გამოვიგონე აპარატი, რომლის საშუალებითაც არც ერთი პოტენციალი არ იკარგება.

კარგი. წადით მე-47-ე ლაბორატორიაში. ორშაბათობით 3-დან-4-დე. შემდეგი.

სიკვდილი ორთქლის მანქანებს. სიკვდილი ორთქლის ტურბინებს. მე გამოვიგონე ელექტრონული უარყოფითი ელექტრონით—ნახშირიდან. სრული რევოლიუცია ინდუსტრიაში.

სისულელეა მიიღეთ ცივი ვანები.

დაგვიანებული აღმოჩენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისტერ ჯენსი ისე აშფოთდა ამ სელელის ველურ ცეცხლზე, რომ დააგიჟა კიდეც წარმოეთქვა „შემდეგი“ და ფეთებაზე და მანილის სიგარის ნამწვის კვნეტაზე დაეკაოგა

შენიშნა რა ეს დანაკლისად, მან დარეკა და ვიწრო ფანჯარიდან გამოჩნდა მე-20-ე გაბომბვნებლის თავი.

— გირჩევთ ევროპის დალუბვას.

— მისტერ ჯენსი მოულოდნელობისაგან ჩამოჯდა ბოლნაც სკამზე და შემოტრიალდა. ნაგრან მე-20-ე № დამშვიდებულათ განაგრძობდა.

— ტრესტის დაარსება. კაპიტალი 20.000.000.000. თქვენ შეგაქვთ მესამედი. ნე ეწოლლობ კიდევ ორ კომპანიონს. ნე დირექტორი ვარ—საიდუმლოების დაცვის სრული გარანტია.

— თქვენ გიჟი ხართ თუ ანარქისტი? კითხა ბოლოს მისტერ ჯენსნა და წამოდგა სკამიდან.

— სრულიადაც არა. ჩემი ერთი წლთი გათავდა. თუ თქვენ კიდევ ამ წლის მომცემთ, ნე გაგაცნობთ ჩემი გეგმის შინაარსს. მისი განხორციელება საესებით შესაძლებელია.

ცოტახნის მერყეობის შემდეგ მისტერ ჯენსი ნივიდა ტელეფონთან და გადასცა მდივანს!

— გამოუძახეთ მე-20-ე №-ს ჩენს კაბინეტში. დანარჩენი გამომბვნები 21-დან 60-დე, გადაიტანეთ მეორე ხუთშაბათისათვის. ნუ დამირეკავთ.

კაბინეტში შევიდა ენს ბოოტი. ის წაგავდა მათხოვარს, დაბეჩავებული ჯუჯეკიანი, გაუპარსავი, დახეულ ნიდაყვ-მოგლეჯილ ხალათით—და დახეულ ფეხსაცმელით, საიდანაც ტიტველი თითები მოუჩნდა. ვინ იცნობდა მასში მილიარდელს, ლორდ ხეგის ქალიშვილის საქორწილო, ოდესღაც სამი თვის განმავლობაში, ყველახე უკეთ ცეკვავდა კაუ-ტროტს, პარიზის მეჯლისებზე?

ენს ბოოტის კოსტიუმი არ იყო სრულიად ნასყიდული. როდესაც 10-კვირის წინად ნიუ-ორკში ჩავიდა 140-დოლარით, არ წასულა არც ცირკში და არც საბარიკმახეროში. ის დაბინავდა პატარა სასტუმროში, იყიდა პატარა ყდიანი რვეული და დაიწყო მისი შევსება ოცლაც წარწერებით. დიასახლისს კი გამოუცხადა რომ ის ლირიული პოეტია. სწერს ელეგიებს ბითოლოგიურ თემებზე, და უმთავრესად კი ლმერთების სასიყვარულო ტრანზაქციების შესახებ. ამის გაგონების შემდეგ დიასახლისმა ერთი იმდენი კიდევ მოუმატა ოთახის ქირას. ასე რომ 140 დოლარი იშვიათი სისწრაფით გადავიდა მის ყაბოდის უჯრაში. ამის შემდეგ ენს ბოოტი გადასახლდა ოსტ-საიდში, მიყიდა მეძველეს თავ-სი ტანისამოსი 10 დოლარად და იმისგანვე შეიძინა 2 დოლარათ ძველი, დაგლეჯილი, მხატვრული ტანისამოსი, რომელშიაც წარსდგა. სახლად დარჩენილ მის-

საქმიანი რჩევა.

ჩამოსვლა ნიუ-ორკში

ტერ ჯენსის წინაშე. შვიდი კვირის განმავლობაში წვალობდა ენს ბოლტი, იკვებებოდა რა სიმიღის კვერებით—და ათევდა ღამეებს ფუფასო ლამისათვე სახლების „გადარჩენის-არმიის“ —იატაკებზე. მაგრამ ის დაბეჯითებით არ კიდებდა ხელს სხვა სამუშაოს, და როგორც დღით ისე ღამით, ბაღებისა და სადგურების სკამებზე აკეთებდა თავის საიდუმლო საქმეებს, რომელიც მისი სიტყვით ლირიულ პოეზიას წარმოადგენდა.

როდესაც ორი თვე გავიდა და ყდიანი რვეული მთლიანად შეივსო, ენს ბოლტმა, ვიღაც ჩაფიქრებულ მისტერს, მძიმე ოქროს საათი ჩამოჰკრა, (რომელიც სხვათა შორის ეერცხლის ე. ი. შეოქროული აღმოჩნდა) იყიდა ბილეთი პიტსბურგამდე და № 20-ით წარსდგა მისტერის წინაშე „გამოგორებათა საათი“-ს დროს.

მისტერ ჯენსის კაბინეტში შესვლისას, ენს ბოლტი უწინარეს ყოველისა საწერ მაგიდასთან მივიდა, აიღო მანილის სიგარა; მოუკიდა, ჩამოჯდა ფანრით საკარძელზე და სრულიად მოურიდებლათ ფეხი ფეხზე გადაიდო, მიეჯდავად იმისა, რომ ფეხსაცმელებიდან თითები უჩანდა.

შემდეგ ამოიღო ყდიანი რვეული და მისტერ ჯენს მიაწოდა.

პირველ გვერდზე მოწაფისებურ ხელით კოხტად იყო გამოყვანილი:

„გეგმა ორგანიზაციის ევროპის დალუპვის ტრესტისა“.

დანარჩენ ფურცლებზე, ელვეგების ნაცვლად მოყვანილი იყო ცხრილები, ნახაზები და მოკლე დასკვნები სხვადასხვა გეგმებისა. ამმა კვირამ ტყვილად არ ჩაიარა.

ღამის 11 საათამდე იჯდა მისტერ ჯენსი ენს ბოლტთან და არჩევდა რვეულის 24 ფურცელს. 11 საათზე კი მან მოკლედ კითხა:

— როდის?

— დავიწყებთ 27 ში. დავამთავრებთ 40-საათის.

— რამდენი?

— ოქვენი მესამედი იქნება. სულ ძირითადი კაპიტალი 20.000.000.000 დოლარს უდრის.

მისტერ ჯენსნა ამოიღო ჩეკის წიგნაკი. მაგრამ ენს ბოლტს არც ერთი ჯიბე არ ქონდა მთელი, ჩეკის შესანახავად. მისტერ ჯენსის თანხმობა

მეორე დღეს ის უპირველეს ყოვლისა წავიდა უნიკერსალურ მაღაზიაში და შეიძინა, როგორც საქმიან კაცისთვის აუცილებელ საჭიროების ნივთები, დაწყებული შარვლიდან და გათავებული ელექტრონულ აპარატით, რომელიც საფულეს მოსაპარავად მოახლოვებულ ქურდს კლავს.

გამრჯელმა ნოქარმა, მას სხვათა შორის, იისფერი პიჯამი შესთავაზა, მაგრამ ენს ბოლტმა უარი განაცხადა.

— პიჟამა ევროპაში დარჩა, გაიფიქრა მან ცოტა [illegible] ბოლოტი ურად. პიჟამა და m-me ლიუსი ბლანკაფარი—ფლამენგო. [illegible] ყიდულა ორივე დაიღუპება. საქმეს აფერხებს მხოლოდ ორი კომპანიონის ლობს პიჟამს შოვნა.

11

საძურაწინო მოგზაურობის გონივრულ წინაგრძნობაში.

ორი კვირის შემდეგ ენს ბოლტი შევიდა ნიუ-იორკის კანტორაში „კუკ და შვილი", მექსიკის ექსპრესის მარშრუტის გასაგებად. 4 ოქტომბერ 1926 წელი მისი ყურადღება იმ წამსვე მიიპყრო, მაღალმა ბელანქოლიურმა ყმაწვილმა, რომლის გამოსაცოცხლებლად ამაოდ სცდილობდა ორი მსახური.

თავის მატარებლის შესახებ წერილობით ცნობის ნიღების შემდეგ, ენს ბოლტმა ფურცელი შეუმჩნევლად კალთაში ჩაიგდო. საქმე იმაშია, რომ ის სრულიად არ ფიქრობდა მექსიკაში წასვლას, არამედ უსაქმოდ დადიოდა ყოველნაირ დაწესებულებებში და ადგილებში, როგორც მაგალითად: ბანკში, აბანოში, საკნდიტროში, ტრესტების გაგეობებში და სხვა, ზოგიერთ უბრალო, ბაგრამ გაურკვეველ განზრახვებით.

ამრიგად ცნობის ფურცლის გადაგდების შემდეგ, ენს ბოლტი მიუახლოვდა მელანქოლიურ ყმაწვილს.

— მოკლეხნით ნოგზაურობა ლამაზ უდაბნოში? ყვიროდა გრამაფონივით—მსახური. ეს ადვილად მოხერხდება. ოთხშაბათს 11 საათზე თქვენ გადიხართ ნიუ-იორკიდან—ორშაბათის ნაშუადღევის ხუთზე მიხვალთ ტანჟერში, იქ ივახშმებთ, 8 ს. 20 წ. გადის სახარის ექსპრესი. მეორე დილით 9 ს. 40 წ. ოაზ-ბენი, საუკეთესო კურორტი უდაბნოში. ყველა გასართობები: აქლემებით მოგზაურობა, არაბული ცეკვა, ქვიშის სპორტი და სხვ ოთახები, „კუკ-და შვილის" კუპონებით. იქიდან ოთხშაბათს 10....

— არა არ მოშწონს, ამოიოხრა ყმაწვილმა—და გაუორკეცდა მას თვალთა მელანქოლიურობა.—მე მიმდა ნამდვილი უდაბნო უხალხოთ.

მეორე მსახურმა ამოიღო სქელი საგზაო წიგნაკი და დაიწყო:

— საუცხოვოა უდაბნო გობი, აეროპლანით. გადიხართ პარასკევს დილით. ლამისთევა ტოკიოში. შაბათს 8 საათზე მიფრინდებით ხენტშბადში—შუაგულ გობში. ძალიან ცოტა ხალხია. არავითარი კერძო სახლები ან პანსიონები. ხუთი სასტუმროა „კუკ-და შვილისა" —საუცხოვო სანახავია ფანჯრები ქვიშისკენ. იქიდან...

— არა, ეგ არ არის—კიდევ უფრო ამოიოხრა ყმაწვილმა და თან ფიჯაკი გაიხადა. მის მაგალითს მოწიწებით მიბაძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმა ი

— ეცადეთ მხოლოდ, რაც შეიძლება მეტად [illegible] ადგილი იყოს, სთხოვა მისტერ ხარდაილმა და გრძნობ[illegible] ართვა ხელი ქვეყნიერებაზე ყველაზე უფრო მიხვედრილ კაცს.

12.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ „ᲛᲐᲒᲠᲐᲛ"?

17 ოქტომბერს 1926 წელს პატარა, მაგრამ მდიდრულად მორთულ კლუბში ჩიკაგოს მილიონერ—მორმონებისა, მისტერ ტვაიგტი, რომლის პირველი საუზმეც ამ ისტორიულ ნაშრომის თავში ავწერეთ, კითხულობდა თავის განთქმულ მოხსენებას „გამრავლდით გონივრულად". 17 ოქტომბერი 1926 წელი.

რადგანაც კლუბის წევრთა შორის არავინ იყო 50 წელზე ახალგაზრდა, ამიტომ, ყველასთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ისინი მოხსენებისადმი იჩენდენ მხოლოდ უანგარო, თეორეტიულ ინტერესს.

თუმცა მსმენელთა შორის იყო ერთი სტუმარი, შეხედულობით არა უმეტეს 30 წლისა, მაგრამ ისიც ამთქნარებდა, რაღაცას ხაზავდა ბლოკნოტში და აშკარად ეტყობოდა რომ მას არა ჰქონდა არავითარი სურვილი გამრავლებისა, თუ გინდ გონივრულისაც კი.

მოხსენებამ, სრულიად სამართლიანად, დიდი აღტაცება გამოიწვია. მის წაკითხვის შემდეგ, მისტერ ტვაიგტმა ფულიარის ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა, მოითხოვა ჭიქა წყალი და ბნელ კუთხეში დაჯდა, რათა დამალულიყო საქვეყნო დიდების ურცხვი ალერსისაგან.

აქ მონახა ის ახალგაზრდა სტუმარმა, რომელმაც ამ დროს მთქნარებას თავი დაანება. მან ენერგიულად ჩამოართვა მისტერ ტვაიგტს ხელი და წამოიძახა:

საუცხოვო იდეებია! ისტორიას არ ახსოვს ამგვარი ფილანტროპი! სიცოცხლეშივე ძეგლი დაიმსახურეთ! თქვენი სწავლების თესლი კარგ ნიადაგზე დაეცემა! რაღაც ათი ან ოცი წლის შემდეგ მთელი შტატების მცხოვრებლები დაიწყებენ გონივრულ გამრავლებას! მაგრამ... პირველი „მაგრამ".

აქ სტუმრის ხმამ მიიღო გულწრფელი ტანჯვის ელფერი, მასში ისმოდა დაფარული ცრემლები.

— მაგრამ, რა „მაგრამ?—აღელვებით შეეკითხა მისტერ ტვაიგტი.

— მაგრამ თქვენ დაივიწყეთ ერთი დიდი კონტინენტი.

— თქვენ სცდებით. მე მოვიფიქრე აფრიკის გამოყენების შესახებაც. თუ სასტიკ თვალყურს ვადევნებთ ჩასახვას, ჩვენ ასიოდე წლის შემდეგ მივიღებთ რამოდენიმე კარგ ჯიშის სამუშაო ცხენებს: ადამიანი მტვირთავი, ადამიანი მხიდავი, ადამიანი—მსახური, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩვა,—სერვილისამებრ. მტვირთავებს განვითარებული ექნებათ ტვირთის ამტანლობა 10 ცხენის ძალის რაოდენობით; პატარა თავი, ტინიზმი, სრული გამგონლობა, მცენარეულობისგან შემდგარი საჭელი. მსახურებს, განსაკუთრებულად მოკაკული ხელები, ენის ატროფია, სქესობრივ გაღიზიანების უქონლობა და სხვა. ყველაფერი ეს უფრო ჰუმანიურია, ვიდრე ავტომატ-ადამიანების შექმნა, რომელზედაც ამას წიხედ სწერდა „ჩიკაგოს ტრიბუნა", და იმავე მიზანს კი აღწევს. მთავარი ისაა, რომ მივაჩვიოთ ჩვენი მუშები ქრისტიანულ თვინიერებას. ასი ათას მუშა-ადამიანის იპმორტი სრულიად მოსპობს სოციალიზმს.

— თქვენ მართლაც რომ გენიალური ბრძანდებით, მისტერ ტვაივტ,—წარმოსთქვა აღელვებულმა სტუმარმა.—სიცოცხლის დროს ძეგლის დადგმის გარდა, უნდა მოვთხოვოთ სენატს, რომ დააწესოს 100 სტიპენდია. მოაწყოს საზეიმო თაღი და მთელ შტატს დაარქვას „ტვაივტის შტატი"—ეს კარგად გამოითქმის, მაგრამ... მაინც მაგრამ...

— მაგრამ? მაგრამ, რა „მაგრამ"?

— მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ ევროპა.

— დიახ, ახალგაზრდავ, თქვენ მგონი მართალი ხართ. მე ვსთქვი „ახალგაზრდა", უნდა მეთქვა—გონიერი ახალგაზრდა. ევროპა ქვეყნის საძაგელი ნაწილია. ის არ ყიდულობს ჩემს განთქმულ ხორცის კონსერვებს და, ამის გარდა, საერთოდ...

— საქმეც იმაშია, მისტერ ტვაივტ,—საერთოდ: ევროპა ეწინააღმდეგება გონივრულ გამრავლებას. ყური მიგდეთ:

1. ისინი, საერთოდ, არ სცდილობენ გამრავლებას. ავიღოთ, თუ გნებავთ, საფრანგეთი.

1910 წელს დაბადებულთა რიცხვი ნაკლები იყო გადაცვალებულთა რიცხვზე — 0,2

1925 „ „ „ „ — 4,6.

II. ნრავლდებიან ქაოტიურად და შემთხვევით, უფრო ხშირად რაღაც ნერვიულ მდგომარეობის ქვეშ, რომელსაც ისინი ეძახიან „სიყვარულს" (a mour amore, amor Lieebe, love). ისინი ოთამც თუ არ ქმნიან საჭირო ჯიშებს, პირიქით, ამრავლებენ საშიშ უსაქმურებს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1925 წლისთვის ევროპაში იყო:

პოეტები, მხატვრები, ლიტერატორები, მსახიობნი და სხვა მუქთა ხორები	2%.
ჯარის კაცები	16%.
რანტიერები	4%.
მათხოვრები	6%.

შეორე „მაგრამ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერები (კათოლიკე და მართლმორწმუნე) 0,5%
მონარქები, მათი ამალა და სხვა 0,3%
სულ 28,8% სრულიად უვარგის ადამიანებისა.

III. და რაც უფრო აღსანიშნავია!—ერთად ერთი რამ, რასაც ევროპიელები განსაკუთრებულ სიმდიერობით ამრავლებენ ეს სხვადასხვა გვარი ბოროტმოქმედთა ორგანიზაციებია, როგორიც არის: სოციალისტები, ანარქისტები და სხვა არამზადები.

1890 წ. ევროპაში იყო 3,8% ამგვარ ბოროტმოქმედისა.

1922 წ. ევროპაში იყო 9,01% ამგვარ ბოროტმოქმედისა.

1925 წ. ევროპაში იყო 18,3 ამგვარ ბოროტმოქმედისა.

ყოველივე 100 ევროპიელიდან 18 და 1/3 რევოლიუციონერები, ე. ი ბანდიტები, ე. ი. ადამიანები, რომლებიც ასე თუ ისე უარყოფენ საკუთრებას.

რას იტყვით ამის შემდეგ, პატივცემულო მისტერ ტვაივტ?

— მე ვიტყვი... მე ვიტყვი...

მაგრამ მისტერ ტვაივტს თქმა არ შეეძლო. მისი ბავშური თვალები ნამით დაიფარა. სისხლი ემღვრეოდა, და პატეტიურად სდუმდა

მაშინ მისმა საშინელმა მოსაუბრემ გამონახა საჭირო სიტყვები:

— თქვენ იმის თქმა გინდოდათ, პატივცემულო მისტერ ტვაივტ, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა ევროპის განადგურება.

დიახ! სწორედ ამის თქმა სურდა მისტერ ტვაივტს და ამავე დროს ვერასგზით ვერ მოახერხა. საშინელი ციფრები ელვარებდენ მის თვალწინ. ო. სალახანები! ისინი არაბც თუ არ ყიდულობენ ღორის სუკებს, არამედ მეამბოხეებსაც კი ამრავლებენ! 100 სულზე—18 და 1/3 არამზადა. რატომლაც სწორედ ეს მესამედი აღშფოთებდა მისტერ ტვაივტს. მას ესმოდა, რომ რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

და ბოლოს მოისმა მისი ტკბილი ხმა:

— თქვენ მართალი ხართ, მაგრამ... მესამე „მაგრამ"

— მაგრამ რა „მაგრამ"?

— მაგრამ მე ხომ ვეგეტერიანელი ვარ!

და ამის თქმის შემდეგ მთელ მსოფლიოზე საუკეთესო ხორცის კონსერვების ფაბრიკის პატივცემულ მფლობელს გადმოსცვივდა ცრემლები, რომლებიც რწყავდენ მის რგვალ და მომარჯვებულ მუცელს.

— თქვენ გაქვთ არა მხოლოდ ბრწყინვალე გონება და საუკეთესო ხორცის კონსერვების ფაბრიკა, არამედ კეთილშობილი გულიც— მოწიწებით შენიშნა მორმონების კლუბის სტუმარმა.—მაგრამ სწორედ ამ კეთილშობილურმა გულმა უნდა გიკარნახოთ გადაწყვეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება. თქვენი ეეგენტერიანელობა და თქვენი მაღალი ჰუმანიტარი იდეები ბევრ რამეს გავალებენ თქვენ.

ევროპა იბრძოლა გახრწნილებაში, სიზარმაცეში და ირეულობებში. თუ ჩვენ მას უდაბნოდ გადავაქცევთ, — ეს უდიდესი კეთილმოყვარეობის აქტი იქნება. 300 მილიონი ხალხი „მამაო ჩვენოს"-ს უკანასკნელ კითხვის დროს, მადლობას გეტყვიან თქვენ. შემდეგ კი... შემდეგ ჩვენ აღმოვაჩენთ ევროპას. დავასახლებთ მას გადახვეწილებით, თუ გინდ იმავე აფრიკიდან, და დავიწყებთ ახალ, სასარგებლო ჯიშის ადამიანების გამრავლებას სასარგებლო და ხომიერ ჰავის გამოყენებით.

მისტერ ტვაივტი განაგრძობდა, ისევ იცრემლებოდა და იძახდა მხოლოდ: — მაგრამ, მაგრამ... მეოთხე „მაგრამ".

მაშინ ჟინიანმა პროზელიტმა მიმართა უკანასკნელ საშუალებას:

— და ბოლოს, თუ ჩვენ ამას არ ვიზამთ ევროპა გადასდებს თავის სენს ამერიკასაც. 18 და $^1/_3$% ხუთი წლის შემდეგ გადაიქცევა 80%-ად. მოიგონეთ რუსეთი, გერმანია, ავსტრია. აბა წარმოიდგინეთ ს. ს. ჩ.—ა. შ. შ. მაგვარი რამ!

ამ სიტყვების გაგონებაზე მისტერ ტვაივტი ზეზე წამოვარდა და ცრემლების ნაცვლად ცოფიან დორბლების გადმოყრით დაიყვირა:

— დიახ, დიახ! მე თანახმა ვარ! უნდა განადგურდეს! ხვალვე! ეხლავე!...

და უკვე ლონეშიხდილი ჩავარდა საეარძლეში:

— განადგურდეს. მაგრამ... მეხუთე „მაგრამ".

მაგრამ რა „მაგრამ?

— მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს?

— მაგაზე ნუ სწუხართ. 7 მილიარდი. თქვენ მესამე კომპანიონი იქნებით.

ენს ბოლტი, — (რადგანაც მორმონების კლუბის სტუმარი, როგორც ამას ყველა მიხვდება, ენს ბოლტი იყო), — გამოვიდა გარეთ და ერთგვარ სიამოვნებით ბოკიდა ხელი საფულეს, რომელშიც სიმპატიური ჩეკი ეგულებოდა.

წინასწარი სამზადისი უკვე დამთავრებულია. ხვალიდან მას შეუძლია დაიწყოს მუშაობა.

ენს ბოლტმა გაუბაძლრად ჩაისუნთქა აპრილის ჰაერი. მაგრამ ეს ჰაერი სულ სხვა გვარი იყო: ვეებერთელა ჩიკაგო ღრმად სუნთქავდა თავის ურიცხვ ფაბრიკებში დაკლულ ღორისა და ხარის სისხლით. ეს უხამსი და აბეზარი სუნი ენს ბოლტს, თითქოს თავის ახალს პროფესიას აგონებდა.

— რას იზამ, უნდა ჩამოვიწოროთ ეს 305.000.000 ადამიანი — წარმოსთქვა მან თავისთვის — მაგრამ.... მეექვსე „მაგრამ".

— მაგრამ, რაღა „მაგრამ"?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მას უნებურად მოაგონდა ევროპის გაზაფხული, ზოლიანი და ნაზი, ოთახის გაზაფხულები, ზარების გუგნი, მალფუნგ-ალეფუნ-ალეფ-ალეფ-ალეფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევარებმა, ჩვენი მხრივ დაუმატებთ, რომ ხხოლოდ იპოტეზებია და ამიტომ არავისთვის არ არის სავალდებულო.

1. ევგენიკის პროფესორი მისტერ გორლი, ენს ბოოტის მო- ბიოლოგიურ.
ქმედებებს, ხსნის ზოგამომავლობით. თავის წიგნში „მონაკის პრინცის 4-წუთი", ის განსაკუთრებით არჩევს იმ საკითხს, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვის ხასიათზე მშობლების სულიერი მდგომარეობა, შეუ- ლლების დროს.

2. ლრმად მოხუცებული ფსიქოლოგი მისტერ ჩავტენი, ენს ბო- ფსიქოლოგ.
ტის მოქმედებას აწერს განსაკუთრებულ ავადმყოფობას, რომელსაც „ავანტიურიზმი" ქვია—და რომელსაც ევროპაში, მისი ცნობების მიხედვით, მე-XX-ე საუკუნის მე-20-ე წლებში ეპიდემიური ხასიათი ქონდა,

3. მისს მარგარეტ ოდენი ფიქრობს, რომ ენს ბოოტი იყო ლიბიელი
ხხოლოდ და მხოლოდ უიმედო შეყვარებული, და რადგანაც გა- ხრწნილ ევროპაში სქესობრივ ემოციებს ძლიერ დიდი ადგილი ეჭი- რა, m-ele ლიუსი ფლამენგოს (შემდეგში მისტერ ბლანკენჰორნზე გა- თხოვილი) უარის თქმის შემდეგ, მან სიბრაზით ევროპის დალუპვა გადაწყვიტა.

4. მისტერ ბერდინგი ამტკიცებს რომ ენს ბოოტი ეკუთვნოდა პოლიტიკურ
ანარქისტების საიდუმლო სექტას „ტუქსუკ", რომლის ისტორიის გამოქვეყნებას ახლო მომავალში გვპირდება.

ჩვენ ალარ ბოვიყვანთ მრავალ სხვა ზერელე ავტორების აზრებს, რომლებიც საჟურნალო წერილებში იცავდენ, თუმცა ორიგინალურს მაგრამ აშკარად უნიადაგო თეორიებს (ასე მაგალითად: ვინმე მის- ტერ ვილს—სურდა დამტკიცება იმის რომ ენს ბოოტი, რომლის შარვლის დასამაგრებლები, ისტორიულ მუზეუმში ინახება, საერთოდ არც კი არსებობდა). ოთხი მეცნიერის მიუდგომელ მოსაზრებათა განმარტების შემდეგ, გავბედავთ ჩვენი იპოტეზის მოყვანასაც, თუმც მის შეუცდომლობაზე, პრეტენზიებს არ ვაცხადებთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტრესტი დ. ე. ენს ბოოტმა დააარსა და საყოველ-
ევროპის განადგურებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა მხოლოდ დღეო.
იმიტომ, რომ ის იყო ტიპიური ევროპიელი თავის დროისა. საკმა- რისია მოვიგონოთ მისი ცრემლები „მავრიტანიის" თაღზე, ან კვნე- სა მორმონების კლუბის წესავალთან ჩიკაგოში, რომ დავრწმუნდეთ მის ღრმა გულწრფელ სიყვარულში, ევროპისადმი. სწორეთ ამ სიყ- ვარულის გამო გახდა იგი მრისხანე ტრესტის დირექტორი, დაეუ- მორჩილა რა თავის ქვენა ინსტიკტებს.

მე-19-ე საუკუნის დამლეკიდან ევროპაში—წარმოიშვა გრძნო- ბა, რაღაც განსაკუთრებულ „ევროპიულ" პატრიოტიზმისა, სხვადა- სხვა ქვეყნის ხალხმა: ფრანგებმა, გერმანელებმა, ზოგიერთ რუსებმაც კი, რომელლაც დიდი საშშობლოს შვილებათ იგვრძნეს თავი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიყვარეს იგი. ამ გრძნობამ განსაკუთრებული სიძლიერე აღნიშნა თავი 1914—18 წ.წ. ომის დროს.

შვილობრივი აღფრთოვანებით იხრიდენ თავს ადამიანები საერთო ბალის დანახვაზე, რომელიც სამწუხაროდ ჯერ ჩანებოდა და ნახევრად მკვდარი იყო.

მაგრამ ამ გრძნობას არ შეუჩერებია ევროპიელები იმისთვის რომ ზეძლებისდაგვარათ ხელი შეეწყოთ ევროპის დალუპვისათვის. დაწყებული 1914 წლიდან—ომები არ ცხრებოდა. იმავე ევროპიულ ძმობის წევრები გულმოდგინეთ ყლეტდენ ერთი-მეორეს. ისინი ვინც ოდესღაც სტკბებოდენ მშვენიერ ბალით, დღეს ბეჯითად სჩეხდენ ხეებს. სთელავდენ ყვავილებს და სწამლავდენ წყაროებს.

ევროპა შეპყრობილი იყო თვითმკვლელობის მანიით. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან თვითონ მოიკლა თავის თავი. და მისმა ეროგულმა შვილმა, პრინცის გულმავიწყობის გამო, ამ ქვეყანათ შემთხვევით დაბადებულმა, გენიალურმა ენს ბოოტმა მხოლოდ განსაკუთრებულ მოხერხებით გაიმეორა საქციელი მეXX-ე საუკუნის 20-იან წლების — ევროპიელის—საქციელი თვითმკვლელისა.

«დე»

ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით აღვნიშნეთ, რამდენად დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდა ენს ბოოტს, „ტრესტ დ. ე"-ს დასაარსებლად.

და ბოლოს, 4 აპრილს 1927 წელს ნიუიორკის პირველ ხარისხოვან-რესტორან **„მისსურის"** ცალკე კაბინეტში შესდგა გამგეობის სხდომა. ენს ბოოტის გარდა, სხდომას დაესწრენ მისტერ ჯებსი. ხარდაილი, და ტვაივტი. შეკრებილნი ბევრ რამეზე საუბრობდენ, განსაკუთრებით კი სხვადა სხვა ხარისხის სიგარებზე. 4 აპრილი 1927 წ. გამგეობის სხდომა.

მ-რ ჯებსი ამჯობინებდა მანილისას, ლობადის ფაბრიკიდან. მარკა „როზა დელ ორო" Maduro,

მ-რ ხარდაილი ამჯობინებდა გავანისას, ლია კორონის ფაბრიკისა, მარკა „არომატიკოს" Colorado,

მ-რ ტვაივტი ამჯობინებდა სუმატრისას, ბეს და ამხ.-ბის ფაბრიკისა, მარკა, „ფლორ ფინა„ Clore,

მ-რ ბოოტი ამჯობინებდა ზოკოლადისას.

თუმცა, ყველა სიგარების ღირსებათა გამორკვევის შემდეგ მისტერებმა, დაახლოვებით დილის 4 საათზე დაადგინეს: დილის 4 ს.

„დაევალოს ენს ბოოტს, შეუდგეს დასახულ გეგმის განხორციელებას." რეზოლიუცია

ამავე წლის 11 აპრილის დილას ჩვენ სრულიად საბართლიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუწოდეთ ისტორიული დილა: სამი ნისტერი საუბრობდა, ევროპა თელეგდა ვანაში, ენს ბოოტი კი გაბაკარგულებებ აძლევდა ტრესტის 18.760 აგენტს.

ეს უნასკნელი საქმე იმდენადვე დიადი და მოუწვდომელი იყო, როგორც ყოვლად შემძლე ღმერთის მიერ ქვეყნიერების მმართველობა. ამასთანავე ენს ბოოტს არც კი ჰყავდა მოსამსახურეთა შტატი, რომელიც მას ანგელოზთა ჯარის მაგივრობას გაუწევდა. „ტრესტ დ. ე"-ს პატარა კანტორაში, რომელიც მოთავსებული იყო ვოლსტრიტის უმაღლეს სახლის მე-32-ე სართულზე, მუშაობდა 7 კაცი: ენს ბოოტის მდივანი, ორი სტენოგრაფისტი ქალი, ორი ელმესნელი, ბუჰლალტერი და პატარა ბიჭი გასაგზან-გამოსაგზავნად. რასაკვირველია, მათ უნდა მივუმატოთ თვით ენს ბოოტიც, რომელაც დიდ ლურჯ-წითელ ფანქარს აქნევდა და რომელიც საეთოს დირიჟორულ ჯოხის მაგივრობას უწევდა.

კანტორა სამი ოთახისაგან შესდგებოდა. კარებზე ემალის დაფა ეკიდა, რომელზედაც ეწერა:

„Detroit Engneering Trust."

(დეტროიტის საინჟინერო ტრესტი)

წინა ოთახში კედლებიდან პატიოსხად იყურებოდენ დეტროიტის ტოპოგრაფიული რუქები და ნემანქანე ბეჭდავდა ხარჯთაღრიცხვებს მდ. კვებეკზე ახალ ხიდის ასაშენებლად, რომელიც აერთებდა დეტროიტს კანადასთან.

მეორე ოთახში მეორე მემანქანე ბეჭდავდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან წერილებს, რომლებსაც გარეგნულად არა ჰქონდათ პირდაპირი კავშირი მდ. კვებეკზე ხიდის აშენებასთან. ელმსმენელები გამუდმებით აგზავნიდენ ტელეფონოგრამებს, რომელთა შინაარსი სავსებით არც კი ესმოდათ. (თუმცა ეს პროფესია ამაყობს უფრო ალმსრულებით, ვიდრე ცნობის მოყვარეობით).

აშკარა იყო, რომ ბუჰლალტერი დეკორაციისათვის ჰყავდათ. ის წყნარად აწარმოებდა პატარა ტრესტის, შესავალ-გასავალს, რომლის ძირითადი თანხა ძლივს აღწევდა ერთ მილიონ დოლარს. რაც შეეხება მდივანს, მას, მიუხედავად მისი უმაღლესი განათლებისა, არ ჰქონდა არავითარი კავშირი „ტრესტ დ. ე"-ს ნამდვილ მუშაობასთან, მის მოვალეობას შეადგენდა მოლაპარაკების წარმოება დეტროიტის ადმინისტრაციასთან, ევროპის ბირჟაზე დოლარების კურსის შეჯახება და, როგორც ჩვეულებრივ ისე მოკოლადის სიგარეების ყიდვა ენს ბოოტისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელ გარემოებას, ადვილი გასაგები იქნება, რომ გასაგზავნად და-

ქირავებული ბიგი. უაკეშობის გამო, მთელი დღის განმავლობაში სკამზე იჯდა და მალე ნაადრევ გასეტქეტისაგან ავად გახდა. ოთაბ ბიგშვის ავადსრულიად არ შეეფერებოდა მის მცირე წლოვანებას. (მყოფობა.

მესამე ოთახში ენს ბოტი იმყოფებოდა. მის წინ ევროპის დიდი ოუქა ეკიდა. ანგვარი მოვლენა დეტროიტის საინჟინერო ტრესტში აიხსნებოდა პატივცემულ დირექტორის გეოგრაფიულ ცნობის მოყვარეობით. აქვე მოთავსებული იყო ავრეთვე ცხრილები, ნახაზები, ვრცელი ანგარიშები და პროექტები, მაგრამ ყველა ეს თავსდებოდა ერთ ცეცხლ-გამძლე შკაფში და არავინ არ იცოდა მათი არსებობის შესახებ.

ენს ბოოტი იჯდა და ლურჯ-წითელ ფანქარს აქნევდა. ამავე დროს ის ბრძანებებს აძლევდა 18 ორგანიზაციას, რომელსაც არაფერი საერთო არა ჰქონდათ ევროპის დალუპვასთან, მაგრამ რომელთა სახელწოდებაშიც შედიოდა საბედისწერო ინიციალები „დ. ე.“.

ეს 17 ორგანიზაცია ამერიკის სხვადასხვა შტატებში იყო მოთავსებული. და ისინი თავის მხრივ განაგებდენ 314 დაწესებულებას, ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში მოთავსებულს 18.670 მოსამსახურით.

ამგვარად, ერთი მოძრაობა ლურჯ-წითელ ფანქრისა განაგებდა 18.670 ადამიანის მოქმედებას, რომელთა შორის იყვნენ მეფენი, რესპუბლიკის პრეზიდენტები, მინისტრები, უდიდეს ტრესტების მფლობელნი, ბანკირები, გენერალურ შტატების უფროსები, ყველა პოლიტიკურ პარტიების თავმჯდომარეები, კარდინალები და ბოროტმომქმედნიც კი.

რასაკვირველია „ტრესტ დ. ე.“-ს 18.670 აგენტთა შორის არც ერთს არ ჰქონდა წარმოდგენა და ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ ის ასრულებს ვისიმე ბოროტ განზრახვას. სხვადასხვა ტრესტები, საზოგადოებები, პარტიები და კავშირები, რომლებსაც ეს პირები ეკუთვნოდენ, თითქოს ისახავდენ სრულიად სხვადასხვა, სავსებით კეთილ საიმედო მიზნებს. ისინი ატარებდენ სრულიად სხვადასხვა სახელებს, როგორც მაგალითად: **„League ot Democratic Emanispation“, Deutschiand—England“Cs. m· b. H. „სახარების მეგობართა საზოგადოება“. „Decapitazione degli ebrei“,** Societá sui uzioni და სხვა, მაგრამ ოგივე ასოები „დ. ე.“ იყო აღბეჭდილი მათ ბეჭდებზე, ბლანკებზე, პლაკატებზე და სალების წინ.

19 მაისი 1927 წ. ევროპის პანიკა.

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად კარგად იყო მოწყობილი „ტრესტ დ. ე.“-ს მოღვაწეობა, საკმარისია მოვიგონოთ ის პანიკა, რომელიც მოედო ევროპას 19 მაისს 1927 წელს. ამ დღეს ლურჯ-წითელი ფანქარი ენს ბოოტისა მკვდარისავით უმოძრაოდ იდო საწერ მაგიდაზე. ეს აიხსნება სულ პატარა, მაგრამ სასიამოვნო კატასტროფით: ენს ბოოტი რომელიღაც უცნობ მისსთან ერთად ადიოდა

ლიფტით. 27 და 28 სართულების შორის მოხდა ავარია. ლიფტ[illegible] შეჩერდა; ელექტრონის სინათლე ჩაქრა. შენობაში 7 ლიფტი [illegible] და რადგანაც კარისკაცებს ეგონათ, რომ გაჩერებულ ლიფტში არავინ იყო, ისინი ამ გარემოებას გულ გრილად შეხვდენ. არავინ არ ჩაქრობდა, რომ ლიფტის შეკეთება დაეწყო. სიბნელეში ნაწყენმა მისსმა სთქვა.

— მე ვკარგავ სამუშაო დღეს. ეს ოთხ დოლარს უდრის. მე სახლის ადმინისტრაციას წარუდგენ საჩივარს 10 დოლარზე. თქვენ ხომ მხარს დამიჭერთ?

ენს ბოოტმა მისსის მხარის დაჭერა ასე დიდი ხნით არ გადასდო, გაუწოდა ხელი და მართლაც მხარი დაუჭირა.

რადგანაც ლიფტში ბნელოდა, ჩვენ ვერ ვიტყვით, იყო თუ არა ამერიკელი ქალი ბედნიერი.

მაგრამ დრო გადიოდა, ლუდოვიკ წითელი ფანქარი უნოქმედოდ იდო, არ მოქმედობდა ელსმენიც და ევროპის სხვადასხვა ორგანოების მოქმედება შეფერხებული იყო. დოლარი რყევაშია.

ბერლინის ბირჟაზე დოლარი ხან ეცემოდა ას პუნქტით და ხან არაჩვეულებრივად ბაღლა იწევდა. დანიის პრემიერ-მინისტრი ავად გახდა ნერვების აშლის გამო, რადგან რიკსტაგმა სამი საათის განმავლობაში სამჯერ ნდობა გამოუცხადა და სამჯერ მოითხოვა კაბინეტის გადადგომა. ბულგარეთის საზღვრებზე თავმოყრილი სერბიის ჯარები ძველებურ კადრილის ცეკვის ფიგურებს ასრულებდენ და ხან გადადიოდენ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, და ხან უკან იხევდენ, რადგანაც ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ იოვანოვიჩმა ბელგრადიდან მიიღო 16 დეპეშა, რომელთაგან ყოველი შემდეგ მიღებული დეპეშა წინად მიღებულს უარჰყოფდა.

შავი კოლოფი კი ეკიდა მე-27 და 28-ე სართულებს შუა.

ენს ბოოტი თმებს ისწორებდა პატარა სავარცხლით და ევროპაზე ფიქრობდა.

მართალი უნდა ითქვას, რომ ამ დროს მისი ფიქრები არ იყო დაკავშირებული ტრესტის აყვავებასთან. მას დავიწყებული ჰქონდა მარკის დაცემა, კოპენგაგენის კაბინეტის კრიზისი, სერბიელების ბულგარეთში შეჭრა, და ფიქრობდა სულ სხვა ევროპაზე,—ნაზ, მშვენიერ ქალზე, რომელსაც საოცდავი ხელები მოეხვია წითელ თვალებიან ხარის ყელზე.

მისს ასდიოდა შელნის, კარბოლის საპნის და დამწვრის სუნი. ევროპაში ჰყვაოდა ანენემონები და იები. M-H ლიუსი ფლამენგო უპირატესობას აძლევდა გერლენის სურნელოვან წვეთებს „Apres l' Ondee". მისსის ხორკლიანი და აქერწლილი კანი კი აქერცლილი ქალალდისავით ჩხაპნიდა ენს ბოოტს ლოყებს. ილ-დე-ფრანსის ველები ნაზად, მეტად ნაზად გამოიყურებოდენ.

ამ შედარებით ეტნოგრაფიით იყო გართული ბნელ ლიფტში ენს ბოლტი, სანამ გულმავიწყმა კარისკაცებმა არ შეამჩნიეს თავისი შეცდომა. კოლოფი უცებ განათდა. მისსმა საქმიანი გამომეტყველებით ლიფტი მიშეხედა საათს. ლიფტი მიუახლოვდა 32 სართულს. გამოთხოვებისას ენს ბოლტმა წარმოსთქვა:

— თქვენ საუკეთესო ქალი ხართ ახალ ქეეყანაში. მაგრამ მე არქეოლოგი ვარ და სიზმრად ფინიკიელ ქალს დავდევ.

მისსმა დამშვიდებულად უპასუხა:

— ეგ მე არ შემეხება. სამუშაო დღის გარდა, მე უმანკოებაც დავკარგე და საჩივარს გიდგენთ 10.000 დოლარზე.

ენს ბოლტმა არ იცოდა ოფიციალური კურსი დასახელებულ სათნოებისა და უხვად დაალაგიდოვა მისსი. ჩეკის გამოწერის შემდეგ ის სწრაფად შევიდა თავის კაბინეტში და აიღო ხელში ლურჯ-წითელი ფანქარი. ელმსმენელები დაიხარენ აპარატებზე.

ერთი საათის შემდეგ დაცემული მარკა წყნარად იდგა ადგილას: საჭირო იყო გერმანიის აოხრება. დანიის პრემიერმა მეიაროულად მოუკიდა მთელ ამ შფოთიან დღის განმავლობაში პირველ პაპიროსს: მან ყარი უთხრა უმუშევრებს დახმარებაზე,—მაშასადამე საჭირო იყო მისი დაცვა. სერბიელებს ვაჟკაცურად გადაეწიათ თავზე ქუდები და შედიოდენ ბულგარეთის სანაპირო ქალაქში: ენს ბოლტი პაციფისტი იყო.

ასე იყო 18 მაისს. მაგრამ ასე იყო 18 აპრილსაც და 18 ივნისსაც. ასე იყო დღიდან დღემდე.

ვილაც დორბლიანი ფილოსოფოსები ტიტინებდენ ევროპის პოლიტიკოსების, საქმიან კაცების, დიპლომატების და კაპიტალისტების „საბედისწერო სიბრმავის" შესახებ. ისინი თვით იყვნენ ბრმები, რადგანაც ვერ ხედავდენ ამ 18.670 თითქოს ყოვლის შემძლე პირების იქით—ამერიკის შეუმჩნეველ 17 ორგანიზაციას, ხოლო 17 ორგანიზაციის იქით კი—**„დეტროიტის საინჟინერო ტრესტის"** დირექტორის ლურჯ-წითელ ფანქარს.

ენს ბოლტი კი ბრმა არ იყო. მან იცოდა, რასაც აკეთებდა. მან უსირცხვილოდ მოატყუა ლიფტში მისს. არა, სიზმრად კი არა, ცხადად ნადირობდა ის მშვენიერ ფინიკიელ ასულზე.

(შემდეგი იქნება).

მთარგმნელი **სიმონ ჩიქოვანი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემილ ვერხარენ

ამბოხი

ვრცელ მოედანზე — სად მძვინვარებს გილოტინა;
სად გაჰკივიან საყვირები ხმა გაფითრებით —
თავ აწყვეტილი რბიან ფიქრები.

და შესაკრებელს უკრავს დაფი წარსულის გმობის,
დამშეულების, სუსტების წყევა
ძლიერ ამბოხის ხმებად ინთხევა.

ისე, ვით თვალი გაშავებულ, კუპრიან ცაზე —
ძველ სამრეკლოზე სჩანს ციფერბლატი...
ჩუ! აღსასრულის რეკავს საათი.

სახურავიდან ამოვარდა ალი ხანძარის
და ქარმა ირგვლივ დააფრქვია გველის ნახამები,
როგორც ნაწნავი სისხლიან თმების.

ვისაც იმედათ მიაჩნია ყოფნა უსასო,
განწირვის გარეთ ვინც არ იცის რა არის შვება
უფსკრულებიდან სინათლისკენ მიეშურება.

უანარ ფეხთა თქარუნი მძლავრი
იზრდება ჩრდილთა უეცარ ხმაზედ
ეკლით მოკირწყლულ მომავლის გზაზედ.

აწვდილან ცისკენ ხელები თრთოლით, —
სად ღრუბლებს ლეწავს მაგარი მეხი...
ცვივა მწვერვალზე ელვის ნატეხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამაცნო! ბრძოლის დაანთეთ ცეცხლი!
დღეს ყოველივეს ელება ბოლო,—
რაც გუშინ ბოდვათ მიაჩნდათ მხოლოდ!

ოთეის კონდახით აბტვრევენ კარებს...,
დღეს წურისგება მათი ღმერთია—
სიკვდილ სიცოცხლე მათთვის ერთია!

თარგმ. **ვახო გორგაძის.**

ანდრე სანმოზნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციკლი ბრძანება: მატარებელი ფრუნტიდან.

ვაგონში დიდი თავადის ქალის
გალეშილი კერასირები
სიმთვრალის ფორტებიდან, რომ მობლავიან
მუცლებზე მწოლებს,
ხიდების მსგავსი აქვთ სასთუმალი;
ბლომათ აქვთ ალკოგოლი
ტუვიები კონსერვები და იარაღი
ისინი წვებიან გასაფრთხილებელ სიგნალებზე.
და შვიდი წელი რომ ითმინეს მპყრობლის ბრძანება
ამართულ ხელით მძაფრ კბილებით ეხლა მას გლეჯენ
და ამტვრევენ ჩარჩოებს ფანჯრების.
ისინი ეყრდნობიან საცმელის დასაკიდს
და ეშინიათ რომ აჩქარდეს მატარებელი
რომ არ მივიდეს დანიშნულ ადგილს.
ისინი ქოლავენ
თავიანთ შვებულებას ჩექმის ქუსლებით.
ისინი უვლიან ეხლანდელ უფლებას
არ ეჭიერებათ მათ სასქესო ჭურჭელი ქალთა
ისინი მთვრალნი თავისუფალნი თავის თავიდან
იმედების გადალმა დგანან.
და თქვენ ნუ გინდათ რომ თავის ქალა
ნათ გაიხეთქონ თუ გინდ ლამაზ საფრანგეთისთვის;
უფრო სჯობს დაინგრეს ბალასტი
სახურავები ბურჯების მოგონილი გასართობების
და გადაყლაპონ ცის მნათობები
მეხანიკი ან ფილოსოფოსი (ასეთი ქვეყნათ არის მრავალი)
ახრჩობს თვის აზრებს
რომ დაევალოს
განსაკუთრებით რაღაც მისია,
ისინი გაუსწორდენ ჟანდარმების ჩერჩეტ სხეულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრებლებისთვის რომ ისვრიან უცხო ლოზუნგებს
ჩვენ უნდა გვცემონ ისევე სახრით მათგან ვითხოვდეთ კვლავ ზეებულებას,
მიგვეჩქარება ძლიერ და მასთან
ჩვენ ზედმიწევნით გვეშინია კიდეც სიჩქარის,
დანიშნულ ადგილს, რომ არ მივალთ ჩვენ არასოდეს.
ნუთუ დარჩენილნი არ დაიხოცნენ,
ნუთუ ყველა არ გაისრისა
სტუდენტმაც იცის თავისი საქმე
განსაკუთრებით ის სპეცი არის—
ჩვენ სხვა ხალხი ვართ ახალ ცხოვრების
ჩვენ არ მივდივართ დანიშნულ ადგილს
მაგრამ ჩვენ ძლიერ მიგვეჩქარება.
თუ საჭიროებთ კვლავ დამტკიცებას,
თუ საჭიროებთ უაზროობის აზრების ნახვას
მაშინ შეხედეთ
სულელი მეშჩანები გამოდიან თვის სახლებიდან
ნახონ რომ მოდის ჩვენით მძიმე მატარებელი,
როგორ უნდა უყვარდეს ხალხს ერთმანეთი,
როგორ უნდა უყვარდეს ხალხს მომავალი
დანიშნულ ადგილზე რომ აღარ მიდის
ეს არის მძიმე მატარებელი
რომ წამოვიდა ფრონტიდან მთვრალი
ანგრევდა ბალასტს
და ცეცხლს უჩენდა ნაგავს დარჩენილს
მუცლით ყლაპავდა ზეცის მნათობებს.

თარგმანი ფრანგულიდან. ს. ჩ.

მარსელ მარტინე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამე

დრამა 5 მოქმედებად.

მოქმედნი პირნი:

მარიეტა, გლეხის ქალი 70 წლის.
ანა—მარია,—მისი რძალი.
ლუი,—ანა-მარიას შვილი 12 წლის,
ლედრიუ,
გუტოდიე, | ჯარის-კაცები.
ფავროლი,
გენერალისმუსი ბურბუზი, 70 წლის.
ბორდიე დიუ-პატუა,—საბალხო დეპუტატი.
მისი იმპერატრობითი უდიდებულესობა.
სარდალი ოლტ დე-ლა-სურდიერი.
გენერალი დამფრაიში.
ატაშე.
ბაბუა ტუანი.—გლეხი.
ბატონი პიერი,—მასწავლებელი.
კიურე ბაიონი.
გლეხები და გლეხის ქალები.
ჯარის კაცები.

მოქმედება პირველი.

(ფერმის ოთახი მარცხნით, ბუხარი, შიგ იწვის ფიქვის წიწვი და წალამი. ბუხრის წინ სდგას პატარა ფეჩი.

კუთხეში მარცხნით წყალსადენი ღარი.
სილრმეში ორი ხის საწოლი ერთად.

ოთახის უუკუღლში დიდი ნაძვის მაგიდა ორი გრძელი სკამით. მაგიდაზე [illegible] ფანარი, რომელიც, ბუხრის [illegible] მკრთალად ანათებს სცენას.

მარჯვენა კუთხეში ჭერის თავზე ასაფალი კიბე. ფანჯრები არა აქვს. შუქი შემოდის მარჯვნივთა კარიდან. კარების ერთი მინა ჩამტვრეულია და ხანდახან ქარს შიგ ოთახში შემოაქვს თოვლის ფიფქი.

ფარდის აწევის დროს მარიეტა სათვალეებით ზის ჩალის საფარძელში ბუხრის წინ და იწყებს წინდის ქსოვას. მისი რძალი რეცხს პურეელს. ბავშვი ზის კიბის პირველ საფეხურზე და სჭამს პურის ნაჭერს ქონით)

მარიეტა.

(საკმაოდ სრული, წლები ამძიმებენ მას, მაგრამ სახის მოხაზულობა ჯერ კიდევ ახალგაზდური აქვს და ჯანსაღი).

მივსცეთ თუ არა ღამისათვის საკვები ძროხებს?

ანა — მარია.

(პატარა, გამხდარი, შეხედულობით ავათმყოფი და დაღლილი. თვალები განათებული და ნაღვლიანი).

გამოილია მთლად საკვები.
ღეჭავენ ფოთლებს მაგრამ ფოთლებს რა შეუძლია.
ხბო რომ მოუკვდა, ის ძროხა კი
სულ თავს აბრუნებს, როდესაც წყალს მიუტანთ გობით.
თავისი შვილის სიბრალული აწუხებს ალბად.
ქატო, რომელსაც ხბორებისთვის ვზოგავდი, უკვე გამოილია.
მათი საჭმელი არის ახლა მხოლოდ საბრალო გაძვალტყავებული ძროხების ძე.

(სიჩუმე. მოხუცი ქალი განაგრძობს წინდის ქსოვას და არაფერს უპასუხებს).

ლუი.

მე ალარ ვიცი იმ ღორს აწი რა მოუხერხო.
ღობეს გადაღმა პრე-ო-პრეტრის გორაკზე კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩენილია შემოკრული მცირე ადგილი,
სადაც ის თოვლქვეშ ახერხებდა თავის მონახვას.
მაგრამ ახლა კი ამ ქარ-ბუქში!
და თუნდა კიდეც გამოუშვა,—რა უნდა ნახოს?
ალარ შერჩება დიდხანს მისი უკანასკნელი ათი გოჭი.
ვგონებ თვითონაც ვერ გადარჩეს-
დღეს დილაზე მას ძუძუები სისხლით გაევსენ.
ძუძუწოვ გოჭებს ჰკბენს, როგორც კი მივლიან მასთან.
არა სჯობია რომ დავბოლოთ? და დედა-ღორიც თან მივაყოლოთ
სულ ჩალა, ჩალა და ისიც კი გათავდა უკვე.
ბაგეებში ხბორებს ალარ ვიცი რა ჩაუფინოთ.

მარიეტა.

ჩუ... გაჩუმდით... არ გესმით რამე?
ხომ არ დაიწყეს იქ ხელახლა?

ანა-მარია და ლუი.

არა.

ანა-მარია.

ქარია, ბები. ის ხმა ბაღლა ღმუის და ეხეტვენს
სახურავების ნახვრეტებში და დამსხვრეულ მილების წიგნით.
ის თოვლის ზვინებს ანიავებს,
ზვავებიაო საშინელი, ამბობენ, მთებში.

მარიეტა.

(იცინის უცნაურად).
რა? საშინელი? ამინდი, ქარი, თოვლი —საშინელია?

ანა-მარია.

(იცინის იმგვარივე უცნაური სიცილით).
ჰოო, მართალია. ბეტი არაფერი იცი. არაფერი გახსოვს.
მხოლოდ ძველ სიტყვებს იმეორებ. ძველს.

(კარებზე არახუნებენ).

ხმა გარედან.

შემიძლია შემოვიდე?

(შემოდის მოხუცი თეთრი წვერით, მთლად თოვლით დაფარული. ხელში უჭირავს ფანარი, რო-

ᲬᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲥᲠᲝᲑᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ. ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲚᲐᲓ. ᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲯᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ ᲔᲠᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲡᲙᲐᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲩᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲯᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲛᲘᲗ).

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ.

ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ, ᲛᲐᲠᲘᲔᲢᲐ. ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ

ᲛᲐᲠᲘᲔᲢᲐ.

ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ, ᲑᲐᲑᲣᲐ ᲢᲣᲐᲜ. ᲨᲔᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲒᲘᲒᲝᲜᲘᲐ?

ᲢᲣᲐᲜᲘ.

ᲐᲘ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ. ᲘᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲒᲖᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲕᲚᲘᲐ.
ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲕᲔᲪᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲛᲔᲑᲜᲐ.
ᲡᲐᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲛᲑᲯᲣᲢᲐᲕᲘ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲡᲐᲡ.
ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲬᲘᲔ, ᲛᲐᲠᲘᲔᲢᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲙᲔᲜ.
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ,

ᲛᲐᲠᲘᲔᲢᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲛᲝᲒᲕᲘᲢᲐᲜᲔ ᲠᲐᲛᲔ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ?

ᲢᲣᲐᲜᲘ.

ᲐᲠᲐ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ.
ᲐᲚᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲘᲡᲐ.
ᲐᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲘᲡᲐ.

ᲥᲐᲚᲘ.

(ᲨᲔᲛᲝᲬᲧᲐᲕᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲩᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ. ᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲢᲣᲐᲜᲘ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘ, ᲙᲐᲪᲔᲑᲘ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ, ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲘᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓᲕᲔ, ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲟᲔᲡᲢᲔᲑᲘᲗ).

ᲰᲝ, ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ.
ᲛᲘᲬᲧᲓᲐ ᲥᲣᲮᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲑᲐᲬᲜᲔᲑᲘᲡ,
ᲛᲐᲗᲘ ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ, ᲢᲧᲕᲘᲘᲡ ᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲚᲔᲑᲘᲡ.
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲣᲠᲘ ᲛᲘᲧᲣᲩᲓᲔᲜ.
ᲓᲐᲓᲒᲐ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ.
ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲩᲣᲛᲔᲖᲔ ᲔᲪᲔᲛᲐ ᲘᲒᲘ.
ᲮᲔᲕᲐ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ, ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲡᲘᲩᲣᲛᲔᲖᲔ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეცემა იგი თოვლთან ერთად.
ჰო, ეს მათი სიჩუმე ჩემთვის
საშინელია უფრო მეტად, ვიდრე იმათი ჭექა-ქუხილი უსაშველო.

მარიეტა.

ჰო, ეს სიჩუმე.
ჩვენო წეულლე, ჩემო მეგობარო ძველო,
შენს სამარეში,
რომელიც შენთვის გაეთხარეთ ჩვენ სიცივისაგან მკვდარი ხელებით,
თოვლში, ყინვებით გამაგრებულ, კლდეთქმნილ მიწაში,
ო, ჩემო ძველო მეგობარო, დაღუპულო ამ ჯოჯოხეთში,
მითხარი, შენს სამარეში სიჩუმე
საშინელია იმგვარადვე, ვით ეს სიჩუმე,
რომელიც ჩვენ აქ სულს გვიხუთავს გადარჩენილებს?

ტუანი.

ეგებ მთებიდან, ეგები ტყიდან
ამაღამ ქარში თოვლის ბურანში
ეგებ შენს სახლში, მარიეტა, მოვიდეს ვინმე
და მოგიტანოს შენ რაიმე ამბები იმან.

კაცი მთებიდან.

ჩვენაც არ ვიცით არაფერი,
ყველგან ასეთი სიჩუმეა
სამი დღე არის ყველაფერი დადუმდა ირგვლივ.
ჩვენთან.
როგორც ჭკუიდან შეშლილები დავლიან ყველა.
არ შეუძლიათ სმა-ჭამა და გაიძახიან:
ნუ თუ ჩვენ მეტი აღარა გვყავს ჯარის კაცები? ნუ თუ ყველანი გაიქცნენ

ხმები.

ჩვენთან—სამი დღე
არავის
არ დაუნახავს ჯარის კაცი არცერთი.

ახალგაზრდა ქალიშვილი.

მხოლოდ გვამები
მათი, რომლებიც ამ ბოლო დროს დაუხოციათ.
წვანან თეთრ თოვლზე სისხლისა და ზაფრანის ფერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყორნების გუნდი ყრანტალით
თავზე დაჰფრენენ, აჯდებიან და ნისკარტებით
მწვიფე ბალიკით უკორტნიან ტუჩებს და თვალებს.

ხმები.

მგლებიც გამოძვრენ და ბოლებად დაწანწალებენ,
ჰგლეჯენ და სჭამენ ამ დახოცილ ჭაბუკთა ლეშებს.

ქალი.

(ის ესეც არის უკანასკნელი შემოვიდა. კარი არ დახურა. სდგას გაღებული კარის ზღურბლზე უზარმაზარ შავ მოსასხამში. თოვლის ქარ-ბუქი სცემს მას ზურგში).

შენ მათ იცოდებ? შენ იცოდებ მათ?
იმათ, ვინაც ჩვენ თავს დაგვესხა ამოსაჟლეტად?
შენაც, გაყინულ ბავშვს რომ ათბობ მკლავებზე,
შენც გებრალება ის ლეშები?
ო, მეცა მყვანდა პატარა გოგო!
დიდხანს ვათბობდი მეც მაგგვარად მკლავებზე იმას.
მაგრამ ჩემს მკლავებს დააციედა ის მაინც ბოლოს.
და ჩემს მკლავებზე დავინახე ის მე ესულო.
რა ჩაიდინა ცუდი იმან? ვის რა წაართვა?
და აი ახლა სულ ტიტველი წევს ის მიწაში,
და ერთად ერთი სახურავი იმისი—შკილო, ჩემო პატარა ცუგრუმელავ—
ეს საშინელი თოვლი არის, ცივი და თეთრი.
რა ჩაიდინა ცუდი იმან? ვის რა წაართვა?
ჩემო გოგონავ. ო, ჩემო პატარა ქალო!
შებრალება? აღარ არსებობს სიბრალული, აღარაფერი არ არსებობს.
დაწყევლილი ვარ და მეც უთვლი ქვეყანას წყევლას.

მარიეტა.

(წამოდგება. ის ძლივს მიაბიჯებს ჯოხზე დაბჯენილი. ის მიდის ქალთან, რომელიც ესეც არის ლაპარაკობდა. მას მიჰყავს იგი და აჯენს თავის ადგილზე საეარძელში. ისიც ემორჩილება).

ეგ არ ვიცოდით ჩვენ, შვილო, და იმედი არის, რომ მოგვიტევებ.
ჩემო ბედშავო, მწუხარება დიდია შენი.
ჩვენ აქ ყველანი, თვითვე იცი, ამ ახალ ნაღველს
ვიგრძნობთ იმგვარად, როგორც თავის საკუთარ ტკივილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენს ნაღველს ბოლო არ ექნება, შენი ნაღველი საუდამოა.
მე ეს ძალიან კარგად ვიცი, ჩემო ძვირფასო.
მე მოხუცი ვარ და მოხუცი ვიყავ მაშინაც,
როცა გიცნობდი შენ პატარას, ისე, პატარას,
როგორიც იყო შენი-ბავშვი, დღეს რომ მომკვდარა.
ჰო, ეგებ მართლაც ჩვენ ყველანი დაწყევლილი ვართ.
ყველა აქა ვართ მთელი ჩვენი უბედურებით.
მე ჩემი ქმარი ამ მიწაში დავმარხე, აგერ.
უმცროსი შვილი მოკლულია.
ხოლო უფროსის შესახებ კი არა ვიცი რა.
აი ამ ქალმა ვერ გაიგო ქმარის ამბავი.
ამ ბავშვმა თავის მამის ხვედრი ვერსად შეიტყო.
მაგრამ ყველა ჩვენ, ვინც აქა ვართ და ვინც დაობლდა,
მაგრამ ყველა ჩვენ, ვინც აქა ვართ და ვინც მიწაში გაყინულ თოვლ ქვეშ
ბედშავ სიცოცხლეს კვლავ ფრჩხილებით ჩასჭიდებია,
ჩვენ აქ ყველანი ერთმანეთის ჭირს ვიზიარებთ.
ჰო, შეიძლება, ჩემო შვილო, ჩვენ, შეიძლება, დაწყევლილი ვართ.
მაგრამ ჩვენ ყველას—საბრალოებს, ჩვენ—დამშეულებს,
ვისაც თან დაგვდევს სიკვდილი და საშინელება,
მხოლოდ, ერთი რამ დავვრჩენია,—
რის გამოც თვითონ შენ მოსულხარ აქ ამ ღამეში,—
ოღონ, ერთმანეთი, ერთმანეთი არ ვსწყევლოთ მაინც.

ქალი.

(კერაზე დახრილა და სტირის).

შენ მართალს ამბობ, ჩემო ბები, მაგრამ რაუყო, მეტის მეტად დამძიმდა
გული.

მარიეტა.

იტირე, ჩემო საცოდავო, იტირე ჩემს ყალათზე.
ვისაც ტირილი წეუძლია, მისთვის ნუგეში არსებობს კიდევ.

ტუანი.

ჩვენ კი ტირილი ალარ ძალგვიძს. მკვდრებზე უფრო მეტად მკვდრები ვართ.
(სიჩუმე).

ლუი.

მაგრამ მაინც, თუ მართალია, თუ ეს ამბავი მართალია?
და ეს გათავდა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტუანი.

(იცინის).

საკოდავი.

ბატონი პიერი.

მაგრამ, ჩემო ბატონ ტუან, ეს ხომ უთუოდ გათავდება ერთ მშვენიერ დღეს.
და ამ დღეს ხალხი ყველაგ სიკოკბლეს დაუბრუნდება.
განაახლებენ მუნაობას, მოვლენ ჭკუაზე,
გაიღვიძებენ და საწინელ სისხლიან ბოდვას თავს დაანებებენ.

ტუანი.

კეთილი, დეე ეს გათავდეს ერთ მშვენიერ დღეს.
მაგრამ ჩვენ უმალ მოგველება იკოდე, ბოლო.
საათი ჩემი აღსასრულის—აი ეს არის მთლად, რასაც ველი.
და ან აქამდე ნე სიკვდილმა რად არ მომნახა!
თუნდ მარიეტას ქმრის მაგიერ. იმას სიკოკბლე ხომ კიდევ სწამდა.
მე ორი შვილის ბამა ვიყავ და ალარც ერთი არა მყავს ახლა.
საშინელი დრო. მოხუცთათვის აი ვარგა ეს დრო.

მარიეტა.

არავისთვის არ ვარგა, ტუან.
როგორ დაიწყო არავინ იცის.
ჩვენ ვართ ყველანი მიწიერნი.
და ჩვენ გვჩვევია ფიქრი მხოლოდ მიწის შესახებ
დანარჩენში კი ჩვენა გვჯეროდა
ია რაც ეწერა ფურცლებზე და რასაც ამბობდენ ქალაქელები.
და აი უკვე რა ხანია გამოგველვიძა,
როგორაცა სთქვით თქვენ, ბატონო მასწავლებელო.

ქალი ბავშვით.

ჰო, რახანია, დედაბიწამ გამოგვალვიძა
ჩვენა გვჩვევია ფიქრი მხოლოდ მიწის შესახებ.
ჩვენ ვიცით კარგად, თუ რა ძნელია
საქონლის გახრდა, მისი შენახვა
ხენა, ნიადაგის განოყიერება,
ბავშვების შობა, მათი მოვლა და პატრონობა.
მაშ შეგვიძლია რომ მიეიღოთ ჩვენ ამნაირი დაქცევა მიწის,
ხალხის გაჭლეტა და ყველაფრის განადგურება?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიეტა.

არა, ჩვენ ამას ვერ მივიღებთ, აოც უნდა მივიღოთ.

კიურე ბაიონი.

უნდა მივიღოთ, ჩემო შვილო, და ღმერთს ლოცვები აღუვლინოთ.

ტუანი.

გაჩუმდი, მლვდელო. ღმერთი ჩვენ უკვე აღარა გვწამს.
აღარაფერი აღარა გვწამს.
ისე, ვით ამ ქალს, რომელსაც ბავშვი დაღუპვია,
შენც არაფერი აღარა გწამს მას შემდეგ, რაც ეს საშინელება დატრიალდა.

კიურე.

მე მწამს.

ტუანი.

და მაინც ხომ, წმიდაო მამა,
თქვენც აქ მოხველით მაშინათვე როგორც დალამდა,
მარიეტასთან, რომლის ირგვლივ ყველა ვგროვდებით.
ჩვენ არ შეგვეძლო შინ დარჩენა, ჩვენს დაობლებულ ოთახებში.
შენაც საყდარში ვერ გასძელი უფალთან ერთად.
ისე სწავლული მე არა ვარ, როგორც შენ, მლვდელო,
არც ისე, როგორც თქვენ, ბატონო მასწავლებელო.
მე ვარ შიშისგან შერყეული ბებერი მხეცი,
მაგრამ სულყველა წარიეტას ვეხვევით ირგვლივ, ჩვენს მარიეტას.
მისმინე მლვდელო. წართალია, მე ვარ უტვინო, ბებერი მხეცი,
მაგრამ მე გეტყვი იმას, რაც ჩვენ სულყველამ ვიცით
და ჩვენთან ერთად შენაც იცი;
თუ კი ჩვენ რწმენის ნატამალი დაგვირჩა კიდევ,
ეს არის რწმენა ზოგიერთის მიმართ ჩვენ შორის,
ვით, მაგალითად, მარიეტას მიმართ, რომელიც
ჩვენში ყველაზე ძლიერია და უკეთესი.

(ყველანი ბავშვებივით ეკვრიან მარიეტას, რომელიც უხის ცვეცხლს. სიჩუმე).

კაცი მთებიდან.

ასე ბგონია, რომ ახლა მეც ისეთი გავხდი, როგორიც თქვენ ხართ.
რომ მეც მაშინებს ეს სიჩუმე
უფრო ხედბეტად, ვიდრე ბრძოლის ჭექა-ქუხილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც არასოდეს მე მშიშარა არა ვყოფილვარ.
წინად სირცხვილით არც შემეძლო შიშის ხსენება,
მაგრამ რა არის რომ არ სჩანან ჯარის კაცები?

(სიჩუმე)

არის ერთი ადამიანი, მე ვიცნობ იმას.
იქ მან დაკარგა თავის შვილი.
გამოეთხოვა თავის ცოლს დილით,
განვლო ნან შემდეგ საში მილი
და თხების ტბაში დაიხრჩო თავი, გუშინ.

ტუანი.

განთავისუფლდა ის დასასრულ.

დედა მკვდარი ბავშვით.

ბედნიერება უპოვია იმ ადამიანს.
ნეტავ შემწევდეს ძალა, რომ ნეც წავიდე ნისებრ.

მარიეტა.

ჩემი....

(სიჩუმე. ერთი წუთით არავინ შემოდის. შემდეგ სიჩუმეში ერთბაშად გაიღება კარი და კარის ზღურბლზე გაჩერდება, სწორედ ისე, როგორც წინად დედა მკვდარი ბავშვით, თავშიშველი ჯარის კაცი. მას ჰფარავს ტალახი და თოვლი. ის მძიმედ დაღლილია, მაგრამ მთელი ნისი სახე და სხეული თითქოს ახალგაზდური ჯანით და სიცარულით ანთებულა. კიდევ რამდენიმე წამი დაღლილი და ლონემიხდილი სდგას ის ჩუმად. მის და დანახვაზე ყველანი, თვით ლრმად მოხუცებულებიც კი, ფეხზე დგებიან. ის სდგას ცალკე. ხოლო მის წინ და მის გარშემო შეჯგუფულან სხვები შეშფოთებულნი და მოლუშულნი).

ჯარისკაცი.

თქვენთან მოველი... მე მოველი თქვენთან იქიდან..
ბრძოლის ველიდან მოვრბივარ თქვენთან.
აი. ახალი რამ გიამბოთ.
გათავდა უკვე! ო, ახლა კი გათავდა იგი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოს გვეწველა! თქვენც გეწველათ, თქვენც, აქაურნო!
თქვენ, აქაურნო, მე შვილი ვარ უცხო ქვეყნისა,
სადაც ბევრია მზის სინათლე და ზეთის ხილი.
მაგრამ, როგორც თქვენ, მეც იმგვარად შვილი ვარ მიწის.
მოელო ბოლო! როგორ მოერბოდი!
გამოვეშურეთ ჩვენ ყველანი,
ყოველი მხრიდან ჩვენ მოვრბივართ, ყით ღელვები,
რომ ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედოს ჩქარა.
თოვლში დაეცა რამდენჯერმე, ყველა სახლები
ნავ ნახგოცებად ამაროულან.
მაგრამ თქვენს სახლში მე სინათლეს მოვკარი თვალი,
და მეც აქ გავჩნდი. ო, გლეხებო, გესმით თუ არა?
ხომ გაიგონეთ, ხომ გაიგეთ ჩემი ხათქვამი? ეს მე ვარ აგერ.
ბოლო მოელო! ჰო, ახლა კი მოელო ბოლო!

(ყრუ სიჩუმე საშინელებით დატვირთული: უცხო ადამიანის სიტყვებს უმძიმს ამ ხალხის შეგნებაში შეჭრა. შენდეგ)...

ხმები.

— ხომ არა გვძინავს?—გათავდაო!—ეს სიზმარი იქნება ალბად.
— ო, ჩემო შვილო! ჩემი ქმარი!
— ახ, არა, არა, ეს სიცხადეა. აგერ ეს კაცი, უცხო ჯარისკაცი!
თოვლი აყრია, თოვლს ხომ ხედავთ?
— ბოლო მოელო! გაიგონეთ, ბოლო მოელო!

ტუანი.

(ადგება, მიდის ჯარისკაცთან, დაადებს მხრებზე ხელებს, სინჯავს მას და შეჰყავს შემდეგ შუაგულ ჯგუფში).

რა იყო, რა სთქვი, აბალგაზდავ?
მართალს ამბობს? მართალი არის რაც გვითხარი?

კაცი მთებიდან.

მართალს ამბობ?
ხომ ხედავ, ჩვენ აქ შეეკრებილვართ საწყალი ხალხი.
მოხეცებულნი, ქალები და ბავშვები მხოლოდ.
გატანჯული ვართ ჩვენ ყველანი.
აქ ყოველ ჩვენგანს საკუთარი მწუხარება აქვს,
რომელიც იმას თან გაყვება მთელი სიცოცხლე.
ნუ მოგვატყუებ, ახალგაზრდავ! ნუ გაგვამასხრებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიეტა.

რისთვის დაგვცინი, ახალგაზდავ?
რისთვის დასცინი შენს თავსა და შენს უბედობას?

ჯარისკაცი.

მე თქვენი ვერა გამიგია, რა უცნაური რამ ყოფილხართ აქაურები!
მე გამოვრბოდი, მე მოვედი, მე თქვენ გიყვირით,
მე თქვენ ამბავი მოგიტანეთ მზესავით ცხელი!
ბოლო მოელო, გეუბნებით, მოელო ბოლო!

ხმები.

(მოულოდნელი და თანდათანი გამხნევებით).

ბოლო მოელო! მართალს ამბობს? ბოლო მოელო!
— ჰო, მართალს ამბობს.—სიხარულით უბრწყინავს სახე!
— შენ მართალი სთქვი. ეს ხელები უნდა დავკოცნოთ,
ო, ეს ხელები ამნაირი ამბის მომტანი.
— ვეამბორებით შენს ფარაჯას, ამ ძველ ფარაჯას,
რომლითაც ლამეს შენ ათევდი ტალახში ტანჯვით.
— ო, ახალგაზდა ჯარისკაცო, შენ მართალს ამბობ!
— იყავ კურთხეულ, ბედნიერი იყავი მუდამ
შენ ამ ამბავის მოტანისთვის!

ჯარისკაცი.

რამდენი ჯანჯვა და წამება გამოგიელიათ!
მესმის. მე კარგად მესმის ყველაფერი.
ჩვენაც თქვენსავით დაგვემართა. ჩვენც არ გვჯეროდა.
მაგრამ ეს მაინც ასე არის. მეც ხომ მისთვის მიცინის სახე:
თავისუფლება მოგვივიდა.
იქ სისხლის დენა ალარ არის. და კვლავ ქვეყანა,
მთელი ქვეყანა მზად არის, რომ წამოდგეს ფეხზე.

მარიეტა.

ჩემო შვილო, გვითხარი კიდევ, სთქვი, დაიყვირე. დაიყვირე უფრო ხმა მაღლა,
რომ დავიჯეროთ, რომ საეჭვოდ არ ექნეს ვინმეს!

ჯარისკაცი.

დამიგდეთ ყური. მე იმათ რიცხვს როდი ვეკუთვნი, ვისაც სიტყვები ემარჯვება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვებიც სულ მალე მოახწევენ და გიამბობენ ამ ამბავს უკეთ.
მაგრამ მისმინეთ!
ჯარისკაცები, ჩვენს პირდაპირ რომ ბანაკობენ,
ჩვენსავით, ჩვენზე უარესად იტანჯებიან,
გამარჯვება კი მათ ეკუთვნის. იპყრობენ ქვეყნებს.
მაგრამ მათ პური გამარჯვებამ ვერ მიანიჭა.
შიმა იმათაც. გამარჯვებამ გააშრო განა
ტალახი მათ ქვეშ და იმათზე?
გადაარჩინა მან ისინი სასტიკ ჭრილობებს, სისხლიან სიკვდილს?
მათი ქალები, ყმაწვილები და მოხუცები
ჩამოხსნა იმან წამების და ტანჯვის ჯვარიდან?
და აი, აი, ყური მიგდეთ,
(ო, ჩვენ ყველანი აღტაცებით დაგვათრო
იმან, რაც მათ უეცრად ჩაიდინეს),
როდესაც იმათ ვეღარ შესძლეს ტანჯვის ატანა,
უცბად ყველანი, ყოველ მხრიდან, ყველა კუთხიდან,
ვით შეთქმულები,
ვით ცეცხლის ალი ქარის მიერ გამხმარ ყანებზე გადანარცხული
ყველანი ერთად, ყველა ფრონტებზე,
ყველა სოფლებში და ქალაქებში,
ერთბაშად ზეზე წამოდგნენ და რისხვით ამხედრდნენ
ეს ყურმოჭრილი და ჩვენსავით მხდალი მონები
მათზე, ვინც იმათ ეუბნოდათ:—გასწი!უკბინე! წინ! მოჰკალ! მოკვდი
აჯანყდა ყველა!
და დაიძახეს მათ თამამად, პირდაპირ: არა!
ბოლო მოელო. გავიღვიძეთ. ჩვენც ხომ კაცნი ვართ.

მარიეტა და კაცი მთებიდან.

(ერთად.)

ჰო, ჩვენც კაცნი ვართ.

(ჯარისკაცის უკანასკნელ სიტყვებთან ერთად შემოდიან მრავალი მისი ამხანაგები ცალ-ცალკე ჯგუფებად. გლეხები სდგანან გაფითრებული და ხმაგაკმენდილი, მიეარდებიან შემოსულებს და დაუწყებენ გამოკითხვას. ორი მოხუცი ქალი დამჯდარა კუთხეში და ჩუმად სტირის. ოთახი ხალხით აჩის სავსე)

მეორე ჯარისკაცი.

ჰო, ჩვენც კაცნი ვართ!
გვეყო ამდენ ხანს რაც ვიყავით სათოფე ხორცად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვეყოფა მკვდრები გაკლეტილი ფეხო სასტიკად,
ვიდრე ხარები სასაკლაოზე
კმარა მკვლელობის ხელოსნობა, კმარა სიცოცხლე ავსილი ტანჯვით!
ბოლო მოელოს ამ სიგიჟეს! ძირს ვეშაპები,
ადამიანებს რომ აწყვეტენ ერთი მეორეს!
შენ, ამხანაგო, ყველაფერი არ გითქვამს მათთვის,
ყური დამიგდეთ თქვენ, ნოხუცნო და თქვენ, ძვირფასნო,
ისე როგორც ჩვენ, წამებულნო და ბედშავებო:
მათი სარდლები, გენერლები და ოფიცრები,
ყველა ისინი, ვინც თავს აჯდა მათ ბატონებად,
ყველა ისინი, ვინც ბრძანებით უხმობდა იმათ,
სხვათა წამების, ტანჯვისა და მკვლელობისაკენ,
ყველა შეიპყრეს და სულ ყველას ჩამოაგლეჯეს
იმათი ხმლები, ოქრო-ვერცხლი და პაგონები,
სიკვდილის ძალლებს ცოფიანი აუკრეს პირი
და,—ყური მიგდეთ, ო, გაიგონეთ,
რა საშინელი, რა ვეება ამბავი მოხდა!—
თვით ჯალათების მბრძანებელი, ბატონთ ბატონი,
იმპერატორი, ჰო, იმათი იმპერატორი,
ისიც გასცილდა თავის ბუდეს, როგორც ხოხობი,
როცა ნაგეში მეძებრები აგნებენ მის კვალს;
ყოველ ქალაქის სასახლიდან, ყოველ სოფლიდან
გამოაძევეს ის ყაჩაღი; მიაწყ-მოაწყდა
ის ყოველ კუთხეს და დასასრულ მიადგა იგი
თავის მხედრობას, ო, უტეინო, ხსნას მოელოდა
ის თავის ჯარში, რომელიც მას ოდესღაც ისე
თაყვანსა სცემდა, მაგრამ დღეს კი აჯანყებული
წინ შეეყარა და შეიპყრო, ისე ვით ტახი,
იმპერატორი, ჰო, თავისი იმპერატორი!

(აქამდე გაქვავებული და დადუმებული გლეხები ერთბაშად გამოერკვევიან და მეორე ჯარისკაცის უკანასკნელ სიტყვებს შეუერთებენ ერთსულოვანს, მაგრამ სხვა და სხვა გვარ ამოძახილს, რომელშიდაც ისმის სიხარული, რისხვა, ბედნიერება, შიში, სიძულვილი. შემდეგ დამათრობელი გაბრწყინება და სიჩუმე).

ტუანი

(ის მოლუშულია და ყოყმანობს).

შვილო, ო, შვილო, შენ საშინელ ამბებს გვიყვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ იქნება, ეგ მართალი როდი იქნება.
ნუ თუ სულყველამ დაიჯერეთ?

კიურე.

თუ ეს ასეა, იქ ყოფილა რევოლიუცია.

მეორე ჯარისკაცი.

(უცქერის ბაიონს და იცინის. მისი ამხანაგებიც იცინიან).

ეჰე! ხუცესო დაარეკვი რაც გსურს.
თუნდ აგრეც იყოს. რევოლიუცია!
წინათ გვაფრთხობდენ ჩვენ ამ სიტყვით. და იმის მიჭარით
სცდილობდენ ჩვენში სიძულვილი გამოეწვიათ.
შენაც სცდილობდი ეგეც, მღვდელო.
მე რას დაგეძებ თუ რა ჰქვია იმას, რაც მოხდა.
ფეხზე მკიდია მე სახელი! ოღონდ ერთი რამ მე კარგად ვიცი:
ჩვენ ის ბიჭები თოფ-ზარბაზანს აღარ გვესვრიან.

(ყველანი იცინიან—ჯარისკაცები, გლეხები
და ის ქალებიც კი, რომლებიც სტიროდენ).

ტუანი.

ჩემო შვილებო, შეეშვება მე ეს ამბავი.
ვაი თუ ესეც ხრიკი იყოს და ეშმაკობა!
ო, მე იმათ ხომ კარგად ვიცნობ,
და დიდიბანი: მაშინ, იმ ომში გავიცანი.

ქალი.

მართლა ახალი ხრიკი თუა? ახ, წყეულები!

პირველი ჯარისკაცი

რაო? ხრიკი? ეშმაკობა ო, უკაცრავად!
არ გვეშინია ჩვენ იმათი ვისაც ჩვენ ვხედავთ
ვინც ჩვენ გვიცქერის და ვისაც ჩვენ ვესაუბრებით.

მეორე ჯარის კაცი

და ვინც მკვლელობის ხელოსნობას უარი უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ჯარისკაცი.

(მოხუცი ქალარა თმებით)

ჩვენ ვხედავთ იმათ. მოგვიგზავნეს ჯარისკაცები,
შეგვატყობინეს, რომ მათმა ხალხმა
ძალა-უფლება ხელთ იგდო და სწყურია ხაცი.
რომ ჩვენ ისინი აბის შემდეგ აღარ გვესვრიან.
და გვთხოვეს, რომ ჩვენც იერიშზე არ გადავიდეთ.

კიურე.

და მერე თქვენი უფროსები ამის შესახებ
რაღას ამბობენ?

მესამე ჯარის კაცი

ვინ? უფროსები? ისინი დინჯად უცქერიან ამ ამბებს და ჩვენ
გვეუბნებიან, რომ კარგია ეს ყველაფერი.
რომ საჭიროა დაუცადოთ ბრძანებას, ჯერ კი ცეცხლი არ გავხსნათ.

ქალი.

(რომელიც ესეც არის ლაპარაკობდა).

ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი დამარცხებულან
და გამარჯვება ჩვენ გვრგებია. ასე არ არის?

მესამე ჯარის კაცი

(მწარედ იცინის)

დამარცხებულან! გავიმარჯვეთ! ჩემო საბრალო!
დამარცხებული ვართ ყველანი ვინაც გადავრჩით.
ჩვენ დაგვამარცხა სიღატაკემ, შიმშილმა, ტანჯვამ,
შავმა სივდილმა დაგვამარცხა.
ო, რამდენია ეს მკვდრები, მკვდრები!

მარიეტა.

გამარჯვებული ხართ დღეს მაინც, თქვენ გენაცვალეთ.
თქვენ, ვინც მკვლელობას გაანებეთ დღეიდან თავი,
თქვენ დღეს სიკვდილზე გაიმარჯვეთ.

მესამე ჯარისკაცი.

ჩვენ დავალეთ მათთან.
დაუბრკოლებლად მათ თხრილებში დავიარებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე ჯარის კაცი

და უფროსებიც ამის დაშლას ვერ გვიბედავენ.
თვით მე რამდენჯერ ვყოფილვარ იქ;
როცა კი მსურდა მივდიოდი.
იქ გვიყვებიან ჩვენ ისინი თავის გასაჭირს,
იმას, რაც თვითონ ჩვენ გვაწუხებს
მთლად დღესასწაულს გვაგონებენ ჩვენ ეს დღეები,
ჩვენ იქ ვთამაშობთ და ერთად ვსვამთ, ერთად ვიმღერით.

(შემოდის ჯარისკაცების ახალი ჯგუფი. ერთი მათგანი მაწინვე დაიწყებს ლაპარაკს უფრო მეტი გატაცებით, ვიდრე წინანდელნი).

მეოთხე ჯარისკაცი.

(ის სულ ახალგაზდაა, მისი ქალური სახე ნათელია და მოლიმარე).

არა! ეს კიდევ უკეთესი!
ჩვენ აი ახლა იქ ვიყავით. გაკეთდა საქმე.
იმპერატორი—ალარ უნდათ იმათ თავისი იმპერატორი!
ჩვენთან გზავნიან მას ისინი. ჩვენ გადმოგვცემენ.

ჯარისკაცი.

ოჰო, ეგ კარგი ძღვენი არი!

მეოთხე ჯარისკაცი.

დიახ, მოხუცო: შენ ეგები ფიქრობდე, რომ ის
ჩვენ ჩალით უნდა გავტენოთ და სადმე მუზეუმს
შესანახავად გადაუგზავნოთ?
არა, ჩვენ თვითვე შეუნახავთ მათ თავის არწივს,
რომ მათ რაიმე ხათაბალა არ აუტეხოს,
ვიდრე ისინი თავის დუქანს გასწმენდენ კარგად.
მათი საქმეა გაუსწორონ მას ანგარიში
როგორც უნდოდეთ. ხომ ასე სჯობს?

(გლეხები შეერევიან ჯარისკაცებს და უფრო და უფრო მხნევდებიან. ეს მათი სულიერი განწყობილება თანდათან ფართოვდება და ძლიერდება მოქმედების დასასრულ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმები.

— ახლა კი ალბად მართალია;
— რალა თქმა უნდა მართალია!—მოელო ბოლო!—ო, მოელო, მოელო ბოლო!
— ცხოვრება ისევ დაიწყება.—აღორძინდება ყველაფერი

კაცი მთებიდან.

და ის, ვინც ამას სჩადიოდა, ისინი, ვისაც ეს უნდოდა
დაისჯებიან შესაფერად—
ვისაც ეს სურდა და რომლებმაც ეს ჩაიდინეს!

მარიეტა.

დაისჯებიან? განა რაც მოხდა სურდა ვინმეს იმის ჩადენა?
განა შეეძლო მათ წინასწარ ამის გაგება?
ისინიც ხომ კაცნი არიან. კაცნი, რომლებსაც სიყვარული დავიწყებიათ.
მათ წინ უძღვოდენ ბელადები.
მათ ბელადები ამხედრებდენ.
ხარბი, ამაყი ბელადები.
და. აი, მათაც მიაშურეს ერთი-მეორეს.
მოიძებნება კი ისეთი ადამიანი,
ვინაც შესძლებდა წინასწარვე რომ მიმხვდარიყო
თუ ამოდენი სისხლის ტბები დაიქცეოდა.
შენ კი დასჯაზე ლაპარაკობ.
ისინიც ხომ კაცნი არიან.

მეოთხე ჯარისკაცი.

ჩვენ, თქვენ—ყველანი დავისაჯეთ, ბები, ძალიან.

დედა მკვდარი ბავშვით.

ჰო, ჩვენ ძალიან დავისაჯეთ. გაუსწორებლად.
დეე დახოცონ!
შენ კი, საწყალო ჩემო შვილო, ველარ აღსდგები!
დეე დახოცონ!

ქალი.

(რომელიც წინად ლაპარაკობდა).

დამარცხებულან. უნდა გავრეკოთ, დავედევნოთ! გადაუხადოთ
იმის სანაცვლო, რაც ჭირი და უბედურება ჩვენ მოგვაყენეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიეტა.

ყველაზე მკაცრი და სასტიკი შენ გსურს რომ იყო?

ხმები.

— გათავდა ომი.—რალა ბევრი ვილაპარაკოთ. გათავდა.
— კვლავ მუშაობა გაჩაღდება.—ცხოვრება ისევ გამოცოცხლდება.
— ო, საწინელი შავი სიზმარი!

ტუანი.

ახლა კი ვფიქრობ, რომ სიმართლე გვაუწყეს იმათ.
მაშ აწი წრომას შეუდგება ახალგაზდობა?

მეოთხე ჯარისკაცი.

ნახავ, რა კარგად ვიმუშავებთ, ჩემო ბაბუა.

მარიეტა.

ო, ჩემო შვილო! ჩემო პირმშო! ახლა კი ალბად დამიბრუნდები!

(ფარდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე.

პირველი სურათი,

(პირველი მოქმედების დეკორაცია. განთიადი რუხი და ამღვრეული.

მარიეტა ჩუმად მისჯდომია ჩამქრალ კერას. ბავშვი უზის მაგიდას, წამოდგება, მიირბენს და იცქირება კარებში. გამობრუნდება, ისევ დაჯდება, ბოლოს კიბის საფეხურზე მოეწყობა.

მოქმედების დასაწყისში ანა-მარია ჩამოდის ჭერიდან, სადაც მას სძინავს დაჯდება კერას წინ ბებიას პირდაპირ.

სამივენი უსაქმოდ არიან და რაღაცას ელიან).

ლუი.

ხომ არა მძინავს?
მაშ რა იყო რომ დამესიზმრა'
თოვლს გადულია. მაგრამ ცა კი დაფარულია.
სქელი ღრუბლებით, და შავია იმგვარადაევე,
როგორც სულყველა ეს დღეები.
ყანაც იმგვარი გათოშილი და ცარიელი.
ჩვენც სამივენი იმგვარივე და ჩვენი სახლიც
სწორედ ისეთი, როგორც გუშინ...

ანა-მარია,

საბრალო ბავშვო! ამ ცაზე უფრო შავი არი ჩვენი ნაღველი.
და ეს იქნება მოგონება შენი ყრმობიდან.
საცოდავია ჩვენი დროის ბავშვები, ვინც სიკვდილს გადურჩა.
თქვენ მზის სხივებ ქვეშ როდი ეზრდებით,
არამედ ქარში, სიცივეში, მწუხარებაში,
დანაოჭებულ სახეებით, უფერულები,
როგორც ზამთარში შეშოსული გვიანი ხილი.

ლუი.

ახ, არა დედა!
მე წუხელ ვიყავ მხიარული და ბედნიერი
მეგონა მამა საცაარი შინ მოვიდოდა.
მაგრამ დილაზე რად დავლონდი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ვიცი. განა შენც და ბებიაც
დალონებული არა ხართ თუ?

ანა-მარია.

ჰო, რა იყო? რა დაგვესიზმრა? შეიძლება კი დაჯერება?
სიკვდილის შხამი დილიდანვე პირზე მაცხია.

ლუი.

როცა უეცრად გამელვიძა,
სინათლესავით გაანათა ჩემში იმან, რაც
ილაპარაკეს აქ წუხელი.
მაგრამ ისევე დამილონდა მაშინვე გული;
გავიფიქრე: ალბად ეს ყველაფერი
ამოვიკითხე მე წიგნიდან სასწავლებელში,
ანდა ეს მხოლოდ მე სიზმარში ვნახე წუხელი.
ეს ტყუილია.
ან ეგებ, დედა, მართალია სულყველაფერი,
ჯარისკაცებმა რაც გვაცნობეს?

ანა-მარია.

მე, ჩემო ლუი, მთელი ღამე არ დამეძინა,
არა, სიზმარი როდი არი ის, რაც აქ მოხდა.
ჯარისკაცები მოდიოდნენ წუხელი მართლაც,
და გვარწმუნებდენ, თითქოს ომი გათავდა უკვე.
ჩვენ ეს გვეგონა სხვანაირად თუ მოხდებოდა,
ლაპარაკობდენ: ხვალ ქვევანა აღსდგება მკვდრეთით,
დაივიწყებენ ომს ისე, ვით სისხლიან სიზმარს.
და მაინც კიდევ ყველაფერი ისევ დღესაც,
როგორაც იყო.

(სიჩუმე. სამივენი სხედან და ოცნებობენ, მოულოდნელად მოისმის მოვარდნილი ავტომობილის ქლოშინი. ჩერდება სახლის წინ. საყვირი. ბავშვი და დედა წამოვარდებიან, მაგრამ კარებისაკენ კი არ მიდიან, სადაც უკვე გახელებული სცემენ ხელებს. მოხუც ქალს თითქოს არაფერი ესმის).

ხმა გარედან.

არის აქ ვინმე?

(შესმოდის ტაღლახის მხეფებით გასერილი კაცი.

გახსნილი ფანჯრის ქვემოდან [illegible] აფიცრის
კუ[illegible]ტკა. სახე ნოხჩი და [illegible]

აფიცერი.

არის აქ ვინმე?
აბა, კეთილი! მაგიდა, სკამი, საწოლები.
ძალიან კარგი.
ჩვენ თქვენი სახლი დაგვჭირდება რამოდენიმე საათით მხოლოდ.
ეგებ ორი დღით, ან სამი დღით. მიიღებთ ქირას!
თქვენ კი ამ ვადით სადმე უნდა იშოვნოთ ბინა.

მარიეტა,

(აღგება).

სადა, ბატონო აფიცერო?
მთელ ამ კუთხეში ეს ჩვენი სახლი გადაურჩა დანგრევას მარტო.
და ყველა, ვინც კი ცოცხალია, ყოველ საღამოს
ჩვენთან გროვდება.

აფიცერი.

მე, ჩემო ბებო, პოლკოვნიკი ვარ,
ოლტ-დე-ლა სურდიერი.
ახლავე თქვენს სახლს დაიკავებს მთავარ სარდალი ა [illegible],
გენერალისიმუსი ბურბუზი.
და მისი შტაბი.

(ამ დროს წემოდის კიდევ ათიოდე აფიცერი.

ოლტ-დე-ლა სურდიერი.

ბატონო გენერალო,
რა ვქნათ. ამ ქოხში უნდა დავდგეთ.
სხვა ამის გარდა ახლო-მახლო არაფერია.

მარიეტა.

ბატონო გენერალო!
ორი ქალია აქ და კიდევ აი ეს ბავშვი, ჩემი პატარა შვილიშვილი.
საქონლიდანაც გადაგვირჩა ცოტა რამ, რაიც
ჩვენთვის ძალიან ძვირფასია.
და სად წავიდეთ, ხომ ამოვსწყდით ამ სიცივეში?
ასე არა სოქვეს გათავდეთ კიდევაც ომი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენერალისიმუსი ბურბუზი.

(მაღალი, სრული და მძიმე კაცი, წითელი, გულუბრიყვილო სახით, სრულიად მელოტი, თეთრი და სქელი ულვაშებით).

შენც მოგიტანეს ეს ამბავი, ჩემო ბებია?
ვინ, ვინ გახარა?
დავდებ თუ გინდათ სანაძლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად დაფიქრდით, ქვეყნის ბედი, მისი გამოხსნა ამ ჟამში მდგომარეობს.
განსაცდელშია თვითონ თქვენი თავისუფლება, დაფიქრდით კარგად-
რაო, სამი ხართ? მამაკაცი არავინა გყავთ?

მარიეტა.

სამნი ვართ მხოლოდ. მამაკაცი არა გვყავს.
აგერ ყუმბარამ ამ დღეებში ქმარი მომიკლა.
უკვე სამოცდახუთიანეტი წლის მოხუცი იყო.
ერთად ვცხოვრობდით ჩვენ ორმოცდაცამეტი წელი.
უმცროსი შვილი მოკლულია ორი წლის წინად.
პირველი შვილის შესახებ კი არა ვიცით რა.
ის ამ ყმაწვილის მამა არის.

გენერალისიმუსი ბურბუზი.

აჰა, მაშ ერთი დაგრჩენიათ ცოცხალი კიდევ.
ჩვენ დაგიბრუნებთ. და ამაში ხელის შეწყობას
ალბად თქვენაც არ დაიზარებთ.
მოეწყვეთ სადაც, როგორც იქნეს მოეწყვეთ, ბები.
აი იქ ადით, ზემოთ, ჭერზე. რა გიშავთ ორ დღეს.
ძალიან კარგი. ბატონებო, ღამის გათევა აქ მოგვიხდება ჩვენ ამალამ-
ეგები ხვალაც და, ვინ იცის, ხვალაც ვერ მოვრჩეთ.
ხოლო ქალები და პატარა მამული შვილი
მალლა ავლიან და იქ ტკბილად მოისვენებენ.
მაშ ასე. არა, ჩემო ბები?
საქმე ადვილად გამოეწყო.
ღამე მშვიდობის.

ოლტ-დე-ლა-სურდიერი.

ახლა კი, ბები, გთხოვთ მიბრძანდეთ, დაღლილები ვართ.
მხოლოდ ამალამ. ღამე მშვიდობის.

(მარიეტა, ანა—მარია და ლუი გადიან).

ოლტ-დე-ლა-სურდიერი.

ბატონო გენერალო,
გლეხებს არ ესმის საკუთარი ბედნიერება
და თქვენს მამობრივ მზრუნველობას ვერ იფერებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალისიმუსი ბურბუზი.

მაინც, ბატონო პოლკოვნიკო, რაღა გსურთ მათგან?

(გენერალისიმუსი ეწყობა ბებიას საკარძელში. შემოდიან ჯარისკაცები. ზოგიერთებს მათ შორის შემოაქვთ ქაღალდები რომლებსაც აფიცრის ბრძანებით კიბეზე ალაგებენ. სხვები შლიან სუფრას და აწყობენ ზედ საუზმეულობას. გენერალისიმუსი ანიშნებს პოლკოვნიკს).

გენერალისიმუსი ბურბუზი.

(ხმა დაბლა).

მიისხარით, ჩემო დე-ლა-სურდიერ, მითხარით,
არ შეიძლება ცოტა შეშა ვიშოვოთ სადმე?
ჰა? სცადეთ მაინც.

(ხმა მაღლა).

ბრრ!.. ჰმ! გენერალო დამფრანში.

(შემოდის გენერალი დამფრანში).

შემოიყვანეთ სანამ ვახშამს მოამზადებდენ,
შემოიყვანეთ ეგ ჯაშუში. და ის პარლამენტორი, რომ დაუჭერიათ.
ახ ბატონებო!
ბედნიერი ვარ, ბედნიერი, უნდა გამოვტყდე,
ამ ქოხში ყოფნით. სახურავ ქვეშ,
ჩალის მშვენიერ საკარძელში. უჰ!

სურათი მეოთხე

(მიტოვებული სამიკიტნოს დიდი დარბაზი. სილრმეში, შუაგულზე ამომტვრეული კარი. გარეთ მოსჩანს ყანები, თოვლიანი, ლობეებით დასერილი ვაკეები, აქა-იქ წვერგადამტვრეული ხეები. რამდენიმე დაქცეული შენობა. კარის ორივე მხრით პატარა ფანჯრები უჩარჩოთ. მარჯვენა ფანჯარა დაგრძელებული ფართო

ხახვლეტით კედელში. ტანსაცმელი მარჯვენა კედელში. ჭერი გამოხეულია. ეკლესიის ფანჯრები ჩამოკიდული.

მარჯვნივ სდგას ესტრადის მსგავსი სადგომი. უკან კედელში კარებმოხსნილი განჯინა, რომელშიდაც სდგანან ძველი, დამტვრეული ბოთლები, გრძელი სკამები, ტაბურეტკები ჩალის საჯდომით, რამდენიმე მაგიდა. განსაკუთრებით სიღრმეში მარცხენა კედლის პირდაპირ.

კედელზე ჭკიდია დაგლეჯილი აფიშები და ძველი გაბოხებული დროშა. სცენაზე რამდენიმე ჯარისკაცია ცალ-ცალკე და ჯგუფებად. ისინი სხედან სკამებზე და მაგიდებზე, მიჰყუდებიან კედელს, დასეირნობენ დარბაზში, მოდიან და მიდიან. სულ ახლები და ახლები ეპატაჟებიან).

ჯარისკაცი.

(ახალ ჯგუფს, რომელიც ეს არის შემოდის).

თქვენც აქ მოხველით?

ჯგუფი.

— უიმველია. ასეც უნდა.
— ჰო, აქ მოველით, ჩვენებიც ხომ სულ აქ არიან.
— ერთმანეთი რომ ვინახულოთ.
— უნდა ვიცოდეთ ყველაფერი, როგორ მოვიქცეთ, რა გავაკეთოთ.

პირველი ჯარისკაცი.

ვინ მოიწვია ჩვენი კრება?
თქვენ ხომ არ იცით?

ჯგუფი.

— არავინ და სულყველამ ვითქოს.
— განა ეს აზრი ყოველ ჩვენგანს არ ჰქონდა თავში?
— ნუ თუ ეს შენთვის საეჭვოა?

პირველი ჯარისკაცი.

რას ამბობს! მაგრამ ამ ამბავმა, მე მეშინია,
რაიმე ახალ ხათაბალას არ გადაგვკიდოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე ჯარისკაცი.

რა ხათაბალას?

პირველი ჯარისკაცი.

ძეობა წელი აქ ვაგდივარ, დასწყევლოს ღმერთმა,
რა არ ვნახე,
ვინ ჩამოსთვლის!

მეორე ჯარისკაცი.

მაგრამ ახლა ხომ სულ სხვა არი.

ხმები.

— ეჰ, ჩემო ძმაო, ჩვენც გვინახავს!
— ეს კი გინახავს, რომ რა გვიქნან ალარ იციან?
— შეხედე ერთი, რა ჰქნეს აბა თბრილებ გადალმა!
ცოტა ჩვენც გვმართებს დაფიქრება ამის შესახებ.
— ჩვენც და იმათაც!
— ჩვენ მათზე უფრო! დაინახავ!
— აი საბუთიც: ჩვენ აქ უკვე კრება მოვაწყვეთ.

პირველი ჯარისკაცი.

კეთილი, მაგრამ ამის შემდეგ რაღა იქნება?
ასე თუ ისე ბოლო მაინც უჩანდა.

რამდენიმე ხმა.

— როგორ, ნუ თუ შენ კიდევ გჯერა?
— ნუ თუ გიწევდენ შენ ანგარიშს ოდესმე მაინც?
— იცოდი რა დროს რას გიზამდენ?
— ჰო, ჰო, შენ მართლა აქ არა ხარ თავიდანვე!
— სთქვი, გაგაფ-თხილეს ერთხელ მაინც.
თუ სად იქნები შენ მეორე დღეს?
და კარგად იცი, რომ მთელი წლის განმავლობაში.
არ მოგიხდება ერთ ჭუჭყიან ორმოში ჯდომა?

პირველი ჯარისკაცი.

ღმერთმა დალახვროს მათი თავი,—ჰო, მართალია!
მაშ, სულ ტყუილი ლაყბობა არი.
რომ ჩვენ აქ ვითომც ფრთხილად უნდა გვეჭიროს თავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეელი.

ფრთხილად იყავი, რომ ანკესზე არ წამოეგო.
თქვენ ხომ გინახავთ ასეთები? — ზედ წამოეცმის.

(აქა-იქ იცინიან. შემდეგ სიჩუმე. დარბაზი ახლა თითქმის გატენილია. ჯარისკაცები კიდევ მოდიან).

ჯეელი.

სავა? სულ ეს იყო?
სხვას არას ვიტყვით ამის გარდა?

ხმები.

— დრო არის უკვე — სულყველანი აქა ვართ ახლა!
— უნდა დავფიქრდეთ, რა გავაკეთოთ.
— ჰო, სწორედ. სწორედ, რა გავაკეთოთ!
— ერთად ნუ ყვირით!
— რა გვსურს გავიგოთ! — ვიცით რაცა გვსურს!
— მაგრამ შეესძლებ კი ყველაფრის თქმას? — ძირს იჭვები!
— დაიწყოს, ვისაც შეუძლია!
— ვისაც წესრიგის დამყარება და ლაპარაკი შეუძლია!
— გუტოდიე! — ფავროლი!
— გუტოდიე! გუტოდიე! ფავროლი! ლერიუ!
— გუტოდიე! გუტოდიე!
— აბა შედექი, გუტოდიე! სხვები კი წყნარად!

(გუტოდიე მიდის სადგომთან, რომელიც ეხლა ტრიბუნად გადიქცეულა. ეს ის მოხუცი ჯარისკაცია, პირველ მოქმედებაში რომ ლაპარაკობდა).

გუტოდიე.

(ისმის კიდევ ხმაური, რომელიც სწყდება თანდათან. ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან მოსასმენად).

ხმა.

გაჩუმდით რაღა!

გუტოდიე.

ამხანაგებო,
არავის ჩვენგანს ამ კრებაზე არ მოუხმირვართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს დღეს საჭირო როდი იყო. თქვენც კარგად იცით,
რომ ყოველ ჩვენგანს ამ სურვილით უცემდა გული.
და თავის სულის გადარჩენას ვინც გაჰბედავდა,
დიდიხანია საკუთარ თავს ეტყოდა იგი:
— აჰა, ჩვენ აგერ. ჩვენ შევადგენთ უმრავლესობას.
ჩვენ ვართ ურიცხვი და ხელთა გვაქვს ჩვენ იარაღი.
თუ მოვისურვეთ, ვერ შეიძლებს ვერც ერთი ძალა
ჩვენს გამკლავებას. მაშ რისთვისღა უნდა ვითმინოთ
ეს ხოცვა-ჟლეტა და წამება ყოველდღიური?
თუ კი ჩვენ მტკიცე ერთიულად შევკავშირდებით,
ჩვენს ნებისყოფას ხომ ვერ გასტეხს ვერცერთი ზღუდე.
აი ეს აზრი თავში უჯდა სულყველას მაგრად.
მაგრამ საქმე აქ რაში იყო: ჩვენ ვერ ვბედავდით
უკან მოხედვას, რადგან ჩვენი სამშობლო მეტად
მძიმე ტკივილებს განიცდიდა. ჩვენი გულისთვის
ბევრი ნაღველი დაღია მან:—
ჩვენს უკან ეწყო დახოცილთა გვამების მთები.
ვიდოდენ დღენი. და რაც მეტი დრო გადიოდა
მით უფრო მეტი გაჭირვება გვხვდებოდა წილად.
აი სიმართლე. ჩვენ მივქროდით სიმართლისაკენ.
მაგრამ ჩვენ შორის
ისეთი გიჟი და თავხედი ვინ იქნებოდა,
რომ გაებედნა სიცოცხლის და სინათლისაკენ
ჩვენი ხელახლა მობრუნება?
ახლადმოსულნო, ჯეელებო, თქვენ მაშინავე
დანარჩენშები შეუმჩნევლად ითქვიფებოდით.
ჩვენ კი, მოხუცნი, მეტის მეტად ბევრსა ვხედავდით
და მეტის მეტად დავიტანჯეთ.
მაშ ვინღა დარჩა, ვის შესწევდა იმედის ძალა?
მხოლოდ მათ, ვინაც იქ ჩამსხდარა თხრილებ გადაღმა.
და რაც კი ჩვენ აქ ვერ გავბედეთ, ის შეასრულეს
ჩვენმა სასტიკმა მოძმეებმა საერთო ჭირში
მაშ, მეგობრებო, დღევანდელ დღეს, როდესაც იმათ
ბოლო მოუღეს ამ ურთიერთ, საზიზღარ ჟლეტას,
ჩვენ რაღა უყოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ დღეს ჩვენ?
დიახ, ეს კრება დღეს არავის მოუწვევია.
ყველამ ერთის ხმით, ყველამ ერთად წარმოვსთქვით ჩვენ აქ:
რა გვიქნია, გადავსწყვიტოთ — როგორ მოვიქცეთ?
უმრავლესობა ჩვენია ვართ და ჩვენ ვიხოცებით.
მაგრამ ჩვენ ყველას დავამარცხებთ, თუ მოვისურვებთ.
და აი ახლა ჩვენი ვგრძნობთ, რომ მთელ ქვეყანაზე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კეთდება რალაც საშინელად უხარისხარი,
რომელიც ყველა უბედურებს გულს გაუხარებს.
ხოლო იმათ კი, ვისაც მიხნად კაცობრიობის
განადგურება დაუსახავს, სომ არ ვეტაკოთ
ვით ცოცხალ მკლებს იბეკვენებიან ძალები ხოლმე?
ან გავაგრძელოთ წამება და თავის გაბწირვა
ცოლ-შვილს, დედ-მამას, ნათესავებს მოწყვეტილებმა?
ისევ გავეკრათ ჩვენ უკნობ გზას დაბრმავებული
და ყური უგდოთ ოცნო-ვერცხლზე ისისლის გამყიდველთ?
ან ვაბა უკვე დრო არ არის, რომ მოვითხოვოთ
ჩვენ ანგარიში იმის გამო, თუ რისთვისა ვართ
აქ და ან ამ გზას წამებისას საით მივყავართ?
აი, ეს არის ის, რაც ყველამ წარმოვსთქვით, ერთხმად.
აი სიმართლე. მე თქვენ შორის, ამხანაგებო,
ბევრი მიცნობენ მე გლეხი ვარ მოხუცებული
და მე ოჯახში ორი ვაჟი და ორი ქალი
მელოდებიან. მე იმათ რიცხვს ოდი ვეკუთვნი
ვინაც ყოველგან წინ ბიძვრება და ვისაცა სწამს
ჭეშმარიტებად უთავბოლო მიდებ-მოდება.
მიუხედავად ყოველივე ამისა მაინც
მე აქ პირველმა, როდესაც კი დამასახელეს,
ესთქვი ყველაფერი გულახდილად. მე არ შევწინდი:
ჩვენ მეტისნეტად დავიტანჯეთ. ახლა იმედი
იზრდება ჩვენში და გვასწავლის გაბედაობას.
ახლა ადგილი აქ ერთ ლაჩარს არ უნდა ჰქონდეს.
თქვენ ძმები გყავდათ, მოიგონეთ. იმდენი რამე
გვაქვს ჩვენ ნახული და იმდენი ვითმინეთ ერთად,
რომ უკვე დროა შევსისხლხორცდეთ ისე, ვით ძმები,
და ერთმანეთის სიყვარულით შევიკრათ მჭიდროდ.
აი, რაც მსურდა მეთქვა თქვენთვის ამხანაგებო.
მე გავათავე. დანარჩენი განაგრძონ სხვებმა.

(გუდოტიეს ყურს უგდებენ ღრმა სიჩუმეში. უკანასკნელ სიტყვებს ტაშით ხვდებიან. დაიშალნენ. ლაპარაკობენ ცალ-ცალკე.)

ხმები.

— ჰო, ეს ასეა!—სიმართლე იყო ყველაფერი.—ვაშა, გუტოდიე!
— ჩვენც ასე ვფიქრობთ.—მართალი სთქვა!—უნდა შევერთდეთ.
— რალა გაგვიძლებს, როდესაც ჩვენ შევკავშირდებით?
— დიახ, სულ ყველა მშრომელები ძმები არიან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამიერიდან არ მოვითმენთ ჩვენ დაჯაბნებას!
— უკვე დრო არის ყველაფერი ავსწორეთ-დავსწორნოთ.
— კმარა წამება, ძირს სისხლის ღვრა, გვეყოფა ომი!

ცალკე ხმა.

ძალიან კარგი, მაგრამ ახლა როგორ მოვიქცეთ?

მეორე ხმა.

ამხანაგებო, სათქმელი მაქვს, მოუფიქრეთ სიტყვა!

ხმები.

შედეგი, ფავროლ, სთქვი. სთქვი, ფავროლ!

ფავროლი.

(ეს იყო, სიტყვა რომ ითხოვა. ხმელი კაცი, გაბრწყინებული სახით. ის ლაპარაკობს ეფექტიურად, როგორც ორატორი. და იწყებს თანავრძნობას).

კარგად სთქვა ჩვენმა გუტოდიემ, ამხანაგებო.
მაგრამ ნეორე ამხანაგი ჩვენ გვეუბნება:
„ძალიან კარგი, მაგრამ ახლა როგორ მოვიქცეთ?"
და მისი კითხვა აქ სწორია, ამხანაგებო!

ხმები.

ჰო, მართალია! — სთქვი! — განაგრძე!

ფავროლი.

და აი, მე მაურს შევეკითხოთ თქვენ, თუ ისინი,
თხრილებ გადალმა რომ არიან, როგორ მოიქცენ,
როდესაც ტანჯვა აღემატება იმათ ძალ-ღონეს?
რითი დაიწყეს მაშინ იმათ?
არა იმითი, რომ ფეროსებს წაველეს ხელი?
შეჭამეს ისინი, შორს ისროლეს და ერთი შეკერა
გამოგვივზავნეს ჩვენ საჭმელად?

გუდოტიე.

ეგ ტყუილია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმები.

— სწორეა!—არა. ტყუილია!—სწორეა, სწორე!

ჯარისკაცი.

(ოფიცერიც ეს არის ახლა მოვიდა).
მართალი გითხრათ თქვენ ფავროლმა,—ეს დადასტურდა.
ჯერ ხმა გავრცელდა და ახლა კი ნამდვილად ვიცით.
ჩვენ ვნახეთ იგი და თქვენც იჭვი ამის შესახებ ნულარ გექნებათ.
ამხანაგებო, ვნახეთ მათი იმპერატორი.
აი სულ ახლა ჩვენ თხრილებთან მოგვგვარეს იგი.

(განცვიფრების ხმები, შემდეგ ღრმა სიჩუმე)

ჯარისკაცი.

აი ახლავე მას ფერმაში წარმოადგენენ,
მთავარსარდალი სადაც არის. მე დავინახე.
რომ გაიარა ფერწასული, უსისხლო სახე.
ტანი მორჩილი. სურათებში, კი სულ სხვა არი.
ის იმზირება, როგორც მკვდარი.

ხმები.

ჩვენ ვნახეთ, ვნახეთ! ჰო, დავინახეთ!

(სიჩუმე).

ხმა.

მაშ, ეს ამბავი მართალია. ახლა კი წყერა.
ახლა კი წყერა, რომ ჩვენს ტანჯვას მოელო ბოლო.

მეორე ხმა.

ამხანაგებო, მაშ თამამად. გაერთიანდით!

ფავროლი.

ხომ გითხარით, ამხანაგებო!
იქ არ შემცდარან, თხრილებს იქით. მიმხვდარან ველად,
დასაწყისშივე თუ ვის უნდა მოელოს ბოლო.
მაგრამ ეს რომ არ ჩაედინათ?
აბა მითხარით, ჩვენ რითა ვართ მათზე ნაკლები?
არაფრითაო? მაშ, მითხარით, რაშია საქმე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კი მათ შესძლეს, ჩვენცა ვსცადოთ—ჩვენც შევსძლოთ ეგეც.

(ყვირილი, ტაში, რამდენიმე პროტესტი).

ფავროლი

მე ვამბობ ამას, მეგობრებო, და რასაც ვამბობ
არ მეშინია მე იმისი, თუმც ეს სიტყვები
არც ისე წყნარი გალობაა, ვით, მაგალითად:
„ჩვენ შევიკრიბეთ, რომ ვიმსჯელოთ, ვიმუსაიფოთ,
მოდი, ცხვრებივით შევქუჩდეთ და გავჩერდეთ ისე“.
არა, უფრო შორს წამიყვანენ ჩემი სიტყვები.
რაღა დავფიცოთ? ჩვენ დაფიცვა ვერას გვიშველის.
მე ვამბობ: ვიდრე უფროსები თავზე გვადგიან,
ვიდრე ჯაჭვებით არ დაგვიბამს ჩვენი ძალლები,
მანამდე თქვენ აქ, რამდენიც არ უნდა იმსჯელოთ,—
ო, ნუ თუ ჯერაც თქვენს უფროსებს არ იცნობთ კარგად?—
სულ უმწეონი, სულ მონები იქნებით ისევ.
სულ ასეთივე ცხვრების ფარა, როგორიც ახლა,
გამოსადეგი მარტოდენ სასაკლაოსთვის.

(ახალი აპლოდისმენტები, რომლებიც ჰფარავენ საპროტესტო ხმებს).

ფავროლი.

რაო? სიმართლეს გეუბნებით, რა საჭიროა
მიკიბ-მოკიბვა უთაური? ხომ ხედავთ სხვებმა
უკვე თავიდან მოიშორეს პარაზიტები.
კარგია, მაგრამ კიდევ უკეთ შეიძლებოდა
ამის მოწყობა. თქვენ ხომ იცით, ამხანაგებო,
ვინ არის ახლა ყარაული უეროგულესი,
ვინ გვიდარაჯებს ხუთი წელი ჩვენ აქ ბეჯითად?
— მიწა! ჰო, მიწა! შავი ორმო, რომელშიც ჰყრიან
გატიტვლებულ მკვდრებს. რაო, რაო' მანდ ვინ ბურტყუნებს?
თვითონ რომ მოხვდეს სამარეში, ის ურჩევნია?
დადგა ჩვენი დრო, ერთადერთი საათი, რომლის
განმეორება აოასოდეს აღარ მოხდება:
დაგვიანება ამ შემთხვევას დაგვაკარგვინებს.
ლაჩრებს სურს თავის დაღუპვა და ჩვენაც გვღუპავენ.
არ ებრალებით თქვენ იმათ და არცა გზოგავენ.
მალე, საჩქაროდ ჩვენს უფროსებს წაველოთ ხელი,
ვიდრე ისინი გონს მოვლენ და განმტკიცდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ძვირფას ტყავებს ნურეის ვანდობთ შესანახად
დაუყოვნებლივ, ამ წამშივე ერთი მოქნევით
უნდა გავსრისოთ მთლად იმათი ბინძური თესლი.
შური ვიძიოთ — დე მოიმკან ის, რაც დასთესეს!
ზეუბრალებლად, დაუნდობლად ვიძიოთ შური!

(საშინელი ხმაური, რომელშიდაც ამ შემთხვევაში პროტესტები სჭარბობენ).

ხმები.

— საქმე იმაში კი არ არის. — სიმართლეს ამბობს!
— როგორ, მხეცები ხომ არა ვართ?!
— მათი ბრძანებით ვყლეტთ ერთმანეთს! — თვითონ ჩვენც გვხვრეტენ!
— მაგრამ თვითონ კი? — სხედან ზურგში და სტენიან ბომბებს.
— მოგვეცით ზავი! — მოგვეცით ჩვენი უფლებები!
— ამოიწურა საბოლოდ ჩვენი სიბრაზე
და აღარა გვსურს ხოცვა-ყლეტა ამიერიდან.

ხმა.

მაგრამ რა იყო, ჩემო ფავროლ, რომ შენ, როდესაც
შიკრიკად იდექ კაპიტანთან, უფრო მოჰგავდი
ყურმოჭრილ ძონას, ვიდრე მებრძოლს და მეამბოხეს?

(ხელახალი ახმაურება. ოფიცრის სასაუბროლოდ და საწინააღმდეგოდ ვინება და შეჭარა).

ფავროლი.

შეურაცხყოფას მაყენებენ მე აქ, ხომ გესმით.
მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლე ვილაპარაკე.
და მაინც კიდევ მე გავბედავ...

ჯარისკაცი.

ზეურაცხყოფას შენ სრულებით არ გაყენებენ.
მაგრამ, იცოდე, შენისთანებს, არ უჯერიან.
ამას მე პირში გეუბნები დამშვიდებულად.

სხვები,

არა, გენდობით! თქვენ ლაჩრები ხართ, მყვირალები!

ფავროლი.

ამხანაგებო, გავანებოთ ჩვენ ამას თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულყველაფერი ითქვა უკვე, რაც უნდა გვეთქვა.
თქვენი ნებაა, თუ არ გინდოდათ თავის სიკეთე.
მაგრამ შემდეგ არ იწუწუნოთ. ის, რაც გითხარით
საკმაო არის, მე მგონია.

(ეს სიტყვები ირევა ხმაურსა და ყვირილში
რომელიც თანდათან იზრდება).

გუტოდიე,

მაშ ასე, არა? თურმე მისთვის შევყრილვართ ჩვენ, რომ
შეურაცხყოფა მიეყენოთ ერთი მეორეს!
ვაი სირცხვილო! ჩვენ წავაგავთ გარეულ მხეცებს,
დამშეულები ერთმანეთს რომ დაებღღენებიან.
სხვა არაფერი შეგვიძლია.
არც არის ვინმე—წინ წაგვიძღვეს და გზა გვასწავლოს.
არავინ არის ისეთი, რომ გველაპარაკოს
და ყურის გდებას შევვაჩვიოს.

ლედრიუ.

(ავარდება ტრიბუნაზე. ეს სულ ახალგაზდა
ჯარისკაცია, რომელიც მეოთხეთ ლაპარაკობდა
პირველ მოქმედებაში. ჯერ მკვაბეთ ლაპარაკობს,
მაგრამ მალე იპკრობს მსმენელთა ყურადღებას და
განაგრძობს ალფრთოვანებით, თუმცა მშვიდად
და გარკვეულად).

ჩუმად, მონებო!
შენ მართალი გვიჯოდე, ფავროლ.
გააძვრეთ ტყავი, რალას უცდით? ეტაკეთ ყელში.
მაგრამ ეს არის გამარჯვება. ეს არის საქმე,
რომ მტრის ლეშებთან ჩვენ ერთმანეთს დაუწყოთ ჭამა?
თქვენ ხართ მონებზე უარესი!
თქვენ სიძულვილსაც კი არა გრძნობთ ბატონთა მიმართ.
ვმუშაობთ მათთვის.
გვძულს ერთმანეთი, გვეჯაერება ჩვენივე ძალა,
და ეს ძალა კი ხომ უთუოდ ბინადრობს ჩვენში.
ჩვენ ვგრძნობთ ამ ძალას, ვლაპარაკობთ იმის შესახებ.
ამხანაგებო, ნუ თუ უნდა დაველუპოთ ივი?
ნუ თუ ჩვენ ახლაც, ამ დიდებულ, გადამწყვეტ დროსაც
ვერ გაუძლებთ და დავეცემით დამარცხებული?
შენ მე საეჭვოდ არ მინაჩნდი არასდროს, ფავროლ,
მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც შენ აგიხირდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვით ისინიც ვერაფერში იჭვს ვერ დაგდებენ,
ბინძურ ტალახში სადაც წლობით ჩვენ ვიხრწნებოდით,
გამოუცდია ყოველ ჩვენგანს, როგორც სიმტკიცის,
ისე მოტეხის და დაცემის წუთები მძიმე.
ვერავინ იტყვის: მე უმწიკველოდ მეჭირა თავი.
მაგრამ დღეს ყველა ჩვენ განვიცდით აღორძინებას.
ყველას გვაერთებს მოლოდინი უდიადესი
და აქ ლაჩარი ვერ გაბედავს შამოდგას ფეხი.
მე თქვენ ამ სიტყვებს გეუბნებით მოფიქრებულად.
ყველას, ვინაც აქ იმყოფებით, გენდობით გულით,
მე ღრმად მწამს ჩვენი ურთიერთი ამხანაგობა,
ძმური კავშირი, გამტანობა და სიყვარული.

მრავალი ხმები.

— ლედრიუ, ვაშა! — ყოჩაღ, შვილო!
— ჭეშმარიტად ძმები ვართ ყველა.
— აი სიმართლე.—მართალი სთქვა.
— ყველა შენთან მოვდივართ, შვილო!
— რა გავაკეთოთ, სთქვი, გვითხარი რა გავაკეთოთ!

ლედრიუ.

ფავროლ, შენ წელან მართალი სთქვი, ჩვენმა საათმა
დაჭკრა და იგი არასოდეს განმეორდება.
ვიდრე ჩვენია ეს საათი—ჩვენშია ძალა.
დღეს ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებს, ამხანაგებო.
ამხანაგებო, დღეს ჩვენ თვითონ ვართ ბატონები,
მაგრამ ეს ძალა, რომელიც დღეს ჩვენ გვამოძრავებს,
თვით აღტაცებით და უშიშრად უნდა შევიგნოთ.
თუმცა ეს კიდევ არ კმარა: რომ გავიმარჯვოთ,
საჭირო არის ამისათვის თავბრუდასხმული
ჩვენ ჩვენის ძალით რომ არ ვიქნეთ, არამედ ცივად
უნდა შეგვეძლოს ჩვენ იმისი აწონ-დაწონა,
და ზედმიწევნით გამორკვევა მისი საზღვრების.
ამხანაგებო, ჩამორეკა ჩვენმა საათმა,
ახლა ჩვენა ვართ ბატონები.
და უფროსები თავის ხმლებით და პაგონებით
რალა არიან ჩვენი ბნელი, უზარმაზარი
ძალის წინაშე?
მაგრამ თქვენ მაინც მოიგონეთ და დაიხსომეთ,
რომ იქ, ჩვენს ზურგში, არის კიდევ მეორე ძალა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფრო დიდი და უფრო ბნელი—სამშობლო ჩვენი
ის ჩვენ არ გვიცნობს, იგი ჩვენგან მოწყვეტილია.

ხმები ერთ-ერთი ჯგუფიდან.

ძირს ზურგის ხალხი!—ძირს ჯიბეებ გასქელებულნი,
ეს ომი ჩვენი ტყავებიდან ვინაც შეხანხლა!
— ნუ თუ შესძლებენ გამკლავებას ისინი ჩვენთან?

ლედრიუ.

მათთან შემდეგში გავასწორებთ ანგარიშს მხოლოდ,
და დღეს კი ჩვენთვის უმთავრესი აი რა არის:
მეტად დიდია მათი ძალა,
ყველაფრის შემძლე და უტეხი ისე, ვით ჩვენი.
მსხვერპლნი არიან ისინიც ხომ იმავე ძალის,
იმ ჯოჯოხეთის, რომელიც ჩვენ გვაწამებს ასე.
და ისე, როგორც მათ უჩვენოდ არ ეშველება,
ვერც არაფერი ჩვენ გვიშველის იმათ გარეშე.
არა, ნუ გახდით საკამათოდ თქვენ ამ სიმართლეს:
უერთმანეთოდ ჩვენ უთუოდ დავიღუპებით.
და მართლაც, აბა მოიგონეთ, ვინ სხედან ზურგში?
ჩვენი ბებრები არიან იქ დაბრმავებული
ცრემლებითა და სიცრუეთი, ჩვენი ქალები
შავი ზრუნვით და მოლოდინით ჯვარზე გაკრული,
გამომწყვდეული ქარხნებში, სადაც სიკვდილი
თავზე ადგია მათ დარაჯად, იქ არის თქვენი
ახალგაზდობა, თმაჭაღარა ამხანაგებო,
რომელსაც ხვალვე თქვენ მხარ და მხარ დაგიყენებენ
და მათი ლეშით გაავსებენ სიკვდილის ორმოს,
ხოლო დღეს კი მათ ქუჩები და სახელოსნონი,
ვით მშიერ ძაღლებს, ამ ხუთი წლის ბინძურ ტალახით
ასაზრდოებენ. თქვენ არ იცით რა არის ზურგი!
აი, ესენი, ჩვენისთანა გლეხები აგერ,
ბებრუხანები, ტირილი რომ დაიწყეს გუშინ,
როდესაც ზავი გაიგონეს; და სხვები ყველა,
ვინაც აქ ოფლში იწურება, შრომობს და წვალობს
ყოველგვარ იმედ მოკლებული, განა ესენი
თვით ჩვენ არა ვართ, განუყრელი მათი ნაწილი?
ერთი სული ვართ, ერთი ხორცი ჩვენდა ისინი.
და ნუ თუ იმ დროს, როცა იმათ ძმებად დაგვსახეს,
ჩვენ თავს დავატეხთ მათ რისხვას და საშინელებას?

ნუ თუ ჩვენ იმათ დავერევით, როგორც მთვრალეები
და მაშინ, როცა გამარჯვება მოგვადგა კარზე,
ჩვენს წინ სიძულვილს, ბოროტებას და შხამს დავთესავთ?
ამხანაგებო, მართალი სთქვა ფავროლმა წელან.
ჩვენ აქ არცერთმა არ ვიცით თუ ხვალ რა მოგველის,
რა საკითხები დაისმება ხვალ ჩვენს წინაშე,
რა გასაჭირი დაგვაწვება კისერზე ტვირთად.
ყოველ დღეს თავის საზრუნავი ახასიათებს.
სწორედ ის არის ლირსეული ადამიანი,
ვინაც მომენტის სიმაღლეზე სდგას ყოველ საათს.
არაფერია არც წარსული, არც მომავალი.
დღევანდელი დღე—აი ის, რაც მოითხოვს პასუხს.
აწმყოთი უნდა ვსულდგმულობდეთ. მასთან ვიდოდეთ.
ულაან დაღლილი არ ჩამოვრჩეთ. არც წინ გაესწროთ.
ამხანაგებო, საშინელი ხუთი წლის ძმებო,
ტყუილი არის, რომ მიწაა კარგი დარაჯი,
რომ სისწორეა კაცისაგან სიკვდილი კაცის.
მოწმედ მოვიხმობ ჩვენი ძმების მილიონ გვამებს,
ვისი სულებიც ჩვენს არსებას რისხვით ანთებენ.
გვეყოფა ხოცვა! დიდებული ჩვენი საათი
ნუ გაისვრება, მეგობრებო, ახალი სისხლით!
როგორ? დავხოცოთ უფროსები, რომლებიც ახლა
ჩვენ ხელთ არიან! რას იტყვიან აქ ეს გლეხები,
და ქალაქები იქ, ჩვენს ზურგში, ამის შესახებ?
განა ისინი ჩვენ ჯალათებს არ დაგვარქმევენ
და ჩვენს წინაშე კედელივით არ აღსდგებიან?
მოკვლა—ეს ეჭვის შეტანაა ჩვენს სიმართლეში.
მოკვლა—ეს არის ჩვენი ძალის არ დაჯერება.
მე ჯერ არ ვიცი ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს,
მაგრამ, მე ვფიქრობ, დალვრილია საკმაო სისხლი,
რომ გავაკეთოთ ის, რაც უნდა გაკეთდეს ჩვენგან.
და, როცა დგება განთიადი ჩვენი ძალების,
მაშინ, როცა ჩვენ მბრძანებლებად ვიქეცით მართლაც,
ამხანაგებო, ნუ დავანთებთ სიკვდილის კოცონს!
ჩვენ ახლები ვართ. არ გვინდა მოვკლათ!
ჩვენ ახლები ვართ. არ გვინდა მოვკვდეთ!
ჩვენ ახლები ვართ. ჩვენ ვებრძვით სიკვდილს!
ჩვენ გვსურს სიცოცხლე, ჩვენ მხარს უჭერთ თავისუფლებას!

(აპლოდისმენტები).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს აკ ხმამაღლა უნდა ითქვას, ამხანაგებო.
და, როგორც იმათ, ვისაც ჩვენთან ერთად სწყურია
თავისუფლება და სიცოცხლე, აგრეთვე იმათ,
ვისაც სიკვდილი ენატრება, უნდა ესმოდეს
ეს ხმა,—მარტივი და ძლიერი ისეთნაირად,
რომ გაიგონოს და გაიგოს მთელმა ქვეყანამ.
მაშ წინ, ამხანაგებო!
კაცობრიობის საათმა დაჰკრა!
ყველა, ვინც ზავის მხარეზეა, ყველანი, ვინაც
შრომას მხარს უჭერს, წამოდეგით, ამხედრდით ყველა!

(აპლოდისმენტები და ყიჟინა)

ფავროლი.

ეს ყველაფერი კეთილი, მაგრამ
წინადადებას როგორს იძლევი?

ხმები.

— მიეცი ნება გაათავოს!—გვეტყვის ყველაფერს:
— სიტყვა შენია!—ილაპარაკე!
— შენ შემდეგ! ილაპარაკე, ლედრიუ!

ლედრიუ.

ამოირჩიეთ თქვენი წრიდან პირები აქვე
გამოცდილი და საიმედო; მე ვიძლევი წინადადებას,
რომ თითო კაცი ავირჩიოთ ასეულიდან.
იმათ განსაჯონ ყოველივე და მოგვახსენონ.
თუ მოვიწონებთ, მაშინ ჩვენი დელეგაცია
გაემგზავრება, არა მისთვის, რომ მოწყალება ითხოვოს ჩვენთვის,
არამედ ჩვენი პირობები, რომ წარადგინოს.
და ამის შემდეგ ტელეგრაფი და რკინის გზები
ჩვენს ხელში უნდა გადმოვიდეს.
ყოველ კუთხეში გაიგზავნოს მოწოდებები.
დაიყონებლივ, უსათუოდ...

(უკანასკნელ სიტყვებთან ერთად ეცემა ფარდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი მესამე.

(მარიეტას ფერმა. ბებიის საკარძელში ფართოდ გაშლილი გენერალისიმუსი ბურბუზი ჩუმად ეწევა ლამაზ ჩიბუხს, შეშით გაჩალებული ბუხრის წინ. მის უკან ფსიტყვოდ სდგას პოლკოვნიკი ოლტ-დე-ლა-სურდიერი).

გენ. ბურბუზი.

საძაგელია.

ოლტ-დე-ლა-სურდიერი.

ბატონო გენერალო.

გენ. ბურბუზი.

საძაგელი თუთუნია. ყოვლად საზიზღარი. ბრრ... ბრრ... ჰმ!.

ოლტ-დე-ლა-სურდიერი.

ბატონო გენარალო

(სიჩუმე. გენ. ბურბუზი გამოჰყრის ჩიბუხიდან ნაცარს და მზრუნველობით დაუწყებს მას წმენდას. გენერალი დამფრანში ფეხაკრეფით შემოდის და რალაცას ანიშნებს პოლკოვნიკს. რამდენიმე წამს ისინი ჩურჩულით თათბირობენ).

ოლტ-დე-ლა-სურდიერი.

ბატონო გენერალო!
ბატონო გენერალო!
გენერალი დამფრანში.

(გენ. ბურბუზი მობრუნდება ნახევრად და ამთქნარებს).

გენ. ბურბუზი.

ჰმ... ჰმ...
ოჰ, გენერალო! მობრძანდით... ცხელა თუ არა? ჰა'

გენერალი დამფრანში.

(აძლევს სალამს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო გენერალო, მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.
მაგრამ მე უნდა მოგახსენოთ დაუყოვნებლივ
ამბები მეტად სამწუხარო, რომელთაც ძალუძთ
ფრიად სამძიმო შედეგები რომ მოგვიტანონ.
ჯარის კაცებში, ეწევიან აგიტაციას.
ყველა სამხედრო ნაწილებში.
მაგრამ ეს კიდევ აჯანყება არ არის. არსად
ჯერეთ ადგილი ძალადობას არა ჰქონია.
ეს არის ძალა იდუმალი, დამშვიდებული,
თითქოს დაუსხლტენ ჩვენს გავლენას ისინი უცბად.
მე ცნობები მაქვს,
რომ მათ სდომიათ ერთმანეთთან შეკავშირება.

გენ. ბურბუზი.

(გენერლის სიტყვების დროს ის მიუბრუნდება ბუხარს, ითბობს და ისრესავს ხელებს ცეცხლზე. უკანასკნელი სიტყვების მოსმენაზე ის გულკეთილად იცინის).

ახ, გენერალო, ინფორმაცია მოიკოჭლებს ცოტა არ იყოს!
კმაყოფილია ჩემი ჯარი სულყველაფერით,
კმაყოფილია გეფიცებით. ეგებ აქა-იქ
ჯარისკაცები ცულლუტობენ. რა უყოთ მერე?
ისინი მხოლოდ ერთობიან და ჩვენც ამ ამბავს
როგორმე თვალი გვერდზე უნდა ავავლოთ. არა?
ცოტა ლაგამი მოუწიოთ. გამარჯვებულ ჯარს
რევოლიუცია არასოდეს არა სჩვევია.
დამშვიდებული ბრძანდებოდეთ!
კარგი დღე არის, გენერალო, დღეს, კარგი დღეა!
გამარჯვების დღე. გამარჯვება! ახ, გენერალო!
— რა ამბავია იქ, შეხედეთ, რა ამბავია?

(კარები სწრაფად გაიღება და დარბაზში ვიღაც პატარა კაცს შემოაგდებენ ჯარისკაცები, რომლებიც მაშინვე ჰქრებიან. პატარა კაცი მიდის წინ მოკლე ნაბიჯით, ხანდახან სულ შეჩერდება. მას ტანთ აცვია უცხო სამხედრო ფორმა, თავზე აბურავს კეპი, რომელიც თავის გრძელი წინა ნაწილით მას თვალებს უფარავს. გამხდარი, ავადმყოფური თავი ღრმად აქვს ჩამჯდარი მხრებ შორის, სადაც ის ხან ჩაძვრება, ხანაც ნელა და ფრთხილად ამოიწევა ისე, როგორც კუს თავი. გენ. ბურბუზი

სწრაფად წამოხტება, გასწორდება [illegible] ეფეთბირება ოფიცრებს თვალით ერთსა [illegible] დაჯერებულით და მოუსვენარით. შემდეგ მიდის შემოსულისაკენ, მოიხდის კეპს, მდაბლად თავს დაუკრავს, ისევ დაიხურავს კეპს და აძლევს სამხედრო სალამს. ოფიცრები საჩქაროდ ჰბაძავენ მას. შემოსული უცბად გაჩერდება რამდენიმე ნაბიჯზე მათ წინ და ათვალიერებს მათ კეპის ქვემოდან ულიტ-ყეოდ).

გენ. ბურბუზი.

ბრ... ჰმ... ბრ... ჰნ...
თქვე... თქვე... თქვენო უდი...უდიდებულესობავ.
რა... რა... რა პატივია, ეს ჩვენთვის, მთელი არმიისთვის და ჩემთვის პირადად.
ჰნ... მე არა ვარ ორატორი, თქვენო უდიდებულესობავ, მე ვარ ჯარისკაცი, ჯარისკაცი მხოლოდ.
ჰმ... ბრ... ჰმ;..
თქვენო უდიდებულესობავ. უდი... ჩემი სახელით,
მთელი არმია, მთელი მხარე მოგესალმებათ.
თქვენო უდიდებულესობავ, თვით გასაჭირშიც უდიდესო გმირო.

მისი უდიდებულესობა.

(იმპერატორი იცინის. ის ლაპარაკობს მკვეთრი ხმით, პაუზებით, რომელთა განმავლობაში იგი ითვალისწინებს და სწონის თავის სიტყვების ეფექტს, დროგამოშვებით ის მოკლედ და მკვახედ ჩაიცინებს).

გასაჭირში? ჰო, რა თქმა უნდა.
მადლობელი ვარ, ბატონებო, მოგესალმებით.

(სიჩუმე).

გენ. ბურბუზი,

თქვენო უდიდებულესობავ... მოგესალმები. ნება მომეცით, დიახ, ნება მომეცით...
ჩვენი ვალია, ჩემი ვალი...
მე ვფიქრობ...
თქვენ... თქვე... თქვენო უდიდებულესობავ. ხომ არ დაიღალეთ?
მგზა.. მგზავრობაში და ამ... ამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკო, მოართვით საგარძელი
მათ, მათ უდიდებულესობას..! აი ასე. გმადლობთ.
თქვენო უდიდებულესობავ, ეგებ გნებავდეთ?

(იმპერატორი ჯდება, დანარჩენები ფეხზე სდგანან მის გარშემო).

გენ. ბურბუზი.

თქვენო უდიდებულებავ, ჩემი ვალია, ჩემი ვალი...
ხომ არ დალლილხართ მგზავრობაში, თქვენო უდიდებულესობავ, ძალიან ხომ არ დაქანცულხართ?

მისი უდიდებულესობა.

(იცინის).

ცოტა არ იყოს მოულოდნელად. ცოტა არ იყოს დიდხანს, ბატონებო.
ოცი საათი ბორკილებში.

(ამ სიტყვებთან ერთად იმპერატორი იხსნის პლაშჩის ზედა ნაწილს, ბეჭთან მოუჩანს თეთრეულის ნაფლეთები. გატიტვლებულ ხელზე ის უჩვენებს ჩალურჯებულ ადგილს—ბორკილების მიერ დატოვებულ კვალს. შემდეგ იცინის).

ორივე ხელზე, ბატონებო.
და ფეხებზედაც, ორივეზე.
ხალხი ლომივით გაბედული, თქვენ იტყვით, არა?

(ის მოიხდის კეპს და უჩვენებს ბუჩუყიანი ხელსახოცით ცუდათ შეხვეულ თავს).

ქვით გატეხილი.
ასე მთელ ტანზე, ბატონებო. და კიდევ ჯოხით.

გენ. ბურბუზი.

თქვენო უდიდებულესობავ,
ეგ, იმედი მაქვს, ჩვენს არმიას როდი უქნია.

მისი უდიდებულესობა.

არა, დამშვიდდით.

(იმპერატორი იცინის).

დამშვიდდით ერთი წუთს.
თქვენს ჯარებს ცუდი არაფერი უქნიათ ჩემთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე,
როცა თქვენს ჯარებს მე გადამცეს ჩემმა ჯარებმა.

(სიჩუმე).

გენ. ბურბუზი.

თუ ეს ასეა, თქვენო უდიდებულესობავ,
მაშინ ეს თქვენთვის რამდენიმედ უმჯობესია
თუ ეს ასეა... ჩემი ვალი... მე შევიქნები...
იძულებული... რომ... რომ...

მისი უდიდებულესობა.

დამაპატიმროთ?

გენ. ბურბუზი.

დიახ, დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, სრულ სიმართლეს ბრძანებთ.
თქვენ გესმით, რა თქმა უნდა, თქვენ გაიგებთ.

მისი უდიდებუდესობა.

მდგომარეობა ჩემი უკვე ავსწონ-დავსწონე.
გამოსავალი უკეთესი ჩემთვის არ არის.
უეჭველია, მე თქვენს ხელში არ მელის საფრთხე.

(სიჩუმე).

მაგრამ ეს თქვენთვის ხელსაყრელი როდი იქნება.
თქვენთვის, ბატონებო.
არ მეთანხმებით თქვენ, ბატონო მთავარსარდალო?
მაგრამ ეს მაინც ასე არის. აბა შეხედეთ!
მე თქვენი ტყვე ვარ. ხომ ასეა? თქვენ მე მიხსენით.
მაგრამ თუ კი მე თქვენი ტყვე ვარ,
მაშინ თქვენ უკვე, ბატონებო, გამარჯვებულნი
ალარ ყოფილხართ. გამარჯვება არ შეიძლება.
ვიზე იმარჯვებთ, როდესაც თქვენს მოპირდაპირეს
არც მეთაური, არც მთავრობა არ გააჩნია.
ახლა ჩვენში არის...
თქვენც კარგად იცით, თუ სახელად რაც ეწოდება
იმას, რაც ახლა ჩვენში ხდება.

(ის უჩვენებს თავის ხელს და შეხეულ თავს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე როდი მინდა აქ, ჩვენ შორის, ამ საშინელი
სიტყვის წარმოთქმა.
მაგრამ ვინ არის ახლა თქვენი მოპირდაპირე?
მხოლოდ ხალხი და სხვა არავინ, ახ, ბატონებო.
მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ხალხი! ჩემი გლეხები
ჩემი მუშები, ჩემი ჯარი, მთლად ჩემი ხალხი,
რომლის დაძლევა თქვენ აწ უკვე არ გეღირსებათ,
რომლის დაძლევა არაფრის გზით აღარ მოხდება.
(სიჩუმე).

ხომ კარგად გესმით, ბატონებო, ჩემი სიტყვები?
მათ სურვილი აქვთ, ჭეშმოდ რომ მოეწყონ ახლა.
და თქვენ—მთავრობამ—
აბა, მითხარით, რა უნდა ჰქმნათ მათ წინააღმდეგ?

გერ. ბურბუზი.

თქვე... თქვე... თქვენო—უდიდებულესობავ.
მოულოდნელი, უეცარი,—ხომ ბატონებო?—
მოულოდნელი არის ჩვენთვის ის, რაც გვიამბეთ.
აგიტაცია იქნებოდა ამის მიზეზი.
აგიტაცია, სამარცხვინო აგიტაცია.
ვინ მოელოდა, ბატონებო, ამნაირ ამბავს?
პოლიტიკოსი არ გახლავართ, მე ვარ მხედარი.
ბრ... ჰმ... ბრ... ჰმ... როგორ მოვიქცეთ?
თუ კი, თუ კი იქ თქვენი თავი არა სურთ, მაწინ
ჩვენ თქვენი უკან გაბრუნება არ შეგვიძლია.

მისი უდიდებულესობა.

სიმართლე არის, რასაც ამბობთ, მთავარსარდალო:
საქმე ამითი მაინც აღარ გამოსწორდება.
ძალა-უფლებას საბოლოოდ ვარ მოწყვეტილი,
აბსოლუტურად, სამუდამოდ. თქვენ გესმით კარგად,
რომ თქვენ სცდილობდით ამ ომის დროს ჩემს დამარცხებას.
მე საჭირო ვარ იმისთვის, რომ თქვენ გაიმარჯვოთ.
მაგრამ თქვენს ჯარში კი, ბატონო მთავარსარდალო,
თავის რიგზეა ყველაფერი? თქვენი საშობლო
კმაყოფილია სავსებით ამ ხუთი წლის ომით?

გენ. ბურბუზი.

(დაფანტული ხან ერთ აფიცერზე აცეცებს
თვალებს, ხან მეორეზე).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრ... ჰმ... თქვენო უდიდებულესობავ... ბრ. ჰმ .. ბრ... ჰმ... ბრ... ჰმ...

მისი უდიდებულესობა.

დიახ, ბატონებო.
თქვენ მახვდით ახლა, რაც გითხარით, ნე ეგრძნობ, რომ მიხვდით.
არავითარი გამარჯვება არ შეიძლება.
თქვენ რა სთქვით? სენი გადამდები, დიახ, სენია.
მაგრამ არც თუ მთლად დალუპული ვგონია საქმე.
ნე იმედი მაქვს, იმედი მაქვს...
თორემ როგორც თქვენ, მეც მომელის საწიშროება
არა ნაკლები; მაგრამ მე მაქვს იმედი კიდევ:
იქ შეიძლება ყველაფერი გამოიცვალოს.
თქვენ თვითონ... ღმერთო, ჩემო ღმერთო, რომ თვით თქვენწიაც...
თქვენ შეხვიდოდით მთავრობათა კავშირში მაწინ.
თქვენ გაიმარჯვეთ, მე დავმარცხდი...
ახ, ბატონო მთავარსარდალო,
ჩვენი ხელობა კაცს ასწავლის ბევრ კომპრომისებს.
და თუ ასეა... თუმცა ბოლოს ჩვენ, ბატონებო,
ყველა მოვკვდებით, მადლობა ღმერთს, ყველა მოვკვდებით.

გენ. ბურბუზი.

მაგრამ, თქვენო უდიდებულესობავ,
მეტად რთულია ეს საკითხი. უნდა ვიფიქროთ.
ვიმსჯელოთ შტაბში. შეეკითხოთ მთავრობას შემდეგ.
ო, ეს ძალიან ღრმა საკითხია!
უბრალო საქმე არ გვგონოთ.
დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღეთ ჩვენი ღრმა მადლობა.
დანაშაული აქ ჩვენ ზორის არვის მიუძღვის,
მაგრამ თქვენი წინადადება
საუცხოოა, სწორე გითხრათ, შესანიშნავი. ჰმ...
მასში ნათლად სჩანს თქვენი სიბრძნე პოლიტიკური.
ჰმ... ჰმ... ნშვიდობის მოყვარეა თქვენი განთქმული.
მაგრამ, ხომ იცით, ფორმალობა, მიწერ-მოწერა.
მიუხედავად ამისა ჩვენ—ხომ, ბატონებო?—
მზათა ვარ, თქვენო უდიდებულესობავ,
რომ გემსახუროთ რამდენადაც კი შეიძლება.
ერთი მათგანი დარჩება თქვენთან,
რომ შეასრულოს ყველა თქვენი დავალებანი,
რამდენათაც კი, რა თქმა უნდა, იძლევა ამის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესაძლებლობას არსებული გარემოება.
უკეთეს ბინას, პოლკოვნიკო, ვერსად მონახავთ?
გლეხებს უბრძანეთ ჩამოვიდნენ ჭერიდან ისევ.
იქ, გენერალო, ჩვენ დავდგებით.
თქვენ კი როგორმე სხეაგან უნდა მოეწყოთ სადმე.
ნება მოგვეცით, რომ დაგტოვოთ. თქვენო უდიდებულესობავ,
საბოლოო ვალი, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენო უდიდებულესობავ.

(სამივენი სალამს აძლევენ იმპერატორს და სტოვებენ სცენას. იმპერატორი განაგრძობს ბუხრიან წინ ჯდომას კარისაკენ ზურგშექცეული; ის არ ინძრევა და უკანასკნელ სიტყვებზე არ უპასუხებს. ფარდა).

(შემდეგი იქნება).

თარგმანი **კონსტანტინე ჭიჭინაძის.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა, მხატვრობა
თეატრი და პუბლიცისტიკა

ს. დევდარიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბერი და ინტელიგენცია*)

I.

ამ ორი წლის წინეთ იაკობ ქვეწილიან ლეგალურ პრესაში („კავშირი") მე მოვათავსე ვრცელი წერილი ილია ჭავჭავაძის შესახებ მისი სიკვდილის შემდეგ 15 წლის შესრულების გამო. ერთ თავის მოხსენებაში მეშების კრებაზე მამია ორახელაშვილმა დაასაბუთა ეს წერილი, როგორც ერთერთი მაგალითი იმის საჩვენებლათ, რომ ქართველი ინტელიგენცია ვერ ურიგდება საბჭოთა ძალაუფლებას. წერილში იყო ქება ი. ჭავჭავაძის, როგორც უდიდესი მხატვრული მწერლის. მამია ორახელაშვილის დაფასებით ილია ჭავჭავაძე იყო მწერალი ნაციონალისტი და მისი ქება მიაჩნდა საბჭოთა ძალაუფლების გაკიცხვათ.

მე მომყავდა იმ წერილში ერთი ამონაწერი ილია ჭავჭავაძის პოემიდან („აჩრდილი"). მომყავს აგერ ხელ ახლა:

„ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებას ა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას.
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აჭყვავდების.
შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით,
და განმტკიცდება სოფელსა შინა,
კაცთ მოყვარების სახიერებით.

...

ალლო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე და დღე მის წყობა ირღვევა,

*) წერილი იბეჭდება უცვლელად.

ოედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა ზვას იგი შრომის სუფევა..
მაშინ, ნაშვრალო, შენც განკაცდები,
წარსულულ ნიქთა კვლავ მოიპოვებ
სხვას ძირს არ დასწვავ თვით ამაღლდები
არ ვის ეწონეი, და არც იმონებ.

ამ წერილში დავუმატებ იმ ლექსს, რომელიც პოეტმა უძღვნა პარიზის კომუნას:

— ტვირთ ნძიმე და მაშვრალი მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა,
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.
კვლავ ეწამა მოყვასისათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.
კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.
კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება
ქვეყნის ხსნათ მოვლინებული,
რომლისთვისაც თითონ ღმერთი
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.
კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

—

ამ სტრიქონების დამწერს ვერ ეთქმის ნაციონალისტი. ეს ცოდვა ი. ჭავჭავაძეს თან ახლდა როგორც პუბლიცისტს, პოლიტიკურ მოაზრეს, მაგრამ, როგორც პოეტს იმას არ უქირდა საერთაშორისო მსოფლმხედველობის მაღლობებზე ასვლა. ის უგალობებდა ერს და „შრომის სუფევას". სტიქია მისი შემოქმედების მიდიოდა ეროვნული ფარგლებიდან მსოფლიო ფარგლებში, მისი ეროვნული წუხილი ექსოვებოდა მსოფლიო წუხილს.

ეს გადაქსოვება ახასიათებს მთელ ქართულ მწერლობას მე-13 საუკუნის დამდეგიდან დღევანდელ დღემდის. ი. ჭავჭავაძე მე ავიღე მაგალითისთვის. შრომა და ერი, „შრომის სუფევა", როგორც საძირკველი ერის აყვავების, ეს ზოლია მკაფიოთ გავლებული ქართულ მწერლობაში. ეს არის დამახასიათებელი

ქართველი ინტელიგენციისთვისაც. სიტყვა „ნაციონალისტი“ ვერ [illegible] ქართველ ინტელიგენციას ვერც იმ ხანებში, როცა ინტერნაციონალ[illegible] ისმოდა რა.. რა ნაკლიც უნდა ჰქონდეს ჩვენ ინტელიგენციას, ვერავინ ვერ იტყვის, რომ იმას არ უყვარს თავისი ერი, რომ ის უარმყოფელია შრომის იდეოლოგიის, პირიქით, საქართველო გამონაკლისია თითქო ამ მხრივ. არც ერთ ქვეყანას არ გაადვილებია ინტერნაციონალიზმის, საყაბბრიო იდეალების შეთვისება ისეროგორც საქართველოს, იმის კულტურულ სვლაში შრომის იდეოლოგია არის.. „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყონ ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“. შრომის იდეოლოგიის „უფალღმერთობა„ გეგემონიაა ქართველი ინტელიგენციის მსოფლმხედველობაში. ის „სიზმრათ“ ხედავდა:

მაღლა ცას ნათელს და მშვენიერსა
დაბალ მიწაზედ ერს მშრომელს და ბედნიერსა“...

(გ. ორბელიანი, 1879 .

ეს კილო იყო, ეიმეორებ, გაბეფეებული ქართულ მწერლობაში. ქართული მწერლობა იდგა მშრომელი ერის ფრონტზე, თუმცა თავად-აზნაურობას ეკუთნოდენ ქართველი მწერლები. მეტადრე მე-19 საუკუნეში. მარქსი ამბობს,— положение определяет сознание—მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო. საქართველოს მდგომარეობა იყო ისეთი, რომ ქართველი ინტელიგენციის შეგნებაში ზრომა ედებოდა სარჩულათ ერის ბედნიერებას და წინსვლას. წოდებაზე, ჩამომავლობაზე არ არის დამოკიდებული ადამიანის ახროვნობა და სულიერი განწყობილება.ის დამოკიდებულია მდგომარეობაზე, რომელ'მიაც იმყოფება თანამედროვე საზოგადოება.

მშრომელ ხალხს ეტანებოდა თავად-აზნაურობიდან გამოსული ქართველი ინტელიგენციაც. „ღუშათა ერი“ უწოდა ქართველ ერს აკაკი წერეთელმა. საქართველოს ალორძინება ამ დიდ მგოსანს სწამდა, როგორც ალორძინება მშრომელი ერის, ან სულ არ სწამდა. იდეოლოგიით ჩვენი ინტელიგენცია იყო სისხლხორცი ხალხის—მუშების გლეხების და არა იმ მაღალი წოდების, რომელსაც ის ეკუთნოდა თავისი ჩამომაველობით. წოდებრივ პრინციპს ის უარყოფდა, როგორც რუსები იტყვიან „не только за страх, но и за совесть“, იმას სწამდა პრინციპი „ადამიანური“, კაცობრიული, მისთვის არ იყო თავად-აზნაური და გლეხი. ის ალიარებდა:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანის ცემა ლირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს,
და არა გვარიშვილობას.

(გრ. ორბელიანი).

II

რუსეთის შესანიშნავი მწერალი კრიტიკოსი ბელინსკი ამბობდა ერთ. თავის წერილში:—რუსული მწერლობა იმითი განსხვავდება სხვა ქვეყნების მწერლო-

ბისაგან, რომ ის არ აღმოკენებულა თავის თავათ, უმუალოთ ძალთური ცხოვრების ფესვებზე, ხელოვნურად გადმოირგო გარედან. „ეტყობა ეს ის პირველად მიმბაძველი, ლარიბი თავისი შინაარსით, „სუსტი თავისი სასიცოცხლო ძალებითთ *).

ბელინსკის, რასაკვირველია, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონებია ქართულ მწერლობაზე, მეტადრე მაშინ, როცა ის ამ სტრიქონებს სწერდა. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა მისი საერთო დაფასება. ქართული მწერლობა სხვა ქვეყნებისაზე უფრო გაირჩევა ამ მხრივ რუსეთის მწერლობისაგან. საყურადღებოა ეს განსხვავება მით უფრო, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის და საქართველოს ისტორიულ-კულტურული გზა ერთი და იგივე იყო.

როგორც ვიცით, პეტრე დიდმა რუსეთს პირი აქცევინა დასავლეთ ევროპისკენ. გაჭრილი ფანჯრიდან შემოიჭრა იქაური გავლენა, რომელიც მკაფიოთ დაეტყო რუსეთის სინამდვილის ყოველ მხარეს, დაეტყო ინტელიგენციას, მწერლობას.

დროთა ბრუნვამ მე-18-ე საუკუნის მიწურულში საქართველოს პირი აქცევინა ჩრდილოეთისკენ და, რა თქმა უნდა, იქიდან ევროპაში გაჭრილ ფანჯრისკენაც. უცხოეთის კულტურა ბალე დააჩნდა საქართველოს კულტურას და არ შეიძლებოდა არ დამჩნეოდა ქართველ ინტელიგენციას, ქართულ მწერლობას. მაგრამ ეროვნული თავისებურობა არ დაუკარგვინებია არც ერთ წუთს. საქართველოს მიწა წყალთან მჭიდრო კავშირი არ შეუწყვეტინებია, საქართველო იყო მუდამ ქართველი ინტელიგენციის და ქართველი მწერლობის ალმამფრთოვანებელი წყარო. ეს არ ნიშნავდა კარჩაკეტილობას. პირ იქით ჩვენი ინტელიგენცია დიდის წყურვილით ეწაფებოდა უცხოეთის წყაროებსაც. მაგრამ უცხოეთიდან გადმოლებულშიაც ისმოდა ქართული მაჯისცემა.

ქართულ მწერლობაში არ გაიელვებს ის საზღვარი, რომელიც აბასიათებს რუსეთის მწერლობას და მთელ იმის საზოგადოებრივი აზრის ისტორიას. ჩვენში არ იყო ის დავა, რომელიც დაიწყო იქ პირველი დღეებიდანვე და დღესაც არ დათავებულა. საქართველოს ინტელიგენცია არ იცნობს ე. წ. ხაბადნიკებისა და სლავიანოფილების გამწვავებულ შეჯახებებს, საზოგადოებრივ აზრს საქართველოში ფეხი არ უცდებოდა არც ერთი უკიდურესობისაკენ არც მეორისაკენ. ერთ სისხლის ბრუნვათ იყო გადაქცეული ქართული მწერლობის ძარღვებში ევროპიული და ქართული. ამ სისხლის ბრუნვას ქონდა თავისი მაცოცხლებელი გული, და ეს იყო შრომის იდეოლოგია.

III.

პლეხანოვმა თქვა პარიზში საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე,— რუსეთში თითო ოროლა პირები თავგანწირულათ ებრძვიან რეაქციას, მაგრამ ეს ბრძოლა ნაყოფს მაშინ გამოიღებს, როცა მებრძოლი პირები და ხალხი ერთმანეთს შეეღლღებიან, როცა თითონ ხალხი გახდება მებრძოლი. რევო-

*) В. Белинский, т. II, 386.

ლიუციონური მოძრაობა რუსეთში გაიბარჯვებს, როგორც მუშაობრივი-ძრაობა, ან სულ ვერ გაიმარჯვებსო.

პლეხანოვმა ამ სიტყვებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ინტელიგენცია და ხალხი რუსეთში შორი შორს დგანან ერთი მეორისაგან.

ამნაირი ხაზგასმა აქვს ლენინსაც. მის ერთ ნაწარმოებში („Что делать"), რომელიც, ასე ვთქვათ, შესავალია ბალშევიზმ-მენშევიზმის ისტორიის, ნათქვამია, რომ მუშათა კლასი სოციალიზმის შეგნებამდის ვერ მიდგა თავისით. ინტელიგენციამ უნდა შეიტანოს მუშებში ამ შეგნების ბაკილაო.

პლეჰანოვი აქ ეიდავებოდა ლენინს. ძველ „ისკრაში" იყო მოთავსებული პლეხანოვის საკამათო წერილები. აბტკიცებდა, მუშათა კლასში თუ არ ექნა ნიადაგი სოციალისტურ შეგნებას, ინტელიგენცია ვერას გახდება, ინტელიგენციამ უნდა გადაამუშაოს და სახე უნდა მისცეს იმას, რაც გადამუშავებლათ, ნედლ მასალათ და ესახოთ არის მშრომელ ხალხშია.

არსებითი, შეუერიგებელი დავა არ ქონებიათ პლეხანოვს და ლენინს ერთმანეთთან. სხვა და სხვა ნაირათ აუასებდენ ინტელიგენციის როლს. მაგრამ ორივე იმ აზრის იყვენ, რომ ინტელიკენცია მოსულია ხალხთან და არ არის გამოსული ხალხისგან.

ეს მოსული ინტელიგენცია მართლა მდიდარი იყო იდეოლოგიურათ, მაგრამ უნაყოფო იყო საქმეზე, უნიადაგოთ გრძნობდა თავის თავს, ევროპიულ განათლებას ვერ იყენებდა რუსეთის ყუ მიწაზე. რუსეთის ინტელიგენციამ წარმოშვა ე. წ. ხედმეტი ხალხი (Лишние люди) მწერლობაში. ხედ მეტი პიროვნების სახეებია პუშკინის ონეგინი, ლერმონტოვის პეჩორინი, ტურგენევის ლავრეცკი, რუდინი, ნეჟდანოვი, გონჩაროვის ობლომოვი საერთოთ მთელი წარსული საუკუნის მწერლობის გმირები, ვერ უდგებოდენ პრაქტიკას. სინამდვილეს, უნდოდათ „მიწის ხვნა, და რაც შეიძლება ღრმათ ხვნა", არ ქონდათ კი ამისი თავი.

„Накануне"-ში ტურგენევმა გამოიყვანა ახალი სახე. მოგვცა საქმის კაცი, და საქმე აპოვნია სხვაგან, თავის სამშობლოში არა. ეს ახალი კაცი ეკიდება ბულგარეთის რევოლიუციის საქმეს. ერთ მოკლე მოთხრობაში იგივე მწერალი გვაძლევს სრულიად უნებისყოფო სახეს. ამ მოთხრობის („Ася") გმირი ბორძიკობს, ვერ სწყვეტს საყვარელ ქალთან თავის პირადი დამოკიდებულების საკითხს.

ჩერნიშევსკიმ ძალიან ესაყვედურა ტურგენევს ეს მოთხრობა. დიდმა კრიტიკულმა მოაზრემ ამაში დაინახა სიმბოლო რუსეთის მთელი ინტელიგენციის. თუ ის პატარა, პირად საკითხების გადაჭრაშიაც ბორძიკობს, რაღა ნებისყოფას გამოიჩენს დიდ კითხვებშ-ი. მაგრამ, სწორდა ჩერნიშევსკი, ტურგენევის თვალმა ვერ შეამჩნია, რომ რუსეთის ინტელიგენციას აქვს საკმაო ნებისყოფა, და ის ანას იჩენს საზოგადოებრივ მოძრაობაში, რევოლიუციონურ ბრძოლაშია.

ტურგენევს ძალიან ეწყინა ჩერნიშევსკის წერილი და სიკვდილზედაც აღარ ბიკარებია ნეკრასოვს, რომელმაც მაშინ თავის ჟურნალში ადგილი მიაცა ამ წერილს. წყენა იყო. რასაკვირველია, თავმოყვარეობის საკითხი, ტურგენევმა

ვერ დაამტკიცა, რომ ჩერხიშევსკი სცდებოდა ერთში, [illegible] მართალია, ქონდა რუსეთის რევოლიუციონერ ინტელიგენციას, მაგ[illegible] ურთიერთ-ხლ-ბორცება ხალხთან, არ ქონდა გაგება ხალხის. რას იზამდა ეს ინტელიგენცია როცა ხალხი, მუშათა კლასი გამოვიდოდა მთავარ მოძალედ პირათ რევოლიუციის ასპარეზზე, წაიბორძიკებდა. შეეშლებოდა ფეხი, თუ გამოიჩენდა ისევ ისეთ ნების ყოფას, როგორსაც იჩენდა მანამდის?

მანამდის ის იბრძოდა **ხალხისთვის** და არა **ხალხთან**. მანამდის დაუწრეტელი ენერგიით იყო ია სავსე. მერე, როცა ასრულდა პლეხანოვის ნატვრა, და თვითონ ხალხი შეიქნა ნოდწინაგე მებრძოლი, როცა საჭირო იყო უკვე **ხალხთან** ერთად ბრძოლა, მაშინ ინტელიგენციამ დაჰკარგა ძველი ნებისყოფა, აღარ იცოდა რა ექნა.

IV.

რუსეთის ინტელიგენციამ ხელ ახლა წარმოშვა ამ ნიადაგზე ხელმეტი პიროვნების სახეები. ვერესაევის ერთ უკანასკნელ ნაწარმოებში*) წინანდელი დროის რევოლიუციონერი ინტელიგენტი სტირის, მწარე ცრემლებს ღვრის, — ბოლშევიზმმა წარყენა ძველი იდეალები, ფეხ-ქვეშ გაითელა ჩვენი წმინდათა წმინდათ.

წყალდიდობასაკით ნაპირებიდან გადმოსული ხალხს ყოველთვის მოაქვს ძირიდან ისეთი სიმღვრიე, რომ თვალი ვერ უძლებს, წმიდათა წმიდის გრძნობა, ვერ იტანს. ეს მოხდა 7 წლის წინეთ, ოქტომბრის დღეებში მთელი რუსეთის სივრცეზე. რუსეთის ინტელიგენციამ ეს ვერ აიტანა. ვინც დიდ ნებისყოფას იჩენდა მანამდის, როცა განმარტოებულათ ებრძოდა ძველ წესწყობილებას, ვინც თავს სდებდა **ხალხისთვის**, ის შეკრთა, ამ **ხალხის** დანახვაზე, ის უკვე წაბორძიკებული და უნებისყოფო გამოჩნდა **ხალხთან** ერთად ბრძოლაში,

რუსეთის ინტელიგენცია გაექცა ოქტომბერს, მიზნათ დაისახა მისი ჩამოგდება შეიარაღებული ძალებით, და აქ ის დაემეგობრა იმ მემარჯვნე მხარეს, რომელსაც ებრძოდა ოქტომბრამდის. ეხლოდ რუსის მენშევიკები, მარტოვის მეთაურობით, გამოვიდენ პირველ დღეებშივე, როგორც შუაბავლები. შუაში ჩაუდგენ ოქტომბერს და დემოკრატიულ ინტელიგენციას, რევოლიუციის გადასარჩენათ უნდა მოხდეს გაერთიანება-თანამშრომლობა ყველა პარტიების სახალხო სოციალისტებიდან (Народные Социалисты) ბოლშევიკებამდისო.

ბოლშევიკებმა ეს არ მიიჩნიეს მიღებლათ, მაგრამ პირობა დასვეს, თანამშრომლობის საჩუქელი უნდა იქნეს ოქტომბრის რევოლიუცია და სადავე ხელში უნდა ეკავოსთ ბოლშევიკებსო.

ამაზე ჩაიშალა შეთანხმება და არ შეიძლებოდა არ ჩაშლილიყო. რაც ბოლშევიკებს უნდოდათ ის ნიშნავდა დანარჩენი ინტელიგენციის გადაქცევას პოლიტიკურ მაჩანჩალათ, რაც ამ ინტელიგენციას უნდოდა (ყველა სოციალისტური პარტიებისაგან შემდგარი მთავრობა), ის ნიშნავდა რაღაც სალაპარაკო დაწესებულების შექმნას იმ დროს, როცა საქმიანობა იყო საჭირო.

*) „Тушке.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება არ მოხერხდა და უცებ შეიჭრა ოლვევა ინტელიგენციისა-გებში. ზოგი გაითქვიფა ბოლშევიკებში, ზოგი პოლიტიკურათ მოკვდა და „უპარტიო" მუშაობას შეუდგა, ზოგი საზღვარ გარეთ წავიდა და იქიდან შეაქვს „ოლიოლიუციონური" შეგნება ბოლშევიზმის წინააღმდეგ რუსეთის მშრომელ ხალხში და სხვა საზოგადოებრივ წრეებში.

მაგრამ საზღვარ გარეთ გასული ინტელიგენციის მუშაობა ძალიან წააგავს იმ „დღიურის" წერას, რომელსაც აწარმოებს ტურგენევის გმირი („Дневник лишняго человека"), სერიოზული ელფერი ადევს მხოლოდ მარტოვის დაარსებულ „სოციალისტურ ვესტნიკს". დანარჩენი ორგანოები უფრო გულის მოსაფხანათაა.

ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე ინტელიგენციაში მხოლოდ პლეხანოვი გამოვიდა მაშინვე გამონაკლისივით და სიკვდილამდის მოასწრო იმის თქმა, რომ შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ძალაუფლების ჩამოსაგდებათ შექმნის ტერორს, შეხუთავს საზოგადოებრივ ჰაერს, სხვას ვერაფერს მიაღწევსო. მხოლოდ პლეხანოვმა გააფრთხილა მაშინ ინტელიგენცია, — ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გამოვა მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაო.

მარტოვი ამტკიცებდა მთელ თავის სიცოცხლეში იმ აზრს, რომ ბოლშევიკებთან ერთად შეიძლება მოცილება იმ ნაკლის, რომელიც თან დაჰყვა ოქტომბერში ბოლშევიკებსო.

არ ვიცი რას იზამდა პლეხანოვი, მიაღწევდა თუ არა ბიზანს მისი გაფრთხილება. მარტოვის ხმა კი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ბოლშევიკებთან ვერ მოუხერხდა მაინც თანამშრომლობა და მოკვდა, როგორც მტერი ბოლშევიზმის, თუმცა ის პრინციპიალურათ არ უარჰყოფდა, პირიქით ილებდა ოქტომბერს წინმსელელობის წერტილათ.

მთელი ინტელიგენცია რომ დადგომოდა თავიდანვე მარტოვის აზრს, რომ არ შემცდარიყო ბოლშევიზმის დაფასებაში, რომ არ გონებოდა, დღეს ხვალ ჩამოვარდებაო, რომ დაეწყო იმასთან თანამშრომლობა და არ ეწარმოებია თანამშრომლობის ისეთი დამარღვეველი კრიტიკა, როგორსაც აწარმოებდა თითონ მარტოვი, მაშინ რუსეთს არ მოუხდებოდა ეკლიანი გზით სიარული.

V

შეცდომა მოუვიდა ბოლშევიზმის დაფასებაში საქართველოს ინტელიგენციასაც. ეს არ არის გასაკვირველი. პირიქით გასაოცებელი რამე იქნებოდა, რომ ეს შეცდომა არ მოსვლოდა. საქართველოს ინტელიგენცია ხედავდა რა პირობებში მოხდა ბოლშევიზმის გამეფება რუსეთის მიწაწყალზე და რა პირობებში მოხდა აქ. ეს განსხვავება პირობების მძიმე ლოდივით აწევს ქართველი ინტელიგენციის ხსოვნას. ეს იტკინა მისმა შეგნებამ და უჭირს ახლა დაჯერება, რომ რაც დღეს მის თვალში მოსაწონი არ არის, ხვალ ის მის თვალშივე გადაიქცევა მოსაწონათ.

ვიტყვი პირდაპირ, რომ ძალა უფლებაც შემცდარია ქართველი ინტელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენციის დაფასებაში. ეს უკანასკნელი არ ეკუთვნის, რ[illegible] ეროვნული იდეოლოგიით არც თავად აზნაურობას, არც ბურჟუაზიას, ის ემსახურებოდა ამ შრომელი ხალხის ინტერესებს.

ზემოთაც ვამბობდი, არც ერთი პატარა ერის ინტელიგენციას არ გაადვილებია ისე ინტერნაციონალიზმის შეთვისება, როგორც საქართველოსას. მარქსიზმის ისტორიას 30 წელიწადზე მეტი გაუვიდა საქართველოში. მარქსისტული „მართლ მორწმუნეობა" (ортодоксия) არსად არ ყოფილა ისე ფესვებ გამდგარი, როგორც იყო ჩვენში. დიდი რუსეთი ვერ შეედრებოდა ამ მხრივ საქართველოს. მესამე დასი საუკეთესო გვერდია ჩვენი კულტურის ისტორიის. მესამე დასმა აღზარდა მთელი თაობა მუშების და გლეხების. შეეხვედრიენარ ხოლმე რუსეთში და დავრწმუნებულვარ არა ერთხელ, რომ მარქსისტული შეგნება ქართველი მუშის გაცილებით უფრო მაღლა დგას რუსეთისაზე. ე. ნინოშვილი, ერთი მხრივ, ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე მეორე მხრივ,—ეს მაჩვენებელია იმისი, რომ მარქსიზმი საქართველოში ერთსა და იმავე დროს გამოსულია ხალხისგან და მოსულია ხალხთან. დღეს, ალბად ნ. ჟორდანიაც გამიწყრება და ფ. მახარაძეც, რომ ერთი მეორის გვერდზე ვაყენებ მათ. მაგრამ მე ვიხსენებ იმ დროს, როცა ისინი გვერდში უდგენ ერთმანეთს და აკეთებდენ ერთ საქმეს. ამ საქმეს ერქვა მარქსისტული თეორიის გაერთიანება მუშა გლეხობის პრაქტიკულ მოძრაობასთან.

გაერთიანება მოხდა კიდეც, ასე არ მოხდარა არც ერთ ქვეყანაში. 30 წელიწადზე მეტი მესამე დასის დაბადებიდან, საქართველოს ინტელიგენციაში იყო მარქსიზმის იდეოლოგიური დიქტატურა. თავად-აზნაურული ან ბურჟუაზიული ინტელიგენცია აზროვნულათ ებრძოდა მარქსისტულ ინტელიგენციას, საქმის დროს კი უკან მისდევდა. მარქსიზმის გეგემონია იყო ნუნა-გლეხობის მოძრაობაშიაც. ძველი, გასული საუკუნის ინტელიგენცია, რომელიც აზრით, ცხატერული კალმით ემსახურებოდა შრომის ინტერესებს, იქნება ჩამოშორებოდა მშრომელ ხალხს, როცა დაინახავდა. როგორი პრაქტიკული ნაბიჯებით ანხორციელებს ეს უკანასკნელი თავის იდეალებს. მესამე დასის ინტელიგენცია კი საქმიანობითაც იყო **ხალხთან** და არა მარტო **ხალხისთვის**. იმას არ წარმოუშვია რუსეთის ინტელიგენციასავით ზედმეტი პიროვნების სახე. ქართველ ინტელიგენციაზე არ ითქმება, რომ ის მშრომელი ხალხის ნტერია, რომ ის ეკუთვნის მუშათა კლასის მოწინააღმდეგე კლასებს.

VI.

მოხდა გადატრიალება ქართველი ინტელიგენციის შეგნებაში და არა მის კლასობრივ მდგომარეობაში. ეს მდგომარეობა როგორიც ქონდა ისეთი აქვს მაგრამ გუშინ მლეროდა ინტერნაციონალს, დღეს მარტო დიდებას. ინტერნაციონალი დღეს ითქმა იგივეა მის შეგნებაში, როგორც იყო ძველათ „Боже царя храни".

მე მახსოვს, რა ამბავს აწყვდა სტოკგოლმის პარტიულ ყრილობაზე ნ. ჟორდანია როცა ბუნდი (ებრაელების ს. დ. ორგანიზაცია) ეროვნული სახის უფლებებს მოითხოვდა პარტიაში. ვის არ ეხსომება. რა ყოფა დააწია ა. ჩხენკელმა

დემოკრატიულ თათბირზე პეტროგრადში 1917 წელს, როცა [illegible] ერების წარმომადგენლები გამოდიოდენ და მოითხოვდენ უფლებებს [illegible] თვის.—რუსეთს რატომ ვერ ვხედავ, სად არის რუსეთი,—ამბობდა ა. ჩხენკელი... ვის არ ეხსომება ნ. ჟორდანიას დეპეშები აქედან რუსეთში ბოლშევიზმისგან გათიშულ ს. დ. წრეების წინააღმდეგ, ვის არ ახსოვს ჩვენი ბარქსისტული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რა თავდადებით იბრძოდენ ისინი რუსეთის მუშათა კლასთან ერთათ, ვინ არ იცნობს ჩვენ მწერლობას, პოეზიას, რომელმაც ფეხი მოიკიდა მე-20-ე საუკუნის დამდეგიდან, ვის შეუძლია თქვას, რომ ამ მწერლობაში, ამ პოეზიაში იყო ვიწრო ნაციონალიზმი, შოვინიზმი, სიძულვილი რუსის, სომხის, ებრაელის, ვის შეუძლია თქვას, რომ ამ მწერლობაში, ამ პოეზიაში გარკვევით, მკაფიოთ არ ისმოდა საკაცობრიო, ინტერნაციონალური და იმავე დროს საღი ეროვნული კილო?!

მოხდა, ვიმეორებ, გადატრიალება ამ ბოლო წლებში. მოხდა იმიტომ, რომ არის განსხვავება ოქტომბერში და თებერვალში. ოქტომბერი მოვიდა შიგნიდან, თებერვალი—გარედან და თებერვლის მოსვლამ ხელი შეუშალა იმ შესაძლებლობას, რომ საქართველოშიაც ოქტომბერი მოსულიყო შიგნიდან.

ძნელი შეიქნა ასე ამოთხრილი უფსკრულის ამოვსება, თუმცა საბჭოთა ძალაუფლება—თავიდანვე დიდი ყურადღებით მოეკიდა ქართველ ინტელიგენციას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ხელის შეშლა არ ყოფილა იმის მხრივ, იყო პირ იქით ხელის შეწყობა.

მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში მეტადრე ბოლო დროს გაანახლენდებოდა ხოლმე ერთი გვერდი ალფრედ დე ვინის ნაწარმოებიდან („stello") ამ გვერდზე მოცემულია ერთი სურათი საფრანგეთის რევოლიუციის დროიდან. რობესპიერი ეუბნება სენ ჟიუსტს:

— რას უპირებ, შენ, სენჟიუსტ, პოეტებს.

— ხომ წაგიკითხე უკვე, მეათე თავია ჩემი წესდებულებების.

— მერე, რა არის იქ?

სენჟიუსტს ხიზღივით გამოეხატა რაღაც სახეზე, თვალი შემოაღლო იმ ადგილს, სადაც იდგა თითქო დაკარგულ ქინძისთავს ეძებდა ფარდაგზე.

აი, სთქვა, ის ჰიმნები, რომლებიც მათ ეკალებათ ყოველი თვის პირველ დღეს სამარადისობის სადიდებლათო...

პირველ ჟერმინალს ისინი უნდა ადიდებდენ ბუნების და ხალხის, ფლორეალში—სიყვარულს და ქორწინებას, პრერიარში—გამარჯვებას, მესიდორში—წვილებას, ტერმიდორში—სიახალგაზრდავეს, ფრუქტიდორში—ბედნიერებას, ვოლდემერში—მოხუცებას, ბრიუმიერში—უკვდავ სულს, ფრიმიერში—სიბრძნეს, ნივოზში—შრომას, ვენტოზში—მეგობრებს

რობესპიერმა ტაში დაუკრა

საუცხოოთაა მოკანონებულიო.

პოეზიის მოწესრიგებას რომ ასე მოინდომებ, რომ დაავალებ, რა იმღეროს დღეს და რა ხვალა, პოეზიისგან აბაფერი არ დარჩება, ის ალარ იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია. საფრანგეთის მხატვრული მწერლობა მთლად ჩამოყალიბებულ სენ-ციუსტის „კანონებს“ დამორჩილებოდა.

ნამდვილი თავისუფალი პოეზია ყოველთვის წინამორბედი იყო რევოლიუციის და რევოლიუციას აჩასოდეს არა მოუგია რა პოეზიისგან პოლიტიკური სამსახურის მოთხოვით.

ხელში მაქვს საყურადღებო წიგნაკი: „К вопросу о политике РКП в художественой литературе“, ცნობილი კრიტიკოსი ვორონსკი, რომელსაც წაუკითხავს მოხსენება ცენტრალური კომიტეტთან მოწვეულ თათბირზე, ამბობს: Руководящая линия у партии была и есть, эта руководящая линия, по моему мнению, за это время сводилась к следующему: партия вела самую решительную борьбу с нашей внутренней и внешней—эмиграцией в области литератури, партия оказывала всякую помощь всем революционным группам, стоявшим на почве октября; она не делала своим направлением направление кокой либо отдельной групы; она оказывала активную помощь когда видела, что та или инан группа работает стоит на точке зрения Октябрской революции.“ *)

რევოლიუციას უნდა ემსახურებოდეს მხატვრული მწერლობაო ვორონსკის აზრით, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ „искуство по природе своей не подлежит такому легкому регулированию как некоторые иныя области нашей жизни. у искуства есть свои собственые методы, как и у науки, у него есть свои законы развития, есть своя история.“

ილ. ვარდინს არ მოსწონს ეს მეორე აზრი ვორონსკის და ამბობს:—Мы хотим, чтобы могучее орудие художественнаго слова в нашей советской республике направилось правильно..

ოღონ განსხვავებაა, არსებითათ ვორონსკიც და ვარდინიც „რევოლიუციონერ“ კანონებს უწერენ მხატვრულ მწერლობას ისე, როგორც საფრანგეთის რევოლიუციის დროს სენ ციუსტი.

ნამდვილ მხატვრულ მწერლობას არ სჭირდება „რევოლიუციის კალაპოტში ჩაყენება“. ნამდვილი ხელოვნება თითონ თავისთავათ დგას ამ კალაპოტში. ნამდვილ ხელოვნებაში რეაქციონერიც რევოლიუციონერია. რეაქციონერი იყო ილ. ჭავჭავაძე, როგორც პოლიტიკოსი, რევოლიუციონერი იყო როგორც მხატვარი. მისი სტრიქონები ზემოთ ამოწერილი,—და ამისთანა სტრიქონებია მთელი მისი პოეზია,—ეს არის „კალაპოტი“ რევოლიუციის და არა „რეაქციის“.

ამბობენ, არის მხატვრული მწერლობა ერთი კლასის და მეორე კლასის, კლასი იცავს თავის ინტერესებს მხატვრული კალმის საშუალებითაც. ეს არ არის მარქსისტიული მიდგომა მწერლობასთან. მწერლობაში ისახება საზოგადოებრივი ურთიერთობა, ეს მართალია. მაგრამ იმას აქვს, როგორც ვორონსკი ამბობს თავისი მეთოდი, თავისი შინაგანი კანონები.

მწერლობის, ხელოვნების პროცესი არ შეიძლება იყოს წინასწარ განძრა-

*) იხ. 6, 7, 95 ვვ ამ წიგნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი. ოთმელიმე დაეალებით ამა თუ იმ კალაპოტში ჩამდგარი. ეგ ამ ყოველი პროლეტარული მწერალი. მაგრამ მისი „Отверженные", ეს არის ბერიანათ გადაყირაეება ბურჟუაზიული წესწყობილების. ლ. ტოლსტოი რეაქციის კალაპოტში იდგა, როგორც პოლიტიკური მოაზრე, მაგრამ მისი „Война и мир." „Воскресенье," და სხვა, ეს არის, რევოლიუცია ფეოდალურ-ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ.

ხელოვნება თითონ აკეთებს თავის კალაპოტს, ის ვერ ითმენს კანონებს და დავალებებს გარედან.

VII

საქართველოში საბჭოთა ძალაუფლება არაფერს არ ავალებდა, არ უკანონებდა მხატვრულ მწერლობას პირველ ხანებში. ის არ მოითხოვდა იმისგან ოქტომბრის ან თებერვლის ხაზზე დგომას. მხარს უჭერდა ყოველი მიმართულების მწერალს, ძველს და ახალს.

მაგრამ ბერე და მერე აქაც იჩინა თავი დავალების, დაკანონების ტენდენციამ.. ეს გამოიხატა არა მარტო მ. ორახელაშვილის მოხსენებაში, ოთმელზედაც ზემოთ ვთქვი ორითდე სიტყვა' ეს გამოიხატა უფრო მკაფიოთ, სხვათა შორის, ყურნალ „კავკასიონის" დახურვაში.

ძალტვრული მწერლობა ალარ არის იქ სადაც მხატვრულ მწერლობაში ერევა პოლიტიკა. პოლიტიკა იყო „კავკასიონში," როცა ის ერთი სიტყვითაც არ იხსენიებდა რუსეთის მხატვრულ მწერლობას. პოლიტიკა იყო საბჭოთა ძალაუფლების მხრივ, როცა ის მოითხოვდა „კავკასიონისგან" სასარგებლო რამეს. „გალექსილი პოლიტიკური ფურცელი ძალაუფლების სასარგებლოთ" იქნება გამოშვებული, თუ იმის წინააღმდეგ, არ არის პოეზია, არ არის ხელოვნება, ის არავისთვის არ არის არც სასარგებლო და არც საზიანო.

მწერალთა ორგანიზაციის და მის ბეჭდვით სიტყვას ყოველნაირ წესწყობილებაში მოეთხოვება ერთი, ის არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ პროპაგანდა აგიტაციას, არ უნდა აწყობდეს „აჯანყებას." დანარჩენში ის თავისუფალია. სულ დაგებნეა გზა კვალი, თუ პოეზიაში ეძებე რევოლიუცია ან კონტრრევოლიუცია.. რევოლიუციონერისათვისაც და კონტრევოლიუციონერისთვისაც საჭვო გამოდგება ისეთი ლექსიც, მაგალითათ, როგორიცაა „მზეო ამოდი, ამოდი". „მზეო ამოდი"... პირველმა აქ შეიძლება იგულისხმოს კონტრრევოლიუციონური მოლოდინი. მეორემ—რევოლიუციონური..

ვიმეორებ, რაც მეტი თავისუფლება მიეცემა მეცნიერებას, ხელოვნებას მით უფრო სასარგებლო იქნება ის რევოლიუციისთვის, წინმსვლელობისთვის.

ჩვენი მკითხველი ნაკლებათ იცნობს ან სულ არ იცნობს მარქსის, ენგელსის, პლეანოვის ნაწერებს ხელოვნებაზე. ისინი მხატვრულ შემოქმედებას არ ავალებდენ სარგებელი უნდა გამოიღო. პუშკინი მათ ვერ ეტყოდა:

„Печной горшок тебе дороже"...

ისინი იმ შეხედულების იყვენ, რომ სარგებლის მომცემია მხოლოდ თავისუფალი ხელოვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, საჭიროა ცენზურა, თავიშვება დაუჯერებელია, ბოლობა არაფერში არ ვარგა. მაგრამ მარქსი ამბობს ერთ ადგილას, — კრიტიკაა საუკეთესო ცენზურაო.

მუშათა კლასის დიქტატურას თან უნდა ახლდეს თავისუფლათ მოაზრე და არა დაშინებული, ჩუმათ ნოსტალგიანი ინტელიგენცია. მუშათა კლასის დიქტატურის პირობებში ფრთები უნდა შეისხას მეცნიერებამ, ხელოვნებამ. მუშათა კლასის დიქტატურა ფეხს ვერ დაიდგამს უკულტურობაზე. ის უნდა ქმნიდეს ახალ კულტურას, თუ ვერ შეჰქმნა, სუსტი გამოდგა ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ და ვერ შეირჩენს ოქტომბერს. ოქტომბერი ვერ უნდა ითმენდეს გვარიშვილობის პრინციპს, სულ ერთია წოდებრივი იქნება, კლასობრივი თუ პარტიული ეს გვარიშვილობა. ნუშათა-გლეხთა დიქტატურის სიტყვა უნდა იყოს:

ნიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ლირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს,
და არა გვარიშვილობას,

და როცა ეს სიტყვა საქმედ გადაიქცევა, მაშინ ოქტომბერს ჩამოერთმევა ინტელიგენციის ხელი და ინტელიგენციას ხელს ჩამოართმევს ოქტომბერი.

ლ. კამენევი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები ვ. ი. ლენინისა მაქსიმ გორკის მიმართ 1908—1913 წ.

(ჟენევა—პარიზი—კრაკოვი—ბერნი—პორონინ)

წინასიტყვაობა და შენიშვნები.

არქივის ცნობა.

(ყველა დაბეჭდილი წერილები ვ. ი. ლენინისა ა. მ. გორკისადმი, გარდა №№ 16, 20, 21, 23 32, და 33 გადმოცემულია ა. მ. გორკის დედანის სახით ლენინის ინსტიტუტში, დედნები №№ 16, 20, 21, 23, 32 და 33 ინახება ლენინგრადის სახალხო ბიბლიოთეკაში. ინსტიტუტის განკარგულებაში არის ასლები ფოტოგრაფიით გადაღებული. ყველა წერილები კარგად შეინახა და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენენ წასაკითხავად. თითქმის ყველა წერილები დაწერილია სუფთად და გაუსწორებლათ ჩვეულებრივ ფოსტის ქაღალდზე, ან კიდევ რვეულის ფურცლებზე. ყველა წერილები აღდგენილია აბსოლიტური სისწორით გარეშე ყოველგვარ შეცვლისა, შემოკლებისა, გამოტოვებისა შემდეგი გამონაკლისით: შეცვლილია წერტილებით: 1) ოთხი სიტყვა წერილში № 12 (ერთი სიტყვა სიტყვის წინ „ტროცკი“ და სამი სიტყვა სიტყვის წინ „პოტრესოვი“, 2) ორი სიტყვა წერილში № 14 (ერთი სიტყვა სიტყვის წინ „იორდანსკი“ და ერთი სიტყვა სიტყვის წინ „ტროცკი“. 3) ერთი სიტყვა (სიტყვის წინ „პრავდის რედაქტორი“) წერილში № 21.

კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია ასოები იმ სიტყვების, რომელიც შემოკლებულია თვით ვლადიმერ ილიჩის მიერ. კვადრატულ ფრჩხილებში შეტანილია აგრეთვე წერილების თარიღები როდესაც ისინი არაა მოცემული ვლადიმერ ილიჩის მიერ და გამოკვლეულია რედაქციისაგან.

ყველა თარიღები წერილებში არის ახალი სტილით. აუცილებელი განმარტებანი მოთავსებულია შენიშვნებში.

ლენინის ინსტიტუტი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ.

მტერი თუ მოყვარე—ყველა, ვინც კი გაიცნობს ამ წერილებს, ნიხდება, რომ მათში ჩვენ ეპოულობთ ჩვენი შესანიშნავი ეპოქის შესანიშნავ საბუთებს.

ბევრი ამ წერილთა შორის ეხება ეპიზოდებს, რომლებმაც, შედარებით მათ შემდეგ მოხდარ მოვლენებთან, თითქოს დაკარგეს ინტერესი და შეიქნენ მეორე ხარისხოვანნი. და, მართლაც, ეს ეპიზოდები დაეიწყებულია ან და თან და თან დაეიწყება. მაგრამ ის თუ, როგორ ხვდებოდა მათ ლენინი დარჩა, დარჩება და, როგორც უმთავრესი ელემენტი შევა მუშათა კლასის მომავალ კულტურაში. ეს მოხდა იმიტომ, რომ ცხოვრების ნაწილობრივი მოვლენები, რომლებმაც გამოიწვია ლენინის წერილები, გაშუქებულია ერთ, ბოლომდის გათვალისწინებულ უდიდეს იდეით. იდეით კაცობრიობის რევოლიუციის საშუალებით განთავისუფლებისა ყოველგვარ დამპალ, და საზიზღარ ნაგავისაგან რომელიც მასში თან დათანობით დაგროვდა.

ამ იდეის სინათლეში ცალკე ფაქტები ჩვეულებრივ და ყოველ დღიურ ბრძოლისა ეერთდებიან გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენათა, ერთ მთლიან ნაკადს, რომლებიც ჩვენ წინ იშლებიან, და ღებულობენ ამით ისტორიულ ხასიათს და მნიშვნელობას

ლენინის წერილებში არ არის კაზმული სიტყვები და ამალლებული სტილი „ისტორიულ მოღვაწისა“; ისინი უბრალო და ბუნებრივი, ხშირათ ოხუნჯური, ყოველთვის „საქმიანი“, დაწერილი ერთი ხელის მოსმით თითქოს „გაქანებით“ და ყოველთვის ნათელი ბოლომდე. ბაგრამ, როდესაც მათ ეკითხულავთ, გრძნობთ იმ შრომის სიდიადეს, სიმძლავრეს გონების ენერგიისა, რომელთა ნაწილობრივი გამომსახველი არის ლენინის წერილები. ისინი თითქოს ბრწყინვალე ნატეხებია, რომლებიც დარჩენ აზროვნების უდიდესი ოსტატის სამუშაო მაგიდაზე.

ძალა უნებურათ სტკბებით სიმძლავრით, სისწორით, სისპეტაკით და ელასტიურობით ამ უდიდესი ტვინისა, როდესაც აკვირდებით თუ როგორ აყენებს და სწყვეტს ის ყოველგვარ საკითხს, რომელიც მის თვალთა ხედვის რკალში მოხვდება, და მოულოდნელათ ხედავთ ფოლადის მახვილის ელვარებას, რომლითაც ის სჭრის კაცობრიობის და ისტორიის ამა თუ იმ რთულ და უძნელეს საკითხს. არავითარი ბუნდოვანება, არავითარი გაუგებრობა, არავითარი გარეგნული „ლამაზობა“, არავითარი ფრაზეოლოგია: გასაოცარი სისპეტაკე პოლიტიკური აზრისა, საკვირველი და მომხიბლავი უნარი, იმისა რომ ყოველნაირი საკითხი თანამედროვე ცხოვრებისა ნათლად შეუფარდოს საერთო მსოფლმხედველობის დებულებას და ისტორიულ ეპოქისა მთავარ ამოცანას.

წერილების ავტორისათვის მუშების მოძრაობა, შენება მუშათა პარტიისა, არც არის რაიმე განყენებული, მის გარეშე მდგომი, რასაც ის „ეესახურება“, რისთვისაც ის „მუშაობს“, არა, ის შედეულებულია ამ საქმესთან საბოლოოთ;

შეიძლება ითქვას ორგანიულათ—ფიზიოლოგიურათ. შეუძლებელია დავამორთ **საერთო მსოფლიო პროლეტარიატის მოძრაობის დაფასება,** პირველი „სუბიექტიურ“ დაფასებას. ილიჩის პიროვნებაში ეს ორი დაფასება შეკავშირებულია დაურღვეველ მთლიანობით.

არსად და არასოდეს ოდნავათაც არ არის ნასახი განცალკევების მისი პირადი გემოვნებისა, ინტერესების, თვალსაზრისისა და საერთო ისტორიულ პროცესის განვითარების ინტერესთა და შეხედულებათა შორის:

სწორეთ ეს მთლიანობა ილიჩის წერილებში უბრალო შენიშვნასაც კი აძლევს რალაც მონუმენტალურ ღირებულებას მიუხედავათ მათი ვარეგნული უბრალოობისა და თითქოს შემთხვევითი ხასიათისა.

რაც უფრო მეტს უკვირდებით ამ შენიშვნებს, მით უფრო რწმუნდები, რომ ლენინის ბაგეთი მეტყველებს ახალი, ცხოვრებისა და ბრძოლისაკენ გამართული ძალა, მილიონების, რომელთათვის არ არის სავალდებულო არავითარი მიღებული თვალსაზრისი არავითარი ავტორიტეტი, და რომელნიც ეძებენ და ნახულობენ თავის საკუთარ მისვლას ყველა ისტორიისა და ცხოვრების საკითხებისადმი.

ამისათვის ილიჩის წერილებში ჩვენ წინ იშლება ჭეშმარიტი საბუთები ახალი, ბრძოლაში შექმნილ პროლეტარულ კულტურის. ამისათვის ეს წერილები არის ომის საბუთები, დღითი დღე გამართული შეუჩერებელ ომისა, რომელსაც აწარმოებს ახალი კლასი იდეოლოგიურ ფრონტზე. ტყუილ უბრალოთ უწოდებს რამოდენიმე თავის წერილს ვლადიმერ ილიჩი, „გახელებულს“.

ბრძოლის სული—მზათ ყოფნა ყოველ მომენტში გადავარდეს ბრძოლაში მუშათა კლასის ჭეშმარიტ ღირებულებათა მოსაპოებლათ, აღშფოთების და პროტესტის სული წინაღმდეგ ყოველგვარ ცდისა, რათა აუცრან დაძველებული იდეური სიდამპლე მუშათა კლასს—აი რით არის გაჟღენთილი ვლადიმერ ილიჩის ყველა წერილები... იდეური დაუზოგველობა შეადგენს მის დამახასიათებელ თვისებას.

ლენინი, რომელიც იყო უდიდესი ოსტატი პრაქტიკულ დათმობისა, როდესაც ეს დათმობა შეადგენდა რევოლიუციონურ აუცილებლობას, იყო მასთან ერთათ სასტიკი მტერი ყოველგვარ დათმობისა იდეის სფეროში.

მეცნიერულ სოციალიზმში, თეორიაში და იდეაში ლენინისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი შეთანხმება, მიუხედავათ იმისა, რომ ის მზათ იყო შეეკრა კავშირი „ეშმაკთან და მის ბებიასთან“ როდესაც ამას ითხოვდა რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარება.

“ცალ-ცალკე სვლა,—ერთათ ბრძოლა“ „ჯერ დაცალკავება—შემდეგ შეერთება“—ეს გაუცვლელი ფორმულები ლენინის ტაქტიკისა, იოკვეოდა მისთვის იმ სახით რომ როგორც არ უნდა ყოფილიყო დროებითი პრაქტიკული შეთანხმება მუშათა კლასის მის გარეშე მდგომ ძალებთან, ეს შეთანხმება მოითხოვდა როგორც აუცილებელ პირობას უპირველეს ყოვლისა გარკვეულ წმინდა და სწორ საკუთარ ხაზს. ეს თავის თავათ მოითხოვდა უდიდეს დაუზოგველო-

ბას წინალმდეგ იმისა, რომ მუშათა კლასის იდეოლოგიაში არ ყოფილიყო შეტანილი რაიმე სხვა, მისთვის უვარგისი ელემენტი.

აქ არის დასაწყისი იმ განუწყვეტელი და „გახელებული" ომისა. რომელსაც აწარმოებდა იდეურ ფრონტზე ილიჩი, და რომელთა ანარეკლს ჩვენ ვნახულობთ მის წერილებში გორკის მიმართ.

„მე ვარჩევ დამგლეჯონ ვიდრე გამოვაცხადო თანხმობა მივილო მონაწილეობა იმ ორგანოში ან კოლეგიაში, რომელიც მაგ გვარ რამეს ქადაგებს". სწერს ლენინი გორკის, თავის წინანდელ თანამოაზრეთა ქადაგების შესახებ.

როგორც წინათ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის დასაწყისში „დაუდგრომელ" ვისსარიონის, ბელინსკის მიერ გამოცხადებული 'შეურიგებლობის ალთქმა და მისი უარი „ფილისტიმლიანებთან" ერთად სუფრაზე ყოფნისა ადასტურებდა დემოკრატიის ბურჟუაზიულ და თავადაზნაურულ იდეოლოგიასთან, რევოლიუციონურ გაყრას, სწორეთ ისე, 75 წლის შემდეგ, „გახელებული" ლენინის ბრძოლა ბურჟუაზიულ იდოლოგიის ყველა ელემენტებთან მისი „სექტანტობა" მისი იდეური დაუზოგველობა, შეიქნა აუცილებელ და მხსნელ პირობათ მებრძოლ პროლეტარიატის ჭეშმარიტ რევოლიუციონურ იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში.

ლენინი სწერდა გორკის: „შეუფარდეთ ყველა იდეების მიმდინარეობა 1908—1912 წლამდე ეს-ერ-ების, ტროუდოვიკების, ბუზზაგლავცების და კადეტების იმას, რაც ჰქონდათ და აქვთ ს-დ-ებს (ოდესმე, რომელიმე ისტორიკოსი ამას ალბათ იზამს) და თქვენ დაინახავთ რომ ყველა, სავსებით ყველა, ს-დ-ების გარდა, არკვევდენ იმავე საკითხებს, რომელთა მიხეხით ჩვენ პარტიას ჩამოწმორდა რამოდენიმე ჯგუფი გადაპირების და ლიკვიდაციის მომხრეთ ბანაკისაკენ. ს-დ-ების კინკლაობაზე უყვართ ყვირილი ბურჟუებს, ლიბერალებს ს-რ-ებს, რომლების „მტკივან საკითხებს" ებებიან არა სერიოზულათ. ჭისდევენ სხვებს, დიპლომატობენ და თავს იქცევენ ეკლექტიზმით. ს-დ-ების და მათი განსხვავება არის ისაში რომ. ს-დ-„კინკლაობა„ გამოწვეულია ჯგუფების ბრძოლით ლრმა და გარკვეულ ძირითად საკითხების გამო, მათი „კინკლაობა" კი არის გაოგნულათ შელამაზებული მავრამ ოსებითად ცარიელია, წვრილმანი, და მკირე. არასოდეს არაფრისთვის არ გავცვლიდი მე ს-დ-ების მიმართულებათა გამწვავებულ ბრძოლას ს-რ-ების და ამხანაგობის გადასლექილ სიცალიერეში და მათ სისაწყლეში.

ლენინის წერილები გორკისადმი დაწერილია მუშათა მოძრაობის ყველაზე უფრო ყრუ და დამაღონებელ ხანაში.

1908 წ. დასაწყისში, პირველი რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც ვლადიმერ ილიჩი დაბრუნდა შეძაგებულ ჟენევაში.

— ნადეჟდა კონსტანტინოვნას ეუბნებოდა — „როგორც კუბოში" წაემბენ ერთმანეთს გრძელი წლები კონტრრევოლიუციის, წლები მოძრაობის დაშლის, ამკარა და ფარულ ღალატის, რენეგატობის, ლიკვიდაციის და სულით დაცემის მაგრამ, ილიჩის წერილებში ჩვენ ვერ ვიპოვით გაბოროტებისა დაეჭვებისა და რყევის მცირე ნიშანსაც.

ეს წერილები გვაოცებენ ჩვენ სულის დაუცემლობით და ფრიალებენ ... იმისა, რომ მოძრაობა აღორძინდება, რომ დიდი მსხვერპლის საშუალებით სხვა გზებით, სხვა პირობებში. მუშათა მოძრაობა დასძლევს ყველა დაბრკოლებას თავის გზაზე და მიუბედავათ ყოველგვარ მდგომარეობისა, ჩვენ ქუჩაზედაც იქნება ზეიმი".

და როგორი დამახასიათებელია ვლადიმერ ილიჩისათვის, თავის საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენასთან ერთად, ის სიხარული რომლითაც ის ეგებება მუშათა მოძრაობის თუნდ მცირეოდენ წინსვლას, როგორი აღტაცებული სიხარულით აცნობს გორკის ილიჩი, რომ გამოვიდა მუშური ჟურნალი, რომ ჩამოვიდა „კარგი ბიჭი" — მუშა რუსეთიდან, რომ ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს პროფესიონალურ კავშირში ან და დამზღვევ კასაში.

ღრმა და ორგანიული სიძულვილი ყოველ გვარ მეშჩანობის, მეტადრე იდეურ მეშჩანობისადმი, ის რევოლიუციონური ენერგია, რომელიც ამოქმედებდა ვლადიმერ ილიჩს, გამოიხატა ვლადიმერ ილიჩის სხვა და სხვა ნაწარმოებში. მაგრამ გორკისადმი წერილებში ყველაფერი ეს გაზრდილი უფრო თავისებურად, ძალდაუტანებლათ და ამიტომ უფრო გაგებულათ და ნათლად ვიდრე სხვაგან.

სწორედ იმიტომ, რომ ეს წერილები მეგობრისადმი დაწერილია მეგობრიდან დასვენების დროს, და იმ ფიქრით რომ ისინი არ იქნებიან გამოქვეყნებული, სწორედ იმიტომ ლენინი დგება ჩვენ წინ არა მარტო როგორც პოლიტიკური წინამძღოლი და პარტიის ბელადი, არამედ როგორც ადამიანი, როგორც ილიჩი!

დოკუმენტები, რომელთა საშუალებით მასსისათვის შესაძლო უნდა გახდეს ვლადიმერ ილიჩის პიროვნებისადმი მიახლოვება და გაგება მისი სულის ძირითადი თვისებათა, გაცილებით უფრო ცოტაა, ვიდრე ის დოკუმენტები რომლებიც ახასიათებენ მას, როგორც მეცნიერს, წინამძღოლს და პოლიტიკოსს. ისინი მეტის მეტად ცოტაა და ამ ძლიერ მცირერიცხოვან საბუთებთა შორის წერილები გორკისადმი ყველაზე უფრო შესანიშნავათ უნდა ჩაითვალოს. ვლადიმერ ილიჩი ა. მ. გორკის აფასებდა არა მარტო როგორც ახალ რევოლიუციონურ რუსეთის უდიდეს მხატვარს, ლენინი უყურებდა მ. გორკის აგრეთვე როგორც ძლავრ მოკავშირეს საერთო საქმეში, თანამოლაშქრეს, რომელიც იბრძოდა სხვა იარაღით, ნაგრამ იბრძოდა იმავე მტრის წინააღმდეგ, იმავე მიზნის მისაღწევათ.

გორკის იარაღს — მხატვრულ სიტყვას — ვლადიმერ ილიჩი მეტათ აფასებდა და ანიჭებდა მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. და სწორედ ამიტომ ვლადიმერ ილიჩი, უფრო მეტ სიფიცხეს იჩენდა მაშინ, როდესაც ატყობდა, რომ ეს იარაღი არ იყო სწორეთ მიმართული, და აცილებდა ნიშანს: რაც უფრო მალლა აყენებდა ვლადიმერ ილიჩი გორკის ძალას, მით უფრო სურდა მას, რომ გორკი ყოფილიყო მის გვერდით საერთო საქმეში; მით უფრო მეტ ყურადღებით ადევნებდა თვალს ყოველ მის ლიტერატურულ და პოლიტიკურ გამოსვლას. და მით უფრო ცდილობდა გაეფრთხილებია, ის, არ ჩაფლულიყო იმ იდეურ

მეწყერში, რომლის საშუალებით ცდილობდენ ალყა შემოერტყათ პროლეტარულ იდეოლოგიის განვითარებისთვის. ბიბლიოთეკა

მაგრამ ვლადიმერ ილიჩი არა მარტო აფასებდა გორკის — მას ის უყვარდა როგორც დიდი პროვენება, როგორც ადამიანი ის „ნაძირალებიდან" გამოსული, რომელთა საბოლოო გამარჯვებაში ვლადიმერ ილიჩი ხედავდა კაცობრიობის ისტორიის ბორიგ ეტაპს. ვლადიმერ ილიჩის წერილებში მოსჩანს ჭეშმარიტი ინტერესი და სიყვარული გორკისადმი, ვლადიმერ ილიჩი უფრო აშკარად გამოთქვამდა აზას ყურძო საუბარში... ყველაფერმა ამან შეჰქმნა ერთგვარი ტონი ვლადიმერ ილიჩის და ა. მ. გორკის დაშოკიდებულებათა შორის; ტონი მეგობრულ გულახთილობისა და გულწრფელ დაინტერესების.

ამ შესანიშნავ დოკუმენტების აოსებობას, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ბუშათა კლასი უნდა უმადლოდეს ის გარემოებას, რომ ლენინს ჰყავდა ისეთი კორრესპონდენტი, როგორიც არის გორკი. სწორეთ ეს გარემოება ეკუთვნის ლენინის წერილებს გორკისადმი არა მარტო კომენტარიების ღირებულებას მის ნაბეჭდ თხუზულებათა გასაგებად, არამედ გვაძლევს განსაკუთრებულ საშუალებას გაეცნოთ ლენინი როგორც ადამიანი.

რევოლიუციონურ მასების გენიალური წინამძღოლის წერილებზე, რომლებიც მიმართულია რევოლიუციონურ ეპოქის უდიდეს მხატვრისადმი შეუძლია ისწავლოს მომავალმა თაობამ პროლეტარულ ახალგაზრდობისა და მთელი ქვეყნის პროლეტარულმა ინტელიგენციამ. ეს წერილები შევლიან ახალ პროლეტარულ კულტურის რკინის ინვენტარში.

ლ. კამენევი.

წერილები ვ. ი. ლენინის ა. მ. გორკისადმი.

წერილი 1.

9—1. 08 ჟენევა.

ძვირფასო ა. მ! რამოდენიმე დღეა რაც ჩამოვედი ჩემი ცოლით [1]) ორივე გაცივდით გზაში. აქ მოვეწყეთ ჯერ დროებით და ამიტომ ცუდათ. ძლიერ გამახარა თქვენმა წერილმა: მართლაც რა კარგი იქნებოდა გამოეროლება კაპრიზე! ვეცდები როგორმე აუცილებლად ვიშოვო დრო და გეწვიოთ თქვენ.

[1]) პარტიის ლონდონში ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ (აპრილი და მაისი 1907 ს.) ვლადიმერ ილიჩი ცხოვრობდა ფინეთში პეტროგრადის ახლო, სოფელში „კუოკალა" („ვაზას" აგარაკი) რიდესაც ტერიოკაში (ახლოს მდებარე ადგილი, სადაც აგრეთვე თავს იყრიდენ რუსი რევოლიუციონერები) დაიწყეს დაჭერა. ბოლშევიკურმა ცენტრმა დაადგინა გადაეტანათ „პროლეტარის" გამომცემლობა. ამბ. ლენინის, და აგრეთვე ა. ა. ბოგდანოვის, მალინოვსკის და ინოკენტის (იოსებ თეოდორეს ძე დუბროვინსკი) დაეფარათ საბუღალტერო წასული „პროლეტარის" ხელმძღვანელობისათვის. ვლადიმერ ილიჩი კუოკალადან წავიდა ნოემბრის დასასრულს. ან სულ დიდი დეკემბრის დასაწყისში მან ორი კვირა დაჰყო სტოკჰოლმში სადაც ელოდებოდა ნადეჟდა სიკოლოვნას, რომელიც წამოვიდა ოფრო გვიან, შემდეგ 3—4 დღე შეჩერდა ბერლინში და ხავიდა ჟენევაში 6—7 იანვარს 1908 წ. ახ. სტ.

მაგრამ ეხლა საუბედუროთ ეს შეუძლებელია. აქ ჩამოვედით იმ [illegible] დავაყენოთ გაზეთი; გადმოვიტანოთ ფინეთიდან „პროლეტარი“ [illegible] არის გადაწყვეტილი ჟენევას ამოვირჩევთ თუ რომელიმე სხვა ქალაქს. ყოველ შემთხვევაში უნდა ვეჩქაროთ: ამ საქმის მოწყობისთვის აუცილებელი „ხელფასია“ საჭირო. თუ როგორმე მოვახერხეთ საზაფხულოთ ან და გაზაფხულზე თქვენთან ჩამოსვლა, როდესაც საქმე გაიმართება! როდის არის თქვენ კაპრიზე ყველაზე უფრო კარგი საღამოები? როგორ ხართ? როგორ გრძნობთ თავს? გეხერხებათ კარგათ მუშაობა? ბერლინში გამოვლის დროს გავიგე რომ თქვენ და ლუნა-ჩარსკიმ ერთად იმოგზაურეთ იტალიაში და კერძოთ იყავით რომში. ხართ თუ არა იტალიით კმაყოფილი? ნახულობთ ბევრ რუსებს?

მე ვფიქრობ თქვენთან მაშინ ავჯობებს ჩამოსვლა, როდესაც ბევრი სამუშაო არ გვექნება, რომ შესაძლებელი იქნეს ერთად ხეტიალი და ლაპარაკი. მიიღეთ თუ არა ჩემი წიგნი (ჩემი ამ თორმეტი წლის განმავლობაში გამოსული წერილების პირველი ტომი)? მე დავავალე პიტერიდან გამოგეგზავნათ ის თქვენთვის.

უდიდესი მოკითხვა ვ. ფედოროვნას [2]) დახვედრის თქვენი **ნ. ლენინი.**

ჩემი მისამართი- Mr. a. 610 Oulinff. 17, Rue. benx Ponts 17, (chez Kuptel) jenève.

წერილი 2.

15.1. 08.

ძვირფასნო ა. მ. და მ. ფ!.

მივიღე დღეს თქვენი ექსპრესი. საოცრათ მოსახიბლავია, დასწყევლოს ღმერთმა, თქვენთან კაპროსზე მოსვლა! ისე ლამაზათ შეაკვეთ, რომ ღმერთმანი წამოვალ აუცილებლათ და ვეცდები ცოლიც თან წამოვათრიო. მაგრამ დროზე ვერაფერს ვიტყვი: ახლა საჭიროა „პროლეტარის“ ამოძრავება, ის უნდა იქნეს დალაგებული და ყოველ მიხეზს გარეშე საქმე უნდა იქნეს დაყენებული. ეს წაიღებს ერთ—ორ თვეს მინიმალურათ. ამის გაკეთება აუცილებელია. გაზაფხულზე კი გამოვქანდები, რომ ვსვათ თეთრი კაპრის ღვინო, ვეყურო ნეაპოლს, ვილაყბოთ თქვენთან.

მიუხედავათ ყველაფრისა მე მაინც დავიწყე იტალიანური ენის შესწავლა და როგორც მოწაფემ პირველად ვ. ფ-ას მიერ დაწერილ იდრესს წაკაწკული „exprés“ „espress“-ს მაგიერ! აბა ლექსიკონი აქეთ!

რაც შეეხება „პროლეტარის-გადატანას, ეს თქვენ თქვენ თავზეეე დაგიწერიათ. ახლა ჩვენგან ისე იოლათ თავს ვერ დაიხსნით. მ. ფ—ვას იძულებული ვარ ეხლავე მივცე აუარებელი დავალება 1) უნდა იქნეს მოწახული გემებში მოსამსახურეთა და მუშათა კავშირის მდივანი (უნდა არსებობდეს ასეთი კავშირი!) იმ გემებზე რომლებსაც აქვთ რუსეთთან დამოკიდებულება.

[2]) ვ. ფედოროვნა (შემდეგ წერილებში ნ. ფ.) მარია ულიანოვნა ანდრეევისა ა. მ. გორკის ცოლი.

2) უნდა იქნეს გაგებული **საიდან და როდის** დადიან გემები, და როგორ ხშირათ, რომ აუცილებლად მოგვიწყოს ყოველკვირეული გადასვლა. ეს-ია ელირება ეს? ბეჯითი კაცი უნდა მოინახოს.

არიან თუ არა იტალიელები ბეჯითები? საჭიროა თუ არა მათთვის მისამართი რუსეთში (ვთქვათ ადესაში) გაზეთების გადასატანათ, ან და შეეძლებათ თუ არა დროებით შეინახონ მცირე ნაწილი რომელიმე იტალიელ მიკიტანთან ადესაში?

ეს ჩვენთვის უკიდურესათ საჭიროა.

3) თუ თვით მ. ფ-სთვის შეუძლებელი გახდება, რომ ეს მოაწყოს ეძიოს გაიგოს, გამოარკვიოს და სხვა, მაშინ ძოახერხოს და დაგვაკავშიროს ჩვენ იმ მდივანთან: მაშინ იმათ ჩვენ მივწერთ.

ამ საქმეს სჭირდება დაჩქარება. სწორეთ 2—3 კვირის შემდეგ გვაქვს იმედი გამოვცეთ „პროლეტარი", [1]) რომელიც დაუყონებლივ უნდა გაიგზავნოს ამა, კიპროსზე შეხვედრამდის!

იყავით კარგათ [2])

ერგენი **ვ. ულიანოვი**

წერილი :

2. 11. 08.

ძვირფასო ა. მ.

გწერთ ორი საქმის შესახებ. პირველი: სემაშკოს საქმეზე. თუ თქვენ იმას ვერ იცნობთ პირადათ—არ ღირს რომ ჩაერიოთ ქვემო მოყვანილ საქმეში. თუ იცნობთ ღირს.

ლ. მარტოვმა წოათაესა ბერნის ს. დ. გაზეთში „განცხადება, რ(ომ) სემაშკო არ ყოფილა, როგორც დელეგატი შტუტგ(არტის) კონგრესზე, არამედ უბრალო ჟურნალისტათ. არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, რომ ის ეკუთვნის ს. დ. პარტიას! ეს არის მეინშევიკის უსინიდისო საქციელი წინააღმდეგ ციხეში ჩავარდნილ ბოლშევიკისა 1) მე უკვე გავაგზავნე ოფიციალური განცხადება როგორც წარმომადგენელმა რ. ს. დ. მ. პ. საერთაშორისო ბიუროში. თუ თქვენ პირადათ იცნობთ სემაშკოს ან და იცნობდით მას ნიჟნში, უსათუოთ დაწერეთ გაზეთში, რომ მარტოვის წერილი თქვენს აღშფოთებას იწვევს, რომ თქვენ პირადათ იცნობთ სემაშკოს, როგორც ს. დ. დარწმუნებული ხართ მის სრულ დანოუკიდებლობაში იმ საქმეებში, რომლებსაც საერთაშორისო პოლიცია ბერავს. ქვემოთ მე მომყავს გაზეთის მისამართი და სრული ტექსტი მარტოვის

1) „პროლეტარის" გამოცემა გაძნელდა № 21 „პროლეტარის" (პირველი ნომერი, რომელიც ენენვაზს გამოიცა) გამოვიდა 26 თებერვალს. ახალ. სტილ. ე. ი. ხუთი კვირის შემდეგ ვლადიმერ ილიჩის წერილისა.

2) ამ წერილთან ერთათ ვლადიმერ ილიჩმა გაუგზავნა წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკის, რომელიც ა. მ. გორკისთან ერთათ ცხოვრობდა კიპროსზე. ეს წერილი იბეჭდება „დამატებაში" (1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადების, რომელსაც თქვენ გადაგითარგმნით მ. ფ. რედაქციაში თქვენ თავათ მიიწერეთ—რუსულათ, ხოლო მ. ფ. თხოვეთ თან გააყოლოს გერმანული თარგმანი.

მეორე საქმე. შევიყარეთ თავი საბივემ, რომლებიც რუსეთიდან გამოგზავნილი ვიყავით დაგვეყენებია. „პროლეტარი" (ბაგდანოვი, მე და კიდევ ერთი „პრაქტიკოსი") [2]) ყველაფერი მოწყობილია; ამ დღეებში გამოუშვებთ ანონს [3]) თანამშრომლათ გნიშნავთ თქვენ. მოწერეთ ორი სიტყვა. შეგეძლებათ თუ არა მოგვცეთ პირველ ნომრისათვის („ნოვაია ჟიზნი" თქვენ ბიერ მოთავსებული „შეხედვები მეშჩანობის" დაგვარი რამ [4]) ან ნაწყვეტები იმ მოთხრობიდან რ(ომელ)საც წერთ და სხვა.

მაგრათ გართმევთ ხელს. დიდი სალამი მ. ფ.

თქვენი ვ. ულიანოვი.

მაზეთ „Bernes Tagwafeht"-ში (რედაქციის მისამართი: Kapellenstrasse, 6, Bern, ს-დ. ორგანო) № 24 30 იანვარს 1908 წელს მოთავსებულია შემდეგი: „Erklärung. Ja einigeu Britungeu stand sza leseu, dans des nutägsi iu genf verhaetefe D-r Jimaschko niu Delegirter da genefer gruppe der russisehen Jozialdemokratie in stuttgart gevesseü sei. Dem gegenüber erkläre ich, dass D-r Simaschko niehf Mitglied der russisehen section aud dem genanten Kongresse var nnd Koin Delegiertenmandat besessen hat. Er var dort nur als Journalist tätig. L. Martoff; Delegirter der russischen Sozialdemokratie aof dem Stutgarter Kongresse[5]).

ეი მოლად. ფსინდისობა აქ იმაშია, რომ თითქოს სოციალ-დემოკრატია ფარს ყოფს სემაშკოს.

---

1) ნ. ა. სემაშკო ს-დ. მე 90 წლების დასაწყისში, იყო დაკავებული ყენეგაში 1908 წ. იანვრის დამლევს. საერთაერთაზორისო სოციალისტური კონგრესი შტუტგარტში წარმოებდა 1907 წ. აგვისტოში.

2) „პრაქტიკოსი"—ოსიფ. ფედოროვიჩ დუბროვინსკი („ინოკ", „ინოკენტი").

3) „ანოსსი" ლენინის ინტიტუტის განკარგულებაში არ იპოვება.

4) „ნოვაია ჟიზნ"—პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წ. დამლევს (№ 1 გამოვიდა ხუთშაბათს 27 ოქტომბერს (10 ნოემბერი) 1905 წ. ბეჭვსე ნომრიდან $^{2}/_{15}$ ნოემბრიდან მას დამოუკიდებლად ლენინი რედაქტორობდა. დაიხურა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს მანიფესტის გაცხადების შემდეგ (№ 28, შაბათი, $^{3}/_{12}$ დეკემბერი 1905 წ.). იმაში №№ 1 (27 ოქტომბერი 1905): 4 (30 ოქტომბერი 1905 წ.), 12 (13 ნოემბერი 1905 წ.); 18 (20 ნოემბერი 1905 წ.) მაქსიმ გორ-

კის მოათავსა „შენიშვნები ნეშჩანობაზე", რომელიც მიმართულია რუსეთის ინტელიგენციის ანტირევოლიუციონერ სულის წინააღმდეგ, და ოთხლებნაც დიდი აღშფოთება გამოიწვია მათში

5) თარგმანი „Berner Jazvachi" მოყვანილ შენიშვნიდან:

„განცხადება: ზოგიერთ გაზეთებში შეიძლება წაიკითხოთ, რომ დოქტორი სემაშკო, რომელიც ყენეკაში დაპატიმრებული იქნა ამ მოკლე წარსულში, თითქოს ყოფილიყოს ყენეკის რეს სოციალ-დემოკრატების ჯგუფის წამომადგენელი შტუტგარტში. ამის საწინააღმდეგოთ მე ვაცხადებ, რომ დოქტორი სემაშკო არ ყოფილა წევრი რუსული სექციის ხსენებულ კონგრესზე და არავითარი დელეგატის მანდატი არ ქონია. ის იღებდა კონგრესზე მონაწილეობას როგორც ჟურნალისტი. ლ. მარტოვი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დელეგატი შტუტგარტის კონგრესზე".

წერილი 4.

13. 11. 08:

ძვირფასო ალ. მ-ჩ!

მე ვფიქრობ, რომ რამოდენიმე თქვენ მიერ წამოყენებული საკითხები ჩვენ უთანხმოებაზე—პირადაპირ გაუგებრობაა. რა თქმა უნდა მე არც კი მიფიქრია „მედევნა" ინტელიგენცია როგორც ასეთ ჩადიან ბრიყვი სინდ(იკალი)სტები ან და მეთქვა უარი ნიჰილიზმზე (ნუ შეგეშინდეს) მოძრაობაში. ყველა ამ საკითხებში ჩვენ წორეს ზეგრძლებულია დაწოლება. მე ამაში ლრმათ დარწმუნებული ვარ.

და თუ ჩვენ ახლა არ შეგვიძლია შეეხვედეთ ერთმანეთს, საჭიროა დავიწყოთ მეშაობა ერთად და ერთბაშათ. ბუნებაში უფრო ადვილად და უფრო ჩქარა შეგვეძლება საბოლოოთ შეეთანხმდეთ.

თქვენი სურვილი სწერეთ „პრო(ლეტარისთვის) (ანონსი თქვენ უკვე გამოგიგზავნეთ) ბატარა წერილები—მე ძლიერ მახარებს. მაგრამ თუ თქვენ გაქვთ დიდი საბუნაო, რა თქმა უნდა არ უნდა მოშორდეთ.

ტროცკის შესახებ მინდოდა თქვენთვის წინათ მეპასუხა, მაგრამ დამავიწყდა. ჩვენ (ე. ი. „პროლეტარის" აქაურმა რედაქციამ—ალ. ალ. [ბოგდანოვი], მე და „ინოკმა" [დუბროვნისკი]—მშვენიერი ამხანაგი რუსულ ბ [ოლშ] ე [ვი] კიდან,—უცბად გადავსწყვიტეთ მიგვეწვია ის „პროლ[ეტარში]". დავწერეთ წერილი, ამოვარჩიეთ და მივაწოდეთ თემა. მოვაწერეთ საერთო თანხმობით „პროლეტარის რედაქცია" რომ მიგვეცა საქმისათვის უფრო კოლეგიალური ნიადაგი. პირადათ მე, მაგალითად, მოვიდა ტროცკისთან დიდი შეტაკება, ბრძოლა იყო საოცარი 1903—5 წლებში, როდესაც ის მენშევიკი იყო. არ ვიცი ეწყინა თუ არა ტროცკის, რომ წერილი ამ ფორმით იყო მიმართული, მხოლოდ

მან გამოგზავნა წერილი რედაქციაში არა თავის ხელით დაწერილი, [illegible] ცის დავალებით" გვაცნობებენ რომ ის წერილზე უარს ამბობს, [illegible] აქვსო. ეს პოზიციობაა ჩემის ფიქრით. ლონ[დონის] ყრილობაზედაც ის იქცეოდა როგორც პოზიციური. არ ვიცი გაჰყვება თუ არა ის ბ[ოლშ]ე[ვი]კებს....

მენშევიკებმა გამოუშვეს აქ ამონსი ყოველთვიური „გოლოს სოციალ-დემოკრატზე" ხელს აწერენ: პლეხანოვი, აქსელროდი, დანი, მარტოვი, მარტინოვი. ვიშოვი და გამოგიგზავნით. ბრძოლა შეიძლება გამწვავდეს. ტროცკის კი სურს იდგეს „შებრძოლ ფრაქციებზე მაღლა"... რაც შეეხება მატერიალიზმს, როგორც მსოფლმხედველობას მე ორსებითათ, ეგონებ არ დაგეთანხმოთ თქვენ.

სწორეთ არა ისტორიის მატერ[იალისტურ] გაგებაში (ძას არ უარყოფენ ჩვენი ემპირიოკრიტიკოსებიც[1]), არამედ ფილოსოფიურ მატერიალიზმში. ჩემთვის მიუღებელია ის, რომ ინგლისელების და გერმანელების მეშჩანობა ისე როგორც რომაელების ანარქიზმი მატერიალიზმით უნდა აიხსნეს. მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფია იმათთან ყოველგან განდევნილია.

„Neue Leit," ყველაზე უფრო გამომდგარი და მცოდნე ორგანო ცივათ ეკიდება ფილოსოფიას; ის არასოდეს არ ყოფილა თავგანწირული მომხრე ფილოსოფ(იურ) მა(ტერიალი)ზმის, და ბოლო ხანებში ბეჭდავდა მხოლოდ ემპირიოკრიტიკებს, გარეშე ყოველგვარ შენიშვნებისა. რომ იმ მატერიალიზმიდან, რომელსაც ქადაგებდენ მარქსი და ენგელსი, შესაძლებელი იყოს მკვდარი მეშჩანობის გამოტანა ეს ტყუილია, ტყული! ყველა მეშჩახური მიმდინარეობა სოციალ-დემოკრატიაში, ებრძვის ფილოსოფიურ მატერიალიზმს და იწვევს კანტისაკენ, ნეოკანტიანიზმისკენ და კრიტიკულ ფილოსოფიისაკენ. არა, ის ფილოსოფია, რომელიც დაამკვიდრა ენგელსმა „ანტი-დიურინგში," შეშჩანობას კარებთანაც არ მიუშვებს. პლეხანოვი აენებს ამ ფილოსოფიას, როდესაც ამ ბრძოლას ფრაქციულ ბრძოლაში ერევს, მაგრამ ახლანდელი პლეხანოვი არც ერთმა რუსმა ს(ოციალ) დ(ემოკრატ)მა არ უნდა შეურიოს, ძველ პლეხანოვს.

ალ. ალ. (ბოგდანოვი) ეს ეს არის წავიდა ჩემგან. გადავცემ კიდევ და კიდევ „ყრილობის" შესახებ[2]). თუ მაინც და მაინც გსურთ— შესაძლებელია ახლო მომავალში მოეწყოს ორი დღის[3]).

გართმევთ ხელს **ლენინი.**

1) „ჩვენი ემპირიოკოსები" ე. ი. ემპირიოკრიტიკოსები და ემპირიომონისტები (ა. ა. ბოგდანოვი, ვ. ა. ბაზაროვი, ა. ვ. ლუნაჩარსკი). მათ უთანხმოების მიზდინარეობაზე იხილეთ შემდეგი წერილი ვლადიმერ ილიჩის (№ 5).

2) ა. მ. გორკის სურდა მოეხდინა საზღვარგარეთ მყოფ ლიტერატორ—ბოლშევიკების შეხვედრა საერთო მოსალაპარაკებლათ შესახებ არსებულ უთანხმოებათა; ამ მოსალოდნელ, მაგრამ ამ არ შემდგარ „ყრილობაზე" არის ლაპარაკი შემდეგ წერილებშიც.

3) ამ წერილთან ერთათ ვლადიმერ ილიჩმა დაწერა და გაუგზავნა წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკის იგივე თემების შესახებ. ჩვენ ვათავსებთ იმ წერილს „დამატებებში" (I[1])

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5.

25. 11. 08.

ძვირფასო ა. მ.

თქვენ წერილზე ვერ გიპასუხეთ დაუყოვნებლივ, რადგანაც თქვენი წერილის შესახებ, ან და რამოდენიმეც მასთან დაკავშირებით, მოგვეიდა მე და ალ. (ბოგდანოვს) დიდი ჩაუბი რედაქციაში. პირველ შეხედვით ეს ძრიელ უცნაურია. ᲰᲐ!.. ᲰᲐ!..

მე ვლაპარაკობდი არა იმ ადგილას, და არა ინ მიზეზზე, როგორც თქვენ ფიქრობდით.

საქმე მოხდა ასე.

წიგნმა „ფილოსოფიური მ(არქსი)ზმის განხილვა" მეტად გაამწვავა უწინდელი უთანხმოება ბ(ოლშ)ე(ვი)კებთა შორის ფილოსოფიის საკითხებში.

ნე არ ვთვლი ჩემს თავს ამ საკითხებში იმდენად მცოდნეთ, რომ მეჩქარებოდეს პრესაში გამოსვლა. ბაგრამ ჩვენს პარტიულ კამაის ფილოსოფიაში ყოველთვის დაკვირვებით ვადევნებდი თვალს, დაწყებული პლეხანოვის, და მიხაილოვსკის მისი ამბ. ბრძოლიდან 80 წლის მიწურულში ვიდრე 1895 წლამდე; შემდეგ მის ბრძოლას კანტიანელებთან—1898 და შემდეგი წლები—(აქ ჯვეე არა მარტო მაყურებელი ვიყავი, არამედ ხშირათ მონაწილეობასაც ვღებულობდი, როგორც 1900 წლიდან „ზარიას" რედაქციის წევრი;) უკანასკნელათ მის ბრძოლას ემპირიოკრიტიკებთან და აბხ.

ბაგდანოვის ფილოსოფიურ ნაწერებს მე თვალს ვადევნებდი; მის ენერგეტიულ წიგნს „ისტორ(იული) შეხედულების ბუნებაზე" მე ვსწავლობდი ჩემ ციმბირში ყოფნის დროს 3) ბაგდანოვისათვის ეს ჰოზიცია იყო მხოლოთ გადასვლა სხვა ფილოსოფიურ შეხედულებებზე. პირადით ის მე გავიცანი 1904 წ. და იმ წამსვე უთავაზეთ ერთმანეთს: მე—„შაგი" 4) მან—**მაშინდელი** თავის ერთ-ერთი ფილოსოფ(იური) ნაწარმოები 5) მე მაშინვე (ვაზაფხულზე, ან 1904 წ. ზაფხულის დასაწყის'ში) ვწერდი ნას ქენეციდან პარიზში, „რომ თავის ნაწერებით ის მე ღრმად მარწმუნებს თავის შეხედულებათა უსაბართლობაში, და საბაგიეროთ ღრმად დამარწმუნა პლეხანოვის შეხედულებათა სისწორეში. მაშინ მე და პლეხანოვი ვეუწაობდით ერთად, და ჩვენ არა ერთხელ გვისაუბრია ბაგდანოვზე. პლეხანოვი მიხსნიდა მე ბაგდანოვის შეხედულებათა შეცდომას, მაგრამ არ თვლიდა მის ზეცდომებს მაინც და ბაინც დიდათ.

მშვენიერათ მახსოვს, რომ ზაფხულზე 1903 წ. მე და პლეხ(ანოვი) „ზარიას" რედაქციის სახელით ვბაასობდით ქენევაში „ოჩერკი რეალისტიჩესკაგო მიროვოზრენია"—6) რედაქციის დელეგატთან. ჩვენ დავთანხმდით გვეთანამშრომლა, მე—აგრ(არულ) საკითხებში, პლეხანოვს—მახის საწინააღმდეგო ფილოსოფიაში. მახის საწინააღმდეგოთ გამოსვლას პლეხანოვი თვლიდა თანამშრომლობის პირობათ; ამ პირობას „ოჩერკების" რედაქციის დელეგატი საესებით იღებდა. პლეხანოვი მაშინ თვლიდა ბაგდანოვს თავის მოკავშირეთ რევიზიო-

ნიზმთან ბრძოლაში, მაგრამ ხედავდა მასში მოკავშირეს იმდენად, გადამცდარს, რამდენადაც ის მიჰყვებოდა ოსტვალდს და შემდეგ მახს 1904 წ. ბოლოს და შემოდგომის განმავლობაში ჩვენ საბოლოოთ შევთვისთით ბოგდანოვთან, როგორც ბ(ოლშ)ე ვი)კები, და შევკარით მასთან ის ჩუმი ბლოკი, რომელიც ჩუმათ გვაშორებდა ფილოსოფიას, როგორც ნეიტრალურ დარგს ამ ბლოკმა იარსება მთელი რევოლიუციის განმავლობაში ის მოგვცა საშუალება შეთანხმებულათ გაგვეტარებია რევოლიუციაში და რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა (—ბოლშევიზმი), რომელიც ჩემი უღრმესი რწმენით იყო ერთად-ერთი მართალი. რევოლიუციის ციებ-ცხელების დროს ფილოსოფიას ვანდომებდით ცოტა დროს. 1906 წ. ციხეში ყოფნის დროს ბოგდანოვი წერდა კიდევ ერთ წერილს, გვონებ III გამოცემას ემპირიოკრიტიკიზმისა 7) ზაფხულში 1906 წ. მან მითავაზა ეს წიგნი, და მე გულმოდგინეთ ჩაუჯექი მას წაკითხვის შემდეგ გავგულისდი, გავბრაზდი არა ჩვეულებრივათ: ჩემოვის კიდევ უფრო ნათელი შეიქნა, რომ ის მიდის უალრესათ შემცდარ და არა მარქსისტულ გზით. მე მაშინ მივწერე მას „სიყვარულის ახსნა". პატარა წერილი ფილოსოფიაზე. რომელიც შეიცავდა სამ რვეულს. მე იქ ავუხსენი მას, რომ მე რა თქმა უნდა ვარ ჩვეულებრივი მარქსისტი ფილოსოფიაში, მაგრამ თვით მისი ნათლათ, პოპულიარულათ და მშვენიერათ დაწერილი წერილები საბოლოოთ მარწმუნებენ მე მის შეცდომაში არსებითად და პლეხანოვის სიმართლეში.

ეს რვეულები მე ვანახე რამდენიმე ჩემ მეგობარს, (ლუნაჩ(არსკის) მათ შორის) და ვფიქრობდი გამომეცა შემდეგი სათაურით „შენიშვნები ჩვეულებრივ მარქსისტის ფილოსოფიაზე", მაგრამ ვერ მოვახერხე. ახლა ვნანობ, რომ მაშინვე არ დაებეჭდე. რამდენიმე დღის წინათ გავგზავნე პიტერში წერილი თხოვნით, რომ მამიძებნონ და გამომიგზავნონ ის რვეულები 8).

ახლა გამოვიდა „მარქსისტულ ფილოსოფიის მიმოხილვა" მე წავიკითხე ყველა წერილები გარდა სუვოროვისა (იმას ვკითხულობ 9) და ყოველივე წერილმა პირდაპირ გამახელა ჯავრით, არა, ეს მარქსიზმი არ არის! პირდაპირ წუმპეში ვარდებიან ეს ჩვენი ემპირიოკრიტიკები, ემპირიომონისტები და ემპირიოსიმბოლისტები 10) დარწმუნება მკითხველის იმაში, რომ „რწმენა" და ჩვენს გარეშე მყოფ სამყაროს რეალობა არის „მისტიკა", (ბაზაროვი), ყოვლად უშნოთ გადახლართვაა მარქსიზმის და კანტის ნცნების (ბაზაროვი და ბოგდანოვი), აგნოსტიციზმის სხვადა სხვაობის ემპირიოკრიტიციზმი) და იდეალიზმის (ემპირიომონიზმი) ქადაგება, სწავლება მუშების „რელიგიური ატეიზმი", და „ტრფიალების" უმაღლეს საკაცობრიო პოტენციების (ლუნაჩარსკი), მისტიკიზმათ გამოცხადება ენგელსის მოძღვრებისა დიალექტიკაზე (ბერმანი) წყაროთ გამოყენება ვიღაც დამყაყებულ ფრანგი „პოზიტივისტების" აგნოსტიკების, მეტაფიზიკების ან „სიმბოლისტურ შეხედულების თეორიისა" ღმერთმა მაგენი დასწყევლოს, არა, ეს ნამეტანია!

რა თქმა უნდა ჩვენ, როგორც ეგრალო მარქსისტები, ფილოსოფიაში პატარა კაცები ვართ, მაგრამ რათ გვაყენებენ ამნაირ შეურაცყოფას, და ანგვარ რამეს ჩვენ გვთავაზობენ როგორც ბ(არქსიზმის ფ(ილოსო)ფიას! მე ვარჩევ დამ-

გლიჯან, ვიდრე გამოვაცხადო თანხმობა ან მივილო მონაწილეობა—იმ ორგანოში ან კოლეგიაში, რომელიც ამნაირ რამეს ქადაგებს. ეს ხელსაყრელი მინდა დაუბრუნდე „ჩვეულებრივ მარქსისტის შენიშვნებს ფ(ილოსო)ფიაზე" და უკვე დავიწყე მათი წერა. ალ(ექსანდრ) ალ(ექსანდროვი)ს (ბაგდანოვს) „შენიშვნების" წერის დროს მე, რა თქმა, ჩემ შთაბეჭდილებებს ეასნიდი პირდაპირ და უდიერათ. ჰო მაგრამ, რა შუაშია აქ თქვენი წერილი? მკითხავთ თქვენ. საქმეც იმაშიდ არის, რომ თქვენ, სწორედ იმ დროს, როდესაც ბ(ოლშ)ევიკებთა შორის განხეთქილება აპირებდა ყველაზე უფრო მწვავე ხასიათის ნიღბას, ა'ნკარათ დაიწყეთ, თქვენ შრომაში, რომელიც „პროლეტარისთვის" იყო გამოგზავნილი, ერთი მიმდინარეობის შეხედულებათა გადმოლაგება. მე, რა თქმა უნდა, არ ვიცი რა გამოგვიდოდათ თქვენ საერთოთ. გარდა ამისა მე მჯერა, რომ მხატვარს შეუძლია ამოკრიფოს თავისთვის ბევრი რამ სასარგებლო ყოველ გვარ ფილოსოფიაში. უკანასკნელათ, მე სავსებით და უთუოთ გეთანხმებით იმაშიც, რომ მხატვრულ შემოქმედებაში თქვენთვის ყოველი წიგნი ხელსაყრელია, რომ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ თქვენი მხატვრული გამოცდილებით, ისე როგორც, თუ გნებავთ, იდეალისტური ფილოსოფიით, და შეიძლება იმ დასკვნების გამოტანას, რომლებიც ჩვენს მუშათა პარტიას მოუტანს უდიდეს სარგებლობას. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ მიუხედავად ამისა „პროლეტარი" უნდა დარჩეს ყოველგვარ ჩვენ ფილოსოფიურ საკითხებში დავის გარეშე. მან ერთ წამითაც არ უნდა მისცეს საბაბი მკითხველს იფიქროს თითქოს ბ(ოლშ)ევ(ი)კებს, როგორც მიმართულებას, როგორც რუსეთის ს. დ. რევოლიუციონერ ფრთის ტაქტიკურ ხიხს, რაიმე საერთო ჰქონდეს ემპირიოკრიტიციზმთან ან კიდევ ემპირიომონიზმთან.

როდესაც თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ მე გამოუცხადე ა. ა. (ბაგდანოვს) რომ წინააღმდეგი ვარ მისი მუშაობისა, ის შეიქნა ლრუბელზე უფრო შავი. დაიბადა პირდაპირ „ათიმკის" ატმოსფერა. გუშინ 11) ჩვენ შევყარეთ ჩვენი სარედაქციო სამება ამ საკითხის გასარჩევათ. აქ ჩვენ უეცრათ მოგვაგონდა ერთ სულელური საქციელი ჟურნალში „Neue Zeit" მე ოცე ნომერში, ვილაც უცნობმა მთარგმნელმა მოათავსა წერილი ბაგდანოვზე და მახზე; სხვათა შორის მან წამოროშა, რომ ბაგდანოვის და პლეხანოვის უთანხმოებას აქვს რუსეთის ს. დ. ტენდენცია გახთეს ფრაქციულ უთანხმოებათ ბ(ოლშ)ე(ვი)კების და მე(ნ)შევიკების შორის!

ამ სიტყვებით სულელმა, რომელმაც ეს დაწერა, ჩვენ შეგვაერთა. ჩვენ საჩქაროთ შეკითხვლით ამ მოსაზრებით, რომ განცხადება ჩვენი ნეიტრალობის შესახებ უსათუოთ საჭიროა მოხდეს ახლავე, „პროლეტარის" პირველ ნომერში. ეს მეტის მეტად ეთანხმებოდა ჩემ სულისგანწყობილებას „მიმოხილვების" გამოსვლის შემდეგ. განცხადება შევადგინეთ და ერთხმათ დავამტკიცეთ; ხვალ ის დაიბეჭდება „პროლეტარის" მე ოცდა ერთე ნომერში და გამოგეგზავნებათ თქვენ-

რაც შეეხება თქვენს წერილს—გადავწყვიტე ჯერ ჯერობით მაზე საკითხის გადადება; ჩვენ გაცნობებთ სამივე რედაქტორის ცალ-ცალკე წერილით საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მდგომარეობას, და ვეცდებით დავეჩქაროთ ჩემი და ბოგდანოვის ჩამოსვლა.

თქვენ, მაშასადამე, უნდა ეიღოთ წერილი ალ. ალ. (ბაგდანოვისგან) და კიდევ მესამე რედაქტორისაგან, (დუბროვინსკისაგან) ოომელზედაც მე თქვენ წინათ ერთხელ მოგწერეთ.

მე ვთვლი საჭიროთ გიამბოთ პირდაპირ ჩემი შეხედულება. ფილოსოფიის შესახებ ბ(ოლ)შ(ევი)კების შორის რამოდენიმეთ ჩხუბს მე ვთვლი უსათუოდ აუცილებლათ. მაგრამ ამისთვის გათიშვის მოხდენა ჩემის აზრით სისულელეა ჩვენ შევადგინეთ ბლოკი მუშათა პარტიაში გარკვეულ ტაქტიკის გასატარებლათ ჩვენ ეს ტაქტიკა გავაკეთეთ და აქამდის გაგვყავს სრული თანხმობით; (ერთად ერთი უთანხმოება იყო მესამე სათათბიროს ბოიკოტის შესახებ), 14) მაგრამ ის, ჯერ ერთი არასოდეს არ გაწყვეტილა იქამდის, რომ ოდნავ მაინც საფიქრებელი ქოუილიკი გათიშულა; მეორე მხრით ის არ უარიგდებოდა მატერიალისტების და მახისტების უთანხმოებას, რადგან მახისტი ბაზაროვი მაგალითად, იყო როგორც შ. ბოიკოტის წინააღმდეგი და ამის შესახებ დაწერა კიდეც (დიდი ფელეტონი „პრავდაში").

რეფოლიუციონერ სოციალდემოკრატიის ტაქტის გატარების შეფერებაა მუშათა პარტიაში მარქსიზმზე ან მახიზმზე კამათის გულისათვის ჩემის ფიქრით უნდა ჩაითვალოს შეუწყნარებელ სისულელეთ. ჩვენ უნდა ვიდაოთ ფილოსოფიაზე იმნაირათ, რომ „პროლეტარს" და ბ(ოლშ)ე(ვი)კებს, როგორც პარტიის ფრაქციას ჩვენ არ უნდა შევეხოთ. ეს საკვლევით შესაძლებელია. და თქვენ კი ჩემის აზრით შეგიძლიათ ამ საქმეს დაეხმაროთ. დახმარებას წეძლებთ იმით, რომ დაიწყებთ ბუზაობას „პროლეტარში," ნეიტრალურ (ე. ი. ფილოსოფიას სრულებით რომ არ ეხებიდეს) ლიტერატურულ კრიტიკის საკითხებზე, პუბლიცისტიკაზე, ზოატვრულ შემოქმედებაზე და სხვა. თქვენ წერილს, თუ გსურთ რომ გათიშვა არ მოხდეს და ახალი ჩხუბი თავიდან აგვაცდინოთ, დაჭირდება შეკეთება: ყველაფერი რაც ბაგდანოვის ფილოსოფიას შეეხება გადაიტანოთ სხვაგან. თქვენ ლვთის მადლით, „პროლეტარის" გარდა გაქვთ სხვა ალაგიც სადაც წერა შეგიძლიათ. ყველაფერი რაც ბაგდანოვის ფილოსოფიას არ შეეხება, და უმთავრესი ნაწილი წერილისა იმას, არ შეეხება, გადააკეთეთ ცალკე წერილებათ „პროლეტარი"-სათვის. თქვენის მხრით სხვანაირათ მოქცევა ე. ი. უარის თქმა წერილის გადაკეთებაზე ან „პროლეტარში" თანამშრომლობაზე, უსათუოდ უფრო გაამწვავებს ვინელიქტს ბ(ოლშ)(ევი)კებთა შორის და გაამნელებს ახალი ჩხუბის თავიდან აცდენას; ის აგრეეე დაასუსტებს პოლიტიკურათ და პრაქტიკულათ ყველაზე უფრო საჭირო საქმეს რევოლიუციონურ ს. დ. რუსეთში.

ასეთია ჩემი აზრი. მე თქვენ გითხარით ყველაფერი რასაც ვფიქრობდი. აწი უცდი თქვენს პასუხს.

თქვენთან წამოსვლას ვაპირებდით დღეს. მაგრამ გადავიფიქრეთ და იძულებული გავხდით გადაგვედვა ერთი, ორი ან შესაძლებელია სამი კვირით.

მაგრათ გართმევთ ხელს თქვენი **ვ. ლენინი.**

1) წერილი გორკის ჩვენთვის უცნობია. დაწერილია „პროლეტარიასთვის“ მისი შინაარსი იარკვევა ვლადიმერ ილიჩის [illegible] ინსტრუქციებით. 2) წიგნი „მარქსისტულ ფილოსოფიის მიმოხილვა“ გამოვიდა 1908 წ. (ს. პ. ბ. გამ. „ზერნო“) შინაარსი:

ვ. ბაზაროვი: „ნისტიციზმი და რეალიზმი ჩვენ დროში“. ბერმან: „დიალექტიკის შესახებ“. ლუნაჩარსკი: „ატეისტები“. პ. იუშკევიჩი: „თანამედროვე ენერგიკა ემპირიოსიმვოლიზმის თვალსაზრით“ ბაგდანოვი: „კერპების ქვეყანა და მარქსიზმის ფილოსოფია“. ი. გელფონდ: „ფილოსოფია დიცგენის და თანამედროვე პოზიტივიზმი“. ს. სუვოროვი: „ძირითადი დებულებანი სოციალურ ფილოსოფიის“. 3) წიგნი ალ. ალ. ბაგდანოვის: „ძირითადი ელემენტები ბუნებაზე ისტორიულ შეხედულების“ გამოვიდა 1899 წ. მოსკოვში. ვლადიმერ ილიჩი იმ დროს გადასახლებული იყო. 4) ბროშიურა: „ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან“ გამოვიდა ჟენევაში მაისის 1904 წ. (გადასტამბულია თხზულებათა კრებულში V ტომი გვერდი 303—490.) 5) აქ ლაპარაკია ა. ა. ბაგდანოვის წიგნზე: „ემპირიომონიზმი“ ი ნაწილი 1 ს. პ. ბ 1904 წ. 6) მარქსისტული კრებული: „მარქსისტულ მსოფლმხედველობის მიმოხილვა“, რომელიც მიმართულია ნაროდნიკების და რევიზიონისტების წინააღმდეგ, გამოვიდა 1904 წ. შინაარსი: ს. სუვოროვი: „საფუძვლები ცხოვრების ფილოსოფიის“ ე. ლუნაჩარსკი: „საფუძვლები პოზიტიურ ესთეტიკის“. ვ. ბაზაროვი: „ავტორიტარული მეტაფიზიკა და ავტონომიური პიროვნება“. ა. ბაგდანოვი: „გაცვლა და ტეხნიკა“. პ. მასლოვი: „აგრარულ საკითხის შესახებ“. ა. ფინნ: „სამრეწველო კაპიტალიზმი რუსეთში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში“. პ. რუმიანცევი: „რუსეთის გლეხობის ევოლიუცია“, ნ. კორსაკ. (ა. ბაგდანოვ.): „საზოგადოება უფლებრივი და საზოგადოება მომავლის“. ვ. ფრიჩე: „სოციალურ ფსიხოლოგიური საფუძვლები ნატურალისტურ იმპრესიონიზმისა“. ვ. შულიატნიკოვი: „აღდგენა დანგრეულ ესთეტიკის“. პლეხანოვის და ლენინის წერილები კრებულში არ ყოფილა 7) ა. ა. ბაგდანოვი იყო დაკავებული 2(15) დეკემბერს 1905 წ. მაშინ, როდესაც დაპატიმრებულ იქნა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო. წიგნი, რომელიც მან ციხეში დაწერა, ნამდვილათ იყო „ემპირიომონიზმი“ ნაწ. III ს. პ. ბ. 1906 წ.

8) ამ რვეულების ბედი ჩვენ არ ვიცით. იმ მასალებში, რომელიც ვლადიმერ ილიჩის საზღვარ გარეთის არქივმა გადასცა ინსტიტუტს ისინი არ არის. იმის და მიხედვით, რომ ამ რვეულებს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ვლადიმერ ილიჩის ფილოსოფიურ შეხედულებათა ისტორიაში, ინსტიტუტი იქნებოდა დიდათ დავალებული იმ ამხანაგებით, რომლებსაც შეეძლებოდათ ამ „რვეულების“ აღმოჩენა 9) როგორცა სჩანს, ვლადიმერ ილიჩი კითხულობდა კრებულს წერილების დალაგების და მიხედვით. სუვოროვის წერილი: „სოციალურ ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი“ (გვერდი 291—328) არის კრებულში უკანასკნელი.

„ემპირიოსიმვოლიზმათ“ მონათლა თავის სისტემა კრებულის მონაწილემ პ. იუშკევიჩმა, რომელიც წარმოადგენს ემპირიოკრიტიციზმის ვარიაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11) ე. ი. 24 თებერვალი 1908 წ.

12) ბოგდანოვის წერილი მახზე, რომელზედაც ლაპარაკობს ვლადიმერ ილიჩი არის ამნაირი სათაურით; Erust Mach nuddie Revolition (ერს მახი და რევოლიუცია.) Gon A Bogdanoff, Neuezeit I Band № 20 (14 თებერვალი 1908 წ. გვერდი 695—700).

13) „პროლეტარიატის" მე ოცდა ერთ ნომერში, რომელიც გამოვიდა 26 თებერვალს 1904 წ. არი მოთავსებული რედაქციის შემდეგი განცხადება:

„Neue Zeit"-ის № 20-ში.

ე. ბოგდანოვის წერილის ჩვენთვის უცნობ მთარგმნელის წინასიტყვაობაში ერნსტ მახის შესახებ, წავიკითხეთ შემდეგი: „ჩვენდა სამწუხაროთ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში თან და თან ორკეცვა დიდი სურვილი მოახდინონ შესაძლებელი დამოკიდებულება მახთან პარტიის ფრაქციებთ დაყოფის საკითხებში. ფრიად სერიოზული ტაქტიკური უთანხმოებანი ბოლშევიკებს და მენშევიკებს შორის მწვავდებიან კამათით იმ საკითხის შესახებ, რომელსაც ჩვენი აზრით, ამ უთანხმოებასთან არაფერი კავშირი არ აქვს. მაგალითად: შეესაბამება თუ არა ფეოერტიულ შეხედულების მხრივ მარქსიზმი სპინოზას, და გოლბახის, ანდა მახის და ავენარიუსის მოძღვრებას?" ამის შესახებ „პროლეტარის" რედაქცია, როგორც იდეური წარმომადგენელი ბოლშევიკურ მიმდინარეობის, სთვლის საჭიროთ განაცხადოს შემდეგი: „არსებითად ეს ფილოსოფიური კამათი ფრაქციული არ არის და, რედაქციის ფიქრით, არც უდა იყოს ასეთი: ყველავე ცდა, რომ უთანხმოებას მიეცეს ფრაქციული ხასიათი, არის ყალბი და შეცდარი. ორივე ფრაქციის მიმდევართა შორის არიან მომხრენი ამ ფილოსოფიურ მიმართულებების.

14) ლენინი ილაშქრებდა მესამე სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის სასარგებლოთ. (იხილე მისი წერილი: ბოიკოტის წინააღმდეგ". თხუზ. კრებული ტ. VIII გვ. 434—461). ა. ა. ბოგდანოვი კი იყო მომხრე სათათბიროს ბოიკოტის, და გამოვიდა პარტიულ კონფერენციაზე 1907 წ. „ბოიკოტისტების" სახელით.

15) ბოგდანოვის წერილი: „Парламентский кретинизм наизнанку", მოთავსებულია სელმოუწერლათ № 18 „პროლეტარში" 26 ოქტომბერს 1907 წ.

წერილი 6.

(მარტი 1908)[1])

ძვირფასო ა. მ!

დიდია ხანია მე თქვენთვის არ მომიწერია. ჩვენი მოგზაურობა გვიანდება: ახლა უმთავრესი მიზეზი არის ის რომ ბრიუსელიდან არაკითარი ცნობები არ მიგვიღია. მეგობრებმა მომწერეს იქიდან, რომ ნე მომელიან (საერთაშორისო სოციალისტურ) ბიუროს სხდომაზე. მე შევეკითხე სეკრეტარს, როდის უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგემგზავრო (ვინაიდან მე მინდება იტალიაში წასვლა) ბრიუსელიდან ქალბდის არ არის.

ბრიუსელის გამოტოვება კი შეუძლებელია.

მიიღეთ თუ არა „პროლ(ეტარი)"? რას აპირებთ მის შესახებ? რას აპირებს ან. ვას. (ლუნაჩარსკი)? ნისი უარი კომუნის შესახებ წერილა მე მივიღე საჭუ-ხაროთ. ჩვენი მესამე რედაქტორი არის ინოკენტი (დუბროვინსკი). მომწერეთ რა გეგმა შეიმუშაეთ თქვენ და ან. ვას პროლეტარისთვის.

გართმევთ ხელს თქვენი **ლენ(ინ)ი**

1) წერილს თარიღი არ აქვს. ეეჭვევლათ ეკუთვნის 1908 წ. მარტს, და უკრო ადრე დაწერილია ვიდრე № 7 რომელსაც აქვს 16 მარტის თარიღი.

წერილი 7,

16 III 08.

ძვირფასო ა. მ.

საჭუხაროა, რომ არ მიხერხდება თქვენთან ჩამოსვლა. ბრიუსელიდან მოვიდა პასუხი და აქ დაბრკოლება არ არის, მაგრამ არა მაქვს ფული, არა მაქვს დრო, არც გაზეთის მიტოვება შეიძლება.

თქვენ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ გყავთ თხა, და ეს ნამდვილია უნდა იქნეთ კარგ სულიერ განწყობილებაში, და ნორმალურ ცხოვრებაში.

ჩვენთან კი საქმე კარგად არ ეწყობა. ამ ფილოსოფიის გამო მე და ალ. ალ. (ბაგდანოვი) ვართ თითქმის დამდურებული.

გაზეთს თავი დავანებე ფილოსოფიით გატაცების მიზეზით: დღეს წავიკითხავ ერთ ემპირიოკრიტიკას და ვიგინები ქუჩურ სიტყვებით, ხვალ მეორეს და ვაგინებ დედას. რაც შეეხება ინოკენტის (დუბროვინსკი) ის საჭართლიანათ მტუქსავს მე იმისთვის, რომ არა გულმოდგინეთ ვეკიდები „პროლეტარს". საქმე არ მიდის ბეჯითად.

ნაგრამ სხვანაირათ არ მოხერხდება. გადაიტანეთ—უქვილი დარჩება.

დიდებული იქნებოდა თუ, თქვენი დიდი საქმის დაფულალტიანებლათ, შეგეძლებოდათ დაგეწერათ რაღაც „პროლ(ეტარისთვის)". გართმევთ ხელს: დიდი სალამი ა(ნატოლი) ვას(ილევიჩს) და მა(რია) ფე(დოროვნას).

თქვენი **ლენინი.**

ძ. ჩერნიავსკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინის წერის მეთოდი.

მეტი სასარგებლო და სასიამოვნოც არის „რევოლიუციის ცდის“ რეალური განხორციელება, ვიდრე მასზე წერა.

ასე ამთავრებს ლენინი „სახელმწიფო და რევოლიუციის“ ბოლოსიტყვაობას.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში ის უპირატესობას აძლევდა „ესწავლა ხალხი არა მხოლოდ წიგნაკით, არამედ საჭაროდ, ყოველმხრივ პრაქტიკაზე გადასვლით“—

მასსების მასწავლებელმა ბევრი რამ შეისწავლა მასსებისაგან.

თვით სიტყვა, ტეხნიკა პოლიტიკურ მეტყველების, დაიგრავნა და შეიკუმშა როგორც რკინის საბელი ოკეანეში.

წერის მეთოდი, ისე როგორც სახელმწიფოს მოწყობა „მასათა პრაქტიკის საკითხია და არა ბელადთა თეორიის“.

როგორც ტროცკიმ სთქვა „ლენინი უდიდესი უტილიტარისტია“.

საკუთრივ, მთლიანად, ის დიადი მებრძოლი, სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელია.

ის არ არის დიადი მწერალი. ჯერ კიდევ 905 წელს ის აძაგებს „ლიტერატურულ კარიერიზმს“ და ამბობს:

„ძირს ლიტერატორები—ხეკაცები“

ლენინის წყობილსიტყვაობა კონკრეტ ამოცანებზე რევოლიუციონური მუშაობის ნაყოფია,—მუშაობის, რომელიც დაუზოგავად გაბედულია და ამავე დროს მასსათა მოძრაობის პრაქტიკულ პირობების ანგარიშის გამწევი“.

ამ „პრაქტიკულ პირობებზე“ მითითება და „კონკრეტ ამოცანათა“ გადაწყვეტის უნარიანობა, მის წერილს უჩვეულო ასოციატიეურ სიმძლავრეს აძლევს.

სწორედ ეკანასკნელით ხასიათდება ზემომოყვანილი ციტატა.

ლენინი—მწერალი, ისე როგორც არავინ, ეჯახება მასალათა სიჯიქეს—მასსათა მოძრაობას და კიდევ მეტად მომქმედ „აქტუალურ“ უძრაობას.

რევოლიუცია უეჭველად, უალრესად ავტორიტარული საგანია, როგორიც კი შეიძლება. ამიტომაც ლენინის ენა მბრძანებელია, საქმიანი, ძლიერი.

ეს არის—ეკიმის ენა საბიკვდილო ოპერაციის დროს. ან კიდევ კაპიტანის,

როდესაც გემი იღუპება. ხოლო მისი ასეთი ლტოლვა მიზნისაკენ შემთხვევითი როდია—მუდმივია.

მისი სიტყვა არის, მისი მთავარ და ნამდვილ პროლეტარიულ რევოლიუციონურ მუშაობის მაშველი პროდუქტი. (წერილი საბჭოთა ხელისუფლების 4 წლის თავზე).

„ჩვენ გვსურს ქვეყანა გარდავქმნათ".

პრაქტიკულ მეტყველებაში შემოქმედებითი საწყისი ისე დიდია, როგორც არსად და ლიტერატურის საქმეა კვალ და კვალ მისდიოს ცხოვრებას, ეცადოს გადმოიღოს მისგან სიტყვის დღიური ჭირვარამი, რომლის დარჯაკშიც მუშავდება ჩვენი სიტყვა.

განმეორებით, საქმიან და ოსტატურ ფორმათა განბოროტიელებით იქმნება წერის ხელოვნება, შემოქმედებითი და ეკონომიური წყობა სტილის.

აქ „რაოდენობა გადადის თვისებაში".

დინამიურობა ბოლომდე, ლენინი წინად გრძნობს მოდუნებას. („вывод против анархистов) приобрел прочность предрассудка" კიდევ „Отделывается солидно звучащими банальностями".

ლუნაჩარსკის სიტყვით (ლენინი და ხელოვნება) ლენინი მბაძვრობის სხვადასხვა სკოლათა შეცვლაში ბევრს სასარგებლოს ხედავდა მარქსიზმის დასამუშავებლად.

აქ ბომ ყოველივეს დინამიკაა, მეთოდების, შეხედულებათა და გამახვილების სხვა და სხვანაირი კავშირი.

„ცნებათა გამოყენების არე, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იცვლება და მისი აბსოლიუტურად მიღება უმართებულოა".

ეს თვით ყოფაა და ლენინს ამ ყოფის „ძირითადი ელემენტები უნდა დაეუფლა—განვითარების ძირითადი ტენდენცია უნდა გამოეყო" (ტროცკი. ლენინის და გორკის შესახებ.)

ერთეულის მუშაობა-ხელოვნება და მასის-რევოლიუცია განვითარების სქემატიზობით ერთგვარია, სწორედ ამ ძირითად ტენდენციით. მასსა იკრებს კლასობრივ ჩაგვრას, არიგებს მოდინარე წინააღმდეგობებს და ამუშავებს ყოველივეს. აფეთქების წამი დგება და მასსა მოქმედებს, ჰქმნის ახალ ქვეყანას.

ასე მხატვარი, ბგერის, საღებავის თუ სიტყვის ოსტატი გარეშე ძალთა ზემოქმედებას განიცდის, ნედლი მასალის გარდაქმნის დროს.

შემოქმედებითი აფეთქება მას ანიჭებს აქტიურ ცხოვრებას. ამიტომ შემოქმედებითი ეპოქა მასსათა ცხოვრებაში რევოლიუცია და ახალის მშენებლობა —ისეთი ნაყოფიერი როდია ხელოვნების ზოგად მიღწევებში, როგორც მის კერძო ნიშნებში საქმიან პოლიტიკურ მეტყველებაში.

განვითარების თვითეული ფაზა თავის კანონს ემორჩილება, მაგრამ რევოლიუციის ორომტრიალში განმეორებაც ხშირია და აუცილებელი.

კანონი ხანგრძლივია ხოლო ახლა ჯერ კიდევ ათი წელი არ გასულა და ამიტომ სიტყვის კანონიერება თითქმის ძალითაა მოსაპოვები. დაშავდება ამით მისი აკადემიური წყობა.

კეთილი, ჩვენ არა ვართ მუზეუმში და არც მუშა მკითხველი არის ის მანქანის კაცი, რომელსაც სახავდენ ბურჟუაზიის მოცლილი პოეტები.

დაზგის კაცი მძლე და გონება მახვილია, მას მიეცი ხელუხლები და უყი ნიადაგი.

ადამიანის გათვითცნობიერება შესაძლოა არა მარტო საკითხის გამარტივებით.

ასე სწყვეტს ლენინი პარტიის სახელწოდების გამოცვლის საკითხს. ის ართულებს თვითეულ სიტყვას და მის არსებითობას:

> სახელწოდება სოციალ-დემოკრატია მეცნიერულად სწორი არ არის, როგორც ეს არა ერთხელ აღნიშნა მარქსმა სხვათა შორის „გოტის პროგრამის კრიტიკაში“ 1875 წელს. ამ საკითხს პოპულიარიზაცია უყო ენგელსმა 1894 წელს. კაპიტალიზმიდან კაცობრიობას შეუძლია გადასვლა უშუალოდ მხოლოდ სოციალიზმში ე. ი. საწარმოო საშუალებათა საერთო მფლობელობაში და პროდუქტების, შრომის მიხედვით განაწილებაში. ჩვენი პარტია ითვალისწინებს შემდეგში:
>
> სოციალიზმის თან და თან გადასვლა კომუნიზმში გარდაუვალია.
>
> კომუნიზმის დევიზია: „თვითეულისაგან ნიჭისამებრ და თვითეულს მოთხოვნილებისამებრ“.

იქვე ლენინი მოკლედ და მკვეთრად სვრის კითხვას:

> „მეცნიერულად არ არის სწორი ჩვენი პარტიის სახელწოდების მეორე ნაწილიც. (სოციალ-**დემოკრატია**). დემოკრატია „**სახელმწიფოს** ერთ-ერთი ფორმაა და ამავე დროს ჩვენ მარქსისტები ყოველგვარ სახელმწიფოს წინააღმდეგი ვართ“...
>
> „მხედველობაში უნდა გვქონდეს ახლო მომავლის დემოკრატია, რომელიც ამიერიდან დემოკრატიად არ ჩაითვლება, რადგან დემოკრატია ხალხის ბატონობაა, ხოლო შეიარაღებულ ხალხს თავის თავზე ბატონობა არ შეუძლია“.

აქ ცნებები ცნობიერების მსვლელობას აჩერებს, თითქოს მას უკანვე აბრუნებს, ჰქმნის თავისებურ ქარიშხალს, რომელიც იზიდავს და იპყრობს ყურადღებას.

ეხლა საგიტაციო ნების უკანასკნელი სახე რომელშიდაც შედუღდა ყველა დებულებები ერთად:

> „სიტყვა დემოკრატია არა მარტო მეცნიერულად არ არის სწორი კომუნისტურ პარტიის მიმართ; ის ეხლა 1917 წ. მარტის შემდეგ რევოლიუციონურ ხალხის თვალზე აფარებული ჩადრია, რომელიც მას ხელს უშლის ოამაბად და თავისუფლად შექმნას ახალი: მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოები, რო-

გორც ერთად-ერთი ხელისუფლება სახელმწიფოში—წინამორბედი ყოველგვარ სახელმწიფოს მოსპობის (პროლეტარიატის ამოცანები რუსეთის რევოლიუციაში ტ. XIV). ოვით ცნებებს ის ლებულობს ცხოვრების სინამდვილის წიაღიდან და სიტყვა ძლიერი და მკვეთრი ნივთად იქცევა. ხოლო „ლენინმა კარგად იცოდა ნივთთა ღირებულება“ (ტროცკი).

ცხოველ მყოფელი ცვალებადობა და განადგურების ნიშანი—სიკვდილის სვლა მას სხვადასხვა ნაირად აქვს გადმოცემული:

„რუსეთის მუშებმა პროლეტარული მოძრაობის, ასე ვსთქვათ, ნორჩ ნიადაგზე, უფრო დაწინაურებულ მეზობელ ქვეყნების დიდი გამოცდილება გადმოიტანეს“.

აქ გრძნობ ორთქლმავლის მსელელობის ძლიერ ტემპს.

„სოციალ-დემოკრატია მისი გახრწნის და მიხედვით“.

„სახელმწიფო კვდება—ეს პროცესის თანდათანობის და მისი სტიქიურობის მაჩვენებელიც“.

უკანასკნელი ამონაწერი ცხად ყოფს წინა ორ ციტატის მნიშვნელობას.

ხან და ხან ლენინი იღებს ცოცხალ პოლიტიკურ საკითხს და მიმართავს არა გრძნობას და წარმოდგენას არამედ შეკრძალებას. ამრიგად, მას პოლიტიკა მასსის დონემდე დაჰყავს, ხოლო მიმდინარე სახელმწიფო საჭიროებანი, დღიური ჭირვარამი—იდეათა მიმზიდველობის კანონამდე, „განვითარების ძირითად ტენდენციებამდე“ აჰყავს.

„ოსმალეთის შევიწროების და დაჩუცმაცების პოლიტიკა“.

„ჩვენ ამას ან დავასაბუთებთ ან არა და ის ჩვენ ეშმაკის კერძად გაგვხდის“.

(სიტყვა მე-11 ყრილობაზე).

„უალრესად ცდუნებული პოლიტიკურ თაღლითობის წესებში“.

„თუ აღმოუჩენენ ისინი ერთმანეთს სოციალისტურ სინდისის ნიშან-წყალს“.

„შეზღუდვა მაშერალთ პოლიტიკიდან თიშავს,—დემოკრატიაში აქტიურ მონაწილეობისაგან“.

აქ პარტიის, სახელმწიფოს შეხედულებანი ისე ცხადია, როგორც უცნობი პიროვნება პირველი შეხვედრის დროს. თავის განსაკუთრებული თვისებებით რევოლიუციას კი არ გაუმახვილებია ილიჩის ბეჭდველება;—შორსმჭვრეტელობა მისი მუდმივი თვისებაა.

აი შაუმიანისადმი ნაციონალური საკითხის შესახებ წერილის ნაწყვეტები:

„გსურს გამოყოფა—ეშმაკამდის გზა ჰქონია“—„თუ ჩაგვრა და უთანხმოება ისეთია რომ ისინი ლუპავენ და სპობენ ეკონომიურ კავშირს“.

„არ გსურს გამოყოფა, მაშინ უკაცრავად ჩემს მაგიერ ნუ სწყვეტ“.

ეს მკითხველის და საკითხის დაპირისპირებაა.

ასევე ლენინის შედარებები ფაქტებს გვაახლებს. რასაკვირველია, წარმოდგენისადმი, მაგრამ განა ასეთ შედარებებს მხოლოდ დაჩრდილვა შეუძლია, როგორც „ლეფი“ ფიქრობს?

„დეკრეტებისადმი სიყვარული ჩემში არ არის“

(„ამბობს) თითოს ლუფას ღეჭვდეს ძილში“ (პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი).

„ეს ფაფაა აზრის ნაცვლად“.

„რაც მეტი ფაფაა (ინტერნაციონალში) მით ერთობაც მეტია“.

„პოლიციელი არამზადის ყავარჯნით გსურთ გაამაგროთ ეკონომიკა“.

„(ლოდინი)—ეს ნიშნავს რუსეთის რევოლიუციის დასამსხვრევად გაცემას“.

უკანასკნელი ამონაწერი აყენებს კონსტრუქციის საკითხს. „განა სიტყვა კონსტრუქციისათვის არსებობს“. (ლ. ტროცკი). რასაკვირველია არა.

„მსოფლიოს არავითარ ძალას არ ძალუძს გაბედოს, ხელი შეახოს რუსეთის თავისუფლებას თუ შეიარაღებული ხალხი დაიცავს“.

შემდეგ ამ ფოლადის კონსტრუქციიდან მხოლოდ მძლავრი ნაფლეთები დრჩა.

—„სამხედრო კასტა მოისპო, ყოველი ჯარისკაცი მოქალაქედ აქცია და ყველა იარაღის ტარების უნარის მქონე მოქალაქე ჯარისკაცებათ“.

აი თავისებური, ჯერ არ ნახული ლაკონიური კონსტრუქცია.

„მკვდარი ხალხი ასეთი საქმის გმირია“.

„ნასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი (მუშათა კლასის) იცვლება მოხდენილი შესუსტებით“.

„Легкая, Легонькая“.

ასეთი ფრაზა ხშირად ასწორებს კონსტრუქციას: „დემოკრატიზმით ხალხისათვის და რა დემოკრატიზმით მდიდრებისათვის (богатеньких).

აი კიდევ არა რთული, მაგრამ მომქმედი დაპირისპირება:

„ გერმანელი პლეხანოვი ე. ი. შეიდემანი შეუთვისდება რუსეთის შეიდემანს ე. ი. პლეხანოვს“.

ხან და ხან წინადადება შენდება გამახვილებულ, მკვეთრ და მაგარ წინადადების უბრალო ნაწილებით:

„სახელმწიფო იშვება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენათაც კლასობრივი წინააღმდეგობათა ობიექტურად შერიგება შეუძლებელია“.

აქ მოცემულია წინადადების წმინდა გერმანული დანაწილებითი წყობა. აი განმეორებაც ტემპერამენტულ ფრაზაში:

„სახელდობრ კომუნის მაგალითზე მარქსმა გვიჩვენა, რომ სოციალიზმის დროს თანამდებობის ხალხი „ბიუროკრატობას", „ჩინოვნიკობას". დასტოვებს **იმდენად**, რამდენათაც შემოღებულ იქნება საარჩევნო წესის გარდა **კიდევ** თანამდებობიდან გადაყენებაც, და **კიდევ** ხელფასის დაყვანა საშუალო სამუშაო ხელფასის დონემდე, და **კიდევ** პარლამენტალურ დაწესებულებათა შეცვლა—მომუშავე, ე. ი. კანონების გამომცემ და მათი ცხოვრებაში განტარებელ დაწესებულებით.

აქ სიტყვის ნაწილი—ცალკე სიტყვებია—გრამატიკა თავის თავად.

არსად ასე ნათლად არა სჩანს ლენინის საქმიანი პრაქტიკული მეტყველების შეზრდა ხალხურ გამოთქმასთან, როგორც აქ, არა მარტო ცალკე სიტყვებში არამედ იმაშიდაც რომ მოხდენილი სიტყვა სწურავს ცნებას. ასეთია წერილების ფოლადისებური სათაურები:

„სიცრუის კავშირი", „უჭკუო ბოროტი სიხარული", „არა დემოკრატიულია, მოქალაქე კერენსკი", „გერმანიაზე წრფელზე უწრფელესად ნათქვამია ამ ბროშიურაში".

„ჩავახშოთ ეს კრიზისი ახალი დეკლარაციით".
„საკვებით დაშინებული ბურჟუაზიის მიერ"
„საკითხის ერთფეროვნად დასმა და ორფეროვანი სინამდვილე"
(წერილები ტაქტიკის შესახებ. 1917 წ.)

ავტორი მგძნობიერია თანხმოვან სიტყვათა მაგიაშიდაც.

"მაშინ რუსეთის ძალუძს შედგარი მაგარი სწორი ნაბიჯით"...

ის მგრძნობიარეა ავრეთვე რუსული სიტყვის ნაწილაკებშიაც;

„беспорной и бесплодной философской истины"

გერმანულ ფრაზებშიდაც „ver und erbrechen.

თვით სიტყვა ლენინის ისეთი მკაცრია, მისი გამოთქმის ირონია ისეთი დამასამარებელი, რომ ფიცის მიცემაც არ არის საჭირო და უარესი დალი მოწინააღმდეგეთათვის—თვით საკუთარი სახელებია—შეიდეკანი, ლეგინი, დავიდი—„ვერ შესძლებთ, ბ.ბ. ნეკრასოვებო, ვერ შესძლებთ"

ხშირად ავტორი ხმაროობს ისეთ გესლიან სახელწოდებას რომ შიში გიპყრობს წერილის დაბოლოებამდე.

„სალდაფონები (905) სოციალ-შოვინიზმის ნაძირალები"

ეს კანონია, კანონია საათით, რამოდენიმე დღით, დიდი ხნით სახსოვარი. ასეთი მოკლე სიტყვით;

„ნაძირალი და ყაჩაღი ვილჰელმ"

ლენინი გადასცემს მკითხველს მთელ თავის სიძულვილს და რისხვას.

ხშირად უხდება მას განმეორება მაგ.—„განმარტება მასსებს" მაგრამ მისი სიტყვა მაინც ცოცხალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპასუხებ კიდევ „ლეჩს“—ინერცია არა მარტო უარყოფითი ცნებაა.

მე ვწერ, ვკითხულობ, ვამუშავებ ეს მამოძრავებელი ინერციაა. ჩემს დაუბეჭდავ რეცენზიაში „ლეჩ“-ის შესახებ მე ვსწერდი: „პრაქტიკოსი ა. ბაბელი თეორიტიკოსებზე უფრო ცოცხლად გვაგრძნობინებს თუ რა არის ლენინის ენა“ და უთვალთვალებდი ალფრთოვანებით ლენინის სისწორის იდუმალ გრეხილებს.

ძრიელ მოხარული ვიყავი, როდესაც ეს საგოგმანები ფრაზა აღნიშნა ლ. ტროცკიმ თავის წერილში: „ლენინი და გორკის შესახებ.“

შევთანხმდეთ. მეთოდი ეს წერის ტექნიკურ წესების კრებულია, პრაქტიკით გამობრძმედილი, თუ რა არის მეთოდი—ეს განსაკუთრებით ცხადია ლენინის ხელოვნებაში—ციტატიკა.

ანდაზები ციმციმებენ მის ხელში როგორც მაისის ციცინათელა, მტრების საღი შეხედულება შხამით ივსება.

ოქტომბრისტების მერყეობა—აი მარჯვე სიტყვა არა მარტო საქმიანი არამედ სოც.-რევ. და მენშევიკების პოლიტიკური ბაზის სწორი შემფასებელი. ერთი შენიშვნაც—„მას ზოგჯერ ესმის საქმის შინაარსი, ეს მოქალაქე მილიუკოვია,

„სახელმწიფო და რევოლიუციის“ ყოველი სტრიქონი გვიჩვენებს თუ როგორ განმარტავს ლენინი მარქსიზმის მასწავლებელთა ზოგიერთ სიტყვებს, ართულებს და აცხოველებს ცნებებს.

ლენინის ციტატებში თუ შესცვლით „კრიზისებს—მეთოდებით“ მაშინ მის ხელში ისინი „იდუმალს აშკარად ხდიან“ უკუაგდებს პირობითს, ზერელეს, წერილმანს, პოლიტიკურ ნაგავს და აამკარავებენ კლასთა ბრძოლის ჭეშმარიტ მიზეზებს.

კეთილი.—მეთოდი—მეთოდათ, მაგრამ როგორია მისი ნაყოფი?

ბევრი მეუბნებოდენ მე: „თავი ნიანებეთ, განა ლენინი მწერალია—აი ტროცკი?, არა მეგობრებო ლენინი არა მარტო „ბუმბერაზი ადამიანია“ (ტროცკი), არამედ დიადი მწერალიცაა.

ძველი იურისტი ტრუბეცკოი ამბობს: „სახელმწიფო შექმნილია თავდაცვის მიზნით“.

რა ოოლია ამ დახავსებულ აზრის დამსხვრევა მხოლოდ ლენინის ერთი ნარკვევით სახელმწიფოზე, რომელიც არის კლასობრივ წინააღმდეგობათა გამოხატულება და პროდუქტი.

ტრუბეცკოის ბიერ ხომ ასე ამაყად უკუგდებულია საზოგადოებრივი სტადიები, გვარი, ტომი და სხ.—და ეს უნივერსიტეტის კურსში და არა პაწია ბროშიურაში. აბა რა არის კლასი? ნათელია ორი სიტყვით.

„არ იქნება კლასები, ე. ი. ხალხი სხვა და სხვანაირათ განწყობილი წარმოებისადმი“.

ვამთავრებ. ლენინი იყო ისეთი უტილიტარისტი, რომ მწერლის ბიერ ანაგებ ლამაზად შექმნილ აფორიზმებს ვერ უპოვით. მასზე ზეგამოქრილია განსვენებული ფუტურისტი იგნატიევის სიტყვები „Умных афоризмов не держу“.

ბ. უსტინოვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევოლიუციის ტრიბუნი.

I. რევოლიუციის ალში.

რკინის გზის ლიანდაგზე სადგურ „სვიაჟსკის" ლატაკ წენობების ახლო სექტემბრის ლურჯ ღამეში იდგა კაცი წყალ-შეუვალ ნაცრისფერ პალტოში გამოწყობილი. ერთი ხელი მას ჰქონდა უკან, მეორეში ეჭირა ბინოკლი. წინ, ტყეების შავი ქედების ზევით, თრთოდა ხანძარი. ეს—ყაზანის შეწვები, რომელნიც ეხმარებოდნენ რევოლიუციის ჯარისკაცებს, აწყობდენ აჯანყებას ბურჟუაზიის შავი ლაშქრის წინააღმდეგ.

ყრუ ისმის გრუხუნი მსუბუქ არტილერიის, სოციალისტ-რევოლიუციონერი და რუსეთის ცნობილი მწერალი ბორის სავინკოვი—როპშინ, საფრანგეთის სამსახურში მყოფ ოფიცრებთან ლებედევთან და სტეპანოვთან, აგრეთვე რუსეთის დაფუძნებელი კრების წევრის ფორტუნატოვთან ერთად, ცეცხლით და რკინით უსწორდებოდენ აჯანყებულ რუსეთის მეშვებს. იქ, ლურჯ სექტემბრის ღამეში იღვრებოდა მეშვების სისხლი. მშრომელთა წმინდა სისხლი.

ნაცრისფერ პალტოში გამოწყობილმა კაცმა მკვირცხლად გაისწორა პენსნე, კიდევ ერთი სწრაფი მიმოხილვა და—თვალებთან ისევ ბინოკლი მიიდვა. სექტემბრის ლურჯ ღამეში კი სულ შორს და შორს,, როგორც დაღვრილი სისხლი, იფრქვევა მარგალიტის—ბადახშის ცეცხლი.

ნაცრისფერ პალტოიანმა ჩამოიღო თვალებიდან ბინოკლი, უხმოდ ჩაიგდო იგი ჯიბეში და გაემართა რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ ჩაბნელებულ ვაგონებისკენ.

ეს იყო—ტროცკი

ერთი დღის წემდეგ ვოლგის გემის კიბეზე იდგა. სახელურზე დაყრდნობილი იგი გულმოდგინეთ გასცქეროდა მდინარის პირად, ბურჟუსიან ლაქვარდს, საითკენაც ნელნელა მისცურავდა ეს მკურავი სასახლე, სავსე უცნაურ, არაჩვეულებრივ, მგზავრებით. მატროსები, წითელარმიელების ნაზარები და ისევ მატროსები. ეგინი გარს შემოერტყნენ ტროცკის. ნაწყვეტი ფრაზები, სწრაფი, ღრმათ დაფიქრებული ღიმილი დასიცხულ რბილ ტუჩებზე. უხეშ, მატროსულ

ოხუნჯობაზე ტროცკი ოდნავ იღიმება, ეს ღიმილია ტრაგიკული, ღიმილი, ტრიმელსაც ერთხელ დანახვის შემდეგ ვერ დაივიწყებ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემი ის იყო შორდებოდა „სვიაგსკის“ ნავთსადგურს და გასცდა ფარვატერს. ირგვლივ დაურღვევი სიჩუმე იყო. მაგრამ როგორც კი გემი შეჩერდა შუა მდინარეში და სწრაფად გაემართა ყაზანისკენ, სადაც ჯერ კიდევ ერთი დღის წინათ გრიალებდენ დაქირავებული ბანდების ზარბაზნები, რომლებიც ხოცავდნენ რუსეთის მუშებს,—მთელმა რევოლიუციონერმა ფლოტმა, გემების ორმა ათეულმა, დააგრიალა სალიუტი. აღრიალდნენ ბოხი ხმით თეთრი მდევები, მხიარულად ამღერდნენ პატარა „მზვერავები“.

მიმავალ გემზე ყველა სდუმდა. ზოგიერთების დამწვარ სახეზე კრთოდენ ცრემლები. ცრემლები აღტაცებული, აღფრთოვანებული სულის. ტროცკი კი ისევ სახელურთან იდგა, უძრავი, როგორც ნაცრისფერი, ქვის ქანდაკი და გაჰყურებდა წინ, სადაც ტრედისფერ სივრცეში, მინელებულ კვამლში დადუმებულა განთავისუფლებული ყაზანი.

მეორე დღეს კი მუშებისაგან და წითელ არმიელებისაგან გავსილ ყაზანის თეატრში იგი აბმობდა:

— „თქვენი მენშევიკები და ყაზანის ვაჭრები ტყუილად აშინებდენ ყაზანის მოქალაქეებს ბოლშევიკებით. ტყუილათ გეუბნებოდენ თქვენ, რომ წითელი არმია გასცარცვავს ქალაქს და ჩაიდენს მხეცობასო. აშან ვერ უშველა მათ: არც ერთმა თქვენთაგანმა მათ არ დაუჯერა. ჩვენ არ დაუწყებთ ჟლეტას იმათ ვინც წინათ იყო ექსპლოატატორი და ახლა კი დაანება თავი ექსპლოატიაციას. ჩვენ ვებრძვით მხოლოდ მათ ვინც კიდევ ულოლიავებს თავის ოცნებაში ექსპლოტატორად გახდომის ფიქრს, და ვისაც უნდა თქვენი შრომით იცხოვროს მომომავალშიაც, როგორც აქნამდის იყო. თუ ბურჟუაზია უარს იტყვის მტაცებლობაზე და თქვენთან ერთად იშრომებს, ჩვენ ვეტყვით მათ: მოდი,—იშრომე და იცხოვრე ჩვენთან ერთად. მაგრამ თუ ბურჟუაზიას უნდა რომ მხოლოდ ჩვენ ვიშრომოთ და ის კი სცხოვრობდეს ფუფუნებით ჩვენი შრომის ანგარიშზე, მაშინ ჩვენ წინ აღუყენებთ მას მტაცებლობის შეიარაღებულ მუშურ ძალას. ბურჟუაზია ამბობს, რომ ვითომ ჩვენ—ხელოვნების წინააღმდეგნი ვიყოთ. არა, ჩვენ ვცნობთ ხელოვნებას და დიდათაც ვაფასებთ მას. მაგრამ თუ ჩვენ გვეტყვიან, რომ ეს თეატრი მხოლოდ ბურჟუაზიისთვის არისო, ჩვენ ავაფეთქებთ მას. თუ ჩვენ გვეტყვიან რომ, მზემ უნდა ანათოს მარტო ბურჟუაზიისთვისო, ჩვენ ჩავაქრობთ მზეს“.

თეატრი გრიალებდა. აქ, ისე, როგორც ყველგან იმ დღეებში, ტროცკის შეხვდნენ იმგვარათ, როგორც ხვდებიან იმ ადამიანებს, ვისიც ესმით, ვისაც გრძნობენ. ასე ეგებებიან იმ ადამიანებს, რომელნიც ამბობენ მას, რაიც პოულობს გამოძახილს ყოველ პატიოსან მოქალაქის სულში.

კიდევ ათი ხუთმეტი წუთი. სიტყვა გათავდა ტროცკის უახლოვდება წითელარმიელი და რაღაცას ჩასჩურჩულებს ყურში: ტროცკი აკეთებს სათანადო ნიშანს, თავს უკრავს ხალხს და გადის.

თეატრის წინ ვებერთელა მოედანი ფოცულია ბინდით, მაგრამ ეს წყვდია-

დი თითქოს სცოცხლობს, თავდაჭერილი გუგუნებს ათასი [illegible] ცოცხალი კედელი ხალხის სხეულის. ეს ისინია ვინც ვერ იშოვა [illegible]. მათ გააგზავნეს დელეგაცია, თხოვნით, რომ მათთვისაც ეთქვა ტროცკის „ორიოდე სიტყვა“.

და ტროცკიც გამოვიდა.

— ამხანაგებო,—გაისმის წყვდიადში მისი მჭექარე ოდნავ ჩახლეჩილი ხმა. მოგესალმებით გმირულ წითელ არმიის სახელით, რომელმაც გაანთავისუფლა ყაზანი, და აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს სახელით.

ღამე შეირხა. ახმაურდა ათასი ხმა, მიიწევს ზევით აივნისკენ ათასი ხელი. ასე არ ეგებებიან გმირებს. ასე ხვდებიან მებრძოლებს. ასე ხვდებიან ადამიანებს, რომლებშიაც გრძნობენ სულს თავის სულთან მონათესავეს. ასე ღებულობენ წინამძღოლებს, რომლებშიაც მასსა გრძნობს თავის საუკეთესო ნაწილის გამოხატულებას.

II. რევოლიუციის სადარაჯოზე

რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში და განსაკუთრებით სამოქალაქო ომის ისტორიაში, საპატიო ადგილი დაეთმობა „ტროცკის მატარებელს“, უეჭველია, ეს მატარებელი იყო ლოკომოტივი მრავალ რევოლიუციონურ სამხედრო გამარჯვებათა.

„ტროცკის მატარებელი“ და „პოლიტკომები“. ესენიც აგრეთვე ტროცკის პირშმონი არიან.

რას წარმოადგენენ ეს პოლიტკომები?

ჩემ წინ ძევს დალის უბის წიგნაკი პოლიტიკური შტაბიდან.

— როდესაც დაბრუნდებით ცენტრში გადაეცით ამხ. როზინის მშობლებს. როზინი—პოლიტიკური კომისარი იყო, მოკლულია კრასნაია გორკასთან ბრძოლის დროს.

წიგნი მოშავოა, ამოხეული ფურცლებით. ყდა სისხლითაა მოსვრილი. სისხლი ჩაწვეთილა შიგნითაც, გაუვლია სასწრაფოდ დაწერილ ფურცლებს შიგნით. ერთს ადგილას შემხმარა ნახევზე. როზინი მკვდარია გულში მოხვედრილი ტყვიისაგან, ცინცხალი, თბილი სისხლით შესვრილა ტანისამოსიც და ეს წიგნაკიც რომელიც იდვა უბის ჯიბეში.

მე ვერ შევსძელი წიგნაკის გადაცემა. მაგრამ მან გააცოცხლა ჩემს ხსოვნაში ერთი დაუვიწყარი სურათი, ერთი ცეცხლიანი პერიოდი რუსეთის რევოლიუციის, როდესაც საბედისწეროთ იყო დასმული საკითხი არა მარტო საბჭოთა რუსეთის არსებობის, არამედ რაღაც განუზომლად მეტი. მაშინ სწყდებოდა, და გადასწყდა კიდეც მსოფლიო რევოლიუციის ბედი. ეს გვესმოდა ჩვენ და ჩვენ მტრებსაც.

ეს იყო ყაზანთან.

ახალგაზდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი წითელი არმია იყო აღსავსე რყევით და შიშით. მხოლოდ უშიშარი მატროსები, როგორც არწივები, ეცემოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს, კონტრ-რევოლიუციონურ ყვავებს. ამსხვრევდენ მათ, და შეჰქონდათ მათ გუნდში აროეკ დარეცა.

ქაოსის და უწესრიგობის დროს ტროცკიმ მოუწოდა ბურგიდან არმიაში მუშებს, პარტიულ ამხანაგებს. საჭირო იყო ფოლადისებურ ორგანიზაციის შემოღება უსასტიკესი დისციპლინის დაწესება, ჯარში რევოლიუციონური წესრიგის შექმნა. არმიაში, რომელიც შესდგებოდა თითქმის სულ შემთხვევით—უმუშევრთაგან—ადამიანებისგან, რომელნიც შორს არიან რევოლიუციონურ მოვალეობისგან, რევოლიუციონურ შეგნებისგან.

ამ არმიაში მოვიდნენ მუშები, მოვიდნენ პარტიული ინტელიგენტები, რომელთათვის რევოლიუციის გამარჯვება—ცხოვრების მიზანი იყო; რომელთათვის მისი დამარცხება იყო—მეტი, ვიდრე მოწამებრივი სიკვდილი.

მოვიდნენ და—არმიაც გამოიცვალა. უნდა ყოფილიყავი ერთსა და იმავე დროს მრისხანე უფროსი და ნაზი მოყვარული ძმა, მთელემარე სულში უნდა შთაგვბერა შეგნება. უნდა მოგეწყო ისე, რომ ყველა, ამ შემთხვევით შეგროვილ ბალხს, სცოდნოდა რისთვის მიდიან ისინი სასიკვდილოთ.

ტროცკიმ გამოიცნო. მხოლოდ მუშებს შეეძლოთ ამ ამოცანის შესრულება. მათაც შეასრულეს. პოლიტკომი აღმოჩნდა ისეთივე მომპოვებელი რევოლიუციონურ გამარჯვებათა, როგორც „ტროცკის მატარებელი". ეს მოხდა იმ დროს, როცა რევოლიუციის მტრების ბანაკში დაიწყო მხიარულება, როცა მათ ეჩვენებოდათ, რომ ყველა ღმერთი უღიმის მხოლოდ მათ, როცა ეგონათ, რომ რუსეთის და მასთან მსოფლიო რევოლიუციაც უკვე ჩამხჩვალია და, რომ დროა იდღესასწაულის გამარჯვება.

მათ ჰქონდათ „ერთიანი ფრონტი". მემარჯვენე სოციალისტ—რევოლიუციონერი ბორის საინკოვი იჯდა ერთ სკამზე საფრანგეთის სამსახურში მყოფ აფიცერ ლებედევთან და პოლკოვნიკ სტეპანოვთან. რუსეთის მონარქისტები უკმევდნენ მათ გუნდრუკს თეთრგვარდიელთა შტაბში საერთო სხდომის დროს, როგორც მათი თანასწორი წევრები. მენშევიკები მოუწოდებდენ იარაღი აეღო ყაზანის ყველა მოქალაქეს, და აიწმუნებდენ თავისი გაზეთის („Рабочее дело") საშუალებით, რომ თუ ბოლშევიკები აიღებენ ყაზანს, მაშინ „ამოსწყვეტენ მთელ მცხოვრებლებს გააუპატიურებენ ქალებს" იმიტომ, რომ ტროცკიმ უთხრა მატროსებს:—აიღეთ ყაზანი და რაც გინდა უყავით მას". ამ სიცრუეს გადაჭარბებულად ავრცელებდენ ბურჟუაზიული და შავრაზმული გაზეთები, ეს სიცრუე სჯეროდა ყველას, გარდა ყაზანის მუშებისა, და როცა მათ ველარ შესძლეს აეტანათ ძალაუფლება „დამფუძნებელი კრებისა"—რომელის ფირმის ქვეშ მოქმედებდენ შავრაზმელები მენშევიკების და სოციალისტ—რევოლიუციონერების უახლოეს თანამშრომლობით, როცა ამ გმირებმა,—ყაზანის მუშებმა მოაწყვეს აჯანყება, მენშევიკები გაიძახოდნენ თავის გაზეთებში, რომ მუშების მოქმედება—ღალატია, და მოითხოვდნენ სასტიკ შურისძიებას... ასეთ შურისძიებას თხოულობდენ შავრაზმელებიც თავის გაზეთში და კადეტები, „კამსკო ვოლჟსკაია რეჩში", რომელიც ძალიან ხშირად იხსნებოდა ბორის საინკოვის მოწინავე წერილებით.

ასე ღმერთებან ერთად ულიმოდენ თეთრ გვარდიელებს, მემარჯვენე ესერები და მენშევიკები, და მიუხედავათ იმისა. რომ თეთრგვარდიელებს ულიმოდა ყველა ღმერთი, მენშევიკები და მემარჯვენე სოციალისტ რევოლიუციონერები, —თეთრგვარდიელების შტაბი გრძნობდა რომ მათი დასასრული ახლოვდებოდა უნდა მოეგვარებიათ რამე, უნდა მოეწყოთ ახალი ავანტიურა, უნდა ჩაედინათ ახალი ბოროტება, ისინი შეიპყრო სასოწარკვეთილებამ და გაბოროტებულებათ მიმართავდენ ათასნაირ სისაძაგლეს.

მემარჯვენე ესერებმა მოაწყვეს ლენინზე თავდასხმა. ამავე დროს იგივე ხელი მოქმედებდა ყაზანის ახლოს. თეთრგვარდიელების შტაბში აგვისტოში 1918 წელს, იყო მოფიქრებული და დამუშავებული საშინელი გეგმა რუსეთის პროლეტარიატის წინამძღოლების მკვლელობის. ეჭვი არაა, ამ შტაბის ზურგს უკან იდგა არა მარტო რუსეთის აქტიური ბურჟუაზია, იქ იყო ჩარეული აგრეთვე მოკავშირეთა კაპიტალი, მათი დიპლომატია, რომელთა წარმომადგენელი აგრეთვე თეთრგვარდიელთა შტაბში იჯდა, ამ საქმეში იყვნენ აგრეთვე ჩარეული რუსეთის შეკავშირებული მონარქისტები, დამუუძნებელი კრება, რომლის წარმომადგენლათ თეთრგვარდიელების შტაბში, იყო ბ. ფორტუნატოვი. გეგმა ფართედ იყო მოფიქრებული. მოსკოვში არსებობდა მთელი ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოკავშირეების დიპლომატიური წარმომადგენელი ლონკარტი და კომპანია. თქმა არ უნდა, რომ მას ჰქონდა საკმაოთ სწორი კავშირი ყაზანის თეთრგვარდიელთა შტაბთან. იქაც და აქაც სწყდებოდა ერთი და იგივე კითხვა—რუსეთის რევოლიუციის წინამძღოლების ამოწყვეტა. მოკავშირეთა დიპლომატიური წარმომადგენლების აზრით უკეთესი იყო ლენინის და ტროცკის „ცოცხლად დაჭერა, წაყვანა ინგლისში და იქ დასჯა საჯაროთ სიკვდილით ინგლისის და საფრანგეთის მუშების შესაშინებლად „რომ მათ ვერ გაებედათ რევოლიუციის დაწყება". სხვები წინააღმდეგი იყვნენ ასეთი გეგმის.

— თქვენ არ იცით ლენინის და ტროცკის გავლენის ძალა მუშებზე და ჯარისკაცებზე. ისინი შესძლებენ გადაიბირონ თავის მხარეზე მცველები და გაიქცენ მათთან ერთად.

ასეთი გამოსავალი ბევრს არ აკმაყოფილებდა. აკმაყოფილებდა უფრო მეორე: დაეხოცათ და აეღოთ ძალაუფლება თავის ხელში. ამ გეგმის განსახორციელებლად გადაწყეტილი იყო: ლენინის მოსაკლავად გაეგზავნათ ნახევრად გიჟი ქალი კაპლანი და ტროცკი კი დაეჭირათ ცოცხლად მისი მატარებლით, რომელიც მაშინ სადგურ „სვიაჟსკ"ში იდგა. უკანასკნელი ბოროტმოქმედების შესრულება თავს იდვეს: მემარჯვენე სოციალისტმა ბორის სავინკოვმა, საფრანგეთის სამსახურის ოფიცერმა ლებედევმა და „დამფუძნებელი კრების წევრმა ფორტუნატოვმა.

28 აგვისტოს 1918 წ. საღამოვ—ჩაუდგნენ სათავეში ხუთას-ხუთასი კაცისგან შემდგარ რჩეულ ჩეხო-სლოვაკების ცხენოსან რაზმებს. მოახერხეს „ტროცკის მატარებლის ზურგში მოქცეოდნენ რვა ვერსის სიღრმეში. დაიკავეს რკინის გზის სადგური „ტიურლემა" ააფეთქეს ყუმბარებით ორმოცდაათამდი სავსე ვაგონი.

დაიწყო ომი: არა ომი, ბრძოლა, არამედ რაღაც კოშმარული, უცნაური. ათას ხუთასი რჩეული მხედარი გადადიოდა იერიშზე. მათ იგერიებდნენ სამი-ოთხი ასეული მატროსები და მოხალისეები. მოქმედებდა ორი ჯავშნიანი მატარებელი.

ეს იყო საშინელი, უცნაური ბრძოლა:

ჩვენი ნაწილების უმრავლესობა დაკავებული იყო ულლონოსთან და კრასნაია გორკასთან, სადაც პოლკოვნიკ სტეპანოვის ბრძანებით გადასულიყვნენ. შეტევაზე, რომ ჩვენ არ შეგვძლებოდა დაგვეწია უკან ჩვენი ძალები: თეთრ გვარდიელებს საიდანღაც მოუვიდათ არტილერია, სასწორი მათკენ იხრებოდა. ჩვენ გვყავს—ერთი მუჭა მამაცები. მათ კი ძალა აქვთ. გამძლე, ბრძოლაში გაჩვეული, ირისხანე, მაგარი, დისციპლინიანი, მაგრამ ჩვენ გვყავდა ორი ჯავშნიანი მატარებელი. მაგრამ ჩვენ გვყავდენ პოლიტიკური კომისრები, რომელთაც არ იცოდენ უკან დახევა. მაგრამ ჩვენ გვყავდენ მატროსები, რომელთაც იცოდნენ, რომ თუ ისინი დანებდებოდნენ მტერს დაიღუპებოდა მათი წინამძღოლი, დაიღუპებოდა ტროცკი, რომელსაც იგინი ყოველ დღე ხედავდენ თავის რიგებში, რომელიც მათ გაიცნეს და ღრმათ შეიყვარეს, როგორც მამა, წინამძღოლი. ისეთივე უშიშარი, როგორც ისინია. ეს მათ გამოსცადეს არა ერთხელ.

ჩეხო სლავიკები იბრძოდენ იშვიათი თავგანწირვით. მათი შარები იშლებოდენ მაღლობებიდან განუწყვეტელი ქარავანივით. ბალახივით სთიბავდა მათ ჩვენი ჯავშნოსანებიდან ტყვიისმფრქვეველების ცეცხლი. 5—10 წუთში წააფინეს რამოდენიმე ასეული. ისინი კი სულ მოდიოდენ. მკვდრებივით სდგებოდენ ხელახლა, მიძვრებოდენ მაღლობის გადალმით და ისევ მოფორთხავდენ ვინტოვკებით. შემდეგ, ეტყობოდათ, შეჩქროლდენ. ნაპერწკალივით გაირბინა აღრევამ მათ რიგებში.

— ამხანაგებო... გნებდებით.

ასწიეს ხელები.

ჯავშნოსანებმა შესწყვიტეს სროლა.

ჩეხელები ვარდებოდენ ტყვეთ, თან მოათრევდენ ვინტოვკებს, მაგრამ უეცრად, როგორც კი მოგვიახლოვდენ რამდენიმე ათეული ნაბიჯის მანძილზე ისინი მიწვნენ მიწაზე, როგორც ერთა კაცი. წუთი—და დაიზუზუნა თოფის ტყვიებმა. ჩეხები ესროდენ ჩვენებს **პირისპირ:**

გააფთრება გაძლიერდა, მიიღწია უკანასკნელ ხარისხს.

ტყუილა აწყობდენ ჩეხები ახალ პროვოკაციას. ტყულა ყვიროდენ ხელახლა; „ამხანაგებო, გნებდებით“. ტყუილა აგდებდენ თოფებს. ტყუილა სწევდენ ხელებს. მათ აღარავინ უჯერებდათ.

სროლა გრძელდებოდა თითქმის რვა საათს განუწყვეტლივ. ჩვენმა ნაწილებმა დასცალეს ყველა ეაზნები. ორივე ჯავშნოსანი გადაგდებული იყო ლიანდაგიდან თეთრ გვარდიელთა არტილერიის მიერ. ერთი თითონ ჩვენებმა ააფეთქეს ახალ ადგილზე გამგზავრების წინ. დარჩენილი რამოდენიმე ათეული კაცი, რომელსაც შეეძლო ბრძოლა, რამოდენიმეჯერ წავიდა ჩეხელებზე წინააღ-

ᲛᲔᲠᲔ ᲮᲔᲚᲩᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲗᲝᲗᲤᲘᲡ ᲒᲐᲣᲡᲠᲘᲚᲚᲐᲓ ᲛᲐᲠᲢᲝᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲓᲐ, ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲒᲐᲘᲥᲪᲜᲔᲜ. ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲪ ᲔᲠᲗ ᲬᲐᲛᲡ, ᲔᲠᲗ ᲬᲣᲗᲡ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲢᲝᲕᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲛ, ᲐᲥᲔᲪ ᲓᲐ ᲘᲥᲔᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲣᲚᲘ.

ᲔᲠᲗ ᲬᲣᲗᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ ᲡᲔᲕᲓᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲝᲠᲘ ᲣᲮᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲚᲔᲨᲘ, ᲨᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲡᲩᲐᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲢᲕᲠᲔᲣᲚᲘ ᲯᲐᲕᲨᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ. ᲛᲐᲚᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲮᲠᲐᲛᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲮᲠᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲔᲧᲐᲠᲐ ᲚᲔᲨᲘ, ᲚᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲨᲘ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ.. ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲜᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲢᲠᲝᲡᲛᲐ ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲗ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ, ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ. ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲢᲘᲣᲠᲚᲔᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲐᲗᲙᲐᲪᲔᲑᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ, ᲐᲐᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲡᲢᲝᲕᲔᲑᲓᲔᲜ ᲧᲐᲖᲐᲜᲡ. ᲧᲐᲖᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲝᲛᲓᲮᲔᲜ ᲥᲕᲔᲕᲘᲗ, ᲐᲘᲦᲔᲑᲓᲔᲜ ᲛᲗᲔᲚ ᲠᲘᲒ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡ ᲕᲝᲚᲒᲐᲖᲔ, ᲬᲘᲐᲬᲧᲝᲑᲓᲔᲜ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲢᲘᲣᲠᲚᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ. ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘᲐ ᲘᲥ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲔᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ.

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲠᲐᲮᲕᲐᲛ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ. ᲢᲠᲝᲪᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ ᲣᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲛᲝᲠᲩᲐ.

III. ᲨᲣᲠᲯᲔᲣᲚᲘ. ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲒᲔᲚᲘ.

ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲰᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ.

ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲗ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲐᲗᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲠᲧᲔᲕᲘ, ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘ! ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲛᲘᲚᲘ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲟᲔᲡᲢᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲐᲡᲔ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ. ᲓᲐ — ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲢᲠᲝᲪᲙᲘ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲯᲔᲚᲢᲛᲔᲜᲘᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ, ᲨᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘ, ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ, ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲡᲐᲢᲘᲠᲘᲙᲝᲡᲘ. ᲛᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ ᲓᲘᲛᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲣᲠᲢᲧᲐᲛᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘᲕᲘᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲐᲕᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲛᲭᲠᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲐᲜᲯᲐᲚᲘ, ᲛᲝᲬᲐᲛᲚᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲔᲕᲐᲠᲘ. ᲛᲐᲡ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲡᲬᲐᲛᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲥᲔᲗᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲮᲔᲕᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲣᲡᲕᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: — ᲠᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲔᲚᲝ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲝ (26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ) ᲐᲛ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ — ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲒᲐᲔᲪᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡ:

— ᲓᲘᲐᲮ, ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲛᲐ ᲐᲘᲦᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲘᲒᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲗᲣ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲣᲐᲠᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲧᲕᲔᲢᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲝᲗ ᲘᲒᲘ ᲙᲔᲠᲔᲜᲡᲙᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲣᲧᲝᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲒᲐᲓᲐᲕᲡᲪᲔᲛᲗ ᲛᲐᲡ ᲙᲔᲠᲔᲜᲡᲙᲘᲡ.

ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

და ყრილობას არ უთქვია უარი ძალაუფლების ხელში აღებაზე. პეტერბურგის რევოლიუციონურ პროლეტარიატისგან მან მიიღო ბურჟუაზიისგან ჩამორთმეული ძალაუფლება.

თუ ჰაინე ამბობდა: „მე ხმალი ვარ, მე — ვარ ცეცხლიო“ და ამას ამას ამბობდა სრული ჭეშმარიტებით, დაუქადებლად, გადაუჭარბებლად,— მაშინ ტროცკის ისევე გადაუჭარბებლად შეიძლება ეწოდოს:

— რევოლიუციის ცეცხლიანი ტრიბუნი.

ცეცხლიანი, შურისმგებელი მარჯვენა რევოლიუციის. და, როგორც ჭეშმარიტი ხალხური რევოლიუცია, ტროცკის შეუძლია იყოს სულგრძელი და გულკეთილი. მომავალი ისტორიკოსი აღნიშნავს ჩვენს რევოლიუციაში ერთ შესანიშნავ ფაქტს: იგი იყო ასჯერ, ათასჯერ უფრო გულკეთილი და სულგრძელი თავის მტრების მიმართ—ვიდრე მტრები მასთან. ხალხი არ იძიებს შურს, მან იცის პატიება. იგი მხოლოდ იბრძვის. ათასეულობით ტყვეთ ჩავარდნილი თეთრგვარდიელები თუ გადარჩენ ცოცხალი ეს იყო ტროცკის წყალობით. იგი არ იმეტებდა მუშებს და გლეხებს, რომელნიც მოტყუებით მიდიოდნენ რევოლიუციის წინააღმდეგ. რამოდენიმე სიტყვებით იგი უხსნიდა მათ იმ საქმეების მთელ საშინელებას, რომელსაც ისინი სჩადიოდნენ. და ხშირად ამ ტყვეებიდან გამოსულან შემდეგში ძალიან კარგი წითელარმიელები.

ტროცკი არ სჯიდა იმ „ობივატელსაც“, რომელიც ვერასგზით ვერ გებულობდა თუ რისთვის იყო საჭირო ქვეყანაზე რევოლიუციის მოხდენა და, რომელიც მოითხოვდა მხოლოდ ერთს-რამეს: მშოდობიანობას და პურს. და თუ ამას ვერ აძლევდენ, იმიტომ, რომ ამის მიცემა არ შეეძლო არც ერთ ძალაუფლებას, ის ბუზღუნებდა მუშების და გლეხების ძალაუფლების წინააღმდეგ, უმზადებდა მის წინააღმდეგ სხვა და სხვა საფრთხეს; მომავალ ძალაუფლებაზე, რომელიც მოვიდოდა მუშების და გლეხების შემდეგ—აბყარებდა დიდ იმედებს; არ იცოდა რომ აგრეთვე მასაც არ შეეძლო მიეცა არც პური და არც მშვიდობა. ტროცკი არას დროს არ იძიებდა შურს ამ გამოთაყვანებულ, თავის მოყვარე, საცოდავ უპედების, ამ „რევოლიუციის მტრების“ მიმართ. მას ესმოდა, რომ ეს „მტრები“ ერთნაირი მნიშვნელობის არიან როგორც ერთი ისე მეორე მხარისათვის, ამათთვისაც და იმათთვისაც—ისინი პასსიური მტრებია. ეს ის ობივატელური შუა ქაცია, რომელსაც ცოტა უნდა; რომელსაც უნდა მხოლოდ, რომ ყველა ამ გადატრიალების შემდეგ მე მქონდეს ჩაი მურაბით და ბავშვები არ ამომეხოცოს სიმშილითო“.

ასეთ ობივატელურ საშუალო ადამიანს არ ეშინოდა ტროცკის, არ ეშინოდა რევოლიუციის. როცა საბჭოთა ჯარები აიღებდენ რომელიმე ქალაქს, თეთრგვარდიელებთან ერთად გარბოდენ მხოლოდ მდიდრები, კაპიტალისტები, მეჯარხნეები, მსხვილი ვაჭრები. მხოლოდ ის, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობდა.

და ტროცკი არას დროს, აღებულ ქალაქში შესვლისას არ აძლევდა ნებას გაეცარცვათ თუ გინდ ერთი ბინა; არ აძლევდა ნებას თუ გინდ ეხლოთ თითი რომელიმე მოქალაქისთვის, თუ მის წინააღმდეგ არ იყო საკმარისი ბრალდება. ტროცკის ყველა გებულობდა. მას ყველა ემორჩილებოდა. ყაზანში შესე-

ლისას, მაგალითად, არ ყოფილა შემთხვევა, რომ წითელარმიელებმა მატროსს ვინმე გაეცარცვოს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რევოლიუციას აქვს ტრაგიკული სახე. მაგრამ მას არას დროს არ ქონია ყაჩაღის სახე, თუ გნებავთ რევოლიუციონური ყაჩაღის, რომელსაც ფმლერის თავის „რევოლიუციონურ პოემებში“ ა. ბლოკი, კამენსკი და სხვა პოეტები, რომელთაც ვერ შესძლეს დაენახათ მისი სახე. იგი არას დროს არ აგინებდა ტყვეებს ისე, როგორც აგინებდენ „წითელ არმიელებს და მატროსებს“ „ინტელიგენტური აფიცრობა“, მაგალითად, იმავე ყაზანში. იგი არ ჩაასობს ლეგრსმანს თავის ქალაში, როგორც ამას სჩადიოდენ აფიცრები მატროსების მიმართ. იგი არ მოსჭრის სასქესე ორგანოს ტყვეებს, როგორც ამას სჩადიოდენ აფიცრები წითელ არმიელების მიმართ ყაზანში და ყველგან. იგი არ ამოჭლეტს ბავშებს მისთვის, რომ მათი მამები იბრძოდენ მის წინააღმდეგ. კონტრევოლიუციას ყაჩაღური სახე აქვს. ეს მისი დამახასიათებელი თვისებაა. ეს—მისი ბუნებაა. ბურჟუაზია იყო ყაჩაღი ასი წლობით რევოლიუციამდის. შეუძლია მას არ იყოს ყაჩაღი როცა ართმევენ ნაცარცვს? შეუძლია იყოს მას სხვანაირი?

დამახასიათებელია, რომ ტროცკის ეშინიათ მთელ რუსეთის და მასთან საზღვარ გარეთის მეშჩანობას. ეშინია ყოველივე ნოშიშარს, რბილ ტანიანს, რომელსაც სწყურია მყუდროება, დამდგარი ჭაობის სიმშვიდე. ეშინია და ჩუმად ალბად ეზიზღება კიდეც. ეს სიძულვილია შერიგებული მონის მოუსვენარ აჯანყებულის მიმართ, „უკეთესია დამშვიდებული მონური არსებობა, ვიდრე აჯანყება, რომელსაც შეუძლია სიკვდილის მოტანაო“. ასე ფიქრობს მონა, ასე ფიქრობს მეშჩანინი, ასე ფიქრობს ობივატელი, რომელიც კითხულობდა წინათ მმართველობის ჩუმათ ლიბერალურ გაზეთებს. ისინი არ ცნობენ ცხოვრებას წყნარი, მეშჩანური მშვიდობის გარეშე. ტროცკი არ სცნობს ცხოვრებას თავისუფლების მონობის და ჩაგვრის წინააღმდეგ აჯანყების გარეშე. ტროცკი—შეურიგებელია. მისი საქმეა—არა მშვიდობიანი ამშენებლობა, არამედ ბრძოლა. ბრძოლა გამარჯვებამდის ან სიკვდილამდის. იგი შეიძლება მოსპო, მაგრამ დამორჩილებით-კი ვერასოდეს დაიმორჩილებ.

გლეხობას, განსაკუთრებით შეძლებულ გლეხობასაც, ეშინია ტროცკის. შეძლებული გლეხობა თავის ბუნებით ბურჟუაზიული მუდამ სცდილობს ბრძოლისგან განზე გადგომას, მაგრამ ეს არ უშლის მას ისარგებლოს რევოლიუციის ნაყოფით, რომელიც სხვებმა მოიპოვეს. სოფლის ბობოლებს ეზიზღებათ ტროცკი. ქალაქის და სოფლის ბურჟუაზიას ერთ ნაირი სიმპატიები აქვთ სიყვარულშიაც და სიძულვილშიაც, ბურჟუაზიას, სადაც არ უნდა სცხოვრობდეს იგი ეზიზღება ტროცკი არა ადამიანურ ზიზღით. ამით ტროცკის შეუძლია იამაყოს. მაშასადამე, მასსა სცნობს ტროცკში დიდ ძალას. მაშასადამე, მას ესმის, თუ როგორ ძლიერ მტერთან აქვს მას საქმე

გლეხობისთვის ტროცკი—მოჯანყეა. მისი სახელი არეულობის მაუწყებელია. ეს გორკის ის დანკოა, რომელმაც ამოგლიჯა მკერდიდან გული, გაინათა მითი, როგორც ჩირაღდანით გზა, და წაიყვანა საწყალი ხალხი ბრძოლისაკენ, სა-

ხელოვან მომავლისკენ. ეს ის კაცია, რომელიც არ აძლევს მოსვენებას, არავის, სანამდის არ იქნება მიზანი მიღწეული. ეს მარად ახმაურებულ დაფის ნაბა-

ასეთია ტროცკი მანძილიდან. ასეთია შორეული ტროცკი.

ვინც იყო ტროცკის ახლოს, მან დაინახა ეს ტრაგიკული სახე

— სახე რუსეთის რევოლიუციის.

მკრთალი, თეთრი, ქარვისფერი სახე. საოცრად თეთრი კისერი. სქლად დასწოლია ვერცხლისფერი ძაფები საფეთქელს და კეფას. სქელი ტუჩები, წინსაკმაოთ წამოწეული ნიკაპი. ამ კაცს ისეთი ნება აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს ტროცკის. ხმა მუქქარი, მკაფიო, მრისხანე, დაჯერებული, გამაფრთხილებელი. ღიმილი... იგი ხანდახან არის ისე ბავშური, ისე მიმზიდველი, ისე კეთილი, რბილი და ალერსიანი, როგორც იშვიათ წუთებში სჩვევია რევოლიუციას. ღრმა სიცილი აღსავსე ზიზღით ტრაგიზმით. სიცილი, რომელიც წუთით სპობს ყოველივეს. ღიმილი, რომელსაც შეუძლია წამით აღსდგეს.

ხელის გულივით გაშლილი სამარის ტრამალი. თითქოს ცემენტით მოსხმულია, სწორი გზები. ის არის მოუმკიათ ქერი, მუუდროება მზიური სიმშვიდე.

მელანქოლიური აქლემები, ცხვირ წამოწეული, ნელი, რიტმიული ნაბიჯით მიჰყვებიან ერთი მეორეს, მიათრევენ ზურგით მძიმე საბარგულებს. ცა არის თეთრი. ღრმა. ჰაერი თრთის სიცხისგან.

ამ სწორ და გაშლილ ტრამალებს შორის ბრწყინავს რკინის გზის ლიანდაგი. ვიწრო ლიანდაგი. არაჩვეულებრივად გრძელი ვაგონები არა ჩვეულებრივ პასაჟირებით. ნაცრისფერი ფრენჩები, მატროსების ხალათები.

მატარებლის შუა—განსხვავებული გრძელი ვაგონი. ფანჯარასთან ტროცკია. გრძელ მაგიდასთან—არმიის სარდალია... ყოფილი პარიკმახერი. შინგაზრდილი, სამხედრო საქმის ბრწყინვალეთ მცოდნე, კარგი სარდალი, ინტელიგენტი, კარგად განვითარებული. გვერდით—ჩაპაევია. სახელგანთქმული ჩაპაევი, სარდალი შესანიშნავ „ჩაპაევი"ს რაზმის. უნტერაფიცერი. გრძელი, მაღლა აწეული ულვაშები, ნაცრისფერი თვალები, დამწვარი, ბრინჯაოს ფერი სახე. ეს ის ჩაპაევია, რომლის რაზმმა, არა ერთხელ დალეწა ჩეხო სლოვაკების რაზმი და დააწყნარა ბობოლების აჯანყება. ის რაზმია, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა დიდი სახელი:

— აი ნამდვილი ბოლშევიკური რაზმი. იგი არ სცარცვავს, არ აიღებს დაუკითხავათ არც ერთ ჩალის კონას. ჩვენი რაზმი, გლეხური რაზმია.

გლეხები ეწერებოდნენ მასში თითქმის ქუდზე კაცი,—ლარიბები და საშუალო შეძლებულები. თუმცა აქ ყველა საშუალო შეძლებულია.

თვითეულ ოჯახში მინდორში საბუშაოთ მამაკაცებიდან რჩება ერთი მუშა. ესეც გაათავებს საბუშაოს თუ არა—გამოეთხოვება ცოლს და გასწევს ჩაპაევის რაზმში მემამულეებისაგან და ჩეხებისაგან მიწის და საბჭოების დასაცავად.

ასეთია „ხალხის ყრილობი"ს დადგენილება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჩაპაევი ჩუმად სტკბება ტროცკის მზერით, რომელიც დგას ფანჯარასთან და გაჰყურებს ტრამალის უსაზღვრო სივრცეს.

— კარგია აქ თქვენთან...

კეთილი, ბავშური ღიმილი, იშვიათი ღიმილი ამ მარადის სერიოზულ ტრაღიკულ სახეზე.

ჩაპაევი უახლოვდება ფანჯარას.

— აი, აქ ჩვენ გვქონდა ბრძოლა ჩეხელებთან. აი, ამ გორაკზე იდგა ტყვიისმფრქვეველით ჩემი ძველი მეომარი ამხანაგი, ასეთი ტყვიისმფრქვეველის მსროლელები ჩვენ ცოტანი გვყავს. მან მარტო ერთმა დააფინა ასამდის ჩეხელი. მას მტრის ბანაკიდან ესვრიან ზარბაზნებიდან, ნიშანში იღებენ ორი სამდუმიანები აი, იმ კორდიდან... ის კი განაგრძობს ძველებურად კაკანს... რამდენი მოსპო მარტო ცხენოსნები! შემდეგ თითონაც დაეცა ორი ტყვიით: ერთი—გულში მოხვდა და მეორე—საფეთქელში...

მან ამოიოხრა და ხმა მაღლა დაუმატა:

— მაგრამ მაშინ ჩვენ გავიმარჯვეთ... შეიძლება მისი შემწეობით.

მისი სახე სწრაფად მოიღუშა,

— თქვენ მაშინ დაგჭრეს?

— არა, მხოლოდ კონტუზია მივიღე. მე მომიკლეს ერთი მეორეზედ ორი ცხენი. პირველი დაეცა ტყვიით განგმირული, მეორეს ყუბარა მოხვდა და მოაგლიჯა თავი. მე კი ბედმა გამიღიმა: მხოლოდ კონტუზია მივიღე...

ამ სიტყვების გაგონებაზე არმიის სარდალს ჩაეცინა.

— მაგრამ როგორი კონტუზია! — წარმოსთქვა მან და მიბრუნდა ტროცკისკენ,—ჩვენ ვფიქრობდით, რომ ბოლო მოელო. მაღლობის ღირსია კაზაკი; ტყვიის ზუზუნის ქვეშ ჩაირბინა მდინარეზე, მოიტანა წყალი და გადაავლო ამხან. ჩაპაევს. „ჩვენ, ომშიო, ამბობდა, ყველას ასე ვარჩენდითო“ და ნოარჩინა. ჩაპაევი გამოერკვია. ჩვენ ხელით გვინდოდა წაგვეყვანა სოფელში, მაგრამ ის აკრაჭუნებს კბილებს და ცხენს თხოულობს. მოიყვანეს ცხენი ჩემთვის იმ დღეს მესამეთ. შევცოცდი ცხენზე როგორც იქნა და—ისევ ჩხუბში.

ტროცკი მობრუნდა. არიან მომენტები, როცა ველარ იკავებ თავს მეტი გრძნობისგან .

ჩაპაევი დაჯდა სკამზე, ის, ეტყობოდა, არ იყო კმაყოფილი რომ სარდალი მოუყვა ტროცკის მის გმირობას, რომელსაც იგი თითონ არაფრად აო აფასებდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ლაპარაკობდენ მხოლოდ სხვები: მაგიდის გარშემო მჯდომი: მატარებლის ადმინისტრაცია, ჟურნალისტები.

.... იგივე ხელის გულივით გაშლილი ტრამალი, სწორი და ეკე გზები. ავტომობილები წყნარად ეშვებიან სერებიდან დაბლობისკენ. სერები და დაბლობი... და იგივე მელანქოლიური აქლემები წამოწეული ცხვირით ღმუიან.

პატარა სოფელი უკრაინული ქოხებით. ავტომობილების ახლოს სწრაფად შეგროვდენ ქალები. კიდევ წუთი—და ყველა ავტომობილები ივსება ათეული სახამთროებით. ვიღაცამ შესთავაზა ფული. არ მიიღეს. ფული ვის უნდა!

ყავისფერ ავტომობილთან, რომლითაც მუდმივად მოგზაურობს ტროცკი, დგას იგი თითონ. იდაყვით დაყრდნობია ავტომობილის კარებს, ერთ ხელში უკავია საზამთრო, მეორეში—ნაჭერი ჯერ კიდევ თბილი ახლად გამომცხვარი თეთრი პურის. მის იოგვლივ—გლეხებია.

არის მშვიდი ამხანაგური საუბარი. ტროცკი იცვნეს. იქ ამ ტრამალებში ისე, როგორც მოსკოვში და საბჭოთა დაწესებულებებში არიან პორტრეტები ლენინის და ტროცკის. ტროცკის კი ისეთნათ დამახასიათებელი სახე აქვს, რომ იგი შეიძლება იცნო გლახად დახატულ პორტრეტითაც. ხანში შესული გლეხი ყვება, თუ რა ცუდ მდგომარეობაში იყვნენ ისინი ჩეხო სლოვაკების ხელში აგრეთვე მათ ხელში ვინც „მომხრე იყო დამფუძნებელი კრების".

—ჩვენ ახლა ყველაფერი გავიგეთ—რა არის საბჭოთა ძალა უფლება. წინათ კი მივდიოდით წინააღმდეგ... რა საჭიროა ცოდვის დამალვა—მივდიოდით—დაღონებით წარმოსთქვა მან.—შეუგნებლები ვართ. მოვიდენ ჩეხელები და გაგვანათლეს. ახლა კი მთელ საზოგადოებაში სამი ათასი ცხენი წითელ არმიას შეუგროვეთ... ხვალ გავამგზავრებთ.

— რა ფასში ღებულობენ აქ ცხენებს? ჰკითხა ერთმა მოსულთაგანმა.

გლეხმა ნაღვლიანად გაიხედა მისკენ.

— ფასი რა საჭიროა—გულმოსულად წარმოსთქვა მან. ჩვენ საქმეს, ჩვენ მიწას ვიცავთ. ამისთვის ფული ვის უნდა გამოვართვათ. ჩვენ მთელი ზაფხულის განმავლობაში არმია შევინახეთ, მაგრამ განა ეინშეს მოუვა აზრად მიიღოს საფასური? ჩვენია ჯარი—ჩვენვე უნდა შევინახოთ!

ავტომობილის ახლო ყურადღებით შესცქერის ტროცკის პატარა ბიჭი. ტროცკიმ შეამჩნია თუ არა იგი გაიღიმა და უთხრა:

— შენ ვისი მომხრე ხარ: თეთრების თუ წითელი არმიის?

ბიჭმა მკვირცხლად დააჭყიტა ცოცხალი თვალი ტროცკის და წაილაპარაკა:

— ჩვენში ყველა წითელი არმიის მომხრეა, იმიტომ რომ ჩვენ ყველა ლარიბები ვართ.

ისევ სერები და დაბლობები და ისევ—სოფელი. აქ დგას პოლკი. დღეს იგი უნდა გამგზავრებულიყო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ჯარისკაცებს გაეგოთ რომ ჩამოვიდა ტროცკი და სთხოვეს უფროსებს რომ ერვენებიათ მათთვის „თითონ ტროცკი", მაგრამ ტროცკი თხოვნის გარეშეც აპირობდა მათ ნახვას.

მწყობრი, მშვენიერად მოსიარულე კოლონები. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენათ სხვა და სხვა ეს „ჯარისკაცები"ს ტანისამოსი.. აი, ვეებერთელა კაცი დაჭუჭკნულ ცილინდრით, ფეხშიშველი, კომიკურ, დამწვარი სახით. ეს ის არის, რომელზედაც გვიამბობდენ გზაში, რომ იგი ისვრის ტყვიისმფრქეველიდან ისე, როგორც ვინტოვკიდან. იშვიათი ძალლონის კაცი. რამოდენიმე დღის წინათ მან მარტო ერთმა ტყვიისმფრქვეველით წაართვა მოწინააღმდეგეს მთელი საბარგული, ორას ურმამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი, მხიარული სახეები.. არც ერთზე არ სწვია ძველი ფრაზა: მოიცა, მთავრობა მოდის.

— გამარჯობათ ამხანაგებო!

— გაუმარჯოს, ამხანაგ ტროცკის.

ტროცკი არიგებს საჩუქრებს. გამორჩეულები არ არიან, მთელი პოლკი როგორც არჩეული ისეთია.. უფროსები ვერ ასწრებენ ჩამოსთვალონ გმირობა და ვაჟკაცობა თავიანთ ჯარისკაცების. აი, მოხუცი, ხუთმეტი წლის ვაჟით. იბრძოდენ ყოველთვის ერთი მეორის გვერდით, ერთიც და მეორეც ზიზღით უყურებს სიკვდილს.

— მე მყავს უფროსი ვაჟიც, მაგრამ ის ყანაშია საჭირო. ჩვენ კი, მე და ეს პატარა, აქ უფრო მეტ საქმეს გავაკეთებთ.

ტროცკიმ აჩუქა მათ ვერცხლის საათები.

მაგრამ უეცრად შეიქნა ჩოჩქოლი. ჯარის კაცებში გაისმა ხმა.

— მოწყალების და ალექსანდროვა, და ალექსანდროვა!

კოლონნების რიგების შორის გამოდის მსუქანი ქალიშვილი თეთრი თაესაფრით. სახე წამოწითლებია აღელვებისაგან.

ის ყოველთვის ჩვენთანაა, უხსნის უფროსი—საყვარელი არსება მთელი პოლკის, ყოველთვის მოწინავე შარში გააფთრებულ სროლის დროს უხვევს და ხანდახან კი...—დარცხვენით გაიღიმა,—ხანდახან გამოჰყავს დაჭრილები სროლის ცეცხლიდან... მისი ღონე ბევრს შეეხარბება.

ტროცკი ღიმილით უცქერის საჩუქრებს, რომლებიც გამზადებული ჰქონდა, დასარიგებლად. პორტსიგარები და მამაკაცების საათები. ის არ მოელოდა რომ მას დასჭირდებოდა ქალების დასაჩუქრებაც.

— აიღეთ პორტსიგარი—მიმართავს დას ერთი გამჭრიახი ჟურნალისტი. —გაიკეთეთ მაგისგან რედიკიული:

მოწყალების და ალექსანდროვამ დარცხვენით გამოსწია ხელი და ამოურჩევლად აიღო ყველაზე პატარა ვერცხლის პორტსიგარი. ჟურნალისტი გაჯავრებული აქნევს თავს.

— გმადლობთ თქვენ, დაო, თქვენი მუშაობისთვის,—წარმოსთქვა აღელვებულმა ტროცკიმ.—თქვენ—იშვიათი ხართ—ყველა იშვიათ ქალს შორის.

საჩუქრების დარიგების შემდეგ ტროცკი, უკვე ხმა წასული გამუდმებულ სიტყვების წარმოთქმისგან, რომელიც მას უხდებოდა ზედიზედ რამოდენიმე კვირების განმავლობაში, დღით და ღამით, ავიდა ავტომობილზე სიტყვის სათქმელად. და, როგორც კი დაიწყო ლაპარაკი, ყველას სახე გამოეცვალა. ეს იყო ისეთივე სახე, როგორც თვით ტროცკის სახე: ტრაღიკული სახე რევოლიუციის.

—

მეორე პოლკი, მესამე...

იგივე მამაცი სახეები, იგივე მხიარული შეხვედრა.

საჩუქრები გამოილია. ტროცკიმ დიდი ხანია დაასაჩუქრა თავის საკუთა-

რი საათით ერთი გლეხი გბირი. იგი ართმევს ხელს ამ ბრინჯაოს ადამიანებს ვინტოვკებით მხრებზე, და მაგრათ, ძმურად კოცნის ტუჩებში. [illegible] აღარ აქვს.

მზე ეფარებოდა ტრამალს. დგებოდა ღამე. მინდვრებიდან წამოვიდა სიცივე, დამწვარი ბალახის სურნელი.

ამ ღამეს უნდა დაწყებულიყო ჩვენი ზეტევა.

— შევხვდებით ერთმანეთს კიდევ სამარაში,— ამბობდა ტროცკი, ჯარისკაცებთან დამშვიდობების დროს.

ის არ შემცდარა. ერთ ღამეს ამ სამმა პოლკმა მოახდინა სასწაული, ჩქარა მათ აიღეს სამარა.

IV. არა ამ ქვეყნიური ძალა.

— თქვენი ბრძანება შესრულებულია: სიმბირსკი აღებულია, ტუხაჩევსკი.

ასე მოახსენებდა ტროცკის იმ ჯარის სარდალი, რომელმაც სიმბირსკი აიღო.

ყველა, ვინც კი იყო ტროცკის გარშემო, დარწმუნდა იმაში, რომ მისი ბრძანების ძალა სრულიად არ გამოიხატება მის პიროვნებაში. ტროცკი—ეს რევოლიუციონურ კოლლექტივის შეკავშირებულ ნების ყოფის ექსტრაქტი არის. მისი ბრძანება ყოველთვის ჰპოულობს გამოძახილს მის სულში ვისაც ის უბრძანებს.

ტროცკის ბრძანება—ეს არის რევოლიუციის ნებისყოფა. განუზომელად დიდმა ადამიანმა გამოხატა თავის არსებაში განუზომელი ნებისყოფა უდიდეს რევოლიუციონურ კოლლექტივისა. ეს ის ადამიანია, რომელმაც შეუცდომლად გაიგო რევოლიუციონურ მოვლენათა მსვლელობა, გამოიცნო მათი ისტორიული გზა. ტროცკი მოვლენათა გარეშე—უბრალო მომაკვდავია, ემიგრანტი, ნიჭიერი ჟურნალისტი. ტროცკი რევოლიუციონურ მოვლენათა ფონზე—კოლოსალური ისტორიული ფიგურაა. მისი სახელი გადაივლის ათეულ მოდგმებში. მისი ნებისყოფა—არა ამქვეყნიური ნებისყოფაა: მას სიძლიერით ვერ შეეტოლება ვერაფერი და ვერავინ. ეს მასების ნების ყოფაა. აქტიური მასების, შეკავშირებულ რევოლიუციონურ კოლლექტივის, რომელმაც ძლიერ კარგად იცის—თუ რა უნდა მას. ტროცკის არსებაში ჩამოყალიბდა რევოლიუციის მთელი ფსიხიკა, მთელი სინდისი, მთელი მრისხანება, მთელი სულგრძელობა, მთელი სიამაყე, მასების მთელი მორალური ძალა, რომელნიც რევოლიუციას ჰქმნიან. და გამარჯვებათა სიტკბო, და მოწამებრივი ტანჯვა დამარცხებათა. ტროცკი რევოლიუციის ექსტრაქტია, მისი სახე, სული. მაშინ როდესაც ლენინი—მისი მესაჭე, გეზის მიმცემი, მისი გონებაა.

ტროცკის შესახებ ბევრი ამბები დადის, და ყველა ისინი ახასიათებენ მას, როგორც ადამიანს, რომელსაც გააჩნია რაღაც ზეადამიანური ნებისყოფა. როგორც მეტის-მეტად დამახასიათებელს აღნიშნავენ, რომ ის, როგორც

არავინ გრძნობს აუდიტორიის სულიერ განწყობილებას, [illegible] შეგროვილ ხალხის სულიერ განწყობილებას, რომელთანაც კი ოდესმე [illegible] ...

მხოლოდ ტროცკის შეუძლია მასაში გააღვიძოს ისეთი გრძნობა, რომელიც მანამ არავის გაუღვიძებია. მხოლოდ ტროცკის, რომელსაც შთაბერილი აქვს უდიდეს კოლლექტივის ნების-ყოფა, ამ ნების ყოფით შეუძლია დაიპყროს ყოველივე კოლექტივი, თუ ის უფრო სუსტია და პატარაა იმაზე, რომლის ნების ყოფის გამომხატველადაც გამოდის. ტროცკი—არა ამ ქვეყნიური ნების ყოფაა. ახალი ნების ყოფაა, ახალი ძლიერებაა ქვეყანაზე, შობილი რუსეთის კომუნისტურ რევოლიუციის მიერ.

მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს სრულიად არ ამცირებს იმ უდიდეს შინაგან თვისებებს, რომელიც არის ტროცკის არსებაში. უკვე ერთი ის, რომ მან შესძლო გამოეხატა თავის არსებაში უდიდეს კოლექტივის ნებისყოფა, ამტკიცებს მის არაჩვეულებრივ ინდივიდუალურ შინაგან ძლიერებას. ტროცკის უმალ რუსეთში ორგანიზატორები არ იყვნენ. პირველმა მან დაგვანახა სანამდე შეიძლება მიიყვანოს ორგანიზაცია ერთმა ადამიანმა. ეს მან გვაჩვენა პირველმა რა შეუძლია გააკეთოს ერთმა ენერგიულმა, იდეებით გულწრფელად გამსჭვალულმა ადამიანმა, თუ კი მან ეს მოინდომა. ეს—არის მკაფიო მაგალითი რევოლიუციონურ ურყეველობის, რევოლიუციონურ ენერგიის და, შეიძლება, რევოლიუციონურ ფანატიზმის.

როდესაც ტროცკი დადის თავის, ეხლა უკვე ცნობილ და, უეჭველად, ისტორიულ, მატარებლით, ის იქცევა ფოლადის დაუღალავ ადამიანად. არავის არ უნახავს, რომ მას ოდესმე დაეძინებიოს დღისით. დღესაც ვერავინ მიმხვდარა რა მიზეზია, რომ ის ღამის ერთ-ერთ საათზე გამოჩნდება ყოველთვის რომელიმე სრულიად უმნიშვნელო, მიყრუებულ სადგურზე, დამოუკიდებლად დარისა, და მუდამ იწყებს სიტყვებს ჯარისკაცებთან, თუ კი ისინი ამის შესახებ სთხოვენ. ვერავის გაუგია—როდისღა ნახულობს ტროცკი დროს აუარებელ დეპეშების გადასაკითხავად, პროექტების და ჩეენებების და ყოველ მათგანზე აკეთებს თავის წარწერებს, დასკვნებს. ვერავის გაუგია როდის მოასწრო ტროცკიმ სამხედრო საქმის ასე კარგად წესწავლა, როგორც უკვე 1918 წლის დასასრულში იცოდა, როდის ემზადება ის თავის, თითქმის ყოველთვის დასაბუთიანებულ და ყოველთვის ამომწურველ, მუდამ მკაფიო და ბრწყინვალე სიტყვებისთვის, რომელსაც ლაპარაკობს ის, ხან საბჭოების ყრილობაზე, ხან ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, ხან რომელიმე მტრისაგან დატოვებულ ან თავდაცვის მდგომარეობაში მყოფ ქალაქებში... როდის ასწრებს ის სწეროს წერილები თავის სამგზავრო გაზეთისთვის „в пути“ და ცენტრალურ პარტიულ საბჭოთა პრესისთვის... და, ბოლოს, როგორ ასწრებს ის ასე ბრწყინვალეთ მოაწყოს ფრონტები ფრონტებზე და თან—ისეთ წუთებში, როდესაც უკვე ყველას ჰგონია რომ აქა თუ იქ საქმე წაგებულია, უიმედოთაა?!

ჰო, რასაკვირველია, ტროცკი—ნიჭია. მაგრამ ტროცკი ამავ დროს მომუშავეცაა, რომელსაც ბევრი რამ გააჩნია. და მისგან ბევრი მოიკითხება. ის კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაზე მეტს იძლევა, ვიდრე მოიკითხება. მას განსაკუთრებული ძალა აქვს. გამონაკლისი. არა ამქვეყნიური.

V. ვინ არის ის?

მე ვაცხადებ ოფიციალურად: მე მაქვს უტყუარი ცნობები, რომ იაროსლავში აჯანყება მოწყობილია სავინკოვის მიერ, მოკავშირეების ბრძანებით. სავინკოვი უპასუხებდა მოკავშირეებს, რომ მას სჯერა იაროსლავის „აჯანყების" წარმატებით დაბოლოვება. მაგრამ კონტრ-რევოლიუციონურ მოკავშირეთა შტაბმა უბრძანა მას ხმა ჩაეწყვიტა, რადგან თანხას ღებულობდა მოკავშირეებისგან...

ასე ამბობდა ტროცკი ყაზანის თეატრში მიტინგზე ყაზანის აღების მეორე დღეს, რომლის შესახებ ნახსენებია ამ წიგნის დასაწყისში. ეს—განსაკუთრებული ტრაღიზმია რუსეთის რევოლიუციაში, როდესაც სოციალისტები, ანუ ყოველი სოციალისტები, მიმართავენ საზღვარ გარეთის კაპიტალს მუშურ სოციალისტურ მოძრაობის ჩასახშობათ. ნიკოლოზ II ამავე საქმისთვის მიმართავდა საფრანგეთის ბანკირებს 905-იან წლებში...

ტროცკიმ, რათქმა უნდა, ბევრი სიავე უყო „მოკავშირეებს",—მათი წარმოდგენით. როდესაც მთელმა მშრომელმა რუსეთმა მოინდომა გამოსულიყო წყეულ იმპერიალისტურ სასაკლაოს ფერხულიდან, მოკავშირეებმა გადასწვიტეს, რომ ეს ტროცკი და ლენინი უკვეთენ მათ საშუალებას იომონ საკავშირო კაპიტალისათვის. და შემდეგ—ბრესტი, სადაც ტროცკი უმთავრესი მომქმედი პირი იყო... და ეს ყველაფერი არ იყო მოკავშირეებისთვის სასარგებლო.

და იცის რა მშვენიერად და ანგარიშობს, რა მთელ სიძულვილს მოკავშირეთა ბურჟუაზიისას რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბელადებისადმი, ესმის რა მშვენიერად მთელი ეს ტრაგიზმი, ტროცკი ამას აძლიერებს ხუმრობით:

— მეორე კლასიდან გამოგდებული ვიყავი ფრანგულ ენის მასწავლებლის წინააღმდეგ პროტესტის მოწყობის გამო. ეს, შეიძლება, წინასწარ—ნიშანი იყო იმის, რომ შემდეგში ცუდი განწყობილება უნდა ყოფილიყო ჩვენს უახლოეს მოკავშირე საფრანგეთთან.

ასე სწერდა ტროცკი ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში, რომელიც მას ვთხოვე ამ წიგნისთვის.

— ჩემი დაბადების დღე უკავშირდება დატით ოქტომბრის რევოლიუციის დაბადების დღეს. მისტიკოსებს გამოსადეგი ნიადაგი აქვთ ჩასაფიქრებლად,—ხუმრობს ტროცკი.

ტროცკი დაიბადა 1879 წელს, 26 ოქტომბერს. მეტრიკულს ამოწერილობაში დაბადების წლად ნაჩვენებია 1878.

მაგრამ მე კაგრად მახსოვს,—ამბობს ტროცკი—რომ 1888 წელში ძალიან პატარა ვიყავი პირველ კლასში შესასვლელად და გრომოკლეის ახალშენის მეტრიკულ წიგნებში ოდნავი ცვლილება იქნა შეტანილი ქრონოლოგიაში, რაც სავ-

სებით დასაშვები იყო ამ ახალშენის ადმინისტრატიულ დაწესებულებების პატრიარქალურ ხასიათით. ასე რომ მე ნამდვილად დავიბადე 1879 წელში. ცხრა წლამდის ტროცკი სცხოვრობდა ხერსონის გუბერნიის ელისავეტგრადის მაზრის, გრომოკლეის ახალშენის სოფელ იანორვაში თავისი მამის ებრაელ მოახალშენეს მკირე მამულში. ცხრა წლის ის გადაყვანილ იქნა ოდესაში და იქ მიაღებიეს რეალურ სასწავლებელში მოწაფედ. თავის ბავშვობის წელთა შესახებ ტროცკი გვიამბობს:

— ძალიან მაინტერესებდა მხატვრობა! ვხატავდი ფერად ფანქარით (იმ შემთხვევაში, როდესაც ფანქარი ჩემს განკარგულებაში იყო) და მომავალ მხატვრად ვითვლებოდი. მაგრამ ამ მიმართულებით შემდეგ ჩემში ვერავითარი ნიჭი ვერ აღმოვაჩინე. რეალურ სასწავლებელში მხატვრობას მომაბეზრებელ საგნად ვთვლიდი, თუმცა საერთოდ მუყაითი ვიყავი, ყველაზე უფრო თხზულებების წერა მიტაცებდა. ძლიერ ვოცნებობდი მწერლობაში ასპარეზის შესახებ. ვწერდი, რა თქმა უნდა, ლექსებსაც. ვთარგმნიდი უკრაინულ ენაზე კრილოვის არაკებს. მეორე და მესამე კლასიანებთან ჟურნალს ვცემდი. ყველაფერი რიგზე იყო. მეორე კლასიდან გამომრიცხეს (დროებით) შვეიცარიელ ბიურნარდის წინააღმდეგ პროტესტის მოწყობისათვის. ეს იყო ფრანგულის მასწავლებელი, ჯაკობრიობის უდიდესი მტერი. ამ ბიურნარდს შუბლზე ჰქონდა იქსი, ჯვარედინად გავლებულ ორ ხაზისაგან, რის შესახებაც ჩვენ შორის დიდი ლეგენდები დადიოდა. მახსოვს, როდესაც ჩვენი საშინელი შეთქმულება გამომჟღავნდა (ჩვენ მზრუნველისთვის თხოვნის მიცემას ვაპირებდით), ბიურნარდი მუშტებს აკანკალებდა და ჰყვიროდა: „მეორე კლასის პირველი მოწაფე ზნეობით მახინჯია"... მან დაიმსახურა „დეისტვიტელნი სტატსკამდე" და, როგორც მიამბობდნენ, დაასრულა, და შეიძლება, ჯერ არც დაუსრულებია თავის დღეები რანტიეთ შვეიცარიაში.

მე-5 კლასიდან კიდევ აპირებდნენ ტროცკის გამოგდებას სიტყვიერების მასწავლებელ გამოვის წინააღმდეგ მეორე პროტესტის მოწყობისათვის. მოტივით, რომ გამოვი უყურადღებოთ ექცეოდა მოწაფეების თხზულებებს. მაგრამ მაშინაც არ გამოაგდეს და დასაჯეს 24 საათით კარცერში ჩამწყვდევით და ყოფაქცევაში სამის დაწერით.

რევოლიუციონური მუშაობა ტროცკიმ დაიწყო მე-17 წელიწადში.

მე-7 კლასში გადასვლისას ტროცკი გადაბინავდა ქ. ნიკოლაევში, სადაც პირველად შეერია რადიკალურ ახალგაზრდობის წრეში, და რევოლიუციონურ იდეების სფეროებში.

პირველ პერიოდში ტროცკი თავს თვლიდა უფრო მარქსიზმის მოწინააღმდეგეთ, ვიდრე მარქსისტად.

მაშინ ის მე-17 წელიწადში გადადიოდა...

რეალურ სასწავლებლის გათავების შემდეგ შეეცადა შესულიყო თავისუფალ მსმენელად მატემატიკურ ფაკულტეტზე. აქ მან გაიცნო ნაცნობობა ნიკოლაევის მუშებთან, უმთავრესად რაციონალურ ხასიათის სექტანტებთან. იმათ შორის ხელმძღვანელის როლში გამოდიოდა ივან ანდრეევიჩ მუხინი, რომელიც

ეხლა, მიუხედავათ თავის ხნიერობისა, არის გამობრძმედილი რევოლიუციონური მეომარი ბოლშევიკი.

— მე მიკვირს, —ამბობს ტროცკი,—როგორ ადვილად გვეხერხებოდა ჩვენ, ახალგაზრდების წრეს, ნდობის მოპოვება ნიკოლაევის მუშებში—მათ საკმაოდ კულტურულ წრეში, იდეურებში, რომელთა შორის ხნიერები შებოჭვილნი იყვნენ სხვა და სხვა ჯურის სექტანტობით და ახალგაზრდობა კი—ატეიზმით. „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირების ორგანიზაციის“ შესახებ მე გიამბობდით ერთ პატარა ბროშიურაში. ნიკოლაევის ორგანიზაციაში 1897 წელში იყო 250 მუშა, რაც მაშინდელ დროისათვის იყო ძლიერ ბევრი. ნიკოლაევის მუშები მე მიცნობდენ ლვოვის სახელით. ჩვენ ვმაცადინობდით წრეებში, ვაწყობდით პატარა კრებებს ტყეში, ვცემდით პროკლამაციებს, გაზეთებს. ჩემი პოლიტიკური უცოდინაობა ძრიელ დიდი იყო, არსებითად არც ერთი რევოლიუციონური წიგნი არ მქონდა წაკითხული. თვით „კომუნისტურ მანიფესტს“ გავეცანი პირველად მაშინ, როდესაც მას კითხულობდენ და ხსნიდენ ჩვენ წრეში.

ერთ და იმავე დროს ამგვარივე ორგანიზაცია დაარსდა ოდესაში. ტროცკის ხშირათ უნდებოდა მოგზაურობა ნიკოლაევიდან ოდესაში, და ოდესიდან ნიკოლაევში. ღამეს ის ათევდა გემზე, დღით კი დაეძებდა ზემოხსენებულ ქალაქებში რევოლიუციონურ ლიტერატურას და აწარმოებდა აგიტაციას მუშათა შორის. მაგრამ როდესაც მოძრაობამ მიიღო ფართე ხასიათი, და „სამხრეთ რუსეთის კავშირში“ ირიცხებოდა უკვე 250 წევრი, რომლებიც იხდიდენ საწევრო გადასახადს, მაშინ ამ ორგანიზაციით დაინტერესდენ ჟანდარმები... ორგანიზაციაში აღმოჩნდენ: პროფესიონალური პროვაკატორი შრენცელი, და გამცემი, რომელიც შემდეგ გახდა პროვოკატორი—ნესტერენკო.

დაჭერას ჩვენ ველოდით დღითი დღე—ამბობს ტროცკი. ვინაიდან ნიკოლაევში ჩვენ ყველა გვიწოდებდა ჩვენ სახელს, ამისათვის ვფიქრობდით რომ ძრიელ „უხერხული“ იქნებოდა დაგვეხწია თავი დაჭერისაგან იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია ჩავარდებოდა განსაცდელში. 28 იანვარს 1897 წელს მე ვიყავი დაკავებული ვიღაც მემამულეს ადგილ-მამულში, სადაც მე შომიხდა მამიჩემის სოფლიდან გამომგზავრების დროს გაჩერება ფრანც ფრანცევიჩ შვიგოვსკისთან, რომელიც ამ მემამულესთან მსახურებდა მებაღეთ.

ამ შვიგოვსკის ირგვლივ თავს იყრიდა მთელი ნიკოლაევის ახალგაზრდობა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ რადიკალურ მისწრაფებებით.

ტროცკი შეიქმნა მარქსისტი ციხეში.

— გადამწყვეტი გავლენა იქონია ჩემზე ანტონიო ლაბრიოლას ორმა ეტიუდმა, შესახებ ისტორიის მატერიალისტურ გაგებისა. მხოლოდ ამ წიგნის შემდეგ მე გადავედი ბელტოვზე და „კაპიტალზე“.

ნიკოლაევის საპყრობილეში ტროცკი გააჩერეს ცოტა ხანი. ჩქარა ის იქნა გადაყვანილი ხერსონის ციხეში, სადაც მან დაჰყო სამი თვე. ხერსონის ციხეს მოყვა ოდესის ციხე. ამ ციხეში ტროცკი იჯდა თითქმის ორი წელიწადი; აღმოსავლეთ ციმბირში გადაგზავნის განჩინების შემდეგ მან ხუთი თვე გაატარა მოსკოვის გადასაგზავნ ციხეში, სამი თვე ირკუსტსკის და ალექსანდროვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადასაგზავნ ციხეებში. სულ ამ შემთხვევაში ტროცკიმ გაატარა სიპყრობილეში ორ წელიწად ნახევრამდე.

პირველ გადასახლების დროს—ამბობს ტროცკი—მე გამოვედი, ასე ვთქვათ, ლიტერატურულ გზაზე. დავიწყე კორენსპოდენციებით, შემდეგ გადმოვედი წერილებზე, რომლებსაც ვათავსებდით ირკუტსკის გაზეთში „Восточное обозрение". მაშინ დავიწყე ანტიდ ოტო-ს პსევდონიმის მოწერა, რომელ პსევდონიმითაც შემდეგ მე კიდევ დიდხანს ვსარგებლობდი ლეგალურ რუსეთის პრესაში. გადასახლებაში (სოფელი უსტ-კუტ, ირკუტსკის გუბერნია) ტროცკიმ დაჰყო ორ წელიწადამდე, როდესაც დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა 1902 წელში, (აგვისტოს პირველ ნახევარში) ტროცკი გაიქცა ირკუტსკიდან ყალბი პასპორტის საშუალებით, რომელიც გაკეთებული იყო ტროცკის სახელზე. აქედან იწყება მისი ფსევდონიმი, რომელიც შემდეგ შეიქმნა მის ნამდვილ სახელათ (მამით ლევ დავიდოვიჩი არის ბრონშტეინი).

— მე თვით ჩავწერე ეს სახელი პასპორტის ბლანკში, რომელიც მე მქონდა—ამბობს ტროცკი, მე დავარქვი ჩემს თავს ოდესის ციხის უფროსი ზედამხედველის სახელი.

ირკუტსკში ტროცკი დაუახლოვდა სოციალ-დემოკრატიულ კავშირს, რომლისთვისაც სწერდა პროკლამაციებს.

შემდეგ წავიდა სამარაში, სადაც დაუკავშირდა იქაურ ცენტრალურ ჯგუფს „Искра"-ს, რომელიც იმ ხანებში თავს უყრიდა დაშლილ და დაგსასულ სოციალ-დემოკრატიის რიგებს.

სამარის ჯგუფის დავალებით (სადაც შედიოდენ ცოლქმარი კრიჟანოვსკი, ლენინგნიკ და სხვ.) ტროცკიმ მოახდინა მოგზაურობა ხარკოვში, პალტავაში და კიევში იქაურ „ისკროვცელებთან" და პოლტავაში არსებულ „Южной Рабочи"-ს რედაქციასთან დასაკავშირებლად.

აქედან ტროცკიმ არალეგალურათ გადალახა ავსტრიის საზღვარი. ვენაში მან პირველათ გაიცნო ვიქტორ ადლერი და მისი შვილი ფრიცი, რომელიც შეიქნა გმირული ინტერნაციონალისტი წასულ იმპერიალისტურ ჟლეტის დროს 1914—1918 წლებში.

ცოტა ხნის შემდეგ ტროცკიმ გაიარა ციურიხი, პარიკი და გაჩნდა ლონდონში, სადაც მაშინ „Искра"-ს რედაქცია იყო; რედაქციაში შედიოდენ: ლენინი, მარტოვი და პოტრესოვი. თვით გაზეთში თანამშრომლობდენ შვეიცარიაში მყოფი სოციალ-დემოკრატიის ძველი წინამძღოლნი: გ. ვ. პლეხანოვი, აქსელორდი, ვერა ზასულიჩი...

— წარსულთა დღეთა საქმენი... სევდიანი ღიმილით ლაპარაკობს ტროცკი, როცა იგონებს ამ პერიოდს თავის ცხოვრებისა.

ტროცკი ცხოვრობდა საზღვარ გარეთ 1905 წლის თებერვლამდე. ამ ხნის განმავლობაში ის, როგორც „Искра"-ს საზღვარ გარეთ მყოფ თანამშრომელთა წევრი, მოგზაურობდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც კი არსებობდა რუსული სტუდენტური და მუშური კოლონიები, კითხულობდა რეფერატებს და სხვა. 1903 წელს ზაფხულში ტროცკი ექიმ მანდელბერგთან ერთად, როგორც

წარმომადგენელი ციმბირის სოც.- დემოკრატიულ კავშირისა, ღებულობდა მონაწილეობას ს—დ პარტიის მეორე ყრილობის მუშაობაში, სადაც ბოლოს ცნობილი გათიშვა უმრავლესთა და უმცირესთა შორის („ბოლშევიკები" და „მენშევიკები") მაშინ ტროცკი მიეკუთვნა ოპოზიციას, საიდანაც, როგორც ვიცით, შემდეგ განვითარდა ეგრეთ წოდებული „მენშევიზმი".

ოცტა ხნის შემდეგ (ივნისში) ტროცკიმ გამოსცა წიგნები „Наши политические задачи". მაგრამ როდესაც მენშევიზმი ჩამოყალიბდა, როგორც ტაქტიური მიმდინარეობა, რომელიც ამტკიცებდა პროლეტარიატის შეთანხმებულ მოქმედების აუცილებლობას ბურჟუაზიის პოლიტიკასთან ერთად, ჩვენი, ეგრეთ წოდებულ „ბურჟუაზიულ" რევოლიუციების ეპოქაში, ტროცკიმ გასწყვიტა კავშირი მენშევიზმთან და რამოდენიმე ხანი იყო ორივე ფრაქციის გარეშე.

გამოდიოდა რა პლეხანოვის იმ დებულებიდან, რომ რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მუშური, ან სრულებით ვერ გაიმარჯვებს, ტროცკი 1904 წელში, 1903 წელში ნომადარ მღელვარე გაფიცვების მიხედვით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ცარიზმის დამხობა შეიძლება მხოლოდ საერთო გაფიცვით.

ამ გაფიცვების ნიადაგზე გაჩაღდება აშკარა რევოლიუციონური გამოსვლები, რომლებიც გაიშლებიან, გაფართოვდებიან შეიტანენ გახარწნას ჯარში და უკარნახებენ საუკეთესო მის ნაწილებს მიემხრონ აჯანყებულ მასებს.

ამ დებულებათა გასანვითარებლათ ტროცკის მიერ იყო დაწერილი ბროშიურა. ბროშიურა გადაეცა მენშევიკების საზღვარ გარეთელ რედაქციას, რომელიც მაშინ არ იყო კიდევ ტაქტიურათ გამორკვეული, და შინაგან ბრძოლას განიცდიდა. მარტოვი, მაგალითად, იცავდა ოპოზიციას—„კლასი წინააღმდეგ კლასისა" (მისი საპროგრამო წერილი „სოციალ-დემოკრატის № 1 პოპულიარული გამოცემა); ვ. ი. ზასულიჩი და სხვები იცავდენ შეთანხმების პოლიტიკას ლიბერალებთან და ბურჟუაზიის მხარის დაჭერას. მარტოვმა პატარა ხნის შემდეგ დასტოვა ოპოზიცია და მცირე შენიშვნებით დაიწყო დანის პოლიტიკის გატარება. თავის მხრით, დანი თაღლითურათ ფარავდა ვერა ზასულიჩს მარქსისტულ ფრაზეოლოგიის ნაწყვეტებით.

მენშევიკები ყოველგვარათ სცდილობდენ გაეჭიანურებიათ ტროცკის ბროშიურის დაბეჭდვა. და, როდესაც იგრიალა პეტერბურგში 9 იანვარმა, რომელმაც საკმარისად ნათელი ხაზი გაუსვა საერთო გაფიცვების მნიშვნელობას, იმათმა ბროშიურა გამოაცხადეს დაძველებულათ. მაგრამ ამ ბროშიურას გაეცნო ამბ. პარვუსი, რომელსაც იმ დროს ეჭირა სრულიად ინტერნაციონალურ—რევოლიუციონური პოზიცია. პარვუსმა გამოიტანა ის დასკვნა, რომ იმ რევოლიუციიდან, რომლის მამოძრავებულ ძალას წარმოადგენს მუშათა კლასი, ხოლო გადამწყვეტ მეთოდს—საერთო გაფიცვა და ამბოხება, გამომდინარეობს მუშების ხელში ძალა-უფლების გადასვლა იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუცია დაბოლოვდება გამარჯვებით. სწორეთ ამ მოსაზრებით პარვუსის მიერ იყო დაწერილი წინასიტყვაობა ტროცკის ბროშიურისთვის; ტროცკისთან ერთათ მან დაჟინე-

ბით მოითხოვა ყოფილიყო ის გამოცემული. ბროშიურა გამოვიდა შემდეგ სათაურით „До 9-го января“ —(ცხრა იანვრამდე).

ამ ბროშიურის ბოლოსიტყვაობაში ტროცკი არკვევდა 9 იანვარში მომხდარ ამბების ვითარებას და აზრს. 1905 წლის გაზაფხულში და ზაფხულში (უკვე რუსეთში) მოხსენების და წერილების საშუალებით (მაგალ. ლასალის სიტყვათა წინასიტყვაობაში) ტროცკი ანვითარებდა პერმანენტულ რევოლიუციის იდეას. ამ იდეის აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ მუშათა კლასი, რომელიც საერთო გაფიცვის და ამბოხების საშუალებით ჩაიგდებს ხელში ძალაუფლებას, ვერ შეზღუდავს თავის თავს დემოკრატულ (ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ) რევოლიუციის ჩარჩოებით. ის აუცილებლათ გადავა სოციალისტურ გარდაქმნაზე, რომელიც შესძლებს მიიყვანოს ის სოციალისტურ წესწყობილების სრულ გამარჯვებამდე, მაგრამ იმ პირობით, თუ რევოლიუცია მიიღებს საერთო ევროპიულ ხასიათს. აქედან ტაქტიური დასკვნა ტროცკის: არ შეჩერება რევოლიუციის არც ერთ ეტაპზე, განუწყვეტლივ გაღრმავება მისი სოციალური არხის, და, ყოველ მიზეზთა გარეშე, გამოყვანა მისი ნაციონალურ ჩარჩოებიდან.

ამ თვალსაზრისს ტროცკი ანვითარებდა შემდეგ წერილებში, რომლებიც იბეჭდებოდა პეტერბურგში გაზეთ „Начало“-ში, შემდეგ 1906 წელ. (უკვე ციხეში) კ. მარქსის „სამოქალაქო ომის“ რუსულ გამოცემის წინასიტყვაობაში, წერილში „Итоги и пересцективы“, წიგნებში „Наша Революция“ (გამოცემა გლაგოლიევისა 1907 წ.) და „Каутски о русской революции“, ბროშიურაში „В защиту нашей партии“ (1907 წ.) და სხვა, და სხვა. შემდეგ (უკვე საზღვარ გარედ) ტროცკი ანვითარებდა იგივე თვალსაზრისს წერილების მთელი რიგის საშუალებით და აკვირდებოდა რამდენათ შესაფერისი იყო რუსეთის მიმდინარე ცხოვრებაზე კონტრ-რევოლიუციის ეპოქაში (1905—1917 წ. წ.) ეს წერილები იბეჭდებოდა გერმანელ სოციალ-დემოკრატიის ყოველკვირეულ თეორეტიულ ჟურნალში „ნოიე-ცეიტ“, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ყოველთვიურ თეორეტიულ ჟურნალში „Социал-демократическое обозрение“ (იცემოდა როზა ლიუქსემბურგის ხელმძღვანელობით), ავსტრო-გერმანელ სოციალ-დემოკრატიის ყოველთვიურ ჟურნალში „დერ კამჰფ“ და სხვა გამოცემებში. 1909 წელში ტროცკიმ გამოსცა გერმანულ ენაზე წიგნი „Russland und der revolution“ (რუსეთი და რევოლიუცია), რომელიც წარმოადგენდა გერმანელ მუშებისათვის საგრძნობლათ შევსებულს და გადამუშავებულს მის რუსულ წიგნს, 1905 წელში მომხდარ რევოლიუციის შესახებ.

1915—16 წ.წ., როდესაც ომმა დააჩქარა რუსეთის მეორე რევოლიუცია, ტროცკი წერილების მთელი წყებით „Наше слово“-ში ამტკიცებდა, რომ გასულმა ათეულმა წელმა ერთბელ და საბოლოოდ დაახრჩო ყოველგვარი იმედები, ეგრეთ წოდებულ, ნაციონალურ-დემოკრატიულ რევოლიუციის განხორციელებისა, და რომ ძლევამოსილ რუსეთის რევოლიუციის დაბოლოვება შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას—იმ პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც საერთაშორისო სოციალისტური პროგრამით იმოქმედებს.

1917 წლის დასაწყისში, როდესაც ძალაუფლება გუჩკოვის, მილიუკოვის

და კერენსკის ხელში იყო, ტროცკი თავის წერილებში, რომლებიც ეგზავნებოდა ნიუ-იორკის გაზეთში "Новый мир", ანვითარებდა „პერმანენტულ რევოლიუციის" და პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისს.

—

9 იანვარის შემდეგ, როდესაც რუსეთში უკვე დაწყებული იყო მასიური მოძრაობა, ტროცკი ჩამოვიდა ავსტრიიდან ჯერ კიევში, მერე პეტერბურგში. ორივე ქალაქში ტროცკი უმთავრესად ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა: აწვდიდა რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის არალეგალურ სტამბას უმეტეს ნაწილს იმ პროკლამაციებისა და ფურცლებისა, რომელსაც ის უშვებდა.

რუსეთის რევოლიუციის პრობლემების მიმართ ტროცკის, ეჭირა ის პოზიცია, რომელიც მას ეხლაც სწორეთ მიაჩნია. ის ფიქრობს, რომ კლასთა ძალების განწყობილებამ რუსეთის საზოგადოებაში რევოლიუციონურ ეპოქის პირობებში, უნდა მიგვიყვანოს ჩვენ პროლეტარიატის პოლიტიკურ რეჟიმამდე.

ეს რეჟიმი მუშათა კლასის, რომელიც ეყრდნობა მწრომელ გლეხობის მასებს, არ შეიძლება შეიზღუდოს ბურჟუაზიულ რევოლიუციის ფარგლებით, პროლეტარიატმა ეს ფარგლები უთუოთ უნდა გაანგრიოს და, იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდება რევოლიუციონური მოძრაობა დასავლეთში, ეს მდგომარეობა შესაძლებელია გადიშალოს დასრულებულ სოციალურ რევოლიუციათ.

1905 წლის სექტემბრის და ოქტომბრის რევოლიუციამ მოუსწრო ტროცკის პეტერბურგში.

ის მაშინ პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი იყო. ხრუსტალიოვ ნოსარის დაპატიმრების შემდეგ, ტროცკი იქნა საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეული. ამ პერიოდში ტროცკი მჭიდროთ დაკავშირებული იყო პარვუსთან, რომელიც დიდი ცოდნის და თვალსაჩინო პოლიტიკურ და ლიტერატურულ ნიჭის პატრონი იყო. მაშინ „ინტერნაციონალში" პარვუსი იცავდა წმინდა კლასობრივ რევოლიუციონურ თვალსაზრისს რუსეთის პოლიტიკურ ბრძოლის ფარგლებში.

სასტიკათ ამხილებდა ოპორტუნიზმს და, უპირველეს ყოვლისა, გერმანეთის სოციალ-დემოკრატიის მარჯვენა ფრთის ოპორტიუნიზმს. პარვუსთან ერთად ტროცკი სცემდა პოპულიარულ „Русская газета"-ს, რომელმაც მიაღწია თვალსაჩინო ტირაჟს სწორეთ იმ დროს, როდესაც, 1905 წელს, დეკემბერში, განადგურებულ იქნა საბჭოები და მთელი რუსეთის რევოლიუცია. გარდა ამისა, იმავე პარვუსთან ერთად, ტროცკი აძლევდა მიმართულებას დიდ ყოველდღიურ გაზეთს „Начало"-ს. ამ გაზეთში ისინი თანამშრომლობდენ სხვა ამხანაგებთან ერთად, რომელთა შორის იყო აგრეთვე ლ. მარტოვი.

2 დეკემბერს, 1905 წ. პეტერბურგში, თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების შენობაში, შეპყრობილ იქნა პეტერბურგის მთელი საბჭო. ეს იყო დასაწყისი ყველაზე უფრო სისხლიანი და აღვირახსნილ კონტრრევოლიუციის ეპოქისა. დაიჭირეს ტროცკიც, რომელიც საბჭოში და მუშების კრებებზე გამოდიოდა ია-

ნოვსკის სახელით. ჟანდარმებმა, რა თქმა უნდა, ადვილათ გამოარკვიეს მისი პირადობა.

პეტერბურგის მუშათა საბჭოს დეპუტატების პროცესი, რომელიც გრძელდებოდა თითქმის ერთი თვე, უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო თვალსაჩინო პოლიტიკურ პროცესათ, როგორც ბრალდების მხრივ, ისე ბრალდებულთა და მოწმეთა სიმრავლით.

ყველა უმთავრეს ბრალდებულს ამ საქმეში, და მათ შორის ტროცკის, პეტერბურგის სასამართლო პალატამ (19 ოქტომბერი 1906 წ.) მიუსაჯა ყოველგვარ უფლების ჩამორთმევა და გადასახლება. ტროცკის მიუსაჯეს გადასახლება ტობოლსკის გუბერნიის ოადორსკში.

მაგრამ ამ ადგილს ტროცკიმ ვერ მიაღწია ვითომდა ავადმყოფობის გამო. მან განიზრახა გაქცევა, რომელიც მოიყვანა სისრულეში. ეს მოხდა ბერეზოვში იმავე ტობოლსკის გუბერნიაში.

თვით ტროცკი გვიამბობს ამ ეპიზოდს ამ ნაირად:

— ცნობილმა ესერმა, დოქტორმა ფრეიტმა, რომელთანაც ერთათ მე გადამასახლეს, (ჩვენთან იყო აგრეთვე ავქსენტიევი, რომელიც გვარიანათ კითხულობდა დიალოგს „სასიამოვნო ქალის“ „ყოველმხრივ სასიამოვნო ქალის“ შესახებ, და ვერავინ მაშინ ვერ იფიქრებდა, რომ მასში აღმოჩნდებოდა ის სახელმწიფოებრივი ნიჭი, რომელიც მან შემდეგ გამოიჩინა), ამ დოქტორმა ფრეიტმა მირჩია მე დამესახელებია ბერეზოვის ექიმისთვის ყველა სიმპტომები მკაცრი იშიასის—ავადმყოფობის, რომლის ობიექტურათ დადასტურება და გამორკვევა შეუძლებელია. მე დავრჩი და მოვახერხე გაქცევა ბერეზოვის საავადმყოფოში ჩემი ხუთი დღის ყოფნის შემდეგ. ეს გაქცევა ირმებით ყრუ ზამთარში ქალწულ თოვლიან უდაბნოს ველებით (20 თებერვალი 1907 წ.) ბერეზოვიდან ურალისკენ, დარჩა ჩემ ხსოვნაში როგორც უმშვენიერესი მოგონება ჩემი ცხოვრების.

თავის გაქცევა ბერეზოვიდან ტროცკიმ აწერა მშვენიერ ბროშურაში: „Туда и обратно“, რომელიც შემდეგ იქნა გადათარგმნილი გერმანულ და მგონი, სხვა ენებზედაც,

VI. ოქტომბრის დღეები.

მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიული პრესა დღითი-დღე აძაგებდა ბოლშევიკებს, სთხზავდა ყოველგვარს ჭორს, რომელიც შეუძლია მხოლოდ გახრწნილმა ბურჟუაზიულმა ტვინმა შეჰქმნას; მიუხედავათ იმისა, პერეევერზევი და ალექსინსკი ჯაშუშ ერმოლენკოსთან ერთად ამზადებდა ყალბ საბუთებს, რომელშიაც ბოლშევიკური მოძრაობის ბელადებს გერმანიის სამხედრო შტაბის აგენტებათ ნათლავდენ, მიუხედავათ იმისა, რომ გორკი, ბაზაროვი და სხვა ინტელიგენტთა კომპანია ბოლშევიკებს სწრაფ და აუცილებელ დალუპვას უწინასწარმეტყველებენ; მიუხედავათ იმისა,რომ კერენსკიმ ფრონტიდან—პეტერბურგისაკენ მიმართა ჯარის ნაწილები—მიუხედავათ ყოველივე ამისა, ყველა, ვისაც

შეეძლო ენახა და გაეგო, ნახა და გაიგო, რომ კერენსკის კოალიციონური მთავრობა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

ზოგიერთი ჯარის ნაწილები, როგორც მაგ. მოსალოდნელ „ბოლშევიკური ამბოხების“ ჩასაქრობათ, ფრონტიდან გამოწვეულ „სამოკატჩიკების“ ორმა ბატალიონმა დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგის საბჭოს (მაშინ უკვე ბოლშევიკურს):

— ჩვენ მივყეევართ პეტერბურგში, არ ვიცით რისთვის, გთხოვთ განმარტებას.

საბჭოსთან არსებულ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტმა მისწერა მათ შეჩერებულიყვენ და გაეგზავნათ დელეგაცია. როდესაც დელეგაცია ჩავიდა პეტერბურგში, მოისმინეს და გაიგეს თუ რაშიდაც იყო საქმე, დელეგატებმა განაცხადეს.

— „სამოკატჩიკები“ რევოლიუციონურ პროლეტარიატს ემხრობა. სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს შეუძლია ჩვენი გამოყენება როგორც სურს. ჩვენ მის განკარგულებაში ვართ.

ამ განცხადებამ აღფრთოვანება გამოიწვია.

„სამოკატჩიკებს“ წინადადება მიეცა დაუყონებლივ შესულიყვენ ქალაქში.

სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე იყო ტროცკი.

—

სმოლნის მესამე სართულის ერთ-ერთ პაწია ოთახში სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის განუწყვეტელი სხდომები მიდიოდა. კომიტეტის წევრები მთელი კვირის განმავლობაში გარეთ არ გამოსულან;ეძინათ დრო გამოშვებით იქვე სავარძლებში. აქ ყოველ წუთს მოდიოდენ ამბებით შიკრიკები, მხვერავები „სამოკატჩიკები“, ტელეგრაფისტები, განუწყვეტლივ მუშაობდა ტელეფონი.

25 ოქტომბერს ტროცკიმ მთელი ღამე ტელეფონთან გაათია, ის ხელმძღვანელობდა რევოლიუციონურ ჯარს, მეზღვაურებს, მუშათა გვარდიას. ობივატელს მშვიდათ ეძინა არ იცოდა, რომ ღამით ერთი ხელის უფლება იცვლებოდა მეორეთი.

დროებითი მთავრობა განაგრძობდა სხდომებს სახამთრო სასახლეში იმ დროს, ოქტომბრის 25-ს, როცა მთელი დღის განმავლობაში ის თან და თან რევოლიუციონურ ჯარით ირკალებოდა. ხოლო ამავე დღეს შუადღის პირველ საათზე პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე ტროცკიმ სთქვა:

— სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის სახელით ვაცხადებ, რომ ამიერიდან კერენსკის მთავრობა არ არსებობს. სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის გადაწყვეტილებამდე მთელი ძალაუფლება გადადის სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის ხელში.

ამ დღეს, სალამოს სმოლნში კონსპირატიულად მივიდა ლენინი. ის უკვე დიდი ხანია ჩამოსულიყო ფინლიანდიიდან, სადაც ის კერენსკის მთავრობის აგენტებს ემალებოდა, უკანასკნელი დღეები ის ცხოვრობდა პეტერბურგის განაპირა უბნებში მუშების ბინებზე.

26 ოქტომბერს, საღამოს, სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის გადამწყვეტი სხდომა მიდიოდა. ლენინმა შეიტანა ორი დეკრეტი, ბეჭდვის და მიწის შესახებ. ორივე მიღებულ იქმნა მცირე კამათის შემდეგ. ამ სხდომაზე შეიქმნა და განმტკიცდა ახალი, მუშურ-გლეხური ხელისუფლება—სახალხო კომისართა საბჭო.

პეტერბურგი სამხედრო ბანაკად გადაიქცა. ღამით ქუჩებზე, პაწია კოცონების ირგვლივ, რიგრიგად გუშაგობდენ შეარაღებული წითელ-არმიელები. არც ერთ ავტომობილს არ შეეძლო ქუჩაზე გავლა სმოლნიდან საშვის გარეშე.

პეტერბურგზე მოდიოდა კერენსკი კაზაკებით, რომელსაც მეთაურობდა კრასნოვი. ის კრასნოვი, რომელმაც შემდეგ თავის თავი დონის ატამანად გამოაცხადა და დახვრიტა... არა ერთი და ორი ათასი მუშა და გლეხი. ეს იყო კერენსკის უახლოესი თანაშემწე და დამცველი.

ღამე 30 ოქტომბერი. ცივი ღამე. პეტერბურგიდან პოზიციებისაკენ მიჰქრის ავტომობილი. შიგ სხედან ტროცკი და მურავიოვი,—ის მურავიოვი, რომელმაც შემდეგ ასე ტრაგიულად დაასრულა თავის სიცოცხლე. ავტომობილი უსწრებს— სურსათ-სანოვაგით, სამხედრო მასალით, დატვირთულ საბარგულებს.

ყოველივე ეს ასე მოკლე დროში მოაწყვეს პეტერბურგის მუშებმა. სადარაჯოებზე წითელარმიელები აჩერებენ ავტომობილს საშვის გასაშინჯავათ. დისციპლინა რკინის, მახვილი სიფხიზლე. დადგა გადამწყვეტი და უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტი. ეს იცოდა მუშებმა და ჯარის ნაწილებმაც.

მეორე დღეს კრასნოე სელოს და ცარსკოე სელოს შუა გადამწყვეტი ბრძოლა მოუხდათ კერენსკის კაზაკებს რევოლიუციონურ ჯართან. მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ კაზაკებმა დაიხიეს. საბჭოთა ჯარს ხელში ჩაუვარდა კრასნოე სელოს რადიო სადგური. ტროცკიმ ისარგებლა ამით და გადასცა რადიო დეპეშით:

„სოფელი პულკოვო. შტაბი. შუაღამის 2 საათი და 10 წუთი.

„30—31 ოქტომბრის ღამე აღინიშნება ისტორიაში. კერენსკის ცდა, დაეძრა კონტრ-რევოლიუციონური ჯარი რევოლიუციის დედაქალაქისაკენ უკუგდებულია. კერენსკი იხევს, ჩვენ უტევთ“.

პეტროგრადის მუშებმა ჯარის-კაცებმა და მატროსებმა გვიჩვენეს რომ მათ შეუძლიათ და სურთ იარაღით ხელში განამტკიცონ მუშათა დემოკრატიის ნება და ძალა-უფლება. ბურჟუაზია ცდილობდა იზოლიაცია ეყო რევოლიუციის არმიისათვის, კერენსკი ცდილობდა ყაზახებით დაემსხვრია ის. ერთმაც და მეორემაც საცოდავი დამარცხება განიცადა.

„მუშათა და გლეხთა დემოკრატიის ბატონობის დიდმა იდეამ შეამჭიდროვა არმიის რიგები და გააკაჟა მისი ნების ყოფა. ამიერიდან მთელი ქვეყანა დარწმუნდება, რომ საბჭოთა ხელის უფლება—ეს გარდამავალი მოვლენა კი არ არის, არამედ მუშათა, გლეხთა და ჯარის-კაცთა ბატონობის ურყევი ფაქტი. კერენსკის უკუგდება—ეს ბურჟუაზიის, მემამულეების კორნილოველების უკუგდებაა. კერენსკის უკუგდება ეს ხალხის უფლების განმტკიცებაა თავისუფალ ცხოვრებაზე, მიწაზე, პურზე, ძალაუფლებაზე. პულკოვის რაზმი თავის ბრწყინ-

ვალე გამარჯვებით ამაგრებს მუშათა და გლეხთა რევოლიუციის საქმეს წარსულის დაბრუნება არ იქნება. წინ იქნება ბრძოლა, დაბრკოლება, ხსნა, მაგრამ გზა გახსნილია და გამარჯვება უზრუნველყოფილი.

„რევოლიუციონურ რუსეთს და საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია იამაყოს პულკოვის რაზმით, რომელსაც პოლკოვნიკი ვალდენი მეთაურობს. საუკუნო ხსენება დალუპულთ! დიდება რევოლიუციის მებრძოლ ჯარის-კაცებს და ხალხის ერთგულ ოფიცრებს!

„გაუმარჯოს რევოლიუციონურ, ხალხურ, სოციალისტურ რუსეთს!

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ლ. ტროცკი“.

კრასნოვი დამარცხებული და შეპყრობილი იქმნა. შემდეგ მემარცხენე ესერების დაჟინებით ის წინდაუხედავად განთავისუფლებელი იქმნა „პატიოსანი სიტყვის“ ქვეშ.

იცოდენ განა მაშინ—თუ რა დიდ დანაშაულს ჩადიოდენ რუსეთის მუშების და გლეხების წინაშე?!

კერენსკი მისი მტრის, მეზღვაურის ტანსაცმელში გახვეული გაიქცა, როგორც მეწვრილმანე თაღლითი. პირველი კონტრ-რევოლიუციონური აფეთქება ჩაქრობილ იქმნა. დამთავრდა ერთი ეპოქა. წარმოიშვა ახალი.

VII რევოლიუციის შეიარაღებული ძალების სათავეში.

— მე უარი განვაცხადე მორიგეობის გაგრძელებაზე, ვინაიდან დადებულ დროზე მეტს ვმორიგეობდი შეუცვლელად. მე უნდა გამომცვალონ.

— მოითმინეთ, ამხანაგო: ჩვენ ვიმყოფებით ფრონტზე, საომარ პირობებში. მე და ბევრი სხვა ამხანაგები შეუცვლელად ვმუშაობთ. მე, მაგალითად, ორი დღე და ღამის განმავლობაში არ მიძინია არც ერთი წუთი.

— განა მე შემიძლია თქვენ გაგისწორდეთ?.. თქვენს მუშაობას, ამხ. ტროცკი, მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს, მაგრამ ვინ მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ ვიღაც ტყვისმფრქვეველის მსროლელი შეუცვლელად იდგა სადარაჯოზე რამდენიმე ზედმეტი საათი...

— წადით მატარებლის უფროსთან და უთხარით მას, რომ მე ვუბრძანე დაგაპატიმროთ თქვენ ერთი კვირის ვადით.

ტროცკი დისციპლინის ადამიანია ისე, როგორც არავინ. და ეს თვით დისციპლინა მისთვის, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იყო. მაგრამ რაკი ერთხელ სძლია იგი, მას შეაქვს ეს დისციპლინა რევოლიუციონურ რიგებში რკინის ხელით. ეს დისციპლინა რომ არ ყოფილიყო, რევოლიუცია დაიღუპებოდა. რუსეთის პროლეტარიატმა სწორედ იმიტომ გაიმარჯვა, რომ შესძლო მოკლე ხანში ორგანიზაციის მწვერვალების მიღწევა. და მასთან შესძლო, რომ ეს ორგანიზაცია ყოფილიყო რამდენადაც მოსახერხებელია აქტიური, მომქმედი და დისციპლინით გაჭედილი.

ტროცკი მტერია ყოველგვარი ფსიქოლოგიური ხალვათიანობის, დაფანტულობის და მორალური აღვირახსნილობის. ტროცკი არის ორგანიზატორი,

რომელმაც შეიცნო ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ყოველი ორგანიზაცია მტაიცეა და ცხოველმყოფელი იმდენად, რამდენადაც მასში [illegible] ძნაგანი დისციპლინა. უდისციპლინოთ ვერ იარსებებს ვერცერთი ორგანიზაცია. ორგანიზაცია უდისციპლინოთ, ეს არის ფსიქოლოგიურად აღვირახსნილთა ბანდა.

„ტროცკის მატარებელი“ შეიძლება იყოს ორგანიზაციისა და დისციპლინის ნიშუში. ეს არის მთელი რევოლიუციონური პატარა ქვეყანა. პატარა ასკეტიური ქვეყანა რევოლიუციისათვის თავდადებულ მუშაკებისა. აქ არ არის არაფერი ზედმეტი, რაიც ხელს შეუშლის მუშაობას. 1918 წლის შემოდგომაზე ტროცკიმ მოაშორა მატარებელს ტელეფონზე მომუშავე ქალებიც კი. ამ ქალებს არ ესმოდათ მატარებლის ტრაგიული როლი. მათ შეიატანეს იქ, შეიძლება მსუბუქი, შეიძლება უცვოდველი, მაგრამ მაინც დამასუსტებელი ატმოსფერა ფლირტისა. იმის შემდეგ ტროცკის მატარებელში აღარ არის არც ერთი ქალი. მატარებელში სიარულის ნება არა აქვთ მატარებლის პერსონალის ცოლებსაც კი.

— თუ მატარებლის ადმინისტრატიულ პირებს შეუძლია ცოლების თან წაყვანა, რატომ არ შეუძლია ჩაიდინოს იგივე ყველა სხვა დანარჩენებმა—მეზღვაურებმა, წითელარმიელებმა?!

ამგვარად მსჯელობს ტროცკი. მთელ ქვეყანაზე და მთელ ისტორიის მანძილზე ერთი უმკაცრესი რევოლიუციონური ბრძოლის ტრაღიკულ ატმოსფერაში,—ადგილი არა აქვს მეშჩანურს ოჯახურ კეთილდღეობას. ეს აქ ცუდი სტილია.

ტროცკის დანიშვნა სამხედრო-საზღვაო კომისრად და უმაღლეს სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარედ არის მუშათა და გლეხთა მთავრობის ერთი უიღბლიანესი აქტი. ეს ტროცკის როლია. ეს ადგილი ეკუთვნის მას უფლებრივად, მისი ნიჭის თვისების მიხედვით. მეორე ისეთი ძალა, რომელიც გაუსწორდება ტროცკის საორგანიზაციო ნიჭით, აქამდე რევოლიუციას არ წარმოუშვია.

ტროცკიმ ქაოსიდან შეჰქმნა მშვენიერი, ვინც რა არ უნდა სთქვას, ბრძოლის უნარით აღჭურვილი არმია.

მისი მეთოდია.—შეიტანოს ამ არმიაში დისციპლინა და, რაც უმთავრესია, შეგნებულობა. მუშათა და გლეხთა არმია ვალდებულია იცოდეს რისთვისაც იბრძვის იგი. არმიის შეგნებულობაში არის იმისი ძალა. ეს ტროცკიმ ძალიან კარგად იცის, თუ მუშამ ან გლეხმა გაიგო, რომ ის იცავს თავის თავს, თავის ინტერესებს, თავის სიცოცხლეს, მაშინ ის მშვენიერი, გმირული ჯარისკაცი იქნება. უნდა მოაწყო მხოლოდ ისე, რომ მან გაიგოს.

დასავლეთის ფრონტის ქაოტიური მდგომარეობის განმავლობაში, დენიკინის თავდასხმის დროს, ტროცკიმ შემდეგი განაცხადა ერთ-ერთ მიტინგზე:

— მე მეუბნებიან, რომ აქ ბევრი დეზერტირებია, რომ საერთოდ აქ ცუდი არმია არის. მე კი გეუბნებით, რომ აქ არ არის ცუდი არმია. არის ცუდი კომისრები და კომანდირთა ცუდი შემადგენლობა. საჭიროა კარგი კომისრები და კარგი კომანდირთა შემადგენლობა და მაშინ დეზერტირები ერთი კვირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მშვენიერ ჯარისკაცებად გადაიქცევიან, რომლებიც იბრძოლებენ მუშათა და გლეხთა საქმისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ასე მარტივად და ასე სწორად.

რევოლიუცია ძლიერია თავისი ტრაღიკული სიმართლით. წინად მეფის მთავრობას უნდა დაეჭიმა მთელი თავისი ძალლონე იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოხერხებულად მოეტყუებინა მუშები და გლეხები, რათა მათ ეჟლიტნათ „მტრული“ ქვეყნის ისეთივე მუშები და გლეხები. იმგვარივე მოტყუებით მოქმედობენ თეთრგვარდიელთა ხელმძღვანელები. მართლაც და რომელი ჭკუათა-მყოფელი გლეხი იბრძოლებს თავის ნებით იმისათვის, რომ წაართვას გლეხებს, ესე იგი თვითონ თავის თავს, მიწა და დაუბრუნოს ის მემამულეს? რომელი ჭკუათა-მყოფელი მუშა წავა და იომებს იმის გულისათვის, რომ მოეხმაროს კაპიტალისტს და ფაბრიკანტებს იმგვარივე მუშების კისრებზე თოკის წაჭერაში, როგორც თვითონ არის? მხოლოდ მოხერხებულ თაღლითობას, მხოლოდ სიცრუესა და მოტყუებას შეუძლია დაუკარგოს მუშასა და გლეხს ჭკუა იმდენად, რომ იბრძოლონ მათ თავისი მოსისხლე მტერის სასარგებლოდ.

რევოლიუციას არა სჭირდება სიყალბისა და სიცრუის გამოყენება. ის ძლიერია თავის მარტივი და ტრაღიკული სიმართლით. და ტროცკისაც ესმის ეს ძალიან კარგად. მან წინასწარვე იცოდა, თუ რა დახმარებას გაუწევდენ არმიას პოლიტიკური კომისრები და აგიტატორები. საჭირო იყო, რომ თვითონ მისი კაცი, მუშა ან გლეხი, რომელმაც გაიგო ბრძოლის აუცილებლობა, მისულიყო იმგვარსავე მუშებთან და გლეხებთან, როგორიც თვით არის, და ეამბნა მთელი სიმართლე იმის შესახებ, თუ რისთვის იბრძვის საბჭოთა რუსეთი. მხოლოდ ეს, მეტი არაფერი. და გუშინდელი დეზერტირები მოულოდნელად რევოლიუციის საუკეთო ჯარის კაცები ხდებიან და გმირობის სასწაულებს ახდენენ.

ტროცკიმ იცის მხურვალე სიტყვის ძალა, ტყუილად კი არ ახდენს ის ამ სიტყვით სასწაულებს, როდესაც ის რაღაც რამდენიმე დღის განმავლობაში პანიკით შეპყრობილ გაქცეულ ბანდებს გარდაჰქმნის ისეთ მტკიცე რევოლიუციონურ პოლკებად, რომლებიც, თითქოს რაღაც ჯადოსნური კვერთხის აქნევით, სდგებიან, გადადიან წემდეგ შეტევაზე და მიერეკებიან მტერს ისე, როგორც დამფრთხალი ცხვრების ფარას. ბევრმა მობილიზაციით გაწვეულმა ნაწილებმა მხოლოდ ფრონტზე ჩაიდგეს რევოლიუციონური სული. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ფრონტზე გაიგონეს მათ პირველად პატიოსანი და მართალი სიტყვა—უბრალო სიტყვა იმის შესახებ, თუ რისთვის იბრძვის წითელი არმია,

ტროცკიმ იცის, რომ რევოლიუცია ძლიერია არა მყვირალა ფრაზებით, რითაც საერთოდ შავის საქმის ხალხი სიცრუესა და სიყალბეს ჰფარავს ხოლმე, არამედ თავისი სისადავით და შეურყეველი სიმართლით. განა მართალი არ არის, რომ მუშები და გლეხები ფაბრიკანტებისა და მემამულებისაგან თავის გასანთავისუფლებლად იბრძვიან? და ისინი უკეთ, ვიდრე სხვა ვინმე, ჰგრძნობენ ამ თავის სიმართლეს. ამიტომ საჭირო იყო, რომ რევოლიუციონური არმიის ხელმძღვანელობა ჩაჰბარებოდა არა ამ საეჭვო „სხვა ვინმეს“, არა-

მედ თვით მუშასა და გლეხს. და ტროცკიმაც შესძლო ემტკიცებინა, რომ მუშათა და გლეხთა არმიას ხელმძღვანელობდენ არა მარტო სამხედრო საქმის მცოდნე სპეციალისტები, არამედ თვით მუშები და გლეხებიც... ეს კიდევ ცოტა. მან მეტს მიაღწია. თავისი ორგანიზატორული ნიჭის მეოხებით მოახერხა ის, რომ მეფის არმიის ძველი სპეციალისტები მოვიდნენ და ემსახურებოდნენ მუშებისა და გლეხების არმიას... აქ მან გვიჩვენა უდიდესი ძლიერება იმ საკუთარი ძალაუფლების, რომლითაც იგი საბჭოთა რუსეთის მუშებმა და გლეხებმა აღჭურვეს. მან ძალით აიძულა, რომ მუშათა კლასისათვის სამსახური გაეწია მის კლასიურ მტრებს...

და, უეჭველია, ეს იყო რევოლიუციონური ხელისუფლების ერთი უსწორესი საქმე. ეს იყო იმ რკინის დისციპლინის გამოაშკარავება, რომელიც აუცილებლად თან უნდა სდევდეს რევოლიუციონური დიქტატურის ხანას.

VIII. რევოლიუციის ტრიბუნი.

ბრწყინვალე მოძრავი ჭკუა, საუცხოო დიალექტიკა, ცეცხლოვანი ტემპერამენტი, გასაოცარი გონება მახვილობა—ყოველივე ეს სრულ უფლებას იძლევა, რომ ტროცკი ჩავსთვალოთ ევროპის ერთ-ერთ უბრწყინვალეს პირველხარისხოვან ორატორად. ჭეშმარიტად ეს ტრიბუნია რევოლიუციის. მისი სიტყვები იწვევენ აღრთოვანებულ გმირობას. მისი დაცინვა, კოდავს სასიკვდილოდ. მისი მომწოდებელი ხმა რეკავს, როგორც შეშფოთებული ბრძანება საყვირისა, რომლის თუნდაც შორიდან გაგონების შემდეგ ველარ დაიძინებ დამშვიდებულად.

ტროცკიმ სული ჩაუდგა მრავალ ფრაზებს, გამოთქმებს, ცალკე სიტყვებს. ტროცკის მოსწრებული სიტყვები, მისი მკვეთრი განმარტებები მთელი თვეობით არა შორდება უფრო მცირე ორატორების ენას და გაზეთების სვეტებს. თვით გესლით და სიძულვილით სავსე ბურჟუაზიის ბეჭვდითი სიტყვა აღიარებდა მასში ტრიბუნის უდიდეს ნიჭს.

თუ ის ამბობს, რომ ბურჟუაზია დამარცხდება, მაშინ თქვენ ჭგრძნობთ მის ხმაში, მის სიტყვებში, იმის შეთანხმებულ, არტისტულ ჟესტებში, რომ ამ კაცს სჯერა, რომ ყველაფერი იქნება ისე, როგორც ის ლაპარაკობს. თქვენ ჭგრძნობთ ამ ბურჟუაზიის დაღუპვას, რომლის წინააღმდეგ ტროცკი მოუწოდებს. თქვენ აშკარად გესმით ჩაქუჩის ხმა, რომელიც ლუსმანს აჭედავს ყუბოს. და ეს რწმენა, შეურყეველი რწმენა, გადადის აუდიტორიაზე მისგან. ტროცკის ყურს უგდებენ თავიდან ბოლომდე. მისი სიტყვის დროს არ ჩურჩულებენ ერთმანეთში, არ იმზირებიან აქეთ-იქეთ.

დაახლოვებით ასე ახასიათებდა მოსკოვის ბურჟუაზიის გაზეთები ტროცკის, როდესაც ის ჩამოვიდა მოსკოვში და მუშათა რაიონებში მიტინგებზე გამოდიოდა.

მისი დამახასიათებელი ჟესტი, მარცხენა ხელი უკან, მისი მკვეთრი სახეები—„თუ ბურჟუაზია იტყვის, რომ მზე მხოლოდ მისთვის ანათებს—ჩვენ ჩავაქ-



რობთ მზეს"—და სხვა მრავალი უკვე დიდიხანია გახეპირებულია, [illegible] ყველელი გაკვეთილი, იქ, სადაც ტროცკის ხშირად ხედავენ.

ის თავის სიტყვების კონსპექტებსაც კი არასოდეს არა სწერს. ის ლაპარაკობს ყოველთვის ექსპრომტად. მხოლოდ ხანდახან ქაღალდის ნახევზე თუ ჩაინიშნავს ფერადი ფანქარით წარმოსათქმელი სიტყვის ზოგიერთ მომენტებს, რომლებზედაც უნდა მას შეაჩეროს აუდიტორიის განსაკუთრებული ყურადღება. ხუთი-ათი ფრაზა. ერთი დაწერილია წითელი ფანქარით, მეორე ლურჯით, შემდეგი ისევ წითელით და ასე ბოლომდე.

მისი სიტყვების დასაწყისი ყოველთვის ნელია, პერიოდები გრძელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ჯერ კიდევ ენთება. სამი ოთხი წუთის შემდეგ ტროცკი უკვე ცეცხლშია გახვეული. მაშხალებივით ცვივიან მოსწრებული სიტყვები. მოკლე, ტროცკის ნიჭისათვის დამახასიათებელი სწორე და ნათელი, ერთი მეორეზე უკეთესი, ერთი მეორეზე უფრო ცეცხლოვანი და ყოველთვის მკაფიო ფრაზები,—გაისმის აუდიტორიის ყოველ კუთხეში, რაც არ უნდა დიდი იყოს დარბაზი. ტროცკი „აწვდის" მსმენელს ყოველ თავის სიტყვას, ყოველ გამოთქმას. ის არა ჰყლაპავს სიტყვებს, არა ბრუნდება უკან, რადგან არასოდეს არ ჰყარგავს თავისი აზრის ძაფს. მისი აზრი გაწვრთნილია დისციპლინით ისე, როგორც მთელი მისი ხასიათი. უფრო სწორედ—ის მთლად ემორჩილება თავის აზრს, თავის შინაგან ლოგიკას. მე ვფიქრობ, რომ არ არსებობს ისე ჰარმონიულად შექმნილი ადამიანი, როგორც არის ტროცკი. სრული ჰარმონია, მორალური და ფიზიკური თვისებების სრული შეთანხმება.

მხოლოდ ამითი შეიძლება მის საოცარი დაუღალობის ახსნა მუშაობის დროს, როდესაც მას შეუძლია ორ-ორი დღე და ღამე და მეტიც არ იძინოს, სჭამოს ის რაც იქნება და როგორიც იქნება (სხვათა შორის, ტროცკი თითქმის სრულებით არა სჭამს ხორცს) და, მიუხედავად ამისა, გამოიყურებოდეს ცოცხლად და ჯანსაღად. და თვით იმ მომენტშიც კი, როდესაც ესერი სავინკოვი, თეთრგვარდიელი ლებედევი და დამფუძნებელი კრების წევრი ფორტუნატოვი, მატარებელზე რამდენიმე ვერსის მოშორებით, არტილერიით და ტყვიისმფრქვევლებით ანადგურებენ რევოლიუციის გმირულ დამცველებს,—იმ მომენტში, როდესაც ეგონა კაცს, რომ დალუპვა აუცილებელია, ტროცკი არმიის შტაბში იყო ისეთი სახით, როგორც უალრესად დამშვიდებული და საქმიანი უფროსი, რომელსაც მხოლოდ ერთი მოუდრეკელი სურვილი ასულდგმულებდა: გამარჯვება. გამარჯვება, რათაც არ უნდა დამჯდარიყო იგი, გამარჯვება აუცილებლად, მოწინააღმდეგე ძალთა როგორი ურთიერთი განწყობილებაც არ უნდა ყოფილიყოს. და თვითონ ის ყველაზე უფრო დარწმუნებული იყო, ან ჰგვანდა დარწმუნებულს, გამარჯვებაში, თუმცა, რა თქმა უნდა, მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ დამარცხების მთავარი და ყველაზე უფრო მკაცრი საშიშროება მოელოდა უწინარეს ყოვლისა მას. ფიქრობდა ის მაშინ თავის თავზე? არა მგონია. იცოდა თუ არა მან, რომ ამ წუთში სწყდებოდა რუსეთის რევოლიუციის სიკვდილ-სიცოცხლის ბედი? შეიძლება. ტროცკი არ იფარისევლებს არც საერთოდ არც თავის თავის წინაშე. მან იცოდა თავის გავლენის ძალა, სჯეროდა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მტკიცედ იდგა თავის სადარაჯოზე. ის თვითონ აძლევდა ზოგიერთ ბრძანებებს და ამხნევებდა მებრძოლებს.

— უნდა გავიმარჯვოთ. ასე გვიბრძანებს რევოლუცია.

და ის იყო საქმიანი, როგორც ყოველთვის, და, როგორც ყოველთვის, დამშვიდებული. იმგვარადვე საქმიანი და დამშვიდებული, როდესაც ის უცქეროდა აფეთქებულ ყაზანს, სადაც სისხლში და ცეცხლის ალში იბადებოდა მუშათა კლასის ახალი გამარჯვება. დიდი სული თუ იტანჯება, იტანჯება ჩუმად. ხოლო ტროცკი, რა თქმა უნდა, ძლიერ იტანჯებოდა, როდესაც იქ, რკინის გზის ბექობიდან უცქეროდა ის ცეცხლში გახვეულ ყაზანს და ყურს უგდებდა არტილერიის გუგუნს, რომელიც ანადგურებდა ყაზანის მუშებს.

მე მახსოვს, როგორ მოვიდა იმ საღამოს ვაგონის დასალაგებლად ადგილობრივი გლეხის ქალი და დიდხანს გვიყვებოდა ტროცკის შესახებ. ჩვენი ტროცკის შესახებ! მან მხოლოდ იატაკი მორეცხა მის კუპეში და, ალბად, მხოლოდ ერთხელ მოჰკრა მას თვალი, როდესაც ის გარეთ გამოდიოდა.. მაგრამ ქალმა მაშინვე იცნო ის. და დიდხანს, შეიძლება სიკვდილამდეც, შერჩება მას ამ შეხვედრის შთაბეჭდილება.

— ვნახე, ჩემო ძმებო... როგორი თეთრი სახე. გათეთრებულია უკვე და მოხუცებული კი არ არის ჯერ. ბევრი საზრუნავი აქვს ალბად.

ის დიდხანს ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა როგორც შვილის შესახებ. ევედრებოდა ღმერთს, რომ შესწეოდა ის ტროცკის „დაწყევლილი ჩეხელების“ გარეკაში.

— მაგრამ თუ ღმერთი არ შეეწია, ჩვენ შევეწევით,—იხუმრა ერთმა მეზღვაურმა, რომელიც მას ყურს უგდებდა,

გლეხის ქალმა ნაზად გადუსვა მას თავზე ხელი.

— ღმერთმა ქნას,—წარმოსთქვა მან ისევ. თქვენ რომ გიყურებთ ეხედავ, რომ ხალხი კარგი ჰყავს თქვენთან კაცი არ დაიღუპება.

შემდეგ ის გაჩუმდა და ჩაფიქრდა. ამოიოხრა და მოულოდნელად ორი სიტყვით გამოსთქვა მთელი თავისი შთაბეჭდილება ტროცკის შესახებ.

— გაუცინარი კაცია...—სთქვა მან და მოემზადა წასასვლელად.

დიახ, „გაუცინარი კაცი“. ეს იმიტომ, რომ ცოტა სიცილი ხვედრია წილად მათ, რომლებმაც მთელი საუკუნოებრივი ჩაგვრის შემდეგ იარაღი აიღეს ხელში და ამხედრდენ მჩაგვრელების წინააღმდეგ. ეს იმიტომ, რომ ბრძოლა, სისხლიანი და სამინელი ბრძოლა, შეიქმნა გამოხსნის ერთად ერთ საშუალებად. ამხედრებული პროლეტარიატი, როდესაც იცის მან, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს, ჰგმნის მკაცრსა და წმიდა საქმეს. მას მოელის ან სიკვდილი ან გამარჯვება. და ისიც მოჰკვდება ან გაიმარჯვებს!

ბ. ბოლდეზიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბერი და მხატვრობა.*)

I

ქვეყნის ორეულობა ისე ცხადი აროდის ყოფილა როგორც ოქტომბრის შემდეგ.

ერთ მხარეზე მოექცა ძველი ქვეყანა მთელი თავისი კულტურით, შეგნებით და სახელმწიფოებრივი სტრუქტურით. ყველასათვის ცხადი გახდა რომ ვერც აღდგენა და ვერც რესტავრაცია წასულ ქვეყანას ვერ გადაარჩენს. ახალი მხოლოდ პოტენციით არსებობდა. კრიზისი გაიმართა ქვეყნის რადიუსით. ძველი ქვეყნის მმართველთა პესიმიზმი იყო საუკეთესო გამარჯვება რომანტიული ოქტომბრის. აქედან იწყება მუშათა თავდადებული ბრძოლები ძველის სრულიად მოსასპობად.

ცხადია დაღუპულ რკალში მოექცა კულტურა, რომელსაც ეწოდება ბურჟუაზიული. ატრიბუტი ამ კულტურის მოდიოდა ინდივიდუალიზმიდან, რომელიც ჩამორჩა ყოფადურ რეალობას. მეტაფიზიკა გახდა საგანი ყოფადერობის. ფილოსოფია, როგორც ტვინის ჩუკუნება, მოედო შემოქმედებას, სიმბოლიზმის, მისტიციზმის, ოკულტიზმის, თეოსოფიის და ათასი სხვა იზმების სახით. ხილულმა ქვეყანამ დაჰკარგა სახე და გაუსწორდა ასტრალს. ამით ინ. დივიდუალიზმი უფრო განვითარდა და ესტეტიზმის პრინციპებით გაიბერა.

კულტურა, შეიძლება ითქვას, გახდა კაბინეტური, ვიწრო კლასიური (არისტოკატია), კუთხური, (გეოგრაფიულად) ფორმით და გასართობი მიზნით. ძველი ქვეყნის კულტურა როგორც გამოსული რელიგიიდან უთუოდ უნდა დამთავრებულიყო ტრაგედიით, მაგრამ ჯერ კიდევ არის ცდა გადარჩენისათვის მიწასთან დაბრუნების სახით (ექსპრესიონიზმი). ფორმულა ამ გაგების მოცემულია ჩემ მიერ H2so4-ში სათაურით „ნებიერი სანახაობა". ჩემთვის ცხადია რომ ძველის „გადარჩენაზე" ფიქრიც მეტია, რადგან ოქტომბერი, როგორც დაწყება ახალი

*) საკამისკუსიოა.

ქვეყნის არის ფაქტი, ისტორიულად აუცილებელი და ამ წერილშიც ამიტომაც არის ნახმარი ხელოვნების ნაცვლად ზოგადი ტერმინი: კულტურა.

II

ის რაც შექმნა ბურჟუაზიულმა კულტურამ აღმოჩნდა იმაზე მეტი რის დატევაც შეეძლო ინდივიდუალურ შეგნებას. ქვეყნის შეცნობა რაციონალური გზით გამოცხადდა შეუძლებლად და აინთო მეტაფიზიკური შანდალი. ცხოვრების განვითარება კი მიდიოდა პირდაპირ მოწინააღმდეგე მიმართებით. ინდივიდუალიზმიდან კოლექტივიზმისაკენ, ირრაციონალიდან—რაციონალისაკენ. ყველაზე კარგათ დაინახა ეს და შეიგნო ზოლიდან მაყურებელმა, რომელიც თითქმის არავითარ შეგნებულ მონაწილეობას არ იღებდა ამ კულტურის შექმნაში—**მუშათა კლასმა**. ძველი ქვეყანა სრულიად ბოულოდნელად შეხვდა ახალ შეგნებას. შეხვედრა აღმოჩნდა გაუგებარი და დაიწყო ბრძოლა. ბრძოლის შედეგათ იშვა ოქტომბერი—დაწყება ახალი ქვეყნის.

პრაქტიკული კოსმოპოლიტიზმი დაედო საფუძვლად ამ ახალ შეგნების განვითარებას. საერთოდ კი კულტურის ისტორიაში კოსმოპოლიტიზმი იყო მთავარი მიზეზი განვითარებისა. ორი რკალი ამ იდეისა დამთავრდა.

პირველი: ანტიური ქვეყანა—მონობის უძლიერესი განვითარებით,—მეორე: ქრისტიანიზმი—მეტაფიზიკური და მისტიური ინდივიდუალიზმით. იწყება მესამე რკალი—კოლექტიური შეგნებით. კოლექტიური შეგნება ხასიათდება დროისა და სივრცის დაღწევით, გონებით შეუცნობელის ფარის-ყოფით და პროლეტარიზაციით. ამ რიგად იწყება ახალი კულტურა, რომელიც გამოდის ქალაქიდან მიდის ცივილიზაციის გზით მსოფლიო ქალაქისაკენ. (ძველი კულტურის საწყისი იყო სოფელი). დღეს სოფლის ამ დარგის შემოქმედება უშუალოდ ამ იდეის ღერძს ატარებს. ცენტრი არის **მ. კ. პ.**

III

✓ რევოლიუციამ პირველი ეტაპი ბით კაბინეტი დაანგრია. ქუჩა გახდა თანდროულობის მატარებელი. მასსამ რევოლიუციით მოიპოვა მემოქმედის როლი. პირველი „დაწყება" ღირებულებათა გადაფასებით მოხდა და გადაფასების დროს ყველაზედ უდღეური მხატვრობა აღმოჩნდა. როგორც უფრო ინდივიდუალური ხელოვნება, ცხადია ძვირფასად მორთულ ოტელების მხატვრობა, სალონების ჟანრი და მოწყენილ გრაფინიას გასართობად ნახატი „გრაფინები" და ხრიზანტემები კუნთებ დაჭიმულ ქარხნის „ულაბელო"-ს არ გამოადგებოდა; ამიტომ ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებშივე მოესტეტო ინდივიდუალისტი მხატვრები გაექცენ „ველურებს" რადგან „ველურებმა" ვრუბელის ფრესკებს კირი წაუსვეს. დარჩენილებმა „წმინდა" მხატვრობა მიატოვეს და ამიტ-პლაკატაზე ხელი შეისვარეს—პირველად იძულებით, შემდეგ კი პატარძალის სინაზით. ამით მხატვრობა რამოდენიმედ დაუახლოვდა ქუჩას. ქუჩამ კი მხატვრო-

ბა ხლოვნურად გამოაცხადა. და დღეს მხატვრობაზე უკვე შეიძლება ლაპარაკი ისე როგორც ოსტატობაზე. სურათის ხატვა მისაღები არ არის. სურათს მხოლოდ გაკეთება შეიძლება. ეხლა იქნება შკოლები, რომლებიც „კეთების" მეთოდებს იმუშავებენ. ასეთ მომუშავეებათ უნდა ჩაითვალონ: „აქტიურ რევოლიუციონურ ხელოვნების" დამწყებნი რუსეთში. მათი ნაკეთების პირველი დემონსტრაცია მოხდა ამ წლის მაისში. ეს იყო პირველი ორგანიზაციული შეტევა, ახალგაზდური ტემპერამენტით, ოფიციალ მხატვრობაზე. დემონსტრაციაში შვიდმა ჯგუფმა და ერთმა პერსონალურად მიიღეს მონაწილეობა. ეე მჯერა რომ ამ ახალგაზდებიდან დაიწყება ოქტომბრის მხატვრობის ისტორია და ამიტომ ვრცლად შეეხები მათ.

დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ:

1. ჯგუფი „ყოფადერი" { **ი. პაპკოვ** „ოჯახი"
   კ. პარომენკო „მრეცხავი"

2. ჯგუფი „სამის გაერთიანება" | **ა. გონჩაროვ** „პორტრეტი"
   ა. დეინეკა „ფუტბოლი"
   ი. პიმენოვ „ორი ფიგურა"

3. კონკრეტივისტები { **პ. ვილიამს** „მონტაჟი"
   ბ. ვოლკოვ „კომპოზიცია"
   კ. ვიალოვ „მილიციონერი"
   ვ. ლიუშინ „მიტინგი"
   ი. მერკულოვ „ცხენოსანი წითელ არმიელი"

4 „კონსტრუქტივისტები" { **ვლ. სტენბერგ**
   გედუნეცკი
   ბ. სტენბერგ
   | პროექტები გამოფენილი ევროპისა და რუსეთის უდიდეს ქალაქებში.

5. მეთოდი (პროექციონისტები) { **ს. ლუჩიშკინ** „ფორმულის დამტკიცება"
   მ. პლაკსინ „პლანეტარული"
   კ. რედკო „ფორმულა ჩემი „მე"-სი
   ს. ნიკრიტინ: ტეზისები ტექსტონიკაზე
   ნ. ტრიასპინ „სისტემების ნახაზები"
   ა. ტიშლერ „დახვრეტა"

6. მუშათა პირველი ჯგუფი კონსტრუქტივისტების (8 კაცი).

7. მუშათა პირველი ორგანიზაცია მხატვრების 11 კაცი. ჩამოთვლილ მიმართებებს ერთმანეთში აქვთ არსებითი დავა მხატვრობის ფორმაზე და მიზნებზე. არის ჯგუფი რომელიც მხატვრობას, იმ გაგებით როგორც დღეს მრა-

ვალს ესმის, უარყოფს და უარის ყოფა დასაბუთებულია [illegible]. აზრის სიცხადისათვის მოვიყვან ამონაწერებს ამ ჯგუფების დეკლარაციიდან და ნათელი გახდება თუ რამდენად დიდია ინტერესი ახალი მხატვრობისადმი რუსეთში.

ჯგუფი „ყოფადები" და ჯგუფი „სამის გაერთიანება" დიდ სადისკუსიო მასალას არ იძლევა, უმთავრესად სარგებლობენ ძველი მასალით. მათი ნოვატორობა ევოლიუციონური თვისების არის.

2. კონკრეტივისტები:

1. კონკრეტობა—ნივთი თავისთავად
2. კონკრეტობა—ცდის ჯამი
3. კონკრეტობა—ფორმა.

ნივთების წინრთული:

1. თანდროულობა
2. მიზანის სიცხადე
3. ზედმიწევნითი დამუშავება.

3. მეთოდი (პროექციონისტები).

1. ინდუსტრიალური წარმოება აწესრიგებს საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს.

2. 1, 2, 100 მხატვარი ვერ განაწესრიგებენ გარემოს—**მხოლოდ ინდუსტრიალური** წარმოება არის მისი განმწესრიგებელი.

3. მხატვარი—ეს აღმომჩენია ახალი **სისტემის** ობიექტიურად ნიშანდობლივი საგნების და მუშაობის.

4. მხატვრობა (ფერებით) და დიდი შენობები არის მეტად დამაჯერებელი საშუალება პროექციის გამოხატვის—მეთოდი მასალის ორგანიზაციის.

5. მხატვარი სახმარ საგნებს კი არ აკეთებს (შკაფი, სურათი), არამედ პროექციას, მეთოდს—მასალის ორგანიზაციისას.

6. ხელოვნება არის მეცნიერება მასალების ორგანიზაციის ობიექტიურ სისტემების შესახებ.

ყოველი ორგანიზაცია ხორციელდება **მეთოდის** საშუალებით.

პროექციონისტების შემოქმედებაში დიდ ყურადღებას იქცევს ტექტონიური გამოკვლევები სადაც მოცემულია მხოლოდ სხვა და სხვა ფოტოგრაფიული სურათები ძველი მხატვრების (წიგნებიდან ამოხეული) და მათ განზომილებაზე აშენებულია ტექტონიკური საფუძვლები.

✓ თუ რამდენად უარ ყოფით უყურებენ პროექციონისტები მიღებულ (რეალისტურ) მხატვრობას ეს სჩანს მხატ. ს. ნიკირტინის განცხადებიდან, რომელიც მან გაუკეთა თავის მეგობრის რეზნიკოვის სურათს: „ლ. რეზნიკოვის პორტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეტი — არის ზეთის ფერით. გამოვფინე როგორც მაჩვენებელი ჩემი პროფესიონალურ ხელოსნობის, რომელზედაც უარს ვამბობ, რადგან მას ეთვალი ციალურ თვალთა ხედვით რეაქციონურად."

4. მუშათა პირველი ჯგუფი კონსტრუქტივისტების

„არავითარი გადახრა ხელოვნებისაკენ, არავითარი დათმობა დაკავებულ პოზიციების მუშათა პირველ ჯგუფის კონსტრუქტივისტების მიერ, რომელმაც ჯერ კიდევ 1920 წელში წამოისროლა ლოზუნგი:" **ჩვენ უცხადებთ შეურიგებელ ომს ხელოვნებას**" შემდეგ კონსტრუქტივისტები აღნიშნავენ, რომ მათი მიზანია **გააკეთონ ნივთი** კარგი ღირსების, რაც დაკავშირებულ უნდა იყოს მის უტილიტარულ მნიშვნელობასთან და დანიშნულებასთან. ამ მუშაობაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშებმა. შემდეგ განაგრძობენ:

„და ეს (დღევანდელი დღე) არის ჩვენი რეალური, ცოცხალი. იდეოლოგიურად, ასე ვთქვათ, შეგნებულად ჩვენ გადავლახეთ გუშინდელი დღე; მაგრამ პრაქტიკულად და ფორმალურად ჩვენ ჯერ ვიდევ ვერ დავიპყარით ყოფადერობა დღევანდელი დღის. ჩვენში არ არის წუხილი ნივთზე, აი რატომ არ ვიმღერით ლექსებით ნივთებზე, მაგრამ ჩვენ გვაქვს ნება ნივთის აგებისათვის— აი რატომ ვანვითარებთ ჩვენში ნივთების კეთების ცოდნას".

„მუშათა პირველი ჯგუფი კონსტრუქტივისტების აცხადებს რომ, ყველა სხვა ჯგუფები, რომლებიც თავს უწოდებენ კონსტრუქტივისტებად, როგორც მაგალითად: „კონსტრუქტივისტი პოეტები" „კონსტრუქტივისტები კამერულ თეატრიდან" „კონსტრუქტივისტები მეიერხოლდის თეატრის „კონსტრუქტივისტები ლეფის" და სხვა. ჩვენი ჯგუფის შეხედულებით არიან ცრუ კონსტრუქტივისტები და ცდილობენ მხოლოდ ხელოვნების გაკეთებას.

5. მუშათა პირველი ორგანიზაცია მხატვრების

ძირითადი დებულებანი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

მუშათა პირველი ორგანიზაცია მხატვრების ცდილობს შექმნას მხატვარისაგან თანამედროვე ცხოვრების სოციალურად აუცილებელი ელემენტი".

„პრაქტიკულ და კულტურულ მოქმედების საშუალებით ვაწესრიგებთ საკუთარ ფსიხოლოგიას ჩვენი ორგანიზაციის მთავარ პრინციპებთან შეფარდებით".

და ასეთი შინაარსის დებულებით გრძელდება როგორც კონსტრუქტივისტების ისე მუშათა მხატვრების დეკლარაციები. ამ ამონაწერიდან ცხადათ ჩანს თუ როგორი მიმართულება აქვს მხატვრობის პრინციპების მუხლს.

რომ მხატვრობა უნდა იყოს კოლექტიური ნების გამომხატველი ამაზე არავინ დავობს (მემარცხენე სკოლებიდან) კამათს იწვევს ფორმა და მასალა.

შემოქმედების ყოველ დარგს დღეს აქვს სადისკუსიო ხასიათი, ამიტომ უდავოდ მიღება ამა თუ იმ მიმართების, მით უმეტეს მხატვრობაში, დაუშვებელია. ერთი კი ცხადია: მხატვრობა ძველ გზას ვერ დაუბრუნდება თუნდ იმიტომ, რომ არსებობს ფოტოგრაფია და კინო. დინამიურობა, დროისა და სივრცის დახწევა—მოცემულია ფუტურიზმით. ექსპრესიონიზმის დრამატიული ფსიხოლოგიზმი ცხადია ვერ გადაურჩება „დადა"-ს ტერორს, რჩება კონსტრუქტივიზმი როგორც დამტკიცი უკანასკნელ მიღწევების და შემქმნელი ახალ ნივთის.

ჩარჩოიანი სურათების, ყვავილების და „ნატიურ მორტების" პერიოდით დამთავრდა კრიზისი. იხსნება პერსპექტივა ძლიერი შემოქმედების.

მომავალი მხატვარი ჩარჩოში ვერ დაეტევა და გამოვარდნილი ბურჟუა—ესტეტის კაბინეტიდან გააკეთებს მონუმენტალ სურათ—სანახაობას. ამის ნიშნები არის და ეს იქნება ახალი ქვეყნის კლასიზმის პერიოდი.

მიხ. ძოწრელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა გაკეთდა?

(მოკლე მიმოხილვა)

ხელოვნება:
გუშინ დუნე და მაჯა წართნეული.
ცხოვრების სინამდვილეს მოშორებული.
მხოლოდ ტაკვნილი გზით მავალი.
დღეს ცხოველი, ახალი მაჯის ცემით ამოძრავებული.
ახალი გზების მაძიებელი.
ახალი ცხოვრების ერთი დედაბოძთაგანი.

ეს ხელოვნება დღეს საზოგადოებრივი ამბავი, გასართობი საგანი აღარ არის.

მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიეცა.

ამიტომაც არის, რომ მისი მიმართულების და გაფერადების გაცნობა შეადგენს არა მხოლოდ „საინტერესო" საგანს, არამედ ყოველი შეგნებული მოქალაქის. მოვალეობას.

ლუნაჩარსკი ამბობს („კლასობრივი და საერთაშორისო კულტურა"), რომ გონების საუკეთესო განათლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს გავლენა ადამიანის ნების ყოფაზე, თუ მას გრძნობის ორგანიზაცია მოჰყვება.

ორგანიზაცია გრძნობის.

მოწესრიგებული გრძნობა.

ხელოვნების ყოველი ნამდვილი ნაწარმოები ასეთი გრძნობის ნაყოფია და იმავე დროს:

ასეთსავე გრძნობებს იწვევს მსმენელ—მაყურებელში.

ხელოვნებას ჯადოსნური ძალა აქვს:

იგი ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაში იქერს ადგილს და ადამიანის ფსიქოლოგიის შეჰქმნა—ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.

ანვითარებს გემოვნებას.

ახნის გონებას.

საშუალებას აძლევს ადამიანს თავისი ახრი მკვეთრი და ძლიერი სახით დაასურათოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწესრიგებული გრძნობა ადამიანის მისწრაფებას შეგნებულ ხასიათს აძლევს და ეს მისწრაფება მთლიანი და ძლიერი ხდება.

ასეთი თვისებებით აღჭურვილი ადამიანი ნამდვილ მოქალაქედ ხდება და მზადაა წამოვალი საზოგადოებრივი ბრძოლისათვის!.

რაკი ასეა, ხელოვნებას ეხლა ბევრად უფრო დიდი ადგილი ეძლევა საზელმწიფოებრივ ცხოვრებაში და სრული თავისუფლება ენიჭება.

წინედ, ბურჟუაზიულ ხელისუფლების დროს, ხელოვნება მოქალაქეთა ვიწრო ჯგუფის კუთვნილება იყო და თავისუფალი აზროვნების მიმძინებელ საშუალებათ ითვლებოდა.

ეხლა—პირიქით:

ხელოვნება ფართო მასას ეკუთვნის, პიროვნების თავისუფლებას აღვიძებს და აძლიერებს.

რევოლიუციის პირველ ხანებში ცხოვრება გრიგალისებური სისწრაფით და სიძლიერით იკვლევდა ახალ გზებს.

ის ერთის მოქნევით ანგრევდა, სპობდა, ჰკლავდა ყოველივეს, რაც წინ ეღობებოდა, რაც მის ბუნებას არ ეგუებოდა, რასაც ძველი ცხოვრების დალი ემჩნეოდა.

მან მუსიკა—რევოლიუციონურ ჰიმნად, ბრძოლის ყიჟინად აქცია.

აკადემიური სურათი უარჰყო და მის ნაცვლად ტლანქი და მკვეთრი პლაკატი ააფრიალა.

ძველ პიესათა ტაძარი—სცენა **ესტრადათ** აქცია და ამ ესტრადაზე, ნაცვლად გაშალაშინებული ლექსისა—რევოლიუციონური პროკლამაცია აამეტყველა.

მცხოვრებლები („ობივატელები") შიშით და სასოწარკვეთილებით შეჰყურებდნენ ამ „ბარბაროსულ ბუნტარობას".

მაშინ ვინ შეამჩნევდა, რომ რევოლიუცია თავის სავლელ გზაზე ნგრევის დროსაც აბნევდა მარცვლებს, რომელნიც წარსულისადმი სიძულვილით და მომავლისადმი სიყვარულით გაჟღენთილ ნიადაგს ეცემოდნენ.

ეხლა ამ მარცვლებმა ყლორტი გამოიღეს.

და მოვალეა ყველა ამ ყლორტებს დააკვირდეს და შეაფასოს ისინი.

ობიექტიურად. დამშვიდებით.

თუ რევოლიუცია ნგრევის დროს სიძულვილით და შურისძიებით არის აღჭურვილი, ეს ბუნებრივი კანონია.

ამშენებლობის ხანაში იგი საჭიროებს ობიექტიობას.

ხელოვნების ცხოვრების მოკლე მიმოხილვაც ამ ბოლო წლებში სანუგეშო სურათს წარმოადგენს:

მუშაედებოდა ახალი დებულებები, პრინციპები.

წარმოიშვა ახალი, საღი ლოზუნგებში.

ჟორესი*) ერთ-ერთ თავის სიტყვაში ამბობდა:

„ჩემის აზრით ახლოვდება საათი, როდესაც რევოლიუციონურ—სოციალისტურმა პროლეტარიატმა მსოფლიოს და ცხოვრების მოწესრიგებული დოქ-

*) ჟორეს. პარლამენტ. სიტყვები:

ტრინა უნდა ხელთ ჩაიგდოს. რევოლიუციონერმა ბურჟუაზიამ ფრანგული ენციკლოპედია შეჰქმნა. ჩვენც გვჭირდება ახალი ენციკლოპედია, ფართო და გაბედული—პროლეტარული. საჭიროა ადამიანის აზროვნების მსვლელობა ხელახლად გადასინჯულ იქმნას".

ახალი ენციკლოპედიის შეჰქმნა პროლეტარიატის მიერ—ახალი კულტურის შეჰქმნაა.

ბოჭ. ლენინი თავის პროგრამულ სიტყვაში**) აფრთხილებს პროლეტარიატს:

„რაც უფრო ვუახლოვდებით ბურჟუაზიის საბოლოო სამხედრო დაძლევას, მით უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის წვრილბურჟუაზიული ანარქიულობის სტიქია. ეს სტიქია ჩვენ უნდა ვძლიოთ, უნდა გავიმარჯვოთ".

რუსეთის პროლეტკულტის ერთ-ერთი იდეოლოგი, პოლიანსკი განავითარებს ამ დებულებას და შემდეგ დასკვნას აკეთებს:

„ამ გამარჯვების ერთი პირობათაგანია—სოციალისტურ მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპების პროპაგანდა, პროლეტარული კულტურის ელემენტების დამუშავება და მათი შედუღება ერთიან, მთლიან, ჰარმონიულ სისტემაში. ახალი მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, მორალი, მშრომელ-ამხანაგურ ურთიერთობაში შობილი.

ერთი სიტყვით, მხოლოდ ახალი პროლეტარული კულტურა, პროლეტარიატის რიგებში შექმნილი, ჩამოაყალიბებს ახალ ადამიანს, გრძნობათა ახალი წესით შემოსილს. ასეთი კულტურა ძირიან-ფესვიანად ამოგლეჯს ბურჟუაზიის მემკვიდროების ნაშთს".

„საჭიროა ბურჟუაზია ვძლიოთ არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ გონებრივად და სულიერად. ჩვენ ახალი, უფრო მწყობრი, უფრო მთლიანი კულტურა უნდა შევქმნათ და აშნაირად ბურჟუაზიის იდეური უღელი მოვიშოროთ".

„დღევანდელ ბუშათა მოძრაობას პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა ახასიათებდა. ეხლა მას კულტურული ნაკადი ემატება, რომელიც ძველ წყობილებასთან ბრძოლაში ყველაზე უფრო ძლიერია. კულტურული ძლევა საწინდარია ბრძოლაში უკვე აღებულ პოზიციების განმტკიცებისა.

კულტურულ-განმანათლებელი მოძრაობა ძველი სამყაროს ყველა კერპებს და ჭეშმარიტებას ქვე ამხობს".

აშნაირად იქმნება უზარმაზარი ბრძოლა ორი კულტურისა:

ერთის მხრით—ძველი, ბურჟუაზიული კულტურა, თავისი ნაცადი გზებით და საშუალებებით.

მეორის—ახალი, პროლეტარული კულტურა, ახალის მსოფლმხედველობით, ახალი მორალით, ახალი ლაშქრით, ახალგაზრდული გამბედაობით.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს გამარჯვებული ბურჟუაზიისთვის აუცილებელი იყო თავისი გამარჯვების განმტკიცება.

ფეოდალური წყობილების და საშუალო საუკუნეების კულტურის საბო-

**) პრავდა. 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ მოსპობისათვის საჭირო იყო ახალი მცნებანი, ახალი ცხოვრების პრინციპები, ახალი კულტურის ღირებულებანი. ბურჟუაზიამ ამისათვის შეჰქმნა თავისი „დიდი ენციკლოპედია". მეცნიერების, ხელოვნების, ყოველნაირი ახალი ცოდნის ულეველი სალარო, ახალი კულტურის კომპლექსი. ვოლტერი რუსსო, დიდრო, დალამბერი — ამ ახალი კულტურის ბელადებია.

სწორედ ამ მაგალითს გულისხმობს ეორეკი თავის სიტყვაში. მისი მოწოდება პროლეტარიატისადმი ხორციელდება: პროლეტარიატი შეუდგა ახალი კულტურის შეჰქმნას, რათა ამ ძლიერი იარაღით საბოლოოდ დაამარცხოს მტერი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძლიერი დარგი ამ კულტურისა ხელოვნებაა და კერძოთ, თეატრი.

მას ევალება ამ კულტურულ ბრძოლაში თავისი ძლიერი ხმის ამოღება.

ამშენებლობითი დავალება.

ახალი ცხოვრების შენებაში საპატიო ადგილი.

არც ბრმა ნგრევა, არც უაზრო „ბუნტარობა".

თვალხილული, საღი შენება. აი, მთავარი ნაყოფი ხელოვნებისათვის და, კერძოთ, თეატრისათვის რევოლიუციის შვიდი წლის გზისა.

რა შედეგები მოსდევს ამ ამბავს? (ეიგულისხმოთ მხოლოდ ხელოვნება).

რა ლოზუნგებია წარმოთქმული?

რა დებულებებია დამუშავებული?

რა პრინციპებია ჩამოყალიბებული?

ხელოვნება ფართო მასსისთვის!

ამას გაიგონებთ კრებებზე, კერძო ლაპარაკში, ჟურნალ-გაზეთებში. მეტი ყურადღება ფართო აუდიტორიას, რეალური ყურადღება!

ეს არის დღეინდელობის მთავარი ლოზუნგი.

ის შეგრძნობილი აქვს თვით მასსას, შეგრძნობილი აქვს მოქალაქე-ხელოვნებსაც.

ხელოვნების როგორი ნაწარმოები დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას?

ისეთი, რომელშიაც თვით ფართო აუდიტორიის (სოფლისა, დაბა თუ სხვა რომელიმე პუნქტი-სულ ერთია) ფსიქიკის და აზროვნების ელემენტებია გაერთიანებული, მისი იდეალებია ასახული, მის სულთან ახლო მდგომი, მის მისწრაფებასთან მონათესავე.

ხელოვნება ისეთი, რომელშიაც ამ ახალი ცხოვრების გეზებია ნაჩვენები. არა ბურჟუსით მოფენილი გზები, არამედ გარკვეული, ნათელი და მიმზიდველი.

ხელოვნება ისეთი, რომელშიაც ახალი მოქალაქეა მთავარ მოქმედ პირად:

მებრძოლი, გონება და გრძნობა გახსნილი, ნათელი და გამბედავი, ახალი ყოფა ცხოვრების პირმშო შეილიც და მშობელიც.

მარტივი და ყველასათვის გასაგები ხელოვნება.

სადაც უწინარეს ყოვლისა შინაარსია.

სადაც არ არის უადგილო ჯამბაზობა, დაავადებული მიმართულებები.

სადაც ხალხურ ნიადაგზე აღმოცენებული სიწრფელეა და ენერგია.

კიდევ რას გაიგონებთ იმ უამრავ სტუდიების, პროლეტკულტების, ლაბორატორიებში, სადაც ახალი გზების გაფაციცებული ძიებაა მიმდინარეობს ხელოვნება უძლიერესი კულტურული პროპაგანდისტია.

მართლაც: რომელიე პრინციპის, რომელიმე ახალი მცნების გატარება ცხოვრებაში, მისი შეთვისება და შეგრძნობა მოქალაქის მიერ, ადვილი ხდება მხოლოდ ხელოვნების საშუალებით.

მშვენიერი, შინაარსიანი ლექცია, გაკვეთილი იმდენ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, რამდენსაც შინაარსიანივე, ძლიერი მხატვრული წარმოდგენა.

ახალ კულტურას სურს ხელოვნება გამოიყენოს, როგორც უძლიერესი იარაღი ახალი ცხოვრების შენებაში—კულტურული პროპაგანდისტი.

ახალი პროლეტარული კულტურის იდეოლოგები ახალ ეთიურ ნორმებს იმუშავებენ. ახალ პრინციპებს ჰქმნიან:

„პროლეტარიატი უწინარეს ყოვლისა, ულტრა-რეალისტი უნდა იქმნეს. მან თავის თავისა და მთელი კაცობრიობის წინაშე მთელი სინამდვილე უმოწყალოდ უნდა გააშიშვლოს" *).

„მემდეგ: „მხოლოდ თავო და თავო, დანარჩენები წყალსაც წაუღია"—აი ბურჟუაზიის ეკონომიური და ეთიური დებულება.

ადამიანთა ინტერესების მაქსიმალური კოლექტივიზაცია, ამ ინტერესების შედუღება ორგანიულად მთლიან ერთეულში. კოლექტივიზმში—ბურჟუაზიული ეთიკის ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ").

ამნაირი დებულებები გარკვეულად უსახავენ ხელოვნებას მის გზას: რეალიზმის განმტკიცება, რადგან მხოლოდ რეალისტური მიმართულებაა ბუნებრივი და გასაგები ფართო მასსისთვის.

ხელოვნება სახეობითი (образное) აზროვნებაა. ასეთი აზროვნება ძალიან შეეფერება უბრალო ხალხის მარტივ აზროვნებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სახეები რეალურია და არა განყენებული.

✓ რომ ხალხს სახეობითი აზროვნება სჩვევია, ეს მის მიერვე შექმნილ ხალბრებიდან სჩანს.

განყენებული მათემათიკური ან ფილოსოფიური ფორმულა ისეთივე გაუგებელია უბრალო ხალხისთვის, როგორც ჩინური ენა. ხოლო იგივე ფორმულა, რეალურ ფორმებში გადაშლილი, მარტივი და ნათელი ხდება.

თუ ხელოვნებას რომელიმე იდეის პროპაგანდა ევალება, მან უნდა იზრუნოს გასაგებ ენაზე ელაპარაკოს თავის მსმენელ-მაყურებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიტყვა ფუჭი შეიქმნება და მასვე შერჩება უნაყოფოდ.

გარდა ამისა:

რეალურ, მაშასადამე, გასაგებ ნიადაგზე ადვილად იფეთქებს თვით ხალხის შემოქმედება და ხელოვნებაში თავს იჩენს ახალი ღირებულებანი. ხალხის ეს უნარი ეხლა უჩინარია, მაგრამ მისი სულის მაღაროებში ულეველი მხატვრული სიმდიდრეა.

კაცობრიობის ისტორიას ამის უამრავი მაგალითები აქვს.

*) ა. ჩალკინდ—პროლეტარული ეთიკა.

რაც შეეხება კოლექტივიზმს ხელოვნებაში აქაც ნათელია დღეინდელობის აზრი: ხელოვნების ნაწარმოები საერთო და არა ინდივიდუალური ინტერესების მატარებელი უნდა იყვეს. თუ ავტორი თავის ნაწარმოებში ერომელიმე გრძნობას სახავს—სიხარულს ან სიძულვილს—ეს გრძნობა ხალხისავე გულის ნადები უნდა იყვეს, გამახვილებული ფორმით ასახული.

საერთო ინტერესები.

მაშასადამე სოციალური თემები, სოციალური შინაარსი.

ზემომოყვანილ ლოზუნგების დამუშავებისთვის და მათი ცხოვრებაში გატარებისთვის საჭირო იყო დრო, საშუალება, თავისუფლება მოქმედებისა.

ამაზედ იზრუნა სახელმწიფომ:

გან. კომისარის, მოქ. ლუნჩარსკის ერთ-ერთ წერილში*) ჩვენ ვკითხულობთ: „მე დავიცავ პროლეტარიატის უფლებას, რომ მან სრულებით თავისუფლად, საბჭოთა სახელმწიფოსაგანაც დამოუკიდებლად აწარმოოს ლაბორატორული ამშენებლობა თავისი განსხვავებული კულტურისა. დეე, პროლეტარიატმა მოახდინოს თავისუფალი გადაფასება ყოველივესი, რაც მის ხელთ არის, და ეძიოს ახალი ფორმები და შინაარსი ხელოვნებაში, ახალი მეთოდები მეცნიერებაში“.

ასეთი საშუალებით წელ-გამაგრებული პროლეტარიატი თავის პროლეტ-კულტების სახით ახდენდა და ეხლაც ახდენს ყოველნაირ ძიებებს. მრავალი მათგანი უნაყოფო შეიქმნა, მრავალი კი უკვე ნათელს ჰფენს ხელოვნების საღ გზას.

ულიცხვი თეატრები ქალაქებში და დაბებში, პროლეტკულტების და კლუბების სტუდიები, სამხატვრო, საკვეკვაო, სამუსიკო ლაბორატორიები. პატარა პუნკტები სადაც უჩინრად, უგანგაშოთ კეთდება დიდი საქმე ხელოვნების გადახალისებისა.

ფორეგგერის სახელოსნო, სადაც ახალი ცეკვის ძიებაა, სადაც ადამიანის ტანი ვარჯიშდება და ლამაზდება. მისი სახელოსნოს მანქანათა ცეკვები მეტად საინტერესო მოვლენაა.

შეიძლება არ დავთანხმოთ, მაგრამ ვერ უარჰყოფთ, რომ მეტად საინტერესო მოვლენას შეადგენს.

ხმაურიანი მუსიკა (шумовая), აშენებული იმ მოსაზრებით, რომ არსებული საკრავები მეტად ნაზი და სუსტი ხმისანია და არ შეუძლიათ თანამედროვე ცხოვრების სიძლიერე და ტემპი გადმოგვცენ.

ბაკოში შემუშავებული იყო ქარხნებისა და გემების საყვირებიდან (Гудки) მთელი სიმფონია, თავის ნოტებით. რა ადგილი ექნება ასეთ ორკესტრს მომავალ მუსიკაში, ამის გადაჭრა ნაადრევია, მაგრამ ასეთი ცდა თანამედროვე ეპოქის ამოძახილია.

დაარსებულია 22 წლის სექტ. სახელმწიფო ინსტიტუტი მუსიკალური მეცნიერების (Гимн).

---

*) სახ. განათლება. 1919 წ. მაისი.

მიზანი ამ ინსტიტუტისა—ყოველნაირი ძიებაა, მეცნიერული და ტექნიკური კვლევა მუსიკის სფეროში. მასთან არის მეცნიერული საბჭო,

იმავე წლის ნოემბერში იყო მნიშვნელოვანი კრება, რომლის საგანი იყო: მუსიკალურ ხმათა გამოწვევა ელექტრონის ძალის საშუალებით და მუსიკალურ საკრავთა ახალი ტიპის შექმნა.

საქმიანი სიდომა და საქმიანი დაწესებულება.

გარდა ამისა არსებობს ხელოვნებათა აკადემია, ხელოვნების უმაღლეს ცოდნათა ცენტრი.

მას უკვე აქვს მრავალი გამოცემები მეცნიერული ხასიათისა.

ძნელია ჩამოთვლა ყოველნაირი ცდის და ძიების უამრავი ნიმუშების.

ეს ძალიან შორსაც წაგვიყვანდა.

ყოველ შემთხვევაში მოკლე მიმოხილვა ხელოვნების ცხოვრებისა ამ შვიდი წლის განმავლობაში რუსეთის მასშტაბით გვაჩვენებს, რომ ამ დარგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი ახალი და საინტერესო მიღწევანია. ხელოვნება მთელ მასსაზე შლის თავის ფრთებს და სახესაც იცვლის:

ის ეხლა ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამშენებელთაგანია.

საქართველოს ხელოვნება დღეს ნაწილია რუსეთის ხელოვნებისა და იმავე გზაზე მიდის, როგორც რუსეთი. საჭიროა მხოლოდ, რომ აქაც ფართო მასსის, დაბა სოფლის, ქარხნის ინტერესები იყვეს დაცული.

და დაცვა ეს იყვეს პრაქტიკული, არ დარჩეს კაბინეტურ დადგენილებებში.

საჭიროა კიდევ, რომ ყოველივე ხელოვანი, მოქალაქე—ხელოვანი შეიქმნეს, დააკვირდეს ღრმად იმას, რაც ხდება ხელოვნების სფეროში, შეისწავლოს ეს, შეისისხლხორცოს და ჩადგეს მხნედ და ენერგიულად ამშენებლობის ფერხულში.

მოსე გოგიბერიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცნიერება და რევოლიუცია *.

მეცნიერება და რევოლიუცია! ყველა ჯურის ფილისტერი გაკვირვებული და მწყრალი დარჩება ასეთი დაპირისპირებით. არაკრიტიკულად მოაზრე ვერ წარმოიდგენს, თუ რა საერთო უნდა არსებობდეს მეცნიერებასა და რევოლიუციას შორის. მეცნიერება, რომელიც პირველ შეხედვით მყარ მდგომარეობით, მარადიულობით და გარდაუალობით განსაზღვრულ ცნებას გამოხატავს, ვითომც და იმთავითვე უნდა დაუპირისპირდეს და ეწინააღმდეგოს რევოლიუციას, რომელსაც მარადი სძულს, და გარდაუვალს უარყოფს. მეცნიერება ხომ ჰამლეტის კეთილ სინდისიერებას ჩამოგავს, მარად პრობლემათა შორის ბრძოლას, არ გადაწყვეტას და არ არჩევას. რევოლიუცია კი, ვითომც დონკიხოტური ერთსულოვნებით და პიროვნების უკრიტიკო მთლიანობით, დაჯილდოებული გმირის საქმეა.

მართლაც ფენომენალი ანალიზის სინათლის წინ მეცნიერება და რევოლიუცია გაშუქებულია ორი სულ სხვა და სავა ქვეყნიდან მომავალი სხივით. მათ შორის საერთო არაფერია, ერთის ცნებით მეორე გამოირიცხება. მაგრამ სინამდვილის ფესვები გაცილებით უფრო ღრმად არიან არსებულად არსებული არსის ბუნებაში ჩამარხული, ვიდრე ეს ფენომენალი ანალიზის ვიწრო თვალთა ხედვის სფეროდან მოსჩანს. ფენომენში მოვლენილი ქვეყანა შეიძლება ცდუნებაც იყოს და თუ ეს მართალია ადამიანისა და ბუნების მიმართ,—იმისა ვინც აზროვნობს და იმისა, რაზედაც აზროვნებენ,—ასევე მართალი შეიძლება იყოს ფენომენალიზმი ისტორიული სინამდვილის ახსნა განმარტების მიზნით. აზრით სავსე კრიტიკამ შესაძლებელია ადიმიანთა ისტორიულ სინამდვილეში ყოველ ნაბიჯზე აღმოაჩინოს, რომ მოვლენილი ისტორიის ფენომენალი გაგება არ იყო ნამდვილი ისტორიის პრინციპიალი ახსნა. ასეთივე შესაძლებელია იმის უშვალოდ დანახვა, რომ ორი ცნება, რომლებიც მოვლენათა ფენომენალ სფეროში ერთი მეორეს აბსოლიუტურად გამორიცხავენ, ეწინააღმდეგებიან და სპობენ, სინამდვილის პრინციპების მიხედვით, არამც თუ წინააღმდეგობას წარმოადგენენ, არამედ ერთი მეორეს თანადართია და თანა ნაწილი.

უბრალო საქმეთა და საგანთა ლოლიკა თავის დღეში ვერ გაიგებს იმას,

*) ავტორის მიერ გამოთქმულ ყველა აზრს რედაქცია არ იზიარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც დღის სინათლესავით ხედავს პროცესთა და არსებულ პრინციპთა დიალექტიკა.

სინამდვილის ბუნებაში იდუმალ წინააღმდეგობათა მომრიგებელი დიალექტიკა შეიძლება განხორციელებული იყოს მოაზრეს ნააზრებშიაც. ეფესიელი ჰერაკლიტე, რომელმაც პირველად აღმოაჩინა ე. წ. წინააღმდეგობათა ლოგიკა, ის რომ „ომი მამაა ყოველივესი", „წინააღმდეგობა ერთიანდება: ორი სხვა და სხვა იძლევა უმშვენიერეს ჰარმონიას; და ასე ყოველი წარმოიშვება ბრძოლის და წინააღმდეგობის ნიადაგზე" [1])

ამავე ჰერაკლიტემ პირველად აღმოაჩინა ჩვენს მიერ აქ აღძრული საკითხი ფენომენალიზმის მკირეუფლებიანობის შესახებ სინამდვილის სამსჯავროს წინ. „ბუნებას უყვარს დამალვა" [2]) იმეორებდა ეფესიელი ბრძენი.

ხშირად კრიტიკოსები „კაპიტალ"-ის ავტორს უკიჟინებენ, რომ მისი სისტემა ყველა საფუძველ მდებელ პრინციპების არეში წინააღმდეგობათა გარდაუვალ ხლართულში არის გახვეული. კრიტიკოსებს, რომ თავიანთი აზრთ მსვლელობის მეთოდი ფილისტერებიდან და „ბიურგერის" სალი გონებიდან კი არ ესწავლათ, არამედ იმ წინააღმდეგობათა ლოგიკიდან, რომლის სამ ათას წლოვან ტრადიციის აზრით ათვისების და ინტუიციით განცდის ნიადაგზე წარმოიშვა ჰეგელი და მისი კანონიერი მოწაფე „კაპიტალის" ავტორი, მაშინ თვით კრიტიკოსებისათვის ცხადი იქნებოდა, რომ იქ სადაც გარდაუვალი წინააღმდეგობა მოსჩანს, სინამდვილეში—ჰერაკლიტეს სიტყვას თუ ვიხმართ—„უმშვენიერესი ჰარმონია" სუფევს.

ფენომენალი პოლიტესების წინააღმდეგობა სწორედ საჭიროა იმისათვის რომ სინამდვილის სიღრმეში ბუნების მთლიანობა და განუყოფელობა აღსდგეს.

მიუდგებით ჩვენ რევოლიუციისა და მეცნიერების დამოკიდების განხილვას სოციალურ—ისტორიული გენეზისის და განვითარების გათვალისწინებით ერთი მხრით, პრინციპთა დიალექტიკის არსიანობის თვალსაზრისით მეორე მხრით, ხელად ნათელი ვახდება, რომ მათ შორის სუფევს ის „უმშვენიერესი ჰარმონია", რაიც ჰერაკლიტეს აზრით ბუნებრივ და ორგანიულ სინამდვილეს ასიცოცხლებს.—

მე აქ იმ რევოლიუციებზე კი არ ვლაპარაკობ, რაიც ხდება მეცნიერება და ბუნებაში, არამედ სწორედ იმ რევოლიუციაზე, რომელიც სოციალური ერთეულების იმმანენტური კანონების აუკილებლობის მიხედვით, ხდება ადამიანთა საზოგადოებაში და ამ საზოგადოების სოციალურ ფორმაციის გაშლაში ე. ი. სახელმწიფოში. უბრალო ანალოგია იმისა, რომ რევოლიუციას თავისთავად მეცნიერებაც განიცდის და რომ ის ჩამოგავს იმ დიდ გარდატეხებს, რომლებიც ადამიანთა ისტორიაში სისტემატიური სიმწორით მეორდება, ადვილი საქმეა.

რასაკვირველია არავისთვის დამალული არ არის ის დიდი რევოლიუციე-

1) იხ. Fragmente der Vorsokratiker von Diel ფრ. 53, 8.)

2) იხილე იქვე ფრაგმენტი: 123.

ბი, რაიც მეცნიერების და აზროვნების ისტორიამ განიცადა, როგორც ანტიურ ქვეყნებში, ისე ახალ დროში. აზროვნების ისტორიის ასეთი დიდი რევოლიუციონერია პირველი ფილოსოფოსი თალესი, რომელმაც ადამიანის თვალსახრისი ბუნების მიმართ ძირბუდიანათ შესცვალა. დემოკრიტი, რომელმაც ბუნების გაგება სულ ახალ ფორმებში ჩამოაყალიბა, პლატონი, კუზანელი, კოპერნიკი, გალილეი, ნიუტონი, დეკარტი, კანტი, ჰეგელი, მარქსი, კანტორი, აინშტაინი და ბევრი სხვა. მათ გვერდით შეიძლება ჩამოვწეროთ ნამდვილი რევოლიუციონერების სახელების მთელი კრებული და ანოლოგია მეცნიერების და სახელმწიფოს რევოლიუციონერის შორის ნათელი იქნება. მეცნიერების ნამდვილ რევოლიუციონერს ინდივიდუალურად შეიძლება მეტი თავგანწირვის და ენერგიის დახარჯვა დასჭირდეს, ვიდრე სახელმწიფოში გაბატონებული კლასის და ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულ რევოლიუციონერს.

ინდივიდუალი ფსიქოლოგისათვის და სოციოლოგისათვის ძნელია იმ პრობლემის გადაჭრა, თუ ვინ უფრო გმირი იყო იმ მომენტში, როდესაც ლენინი მთელი ქვეყნის საწინააღმდეგოთ ბრძანებას სცემდა რუსეთის დიდი იმპერიის დასანგრევათ, თუ კოპერნიკი მაშინ,როდესაც ას ათას წლების ტრადიციის, ცოდნის, რწმენის და ქვეყნის წინააღმდეგ თავის De revolitionibus orbium coelestium-ს სწერდა.

მარქსი სადღაც სწერს, რომ ჩვენს თავზე წარსულის ტრადიციების და ზეგავლენის ალპების მთა გვაწევს და არ გვანებებს ის დავინახოთ, რაიც დასანახავია, რითაც საზოგადოება უკვე ეფეხმარმედ გამხდარა. რევოლიუციისათვის—სულერთია იქნება ის რევოლიუცია მეცნიერებაში, თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში—უპირველეს ყოვლისა საჭიროა ტრადიციების მთების გადალახვა, ზეგავლენის უკუ გდება და წარსულის უარყოფა.

მან, ვინც წარსულს არ ეთხრა მტკიცე და ურყევი „არა",—ვერ შესძლო გამხდარიყო რევოლიუციონერი ვერც აზროვნებაში და ვერც საზოგადოებაში. დიდი მეცნიერი, ისეთივე შეამბოხეა წარსულის და ტრადიციების წინააღმდეგ, როგორც რევოლიუციონერი სახელმწიფოში გაბატონებული კლასის და ხელისუფლების მიმართ. ამიტომ არის რომ ნამდვილი ახალი მეცნიერება იქიდან იწყება, საიდანაც მეცნიერულ-ისტორიულმა კრიტიკამ საკუთარი პოზიციის ე. ი. წარსულისათვის მეცნიერული ნიადაგის უარისყოფის სიმაღლეზე ააღწია.

როდესაც საღათას ძილიდან გამოღვიძებულმა დასავლეთმა საშუალო საუკუნოების დამლევს საწარმოვო ძალთა, ტექნიკის და საერთოდ მატერიალი კულტურის განვითარებასთან ერთად, შეუდგა ახალი მეცნიერების შეუპოვარ დაბუშავებას, საჭირო შეიქნა საშუალო საუკუნეების მეცნიერული ტრადიციების წინააღმდეგ ამხედრება. აუცილებელი შეიქნა არისტოტელეს ფილოსოფიის შეუბრალებელი უკუგდება და თუ ერთმა ახალი დროის მესიტყვემ, ფრანგმა მონტანმა, ჩვენთვის გაუგებარი დებულება წამოაყენა: „მე შემიძლია დავამტკიცო რომ მთელი არისტოტელეს ფილოსოფია თავიდან ბოლომდის სიცრუე და ჭორი არისო". ეს სავსებით გასაგები და სწორი იყო მონტანის და იმ ახალი

დროის მეცნიერების რევოლიუციონერებისათვის, რომლებიც მაშინ ახალი მეცნიერების და დასავლეთის კულტურის საფუძვლებს აშენებდენ. [illegible] არისტოტელე თავიდან ბოლომდის ჭორი და სიცრუე არ არის და [illegible] პატარა მოაზრეს, როგორ მონტანი არისტოტელესთან შედარებით იყო, არ შეეძლო მისი განადგურება, მაგრამ მონტანის რიხიან ტრაბახს იმ დროისათვის დადებითი და რევოლიუციონური მნიშვნელობა ჰქონდა. მონტანი თავის თავად მტყუანი იყო, მაგრამ მას ჰქონდა რევოლიუციონერის უფლება. წარსულისათვის ეთქვა უარი.

ანალოგიური მაგალითი ჩვენ რუსეთის რევოლიუციიდან ათასობით შეიძლება ამოვიკითხოთ. მაგალ. აიღეთ თქვენ ის ალმაცერი დამოკიდებულება ფილოსოფიისადმი, რასაც ხშირად რუსეთის დიდი რევოლიუციის ხოგიერთი მოამხრენი იჩენენ. თავისთავად, რასაკვირველია, ფილოსოფია „ხუცის წინაშე ქედის მოხდა" არ არის, მაგრამ როდესაც მას ასეთ ბრალდებას რევოლიუციონერი უყენებს, გასაგებია მისი უფლება და ხშირად სამართლიანი მისი მოთხოვნა. რევოლიუცია აშენებს ახალ ქვეყანას და ის ინსტინქტურად ცდილობს თავიდან აიშოროს ე. წ. ხელის შემშლელები; შეიძლება ამ უკუგდების და უარყოფის დროს ხშირად მარგალიტებიც დაიმტვრეს და ვარდის კოკორიც დაიღეწოს, მაგრამ სოციალური ცხოვრების ბობოქრობას, ე. ი. რევოლიუციას აქვს ამის უფლება. შესაძლოა, რომ რევოლიუციის ახალმა კლასმა დღეს უარჰყოს ფილოსოფია, ხვალ კი ის მასში თავის უახლოესი მოკავშირე აღმოაჩინოს და აქ არავითარი წინააღმდეგობა არ იქნება.

იდეოლოგიური სახე, რომელიც დღეს რევოლიუციას ხელს უშლის თავისი ნგრევის სურვილების განხორციელებაში, ხვალ ის მას გამოადგება და კიდევაც მიიღებს. ყოველი დროის რევოლიუციონური ახალგაზრდობა უკან მოუხედავათ უარყოფს წარსულის იდეოლოგიურ ტრადიციებს, ის ყველაზე მკაცრად ებრძოლება იმ Idola thetri-ს რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ბეკონმა ახალი ფილოსოფიის ქვაკუთხედათ გამოაცხადა. მას არ უნდა რაიმე მოუსმინოს მეცნიერებათა მეცნიერებას ე. ი. ფილოსოფიას, რადგან წარსული მას ამავე მაღალ და წარმტაც, თან რევოლიუციონური მასისათვის გაუგებარ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. რევოლიუციონური ეპოქები ოითქმის ერთნაირ სიძულვილით დახასიათდება ფილოსოფიის მიმართ. აი კლასიკური მაგალითი:

„ფილოსოფიის სახელმძღვანელო მე მიმაჩნია სისულელეთ ფოლიატ წიგნში, და ამის შესწავლა კი სიზარმაცით თავის მოტყუებად... გონება, რომელსაც ფილოსოფოსების ჰაერში შეუძლია იცხოვროს, არის ქამელეონი, დაჩეტული ბუშტი" და სხვ. თქვენ არ გეგონოს ამას სწერდეს ჩვენი დროის რევოლიუციონერი, არა მისი ავტორი შვილი იყო მე-17 საუკუნის ჯერ კიდევ რევოლიუციონურ და სიცოცხლის ენერგიით სავსე ბურჟუაზიის, ის იყო ინგლისის სამეცნიერო აკადემიის გამოჩენილი წევრი და გამოთქვამდა Royal Society-ს ახრს 1665 წელს (Ioseph Glanvill: „Scepcis scientifica", London 1665) [1].

[1] ცნობები ამოღებული: Das Erkenntnisproblem von E. Cassierer Berlin 1911, ტომი მე-II, გვ. 398—399.

პირველი შეხედვით შეიძლება ვინმეს კიდევაც გაუკვირდეს, რომ ეს ადამიანები წარსულის ფილოსოფიურ ნაამაგარს სისულელეთ და უვიცობათ აცხადებენ, თვით კი ხშირად სქელ ტანიან ფილოსოფიურ წიგნებს სწერენ! თუ ჩვენ საკმაოდ გავითვალისწინებთ რევოლიუციის და მეცნიერების ურთიერთ დამოკიდებას „მოქმედების" ეპოქებში, მაშინ აქ გასაკვირი არაფერი იქნება; რევოლიუციონური ინგლისის ბურჟუაზიის შვილებს მე-17 საუკუნეში სრული უფლება ქონდათ არისტოტელესათვის თავზე ლაფი დაესხათ და თვით კი ფილოსოფიური წიგნები ეწერაათ, რომელსაც მომავალში თვით ამ ბურჟუაზიის შვილებიც კი ალარ წაიკითხავდა.

ეს ის დაუწერელი უფლება იყო, ის jus naturae, რომელიც საფრანგეთის ხალხმა მე 18 საუკუნის მიწურულ'ში ჩამოაყალიბა, ე. ი. ხალხის უფლება რევოლიუციაზე.

ამწყობზე ისტორიას არ სწერენ, თორემ ჩვენი დროც საესეა ასეთი მაგალითებით. როდესაც, ეს თუ ის ხალხი ანხორციელებს თავის რევოლიუციონურ უფლებას იქ, არამც თუ ფილოსოფია და მეცნიერება არ დარჩება ხელუხლებელი, არამედ ხშირად თვით უმანკოების დედოფალსაც შეაწუხებენ.

რევოლიუციონური ეპოქები არ დაეძებენ იმ პრინციპებს და დიალექტიურ საფუძველებს, რომელიც პრაქტიკულ და სამოქმედო მეცნიერებას საფუძვლად უდევს. რევოლიუციას მეცნიერება სჭირია, როგორც საკუთარი იარაღი და კიდევაც ხმარობს მას.

რევოლიუციას ახდენს მასსა, ხალხი, როგორც ასეთი; და ახალი მეცნიერება, რომელმაც ძველი იდეოლოგიური ტრადიციებიდან უნდა თავი განთავისუფლოს, ანთავისუფლებს მასებს წარსულის ფილოსოფიური ნაშთიდან, ამტერევს ბეკონის idola theatri-ს. მეცნიერება იქცევა მასიურ კუთვნილებად, ყველას სურს იცოდეს ის დიადი საიდუმლოება, რომლის ცოდნით დღემდის გაბატონებული კლასის ერთი ნაწილი ყოყოჩობდა. დროებით შეიძლება მეცნიერული ცოდნის რიცხვობრივი გაზრდით, მისი ხარისხობრივი დონე შემცირდეს, მაგრამ ეს არის „წმიდა უფლება რევოლიუციის", და მომავალში ეს თავისთავად გამოსწორდება. იდეალი ყოველთვის ის დარჩება, რომ რევოლიუციის პროცესში თვით მასები იმდენად შეიცელებიან, რომ დაბოლოს შესძლებენ მეცნიერულ აზრის სიმაღლეს მიუახლოვდენ და არა ისე ვითომც ოდესმე მეცნიერება დამდაბლდეს მასების ცნობიერებამდის.

რევოლიუციონური შემოქმედებითი იდეა რევოლიუცის განმტკიცების და მისი იდეოლოგიური მაქსიმების ჩამოყალიბების პროცესში შეატყობს, რომ იდეოლოგიური წარსულის სრული უარისყოფა შეუძლებელია, ბევრი განძეული მარადი და წარმტაცი გადასარჩენია და ახალი დროისთვის არამც თუ გამოსადეგი, არამედ აუცილებელი. რევოლიუციაში იბადება იდეა წარსულის გადარჩენის, ძალების აკრეფის, გამოყენების და ახალი აღორძინების. რევოლიუციის უფლება სრულქმნილია და ახალი სოციალური კონსტიტუცია, როგორც სინამდვილის უფლება, გამოდის ასპარეზზე.

რუსეთის რევოლიუციაში ეს პროცესი დიდი ხანია დაწყო, [illegible], დიდი რევოლიუციის იდეოლოგიური მესიტყვე, ანგარიშების [illegible] პიროებას უკვე ნათლად ხედავს და ქვეყნის ყურათსაღებადაც ამბობს, რამდენს მეტს მოუსმენს მას რევოლიუცია, იმდენად უმტკივნეულოდ ჩატარდება მისი ორგანიული ქმნადობის პროცესი.

ამ რიგად ყოველი რევოლიუცია ორი პროცესისაგან შესდგება: ერთი ნგრევა, მეორე შენება. ამ მეორე აქტის შესრულების დროს გამოირკვევა, თუ რამდენად ორგანიული იყო პირველი, რამდენად მართლა ახალი იბადებოდა ან და შეიძლება დაავადებული ისტორია, ილაჯ მიხდილი ხალხი და გამოდუნებული ეპოქა რომელსაც ისტორიულ ფსევდომორფოზას ქმნიდა!

ამ მეორე აქტის შესრულებისას ე. ი. რევოლიუციის შენებითი პროცესში მასში მძლავრად იჭრება მეცნიერება და იქ ცენტრალურ ადგილს იჭერს. აშენებას ცოდნა სჭირია. ცოდნის მიღება კი მეცნიერების გზით შეიძლება. აქ ირკვევა ის მატერიალი ფუძე, რომელზედაც დაყრდნობილა ყოველი საზოგადოებრივი მშენებლობა, სოციალური გარდატეხა, სახელმწიფოებრივი ფორმაცია და სხვა. ეს არის ის რასაც მარქსმა საწარმოო ძალთა წარმოება უწოდა, ანუ რასაც ძველი ბერძნები ტეხნეის უწოდებენ. ეს არის იმ იარაღის გამონახვა, რომლითაც ყოველი გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს, ასაშენებელი აშენდეს და დასანგრევი დაინგრეს. მეორე მხრიდ ეს გულისხმობს ამ იარაღს, არამც თუ უნაკლო მოხმარების სრულქმნილ ცოდნას, არამედ ცოდნას მის წარმოშობის და განვითარების საქმეშიაც. ეს ცოდნა კი მოინახება მეცნიერებაში.—**რევოლიუციას სჭირია ტეხნიკური გამართლება. ტეხნიკის გამართლებას კი იძლევა მეცნიერება.**

აქ იხსნება ჩვენი წერილის მთავარი კვანძი. ის რაზედაც აქამდის იყო ლაპარაკი, შეადგენდა მეცნიერებისა და რევოლიუციის დამოკიდების გარეგნულ ანალოგიას, მათ მსვლელობის ერთიერთ მგზავსებას, მათი ძალების განვითარების გათვალისწინებას. მხოლოდ რევოლიუციის შენებითი პროცესში ნათლად ჩნდება, რომ რევოლიუციის ორგანიული მსვლელობა, ის კი არა თვით ფაქტი მისი არსებობისა, დაყრდნობილი ყოფილა უმთავრესად ტეხნიკურ საფუძველზე

ტეხნიკა კი ნიშნავს მიზანშეწონილ და სრულ ქმნილ მოქმედებას, რის გამართლება მხოლოდ და მხოლოდ სისტემატიურად აშენებულ, ორგანიულად დალაგებულ და ეპოქალურად დროულ ცოდნას შეუძლია. ასეთი ცოდნა კი არის მეცნიერება.

ყველა დიდი რევოლიუციიდან უნდა დაიწყოს საკაცობრიო ისტორიის ახალი ეპოქა. ძველი იდეოლოგიით და ძველი ქვეყნით ახალის დაპყრობა შეუძლებელია. იმით, რომ 1814 წ. რუსეთის ჯარებმა პარიზი აიღეს, შესრულდა ნაპოლეონის ისტორიული მისია. დიდი რევოლიუციის საშოდან წამოვარდნილმა სტიქიამ აიღო მოსკოვი ბურჟუაზიის სხივებმა შეაჭიატეს რუსეთის დაულეველ სტეპებში! ეს არის ძლევა-მოსილი მსელელობა მეცნიერული და ტეხნიკური საფუძვლებით გამარჯვებული ;ახალი იდეოლოგიისა. რუსეთის ოფიცრები

დაძარცხებულნი დაბრუნდენ პარიზიდან სახლში და შეჰყარეს [illegible] ბერ პირველის გვარეულობას 1825 წ. „საშინელი“ დღეები. ესეც [illegible] ეპოქა ისტორიისა.

დიდი სოციალურ-პოლიტიკური გარდატეხანი მეცნიერულ და ტექნიკურ რევოლიუციებთან ერთად მიმდინარეობდენ ის დიადი გარდატეხა, რაიც ახალი დროის მეცნიერებაში, კეპლერის, გალილეის, ნიუტონის და სხვების საშუალებით მოხდა, ერთად მიმდინარეობდა იმ უზარმაზარ რევოლიუციასთან და მატერიალურ-კულტურის მაქამდის უჩვეულ აღორძინებასთან, რომელიც ორთქლის და ამერიკის აღმოჩენით დაიწყო.

ვერნერ ზომბარტი, თანამედროვე კაპიტალიზმის ბურჟუაზიული თეორეტიკოსი, ასეთი შესანიშნავი სიტყვებით ახასიათებს წმიდა მეცნიერების დამოკიდებულებას მე 16 საუკუნის ევროპაში:

„ორმაგი ბუხჰალტერია დაიბადა იმავე გენიიდან, რომლიდანაც გალილეის და ნიუტონის სისტემა. როგორც ის, ისე აწყობს ეს მოვლენებს დახელოვნებული სისტემის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ორმაგი ბუხჰალტერიის მეთოდში მექანიკურ აზროვნების მიხედვით აშენებული კოსმოსის დებულება ამოვიკითხოთ. ორმაგი ბუხჰალტერია იმავე მეთოდით გვაძლევს ჩვენ სამეურნეო ქვეყნის კოსმოს, როგორითაც შემდეგში დიდი ბუნებათმეტყველნი მნათობთა ქვეყნის კოსმოს იძლევიან. ორმაგი ბუხჰალტერია დაყრდნობილია იმ ბოლომდის უნაკლოთ მოფიქრებულ აზრზე, რომელიც ცდილობს მოვლენების ქვანტიტეტათ (რიცხვობრიობათ) გადაქცევას“*).

ამაზე უფრო ნათლად თან სწორიად არ წარმოიდგინება ის აუცილებელი კავშირი, რაიც რევოლიუციასა, ეკონომიასა და მეცნიერებას შორის არსებობს. ის ფაქტი, რომ სამეურნეო რევოლიუციები ხშირად მეცნიერულ და იდეოლოგიურ რევოლიუციებს წინ უსწრობენ ზომბარტის მაგალითში უნაკლოთ მოცემულია. ორმაგი ბუხჰალტერია გამოიგონა ლუკა პაჩიოლიმ 1494 წ. გალილეის და ნიუტონის სისტემების წარმოშობა ეკუთვნის ამის შემდეგ ათეულ წლეებს.

ის, ვინც ისტორიის ნაფლეთ-ნაფლეთად ხედავს, გაკვირვებული დარჩება ასეთი მგზავსების აღიარებით, ის ვერ წარმოიდგენს, თუ რა საერთო უნდა იყოს ორმაგი ბუხჰალტერიის საშუალებით გამოანგარიშებულ ჩით-ნარმასა და ნიუტონის გრავიტაციის ფორმულას შორის. რასაკვირველია გრავიტაციის ფორმულა ორმაგი ბუხჰალტერიით გამოანგარიშებული ნარმა არ არის. მაგრამ ერთი და იგივეა ის მეთოდი, რომლითაც ორივე შემთხვევაში ანგარიში ხდება. ეს არის მოვლენების და საგნების რიცხვებად გადაქცევის მეთოდი. როგორც ორმაგი ბუხჰალტერია სავაჭრო საოპერაციო მაიაგს და მისი ტრიალის ნაყოფს ორ ფურცელზე გაშლილ ორ ერთი მეორეს წინააღმდეგ დაპირისპირებულ, რიცხვში შლის, ისე იშლება ახალი დროის ბუნებათ მეცნიერებაში მთელი ბუნება და მისი კანონები რიცხვის ფორმულებში და რიცხვის სახეებში. ამ მეთოდს ქვია მოვლენების კვანტიფიკაციის მეთოდი. „დიდესი გარდატეხა კა-

*) Sombart: Der moderne Kapitaliamus Bd II გვ. 119.

ცობრიობის აზროვნებაში სწორედ ამ კვანტიფიკაციის მეთოდის [illegible] მოხდა, რის შედეგად ჩვენ ის დაგვრჩა, რასაც ახალი დროის [illegible] ქვია[1].

ათასჯერ იმის გამეორება ზედმეტი არ იქნება, რომ კარლ მარქსის მეცნიერულ-ფილოსოფიური ნაამაგარი სწორეთ ამ რიცხვის მეთოდის ისტორიის მოვლენებში გადატანაში და იქ აუცილებელი განვითარების კანონის აღმოჩენაში იმყოფება. მარქსიზმი იძლევა ისტორიის კანონების ქვანტიფიკაციას ისე, როგორც ბუნებათ მეცნიერება ბუნების მოვლენების ქვანტიფიკაციას იძლევიან.

რევოლიუცია მხოლოდ იმით დაიწყებს ახალ ისტორიულ ეპოქის, რომ ახალ სოციალურ-კულტურულ და ეკონომიურ-ტექნიკურ აღმშენებლობას საფრძვლებს ჩაუყრის. აღმაშენლობითი ნამოქმედარზე ამოიკითხება რევოლიუციის ორგანული და ცხოველყოფილი საქმე. აქ, ამ შენების პროცესში კი რევოლიუცია უერთდება მეცნიერებას, მეერთებული ძალები ახალ ქვეყანას აშენებს.

რევოლიუციის და მეცნიერების შეუღლებული ასპარეზზე გამოსვლა იმით გაცილებით გაადვილებულია, რომ როგორც რევოლიუცია მოკლებული ყოველივე კონსერვატიზმს და ძველისაკენ ცქერას, ასე მეცნიერებაც თავის ბუნებით არა კონსერვატიულია და მისი მოქმედება ყოველთვის ახლისკენ არის მიმართული.

ყოველ გვარ რევოლიუციაში დამალულია ერთი „უხილავი“ იდეალი. ეს არის ახალი ძალების ლტოლვა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. ყოველთვის და ყველგან ყველა რევოლიუციონურ ბობოქრებას მისი მამოძრავებელი ძალები უმღეროდენ თავისუფლების არიებს. თვით საბერძნეთის ტირანები, როცა საბერძნეთის დემოკრატიას ე. ი. ხალხის ბატონობას ასაფლავებდნენ თავისუფლების სიმღერას მღეროდენ, რომის ისტორიკოსი ტაციტი ყოველთვის როდესაც ხალხის არა რესპუბლიკურ მმართველობაზე ლაპარაკობს დასძენს, რომ ხალხმა ჯერ არ იცოდა თუ რა ტკბილი ხილია თავისუფლებაო.

აბსოლიუტი თავისუფლება საერთოდ არ არსებობს და ის, ცხადია, არც რევოლიუციის გზით მოიპოვება, მაგრამ ის აზრი, რაიც ამ თავისუფლების ძიებაში დამალულია, არის ძველის ხელიდან დამოუკიდებლობის და თავის განთავისუფლებისაკენ ლტოლვა. ასეთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეალი შედგენს მეცნიერების იმ ჯანსაღ ძარღვს, რომელიც ასაზრდოებს კაცობრიობის კულტურულ პროგრესს. მეცნიერებას არ შეუძლია დამოკიდებული და არა თავისუფალი იყოს.

სამი ათასი წელი აწარმოვა ფილოსოფიამ და მეცნიერებამ ბრძოლა ღმერთის და რელიგიის წინააღმდეგ. ორი დიდი ლოზუნგით ხელმძღვანელობდა ის ყოველთვის. ფილოსოფია ინსტიქტიურად გრძნობდა რომ იქ, სადაც რელიგია

---

[1]) უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხილე ჩემი წიგნში: „რელატივ. თეორია და სხ.“ თბილისი 1924. გვ. 2—3

იწყება, აზროვნებისათვის საკვლელი გზა აღკვეთილია; შეცდომებიანი გადაჭრით აბმობდა ჰეგელის მიერ ვირხოვის წინააღმდეგ ნაბრძანებ ფრაზას: „თავისუფალი სწავლა, თავისუფალი ცოდნა.“ ეს თავისუფალი სწავლის და თავისუფალი ცოდნის იდეალი აბმობილებს მეცნიერებას რევოლიუციასთან.

კონსერვატორული და კონტრევოლიუციონური მეცნიერება თუ ის ე. ი. ნამდვილი მეცნიერებაა, არ არსებობს. თუ რევოლიუცია მართლაც რაიმეს ახალს აშენებს, თუ მას ეს შეუძლია, ე. ი. თუ ის იტო

ეს პირველად სთქვა კარლ მარქსმა და არაფერი არ არსებობს [illegible] მარქსისტული, როგორც ზოგიერთების აზრი, ვითომც პროლეტარიატ[illegible] ფია არ სჭიროდეს. რასაკვირველია ფილოსოფია არ სჭირდება პროლეტარიატს მანამდის, სანამ ეს ფილოსოფია კიდევ ძველი ქვეყნის არსებობის ახსნა-განმარტებას იძლევა, მაგრამ როდესაც პროლეტარიატი მედგარი ბრძოლის საშუალებით ძველ ქვეყანას შეცვლის და ახალ ქვეყანას ააშენებს, მაშინვე დაიბადება საჭიროება ამ ახალი ქვეყნის ახსნა-განმარტებისათვის. მოქმედების ასპარეზზე გამოვა „საზოგადოების თავი" ე. ი. ფილოსოფია. თუ რევოლიუციის დაწყებისას ჩნდა, ვითომც ფილოსოფია ძველი ქვეყნის მსახურის როლს ასრულებდა, რევოლიუციიდან მონაპოვარი ახალი ქვეყნის აშენების პროცესში ნაციელი გახდება, რომ ფილოსოფიის საქმეა რომელიმე ქვეყნის სამსახური კი არა,—არამედ უკვე არსებულ ქვეყნის ახსნა განმარტება. ახალ ქვეყანასაც დასჭირდება ფილოსოფიური გამართლება, დასაბუთება.

თანამედროვე საზოგადოებას ე. ი. ბურჟუაზიულ საზოგადოებას არაფერი არ წარმოუშვია ამავე საზოგადოების ისეთი სასტიკი მტერი, როგორც წმიდა მეცნიერება და წმიდა ფილოსოფია. მეცნიერება და ფილოსოფია, წარმოშობილი ბურჟუაზიული ქვეყნის საშოდან, აშტკიცებს ამავე საზოგადოების და ქვეყნის სრულ უაზრობას და მისი სიცოცხლის გაგრძელების არა უფლებიანობას. ბურჟუაზია ცდილობს იყიდოს ის, რაიც თავისი ბუნებით არ გაიყიდება და ეს საქონელი, ეს მეცნიერება და ეს ფილოსოფია, საქვეყნოდ ამტკიცებს ამ საზოგადოების სრულ უაზრობას და არარაობას.

ის კლასი კი, რომელმაც ეს საზოგადოება უნდა შესცვალოს, რომელმაც ქვეყანას უნდა დაუმტკიცოს ამ საზოგადოების არსებობის უკანონობა და ის დაანგრიოს ე. ი. თანამედროვე პროლეტარიატი ვერ აღმოაჩენს იმაზე უფრო დიდ მეგობარს, როგორც მეცნიერება და ფილოსოფია. მეცნიერება და ფილოსოფია, რომელიც თავისი ბუნებით მხოლოდ „ჭეშმარიტებასა" და „სამართლიანობას" შეითვისებს, რასაკვირველია, გვერდში ამოუდგება თანამედროვე პროლეტარიატს, თუ რომ ეს კლასი თავისი ისტორიული არსებობის და მოქმედების უფლებიანობას და თავისი მისიის ჭეშმარიტებას საქვეყნოდ დაამტკიცებს. ეს დამტკიცება კი უნდა მოხდეს დიდ სოციალურ რევოლიუციაში.

თუ თანამედროვე პროლეტარული მოძრაობა არ დაჩაჩანაკდება, ის, ცხადია კავშირს არ გასწყვეტს მეცნიერებასა და ფილოსოფიასთან და ბურჟუაზიულ საზოგადოებას ამ ორი მოძმის დახმარებით გადაისროლის ყოვლის შემნახველ ისტორიის არქივში. წარმოვიდგინოთ ერთ წუთში, რომ თანამედროვე ევროპის პროლეტარიატი მეტად და მეტად შეიპყრო ე. წ. ამერიკანიზმის სენმა, ულმობელი სიტყვა ისტორიული სინამდვილისა დაბოლოს მაინც თავისას იზამს და პროლეტარიატის გათვითცნობიერების პროცესი უსათუოდ მეცნიერებისა და რევოლიუციის გზით მოხდება. ფრიდრიხ ენგლესს ტყუილად კი არ უთქვამს, რომ გერმანიის მუშათა კლასი მემკვიდრეა გერმანული ფილოსოფიისაო. მუშათა კლასი, შეიძლება, მეორეჯერ დაიბადოს ფილოსოფიის საშოდან—ის მაინც

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას. ის მოახდენს ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ უდიდეს რევოლიუციას.

წარსულის ყველა რევოლიუციებს მიზნათ ჰქონდათ ერთი რომელიმე კლასის, წოდების, ეპოქის, ერის განთავისუფლება. მომავალ პროლეტარულ რევოლიუციას განსაკუთრებული იდეალი აქვს: ის ანთავისუფლებს საზოგადოების ყველა კლასებს, ყველა ეპოქებს, ის ასწორუფლებიანებს ერებს, ის ანთავისუფლებს ადამიანს, როგორც ასეთს. ამ განთავისუფლებული მასის გენიალური აღტაცებით შეპყრობილი უნდა ყოფილიყო კარლ მარქსი, როდესაც მან თავისი მეცნიერების სისტემის პრინციპების სქემატიური აღნიშვნის ბოლოში დასწერა:

„Mit dieser Geselschaftsformation schliesst daher die Vorgeschichte der menschlchaen Geselschaft ab" „ამიტომ ამ საზოგადოებრივ ფორმაციასთან ერთად დაიხურება ადამიანთა საზოგადოების წინა ისტორია *) ე. ი. ბურჟუაზიული საზოგადოების სიკვდილით დამთავრდება ადამიანის წინა ისტორია და მხოლოდ სოციალიზმიდან დაიწყება მისი ნამდვილი ისტორია ე. ი. ის ისტორია, რომელიც ადამიანს შეეფერება.

ამით კიდევ არ არის ყოველივე ნათქვამი რის თქმა მეცნიერებისა და რევოლიუციის დამოკიდებულებასა და ურთიერთობის შესახებ შეიძლება ითქვას. რევოლიუციას არამც თუ აქვს მეცნიერული გამართლება და ტექნიკური საფუძვლები, არაბედ მის მსვლელობას თან ახლავს, უფრო ხშირად კი წინ უსწრობს, ე. წ. იდეოლოგიური სიმპტომი. საფრანგეთის მატერიალისტები მე-18 საუკუნეში ამზადებდენ ქვეყანას დიდი რევოლიუციის ჭარცეცხლისათვის. ჟან-ჟაკ რუსო, თუმცალა მატერიალისტი არ ყოფილა, მაგრამ მაინც იმ ბანაკს ეკუთვნოდა, რომელიც რევოლიუციის იდეოლოგიას უმზადებდა. 30 წლით რევოლიუციის დამწყებამდის რუსომ იწინასწარმეტყველა, რომ მალე დადგება დრო გიგანტიური რევოლიუციების და საფრანგეთის მოქალაქეებს ურჩია შეესწავლა რაიმე პრაქტიკული ხელოსნობა, რომ მომავალ რევოლიუციის ქარტეხილში, როცა დაინგრევოდა ძველი ქვეყანა და მისი მსახურნი უსაქმოდ დარჩებოდენ, შიმშილით არ დახოცილიყვენ.

მაგრამ რევოლიუციონური იდეოლოგების ასპარეზზე გამოსვლამდის რევოლიუციის იდეა უკვე მოცემული იყო ახალი დროის ბუნებათ მეცნიერებაში. ნიუტონის და გალილეის ახალი მეცნიერება. ბუნების მოვლენების ოიცხვის კანონებით აღნუსხვა და მსოფლიო სურათის ერთ დიდ მოძრავ მექანიზმად გადაქცევა, მექანიზმის შეჭრა აზრის ყველა საკუჭნაოში, მკაცრი რაციონალიზმი და ემპირიზმი, ყველა ეს თავისი ბუნებით საშინლათ ეწინააღმდეგებოდა ძველ ავტორიტეტულ სახელმწიფოს. ავტორიტეტი და „ღვთის სიტყვა" მეცნიერებამ გააძევა აზროვნების უკანასკნელ სადგურიდან და სინამდვილის ურყევი ლო-

*) იხილე: კარლ მარქსი: Zur Kritik der politisrhen Oekonomie. Stuttgart 1919. მე-5-გამოცემა გვერდი: LVI.

ლიკა მოითხოვდა მის სოციალური ფორმაციის ჩარჩოებიდან გაძევებასაც. ეს მისია შეასრულა რევოლიუციამ.

როგორც მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა გონება განთავისუფლეს ავტორიტეტის ბრჭყალებიდან და აზრის ავტონომიურ სამფლობელოს მიანიჭეს უნაპირო სამოქმედო სივრცეები, ასე რევოლიუციამ მიზნად დაისახა ადამიანის და საზოგადოების ძველი სახელმწიფოს ავტორიტეტის ხელიდან განთავისუფლება.

დიდმა რევოლიუციამ აზროვნებაში და მეცნიერებაში მთელი ერთი საუკუნით წინ დაუსწრო დიდ რევოლიუციას საზოგადოებრივ ურთიერთობის სფეროში. მიუხედავად ამისა ორივე იყო ერთი დიდი პროცესის სხვა და სხვა სახე და ისე აუცილებელი ერთი მეორესათვის, როგორც შავი და თეთრი, მარჯვენა და მარცხენა და სხვ.

აქ კი საინტერესოა, ვიკითხოთ, თუ ასეთი სიმპტომი ახლავს იმ დიდ სოციალურ გარდატეხას, რომელიც აუცილებლად მომავალი კაცობრიობის წინ ეშვება და რომლის ისტორიული სრულქმნის მისია ჩვენ თანამედროვე პროლეტარიატის,—მსოფლიო ქალაქის ამ ღვიძლ შვილს,—ვაკუთვნეთ. მგონია დღეს აღარავისთვის სადაო არ არის, რომ იდეოლოგიური საფუძვლები ამ დიდი მოძრაობისათვის დამუშავებულია სოციალისტურ დოქტრინებში, და მარქსიზმში, როგორც სოციალიზმის მეცნიერული სახე, იძლევა მის მეცნიერულ დასაბუთებას. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ თანამედროვე წმინდა მეცნიერებაში მოიპოვება თუ არა რაიმე ისეთი, რაიც სოციალური რევოლიუციის გამართლებას იძლეოდეს? მოიპოვება თუ არა თანამედროვე მეცნიერებას სოციალისტური სიმპტომი?

ვინც დღეს ამ საკითხს დადებითი პასუხს არ აძლევს, ის არ იცნობს არც ჩვენ თანამედროვეობას და არც ჩვენი დროის მეცნიერებას.

თანამედროვე მეცნიერებაში რევოლიუცია უკვე დიდი ხანია მოხდა.

ბურჟუაზიული კულტურა დაეძებდა დაუბოლავებელ სივრცეებს და მარადიულ დროს. თანამედროვე მეცნიერებამ იდეიურად უკვე გადალახა სივრცე და დრო, ხვალ ის მას ტექნიკურათაც დასძლევს და შეურთებელ პოლიუსებს შეაერთებს.

ელექტრონის, რადიოს, ავიაციის და აინშტაინის კულტურა წარმოუდგენია მოსავლელად კერძო მესაკუთრის ხელში. დღეს აღარ არსებობს კერძო მეცნიერი და მისი კაბინეტი და შეუძლებელია, რომ ამ მეცნიერების ნაამაგარი კერძო ვინმეს ეკუთვნოდეს.

თანამედროვე მეცნიერება უაღრესად სოციალური მოვლენაა, მან გადალახა ერის, კლასის, სახელმწიფოს საზღვარი, დღეს ის თავის პლანეტარული საზღვრის გადალახვას ლამობს!

ჩვენი დროის მეცნიერება აღარ არის არც ერთი კლასის საკუთრება, რომელი სულელი იტყვეს, რომ კანტორის მათემატიკა და აინშტაინის ფიზიკა ბურჟუაზიას ეკუთვნისო!

მეცნიერება დღეს უკვე უკლასო გამხდარა და თავისი ბრნებით იმას წარმოადგენს, რაც სოციალისტურ ქვეყნის იდეალში იხატებოდა. თუ დღეს ძველი ქვეყნის საზოგადოებრივი ფორმაცია კიდევ ჯიუტობს და ის თავის პოზიციებს ახალს არ უთმობს, ამით ის ძველის სიძლიერესთან ერთად მის აუცილებელი სიკვდილის მოახლოვებასაც აჩვენებს.

ამის დანახვა კი იმას შეუძლია, ვინც ჩვენი დროის მეცნიერებას ხედავს.

ჩემის აზრით აინშტანის თეორიის წარმოშობა უფრო დიდი სიმპტომია მომავალი სოციალური რევოლიუციის, ვიდრე რამხელი მაკდონალიდის საარჩევნო გამარჯვება.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მხატვრული ლიტერატურა:

საქართველო

1. **გალაქტიონ ტაბიძე**—1917 . . . . . გვერდი.
2. **კონსტანტინე ჭიჭინაძე**—ვალერი ბრიუსოვს 10
3. **ვასო გორგაძე**—პროლოგი 11
4. **გ. ქუჩიშვილი**—ჰიმნი პროლეტარიატს 12
5. **ნ. ზომლეთელი**—მარში 15
6. **კოლაუ ნადირაძე**—წითელი მოედანი 17
7. **დემნა შენგელაია**—ჯავშნიანი მატარებელი 31
8. **პ. ირეთელი**—ზღვის ნიავი 41
9. **პავლე ნოზაძე**—დღე და ღამე რევოლიუციის 56
10. **ი. იოსელიანი**—უკანასკნელი ბარიკადა. 93

რ უ ს ე თ ი

11. **ალექსანდრ ბლოკ**—სკვითები. თარგ. კონ. ჭიჭინაძის. 109
12. **სერგეი ესენინი**—ამხანაგი. თარგმ. მისივე. 112
13. **ბორის პასტერნაკ**—კრემლი გრიგალი 1918 წ. დასას. თარგმანი სვ. ჩიქოვანის. 116
14. **ვლ. მაიაკოვსკი**—III ინტერნაციონალი, თარგმ. ნ. შენგელაიასი. . 118
15. **ტიხონოვი**—სამი. თარგ. კოლაუ ნადირაძის 120
16. **ალექსანდროვსკი**—აჯანყება. თარგმ. ვასო გორგაძის. 124
17. **ილია ერენბურგი**—ტრესტი დ. ე. თარგ. სვ ჩიქოვანის. 130

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი

18. **ემილ ვერხარენ**—ამბოხი — თარგ. ვასო გორგაძის 171
19. **ანდრე სანმორი**—ციკლი ბრძანება მატარებელი ფრონტიდან. თარგ. სვ. ჩიქოვანის 173
20. **მარსელ მარტინე**—ღამე, თარგ, კონს. ჭიჭინაძის 174

კრიტიკა, მხატვრობა, თეატრი, პუბლიცისტიკა და მეცნიერება;

21. **სეით დევდრაიანი**—ოქტომბერი და ინტელიგენცია 225
22. **ლ. კამენევი**—წერილები ვ. ი. ლენინის მაქსიმ გორკის მიმართ 1908—1913 229
23. **კ. ჩერნიავსკი**—ლენინის წერის მეთოდი 255
24. **გ. უსტინოვ**—რევოლიუციის ტრიბუნი 261
25. **ბ. გორდეზიანი**—ოქტომბერი და მხატვრობა 293
26. **მიხ. ქორელი**—რა გაკეთდა? 298
27. **მოსე გოგიბერიძე**—მეცნიერება და რევოლიუცია 306

ს უ რ ა თ ე ბ ი.

1. **ვლ. ლენინი** } ი. გამრეკელისა.
2. **ლევ ტროცკი** }
3. **რევოლიუცია**—გორდეზიანის.

ჟურნალ „მნათობის“

თანამშრომლობენ

აბულაძე იუსტინე, ამაღლობელი სერგო, ახმეტელი ალ., ბახტაძე ვალ., ბელიაშვილი ა., გამრეკელი ირ., გამსახურდია კონ., გაფრინდაშვილი ვ., გვაზავა დ., გოგიბერიძე მ., გორგაძე ვასო, გორგაძე სერგი, გორდეზიანი ბ., დევდარიანი სეით, დუდუჩავა შ., ერქომაიშვილი ალ. ეული ს., ვაკელი ი., ზომლეთელი ნ., თოდრია სილ., იაშვილი პ., იოსელიანი ივ., ირეთელი პ., კაკაბაძე პოლიკარპ, კაკაბაძე სარგ., კალაძე რ., კაპანელი კ., კახიანი მიხ., კვირკველია ბ., კვიცარიძე ა., კიკნაძე ნ.. ლეონიძე გ., ლორთქიფანიძე ნ., მალაქიაშვილი ვ. მარრი ნ., მახარაძე ფილ., მარჯანიშვილი კ., მიქაძე არ., ნადირაძე კოლ., ნოზაძე პ., ნუცუბიძე შალ., ოკუჯავა მიხ:, ორაგველიძე კ., ორახელაშვილი მამია, რობაქიძე გრ., სამსონიძე პ., ტაბიძე გალ., ტაბიძე ტ. ტოროშელიძე მალ., ფალავა აკ., ქავთარაძე ს., ქიქოძე პ., ქორელი მ., ქუჩიშვილი გ. ღლონტი თ., ღოღობერიძე უ., შანშიაშვილი ა.. შენგელაია დემ., შენგელაია ნ., ჩიხლაძე ს., ჩიქოვანი ს., ჭიჭინაძე კონსტ., ჭუმბურიძე თ., ხუნდაძე ს., ჯავახიშვილი, ადამაშვილი მ.

კორესპონდენტები:

მოსკოვში: ლიუნდერბერგი, კ. ორაგველიძე.
ლენინგრადში: გორბაჩევი;
ლონდონში: გ. მახარაძე; გ. ეშბა;

გერმანიაში: კ. მეგრელიძე;
ლატვიაში: ა. გაბაროვი;
პარიზში: დ. კაკაბაძე;

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ-ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲛᲜᲐᲗᲝᲒᲘ“

1925 ᲬᲔᲚᲘ.

1925 წელს გამოვა **„ᲛᲜᲐᲗᲝᲒᲘ“**-ს ოთხმეტი ნომერი და ხელის მომწერთათვის გადაგზავნით ღირება 16 მან. ხელის მომწერლები ფულს ისდიან ათ განაკვეთად ათის-ათის მანეთობით.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲐ 2 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

1924 ᲬᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲣᲚᲘ „ᲛᲜᲐᲗᲝᲒᲘᲡ“ 8 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ 13 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

რადგან პირველი და მეორე ნომერი დიდი ხანია აღარ იბეჭდება, ამიტომ რედაქციას განზრახული აქვს და ბეჭდის ის ხელმეორეთ.

ვინც 1-ლ იანვრამდის შემოიტანს 13 მანეთს მიიღებს ყველა რვა ნომერს უკლებლად.

„ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲨᲘ“ მონაწილეობას დებულობს საქართველოს საუკეთესო პოეტები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერები. „ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲡ“ ᲕᲧᲐᲕᲡ საკუთარი თანამშრომლები, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთის დიდ ქალაქებში.

გამომცემლობა საქ. ბოლ. განათლების მთავარ საამართველოსი.

გამომცემლობის მისამართი: თბილისი. რუსთაველის პროსპექტი № 22.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

„ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ“ სარედაქციო კოლეგიის წევრები
1. ᲛᲘᲮ. ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ.
2. ᲕᲐᲚ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ.
3 ᲚᲔᲜᲢ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ.

ი 195/1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი ოქრი მანეთი და ათი შაური.